განათლება

GANATLEBA

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013 №1(7)

Georgia Technical University



თბილისი 2013
Tbilisi

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University
Грузинский технический университет

განათლება №1 (7)

Ganatleba №1 (7)

Ганатлеба №1 (7)

თბილისი Tbilisi Тбилиси
2013

საერთაშორისო სამეცნიერო – პედაგოგიური ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით (ოქმი №7)

სარედაქციო საბჭო:

ბორის იმნაძე *– სრ. პროფესორი, მთავარი რედაქტორი*
თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი *– სრ. პროფესორი, რედაქტორის მოადგილე*
ელისაბედ კოზლოვა - *ასოც. პროფესორი, პასუხისმგებელი მდივანი*
ჟანეტა ვარძელაშვილი *– თსუ, პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*
ჩინგიზ ბედალოვი *– პროფესორი*
ვიდას კავალიაუსკასი *– პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი*
კონსტანტინე რამიშვილი *– პროფესორი, სგმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი*
გოჩა მიქიაშვილი *– პროფესორი, სტუ არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი*
ზურაბ ჩაჩხიანი *– სრ. პროფესორი*
ელისაბედ ხახუტაშვილი *– ასოც. პროფესორი*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რედაქციის მისამართია: 0175, თბილისი, კოსტავას ქ. 77
e-mail: boris151132@rambler.ru
web-გვერდის მისამართი: http://newsletters.gtu.ge

ფასი სახელშეკრულებო
ტირაჟი 500

ISSN №1512-102X

სარჩევი/Оглавление/Contens

პედაგოგიკა – Pedagogics – Педагогика

მაია ბარბაქაძე, რომეო გოგალაძე. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა გრაფიკული დისციპლინების სწავლების სამსახურში 9
Майя Барбакадзе, Ромео Гогаладзе. Педагогика высшей школы в службе обучения графических дисциплин . . . . . .
Maya Barbakadze, Romeo Gogaladze. Pedagogic of higher school in service of graphic disciplines teaching . . . . . .

ლიდა ბერიძე, რუსუდან გოგიბერიძე. XX საუკუნის ცნობილი მათემატიკოსი პედაგოგი-მეთოდისტები 14

გურამიშვილი ზ., ჩხენკელი ლ. ტესტირება, როგორც რუსული ენის შესწავლის ერთ ერთი ეფექტური საშუალება 19
Гурамишвили З., Чхенкели Л. Тестирование как один из эффективных средств обучения русскому языку . . . . . .
Guramishvili Z. Chkhenkeli L. Testing, as one of the efficient methods for learning Russian language . . . . . .

ოლღა კალანდარიშვილი. ქართველ სტუდენტთა მიერ რუსულ წერით მეტყველებაში დაშვებული შეცდომების შესახებ 22
Ольга Каландаришвили . Об ошибках в русской письменной речи студентов- грузин . .
O. Kalandarishvili. The spelling errors made in Russian language by Georgian students . . . . .

ვიდას კავალიაუსკასი. სათამაშო კომპიუტერული პროგრამები ლიტვური ენის შესწავლის პროცესში 25
Видас Каваляускас. Игровые компьютерные программы в процессе обучения литовскому языку . . . . . .
Vidas Kavaliauskas. Computer Games for Learning Lithuanian . . . . . .

ვახტანგ კვინტრაძე, რამაზ კიკვიძე, ვახტანგ მელაძე, ჯემალ ნიკურაძე. განათლების ინფორმაციული ტექნოლოგიები: საკვანძო ცნებები, განსაზღვრებები და ამოცანები 33
В.И. Квинтрадзе, Р.Р. Киквидзе, В.Д. Меладзе, Дж.Г. Никурадзе. Информационные технологии в образовании: ключевые понятия, определения и задачи . . . . . .
Vakhtang Kvintradze, Ramaz Kikvidze, Vakhtang Meladze, Jemal Nikuradze. Informative technology of education: highlight notions, determinations and tasks . . . . . .

ვახტანგ კვინტრაძე, ვახტანგ მელაძე, ჯემალ ნიკურაძე, კონსტანტინე ცხაკაია. დისტანციური სწავლების ტექნოლოგიები 37
Vakhtang Kvintradze, Vakhtang Meladze, Jemal Nikuradze, Konstantin Tskhakaia. Technology of the distance education . . . . . .
В. И. Квинтрадзе, В. Д. Меладзе, Дж.Г. Никурадзе, К. Г. Цхакая. Технологии дистанционного обучения . . . . . .

მანანა მაღრაძე, ვასილ სისაური. პატრიოტიზმი და ოფიცრის როლი პატრიოტულ აღზრდაში 40
М. Магрaдзе, В. Сисаури. Патриотизм и роль офицера в патриотическом воспитании . .
M. Magradze, V. Sisauri. Patriotism and the Role of Officership in Patriotic Education . . . . .

ლ. ჩხენკელი, ზ. გურამიშვილი. საქმიანი წერილები კულტურათაშორის პრაგმატული კომუნიკაბელური კომპეტენციის განვითარებაში 46
Чхенкели Л.В., Гурамишвили З. Ш. Деловые письма в развитии прагматической, межкультурной коммуникативной компетенции . . . . . .
L. Chkhenkeli Z. Guramishvili. Business letters to develop pragmatical intercultural communicative competences . . . . . .

ფილოლოგია – Филология – Philology

თ.ბაკურაძე, მ.ჩხარტიშვილი. ელექტრონული დისკურსის თავისებურებანი 51
Т.Бакурадзе, М.Чхартишвили. Некоторые особенности электронного дискурса . . . . . .
T. Bakuradze, V.Chkhartishvili. Peculiarities of Electronic Discourse . . . . . .

თ.ბაკურაძე, მ. ჩხარტიშვილი. ელექტრონული ინგლისურის ვარიანტულობა 55
Т.Бакурадзе, М.Чхартишвили. Вариативность электронного английского . . . . . .
T.Bakuradze, V.Chkhartishvili . Variation in Electronic English . . . . . .

ელგენდარაშვილი ნატალია. ენის არსი და რაობა გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკაში 58

მანანა ივანისელი, თინათინ სინჯიაშვილი. ზმნები, რომლებსაც გააჩნიათ მოძრაობის მეორადი მნიშვნელობა 62

თამარ მებუკე. მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოების ინტენციონალურობა 65
Tamar Mebuke. Intentionality in Fiction . . . . . .
Тамар Мебуке. Интенциональность произведения художественной литературы . . . . . .

თამარ ნატროშვილი. მედიაციისა და ცოდნის როლი 71
T. Natroshvili. The Role of Mediation and Knowledge in Identifying Intertextual References . .
Е. Натрошвили. Роль Медиации и Знаний в Опрделении Интертекстуальных Связей . . .

ლადო მინაშვილი. პროფესორ იუზა ევგენიძის ხსოვნას 74

ეკატერინე შაკიაშვილი. უზუალური ეპითეტი, როგორც მწერლის ენობრივი სამყაროს სურათ–ხატის დეკოდირების ერთ-ერთი მარკერი 80
Ека Шакиашвили. Узуальный эпитет, как маркер декодирования картины языкового мира писателя . . . . . .

სვეტლანა ჩუპრინინა. პარადოქსის კომუნიციური სტრატეგია ემოციურ ტექსტში . 85
Чупринина Светлана. Коммуникативная стратегия парадокса в эмоциональном тексте . .
Chuprinina Svetlana.Communicative Strategy of Paradox in the Emotional Text . . . . . .

მანანა ჩხარტიშვილი, თამარ ბაკურაძე, ნარგიზა გოგუაძე. ზმნის უპირო ფორმების შემცველი კონსტრუქციების თარგმნის სპეციფიკა 90
М. Чхартишвили, Т. Бакурадзе, Н. Гогуадзе. Специфика перевода неличных глагольных конструкций . . . . . .
M. Chkhartishvili, T. Bakuradze, N. Goguadze. Peculiarities of Translating Non-Finite Verbal Constructions . . . . . .

მანანა ჩხარტიშვილი, თამარ ბაკურაძე, მარიამ შონია. ინფინიტივის შემცველი კონსტრუქციების ინგლისურიდან ქართულად თარგმნის ზოგიერთი თავისებურებანი 96
М. Чхартишвили, Т. Бакурадзе, М. Шония. Некоторые особенности перевода инфинитивных конструкций с апглийского языка на русский . . . . . .
M.Chkhartishvili, T. Bakuradze, M. Shonia. Some Peculiarities of Translating Infinitive Constructions from English into Georgian . . . . . .

ჟურნალისტიკა – Журналистика – Journalizm

ქ. გიორგობიანი. რადიომაუწყებლობა – კომუნიკაციის ახალი ერა 102
K. Giorgobiani. New Era of Radio Broadcasting-Communication . . . . . .
К. Гиоргобиани. Радиовещание – новая эра коммуникации . . . . . .

მანანა დათუკიშვილი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესა უცხოეთში 106
Manana Datukishvili. The press of National – Demokratic Party of Georgia abroad . . . . . .
М. Датукишвили. Пресса национал-демократической партии Грузии за границей . . . . .

მარიამ ვარდიაშვილი. ქართული მედიის თვითრეგულაციის პროცესების ისტორიიდან 111
Мариам Вардиашвили. Из истории процессов саморегуляции грузинской медии . . . .
Mariam Vardiashvili. From the history of self-regulation of the Georgian media . . . . . .

მარიამ ვარდიაშვილი. ჟურნალისტის პროფესიული და სამსახურეობრივი ეთიკის ზოგიერთი საკითხი 116
Мариам Вардиашвили. Некоторые вопросы профессиональной и служебной этики журналиста . . . . . .
Mariam Vardiashvili. Some issues of professional and work ethics of journalist . . . . . .

ბორის იმნაძე. თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ზოგიერთი ფილოსოფიური პრობლემა 122

ლ. ქათამაძე. მედიის როლი კულტურული ფასეულობების ფორმირებაში 128
Leah Katamadze. Role of Media in Formation of Cultural Values . . . . . .
Лия Катамадзе. Роль СМИ в формировании культурных ценностей . . . . . .

თემურ ჯაგოდნიშვილი. ჟურნალისტური აუდიტორიის სოციოლოგიური ფორმირება 130
T. Jagodnishvili. Sociological formation of journalistic audience . . . . . .
Т. Джагоднишвили. Социологическое формирование журналистской аудитории . . . . . .

ივ. ჯაგოდნიშვილი. სუნთქვის ფუნქცია ვერბალურ კომუნიკაციებში 135
Ив. Джагоднишвили. Функция дыхания в вербальных коммуникациях . . . . . .
Iv. Jagodnishvili. Breathing function in verbal communications . . . . . .

საბუნებისმეტყველო დისციპლინები – Естествоведческие дисциплины – Science

თ. ბართაია. სამგანზომილებიანი ფსევდოევკლიდური სივრცის სიგრძის მეტრიკის გეომეტრიული მოდელირების შესახებ ევკლიდურ სიბრტყეზე 140
Тамаз Бартаия. Моделирование метрики длины трехмерного псевдоевклидово пространства на эвклидовой плоскости . . . . . .
Tamaz Bartaia. About geometric modeling of metric length of the tree-dimensional pseudo-Euclidean space on the Euclidean plane . . . . . .

ა.ბენაშვილი, გ.ბენაშვილი. სისტემური პლატის ორჩიპიანი არქიტექტურა 147
А.Бенашвили, Г.Бенашвили. Двухчиповая архитектура системной платы . . . . . .
A.Benashvili, G. Benashvili. Two-chip architecture of a system board . . . . . .

გ. ბენაშვილი. თხევადკრისტალური მონიტორის ინტერფეისი 151
G. Benashvili. Interface of the liquid crystal monitor . . . . . .
Г. Бенашвили. Интерфейс жидкокристаллического монитора . . . . . .

ლიდა ბერიძე, რუსუდან გოგიბერიძე. დიოფანტე ალექსანდრიელი, დიოფანტეს განტოლებები 156

ფაიკ ბოგდანოვი, ომარ კეთილაძე, მანანა ჩიხლაძე. სიმეტრიულ E_{0n} ტიპის ელექტრულ ტალღათა დიფრაქცია წრიულ ტალღსატარის ცენტრში მოთავსებულ ნახევრად უსასრულო დიელექტრიკულ ღეროზე 160
Файк Гасанович Богданов, Омар Георгиевич Кетиладзе, Манана Николаевна Чихладзе. Дифракция симметричных электрических волн E_{0n} типа на полубесконечном диэлектрическом стержне, расположенном в центре кругового волновода . . . . . .
Faik G. Bogdanov, Omar G. Ketiladze, Manana N. Chikhladze. Diffraction of symmetric electric waves of E0n type at a semi-infinite dielectric rod located in the center of a circular waveguide . . . . . .

ქეთევან კაპანაძე, ჯუმბერ ცერცვაძე. ანტიფერომაგნეტიზმის მოვლენის ბუნების შესახებ 167
Кетеван Гениозовна Капанадзе, Джумбер Васильевич Церцвадзе. О природе явления антиферромагнетизма . . . . . .
Ketevan G. Kapanadze, Jumber V. Tsertsvadze. On the nature of antiferromagnetism phenomenon . . . . . .

ნანა ნოზაძე, გოჩა ჩიტაიშვილი, ლილი პეტრიაშვილი. AutoCAD-ის ფაილის ფორმატები 171
Нана Нозадзе, Гоча Читаишвили, Лили Петриашвили. Форматы файлов AutoCAD . . .
Nana Nozadze, Gocha Chitaishvili, Lili Petriashvili. AutoCAD File Formats . . . . . .

ნანა ნოზაძე, გოჩა ჩიტაიშვილი. მასალები და ტონირება 175
Нана Нозадзе, Гоча Читаишвили. Материалы и тонирование . . . . . .
Nana Nozadze, Gocha Chitaishvili. Materials and Rendering . . . . . .

ნანა ნოზაძე, გოჩა ჩიტაიშვილი. AutoCAD-ის გამოყენება საინჟინრო პრაქტიკაში 181
Nana Nozadze, Gocha Chitaishvili. Using of AutoCad in engineering practice . . . . . .

Нана Нозадзе, Гоча Читаишвили.Применение AutoCAD в инженерной практике . . . . .
ანზორ ხაბეიშვილი, მარიამ ხაბეიშვილი. ტვირთის ვარდნის სიმაღლის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა დარტყმის დროს 186
А.Д. Хабеишвили, М.А. Хабеишвили. Определение оптимального значения высоты подающего груза при ударе . . . . . .
A. Khabeishvili, M. Khabeishvili. Determination of Optimal Height of Cargo Download in case of Shock . . . . . .

ანზორ ხაბეიშვილი, მარიამ ხაბეიშვილი. ლილვის დიამეტრის და ბრუნთა რიცხვის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა გრეხითი დარტყმის დროს 190
А.Д. Хабеишвили, М.А. Хабеишвили. Определение оптимального значения диаметра вала и числа оборотов во время крутильного удара . . . . . .
Anzor Khabeishvili, Mariam Khabeishvili. Determination of the Optimal Values of the Shaft Diameter and Ritations Number in Case of Torsion Shock . . . . . .

<u>არქიტექტურა – Architectura – Архитектура</u>

ნინო იმნაძე, დიანა რეხვიაშვილი. არქიტექტურული კონტექსტი 194
Нино Имнадзе, Диана Рехвиашвили. Архитектурный контекст . . . . . .
Nino Imnadze, Diana Rechviashvil.Architectural context . . . . . .

მაგდა ლეკიშვილი, კონგრეს ცენტრების მნიშვნელობა და ისტორია, მათი ფუნქციური მახასიათებლები 198

მედეა მელქაძე, მაია ჩხაიძე. არქიტექტურული გარემო – იდეალი და რეალობა 204

ვანდა მუჯირი. არქიტექტურული პროპედევტიკის ფსიქო-პედაგოგიური საფუძვლები 208
В. Муджири. Психо-педагогические основы архитектурной пропедевтики . . . . . .
V. Mudjiri. Psycho-pedagogical basis of Architectural Propaedeutics . . . . . .

ვანდა მუჯირი. მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის კავშირი არქიტექტურულ დაპროექტებასთან, როგორც მეთოდოლოგიური პრობლემა 213
В. Муджири.Связь объемно-пространственной композиции с архитектурным проектированием, как методологическая проблема . . . . . .
V. Mudjiri .Interrelation of Volume-Space Composition with Architectural Projecting, as a Methodological Problem . . . . . .

ვალერი მჭედლიშვილი, მზია მილაშვილი. მსოფლიოს პოსტინდუსტრიული ქალაქები 218

ქეთევან სალუქვაძე. ინტერიერის ფორმირების ფსიქოლოგიური ასპექტები 222

არჩილ ქურდიანი, მედეა მელქაძე. ორნამენტი - ჩუქურთმა, როგორც იდენტიფიცირების საშუალება 227

მაია ძიძიგური, გიორგი იოსებიძე. არქიტექტურისა და დიზაინის მიზნობრივი გამოყენებით ხევსურეთის რეგიონის რეაბილიტაციის კონცეპტუალური ხედვა . . 232
Майя Дзидзигури, Гиоргий Иосебидзе. Концептуальное видение реабилитации хевсуретского региона с целевым использованием архитектуры и дизаина . . . . . .
Maia Dzidziguri, George Iosebidze. A conceptual vision for the rehabilitation of Khevsureti region with the target application of architecture and design. . . . . .

თინათინ ხიმშიაშვილი. ეკო არქიტექტურა 236
Тинатин Химшиашвили. Эко архитектура . . . . . .
Tinatin Khimshiashvil. Ecology Architecture . . . . . .

გიორგი წანაწყენიშვილი, გიორგი მუხიაშვილი. თბილისში ახალი საცხოვრებელი და სავაჭრო-მომსახურების ზონების განვითარების დინამიკა . . . 240
Giorgi Tsanatskenishvili, George Mukhiashvili. Dynamics of development of the new residential buildings and commercial-service zones in Tbilisi . . . . . .
Гиорги Цанацкенишвили, Гиорги Мухиашвили. Динамика развития новых жилых и торгово-обслуживающих зон в Тбилиси . . . . . .

<u>სოციალური და ზოგადსამეცნიერო დისციპლინები-</u>
<u>Социальные и общенаучные дисциплины -</u>
<u>Social and scientific disciplines</u>

ც. ბუჩუკური. ეკონომიკური რყევები: ექსპონენციალური გაგლუვება 244
Ц. Бучукури. Экономические колебания: экспоненциальное сглаживание . . . . . .
Ts. Buchukuri. Economic Fluctuation: Ex-potential Smoothing . . . . . .

არჩილ კალანდია. სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით 250
A.Kalandia. Socialism with the Chinese Specific . . . . . .
А. Каландия. Социализм китайской специфики . . . . . .

ლია კაპანაძე, ქეთევან აბაშიძე. ტურიზმის როლი საქართველოს მსუბუქი მრეწველობის აღორძინებაში 256
Лиа Капанадзе, Кетеван Абашидзе. Роль туризма в возрождении легкой промышленности в Грузии . . . . . .
Lia Kapanadze, Ketevan Abashidze. Tourism role in revival of light industry in Georgia . . . . .

ლ. კაპანაძე, ქ. აბაშიძე, ნ. ფხაკაძე. ხალხური რეწვა და მისი გავლენა მსუბუქ მრეწველობაზე 260
Л. Капанадзе, К. Абашидзе, Н. Рхакадзе. Народные промыслы и его влияния на развития легкой промышленности . . . . . .
L. Kapanadze, K. Abashidze, N. Phakadze. National crafts and its influences on developments of light industry . . . . . .

ლ. ლურსმანაშვილი, დ. ქორჩილავა, ნ. ფხაკაძე. XIX საუკუნის ქალაქური ჩაცმულობის სახეების კვლევა 264
Л. Лурсманашвили, Д. Корчилав, Н. Пхакадзе.Исследование видов городских одеянии XIX века . . . . . .
L.Lursmanashvili, D.Qorchilava, N. Phakadze. Research of urban clothes types in XIX century

ელისაბედ ხახუტაშვილი. ხარისხის მართვის სისტემა 268
Хахуташвили Е. Е. Система управления качеством . . . . . .
Elisabed Khakhutashvili. System of quality management . . . . . .

პედაგოგიკა – Pedagogics – Педагогика

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა გრაფიკული დისციპლინების სწავლების სამსახურში

სტუ ასისტ. პროფ. ***მაია ბარბაქაძე***
სტუ ასოც. პროფ. ***რომეო გოგალაძე***
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77

რეზიუმე: ცივილიზაციის განვითარების პროცესში განათლება, როგორც ზოგადსაკაცობრიო კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, განიცდის მუდმივ ცვლილებას, რაც განპირობებულია ადამიანის სწრაფვით სრულყოფილებისაკენ.

ნაშრომი ითვალისწინებს რა დღევანდელ რეალობას, ცდილობს წარმოადგინოს ის სირთულეები და ის მაღალი სტანდარტები, რასაც უნდა აკმაყოფილებდნენ დღევანდელი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების საინჟინრო გრაფიკის დისციპლინების წამყვანი პედაგოგები.

როგორც ცნობილია, მეცნიერული ცოდნა განსხვავდება პრიმიტიული, ემპირიული გამოცდილების გზით მოპოვებული არასრულყოფილი ცოდნისაგან. ეს უკანასკნელი გულისხმობს მოვლენებისა და ფაქტების ფორმალურ აღწერას. მეცნიერული ცოდნა კი მოითხოვს მოვლენებისა და ფაქტების ახსნას. ყოველ მოვლენას თავისი ობიექტური კანონზომიერება, თავისი წარმოშობისა და განვითარების მიზეზი ახასიათებს, მეცნიერებისათვის სწორედ ამ უკანასკნელის დადგენაა დამახასიათებელი. ამდენად, ნათელია, თუ რა მაღალი მოთხოვნებია იმ სამჭედლოს მიმართ, სადაც ყალიბდებიან მეცნიერები და ინჟინრები.

უმაღლეს სასწავლებელში, ლექციისათვის შემოქმედებითი ხასიათის მინიჭება დიდად არის დამოკიდებული თვით ლექტორის პედაგოგიურ განათლებასა და ხელოვნებაზე, ნიჭსა და უნარზე, მის მოქალაქეობრივ ღირსებაზე. ლექციაზე დაცული უნდა იყოს მისი სტრუქტურული წყობა, ლოგიკური თანმიმდევრობა, მეცნიერული დასაბუთება, ნათელი და გასაგები მეტყველება.

ლექტორმა მაღალმეცნიერულ დონეზე ჩატარებული ლექციით უნდა განავითაროს სტუდენტებში მეცნიერული შემეცნების, კრიტიკული ანალიზის, მოვლენის ყოველმხრივი განჭვრეტის და მისი სხვა მოვლენებთან კაუზალური ურთიერთობის ბუნებისა და დამოუკიდებელი მსჯელობის გზით ჭეშმარიტების წვდომის უნარი. სტუდენტი უმაღლესში ისე უნდა მოემზადოს, რომ მომავალში, როგორც სპეციალისტმა, თავის დარგში თავისუფლად შეძლოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების სწორი გამოყენება.

ადამიანის შესაძლებლობები ყალიბდება თანდათან, ვითარდება მის საქმიანობაში და ატარებს ზოგად და სპეციალურ ხასიათს. უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის პროფესიული შემოქმედება მრავალწახნაგოვანია – პედაგოგიური, სამეცნიერო, მეთოდური, რომელსაც შეესაბამება ადამიანის შესაძლებლობათა კომლექსი – გნოსეოლოგიური, ორგანიზაციული, კომუნიკაციური, რეფლექსური. ამ უნარების ერთობლიობა ეხმარება ლექტორს

მიაღწიოს მაღალი დონის პროფესიონალიზმს. ასეთ პროფესიონალს უნარი შესწევს სტუდენტზე მოახდინოს ისეთი ეფექტური გავლენა, რომ მან სრულად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობანი და მოახდინოს თვითრეალიზაცია ჩვენს რთულ და წინააღმდეგობებით სავსე სამყაროში.

უმაღლესი სკოლის პედაგოგს უნდა ჰქონდეს მაღალი გნოსეოლოგიური შესაძლებლობები, რაც გულისხმობს პედაგოგის უნარს, აღიქვას გარე სამყარო, პიროვნების ინტელექტუალური, შრომითი და გონებრივი შესაძლებლობანი, სწრაფად და შემოქმედებითად აითვისოს კვლევების მეცნიერული მეთოდები, შეისწავლოს სტუდენტი მისი პიროვნებად ჩამოყალიბების მიზნით. გნოსეოლოგიური შესაძლებლობები უზრუნველყოფენ საჭირო ინფორმაციის დაგროვებას საკუთარ თავსა და სხვათა შესახებ. მაღალგანვითარებული გნოსტიკური შესაძლებლობების ნიშანია სწავლების მეცნიერული მეთოდების შემოქმედებითი ფლობა.

უმაღლესი სკოლის ლექტორი უნდა იყოს ერუდირებული ადამიანი და უყვარდეს ადამიანი, ერკვეოდეს მის ფსიქოლოგიაში. კარგი ლექცია მეცნიერული ერუდიციის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ჩაატარო ლექცია, ასწავლო სხვას, არა მარტო ხელოვნება და შემოქმედებაა, არამედ უნარიცაა, რაც პიროვნული თვისებაა და სპეციალური დარგის ცოდნას მოითხოვს, რასაც ჰქვია პედაგოგიკა.

პედაგოგიკის მთავარი დანიშნულება ისაა, რომ იგი უნდა იყოს განმავითარებელი. განმავითარებელი სწავლების იდეა მომდინარეობს კონფუცის დროი-დან, რომელიც თავის პედაგოგიურ და დიდაქტიკურ გამონათქვამებში ამტკიცე-ბდა, რომ განსწავლა – ეს არის ყოველმხრივი განვითარება. ეს იდეა შემდგომში თავის შრომებში განავრცეს სოკრატემ და კვინტილიანმა, მოგვიანებით, 16-18 საუკუნეებში კი განთქმულმა პედაგოგებმა და ფილოსოფოსებმა ი.ა. კომენსკიმ, მ. მონტენმა, ჟ.ჟ რუსომ.

კომენსკი თავის პედაგოგიურ ნაშრომებში ძირითად ყურადღებას უთმობს ბუნებრივი მონაცემების – ნიჭის განვითარებას. "ნიჭიერება ჩვენი სულის მებრძოლი ძალაა, რაც გვაქცევს ადამიანად" – აღნიშნავდა იგი.

ნიჭიერება ადამიანის მოწოდებასთან და მის კომპეტენტურობის სტრუქტურასთან ერთად, წარმოადგენს მთავარ სუბიექტურ ფაქტორს პროფესიულ-პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობაში, სათანადო სიმაღლეების მისაღწევად.

უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგიური მონაცემები მიეკუთვნება რთულ კერძო, სპეციალურ შესაძლებლობას, რომელიც ფორმირდება პედაგოგიური მოღვაწეობისას, ისევე, როგორც მეცნიერულ კვლევებში. პედაგოგი უმაღლეს სასწავლებელში წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ფიგურას. იგი არის სტრატეგი სტუდენტის პიროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში პროფესიული სწავლების პროცესში. პედაგოგის საქმიანობის ძირითადი შემადგენელი ფუნქციებია: სწავლება, აღზრდა, ორგანიზება და სტუდენტის დაინტერესება სამეცნიერო კვლევებით. თუმცა ამ ყოველივეს ყველა პედაგოგი მეტნაკლები წარმატებით ართმევს თავს.

თუ პედაგოგიური საქმიანობა გამყარებული არ არის სამეცნიერო საქმიანობით, პროფესიულ-პედაგოგიური ხელოვნება ფერმკრთალდება. პროფესიონალიზმი პედაგოგიური ამოცანის დანახვასა და მის სწორ ფორმულირებაში გამოიხატება.

პედაგოგის ინდივიდუალური შემოქმედება – ეს არის მისი საქმიანობის უმაღლესი დახასიათება და როგორც ყველა შემოქმედება, იგი მჭიდრო კავშირშია პედაგოგის პიროვნებასთან. პედაგოგის შრომა სამი კომპონენტისაგან

შედგება: პიროვნება, პედაგოგიური საქმიანობა და პედაგოგიური ურთიერთობა.

დღევანდელ, ინფორმაციით გაჯერებულ სამყაროში, პედაგოგის როლი, როგორც მეცნიერული ცოდნის ერთადერთი წყარო, შეცვლილია, სამაგიეროდ იზრდება მისი როლი, როგორც ექსპერტის და კონსულტატის, რომელიც ახდენს სტუდენტის ორიენტირებას სამეცნიერო ინფორმაციის სამყაროში.

პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესის რეალიზებაში საჭიროა გადაიჭრას შემდეგი სახის ამოცანები:

სასწავლო კურსის ფორმირება და მისი მიზნის განსაზღვრა;

სასწავლო კურსის დაგეგმვა დასახული მიზნის მისაღწევად;

მასალის შერჩევა განსაზღვრული მეცადინეობებისათვის სტუდენტური აუდიტორიის შესაძლებლობების გათვალისწინებით;

დავალებების შერჩევა და დამუშავება დასახული მიზნის მისაღწევად;

მასალის შერჩევა დამოუკიდებელი სწავლისათვის;

სწავლების აქტიური ფორმის ორგანიზება: დისკუსია, ტრეინინგები;

მასალის ნათლად და გასაგებად გადაცემა, კანონზომიერებათა და განზო-გადოებული დასკვნების ხაზგასმით გამოყოფა;

თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა აქტიური გამოყენება სწავლების პროცესში;

სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

აქედან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის საქმიანობა ძალიან მრავალფეროვანია და მოითხოვს სპეციალურ შესაძლებლობებს. მას უნდა გააჩნდეს პედაგოგიური ტაქტი, უნარი – სასწავლო საგანი დაუკავშიროს ცხოვრებას, იყოს მომთხოვნი და უყვარდეს სტუდენტები. პედაგოგი უნდა იყოს მეცნიერიც.

არაერთხელ უცდიათ მეცნიერთა ტიპოლოგიის შექმნა. მაგალითად, ვ. ოსტვალდი გონებრივი რეაქციების სიჩქარის მიხედვით მეცნიერებს ყოფდა "კლასიკოსებად" (მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევიან ნელა და სიღრმისეულად) და "რომანტიკოსებად" (სწრაფი, მაგრამ ზედაპირული შემომქმედნი).

ა. პუანკარეს კლასიფიკაციით მეცნიერები იყოფიან "ანალიტიკოსებად" (ლოგიკოსი) და "გეომეტრებად" (ინტუიტივისტები). გ. სელიეს მიხედვით მეცნიერთა ორი ტიპი არსებობს: "გამომგონებლები" (ფენომენოლოგები) და "ამომხსნელები" (შემსრულებლები).

ნ. ვოლგინის კლასიფიკაციით, მუშაობის სტილის მიხედვით მეცნიერები შეიძლება დაიყოს თეორეტიკოსებად, ექსპერიმენტატორებად და მეცნიერების ორგანიზატორებად, რამეთუ შეუძლებელია არსებობდეს მეცნიერი-უნივერსალი.

სინამდვილეში, პედაგოგი სტუდენტის წინაშე უნდა იყოს თეორეტიკოსიც, ანალიტიკოსიც, ექსპერიმენტატორიც, ამომხსნელიც, ორგანიზატორიც. ამ კრიტერიუმებით ფასდება პედაგოგის პედაგოგობის ხარისხი.

ცნობილია, რომ ელემენტარული, ანუ ევკლიდეს გეომეტრია ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა, რომელიც აღმოცენდა ადამიანის ყოფითი პირობების დასაკმაყოფილებლად – იგი ემსახურებოდა მიწის მზომელობას. ევკლიდეს გეომეტრიამ, როგორც აქსიომების თეორემებისა და მათი დამტკიცების მკაცრმა სისტემამ, 2300-ზე მეტი წლის არსებობით დაამტკიცა უმაღლესი ეფექტურობა, რეალურად არსებული ფორმების პოზიციური და მეტრული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. გეომეტრია მათემატიკური დისციპლინაა და იგი ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას.

თავის მხრივ გრაფიკა, როგორც ადამიანის წარმოსახვითი საქმიანობის პროცესი და მისი შედეგები: ნახაზი, ნახატი, ესკიზი, ავითარებს ადამიანს ემოციურად, ანუ ავითარებს მასში პერცეპტუალურ აზროვნებას.

ამგვარად, გეომეტრია და გრაფიკა ერთმანეთის შევსებით კომპლექსურად, წარმატებით ჭრის პედაგოგიკის ძირითად პრობლემას – ვიღებთ ყოველმხრივად განვითარებულ ადამიანს.

ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტებში, სადაც ყალიბდებიან ინჟინრები, კონსტრუქტორები, არქიტექტორები, დიზაინერები, მხატვრები, ანუ ვისი პროფესიული საქმიანობაც მჭიდროდ უკავშირდება წარმოსახვით საქმიანობას, ანუ მატერიალური და სულიერი სინთეზის სფეროს, გრაფიკული დისციპლინების როლი გადამწყვეტია. ამ პროფესიის ადამიანები ქმნიან კომფორტს ჩვენს გარშემო და განსაზღვრავენ ცივილიზაციის დონეს.

მხაზველობითი გეომეტრია წარმოადგენს საინჟინრო-ტექნიკური დისციპლინების: ხაზვის, არქიტექტურის, მანქანათა ნაწილების და მექანიზმების, თეორიული და სამშენებლო მექანიკის და სხვა დისციპლინების თეორიულ ბაზას, საყრდენს. იგი ისევე, როგორც მათემატიკა ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას, სივრცით წარმოსახვას, რაც აუცილებელია ინჟინრის, კონსტრუქტორის, დიზაინერის პრაქტიკული მოღვაწეობისთვის. ამრიგად საინჟინრო გრაფიკა მიეკუთ-ვნება იმ ფუნდამენტალურ მეცნიერებებს, რაზეც დგას ტექნიკური პროფილის უნივერსიტეტები. შეიძლება ითქვას ინჟინრისათვის საინჟინრო გრაფიკა ბედისწერაა, იგი მისი საუკეთესო, ერთგული მეგობარია.

ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მისი დონე დიდადაა დამოკიდებული მრეწველობის განვითარების ნიშნულზე, რაც წარმოუდგენელია საინჟინ-რო მეცნიერებების განვითარების გარეშე. აქედან გამომდინარე, ტექნიკური უმაღლესი სასაწავლებლების პედაგოგები მონაწილენი არიან ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის შექმნაში. ისინი ინაწილებენ პასუხისმგებლობას ქვეყნის განვითარების დონის გამო, რაღა თქმა უნდა ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად, რომელიც არის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის დამგეგმავი.

ინჟინერი უნდა ითვალისწინებდეს მრეწველობის განვითარების დინამიკას და შექმნას მოქნილი, რეზერვებით მდიდარი მანქანები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ქვეყნის მეურნეობის მოთხოვნებს და ხანგრძლივად იქნებიან დაცულნი მორალური დაძველებისაგან. მანქანები უნდა იყოს ხანგამძლე და საიმედონი, ეკოლოგიურად უსაფრთხო, გააჩნდეთ მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლები. მანქანის კონსტრუქციაში უნდა იგრძნობოდეს ტექნიკური ესთეტიკა, უნდა გააჩნდეთ ლამაზი ფორმები და დახვეწილი შესახედაობა.

ნახაზი, რომელიც არის უნიკალური საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალება, უნდა შეიცავდეს გამოსახაზი საგნის ფორმისა და ზომების გეომე-ტრიულ ინფორმაციას. მას წაეყენება შემდეგი მოთხოვნები:

იძლეოდეს სივრცულ წარმოდგენას ორიგინალზე;

გრაფიკული თვალსაზრისით, შესრულების სიმარტივე;

სიზუსტე.

”სივრცე” მიეკუთვნება როგორც ფილოსოფიურ, ასევე გეომეტრიულ ცნებას. ფილოსოფიურად უსაზღვრო, სამგანზომილებიანი ”სივრცე” გრაფიკულ დისციპლინებში ლოკალური მასშტაბებით აისახება და ექვემდებარება ევკლი-დეს გეომეტრიას და ნიუტონის კლასიკურ მექანიკას. უნდა აღინიშნოს, რომ ასახვის ეს პროცესი ურთიერთშექცევადია. გრაფიკული დისციპლინები,

ისევე როგორც ფილოსოფია არის ადამიანის გონების სავარჯიშო, მისი დიალექტიკური განვითარებისთვის მომხიბვლელი და საინტერესო საშუალება.

კონსტრუქტორი არის ადამიანი მხედველობითი აზროვნებით და მხედველობითი მეხსიერებით. მისთვის ნახაზი, თუნდაც პატარა ესკიზიც კი გაცილებით მეტი ინფორმაციის შემცველია, ვიდრე მრავალფურცლიანი წიგნი სავსე განმარტებებით. კონსტრუქტორს სრულად შეეფერება გამოთქმა: "Qui vidit – bis legit" (ვინც ხედავს, ის ორჯერ კითხულობს).

ანალოგიური შეიძლება ითქვას მშენებელზე, არქიტექტორზე, ფერმწერზე, გრაფიკოსზე, მოქანდაკეზე. მათი სამეტყველო ენა ნახაზი, ნახატი, ესკიზია. ამ პროფესიის ხალხისთვის საინჟინრო გრაფიკის ცოდნას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი არის საფუძველი არქიტექტურის შესასწავლად, რომელიც ხელს უწყობს მათ მხატვრული გემოვნების და პროპორციების შეგრძნების განვითარებას, ამაღლებს მხატვრის პროფესიონალური კულტურის დონეს.

მხატვარს და გრაფიკოსს თავის ნაწარმოებებში ხშირად უხდებათ სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურული ნაგებობების გამოსახვა. იმისათვის, რომ სწორად გამოისახოს ხუროთმოძღვრული ნაგებობა, საჭიროა ვერკვეოდეთ არქიტექტურაში, არქიტექტურულ ფორმებში და სტილებში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს მხატვარი თავის სურათისათვის საჭირო არქიტექტურული მოტივის შერჩევას. ასევე აუცილებელ საგანს წარმოადგენს გრაფიკული დისციპლინები თეატრის მხატვრებისათვის, დიზაინერებისათვის, მოდის ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანებისათვის.

ყოველივე აქედან ნათლად სჩანს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებად გრაფიკული დისციპლინების მასწავლებლებს უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი შესაძლებელია გახდნენ დიდი საინჟინრო თუ მხატვრული შედევრების შექმნის თანამონაწილენი, რამეთუ მათ მიერ სიყვარულით და დიდი სიფრთხილით დადებულ აგურზე შესაძლებელია დიდი საოცრება წამოიმართოს და განადიდოს თავისი ქვეყნის, მოდგმის და ჯილაგის სახელი.

სიყვარულით და მაღალი პროფესიონალიზმით გადაცემულმა ცოდნამ და ღვთისგან ბოძებულმა ნიჭმა შექმნა სვეტიცხოველი, ჯვარი, ნიკორწმინდა, სამება, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, წმინდა პეტრეს ტაძარი რომში, ტაჯმაჰალი, ძველი და თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებანი, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საშუალებანი, სამედიცინო აპარატურა, საბრძოლო ტექნიკა, კოსმოსური საფრენი აპარატები...

პედაგოგის გაწეული შრომა ჰგავს იმ სიკეთეს, რომელსაც გასცემს ადამიანი, ქვაზე დებს და არ ელოდება, რამეთუ იცის ის სიკეთე გაძლიერდება გაათმაგდება და ისევ სიკეთედ მოევლინება ქვეყანას, რადგანაც ბუნებაში არაფერი არ იკარგება უკვალოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ჯიბლაძე. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები. თბილისი; განათლება; 1981; 285გვ.
2. ტ.ა. კომენსკი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. თბილისი; ცოდნა; 1958. 605 გვ.
3. ა.შავგულიძე. საინჟინრო გრაფიკის სპეციალური კურსი. თბ; განათლება; 1977; 221 გვ.
4. უილიამ გათრი. ბერძენი ფილოსოფოსები. თბილისი. საბჭ. საქართველო. 1983; 175.

ПЕДАГОГИКА ВЫСШЕЙ ШКОЛЫ В СЛУЖБЕ ОБУЧЕНИЯ ГРАФИЧЕСКИХ ДИСЦИПЛИН

Майя Барбакадзе, Ромео Гогаладзе

Резюме: *Статья учитывает сегодняшние реалии, представляет те трудности и высокие стандарты, которым должны удовлетворять ведущие педагоги графических дисциплин современных технических университетов.*

PEDAGOGIC OF HIGHER SCHOOL IN SERVICE OF GRAPHIC DISCIPLINES TEACHING

Maya Barbakadze, Romeo Gogaladze

Abstract: The article considered recent reality, represents those difficulties and high standards that will be satisfied by leading teachers of graphic disciplines of modern technical universities.

XX საუკუნის ცნობილი მათემატიკოსი პედაგოგი-მეთოდისტები

ლიდა ბერიძე, რუსუდან გოგიბერიძე

დავით პარკაძე

პარკაძეთა გვარი საქართველოში შორეულ წარსულიდან, III საუკუნიდან მოიხსენიება. ისინი კასპის რაიონის, სოფ. ქვემოჭალის (ყოფ. გორის მაზრა, ამჟამად კასპის რაიონი) ტახტის აზნაურები ყოფილან. ვახტანგ პარკაძის პაპას დათას და დიდედას მზექალა განძიელს ექვსი ქალიშვილი ჰყავდათ. ოჯახის უფროსი დათა მაშინ გარდაიცვალა, როცა ოჯახი მეშვიდე შვილის მოლოდინში იყო. ვაჟი 1882 წლის 5 მაისს დაიბადა. მას მამის პატივსაცემად დავითი დაარქვეს. მამით ობოლი ბავშვი, დავით პარკაძე, ჯერ სოფლის დაწყებითი სკოლის პირველ კლასში შეიყვანეს, შემდეგ კი დედის ძმამ სწავლის გასაგრძელებლად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხარჯზე თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიის პანსიონში მე-2 კლასში გადმოიყვანა. 1894 წლიდან ამ გიმნაზიის დირექტორად დიდი ქართველი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი დაუნიშნავთ. შემდგომში დავითის და ბატონი ექვთიმეს ურთიერთობა თბილ მამა-შვილურ დამოკიდებულებაში გადაიზარდა. გიმნაზიის დამთავრებისას დ. პარკაძემ ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, განსაკუთრებით კი მათემატიკაში, რომ ე. თაყაიშვილის რჩევით და შუამდგომლობით იგი ოდესაში გაემგზავრა განათლების მისაღებად და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხარჯზე დაენიშნა სტიპენდია 25 მანეთის ოდენობით.

ქართული გიმნაზია დავითმა 1904 წელს დაამთავრა. იმ დროს ამ გიმნაზიას სიმწიფის მოწმობის გაცემის უფლება არ ჰქონდა, ამიტომ კურსდამთავრებულები იძულებული იყვნენ ექსტერნის წესით ჩაებარებინათ გამოცდები სახელმწიფო გიმნაზიაში. დავით პარკაძის კლასში 14 მოსწავლე ირიცხებოდა. ამათგან სიმწიფის ატესტატი მხოლოდ დავითმა მიიღო. ეს ფაქტი გაზეთ „ცნობის ფურცელში“ აღინიშნა. 1904 წელსვე დავითი ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

როგორც ცნობილია, იმ დროს ოდესის უნივერსიტეტში გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსები პროფ. ვ.პეტრიაშვილი და პროფ. პ. მელიქიშვილი მოღვაწეობდნენ. პეტრე მელიქიშვილს დავითი საკუთარ ბინაზე გამოუძახნია და მიუმართავს: „ეს თქვენ ხართ, ამდენი ათასი მანეთი რომ ღირხართ?“ დავითი ვერ მიმხვდარა რას ეკითხებოდა პროფესორი. მაშინ მას გადმოუღია ქართული ჟურნალ-გაზეთები და მიუთითებია იმ გაზეთებზე, რომლებშიც ზემოხსენებული ცნობა ყოფილა მოთავსებული.

ავტობიოგრაფიაში დავით პარკაძე წერს: „ამ დროს მთელი პროგრესული სტუდენტობა რევოლუციურად იყო განწყობილი. მეც ამ უკანასკნელთ მივეკედლე. 1905 წელს, სხვა სტუდენტებთან ერთად გამომრიცხეს უნივერსიტეტიდან სტუდენტთა ფარულ კრებებზე მონაწილეობის მიღების გამო“. ოდესის პოლიციას გადაწყვეტილი ჰქონდა მისი დაპატიმრებაც, მაგრამ იგი ორგანიზაციამ გარკვეული დავალებით საქართველოში გამოაპარა. იმავე წლის აგვისტოში მეფის მთავრობისა და თავად-აზნაურთა საწინააღმდეგო აგიტაციისათვის დავით პარკაძე დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნა ტობოლსკის გუბერნიაში 5 წლის ვადით, საიდანაც დაბრუნდა ხუთი თვის შემდეგ, ავადმყოფი (ციხეში მას ფეხი დაუავადდა).

1906 წელს იგი მეორედ დააპატიმრეს რევოლუციურ მუშაობაში მონაწილეობისათვის და გადაასახლეს ტამბოვის გუბერნიაში. მასთან ერთად გადაასახლეს 30 ქართველი გლეხი (გორის მაზრიდან). დავითმა გადასახლებაში შეძლო ტამბოვის გუბერნატორის პირადად ნახვა და აიძულა იგი გადასახლებულთა ერთ ნაწილზე გაევრცელებინა ე.წ. „ვიტეს მანიფესტი“.

1906 წელს დავით პარკაძემ თავი აღიდგინა ოდესის უნივერსიტეტში, რომელიც 1910 წელს დაამთავრა,

1909 წელს დავითი დაქორწინდა ნინო ლოლაძეზე, ეყოლა ერთი ვაჟი – ვახტანგ პარკაძე (შემდგომში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი).


სამშობლოში დაბრუნებულს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედოს, დავითს სახელმწიფო გიმნაზიაში სამუშაო არ მისცეს, რის გამოც იგი იძულებული გახდა ერთი წელი მასწავლებლად ემუშავნა სურამის კერძო პროგიმნაზიაში, ხოლო 1911 წლიდან მიწვეულ იქნა იმ გიმნაზიაში, რომელშიც ადრე თვითონ სწავლობდა. აქ დავით პარკაძე ასწავლიდა 1927 წლამდე (1924 წელს გიმნაზია ტექნიკუმად გადაკეთდა); 1918 წლიდან 1929 წლამდე დავითი პარალელურად მუშაობდა თბილისის ჰუმანიტარული ტექნიკუმის მასწავლებლად, 1927 წლიდან 1941 წლამდე კი – მათემატიკის მასწავლებლად თბილისის მე-3 საცდელ-საჩვენებელ ათწლედში (ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლა), შემდეგ კი – მე-15 საშუალო სკოლაში. 1941-1944 წლებში სიღნაღის რაიონის სოფ. ვაქირის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგე და მათემატიკის მასწავლებელი იყო. 1944-1950 წლებში იგი ასწავლიდა ქალთა მე-5, ვაჟთა მე-7 და სხვა სკოლებში. ამავე დროს დავითი შეთავსებით მუშაობდა პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1933-1934 და 1939-1940 წლებში) მეცნიერ თანამშრომლად და მათემატიკის კაბინეტის გამგედ, იმავე თანამდებობაზე – განსახკომის პედსადგურში (1934-1937 წლებში), განსახკომის სასკოლო მუშაობის კაბინეტში (1937-1939 წლებში). 1947-1949 წლებში ჩამსვლელ ლექტორად მუშაობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა მათემატიკის სწავლების მეთოდიკას და ელემენტარული მათემატიკის სპეციალურ კურსს. 1950 წელს დავით პარკაძე დაინიშნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების მუზეუმის დირექტორად.

დავით პარკაძე ჩვენი ერის თვალსაჩინო მოღვაწე იყო. 1905-1906 წლებში გადასახლებაში ყოფნის დროს იგი იქ მყოფ ქართველ გლეხებს წერა-კითხვასა და არითმეტიკას ასწავლიდა, და, საერთოდ, მათ გასაჭირს იზიარებდა. 1910-1916 წლებში უსასყიდლოდ ამეცადინებდა თბილისის მუშებს სახალხო უნივერსიტეტის ხაზით. თბილისის ქართულ გიმნაზიაში სისტემატურად მუშაობდა დამლაგებლებთან და დარაჯებთან, რომლებსაც ასწავლიდა არა მარტო წერა-კითხვასა და მათემატიკას, არამედ თავისი ცოცხალი საუბრით პოლიტიკურადაც ათვითცნობიერებდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ დ. პარკაძე არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოში ცნობილი პედაგოგი და მათემატიკოსი იყო, რომელმაც ათასობით ახალგაზრდა აღზარდა და ცხოვრების გზაზე დააყენა. მისი თვისებებიდან ყველაზე მეტად დამახასიათებელი იყო შეუპოვრობა, სიმტკიცე და სამართლიანობა.

თავისი მდიდარი პრაქტიკულ-პედაგოგიური გამოცდილება დავით პარკაძემ საფუძვლად დაუდო უამრავ სახელმძღვანელოსა და მეთოდურ შრომას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „არითმეტიკის ამოცანათა კრებული და სახელმძღვანელო“ (ნაწილი I, 1918 წ.), რომელიც შედგენილია დ. პარკაძისა და რ. ხუციშვილის მიერ. ეს არის არითმეტიკის ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. იგი შეიცავს როგორც არითმეტიკის თეორიულ სახელმძღვანელოს, ისე ამოცანათა სავარჯიშო კრებულს. აქ სრულადაა გადმოცემული არითმეტიკის სასკოლო კურსის საკითხები: ზეპირი და წერითი ნუმერაცია, საზომთა სისტემა, სახელდებული რიცხვები და მოქმედებათა წარმოება რიცხვებზე. 1934 წელს დავით პარკაძემ ათანასე ხარაბაძესთან ერთად შეადგინა „გეომეტრიის სახელმძღვანელო“ (ნაწილი I). იგი წარმოადგენს პლანიმეტრიის სისტემატურ კურსს. ამ წიგნის ღირსება ისაა, რომ აქ საკითხები მოცემულია სისტემურად, დალაგებულია თანამიმდევრულად, ამასთან დამტკიცებათა გზები გამარტივებულია. დავით პარკაძეს ეკუთვნის მრავალი მეთოდური ნაშრომი: „ამოცანების ამოხსნა განტოლების შედგენით“, „წერითი სამუშაოს სახეები მათემატიკაში“, „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნორმები მათემატიკაში“. „მაჩვენებლიან, ლოგარითმული და უმაღლესი ხარისხის განტოლებები”, “როგორ მოვამზადოთ და ჩავატაროთ გაკვეთილები მათემატიკაში“, „მეთოდური წერილი მათემატიკაში“.

პარკაძეების არქივში ინახება ე. თაყაიშვილის ხელმოწერილი წერილობითი მასალა, რომელიც ნამდვილ რელიკვიას წარმოადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როცა საფრანგეთიდან საქართველოში განძთან ერთად დააბრუნეს, მაშინ იგი განმარტოებით ცხოვრობდა და მაშინდელი კომუნისტური რეჟიმის მიერ, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. ბუნებრივია, შიშის გამო ნაცნობ-მეგობართა გარკვეულ კატეგორიას ეკრძალებოდა მასთან ურთიერთობა, ზოგი შეგნებულად გაურბოდა ბ-ნ ექვთიმესთან შეხვედრას. თუმცა მისი მოწაფე დათა პარკაძე არ შეეპუა ამ აკრძალვას და პირადად ეახლა და მოინახულა მისი სათაყვანებელი პედაგოგი, ხოლო როცა 1951 წ., ჯანმრთელობაშერყეული დ. პარკაძე გარდაიცვალა, ექვთიმე თაყაიშვილი ცოცხალი იყო. მან სამძიმრის ბარათი გამოუგზავნა დამწუხრებულ ოჯახს, რომელიც პარკაძეების საოჯახო ალბომში ინახება.



ათანასე ხარაბაძე

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, მათემატიკის ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოების ავტორი, ბრწყინვალე მასწავლებელი და ლექტორი, რესპუბლიკაში პირველი სახელმოხვეჭილი მეთოდისტი ათანასე გაბრიელის ძე ხარაბაძე დაიბადა 1882 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში.

1898 წელს დაამთავრა დაწყებითი სკოლა, ხოლო 1903 წელს საოსტატო სემინარია და იმავე წელს დაინიშნა დიდი ჯიხაიშის ორკლასიან სასწავლებელში მასწავლებლად, სადაც მუშაობდა 1906 წლამდე. 1907 წელს მან დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, საექსტერნო გამოცდების ჩაბარების გზით; იმავე წელს შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1911 წელს ა. ხარაბაძემ პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა უნივერსიტეტი და დაინიშნა ხონის საოსტატო სემინარიის მასწავლებლად, სადაც მუშაობდა 1918 წლამდე. მათემატიკასთან ერთად იგი ასწავლიდა ქართულ ენასაც. 1917 წელს ა. ხარაბაძე დაინიშნა ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორად, სადაც მუშაობდა 1921 წლამდე. 1919-1921 წლებში იგი შეთავსებით ხონის ქალთა გიმნაზიის დირექტორიც იყო. 1921 წლის წლის სექტემბრიდან კი თბილისში გადავიდა მე-5 შრომის სკოლის დირექტორად. 1924-1928 წლებში მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ პედაგოგიურ ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ. 1928-1938 წლებში კი თბილისის განათლების განყოფილების ინსპექტორი და პედაგოგიური ტექნიკუმის მასწავლებელია, ხოლო 1936-1967 წლებში, პენსიაზე გასვლამდე, მუშაობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექტორად. 1923 წელს ათანასე ხარაბაძემ გამოსცა „სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია“, 1930 წელს „პლანიმეტრიის სისტემატური კურსი“.

1936 წლამდე საშუალო სკოლებში ალგებრა ისწავლებოდა ა. ხარაბაძისა და ა. დევიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით. ათანასე ხარაბაძე იყო პირველი ავტორი ქართულ ენაზე მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოებისა ჯერ დაწყებითი და შემდეგ საშუალო სკოლებისათვის, იყო ავტორი სასკოლო მათემატიკის სახელმძღვანელოების და რიგი დამხმარე სახელმძღვანელოებისა, რომლებიც მოიცავდა მათემატიკის სწავლების ცალკეული საკითხების მეთოდიკას, იყო მრავალი მეთოდური სტატიის ავტორი და აგრეთვე ბრწყინვალე ლექტორი მათემატიკის სწავლების

მეთოდიკაში. მისი სახით ჩვენ წარმოგვიდგება სახელოვანი მამულიშვილი, რომელიც სამშობლოს სამსახურის მაგალითად დარჩება მეთოდისტებისა და ახალგაზრდობისათვის.

1957 წელს ათანასე ხარაბაძე პენსიაში გავიდა. მის ირგვლივ მყოფთ უკვირდათ, ენერგიულმა, დიდი შრომის უნარის მქონე შემოქმედებით მოღვაწეობაში აქტიურად ჩაბმულმა გამოცდილმა მეცნიერ-პედაგოგმა რატომ მიატოვა პედაგოგიური საქმიანობა, რომელსაც ის ენთუზიაზმით და სიყვარულით ემსახურებოდა ნახევარი საუკუნის მანძილზე, სადაც ის მაღალი მოწოდების სიმაღლეზე იდგა მუდამ და მომადლებული ნიჭით და უნარით გვერდს უმშვენებდა თავისი დროის ცნობილ მათემატიკის მასწავლებლებსა და მათემატიკის სწავლების მეთოდისტებს.

მისი პენსიაში გასვლიდან რვა წლის შემდეგ სრულიად მოულოდნელად დიდმა ტრაგიკულმა შემთხვევამ რვა ათეულ წელს გადაცილებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგ ათანასე ხარაბაძეს მძიმე ხვედრი არგუნა – ავტოკატასტროფაში დაიღუპა მისი უახლოესი მეგობარი, სათნო და მგრძნობიარე, სამოცი წლის მანძილზე მის გვერდში მყოფი, მისი ერთგული და საყვარელი მეუღლე, უმცროსი ვაჟი და სიძე. სამი ძვირფასი ადამიანის დაღუპვა ათანასე ხარაბაძემ გარეგნულად თითქოს გადაიტანა. არ გასულა ერთი წელიც და 1966 წლის 8 აპრილს ათანასე ხარაბაძე გარდაიცვალა. როგორც ჩანს ტრაგიკულმა შემთხვევამ დააჩქარა მისი აღსასრული.

ათანასე ხარაბაძე დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

ალექსანდრე დევიძე

ალექსანდრე (სანდრო) დავითის ძე დევიძე გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მათემატიკური განათლების ერთ-ერთი პიონერი და ორგანიზატორია, ქართული ორიგინალური მათემატიკის სახელმძღვანელოების ავტორია, იგი დაიბადა 1886 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში, ცნობილი პედაგოგისა და მოღვაწის დავით დევიძის ოჯახში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1906 წელს შედის ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ გადადის ოდესის უნივერსიტეტში, სადაც სწავლას განაგრძობს ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ვ. ფ. კაგანის ხელმძღვანელობით. 1910 წელს ამთავრებს უნივერსიტეტს პირველი ხარისხის დიპლომით და იმავე წელს ინიშნება ტემირ-ხანშურის რეალურ სასწავლებელში მათემატიკის მასწავლებლად. 1917 წელს ინიშნება სამტრედიის ახლად გახსნილი გიმნაზიის დირექტორად.

1921 წლიდან ა. დევიძე მუშაობს საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიაში ფიზიკოსად, ხოლო 1922 წლიდან 1930 წლამდე, სამასწავლებლო ინსტიტუტში ფიზიკის კათედრის გამგეა. 1923 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც დაარსებიდან (1935 წ.) მათემატიკის კათედრას ედგა სათავეში. 1930-1940 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგეა. 1928 წელს ა. დევიძეს ენიჭება დოცენტის წოდება და პარალელურად მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სხვადასხვა დროს იყო ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის და დაუსწრებელი სწავლების დეკანი.

1925-1940 წლებში სანდრო დევიძე შეთავსებით მუშაობდა ამიერკავკასიის სატრანსპორტო, ინდუსტრიულ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში, გორისა და თელავის (ამ უკანასკნელში მათემატიკის კათედრის გამგეც იყო) პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ს. დევიძის მოღვაწეობა არ ამოიწურება მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური და ორგანიზაციული საქმიანობით. მის

კალამს ეკუთვნის 20-მდე ორიგინალური სახელმძღვანელო მათემატიკაში, რომლებიც დაისტამბა 1923-1940 წლებში და იმ დროს ქართული სკოლებისათვის ძირითად ლიტერატურას წარმოადგენდა მათემატიკაში.

რეზიუმე

ნაშრომი „XX საუკუნის ცნობილი მათემატიკოსი, პედაგოგი-მეთოდისტები“ ეძღვნება მე-20 საუკუნის ცნობილ მათემატიკოსებს, ჩვენი ერის თვალსაჩინო მოღვაწეებს, ბრწყინვალე მასწავლებლებსა და ლექტორებს დავით პარკაძეს, ათანასე ხარაბაძესა და ალექსანდრე დევიძეს. ნაჩვენებია მათი ღვაწლი ახალგაზრდების წინაშე, განხილულია მათი ამოცანათა კრებულები და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოები. ნაშრომის მიზანია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და პატივი მივაგოთ წარსულს, რადგან „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“, ანუ არ არსებობს მომავალი წარსულის გარეშე.

Резюме

Работа ”Известные грузинские математики, методисты, педагоги XX века“ посвящается блестательным лекторам, методистам Давиду Паркадзе, Афанасию Харабадзе, Александру Девидзе, показаны их заслуги перед грузинской молодёжью, разобраны их сборники по математике, учебники методики обучения математики. Цель работы - ещё раз оглянутся в прошлое, ибо ”нет будущего без прошлого“.

Summary

Abstract “Famous Mathematician, Teacher-Methodist of XX Century” dedicated to the famous mathematicians of 20th century, eminent scientists of our nation, excellent teachers and lecturers David Parkadze, Atanase Kharabadze and Alexander Devidze. Here is shown their merit to the young people, collections of their problems are considered and methodic manuals of mathematic study. Aim of the abstract is to remind once again and show respect to the past, because “*the present* is the offspring of the *past*, and becomes, in turn, the *parent of the future*” or there is no future without past.

Тестирование как один из эффективных средств обучения русскому языку

Гурамишвили З., Чхенкели Л.

Грузинский технический университет

Грузия, Тбилиси, Костава 77

Методика как учебная и научная дисциплина за годы после распада СССР претерпела значительные изменения, происходившие как под влиянием самой методики и базисных для нее дисциплин, так и общественно-политических измененнй в жизни российского общества. На сегодняшний день методика окончательно оформилась как самостоятельная научная дисциплина, ориентированная на формирование у изучающих язык черт языковой личности, делающих их активными и сознательными участниками межкультурной коммуникации. Произошло размежевание лингводидактики как теории обучения русскому языку и самой методики как совокупности

сведений о процессе обучения, овладения языком и воспитания средствами изучаемого языка. На стыке лингвистики и культурологии возникла новая научная дисциплина – лингвокультурология, а термин «мир изучаемого языка» для многих стал объединяющим понятием для страноведения и культуроведения. Получила научное оформление концепция коммуникативного иноязычного образования.

Одним из методов исследования, предусматривающих выполнение испытуемым специальных заданий – тестов, с помощью которых оценивается уровень владения языками, определяются интересующие исследователя особенности личности испытуемого, является тестирование.

Тесты классифицируются по нескольким основаниям, в том числе по форме, содержанию, цели тестирования. По форме проведения тесты могут быть индивидуальными и групповыми, устными и письменными, бланковыми (выполняемыми с помощью карандаша и бумаги), предметными (наряду с бланками в них используются разнобразные карточки, картинки), аппаратными (необходима специальная аппаратура). По содержанию различают тесты интеллекта (используются для определения способностей личности или группы к выполнению той или иной деятельности) и учебные – для проверки знаний, навыков, умений по изучаемой дисциплине. Применение тестирования как метода исследования дает ценный материал для определения эффективности овладения учебным материалом и способностей обучающегося к овладению таким материалом.

Основателем тестологии считается Ф Гамильтон, который в конце XIX в разработал и широко применял задания для оценки индивидуальных особенностей человека. Впервые термин «тест» введен в научный обиход американским психологом М Кеттелом (1890), который разработал теорию тестов, характеризующих интеллектуальный уровень человека. Одна из первых методик тестирования в России была предложена Г. И. Россолимо (1910), который предложил графическую систему измерений психологических процессов.

Тестирование как метод исследования получил широкое развитие в начале XIX в, в рамках психодиагностики – области психологии, объектом изучения которой являются особенности психического развития человека и их соответствие требованиям к разным видам деятельности, в том числе и речевой деятельности на иностранном языке. Разрабатываемые в рамках этой науки тесты позволяют диагностировать коммуникативные способности учащихся, особенности их памяти, профессиональные склонности и круг интересов.

Наиболее широкое применение в педагогической психологии и методике получили тесты интеллекта, тесты достижений, тесты способностей и личностные тесты.

Тесты *интеллекта.* Предназначены для изучения уровня интеллектуального, умственного развития человека. С этой целью стали применяться специальные шкалы для измерения индивидуально-психологических особенностей учащихся. В психодиагностику прочно вошло понятие «коэффициента интеллектуальности» (IQ), в качестве основного и достаточно стабильного показателя умственного развития. Этот коэффициент вычисляется путем деления так называемого «умственного возраста» (число выполненных заданий теста на возраст испытуемого и умножение полученной величины на 100). Границы нормального интеллектуального развития человека располагаются в пределах показателей от 84 до 116. IQ ниже 84 рассматривается как показатель низкого интеллекта, а выше 116 – высокого. За рубежом, особенно в США, тесты интеллекта получили широкое распространение в системе образования и при поступлении в учебные заведения разного типа используются как обязательный инструмент в арсенале методик практического психолога.

Тесты *достижений*. Используются для оценки успешного овладения учебным материалом и являются, по мнению ученых, более объективным показателем обученности, чем *оценка*. Последняя часто становится не только оценкой знаний учащихся, но и инструментом воздействия на него. Тесты достижений при условии грамотного их составления и применения лишены этих недостатков. С помощью тестов обученности проверяется владение языком на уровне средств общения (лексика, грамматика, фонетика), деятельности общения (аудирование, говорение, чтение, письмо). Разработаны также тесты для комплексной проверки владения языком.

От формулировки тестового задания и его содержания во многом зависит успех/неуспех процедуры тестирования. В методике для проверки уровня владения языком наиболее распространение получили следующие типы заданий:

а) выбор правильного ответа из числа предложенных вариантов (multiple choice);

б) перекрестный выбор (matching technique); при выполнении задания следует подобрать пару, соотносимую по смыслу со словом (словосочетанием) в левой части;

в) выбор из двух возможностей (true-false technique). В тесте даны два утверждения (вопроса), лишь один из которых правильный. Такие задания используют для проверки понимания;

г) тест восстановления (close test). В связанном тексте пропущено каждое 7-10-е слово, которые должны быть восстановлены при чтении;

д) тест перемешивание – части предложения даны в произвольной последовательности, нужно восстановить правильную последовательность.

Пользуясь нумерацией абзацев, текст предъявляется в печатном виде.

В заключение отметим, что тестирование как метод исследования личности обучаемого и средство проверки достигнутого уровня овладения изучаемым предметом, в том числе и языком, является эффективным средством обучения и контроля. К тестированию по языку учащихся следует специально готовить. Для этого служат специальные пособия, получившие название *тестовой практикум.*

Литература:

Немов Р. С. Психология. КН. 3. М. 1995.
Митрофанова О. Д. Экспериментальные исследования в методике преподавания русского языка как иностранного – М. 1975.
Смирнов С. Д. Педагогика и психология высшего образования – М. 1993.

ტესტირება, როგორც რუსული ენის შესწავლის ერთ ერთი ეფექტური საშუალება

გურამიშვილი ზ., ჩხენკელი ლ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77

სტატიაში განხილულია ერთ ერთი მეთოდი - ტესტირება, რომელიც გამოიყენება სწავლების მეთოდიკაში ექსპერიმენტალურ დონეზე.

ამ მეთოდის წყალობით შესაძლებელია სწავლებისთვის შემუშავებული კონცეფციების ეფექტურობის და ენის დაუფლების საშუალებების შემოწმება.

განხილულია ტესტების რამოდენიმე სახეობა, რომლებიც ფართოდ გამოიყენება პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში და მეთოდიკაში.

Testing, as one of the efficient methods for learning Russian language

Guramishvili Z. Chkhenkeli L.
Georgian Technical University
77 str. Kostava, Tbilisi

The article tells us about one of the methods- testing, which is used in the teaching methodology on the experimental level. The method makes possible to examine the efficiency of teaching concepts and means for mastering the language.

Here is given several kind of tests which are widely used in pedagogical psychology and methodology.

ქართველ სტუდენტთა მიერ რუსულ წერით მეტყველებაში დაშვებული შეცდომების შესახებ

ოლღა კალანდარიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართველი სტუდენტების წერით მეტყველებაში დაშვებული შეცდომების გარკვეული რაოდენობა ფიქსირდება წინდებულებში,მორფემების შესაყარსა და სუფიქსებსი. განვიხილოთ ამ შეცდომების ტიპები ცალ-ცალკე.

შეცდომები წინდებულებში

გარამოებებში წინდებულების ცალ-ცალკე და დეფისით დაწერა ნაცვლად ერთად დაწერისა და პირიქით (повсюду, по дальше, в переди, в место, во круг, по-немногу, по-близости, по-середине, в дали повидимому.

2) წინდებულის როლში მყოფი «не»-ს არასწორად დაწერა გარემოებებსა და ზედსართავ სახელებში (не возможно, не умело, не ясная статья, не яркая звезда, не большой город, не в далике)

3) ნაწილაკი»не-ს სიტყვასთან ერთად დაწერა(წინდებულთან არასწორი ანალოგიის საფუძველზე) სხვადასხვა მეტყველების ნაწილებთან (неусидишь, немог, небыло, нестало, немешает,ненадеясь, незамечая, непереставая);

4) წინდებულებში“пре“ და „при“ასო и-ს დაწერა е-ს ნაცვლად და პირიქით, რაც გამოწვეულია ამ წინდებულების მნიშვნელობების განურჩევლობით (непристанно, припятствие, привасходство, преставка, преобрёл, непрекрытая дверь, пребрежные скалы);

5) ასო“а“-ს და „о“-ს არასწორად ხმარება უცვლელ წინდებულებში(самкнувшись, даносился, посмурная погода);

6) წინდებულის ცალკე დაწერა თანდებულის ანალოგიის ზეგავლენით(за говорил, по темнел);

7) წინდებულის „с“-ს ნაცვლად „з“-ს ხმარება მჟღერი თანხმოვნების წინ(зделал, збывается).

შეცდომები მორფემების შესაყარზე

ანალიზის პროცესში აღინიშნა შეცდომები წინდებულისა და სიტყვის ფუძის ან ძირის შეერთებისას, ძირისა და სუფიქსის, ფუძისა და დაბოლოების შესაყარზე.

წინდებულის და სიტყვის ძირის შესაყარზე გამოვყავით შემდეგი შეცდომები:

ხმოვნის გამოტოვება ან უადგილო ჩასმა თანხმოვანთა შესაყარზე(вскользнул ნაცვლად выскользнул, вписивал-выписивал, вхаживал-выха-живал); ასო „ს“-ს გამოტოვება ან ორი „ს“-ს დაწერა, რასაც იწვევს რუსული ძირებისა და წინდებულების არ ცოდნა და ფუძიდან მათი არასწორი გამოყოფა (рассмотреть, рассчитаю, расстилалась, рассчет, расстения);

მაგარ თანხმოვანზე დამთავრებული წინდებულის შემდეგ“и“- ასოს „ы“-თი შეცვლის წესის გაუთვალისწინებლობა(безимянная гора, безидейный человек, разискать вора, разиграть друга);

თანხმოვანზე დამთავრებული წინდებულების შემდეგ „е, ю, я, ё“-ხმოვანზე დაწყებული ფუძეების წინ „ъ“ გამოტოვება, „ь“ (отезд, изявил, подехал, объязательный, объязанность); წინდებულებში თანხმოვნის გამოტოვება ან თანხმოვნის ჩამატება ხმოვანზე დამთავრებულ წინადადებებში(проишествие, преставляет, отценила, потянутый);

ფუძისა და დაბოლოების შესაყარზე აღინიშნება შემდეგი შეცდომები: კუთვნილებით ზედსართავ სახელებში “ь“-რბილი ნიშნის გამოტოვება ან უადგილოდ ჩასმა(на оленем меху, в соболей шапке, лебяжим пухом, человечим голосом, рыбачей лодкой); „ь“- რბილი ნიშნის არასწორად დაწერა არსებითი სახელების მოთხრობითი, მიცემითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებებში(к бушующему морью, знаменитому писателью, вождья племени, идти польем); მამრობითი სქესის მრავლობით რიცხვში მაგარ თანხმოვანზე დამთავრებული ფუძის შემდეგ არსებითი სახელების დაბოლოებებში „ы“-სა და „и“-ს არასწორად დაწერა(соседы, медалы, кисты,); რბილ შიშინა ბგერებზე დაბოლოებული ფუძის შემდეგ „ю“ ასოს დაწერა(спящюю, засипающюю);

ბოლო ძირეული რბილი თანხმოვნის შემდეგ სუფიქსში „ск“-ს წინ „ь“ -რბილი ნიშნის გამოტოვება თვეების სახელებიდან ნაწარმოებ ზედსართავ სახე-ლებში (გარდა „январский“-სა) მაგ.(октябрский, сентябрский, февралский); „ь“-რბილი ნიშნის ჩამატება к, ин, და ян სუფიქსების წინ(мелький, деревьянные, журавльиные, гусьиный, курьиный) ყრუ თანხმოვნის მჟღერის მაგივრად დაწერა და პირიქით(блиско, вести, гигандские);

სუფიქსებში დაშვებულია შემდეგი შეცდომები :

ორი „нн“-ს დაწერა ერთი „н“-ს ნაცვლად ზედსართავ სახელებში(раненными бойцами, стриженный ребёнок, стрелянный воробей);

ზედსართავი სახელების „ан, ян და ин“ სუფიქსებში ორი „нн“-ს დაწერა ერთი „н“-ს ნაცვლად (песчанных, ледянных, ледянной, серебрянный, журавлинный, змеинный);

უსრული ასპექტის მქონე ზმნებისა და გერუნდივების „ыва» -„ива“-სუფიქსებში „и“ და „ы“-ს, და „о“ და „а“-ს არასწორად ჩაწერა(выписивал, прислушывался, не задумаваясь, старался записовать).

„к“ ასოს დაწერა „ск“-ს ნაცვლად და პირიქით(матроском, близким). ზმნებში ასო „и“-ს დაწერა „а“-ს ნაცვლად(стал небрежничить).

შეცდომების კლასიფიკაცია გვეხმარება გამოვამჟღავნოთ წერითი მეტყველების ტიპიური შეცდომები, გვაძლევს მათი პროგნოზირების და ამ შეცდომების თავიდან არიდებისათვის სავარჯიშოთა სისტემის შემუშავების საშუალებას.

შეცდომების ტიპების (ფონეტიკური და გრამატიკული) და მათი სიხშირის დადგენა მოგვეხმარა გამოგვერკვია ამ შეცდომების წარმოშობის ზოგიერთი მიზეზი, რომელთა შორის მთავარია:1)მშობლიური ენის ინტერფერენციული ზეგავლენა რუსული ენის ათვისებისას; 2)სტუდენტების მიერ ორთოგრაფიული წესების სუსტი ცოდნა;3)სიტყვის მორფემულ ნაწილებად დაყოფის არ ცოდნა და მორფემების სემანტიკის ვერ გაგება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ალხაზიშვილი - „უცხო ენების ცწავლება“ თბილისი „ უნივერსალი“ 2009წ.
2. Б.Имнадзе «Основы методики русского языка в неязыковых вузах.» 1997. г.
3. В.Шарнас « Взаимодеиствие языков в процессе обучения» Вильнюс 2004г.

Об ошибках в русской письменной речи студентов- грузин

Ольга Каландаришвили

Для методики обучения русскому языку на грузинских факультетах, проблемы,которые рассматриваем, особенно актуальны.

В статье описаны основные види отмеченных ошибок и даны некоторые предположения по их преодолению.

The spelling errors made in Russian language by Georgian students

O. Kalandarishvili

The problems which we are discussing in this article are particularly urgent in teaching methods of Russian language on Georgian faculties. The article gives detailed description of basic kinds of errors which are frequently made in Russian spelling by Georgian students and some predictions of ways to solve them.

სათამაშო კომპიუტერული პროგრამები ლიტვური ენის შესწავლის პროცესში

ვიდას კავალიაუსკასი Vidas Kavaliauskas
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლიტვის სასწავლო უნივერსიტეტი ,

ელექტრონული სასწავლო საშუალებების ზრდამ, სკოლებსა და ოჯახებში კომპიუტერების რაოდენობის ზრდამ ელექტრონული განათლების ინსტრუმენტები მოსწავლეებისათვის უფრო და უფრო ხელმისაწვდომი გახადა. ლიტვის სკოლებისათვის შექმნილია მრავალფეროვანი კომპიუტერული სასწავლო პროგრამები, რომლებიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეისწავლოს სამყაროსმცოდნეობა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენები. ბევრი მათგანის გაცნობა შესაძლებელია ინტერნეტპორტალზე http://portalas.emokykla.lt. შექმნილია ბევრი პროგრამა ლიტვურის, როგორც მშობლიურის და როგორც უცხო ენის შესასწავლად. ეს პროგრამები განკუთვნილია როგორც ლიტვური ენის მთელი სისტემის შესასწავლად, ისე მისი გარკვეული ნაწილებისა: მორფოლოგიის, სინტაქსის, ფონეტიკის, აქცენტოლოგიის, ლექსიკის, მართლწერის, დიალექტოლოგიის, მეტყველების კულტურის. ეს პროგრამები შექმნილია სკოლაში (უნივერსიტეტში) ან სახლში დამოუკიდებლად სამუშაოდ. სასწავლო პროცესში გამოიყენება ლიტვაში შექმნილი ლიტვური ენის ლინგვისტური კომპიუტერული თამაშები.

თამაშები, როგორც სასწავლო მეთოდი, ფართოდ გამოიყენება სკოლებში მთელ მსოფლიოში. თამაში, როგორც სწავლის მეთოდი, ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება სკოლის დაწყებით და საბაზისო საფეხურებზე იმისათვის, რომ გაზარდოს ბავშვების ენობრივი ჩვევები და განავითაროს მოსწავლის ლოგიკური აზროვნება (იხ.: Šoblinskas, 1987, 84). ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან და, აგრეთვე, სტუდენტებთან მუშაობისას. გარდა ამისა, ლინგვისტური თამაშები გამოადგება ენის თვითშემსწავლელს დამოუკიდებელი მუშაობისათვის. თამაშები ენის გაკვეთილზე გვეხმარება, რომ თავი ავარიდოთ მონოტონურობას, ამრავალფეროვნებს გაკვეთილს, ზრდის მოსწავლის აქტიურობასა და მოტივაციას, შემოქმედებითობას. სასწავლო პროცესში მრავალფეროვან თამაშებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპიუტერულ თამაშებს. ლიტვური ენის შესასწავლად განკუთვნილი კომპიუტერული თამაშები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: სასწავლო კომპიუტერული პროგრამები, რომლებშიც ლინგვისტური

თამაშები ინტეგრირებულია როგორც ერთ-ერთი კონკრეტული, არც თუ დიდი, სეგმენტი.

1. სასწავლო კომპიუტერული პროგრამები, რომლებშიც ლინგვისტური თამაშები ინტეგრირებულია, როგორც ერთ-ერთი სეგმენტი.

არსებობს ლიტვური ენის შესასწავლად განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამების საკმაოდ დიდი რაოდენობა. 2008 წელს ლიტვის განათლებისა და მეცნიერების ტექნოლოგიების ცენტრმა ჩაატარა იმ 1433 კომპიუტერული პროგრამის ანალიზი, რომლებიც მეტნაკლებად, ხშირად ან იშვიათად, გამოიყენებოდა ლიტვის სკოლებში (იხ.: Kavaliauskas 2011, 50). ამ პროგრამებიდან ლიტვური ენის შესასწავლად გამოიყენება 169 კომპიუტერული პროგრამა, რომელთაგან უმეტესობა არ შეიცავდა თამაშის ელემენტებს. თუმცა, არსებობს კომპიუტერული პროგრამები, რომლებშიც თამაშები ინტეგრირებულია და ქმნის მის ცალკეულ სეგმენტებს. მათ შორისაა კომპიუტერული პროგრამა **„LIETUVIŲ KALBOS KOMPIUTERINIS SĄVADAS“** "ლიტვური ენის ერთიანი კომპიუტერული სივრცე." ეს პროგრამა განკუთვნილია ზრდასრული შემსწავლელებისა და იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც სურთ, რომ გაიღრმავონ ცოდნა ლიტვური ენის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში. ეს, თითქოს, ერთგვარი ელექტრონული წიგნია, რომელსაც შეუძლია ახსნას ლიტვური ენის მორფოლოგის, სიტყვაწარმოების, მართლწერის სხვადასხვა საკითხი. აქ წარმოდგენილია ბევრი სავარჯიშო, კარნახი და სხვადასხვა ლინგვისტური თამაში. პროგრამა ძალიან ეფექტურია დამოუკიდებელი სამუშაოსა და თვითშეფასებისათვის. პროგრამა ავტომატურად აფასებს მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებს, დავალების შესრულების შემდეგ აჩვენებს შეცდომებს და მიანიშნებს, თუ სად უნდა გადავიდეს, რომ შეივსოს ცოდნა იმ საკითხებში, რომლებშიც პრობლემა ჰქონდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგრამაში დიდი ადგილი უჭირავს დიდაქტიკურ თამაშებს. მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თამაშები "თაგვი და ნანადირევი" და "ლაბირინთი". პირველი თამაში განკუთვნილია სიტყვაწარმოების შესასწავლად. მაგალითად, მოსწავლე ”თაგუნიას” (მაუსის) საშუალებით ირჩევს ნაცვალსახელს, შემდეგ საჭირო სიტყვამაწარმოებელ ფორმანტს. თაგვს ნანადირევი მიაქვს ეშმაკუნასთან. მოცეკვავე ეშმაკუნა მიანიშნებს, რომ არჩეული ფორმანტი (ვარიანტი) სწორია. თამაში "ლაბირინთი" განკუთვნილია ლიტვური ენის მართლწერის შესასწავლად. თამაში მოსწავლეებს უვითარებს ორთოგრაფიული უნარების მექანიკურად ფლობის უნარს და სწრაფ ორიენტაციას. ეს თამაში შეიძლება გამოვიყენოთ კლასში ჩემპიონატის ჩასატარებლად – რომელი მოსწავლე უფრო სწრაფად და სწორად ამოხსნის

მართლწერის ამოცანას. მართლწერის შედარებით რთული უბნების დროს შეიძლება გამოიყენოთ „დახმარების“ ფანჯარა, მაგრამ იკარგება დრო. პროგრამა ვიზუალურია, ამყარებს მხედველობით მეხსიერებას და მართლწერის მექანიკურ უნარებს.

2. ლიტვური ენის კომპიუტერული თამაშები

2.1. კომპიუტერული პროგრამა **„FRAZEOLOGIZMAI“** (”ფრაზეოლოგიზმები“).

პროგრამა განკუთვნილია V- X კლასების მოსწავლეებისათვის. ამ კომპიუტერულ პროგრამაში გამოიყენება ფრაზეოლოგიზმები, რომელთა მთავარი სიტყვა არის ადამიანის სხეულის ნაწილები: თვალები, ყურები, კბილები, თავი, ფეხი, ენა, ცხვირი, თითები, თმა, ფრჩხილი, ხელი და გული. პროგრამა შედგება 2 თამაშისაგან - "დაფა" და "მანქანა". თითოეულ თამაშში შეთავაზებულია ფრაზეოლოგიზმები და რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თუ არჩეული პასუხი არასწორია, პროგრამა აჩვენებს სწორ პასუხს. არსებობს თამაშის განსხვავებული დონეები. თუ მოსწავლე ერთი დონის 20 კითხვას სწორად უპასუხებს, გადავა ახალ, უფრო მაღალ დონეზე. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ისმის ოვაციები. თამაშში "მანქანა" სწორი პასუხების მიხედვით იზრდება მანქანაში ბენზინის რაოდენობა, მანქანის სიჩქარე და ლურჯ ფონზე წარმოდგენილი თეთრი ისარი მიუთითებს, რომ თქვენი პასუხები სწორია და სწორ გზაზე დგახართ. არასწორი პასუხის შემთხვევაში ბენზინის რაოდენობა მცირდება, სიჩქარეც მცირდება და ინთება ნიშანი "სდექ". ეს პროგრამა იძლევა ჯგუფური შეჯიბრის შესაძლებლობას. ამ კომპიუტერული პროგრამით სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი და ენის გამომსახველობითი საშუალებები, გაიცნონ ლიტვური ენის მდიდარი ფრაზეოლოგია.

2.2. კომპიუტერული პროგრამა „**ŠALTINĖLIS**“ („ნაკადული“).

ორიგინალური კომპიუტერული პროგრამა ”ნაკადული“ შეესაბამება ლიტვური ენის დაწყებითი კლასის სასკოლო სახელმძღვანელოს „Šaltinėlis“. სათამაშო ამოცანებში გამოიყენება ანიმაცია, ხმა, სხვადასხვა ეფექტი. ეს ზრდის მოსწავლის ყურადღებისა და ინტერესის ხარისხს. თამაშის შექმნას დასჭირდა ნახევარი წელი – მუშაობდნენ პროფესიონალი მხატვრები, ანიმატორები და პროგრამისტები. თამაშის გახმოვანებაში მონაწილეობა მიიღეს ბავშვებმა და

პროფესიონალმა მსახიობებმა. თამაშის დროს ბავშვი „ცურავს“ ნაკადულში და გადალახავს სათამაშო, მხიარულ დაბრკოლებებს, რომლებიც სინამდვილეში სასწავლო ლინგვისტური დავალებებია. მოსწავლეებს ელოდებათ მხიარული მოგზაურობა, რომელიც იწყება ნაკადულის სათავეში და მთავრდება შორეულ ზღვაში, დაუსახლებელ კუნძულზე. ამ მოგზაურობისას ბავშვებს უხდებათ შვიდი დაბრკოლების გადალახვა: უნდა გადაარჩინონ კურდღელი, დაეხმარონ მგელს, რომ დაფქვას ხორბალი, შეაერთონ დახეული წერილის ნაწილები და ა. შ. ამოცანები თანდათან რთულდება, ამიტომ ბარიერების გადასალახად სულ უფრო და უფრო მეტი ენობრივი უნარის ქონაა საჭირო. თამაშს აქვს ბევრი ვარიანტი, რადგან ყოველ დონეზე განსხვავებული ამოცანაა შესასრულებელი.

2.3. კომპიუტერული პროგრამა **„MOKOMASIS KOMPIUTERINIS LIETUVIŲ KALBOS ŽAIDIMAS 3-4 KLASEI“** („საგანმანათლებლო კომპიუტერული თამაში ლიტვური ენაში მე-3 – მე-4 კლასებისათვის“; ავტორები: ვ. პლენტაიტე, დ. იაკავონიტე, 2010).

ეს მხიარული ანიმაციური სასწავლო თამაში განკუთვნილია მე-3 – მე-4 კლასის მოსწავლეებისათვის. შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: სასწავლო თამაში, წესები და ლექსიკონი. თამაშის დროს ვმოგზაურობთ ლიტვის სხვადასხვა ქალაქში, ვნახულობთ, რით არის თავისებური და საინტერესო ეს ქალაქები და რეალურად რომელი ადგილები უნდა მოვინახულოთ. ყოველ გაჩერებაზე უნდა შეასრულოთ 10 ლინგვისტური ამოცანა – გახაზოთ ასო, ჩაწეროთ გამოტოვებული ასო, ამოხსნათ კროსვორდები, გამოიცნოთ გამოცანები, მოუსმინოთ ინფორმაციას და უპასუხოთ კითხვებს, რომლებიც ამ ინფორმაციის შესახებაა დასმული. თამაშის პროცესში არა მხოლოდ წერისა და კითხვის ელემენტარული უნარები ვითარდება, არამედ ლოგიკური აზროვნებაც. ამ თამაშის დროს ნახავთ ლიტვის მრავალ საინტერესო ადგილს.

2.4. კომპიუტერული პროგრამა **„TARMIŲ KARAOKĖ“** („დიალექტების კარაოკე“).

ლიტვური ენის ინსტიტუტმა შექმნა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც წარმოადგენს ლიტვური ენის ყველა დიალექტს. პროგრამაში შესვლისას იხსნება ლიტვის რუკა, საიდანაც უნდა ამოირჩიოთ ერთ-ერთი დიალექტი. გამოჩნდება სამი ტიპის ინფორმაცია ამ დიალექტის შესახებ: ა) დიალექტის რუკა, რომელიც შევსებულია დიალექტის მოკლე ენობრივი დახასიათებითა და ანეკდოტით იმ დიალექტის წარმომადგენლების შესახებ. ბ) გახმოვანებული ავთენტური

მაგალითები დიალექტისა (მოთხრობები, ზღაპრები, ლექსები და ა. შ.). გ) კარაოკე. კარაოკეში წარმოდგენილია სტუდიაში საგანგებოდ ჩაწერილი დიალექტური ტექსტები, რომელთა წაკითხვა შეიძლება იმ დიალექტის წარმომადგენელთან ერთად, რომელმაც გაახმოვანა ეს დიალექტი. თუ რამე გაუგებარია, შეიძლება შეამოწმოთ იქვე წარმოდგენილ ტექსტში, რომელიც ლიტვურ სალიტერატურო ენაზეა წარმოდგენილი.

მეორე ვარიანტი: შეგიძლიათ იმღეროთ სიმღერა, რომლის ტექსტიც ამ დიალექტზეა შექმნილი, მაგრამ თუ გინდათ, რომ მოხვდეთ კარაოკეში, პასუხი უნდა გასცეთ რამდენიმე მარტივ შეკითხვას დიალექტების შესახებ. ეს ორიგინალური და თავისთავადი კომპიუტერული პროგრამა გამოიყენება არა მხოლოდ ლიტვური ენის გაკვეთილებზე, არამედ სხვადასხვა სასკოლო და სხვა ტიპის ღონისძიებებზე. სიამოვნებით თამაშობენ უფროსებიც.

2.5. კომპიუტერული აქცენტუაციის პროგრამა **„KIETI RIEŠUTĖLIAI. Tadas Blinda. Kirčiavimas“**. ”კერკეტი კაკალი. ტადას ბლინდა. აქცენტუაცია ”

„ივოლგამუსი“ ვიდეოთამაშების მწარმოებელი ყველაზე დიდი კომპანიაა ლიტვაში და ერთ-ერთი უდიდესი – აღმოსავლეთ ევროპაში. სწორედ ამ კომპანიამ, ლიტვური ენის ინსტიტუტის შეკვეთით, შექმნა ახალი კომპიუტერული თამაში, რომელიც განკუთვნილია მე-5 – მე-12 კლასის მოსწავლეებისა და, ასევე, ზრდასრულთათვის, რომელთაც სურთ სრულყონ სიტყვების სწორად წარმოთქმისა და მახვილის გამოყენების უნარები, აითვისონ ენის ნორმატიული აქცენტუაციის სისტემა, მახვილის სწორად შეცვლის კანონზომიერება სიტყვის შეცვლის დროს (ბრუნება და უღლება). „ახალ კომპიუტერულ თამაშში მახვილის დასმის უნარები იხვეწება არა წესების მაგალითების ილუსტრირებით, არამედ მეთოდით, როდესაც თვითონ მოთამაშე არჩევს შესაფერის ვარიანტს. მოთამაშეს აქვს შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, შეამოწმოს არჩევანის სიზუსტე დამხმარე ნაწილში განთავსებული ლექსიკონისა და ცხრილების საშუალებით" (Miliūnaitė, 2008, 14). რადგანაც თამაში გახმოვანებულია (თამაში გაახმოვანა მსახიობმა გიედრიუს არბაჩიაუსკასმა), მოთამაშეს ესმის, როგორ უნდა დაისვას მახვილი, იმ შემთხვევაშიც, როდესაც უშეცდომოდ თამაშობს და მაშინაც, როდესაც შეცდომას უშვებს. თამაში, ჩვეულებრივ, მეორდება რამდენჯერმე. ხშირი გამეორება საშუალებას იძლევა, შეუმჩნევლად აითვისოთ მახვილის სწორად დასმის მოდელი.

თამაშის სიუჟეტის საფუძვლად გამოყენებულია ლიტვური ლეგენდები. ხალხურ გმირს, ტადას ბლინდას, შეუყვარდა მზეთუნახავი მარტა, მაგრამ გოგონა ეშმაკმა მოიტაცა და ჩაკეტა თავის მოჯადოებელ წისქვილში. ტადას ბლინდა დანებებას არ აპირებს, მას გადაწყვეტილი აქვს მარტას გათავისუფლება. გზაში ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე,

რამდენად აქვს მოთამაშეს განვითარებული მახვილის სწორად დასმის უნარი. თამაში შედგება დავალების 8 ნაწილისაგან, მათში უნდა მიუთითონ, თუ სად არის მარცვალში მახვილის ადგილი განსხვავებულ სიტყვებში (იგულისხმება არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ზმნები, პოპულარული საკუთარი სახელები, ტოპონიმები).

იხილეთ ცხრილი:

აქცენტუაციის კომპიუტერული პროგრამის სტრუქტურა "კერკეტი კაკალი. ტადას ბლინდა. აქცენტუაცია".

დავალება	დავალების სახელწოდება	რა უნდა გავაკეთოთ
1	საბაგირო გზით გადაადგილება	დასვით მახვილი ნომინატიურ არსებით სახელებზე.
2	სროლა	დასვით მახვილი არსებითი სახელის 3 ბრუნვის ფორმაზე.
3	კომოდი საკეტით	იპოვეთ სიტყვათშეხამებაში რიცხვითი სახელი და დასვით მახვილი.
4	ტყის ბილიკები	დასვით მახვილი ტოპონიმის 5 ბრუნვის ფორმაზე.
5	აბანო	დასვით მახვილი ზმნურ ფორმებზე.
6	ეშმაკების სუფრა	დასვით მახვილი არსებითი სახელის განსხვავებულ ფორმებზე სიტყვათშეხამებაში.
7	დაწყევლილი ქვები	დასვით მახვილი საკუთარ სახელებში სახელობით და ნათესაობით ბრუნვის ფორმებში.
8	წისქვილი	დასვით მახვილი წინადადებებში წარმოდგენილ არსებითი და ზედსართავი სახელების სხვადასხვა ფორმაში.

ამ თამაშისას საჭიროა შექმნილი დაბრკოლებების გადალახვა. ამოცანის სწორად ამოხსნის დროს კაკლები იმტვრევა. თამაშის წარმატებით დასრულების შემდეგ კაკლის გულის შეგროვებული რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით

მოძღვარი გადასცემს შესაბამის დიპლომს. თუ ბარიერი ვერ გადალახეთ, ისევ უნდა გაიმეოროთ დავალების ეს ნაწილი. თამაშის მეორე ნაწილში გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წარმატებით დაასრულებთ წინა ნაწილს. თამაშში არსებობს მინიშნებები – თუ არ იცით, როგორ უნდა დასვათ სწორად მახვილი, შეგიძლიათ შეხვიდეთ დახმარების განყოფილებაში, რომელშიც წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც გთავაზობთ სწორ ვარიანტს. თითოეული ახალი ამოცანა წინაზე რთულია. კომპიუტერული თამაში სრულდება მარტას ეშმაკის წისქვილიდან გათავისუფლების შემდეგ. თამაში შედგება 3 დონისაგან: მარტივი, საშუალო და რთული. შერჩეული დონე განსაზღვრავს დავალების სირთულეს. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის გარემო ახლოსაა ლიტვურ ხალხურ ზღაპრებთან, ჩართულია დეტალები თანამედროვეობიდან. მაგალითად, ერთ-ერთ დავალებას ეწოდება „სროლა.“ თუ გინდათ, რომ ისარი მოხვდეს მიზანში, სწორად უნდა დასვათ მახვილი იმ სიტყვაში, რომელიც ეკრანზე ჩნდება. ამ თამაშის უფასოდ გადმომოწერა შესაძლებელია ვებგვერდიდან: www.kalbosnamai.lt. კომპიუტერული პროგრამების ავტორები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ლიტვური ენის აქცენტუაციის რთული სისტემის გაგება და შესწავლა შეიძლება მხიარული, გართობის გზით მიღწეული თამაშით – ეს ძალიან კარგ შედეგს იძლევა (იხ.: Каваляускас, 2011, 220). საუკეთესო შედეგების მისაღებად ამ თამაშის მიმდინარეობისას რეკომენდებულია აქცენტუაციის სხვადასხვა ცხრილის, ლექსიკონებისა და სხვა ლიტერატურის გამოყენება (იხ.:Kavaliauskas, 2000, გვ. 3–24).

2.6. ამჟამად მუშავდება კომპიუტერული თამაშის „კერკეტი კაკალი” მომდევნო ნაწილები: ივარაუდება ლიტვური ენის მართლწერის, ლექსიკის, მორფოლოგიის, სიტყვაწარმოების, სინტაქსის საკითხების წარმოდგენა.

დასკვნა

ენის სასწავლო კომპიუტერული თამაშები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, მოსწავლე-სტუდენტები მოწყვიტოს უაზრო და ხშირად ძალადობის მაპროპაგანდირებელ კომპიუტერულ თამაშებს, რომლებიც იოლად მოსაპოვებელია ინტერნეტსივრცეში და, უკანასკნელი კვლევების თანახმად, უფრო და უფრო მეტ დროს ართმევს ახალგაზრდებს, არცთუ იშვიათად კი მავნე ზეგავლენას ახდენს მათს მსოფლმხედველობასა და ფასეულობათა სისტემაზე. ჩვენი კომპიუტერული ლინგვისტური თამაშები საინტერესოა, ამასთან, გართობაც არის და სწავლაც... ეს თამაშები შეიძლება ყველამ ითამაშოს: გაკვეთილზე, აუდიტორიაში, სახლის პირობებში... ამდენად, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს შემოაქვს ახალი შესაძლებლობები, რათა სასწავლო პროცესი

გახდეს გაცილებით საინტერესო, უფრო მრავალფეროვანი, სახალისო და ეფექტური.

ლიტერატურა

1. **Kavaliauskas V**. *Vardažodžių kirčiavimo mokymo lentelės*. Vilnius: Algarvė, 2000.
2. **Каваляускас В**. Применение новых учебных электронных компьютерных программ при обучении фонетике и акцентуации литовского языка // *Вестник Московского государственного лингвистического университета* (Россия), 2011, Nr. 8 (614), p. 213–223.
3. **Kavaliauskas V**. Применение учебных компьютерных программ при обучении литовскому языку // *Интерактивные методы в языковом обучении* (Астана: Министерство Культуры Республики Казахстан, Комитет по языкам), 2011, p. 49–71.
4. **Miliūnaitė R**. Naujas lietuvių kalbos mokomasis kompiuterinis žaidimas „Tadas Blinda. Kirčiavimas“ // *Gimtasis žodis*, 2008, Nr. 3, p. 13–17.
5. **Šoblinskas A**. *Lietuvių kalbos didaktika*. Vilnius: Mokslas, 1987.
6. www.kalbosnamai.lt
7. http://portalas.emokykla.lt

Игровые компьютерные программы в процессе обучения литовскому языку

Видас Каваляускас
Доктор гуманитарных наук, профессор
Литовский эдукологический университет,
кафедра литовского языкознания и коммуникации

В процессе изучения иностранных языков широко используются разнообразные учебные компьютерные игры. В статье демонстрируются учебные компьютерные игры по изучению литовского языка и сделан вывод, что подобные программы способствуют разнообразию процесса обучения, его интенсификации, расширяют интерес обучающихся и развивают навыки самостоятельного изучения иностранных языков.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА – информация, технология, мотивация, компьютерная игра.

Computer Games for Learning Lithuanian

Vidas Kavaliauskas,
Doctor of Humanities, Professor,
Lithuanian University of Educational Sciences,
Department of Lithuanian Linguistics and Communication

SUMMARY
Various educational software applications are widely used in the process of learning Lithuanian, both as a mother tongue and as a foreign language. Computer games intended for learning Lithuanian take a peculiar place among them. Such software applications make a learning process more varied, interesting and diverse, promote the learner's motivation for learning and independence. The article discusses the most popular Lithuanian computer games and points out their didactic goals and methods.

Keywords: *information technology, Lithuanian computer games, correct language, motivation for learning*

УДК 371

Информационные технологии в образовании: ключевые понятия, определения и задачи

В.И. Квинтрадзе, Р.Р. Киквидзе, В.Д. Меладзе, Дж.Г. Никурадзе
Департамент физики, Грузинский технический университет,
Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77
E-mail: vakho710@gmail.com

1. Введение

В настоящее время все более возрастает роль информационно-социальных технологий в образовании, которые обеспечивают всеобщую компьютеризацию учащихся и преподавателей на уровне, позволяющем решать, как минимум, три основные задачи:

-обеспечение выхода в сеть Интернет каждого участника учебного процесса, причем, желательно, в любое время и из различных мест пребывания;

-развитие единного информационного пространства образовательных индустрий и присутсвие в нем в различное время и независимо друг от друга всех участников образовательного и творческого процесса;

-создание, развитие и эффективное использование управляемых информационных образовательных ресурсов, в том числе личных пользовательских баз и банков данных и знаний учащихся и педагогов с возможностью повсеместного доступа для работы с ними.

Исходя из сложившихся темпов компьютеризации отрасли непрерывного образования, а также учитывая неравномерность технологического компьютерно-сетевого обеспечения населения на дому, можно ожидать, что в самое ближайшее время указанные задачи в полном обьеме и комплексно решены не будут.

Вместе с тем, возрастает понимание того, что традиционная схема получения образования в первой половине жизни морально устарела и нуждается в замене непрерывным образованием и обучением в течение всей жизни. Для новых форм образования характерны интерактивность и сотрудничество в процессе обучения. Должны быть разработаны новые теории обучения, такие как конструктивизм,обра-

зование, ориентировнное на студента, обучение без временных и пространственных границ. Для повышения качества образования предлагается также интенсивно использовать новые образовательные технологии.

2. Основная часть

Различные подходы к определению образовательной технологии можно сумировать как совокупность способов реализации учебных планов и учебных программ, представляющую собой систему форм, методов и средств обучения, обеспечивающую достижение образовательных целей. Различие образовательных технологий специалисты обычно выводят из различия применяемых средств обучения. Информационные образовательные технологии возникают при использовании средств информационно-вычислительной техники. Образовательную среду, в которой осуществляются образовательные информационные технологии,определяют работающие с ней компоненты:

-техническая (вид используемых компьютерной техники и средств связи);

-программно-техническая (программные средства поддержки реализуемой технологии обучения);

-организационно-методическая (инструкции учащимся и преподавателям, организация учебного процесса).

Под образовательными технологиями в высшей школе понимается система научных и инженерных знаний, а также методов и средств, которые используются для создания, сбора, передачи, хранения и обработки информации в предметной области высшей школы. Формируется прямая зависимость между эффективностью выполнения учебных программ и степенью интеграции в них соответствующих информационно-коммуникационных технологий.

Сейчас многие менеджеры и теоретики высшего образования считают, что термин «образовательные технологии» сегодня не совсем адекватен. Чаще, как правило, говорят об информационных технологиях, о компьютерных технологиях, чуть реже- о коммуникационных технологиях, и совсем редко-это уже предмет специальных обсуждений-об аудиовизуальных технологиях. Мы рассматриваем информационные, коммуникационные и аудиовизуальные технологии в совокупности, как подчиненные решению более важной задачи-созданию новой образовательной среды, где информационные, коммуникационные и аудиовизуальные технологии органично включаются в учебный процесс для реализации новых образовательных моделей.

В докладе ЮНЕСКО об основных направлениях деятельности в области образования и информатики после Первого Международного конгреса «Информатика и образование» указано, что важна не сама технология, а ее взаимодействие с обучением и ее роль в контексте системы образования в целом. Сегодня одной из характерных черт образовательной среды является возможность студентов и преподавателей обращатся к структурированным учебно-методическим материалам, обучающим мултимедийным комплексам всего университета в любое время и в любой точке пространства. Помимо доступности учебного материала, необходимо обеспечить обучаемому возможность связи с преподавателем, получения консультации в он-лайн или офф-лайн режимах, а также возможность получения индивидуальной «навигации» в освоении того или иного предмета. Разработчики дистанционного образования (ДО) конкретизируют индивидуализацию образовательного поведения следующим образом, считая, что в ДО наиболее ярко проявляются черты личностно-ориентированного способа обучения:

Гибкость - обучающийся волен самостоятельно планировать время, место и продолжительность занятий.

Модульность - материалы для изучения предлагаются в виде модулей, что позволяет обучаемому генерировать траекторию своего обучения в соответствии со своими запросами и потенциальными возможностями.

Доступность - независимость от географического и времнного положения обучающегося и образовательного учреждения позволяет не ограничивать в образовательных потребностях население страны.

Рентабельность - Экономическая эффективность проявляется за счет уменшения затрат на содержание площадей образовательных учреждений, экономии ресурсов временных, материальных (печать, размножение материалов и пр.).

Мобильность - эффективная реализация обратной связи между преподавателем и обучаемым является одним из основных требований и оснований успешности процесса ДО.

Охват - одновременное обращение ко многим источникам учебной информации (электронным библиотекам, банкам данных, базам знаний и пр.) большого количества обучающихся.

Технологичность - использование в образовательном процессе новейших достижений информационных и коммуникационных технологий.

Социальное равноправие - равные возможности получения образования независимо от места проживания, состояния здоровия, элитарности и материальной обеспеченности обучаемого.

Интернациональность - экспорт и импорт мировых достижений на рынке образовательных услуг.

Информационные технологии приносят возможность и необходимость изменения самой модели учебного процесса: переход от репродуктивного обучения-«перелива» знаний из одной головы в другую, от преподавателя к студентам-к креативной модели (когда в учебной аудитории с помощью нового технологического и технического обеспечения моделируется жизненная ситуация или процесс, студенты под руководством преподавателя должны применить свои знания, проявить творческие способности для анализа моделируемой ситуации и выработать решения на поставленные задачи). Специалисты считают, что развитие традиционных и новых технологий должно идти по принципу дополнинетельности и взаимокоррелирования, что, в свою очередь, позволяет говорить о принципиально новом измерении образовательной среды-глобальном,измерении, существующем в реальном времени и ассоцирующем в себе всю совокупность образовательных технологий.

3. Заключение

,,Интернет-гипертехнология, включающая в себя все остальные,и ее успех обьясняется тем, что она может «дать всем все»... Тем не менее, всегда найдется область для применения технологий низшего уровня, таких как компьютерные конференции или электронная почта... Равным образом еще не пришло время отказатся от курсов дистанционного обучения, имеющих глобальный характер, но не использующих никакие компьютерные или коммуникационные технологии,,.

Благодаря Интернету различные стороны глобализации (научная,технологическая,экономическая, культурная и образовательная) оказали весьма значительное влияние как на традиционные очные учебные заведения, так и на развитие разнообразных новшеств, таких как дистанционное обучение и виртуальные университеты. Во всех этих организациях глобализация требует глубоких и радикальных перемен структуры, методики преподавания и исследований, а также подготовка управленческого и преподавательского персонала.

Литература

1. А. С. Сигов, В. А. Мордвинов. Мобильные информационные технологии в учебном процессе школы и вуза. Магистр, №5-6,2001.
2. Арменголь М. Влияние глобализации на деятельность иберoамериканского виртуального университета. Высшее образование в Европе. Т. XXVII, №3, 2002.
3. Mason R. Globalizing education: Trends and applications. London. Routledge, 1998. p. 37.
4. Келли М. Фрэнсис. Политические последствия электронного обучения. Высшее образование в Европе. T.XXVII, №3, 2002.

უაკ 371

განათლების ინფორმაციული ტექნოლოგიები: საკვანძო ცნებები, განსაზღვრებები და ამოცანები

ვახტანგ კვინტრაძე, რამაზ კიკვიძე, ვახტანგ მელაძე, ჯემალ ნიკურაძე
ფიზიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

რეზიუმე: ამჟამად განათლებაში სულ უფრო იზრდება საინფორმაციო-სოციალური ტექნოლოგიების როლი, რომლებიც უზრუნველყოფენ მასწავლებელთა და მოსწავლეთა საყოველთაო კომპიუტერიზაციას რაც საშუალებას იძლევა, როგორც მინიმუმი, გადაწყდეს სამი ძირითადი საკითხი.

- ინტერნეტქსელით სარგებლობა სასწავლო პროცესის მონაწილეთათვის, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან.
- საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ერთიანი საინფორმაციო სივრცის განვითარება, რაც საშუალებას იძლევა სხვადასხვა დროს და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სასწავლო პროცესის ყველა მონაწილის ჩართულობას.
- მართვადი საგანმანათლებლო-საინფორმაციო რესურსების შექმნა, განვითარება და მისაწვდომობა.

დისტანციური სწავლების შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ ამ მეთოდში განსაკუთრებით ვლინდება სტუდენტის პირადი შესაძლებლობები: იგი მოქნილია, მისაწვდომია, მობილურია და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: მოდულობა, მისაწვდომობა, მობილობა, დისტანციური სწავლება

Informative technology of education: highlight notions, determinations and tasks

Vakhtang Kvintradze, Ramaz Kikvidze, Vakhtang Meladze, Jemal Nikuradze
Department of physics, Technical University of Georgia,
77, Kostava str., Tbilisi, 0175, Georgia

Resume: Nowadays the function of informative-social technology develop more and more, which guarantee common computerization of teachers and pupils, it gives the opportunity to solve, at least, three question.

-make use of internet by the participants of the educational process at any time and place.
-develop of the unit educational-informative space which gives ability to participants to join it.
- create the manageable educational-informative resources and make them accessible.

The creators of distance education think that through this method appears the own ability of student. This method is flexible, accessible, mobile and etc.

Key words: mobility, accessibility, flexibility, the distance education.

УДК 371

Технологии дистанционного обучения

В. И. Квинтрадзе, В. Д. Меладзе, Дж.Г. Никурадзе, К. Г. Цхакая
Департамент физики, Грузинский технический университет,
Грузия, 0175, Тбилиси, ул.Костава 77
E-mail: Vakho710@gmail.com

1. Введение

Одним из важных результатов применения информационно-коммуникационных технологий (ИКТ) в сфере образования является дистанционное обучение. Наиболее эффективным дистанционное обучение стало с появлением компьютерных средств обучения и сетей телекоммуникаций. Главной особенностью этого этапа развития дистанционного обучения являются использование интерактивных обучающих программ и наличие оперативной обратной связи между студентом и преподавателем. С этого времени дистанционное обучение становится важным направлением в инновационной деятельности вузов, приобретая самые различные организационные формы от подразделений вузов до консорциумов университетов.

2. Основная часть

Отличительные особенности открытого дистанционного образования (ОДО) требуют прежде всего определения роли и места этой отрасли в системе образования. Для этого необходима разработка единого подхода к системе открытого и дистанционного образования, формулировка единных принципов, определяющих взаимодействие всех элементов системы ОДО, включающих в себя: основные понятия, цели и задачи системы ОДО, принципы ее создания, структуру, содержание, характеристики системы ОДО и принципы ее управления. Несмотря на то, что технические средства обучения (ТСО) активно используются в учебном процессе, они являются вспомогательным дидактическим средством. Определяющая роль в традиционном обучении принадлежит преподавателю-интерпретатору знаний.

Иная ситуация возникает с использованием компьютера в учебном процессе. Главной особенностью, отличающей компьютер от обычных ТСО, является возможность организации диалога человека с копьютером посредством интерактивных программ. Тогда при наличии телекоммуникационного канала компьютер может выступать как посредником между преподавателем и студентом, так и брать на себя часть учебного процесса.

Однако применение компьютерных средств требует иной формы представления знаний, организации познавательной деятельности учащихся и выбора методов обучения. Прежде всего, это связано с появлением возможности оптимизации учебного процесса путем переноса его центра тяжести на самостоятельную работу студентов, активизации этой деятельности и повышения ее эффективности и качества. Использование компьютерных средств позволяет получать первичную информацию не только от преподавателя, но и с помощью интерактивных обучающих программ, которые помогают студенту при определенной степени компетентности освоить ту или иную дисциплину. Компьютер позволяет постоянно проводить различные формы самоконтроля, что повышает мотивацию познавательной деятельности и творческий характер обучения. Следующим важным следствием применения компьютерных средств является использование инновационных методов обучения, которые носят коллективный академический характер. Обучение становится гибким, не связанным жестким учебным планом и обязательным аудиторными мероприятиятиями. Роль преподавателя в этом случае по мере совершенствования технологий все более и более сводится к управлению учеб-

ным процессом, однако это не принижает его влияния в познавательной деятельности и не вытесняет его из учебного процесса.

Таким образом, форма обучения с применением компьютерных средств отличается от существующих форм, как по организации учебного процесса, так и по методам обучения. Таким образом, компьютерные средства и телекоммуникации стали основой новой технологии дистанционного обучения.

Следующей особенностью дистанционного обучения является возможность реализации личностно-ориентированного обучения. Технологии реализации самостоятельной работы учащегося на основе интерактивных мультимедийных средств обучения позволяют построить индивидуализированное дифференцированное обучение. Таким образом, технологии дистанционного обучения-это педагогические технологии, основанные на широком применении методов развивающего обучения, проблемных и исследовательских методов в сочетании с максимальным использованием достижений в области информационно-коммуникационных технологий. Исходя из определения дистанционного обучения, как организации познавательной деятельности, основанной на самообразовании, где непосредственное педагогическое общение сведено к минимуму, необходимо определить дидактические принципы, отличающие дистанционное обучение и лежащие в основе построения дидактической модели. Итак, в дистанционном обучении должны соблюдатся следующие принципы. Процесс обучения строится в основном на самостоятельной познаватедьной деятельности студента. Познавательная деятельность студента должна носить активный характер. Дистанционное обучение должно быть личностно-ориентированным.

Педагогические технологии относятся к категории социальных, направленных на развитие личности. При этом исходным и конечным результатом социальной технологии выступает человек, подвергающися изменеию. Одной из наиболее важных отличительных черт социальной технологии является необходимость и неизбежность обратной связи, позволяющей контролировать процесс воздействия на личность с помощью определенных технологий и корректировать сами технологии. Усиление роли самостоятельной работы студентов, опосредованность педагогического общения приводят к усложнению педагогических технологий и их изменению. При этом под педагогическими технологиями дистанционного обучения имеются в виду технологии педагогического общения, способы организации познавательной деятельности учащихся, а также способы организации контроля качества знаний.

Педагогические технологии дистанционного обучения –это педагогические технологии опосредованного и непосредственного общения с использованием электронных телекоммуникаций и дидактических средств. При этом под дидактическими средствами дистанционного обучения понимаются материалы, методы и приемы обучения, формы организации учебно-познавательной деятельности, учитывающие ограниченность непосредственного общения с преподавателем.

Особенностью педагогических технологий является опережающий характер их развития по отношению к техническим средствам. Дело в том, что внедрение компьютера в образование приводит к пересмотру всех компонент процесса обучения. В интерактивной среде «учащийся-компьютер-преподаватель» больше внимания должно уделятся активизации образного мышления за счет использования технологий, активизирующих правоеполушарное, синтетическое мышление.

Учебный процесс при дистанционном обучении включает в себя все основные формы традиционной организации учебного процесса, которые позволяют осуществить на практике гибкое сочетание самостоятельной познавательной деятельности студентов с различными источниками информации, оперативного и систематического взаимодей-

ствия с ведущим преподавателем курса или тьютором и групповую работу обучающихся.

Основная роль, выполняемая телекоммуникационными технологиями в дистанционном обучении- обеспечение учебного диалога. Обучение без обратной связи, без постоянного диалога между преподавателем и обучаемым невозможно. Обучение (в отличие от самообразования) является диалогическим процессом по определению. В очном обучении возможность диалога определяется самой формой организации учебного процесса, присутствием преподавателя и обучаемого в одном месте в одно время. При дистанционном обучении учебный диалог необходимо организовать с помощью телекоммуникационных технологий.

3. Заключение

Развитие информационных технологий и средств телекоммуникаций создает основу для осуществления образовательных программ на качественно новом уровне. Создание скоростных телекоммуникаций и разработка технологий реального времени дает возможность реализации моделей распределенной образовательной среды, построенной на технологиях удаленного доступа к информационным ресурсам и компьютерных средствах общения. Несмотря на дефицит телекоммуникационных ресурсов, уже сейчас эти технологии прочно вошли в практику образовательных учреждений.

Все сказанное выше показывает, что информационно-коммуникационные технологии могут широко использоватся в области дистанционного образования как для представления и доставки учебных материалов, так и для сопровождения учебного процесса, обеспечения учебного диалога.

Литература

1. Дистанционное обучение. Учебное пособие/под редю Е.С Палат.-М. Гуманит. Изд. Центр ВЛАДОС, 1998. С. 192-195.
2. Домрачев В. Г., Ретинская И. В. О классификации компьютерных образовательных информационных технологий//Информ. Техноогии. 1996. №2.
3. Карпенко М. П. Эффективные дистанционные образовательные технологии//Труды СГУ, вып.25 М. 2001. С. 22-34.
4. Никурадзе Г. А. , Никурадзе Дж. Г. Особенности дистанционного обучения и его оценка/ Доклад международной конференцииб Кутаиси 21-22 мая. С. 54-59.

UDK 371

Technology of the distance education

Vakhtang Kvintradze, Vakhtang Meladze, Jemal Nikuradze, Konstantin Tskhakaia
Department of physics, Technical University of Georgia,
77 Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: Here are considered the distance education methods, based on the interactive educational programs and operative reciprocity of teacher and student.

The article is concerned, to the traditional and distance education interaction. There is a talk about increasing of role of distance education in future. The educational process is build up on student's independent, perceptive activity.

All of this points out that informative-communicable technology may use in the distance education.

Key words: Interactive programs, the technical means of teaching, pedagogical technology.

უაკ 371

დისტანციური სწავლების ტექნოლოგიები

ვახტანგ კვინტრაძე, ვახტანგ მელაძე,
ჯემალ ნიკურაძე, კონსტანტინე ცხაკაია
ფიზიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

რეზიუმე: მოცემულ სტატიაში საუბარია დისტანციური სწავლების მეთოდებზე ინტერაქტიური სასწავლო პროგრამების გამოყენების საფუძველზე და ოპერატიულ უკუკავშირზე პედაგოგსა და სტუდენტს შორის, პედაგოგის როლზე განათლების სისტემაში.

საუბარია ტრადიციული და დისტანციური სწავლების მეთოდების შეხამებაზე იმ პერსპექტივით, რომ გაიზარდოს დისტანციური სწავლების როლი. სწავლების პროცესი ძირითადად აგებულია სტუდენტის დამოუკიდებელ შემეცნებით აქტივობაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას დისტანციური სწავლების სფეროში, როგორც სასწავლო მასალის მიწოდების სახით, ასევე სასწავლო დიალოგის უზრუნველყოფის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: ინტერაქტიური პროგრამები, სწავლების ტექნიკური საშუალებები, პედაგოგიური ტექნოლოგიები.

პატრიოტიზმი და ოფიცრის როლი პატრიოტულ აღზრდაში

მანანა მალრაძე *- დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის სრული პროფესორი*
ვასილ სისაური *- დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ოფიცერი-უფროსი ლეიტენანტი*

Patriotism means to stand by the country.
It does not mean to stand by the president or any
other public official
Theodore Roosevelt

პატრიოტობა ბერძნულად ნიშნავს ქვეყანას, პატრიოტიზმი ნიშნავს დადებით განწყობას საკუთარ სამშობლოზე, სამშობლოს სიყვარულს. პატრიოტიზმს გამოხატავს სამშობლოს დაცვა მტრებისაგან, სამშობლოს გულშემატკივრობა, ომში მონაწილეობა სამშობლოს მხარეს და ა.შ.

რა არის "პატრიოტიზმი" და რომელ ადამიანს შეიძლება ეწოდოს პატრიოტი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია. პირველი, ვინც მეტ-ნაკლებად გასაგებად განსაზღვრა "პატრიოტიზმის" არსი შეიძლება იყოს ვლადიმერ დალი, რომელიც მას "მამულისადმი სიყვარულს" უწოდებდა. პატრიოტი დალის მიხედვით არის – "მამულის მოყვარული, მისი კეთილდღეობისთვის მებრძოლი". "პატრიოტიზმის" უფრო თანამედროვე გაგებას უკავშირებენ ადამიანის შეგნებაზე იმ ამოცანების ზეგავლენას, რომელიც მას უჩნდება მისი დაბადების ადგილის, გარემოს, მისი აღზრდის,

ბავშვობის და სიყრმის წლების შთაბეჭდილებების, მისი პიროვნების ჩამოყალიბების ზემოქმედებით.

მაღალი დონის პატრიოტიზმი ემთხვევა მოცემული სახელმწიფოს საზღვრებს, რომელსაც სამშობლოს, მამულს ვუწოდებთ. დაბალი დონის ეს გრძნობა, რომელიც თითქმის ანტიპატრიოტიზმს ესაზღვრება, საკუთარი სახლის და ეზოს იქით არ ვრცელდება.

პატრიოტოზმია წინაპრების პატივისცემა, სიყვარული და შემწყნარებლობა თანამემამულეების მიმართ, მათი დახმარების სურვილი. პატრიოტიზმის ყველაზე დიდი გამოვლინებაა კეთილგანწყობა, ყველა თანამემამულის მიმართ, რომლებიც შენი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, ანუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზმის აღქმა, რომელსაც მთელ მსოფლიოში უწოდებენ "ერს მოქალაქეობის მიხედვით".

პატრიოტიზმია ყოველდღიური კონკრეტული საქმეების კეთება საკუთარი სამშობლოს მდგომარეობის გასაუჯობესებლად. საკუთარი სამშობლოს საზღვრების აღქმა, თანამემამულეების მიმართ სიყვარულის დონე, იმ ყოველდღიური მოღვაწეობის ჩამონათვალი, რომელიც მიმართულია მისი ტერიტორიის და მოსახლეობის აუცილებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, გასაზღვრავს თითოეული ინდივიდის პატრიოტიზმის ხარისხს, წარმოადგენს მისი ჭეშმარიტად პატრიოტული შეგნების დონის კრიტერიუმს. რაც უფრო დიდია ტერიტორია, რომელსაც პატრიოტი თავის სამშობლოდ თვლის, რაც უფრო მეტ სიყვარულსა და ზრუნვას იჩენს თავისი თანამემამულეების მიმართ, რაც მეტ ყოველდღიურ საქმიანობას ანხორციელებს მოცემული ტერიტორიის და მისი მაცხოვრებლების საკეთილდღეოდ, მით უფრო დიდი პატრიოტია ეს ადამიანი, მით მაღალია მისი პატრიოტიზმი.

ჭეშმარიტი პატრიოტი მომხრეა იმათი და იმისი, რაც განამტკიცებს და განავითარებს მის სამშობლოს და გამოდის იმათ და იმის წინააღმდეგ, ვინც ან რაც ანგრევს, ზიანს აყენებს სამშობლოს. ნამდვილი პატრიოტი პატივს სცემს ნებისმიერი სხვა ტერიტორიის პატრიოტს და არ ჩაიდენს იქ მავნებლობას. თავის სამშობლოში იგი სხვა პატრიოტ თანამოქალაქეებთან ერთად ებრძვის მათ, ვინც ზიანს აყენებს სამშობლოს, ასეთები კი შეიძლება იყვნენ მხოლოდ თანამოქალაქე არაპატრიოტები შეგნების დაბალი დონით, ან სამშობლოს მოღალატეები. ამასთან დაკავშირებით იოლი გასაგებია, რამდენად არაპატრიოტები არიან ჩვენთან ისინი, ვინც თესავს თავის ირგვლივ მტრობას თანამემამულეების მიმართ, ჩაგრავს თავის მოქალაქეებს, ბილწ-სიტყვაობს, ანაგვიანებს, წამლავს გარემოს, ბრაკონიერობს, ეწევა ცხოვრების არაჯანსაღ წესს. მეზობელთან ჩხუბი ან მტრობა, ერთი პარტიის წევრთა თავდასხმები მეორე პარტიის წევრებზე, ერთი საფეხბურთო გუნდის გულშე-მატკივრებისა – მეორის გულშემატკივრებზე, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, არასაწესდებო ურთიერთობები არმიაში, კორუფცია, ხაზინის ქურდობა - ეს ყოველივე არაპატრიოტულობის სხვადასხვა ფორმების გამოვლინების ელე-მენტებია.

როგორც პატრიოტიზმი, ასევე არაპატრიოტიზმი შეიძლება იყოს ინდი-ვიდუალური, ჯგუფური და მასობრივი. პატრიოტული აღზრდა და ყოველ-მხრივი განათლება ზრდის პატრიოტების რიცხვს და აღრმავებს მათ ჯანსაღ პატრიოტულ გრძნობას და პირიქით უვიცობა, უზრდელობა, სინამდვილისაგან გაქცევა, მეშჩანური განდგომა, ალკოჰოლური ან ნარკო დამოკიდებულება, სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვანი ფსიქიური და სხვა გადახრები ზრდის არა პატრიოტების, ფსევდო და ცრუ პატრიოტების რიცხვს.

პატრიოტიზმი ან არსებობს ამა თუ იმ ხარისხით ან საერთოდ არ არსებობს. პატრიოტიზმი ძალიან სანუკვარი გრძნობაა, იგი სულის სიღმეში (ქვეცნობიერში) არის მოთავსებული. ყოველი ადამიანის პატრიოტიზმი განისაზღვრება არა სიტყვებით, არამედ საქმეებით. პატრიოტია არა ის, ვინც თავის თავს უწოდებს ასეთს, არამედ ის ვისაც სხვები, უპირველეს ყოვლისა კი მისივე თანამემამულეები სცემენ პატივს როგორც პატრიოტს. ნამდვილ პატრიოტად შეიძლება ჩაითვალოს, მხოლოდ ის ადამიანი, ვინც მუდმივად აკაჟებს თავის ფიზიკურ და ზნეობრივ ჯანმრთელობას, კარგი აღზრდილია, განათლებულია, აქვს ნორმალური ოჯახი, პატივს სცემს თავის წინაპრებს, შთამომავლობას ზრდის საუკეთესო ტრადიციებზე, ინახავს თავის საცხოვრებელს საჭირო მდგომარეობაში და მუდმივად აუმჯობესებს თავის ყოფას, ცხოვრების წესს, ქცევის კულტურას, შრომობს თავის მამულის საკეთილდღეოდ, მონაწილეობს საზოგადოებრივ ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია თანამოქალაქეთა გასაერთიანებლად პატრიოტული მიზნების მისაღწევად, სამშობლოს კეთილმოწყობის და განვითარებისათვის, განათლებული თანამემამულეების რაოდენობის გაზრდის და გაჯანსაღებისათვის.

ნებისმიერი ადამიანი წარმოადგენს ერის, კლასის, სოციალური ფენის, საწარმოო კოლექტივის, ინტერესით გაერთიანებული კოლექტივის და ა.შ. წევრს. ყოველ გაერთიანებას აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო მისი წევრები ამაყობენ იმით, რომ ეკუთვნიან მას. შედეგად შეიძლება ვილაპარაკოთ პატრიოტიზმის სხვადასხვა კერძო ვარიანტებზე: კლასობრივი, ნაციონალური, პროფესიონალური და სხვა. ქართველი მუდამ ებრძოდა იმ უამრავ მტერს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში თავს ესხმოდნენ ჩვენს სამშობლოს. ამ ბრძოლებსა და ყოველდღიურ შრომაში ჩამოყალიბდა ქართველთა ხასიათი და მათი პატრიოტიზმიც – მამულისადმი უსაზღვრო ერთგულება და მისთვის სიცოცხლის შეგნებულად გაწირვისთვის მზადყოფნა, სამხედრო ფიცის უპირობო ერთგულება და მისი შესრულება, ოფიცრების და ჯარისკაცების მიერ მოვალეობის ღრმა შეგნება, სიმტკიცე და სიმამაცე ბრძოლაში, ოფიცრების პირადი მაგალითი ხელქვეითებისათვის, თავისი პროფესიის უმაღლეს დონეზე ფლობა დაწყებული მხედართმთავრიდან რიგითით დამთავრებული. თუ სამხედრო მოსამსახურეები ერთგულნი არიან სამშობლოს წინაშე დადებული ფიცისა, ვალდებულებებისა და არიან პატრიოტები მათი დამარცხება შეუძლებელია.

სამხედრო მოსამსახურეთა აღზრდა წარმოადგენს მეთაურების მიზანმიმართულ მოღვაწეობას სამხედროებისათვის იმ სულიერი თვისებების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც გამოხატავენ არმიის სპეციფიკურ ხასიათს, მის ამოცანებსა და დანიშნულებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ თვისებების ფორმირებას, რომლებიც ყოველთვის სჭირდება მებრძოლებს, განსაკუთრებით საბრძოლო ამოცანების შესრულებისას – სიმამაცე, სიმტკიცე, ვაჟკაცობა.

ყველაზე კონკრეტულად სამხედრო აღზრდის შინაარსი განისაზღვრება სამხედრო ფიცით, რომელშიც კონცენტრირებული სახით ფორმულირებულია მოთხოვნები სამშობლოს დამცველთა მიმართ და სამხედრო წესდებით, რომელიც ახდენს არმიის ყოველდღიური ცხოვრების რეგლამენტირებას საომარ პირობებში.

სამხედრო აღზრდამ სამხედრო მოსამსახურეებს უნდა განუვითაროს სამხედრო ძალების ისტორიული დანიშნულების, მისი მშენებლობისა და ფუნქციონირების თავისებურებების გაგება, ჩამოუყალიბოს პირად შემადგენლობას სამხედრო ფიცის და წესდების ურყევი ერთგულება, მუდმივი სწრაფვა

სამხედრო საქმის, პროფესიის, ტექნიკის ასათვისებლად, მორალური-საბრძოლო თვისებების, დისციპლინის ასამაღლებლად, სამხედრო თანამეგობრობის განსამტკიცებლად. პირადი შემადგენლობა უნდა ამაყობდეს იმით, რომ მსახურობს საქართველოს სამხედრო ძალებში. მათში უნდა იზრდებოდეს პატივისცემა კანონისადმი, სამხედრო ფიცისა და წესდების აუცილებელი დაცვა.

სამხედრო აღზრდის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოფიცერთა პირად მაგალითს, მათ უნარს კვალიფიციურად გადაჭრას დისციპლინის ამაღლების ამოცანები არა ძალისმიერი მეთოდებით, დაშინებით და დასჯის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, არამედ შეგნების დონის ამაღლებით მათ მიერ დაქვემდებარებულ ნაწილებსა და ქვედანაყოფებში.

სამხედრო აღზრდაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდას. ამ სულიერი სიმდიდრის ათვისება უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობას პირად შემადგენლობაში სამშობლოს დამცველთა მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებების ფორმირებაში. ამასთან, იგი ხელს უწყობს წინაპართა საგმირო საქმეების, როგორც მისაბაძი მაგალითის აღქმას.

საბრძოლო ტრადიციები, ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვეულებები და მორალური წესებია, რომლებიც გადაიქცნენ სამხედროთა ქცევის ნორმად ბრძოლებსა და მშვიდობიან დროში, აქტიურად განაწყობენ მათ სამშობლოს კეთილსინდისიერი სამსახურისათვის.

სამხედრო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საბრძოლო ტრადიციები ყველგან მიღებულია, როგორც მამაცი, მედგარი და მცოდნე სამშობლოს დამცველების აღზრდის გამოცდილი და ეფექტური საშუალება.

პატრიოტულ აღზრდაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოფიცრებს. ოფიცრის პროფესია საბრძოლო პროფესიაა. ისინი პირველი ხაზის მებრძოლებია. მათ უკან სამშობლოა. აუცილებლობის დროს ისინი იღებენ პირველ დარტყმას. ომი მხოლოდ ერთხელ იწყება და მისი დასაწყისის გადათამაშება შეუძლებელია. ოფიცრებს არა აქვთ მშვიდი ძილის უფლება, რადგან ომები ღამით იწყება. არა აქვთ მშვიდად დასვენების უფლება, რადგან ისტორიამ გვიჩვენა, რომ ომები დღესასწაულებზე, ან შაბათ-კვირას იწყება. ოფიცრის პასუხისმგებლობას ვერ შეედრება ნებისმიერი სხვა პროფესიის პასუხისმგებლობა. მისი პროფესია ხომ სამშობლოს დაცვაა.

ოფიცრის პროფესია ეს ინტელექტუალური პროფესიაა. სამხედრო საქმე მოითხოვს იმ დონის ცოდნას, რომელიც მთელი რიგით აღემატება სხვა სამოქალაქო სპეციალობებისთვის საჭირო ცოდნას. თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების და შესრულების აუცილებლობა, მტერი, რომელიც არ გპატიობს შეცდომებს – ამ ყველაფერს და კიდევ ბევრ სხვა რამეს მივყავართ იქამდე, რომ თანამედროვე ომს იგებს ის, ვინც უკეთ ფიქრობს. თუ რაღაც საქმეში შეიძლება იყო საშუალო, საქმეში, რომელზეც დამოკიდებულია სამშობლოს ბედი, უნდა იყო სრულყოფილი.

ოფიცრის პროფესია რომანტიულიცაა, თუმცა სამხედრო ყოველდღიურობაში კი არა, არამედ მძიმე სწავლებების, რთული ლაშქრობების, დაძაბული საბრძოლო სამსახურების საბოლოო შედეგებში, გადაულახავი განსაცდელის გადალახვაში და რაც მთავარია იმაში, რომ აჯობო საკუთარ თავს.

ოფიცრის პროფესია ლამაზი პროფესიაა. მას ალამაზებს სამხედრო ფორმა და საბრძოლო ჯილდოები, ყოველდღიური და სადღესასწაულო სამ-

ხედრო რიტუალები. მას ალამაზებს თავისებური სამხედრო ეტიკეტი, მორჩილების და ხელმძღვანელობის უნარი.

ოფიცრის პროფესია გმირული მაღალზნეობრივი პროფესიაა. მისი საფუძველი სამშობლოს სიყვარული და ერთგულებაა, თავგანწირვისათვის მზადყოფნაა.

ოფიცრის პროფესია პედაგოგიური პროფესიაა. 18 წლის ბიჭებისაგან მათ უნდა ჩამოაყალიბონ პატრიოტები, მებრძოლები, საქართველოს შეგნებული მოქალაქეები. არმია, თავისებური უნივერსიტეტია.

პატრიოტი რომ აღზარდოს, თვითონ აღმზრდელი უნდა იყოს გულწრფელი პატრიოტი, არა მარტო ქადაგებდეს სამშობლოს სიყვარულს, არამედ, სწამდეს და საქმეებით ამტკიცებდეს ამ სიყვარულს.

სამშობლოს სიყვარული გარკვეულწილად ინსტიქტური გრძნობაა. ამიტომ საჭიროა მთვლემარე პატრიოტიზმის გაღვიძება ახალგაზრდაში. გაღვიძება და არა თავს მოხვევა, რადგან ბრძანებით სამშობლოს ვერც შეიყვარებ და ვერც შეიძულებ.

ყველა ქვეყანაში და ჩვენს სამშობლოშიც, უამრავი მშვენიარია და არც თუ ცოტა ცუდი, მაგრამ სამშობლოს, ისევე როგორც მშობლებს არ ირჩევენ, იგი უბრალოდ უნდა გიყვარდეს. სხვა სამშობლო არ გექნება, იგი ერთადერთია.

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა განა მარტო სიამაყის, არამედ მისადმი თანაგრძნობასაც მოიცავს. უნდა ეცადო არ ავნო მას, მხოლოდ მის წინსვლას ემსახურო.

ადამიანები პატრიოტიზმის გაგებასთან სხვადასხვა გზით მიდიან: ზოგი მისი ისტორიით, ზოგი ხელოვნებით და ლიტერატურით, ზოგი რელიგიით, ზოგიც არმიაში სამსახურით. ალბათ, რამდენი ადამიანია იმდენივე გზაა.

პატრიოტის აღზრდა იწყება ოჯახში. მშობლიურ ენას დედის ნანასთან ერთად ითვისებს და შეიყვარებს ბავშვი. ენა კი, რაღაც გასაოცარი იდუმალი და გამახვილებული სახით მოიცავს ხალხის მთელ სულს, მის წარსულს, ხალხის შემოქმედებით ჩანაფიქრს. ოჯახში მშობლიური ენის კულტი უნდა სუფევდეს.

ლოცვა – ადამიანს აძლევს სულიერ ჰარმონიას. მან ეს ჰარმონია უნდა განიცადოს მშობლიურ ენაზე. ლოცვა ასწავლის მას გრძნობების და ენერგიის კონცენტრირებას. რაც უფრო ადრეულ ასაკში და რაც უფრო ღრმად დაატყვევებს ბავშვის წარმოდგენას წმინდანთა და გმირების ცხოვრება და მოღვაწეობა, ნაციონალური სიწმინდეების და ღირსების გაცოცხალებული სახეები. მით უკეთესია მისთვის.

ხალხური ზღაპრები – აღვიძებს და ატყვევებს ოცნებას. ეროვნული აღზრდა არასრულფასოვანი იქნება მშობლიური ზღაპრების გარეშე, რომელიც აძლევს ბავშვს გმირობის პირველ შეგრძნებას. ასწავლის ერთგულებას და ვაჟკაცობას, სიმართლის და სიცრუის გარჩევას.

პოეზია და ისტორია – ორივე ბავშვობიდან შეაყვარებს სამშობლოს ადამიანს. პოეზიამ უნდა მისცეს მას მშობლიური სიტყვის პირველი სიხარული და თანდათან დაანახოს მთელი თავისი საგანძური. ისტორიამ უნდა აგრძნობინოს, რომ ის იმ ხალხის შვილია, ვის უკანაც დიდებული და ტრაგიკული წარსულია, ხალხისა, რომელმაც გადაიტანა უამრავი ტანჯვა და დაცემა, მაგრამ ამას მოსდევდა ამაღლება და აყვავება.

ადამიანმა ბავშვობიდან უნდა გაიგოს, რომ არმია, მისი სამშობლოს დასაყრდენია, ხალხის სიმამაცის, ღირსების, თავდადების და ქვეყნისთვის სამსახურის გამოხატულებაა. ადამიანის გული ეკუთვნის იმ ქვეყანას და იმ

ხალხს, ვის არმიასაც ის თავისად თვლის. არმიის გარეშე, რომელიც სულიერად და პროფესიონალურად საჭირო სიმაღლეზე დგას, სამშობლო რჩება დაუცველი, სახელმწიფო იშლება და ერი აღიგვება პირისაგან მიწისა.

ასეთი სულიერი საზრდოს მქონე ახალგაზრდების პატრიოტული აღზრდა გრძელდება არმიაში, სადაც ხდება სოციალურად მნიშვნელოვანი ღირებულებების, მოქალაქეობრიობის განვითარება, თითქმის ჩამოყალიბებულ ადამიანებს კიდევ ერთხელ შეახსენებენ სამშობლოს წარსულს, მის გმირებს, დიდი ადამიანების ცხოვრებას, ხელოვნებას და ლიტერატურას, სხვა თვალით დაანახებენ ბუნებას, ასწავლიან მის მოფრთხილებას, ასწავლიან ჯილდოების და მუნდირის პატივისცემას, სამხედრო რიტუალების პატივისცემას. მუნდირის ღირსება – ეს სიმამაცე, ვალდებულების ერთგულებაა. მუნდირის ღირსება – ეს დისციპლინაა.

სამხედრო მუნდირი, რომელიც არ არის მკაცრი დისციპლინით დამშვენებული, აღარ არის ღირსების სიმბოლო, ხდება უსახური სამოსი. ამიტომ ის, ვინც ჩაიცვა ოფიცრის მუნდირი თავის ცხოვრებას უმორჩილებს რეგლამენტირებულ წესრიგს. მუნდირის ღირსების კულტი წმინდაა ოფიცრისთვის. იგი მოიცავს ერთგულებას დროშისადმი, ომში წარმოადგენს გზამკვლევს, რომელიც გიჩვენებს გზას ყველა წინააღმდეგობებს შორის, ეს არა მარტო წარსული და აწმყოა ოფიცრისათვის, არამედ მისი მომავალიც, რადგან გმირობით ამაღლებული, იგი იცოცხლებს საუკუნეები.

თანამედროვე პირობებში, როცა ძირეულად იცვლება ჩვენი საზოგადოების შეხედულებები, როცა დაძაბული სოციალური ფონია სახელმწიფოში, შეიარაღებული ძალები უნდა დარჩნენ სტაბილურობის და თავდაჯერებულობის საყრდენად. ეს მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამხედრო ძალების მეთაურთა შემადგენლობაზე. მნიშვნელოვან პირობად რჩება მეთაურთა შემადგენლობის ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფა, მისი პროფესიონალური კომპეტენტურობა, პასუხისმგებლობა სამხედრო მოვალეობის შესრულებისას, მაღალი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ქვეშევრდომებისადმი. ამას ხელს უწყობს ყოველდღიური მიზანმიმართული მუშაობა პირადი შემადგენლობის სამხედრო, სამართლებრივი და ზნეობრივი აღზრდისათვის, წესების მკაცრი დაცვა, მეთაურთა მუდმივა ზრუნვა ხელქვეითების ყოფითი პირობების გაუმჯობესებაზე, მათი ინტერესების გათვალისწინება კულტურული, საცხოვრებელი პირობების, სამედიცინო მომსახურების სრულყოფაზე, ურთირთობების ზნეობრივი სისუფთავისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ოუენ კონელი. ომი და სამხედრო მეთაურები. თბილისი, 2007.
გელა გამყრელიძე. ომი და შეიარაღება იბერია – კოლხეთში. თბილისი, 2010
თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია

პატრიოტიზმი და ოფიცრის როლი პატრიოტულ აღზრდაში

რეზიუმე

ქვეყნის უსაფრთხოება და სტაბილურობის შენარჩუნება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ძლიერ არმიაზე. არმია კი, თავის მხრივ, სამხედრო ძალების მეთაურთა შემადგენლობაზე, ამიტომ მრავალმხრივ განათლებული და პატრიოტული სულისკვეთების მქონე ოფიცერთა არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის. წარმოდგენილი ნაშრომი ძირითადად ეძღვნე-

ბა სამხედრო-პროფესიონალურ პატრიოტიზმს. ოფიცრის როლს არმიის პირადი შემადგენლობის პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბებასა და გაზრდაში.

Патриотизм и роль офицера в патриотическом воспитании

Резюме

Безопасность и сохранение стабильности страны во многом зависит от сильной армии. Армия в свою очередь от командного состава вооружённых сил. Поэтому многосторонно образованные офицеры с патриотическим духом жизненно важны для вооруженных сил Грузии. Представленная работа в основном посвящена военно - профессиональному патриотизму, роли офицера в формировании и роста патриотического духа личного состава армии.

Patriotism and the Role of Officership in Patriotic Education

Resume

Security and stability of the country considerably depends on the strength of the Army. As for the Army, it is also based on the command of Armed Forces. Accordingly, the existence of the officers with patriotic ethos who are educated in many respects is of vital importance for the Georgian Armed Forces. The presented work is primarily dedicated to military professional patriotism and the role of officership in developing and improving patriotic ethos in military personnel.

Деловые письма в развитии прагматической, межкультурной коммуникативной компетенции

Чхенкели Л.В. Гурамишвили З. Ш.
Грузинский технический университет, Грузия, Тбилиси

При современной тенденции в обучении письменной речи в связи с внедрением европейской системы уровней знаний, расширением интернациональных связей, развитием туризма, возможностей получения образования и поиска квалифицированной работы за пределами страны, знание иностранного языка (в частности и русского) приобретает все возрастающее значение.

В XXI веке конкурентноспособному специалисту необходимо практически владеть системой иностранного языка и принципами ее функционирования применительно к различным сферам письменной коммуникации.

Учитывая уровень знания русского языка студентов, изучающих письменную речь, важно определить цели её обучения, так как цели многообразны и определяются коммуникативными потребностями контингентов студентов с учетом социального статуса, формы обучения, наличия или отсутствия языковой среды и др.

Основная цель обучения иноязычной продуктивной письменной речи заключается в формировании лингвистической, коммуникативной лингвострановедческой компетенции. В этой связи обучаемые должны в значительной степени знать особенности письменного регистра иностранного языка, что предполагает умение выбрать тип письменного сообщения в соответствии с заданной коммуникативной ситуацией.

Типы письменных сообщений часто рассматриваются как продукт речевой деятельности в письменной форме. Они являются объектом обучения письменной практике. Выделяются основные типы экспрессивной письменной речи в зависимости от её назначения и сферы функционирования:

- академическая письменная речь (конспекты, рефераты, заметки, рецензии, эссе и т.д.);
- деловая письменная речь, которая используется в профессиональных целях (деловые письма, деловые записки, объявления, статьи и т.д.);
- письменная речь социальной направленности, которая используется для поддержки общения социальной значимости (записки, частные письма и т.д.);
- письменная речь личной направленности, которая используется для поддержания общения в личных целях, это могут быть записи адресов, рецептов и т.д.;
- творческая письменная речь, которая используется для экспрессивного письменного общения и выражения чувств и эмоций автора (стихи, рассказы и т.д.).

На сегодняшний день очевиден тот факт, что сфера распространения письма как типа текста значительно сужена, однако она сохраняет свою силу как в социально-бытовой, так и в профессионально-деловой сфере, потому что письмо – это документ.

Обучение студентов элементам личного и делового письма способствует развитию социокультурной, прагматической, межкультурной коммуникативной компетенции в письменной форме, а также повышению мотивации к изучению иностранного языка.

В настоящее время ряд исследователей отмечают ухудшение качества русской письменной речи. Анализ письменных работ студентов технического профиля Грузинского технического университета также подтверждает сказанное, исходя из количества орфографических и пунктуационных ошибок, а также снижения способности студентов писать связанные, логически выстроенные, грамотные письменные тексты.

Основная проблема состоит в том, что обучению русской письменной речи отводится незначительное место в образовательном процессе, а учебные пособия не обеспечивают её поэтапного развития.

Коммуникативная компетенция в области иноязычной письменной речи предусматривает способность воспринимать и порождать иноязычную письменную речь в соответствии с условиями коммуникации. Формирование данной компетенции подразумевает развитие умений создавать также типы и жанры письменных сообщений – текстов, как официальное, деловое и письмо социальной направленности, функционирующих сегодня в процессе межкультурных коммуникаций, которые могут понадобиться, окончившим вуз, в их профессиональной деятельности, а также в личных целях.

Ссылаясь на авторов учебного пособия – „Деловое общение и искусство презентации“, считаем наиболее эффективными следующие этапы работы по письменной деловой речи: необходимость использования письма, рассмотрение общепринятых правил работы с деловой корреспонденцией; правила составления делового письма и его структура; правила подбора слов и фраз в деловом письме; типы деловых писем и особенности письма-просьбы; письма-приглашения; информационного письма и письма-извинения; особенности идентификации отправления и получения письма.

Результаты работы определяются методом тестирования. Уточняется ситуация совершенно необходимая для написания делового письма, которая происходит при

наличии повышенной важности информации для совместного дела партнеров с учетом содержательной стороны письма – от того, как будет изложена, подана и структурирована информация, которая в нем содержится, во многом зависит эффективность использования этого способа коммуникации.

Работа по написанию деловых писем проводится согласно их цели и ситуации. Такие письма, как: письмо-просьба, письмо-приглашение, информационное письмо, благодарственное письмо, письмо-извинение и т.п. выражают следующее:

письмо-благодарность – простой и действительный способ уточнить отношения с деловым партнером;

письмо-просьба повышает вероятность получения отклика. Такое письмо особенно целесообразно, если это ваш первый контакт с организацией или лицом;

письмо-приглашение. Поводом для написания подобного письма служат переговоры, конференции, презентации, официальные или торжественные мероприятия и т.п. Уровень мероприятия диктует особенности такого письма. Если вы получили такое письмо, на него необходимо ответить независимо от того, принимаете ли вы это приглашение;

информационное письмо чаще всего может быть ответом на соответствующий запрос. Если такое письмо является одним из этапов налаженного процесса взаимодействия между деловыми партнерами, оно, помимо собственной информации, может выражать отношение автора к состоянию дела – удовлетворение, обеспокоенность и т.п.;

письмо-извинение. Необходимость такого письма возникает в случае невозможности выполнить обещание, а также срыв срока или допущенная ошибка и т.п.

При написании любого делового письма необходимо стремиться к тому, чтобы адресат захотел его прочитать и смог понять прочитанное. В этой связи в процессе занятий предлагаем образцы перечисленных писем с указанием структуры делового письма и его содержания.

Результаты работы определяются методом тестирования. Приводим образцы тестов по темам: „Подбор слов”, „Общие правила”.

Тест по теме „Подбор слов”

1. Язык делового письма ...

А. Имеет определяющее значение;
Б. Не имеет большого значения, если это не переписка в среде филологов;
В. Должен быть лишен эмоций и личностной окрашенности.

2. Первая фраза ...

А. Должна содержать формальное приветствие;
Б. Определяет восприятие всего письма;

3. Начать письмо с благодарности ...

А. Это нелепо, тем более, если адресата не за что бдагодарить;
Б. Необходимо в том случае, если адресат оказал вам персональную услугу;
В. Это правило деловой корреспонденции.

4. Обращение ...

А. Пишется слева, под датой;
Б. Пишется в начале основного текста;
В. Может быть написано в разных местах, в зависимости от общей композиции страницы.

5. Использовать в первой фразе местоимение Я ...
А. Или какое-либо другое местоимение – это определяется смыслом конкретного письма;
Б. Категорически не рекомендуется;
В. Это удачный способ сразу заявить о себе.

Правильные ответы: 1 – А; 2 – Б; 3 – В; 4 – А; 5 – Б.

Тест по теме „Общие правила”
1. При написании любого письма необходимо стремиться к тому, чтобы адресат...
А. Захотел его прочесть и понять прочитанное;
Б. Захотел узнать имя автора и познакомиться с ним;
В. Захотел узнать имя автора и уйти в отпуск.

2. Краткость письма ...
А. Демонстрирует неуважение к адресату;
Б. Наилучшим образом характеризует автора в глазах адресата;
В. Демонстрирует несолидность автора.

3. простота изложения ...
А. Свидетельствует о недостаточном профессионализме автора;
Б. Демонстрирует неуважение к адресату;
В. Наилучшим образом характеризует автора в глазах адресата.

4. Внешний вид письма и его оформление ...
А. В деловой переписке не имеют значения;
Б. Не должны быть чересчур продуманными, чтобы у адресата не сложилось впечатления, что автор склонен тратить время на подобные пустяки;
В. Имеют большое значение и существенно влияют на его восприятие.

5. Ислользование черновика ...
А. Очень полезно при написании делового письма;
Б. Необходимо только школьникам, когда они пишут сочинения, а не серьезным специалистам;
В. Это пустая трата своего времени.

Правильные ответы: 1 – А; 2 – Б; 3 – В; 4 – В; 5 – А.

Итоги аудиторной и самостоятельной работы студентов подтверждают полезность и необходимость обучению письменной деловой речи, а также и то, что совершенствование методов обучения письменной деловой речи в вузах является требованием времени.

Литература
Веретеникова А.Е. Пути совершенствования письменной речи. Омск, 1999;
Витушкин П.И., Никитин Н.В., Серова Г.А., Тубин А.А. Деловое общение и исскуство презентации. Москва, „Логос”. 2006.
Выготский Л.С. Мышление и речь. Собр. соч. в 6-ти т. М. Педагогика, 1982, т.2;
Месеняшина Л.А., Казанцева П.С. Теория и практика современной письменной речи: матер. конференции, Барнаул, 2003.

საქმიანი წერილები კულტურათაშორის პრაგმატული კომუნიკაბელური კომპეტენციის განვითარებაში

ლ. ჩხენკელი, ზ. გურამიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

რეზიუმე

უმაღლეს სასწავლებლებში წერითი მეტყველების სწავლების მეთოდების სრულყოფა დროის მოთხოვნაა. ოფიციალური, საქმიანი და სოციალური მიმართულების ზეპირ მეტყველებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წერით კომუნიკაციაზე მუშაობისას.

Business letters to develop pragmatical intercultural communicative competences

L. Chkhenkeli Z. Guramishvili
Georgian technical University, Tbilisi

The methods of mastering business written speech at the institute is the time requirement. Official, business and social approaches of the oral speech takes an important place while working with written communication.

Некоторые особенности электронного дискурса

***Т.Бакурадзе**,ассоциированный профессор*
***М.Чхартишвили**,ассоциированный профессор*
Грузинский технический университет, Грузия, Тбилиси, ул.Костава, 77

Неугасающий интерес к феномену дискурса обусловлен интересом исследователей к вопросу функционирования речи в условиях реального общения, что связано со стремлением современной лингвистики объяснить язык с опорой на экстралингвистические (социальные, психологические и др.) факторы. Мы исходим из понимания дискурса как текста, взятого не изолированно от всех обстоятельств, а в его событийном окружении.

В связи с тем, что в последнее время компьютерные и Интернет технологии все основательнее укореняются в жизни человека, актуальным в системе гуманитарных знаний становится выделение и исследование электронного дискурса, функционирующего в особой электронной коммуникативной сфере. Под электронным дискурсом мы понимаем «текст, погруженный в ситуацию общения посредством электронных средств связи, а точнее, посредством компьютера» (2, 9).

Своеобразие электронного дискурса проявляется в специфике его конститутивных признаков, которые выявляются через описание следующих дискурсивных параметров: канал связи, коммуникативная цель, тип коммуникантов, жанровая организация дискурса, языковое воплощение.Особо остановимся на языковом воплощении электронного дискурса.

Письменный дискурс представляет собой передачу письменно зафиксированной информации между коммуникантами, дистанцированными друг от друга, т.е. предполагается выход за пределы времени и пространства коммуникативного акта. Отсутствие визуального контакта обусловливает стремление коммуникантов описательно передать эмоциональность, экспрессивность, интонационную сторону общения. Устный дискурс характеризуется совокупностью вербальных и паралингвистических средств, актуализируемых в условиях общей для адресата и адресанта ситуации общения.

Противопоставляя устную и письменную формы речи, нельзя обойти вниманием такой аспект, как способность речевого произведения быть одновременно и продуктом и, и процессом. Оба эти аспекта неизменно присутствуют в любом речевом произведении, но их соотношение во многом задается каналом порождения.Говоря о традиционной ситуации, необходимо отметить, что пишущий имеет возможность выхода из процесса написания, затем вернуться к уже написанному, и, при необходимости, внести изменения, оттачивая языковую форму. При этом конечный результат его деятельности - тот текст, который получает адресат, скрывает от глаз получателя весь процесс создания текста, т.е. продуктивный аспект доминирует над процессуальным. При устном порождении, наоборот, процесс порождения речи происходит в условиях непосредственного восприятия слушающим,если говорящий выйдет из этого процесса, коммуникация прервется.Продуктивный же аспектскрыт как от слушающего, так и от самого говорящего, так как они оба «погружены» в этот процесс: говорящий - порождая речь, слушающий - воспринимая ее.

Несколько иное, отличающееся и от ситуации устного, и от ситуации письменного общения, соотношение продуктивного и процессуального аспектов наблюдается в электронном дискурсе. Пользователь не может выйти из процесса коммуникации, так как она прервется при отсутствии одного из ее участников - это говорит о том, насколько важна процессуальность в электронном общении. Однако в

нем не скрыт от пользователей ипродуктивный аспект, выражающийся в наличии некоего «отчужденного» результата — графически представленного текста на дисплее. Вследствие этого, можно говорить о том, что в то время как для устной и письменной форм общения характерна асимметрия - доминирование одного из указанных аспектов, электронный дискурс является видом коммуникации, стоящим на промежуточной ступени между устной коммуникацией (с доминантой процесса) и письменной (с доминантой продукта).

Необходимо также отметить, что существование определенной модели порождения предполагает наличие и соответствующей модели восприятия, причем эти модели тесно взаимосвязаны. При устном порождении говорящий понимает, что успешность коммуникации зависит от того, насколько четко им будет выражена мысль, и что актуальным для слушающих его в данный момент является только то, что он говорит, а не то, что было произнесено раньше. Вследствие того, что устная речь имеет поступательный, необратимый характер развертывания, у слушающего нет возможности вернуться к уже услышанному. Это отражается на синтаксическом строе устнопорождаемой речи: на границах между речевыми сегментами часто отсутствуют формальные связи, они сочленяются между собой по принципу нанизывания. Это отличает модель устного порождения /восприятия от модели письменного порождения / восприятия. При письменном порождении автор речевого произведения по-иному использует языковые средства, зная, что конечный продукт его творчества имеет «фиксированный» характер, и, соответственно, читающий будет в состоянии при необходимости вернуться к прочитанному или забежать вперед. Это определяет и характер работы над письменным текстом - она, как и его восприятие, двунаправлена, автор письменного речевого произведения может вернуться к тому, что уже написано с целью переосмысления. Под влиянием такого переосмысления текст может модифицироваться пишущим неограниченное количество раз. Кроме того, возможность выхода из процесса порождения без ущерба для процесса коммуникации предопределяет для пишущего необходимость и обязательность (поскольку он располагает для этого временем) соблюдения установленных для письма языковых норм.

В рамках соотношения продукт / процесс можно выделить процессуальность, которая в большей степени свойственна устнопорождаемой речи, и ту, которая свойственна речи

письменнопорождаемой. Для устной процессуальности характерна синхронность мысли и ее вербального означивания, эта процессуальность имеет поступательный характер, так как любые исправления могут только «продвинуть» речь вперед. Кроме того, устной процессуальности свойственна контактность, включенность в процесс коммуникации -

взаимодействие говорящего происходит только со слушающим, который воспринимает сообщение в момент его произнесения. Кроме того, в ситуацииустного порождения мысль не только синхронна, но и реактивна - говорящий меняет формулировку не только потому, что допустил ошибку, а чаще потому, что реакция слушающих показывает ему, что его не поняли,или поняли не так. Письменная процессуальность обладает другими чертами - ей свойственна «рефлексивная интерактивность» - пишущий располагаетвременем, чтобы вернуться к своему тексту с целью рефлексии, котораяпомогает при дальнейшем структурировании и развитии мысли, а также сцелью редактирования, чтобы внести в текст необходимые изменения, илишь затем представить его читающему.

Эти модели порождения традиционны, они складывались иотрабатывались веками, в отличие от новой модели порождения, которая нанаших глазах возникает в

чате. Возникший канал порождения задает и новыйтип взаимодействия продукта и процесса, и, вследствие этого, новый типпроцессуальности. Назовем процессуальность, присущую чатам,электронной.

Итак, соотношение продукт / процесс обладает в чатах своейспецификой: в то время как письменное речевое произведение существуеткак продукт, в отчужденной форме, а устное существует только как процесс,речевые произведения пользователей чата появляются в окне чата в видереплик, которые, по мере появления новых, присланных другимикоммуникантами позже, перемещаются по экрану снизу вверх, пока нескроются за пределами видимого поля чата. Техническая возможностьвернуться к реплике, уже скрывшейся за этой границей, есть, так какпользователь имеет доступ ко всем репликам, присланным участниками смомента его входа в чат. Однако в действительности эта возможностьпрактически не используется. Скорость обмена репликами высока, и еслипользователь решит вернуться и перечитать реплику, уже вышедшую запределы видимого, активно использующегося поля чата, на это потребуетсявремя, и он может пропустить другие высказывания, адресованные ему, чтопрервет общение. Вместо этого посетители чата чаще всего просят повторить высказывание, которое они по каким-то причинам пропустили.

Таким образом, у участников чатов есть ограниченная временемвозможность возврата к уже прочитанной реплике. Это время зависит отинтенсивности обмена, а также от количества участников (чем вышеинтенсивность и чем больше участников, тем больше реплик присылается запериод времени, и соответственно, тем быстрее видимое поле чата

полностью обновляется). Таким образом, *теоретически* срок существования отрезка электронного дискурса, при порождении которого присутствовал каждый конкретныйпользователь, равен сроку нахождения пользователя в чате, если, конечно, онпо каким-то причинам не сохранит эту дискуссию в своем компьютере.*Практически* же срок существования отрезка электронного дискурса равен тому времени, втечение которого он находится в видимом поле чата, то есть, обычно он непревышает 2 - 3 минут.

Кроме того, модель общения в чате предполагает, что реплика,посланная собеседником является одновременно реакцией на егопредыдущую реплику и стимулом для последующей, вследствие чего дляобщающегося в чате смысл вернуться к уже прочитанной им реплике естьтолько до тех пор, пока им не был послан ответ на эту реплику, то есть, покаобщение не продвинулось вперед. После того, как это произошло,

пользователь больше заинтересован в чтении вновь поступающихсообщений, чем в перечитывании старых. Итак, электронное речевоепроизведение как продукт, в отличие от произведения письменного, имеетнесоизмеримо меньший срок существования. Это делает электронныйдискурс ближе к устному порождению, несмотря на то, что материальнойформой существования электронного дискурса является письменный знак.

Рассмотрим в рамках нового соотношения продукт / процесс электронную процессуальность, которая отличается как от письменной, так и от устной процессуальности. Теоретически пишущий имеет возможностьперечитать создаваемое им сообщение, однако эта возможность, как ивозможность читающего вернуться к уже прочитанному, на делеиспользуется очень редко. Это обусловлено тем, что ситуация порожденияречи предполагает высокую скорость обмена информацией, и, вследствие этого, пользователь вынужден, чтобы не «выпасть» из общения, быстросоздавать свои сообщения и отправлять их. Таким образом, пользователь, создав сообщение, отправляет его, не имея возможности его переосмыслить, а, следовательно, структурировать

свою мысль таким образом, как этоделается при порождении письменного речевого произведения. Только когдаоно через несколько секунд появляется в окне чата, став доступным всемобщающимся, автор может его увидеть. Никакой корректировке этосообщение уже не подлежит, и, следовательно, единственный способулучшить каким-то образом то, как выражена мысль - это написать новоесообщение.

Итак, электроннаяпроцессуальность обладает рядом особенностей.

1) В связи с тем, что она имеет поступательный характер,предоставляемая письменной субстанцией возможность перечитать иотредактировать создаваемый текст используется общающимися крайнередко.

2) Для электронного дискурса также характерна синхронность мысли и ее вербальногокодирования. Эта черта традиционно отождествляется с устным порождением. Результатом переноса этого форматирующего признака написьменную субстанцию является то, что пользователи, вынужденныенабирать реплики так быстро, насколько это возможно, стихийно ищут такиеспособы написания, которые обеспечили бы им необходимую скоростьнабора.

3) Реактивность в чатах также отличается как от реактивности устной, таки от реактивности письменной. В то время как при устном общении авторречевого произведения может увидеть реакцию на свою реплику,выраженную в виде таких паралингвистических факторов, как мимика илижесты, и, в соответствии с этой реакцией модифицировать свое высказывание, посетитель чата может увидеть реакцию на свою репликутолько в виде ответной реплики. Это, естественно, связано с отсутствием звукового и визуального контакта междуобщающимися в чате, и являетсяследствием того, что для общения в чатах используется графическая субстанция.

Таким образом, в электронном дискурсе наблюдается перенесение форматирующих свойств устной процессуальности, на субстанцию, присущую письменной процессуальности, т.е. на графический знак. Очевидно, это является причиной того, что использование письменного кода в Интернете существенно отличается от традиционной ситуации письменного общения.

В рамках электронного дискурса существуют жанры, тяготеющие либо к устным, либо к письменным текстам. Так, например, чат близок к разговорной речи, а Интернет-конференция приближена к письменному тексту. Однако, несмотря на тяготение к одному из типов дискурса (письменному или устному), практически все жанры, функционирующие в сети Интернет, занимают промежуточное положение между устной и письменной формами речи.

Литература

1. Лутовинова О. В. Лингвокультурологические характеристики виртуального дискурса // автореф. диссертации на соискание ученой степени доктора фил наук. Волгоград, 2009.
2. Рязанцева Т.И. Некоторые особенности реализации коммуникативных принципов и стратегий в условиях компьютерно-опосредованного общения. http://www.ffl.msu.ru/img/pages/nauka/vestnik/ryazantseva_vestnik_1_2007.doc
3. Collot, M., Belmore, N., Electronic Language: A New Varietyof English // Communication: Linguistic, Social and Cross-Cultural Perspective. - Amsterdam: John Benjamins Publishing, 1996.

ელექტრონული დისკურსის თავისებურებანი

თ.ბაკურაძე, მ.ჩხარტიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., 77

ელექტრონული დისკურსის თავისებურებები განპირობებულია იმ კომუნიკაციის არხის სპეციფიკით, რომელის მეშვეობითაც ხორციელდება ელექტრონული ურთიერთობა. ელექტრონული დისკურსი როგორცწერითი, ასევე ზეპირი მეტყველების ინტეგრირებას წარმოადგენს, რაც ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ფორმებისა და ხერხების განვითარებით არის გამოწვეული.

Peculiarities of Electronic Discourse

T.Bakuradze, V.Chkhartishvili
Georgian technical university,
77 Kostava Str., Tbilisi, Georgia

Specific features of electronic discourse are caused by the peculiarities of the communication channel by means of which electronic relationships are carried out. Electronic discourse represents a combination of both written and spoken forms of language and is caused by the development of new forms and means of communication and information technologies.

ელექტრონული ინგლისურის ვარიანტულობა

თ.ბაკურაძე, *ასოცირებულიპროფესორი*
მ. ჩხარტიშვილი, *ასოცირებულიპროფესორი*
საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., 77

ინგლისურ ენას გააჩნია ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი დამწერლობის ტრადიცია და კოდიფიცირებული ენობრივი, კერძოდ, ორთოგრაფიული ნორმა. მრავალი საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებულ ამ ნორმას გააჩნია პრესკრიპციული ხასიათი; ეს ნორმა გამოიხატება წერის პროცესის მარეგლამენტირებელი წესების განსაზღვრულ კრებულში. ინტერნეტის მომხმარებელი ამ წესებით არის შეზღუდული და დაწერილობის შესაძლო გრაფიკული ვარიანტებიდან მხოლოდ ერთადერთია დასაშვები და სწორი. მაგრამ საკვლევი ენისათვის დამახასიათებელია გარკვეული შეუსაბამობა ფონემურ და გრაფემულ შემადგენლობა სშორის. გარდა ამისა, ენაში მიმდინარე ყველა ცვლილება პირველ რიგში ეხება მეტყველების ზეპირ ფორმას, რომელიც ყველაზე იოლად ითვისებს სხვადასხვა გვარინოვაციებს. ისინი შედის საერთო ზეპირ მოხმარებაში და შემდგომში შეიძლება წერითმეტყველებაშიც შეაღწიოს, თავდაპირველად ოკაზიონალიზმების სახით და, თუ ისინი ტრადიციულზე უფრო ეფექტური აღმოჩნდება, მიიღება ენობრივი სუბიექტების უმრავლესობის მიერ. წერითმეტყველებაში ინოვაციების შეღწევის პროცესს მნიშვნელოვნად აკავებს არსებული პრესკრიპციული ნორმა, რომელიც თავისი ბუნებით კონსერვატიულია.

წერითი და ზეპირი „ენების“ მოყვანა წონასწორობასთან ახლოსმყოფ მდგომარეობაში რთული ამოცანაა და მისი გადაწყვეტა არაერთი მეცნიერის ძალისხმევის ობიექტია. ბგერების წერითი ფორმით გადმოცემის საშუალებებთან შეუსაბამობის პრობლემა ძალზე აქტუალურია, და ორთოგრაფიული რეფორმის მომხრეთა მთავარ არგუმენტს სწორედ ბგერისა და ასოთა სიმეტრია წარმოადგენს.

ორთოგრაფიის პრობლემები ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტს, თუმცა, შეუძლებელია ამ საკითხის უყურადღებოდ დატოვება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩატებში, შესაძლოა, ამჟამად შეინიშნებოდეს ორთოგრაფიის ახალი ნორმების სტიქიური შექმნა, რომელთა შესახებაც მეცნიერები გაცხოველებით კამათობენ. სიტყვების დაწერილობის ახალი გრაფიკული ვარიანტების სტიქიური ძიების პროცესი უზრუნველყოფილია იმით, რომ ორთოგრაფიის პრესკრიპციული ნორმები მომხმარებლებისათვის მათ კომპიუტერებს მიღმა რჩება. საკუთარი ენობრივი ნორმატიულობა ჩატებში ჯერაც არაა ჩამოყალიბებული და მომხმარებლები გაუცნობიერებლად ეძებენ გამოხატვის საშუალებებს, რომლებიც ოპტიმალურად შეესაბამებოდეს ახალი არხის მოთხოვნილებებს და ამ ძიებას უფრო ნაკლებად აკავებს პრესკრიპციულინორმა, ვიდრეესხდება წერის დროს ჩატის გარეთ. ეს გამოიხატება წერის დროს სიტყვის არა ტრადიციული ორთოგრაფიის, არამედ გრაფიკული გადმოცემის ალტერნატიული ვარიანტების გამოყენებაში, რაც გაზრდიდა რეპლიკის კლავიატურაზე აკრეფის მოხერხებულობას და, იმავდროულად, შეინარჩუნებდა სიტყვების ცნობადობას. გრაფიკული ასიმეტრია, რომელიც შეინიშნება ინგლისურ ენაში, არის მთელი რიგი სიტყვების დაწერილობის მონაცვლეობის წყარო.

ამგვარი მონაცვლეობა ფართოდ გამოიყენება ჩატებში. განვიხილოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობსასეთი სახის ვარიანტულობას.

რამდენიმე ათწლეულის წინ შექმნილი ინტერნეტი აღიქმება სივრცედ, სადაც შესაძლებელია ტრადიციული ენობრივი ნორმების იგნორირება და ადამიანი თავისუფლდება ჩარჩოებისგან. ეს განთავისუფლება განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩატებისათვის და ეხება როგორც ურთიერთობის თემატიკას (ჩატებში განიხილება პრობლემები, რომლებიც ხშირად „ნებადართულის“ ზღვარზე ან მის მიღმაა), ასევე გამოხატვის საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება ამ ურთიერთობებში. ქცევის თავისუფლება გამოიხატება ენისადმი გარკვეულ დამოკიდებულებაში. ჩატების მონაწილეებს ახასიათებთ ენობრივი ნორმების თავისუფალი გამოყენება. ამის გამო დაწერილობის ერთი, ყველასათვის სავალდებულო ვარიანტის ნაცვლად ჩატებში შესაძლებელია რამდენიმე – ორი, სამი, ხანდახან კი ოთხი ვარიანტის წარმატებული თანაარსებობა.

ადამიანები, რომლებიც მუდმივად ურთიერთობენ ჩატებში, როგორც წესი, ბრწყინვალედ ფლობენ კლავიატურას. არსებული გრაფიკული ვარიანტებიდან რომელიმეს რეალიზაციისას მომხმარებლები გაუცნობიერებლად ემორჩილებიან ხელის მოტორიკას. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღვნიშნოთ, თუ როგორ აღწერდა მოძრაობის ჩვევის ჩამოყალიბებას ნ.ა. ბერნშტეინი (1, 43). ნებისმიერი მოძრაობის შესრულებისას ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე დონე. ერთერთი მათგანი წამყვანია, დანარჩენი – ფონურია. როცა ესა თუ ის მოქმედება სრულდება პირველად, მისი ყველა ფაზა კონტროლირდება წამყვანი დონით, თუმცა მოძრაობის ჩვევის განვითარების კვალდაკვალ წამყვანი დონე

მოძრაობის ამა თუ იმ ელემენტების შესრულებას „ანდობს“ სხვადასხვა ფონურ დონეს. ამრიგად, ყოველი ავტომატიზებული მოძრაობა წარმოადგენს კომპლექსს, რომელსაც მართავს წამყვანი დონე. „მისი დირიჟორობით მოძრაობის შესრულებაში მონაწილეობს მთელი რიგი ფონური დონეებისა, რომლებიც ემსახურება მოძრაობის ფონურ ან ტექნიკურ კომპონენტებს“ (იქვე). მომხმარებელი, რომელიც კარგად ფლობს კლავიატურას, ხელის მოძრაობას ასრულებს ფონური დონეებით. წამყვანი დონე ახორციელებს ზოგად კონტროლს იმ ტექსტზე, რომელიც ჩნდება ეკრანზე. ამრიგად, ჩატებში ურთიერთობისას, ხელით მაქსიმალურად ეკონომიური მოძრაობის „არჩევა“ მიმდინარეობს ფონურ დონეზე, მაშინ როცა წამყვან დონეზე უკუკავშირის მექანიზმის მეშვეობით ხდება კონტროლი იმაზე, რომ ამის შედეგად მიღებული გრაფიკული ვარიანტი არ აფერხებდეს აზრის გადაცემას. ამასთან ერთად, ტექსტის ორთოგრაფიული სისწორე მეორეხარისხოვანი ხდება, რადგან წინა პლანზე იწევს აკრეფის სისწრაფე. გრაფემულ დონეზე ავტომატიზმის ნაცვლად თამაშში შემოდის ავტომატურობა ხელის თითების მოძრაობის დონეზე და ხშირად ხელი თავად პოულობს დაწერილობის ვარიანტს. ხშირად ეს ვარიანტი განსხვავდება არსებული ნორმისაგან.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს დაწერილობის ამა თუ იმ გრაფიკული ვარიანტის არჩევანზე, არის ის, თუ რამდენადაა იგი გასაგები. ვარიირება ნარჩუნდება ადრესატის მიერ ტექსტის ადეკვატური დეკოდირების შესაძლებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. ეს დასაშვები ზღვარი კონტროლირდება უკუკავშირის მექანიზმით.

ამრიგად, კვლევის პროცესში გამოვლინდა სამი ფაქტორი, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ არსებულთაგან ერთ-ერთი გრაფიკული ვარიანტის რეალიზაციას. აღნიშნული ფაქტორებია: 1) ურთიერთობის თავისუფლება, რომელიც ვლინდება გრაფიკული გადაცემის თავისუფალ მონაცვლეობაში; 2) ტექსტის აკრეფისასხელის მოძრაობების ავტომატიზება და დროის დანახარჯების მინიმიზაციისაკენ სწრაფვა უკანა პლანზე სწევს ტექსტის ორთოგრაფიულ სისწორეს; 3) უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც ზღუდავს ლექსიკური ერთეულების ვარიანტულობას.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ურთიერთქმედება უზრუნველყოფს იმ ინტრალინგვისტურ სპეციფიკას, რომელიც შეინიშნება გრაფიკული ვარიანტულობის დონეზე და სხვადასხვაგვარად ვლინდება.

ლიტერატურა

1. БернштейнН.А. Физиология движений и активность. М.: «Наука», 1990.
2. ФедороваЛ.Л. Маскарадная коммуникация в компьютерных сетях. 2002. http://rus.1september.ru/article.php?ID=200204807
3. Crystal D. Language and the Internet. Ed. Cambradge University Press, 2001.
4. CvjetkovicS.Computer-Mediated Communication:A Study of Language Variation on Internet Chat. Gothenburg University,2010.

Variation in Electronic English

T.Bakuradze, V.Chkhartishvili

Georgian technical university, 77 Kostava Str., Tbilisi, Georgia

The kind of written English used in online chat rooms is adapted to the medium and context where it is used. Various temporal, spatial and social restrictions regulate and determine the form and size of

communication in different ways. Most of the language features peculiar to chats are used in order to save time and space.However, some features are used in order to reflect spoken language, and to demonstrate mastery ofchatroomsocial conventions.

Вариативность электронного английского

Т.Бакурадзе, М.Чхартишвили
Грузинский технический университет, Грузия, Тбилиси, ул.Костава, 77

Используемый в чатах английский язык адаптируется к потребностям данного канала связи и соответствующему контексту. Разные временные, пространственные и социальные особенности регулируют и определяют формат общения. К большинству характерных для чатов языковых средств пользователи прибегают с целью экономии места и времени. Однако некоторые особенности заимствуются из разговорного языка, или же направлены на демонстрацию пользователями своего знанияс ложившихся вчатах социальных условностей.

ენის არსი და რაობა გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკაში

ელგენდარაშვილი ნატალია
სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
I კორპუსი, უფროსი სპეციალისტი

ილია ჭავჭავაძის მიერ შემოთავაზებული ღვთიური ტრიადა – ,,ენა, მამული, სარწმუნოება", ქართული მენტალიტეტისათვის ეჭვმიუტანელ ჭეშმ-არიტებად არის აღიარებული და ტრადიციული თვალთახედვის ქვაკუთხედადაა მიჩნეული. ილიას შემდგომი არსისა და მისი ენობრივი გამოხატვის საკითხს მრავალგზის დაუფიქრდა და ჩაუღრმავდა გრიგოლ რობაქიძე, მან მოგვცა მრავალი ორიგინალური თვალთახედვა ენაში იდუმალისა და რეალურის გამოხატვისა, რაც ქართულში სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

გრიგოლ რობაქიძე სარწმუნოებას და ენას გამუდმებით უკავშირებს ერთმანეთს, როცა სურს ყოფიერების ირაციონალური მუხტის ახსნა მკითხველისათვის.

ქართულს, როგორც ,,უგენიალურეს ენას" შეუძლია პრეისტორიული დაგვაახლოვოს და თანამედროვე გარემოში დაგვანახოს უძველესი მოვლენის მარადიული არსებობა. ამის მაგალითია გრ. რობაქიძის მიერ ისეთი სიტყვების განმარტება, როგორიცაა: ,,თავადი" (,,არია", ,,გონი", ,,ესპრი"), ,,ზორვა" (,,სისხლი". ,,გაშავება", ,,შარავანდედი"), ,,ჯიში" (,,მზის ჭავლი", ,,უჯიშობა"), ,,სიცოცხლე" (,,ცეცხლი", ,,აცეცხლება", ,,შლეგი". ,,ხალასი"), ,,მიწიერი" (,,განფენა", ,,აღწერა"), ,,მე" (,,ვარ", ,,ხარება", ,,ზრდა"), ,,ერთხელური" (,,გახარება") და ა. შ.

ენის, როგორც ნაციის შემკვრელის, მისი მენტალიტეტის ჩამომყალიბებლის, შესახებ არაერთგზის განსჯისას, გრიგოლ რობაქიძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ სახელდებით შესაძლებელია ჩაწვდომა და გაგება ყველაფრისა. იგი წერილში ,,ევგენი გეგერჭკორი" წერს: ,,ზრდილნი არიან იმერნი.., ცნობილია ძველთაგან. მეგრელთა ზრდილობა მეტად ნიუანსიანია. ,,ზრდილობა" გულისხმობს ,,ზრდას" და ზრდა ,,ქცევას" – ქცევა კი: ,,თავდაჭერას" [1, 140].

ქართულ ხასიათზე დაკვირვებისას და მსჯელობისას გრიგოლ რობაქიძემ არაერთი სიტყვა დაუკავშირა ურთიერთს და მიიღო საერთო მახასიათებელი დასავლურ-ქართული კუთხეებისა. მისთვის ,,ზრდილობა" აუცილებლად ,,ზრდასთან" კავშირშია, რაც იმავდროულად პიროვნების თანდათანობით სრულყოფასა და სრულყოფილებას ნიშნავს და აუცილებლად ,,ქცევასაც" გულისხმობს და ,,ქცევიდან" ,,თავდაჭერამდე" მაღლდება. გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვა ორიგინალურია და დამაჯერებელი. მართალია, იგი დიდხანს არ ჩერდება თავის სიტყვიერ მიგნებებსა და წიაღსვლებზე, უმალ ახალს გვთავაზობს, მაგრამ დაკვირვებული თვალისთვის, ცხადია, როგორი ვირტუოზი იყო იგი მშობლიური ენის არსის წვდომისას. ამ მხრივაც იგი მედიტაციურად ღრმა და შეუდარებელია.

აკაკი წერეთელსა და მის ლირიკაზე მსჯელობისას გრიგოლ რობაქიძე კვლავ ენაში შემჩნეულ ნიუანსებზე ამახვილებს ყურადღებას: იგი ,,ვედრებას" უწოდებს ლექსების მთელ წყებას, რომლებიც ,,გალობას" უტოლდება. ის ამ შემთხვევაში ამგვარ ტრიადას გვთავაზობს: ,,ვედრება" -> ,,გალობა" -> ,,სიმღერა". მისივე დასკვნით, აკაკი თავისი ღვთაებრივი შაირებით საუკეთესოდ გამოხატავს ერის სულისკვეთებას, იგი ქართველი კაცის ,,ვედრებას" ,,გალობად", ხოლო ამ უკანასკნელს საყოველთაოდ ასატაცებელ ,,სიმღერად" აქცევს.

გრიგოლ რობაქიძის გონებრივ თვალსაწიერში ერთიან კონტექსტშია მოაზრებული ,,ლოცვა" და ,,გამარჯვება". გრიგოლ რობაქიძე, როცა აანალიზებს აკაკის ,,ჩემს თავგადასავალს", ქართველი ქალის – პოეტის დედის საქციელს, ასე აფასებს: ,,საგულისხმოა ფრიად: როგორ ეხება დედა შვილის გამარჯვებას. იგი ეკითხება შვილს: დღეს დილას, სანამ სასწავლებელში წახვიდოდი, დაუჯდომელი პარაკლისი ხომ არ დაგვიწყებიაო? ესმის პასუხი: როგორ დამავიწყდებოდა, მით უფრო, განსაცდელში მივდიოდიო! დედა – თითქო ამ პასუხს უცდიდა – ეუბნება შვილს: კიდეც მიტომ გაგიმარჯვნია – უღმერთოდ, რაც უნდა იცოდე, ვერას გააწყობო" [2, 258].

გრიგოლ რობაქიძეს ენისა და სარწმუნოების, ენისა და ეროვნული იდენტობის საკითხებზე მსჯელობისას ყოველთვის ორიგინალური თვალთახედვა აქვს. იგი ამოდის ლექსიკური მონაცემების ერთობიდან, ასე აგებს იგი საკუთარ კონცეფციებს; მისთვის მთავარი ,,ფესვების" წვდომაა, პირველწყაროს მიგნება და მისი გაშლა-განვრცობა.

ქრისტეს და ქრისტიანობას ქართულ სინამდვილეში განუმეორებელი ენობრივი გამოხატვა შეეფარდა. გრიგოლ რობაქიძე აქ ჭვრეტს ყველაზე სათუთ მომენტებს ჩვენი ერის ბედისწერაში. იგი ქრისტიანობას განყენებულად და ცალკე მოვლენად არ მიიჩნევს, მისთვის ვნებული და ჯვარცმული ღვთაება მარადიულად მყოფი და იმდროიდანაც არსებული მოვლენაა, სანამ კაცობრიობის ერთი ნაწილი შეიცნობდა და აღიარებდა მას. მსგავსი ვიზიონერული აღქმა, განსაკუთრებით ორიგინალური ქართული გარემოსათვის, მწერალმა ნიშნეულად მიიჩნია და ეს თავისებურად ახსნა კიდეც არაერთ ,,ექსკურსში", რაც თავიდანვე არც კი ეხებოდა სარწმუნოებას ან ენას.

გრიგოლ რობაქიძის აზროვნებას თავისთავადობა და ენის ღვთიური არსის ჩვენების მცდელობა კარგად ჩანს მის მსჯელობაში ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" შესახებ, რომელსაც ,,ზემიწიერის ქართულ მიწაზე დაფენა" უწოდა,

ასევე ვაჟას ,,ფშაველი ჯარისკაცის წერილსა" და უიარაღოს ,,მამელუკის" ბოლო სცენაში. სამივე ნაწარმოების არსი, მათი ენობრივი გარსი და მათში ასახული იდეა გრიგოლ რობაქიძეს მთლიანი ქართული ყოფის გაგებას აძლევს. ,,გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება" და მასში ასახული ქრისტეანული თავგანწირვა, ქართული ენის მნიშვნელობის აღიარებითა და უსისხლო თავშეწირვით, უძველესი რელიგიების კეთილშობილი, არამიწიერი და მიუწვდომელის სიმბოლოა მისთვის, ხოლო ვაჟას ,,ფშაველი ჯარისკაცის წერილში" აშკარად ხედავს ,,ქრისტეს მხედრების" ანუ ქართველი რაინდების მფარველის უძველეს პლასტს და ,,უიარაღოს" ფინალში ჩვენი მარადიული ბრძოლის, სისხლის ნთხევისა და სხვათა სიკეთისაკენ ბრძოლის ბედისწერას.

ენის, როგორც ეროვნული იდეოლოგიის მთავარი სუბსტანციის აღქმა, მისი დაკავშირება ადამიანთა რასასთან, ჯიშთან, ბედისწერასთან, ყოველთვის იყო გრიგოლ რობაქიძის აზროვნების ქვაკუთხედი. ამ კუთხით იგი ხშირად თანამედროვეთათვის გაუგებარ გზებს ადგა და ასეთი გამომწვევი ,,რჩეულობისათვის" მისი მიწიერი ხატი სასტიკად დაისაჯა კიდეც.

გრიგოლ რობაქიძე ენას და ჯვარს ერთ კონტექსტში მოიაზრებდა, რადგან ქრისტიანული რელიგია მწიგნობრობასთან იგივდებოდა. მისთვის ენა და აზროვნება ,,ხმლის" ანუ ,,ძალის" თანაბარ ოდენობად განიხილებოდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რწმენისა (ჯვარი) და ძალის (ხმალი) ერთიანობის იდეა ქართული აზროვნებისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი. გრიგოლ რობაქიძემ ეს იდეა მემკვიდრეობით წინაპრებისაგან მიიღო და გაითავისა. მისი ყველაზე პოპულარული დრამა ,,ლამარა" სწორედ რწმენისა და ძალის ერთიანობის აუცილებლობაზე მიუთითებს: მწერლის ინტერპრეტაცია ვაჟა-ფშაველას ,,გველისმჭამელზეა" დამყარებული, ხოლო თავად ვაჟა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ,,ხოგაის ძის მითს" ეფუძნებოდა.

გენიალურმა ვაჟა-ფშაველამ თავის პოემაში ხალხური სიტყვიერების მონაცემები შესანიშნავად გამოიყენა, მასში მცირედი ცვლილება შეიტანა და ახალი ძალით დაუბრუნა საკუთარ ხალხს; გრიგოლ რობაქიძემ კი კიდევ უფრო გაამკვეთრა ირაციონალური მუხტი თავის დრამაში და ,,ხმალისა" და ,,ჯვარის" ერთიანობის ტრიუმფად აქცია [3, 105-114].

ამრიგად, დიდმა შემოქმედმა ,,ლამარაში" სწორედ ,,ჯვარსა" და ,,ხმალს" ერთად გაატანინა ლელო. ეს ტრადიცია ,,ჯვრისა და ხმლისა" აკაკი წერეთლის პოეზიიდან მომდინარეობს. აკაკიმ თავის ,,გორგასლიანში" ინტელექტუალური ,,ჯვარი" და უხეში ძალა ,,ხმალი" ქვეყნის სამსახურში ერთად მოიხსენია. იდეოლოგია, როცა ,,ხმალსა და "ჯვარს,, ერთად გააქვთ ლელო, დღესაც მთავარ თემად რჩება ჩვენი ერის ცხოვრებაში.

გრიგოლ რობაქიძე გრძნობდა ქართული ენის ფარულ მხარეებს, აშკარად იზიარებდა მისი შინაგანი რჩეულობის იდეას და ამას თავისებურად ასაბუთებდა კიდეც. იგი სიცოცხლის დასასრულს გიორგი გამყრელიძეს წერდა: "ქართულში ,,დამარხულ" საიდუმლოთა ,,გამოშიგვნისას" წინ მეშლებოდა ქართული ზეპიროვნული გენიის მიერ წარმოსახული სამყარო, ესე იგი: ,,მსოფლხატი". მოყვანილ მაგალითებშიც ქართული სიტყვის ლოგოურო (ულოგო) ქვედენისა ილანდება ეს მსოფლხატი. მივუახლოვდეთ ამ ,,ლანდურს". 1. ქართველი მევენახე მწიფობისას ყურძენისა იტყვის ხოლმე ,,თვალი ჩასულა მტევანში". ,,თვალით" აქ

ნაგულისხმევია მზე: ,,მზერა" – ,,მზე". მითიური ხატი პირდაპირ უმაგალითო!... ახლა ვიხილოთ ,,ჯვარი ვაზისა". ქრისტე მითიურად არის მზე. მის მიმართ მევენახის ნათქვამი გამოდის ასე: ,,ძე ღვთისა" ჩასულა ,,ვაზის ნასხლებში: ჩასულა ვითარ ვნებული (ბახოფენის მოწმობით, მითოლოგიაში "ვნებული მზეც,, არის). ვნება ქრისტესი ,,ვაზის ჯვარში" თითქო ლერწად იქცევა, რომელსაც მოაქვს ,,შვება" – ჯვარცმა ქრისტესი ხომ ,,ხსნა" არის (,,შვება": ,,ბადება", ,,განთავისუფლება", ,,სიხარული" – აი კიდევ ერთ საიდუმლო, ქართულში ,,დამარხული"!).

,,ჯვარი ვაზისა". მითქვამს და ვიმეორებ: ასეთი უნივერსალური რეალსიმბოლო მთელს საქრისტიანოში არ მოიპოვება. ეს სიმბოლო შეიძლებოდა მხოლოდ იმ მხარეში წარმოშობილიყო, საცა მევენახე ამბობს: ,,თვალი ჩასულა მტევანში" [4, 302-303].

გრიგოლ რობაქიძის დასკვნით, ნებისმიერ განცდას აუცილებლად უნდა დაეძებნოს შესაფერისი სიტყვა, მაგრამ ეს სიტყვა იმავდროულად ,,ქვე-ფენების" არსსაც უნდა გამოხატავდეს – ასეთია გრიგოლ რობაქიძის მიდგომა სიტყვიერი მასალისადმი [5, 184].

გრიგოლ რობაქიძე იყო უერთგულესი განმგრძობი წმინდა ილია მართლის ღვთაებრივი ტრიადისა, რომელიც დღესაც აქტუალურია ქართული თუ ანტი-ქართული აზროვნებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გრ. რობაქიძე, ,,ევგენი გეგეჭკორი". იხ. გრ. რობაქიძე კრებული, კარლო ინასარიძის გამოცემა, მიუნხენი, 1984;
2. გრ. რობაქიძე, ,,სხვადასხვა". იხ. გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, კრებული, თბ., 1996
3. 3. გრ. რობაქიძე, ,,ლამარა (მოკლე ბიოგრაფია)". იხ. გრ. რობაქიძე კრებული, კარლო ინასარიძის გამოცემა, მიუნხენი, 1984;
4. გრ. რობაქიძე, ,,გიორგი გამყრელიძეს". იხ. გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, კრებული, თბ., 1996;
5. ე. ცხადაძე, თანამედროვე ქართული ინტელექტუალური პროზის სტილური თავისებურება (გრიგოლ რობაქიძე) ჟურნ. ,,კავკასიის მაცნე", 2004, N9.

რეზიუმე

გრიგოლ რობაქიძე სარწმუნოებას და ენას გამუდმებით უკავშირებს ერთმანეთს, როცა სურს ყოფიერების ირაციონალური მუხტის ახსნა. მას ენისა და სარწმუნოების, ენისა და ეროვნული იდენტობის საკითხებზე მსჯელობისას ყოველთვის ორიგინალური თვალთახედვა აქვს. იგი ამოდის ლექსიკური მონაცემების ერთობიდან, ასე აგებს იგი საკუთარ კონცეფციებს; მისთვის მთავარი ,,ფესვების" წვდომაა, პირველწყაროს მიგნება და მისი გაშლა-განვრცობა.

გრიგოლ რობაქიძე იყო უერთგულესი განმგრძობი წმინდა ილია მართლის ღვთაებრივი ტრიადისა, რომელიც დღესაც აქტუალურია ქართული თუ ანტიქართული აზროვნებისათვის.

Resume

Grigol Robakidze always continuously connected to each other the faith and language when he wants to explain an irrational existence charge. He at discussing the issues of language and faith, language and national identity always has the original conception. It rises from the lexical data unity, he construct his conceptions in such manner, for his primary is to acquisition of „roots", to find the original source and its extension-distribution.

Grigol Robakidze was a faithful disseminator of Saint Ilia divine triad, which is still topical in Georgian or anti-Georgian thinking.

Резюме

Григол Робакидзе постаянно говорит о взаимосвязи вери и языка, когда желает объяснить существование иррационального заряда. При рассуждении о вопросе национальной идентичности языка и веры он имел свой оригинальный взгляд.

Он исходит из единства лексических данных и так строит их собственную концепцию; для него главное постижение «корней» и первоисточника и их разложение-расширение.

Григол Робакидзе был верным преданным божественной триаге Святого Ильи Справедливого, что и сегодня актуально для грузинского и негрузинского мышления.

ზმნები, რომლებსაც გააჩნიათ მოძრაობის მეორადი მნიშვნელობა

მანანა ივანისელი, თინათინ სინჯიაშვილი
სტუ, თბილისი, კოსტავას 77

როდესაც მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების გამოყოფის პრინციპებს ვაკონკრეტებდით, აღვნიშნეთ, რომ სივრცეში გადაადგილების სრულ პროცესს აქვს დასაწყისი, დასასრული და შუალედური წერტილები, საიდანაც მოძრაობა შესაძლებელია გაგრძელდეს და ამ ნაწილების აღმნიშვნელი ზმნები აუცილებლად უნდა იქნენ შეყვანილნი, როგორც ზოგადად მოძრაობის აღმნიშვნელ, ასევე სივრცეში გადაადგილების გამომხატველი ზმნების რიგებში. მოცემული ჯგუფის განხილვისათვის შეგვიძლია ავიღოთ ამ ტიპის რამოდენიმე ყველაზე ხშირად გამოყენებადი ზმნა და დავაკვირდეთ მათ სტრუქტურულ თავისებურებებს მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან ერთად. დასაწყისისათვის კი უნდა გადავხედოთ ამ ზმნების განმარტებებს ინგლისურენოვან ლექსიკონებში.

To stop - put an and to (the movement or progress of a person, thing, activity, etc). – შეწყვეტა, შეჩერება (მოძრაობის, პროგრესის, საქმიანობის და ა.შ.); [14]

To finish - bring or come to an end , complete – დაასრულო, დაამთავრო; [14]

To start - to begin, to leave; set out – დაიწყო, შეუდგე, გაუდგე (გზას); [14]

To begin - to start (Used of activities and states that come into existence) – დაიწყო, დასაბამი მისცე; [14]

To continue - go father; go on; start again after stopping – განაგრძო, გააგრძელო; ხელახლა დაიწყო შეჩერების შემდეგ; [14]

To keep - cause aprocess or state to continue – გააგრძელო, განავრცო; [14]

Go on - continue, presereve, with – განაგრძო, არ შეწყვიტო; [14]

Carry on - continue – განაგრძო, არ შეწყვიტო; [14]

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ყველა ეს ზმნა მოძრაობის დაწყება-დამთავრებას ან გაგრძელებას გვიჩვენებს. წარმოდგენილი ზმნების რაოდენობა კი საკმარისია ამ ჯგუფის დასახასიათებლად.

ფეხით მყარ ზედაპირზე გადაადგილების გამომხატველი ჯგუფის ზმნების ე.ი. walk და run ზმნების განხილვისას, სასურველია დავაკვირდეთ მათ ერთობლივ გამოყენებას, აღნიშნული ტიპის ზმნებთან.

თუ მოცემული ქვეჯგუფის „ფეხით გადაადგილება მყარ ზედაპირზე“ ზმნებს განვიხილავთ ისეთ წინადადებებში, სადაც ისინი გამოყენებულნი არიან stop - begin - continue ტიპის ზმნებთან ერთად, ნათელი გახდება, რომ მოძრაობის დაწყების – დამთავრების და გაგრძელების გამომხატველი ზმნები მოცემული ქვეჯგუფის ზმნებს აზრობრივად შეერწყმიან და მათთან ერთად ერთ სემანტიკურ მთლიანობად გადაიქცევიან, ვინაიდან დაწყება, გაგრძელება და დამთავრება მთლიანი მოძრაობის ან გადაადგილების გარკვეულ ნაწილს გამოხატავენ. ანალოგიურ სურათს ვხედავთ, როდესაც ამ ტიპის ზმნები გამოიყენება ცვლილების გამომხატველ,ანუ აბსტრაქტული მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან. ამ დროს ისინი აბსტრაქტული მოძრაობის ნაწილი ხდებიან.

დავაკვირდეთ წინადადებებს: „He started walking along the gallery“. თუ სიტყვა-სიტყვით გადმოვცემთ წინადადების აზრს, მივიღებთ შემდეგ ვარიანტს: „მან დაიწყო ნაბიჯით სვლა (ან შეუდგა ნაბიჯით სვლას) გალერეის გაყოლებაზე“. ადექვატურ თარგმანში „დაიწყო ნაბიჯით სვლა“ ან „შეუდგა ნაბიჯით სვლას“ მიიღებს ასეთ სახეს: „ის ნაბიჯ-ნაბიჯ გაუყვა გალერეას“. ჩვენ ვხედავთ, რომ სიტყვა started – დაიწყო თარგმანში შეგვიძლია საერთოდ არ გამოვიყენოთ, ვინაიდან იგი შეერწყა ფრაზას “ნაბიჯ-ნაბიჯ გაუყვა“ და ამ ფრაზის ორგანული ნაწილი გახდა. სემანტიკური ანალიზისას ვხედავთ, რომ მოცემული გვაქვს გადაადგილების გარემო გამოხატული სიტყვებში „along the gallery“ და ეს ნიშნავს, რომ ინტეგრალური სემა „გადაადგილების გარემო“ რეალიზეგულია დიფერენციალურ ნიშანში „მყარ ზედაპირზე“. „გადაადგილების საშუალება“ დაკონკრეტებულია დიფერენციალურ ნიშანში „ფეხით, ნაბიჯით“, ინტეგრალური სემა „გადაადგილების ხასიათი“ ვლინდება დიფერენციალურ ნიშანში „გადაადგილება ფრენის ფაზის გარეშე“, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაადგილებისას არ ხდება მყარი ზედაპირიდან მოწყვეტა. გადაადგილების „ინტენსიურობა“ „ნეიტრალურია“. ასევე “ნეიტრალურია“ გადაადგილების „თავისებურება“, ხოლო ინტეგრალური სემა „სუბიექტი“ აისახება დიფერენციალურ ნიშანში „კონკრეტული, სულიერი“.

ახლა განვიხილოთ სხვა წინადადებები: „He stopped walking at the end of the street“. როგორც ვხედავთ, stopped walking (შეწყვიტა სიარული) იგივეა, რაც შეჩერდა. ეს ნიშნავს, რომ ზმნა stop გამოხატავს სიარულის იმ პროცესის დასასრულს, რომელიც სავარაუდოდ ქუჩის დასაწყისში, ან რომელიმე სხვა წერტილში დაიწყო და შეწყდა ქუჩის ბოლოს. ე.ი. კონტექსტი ნათლად გვიჩვენებს „გადაადგილების გარემოს“ (ქუჩა), რაც აისახება დიფერენციალურ ნიშანში „მყარი ზედაპირი“. ნათლადაა მოცემული „გადაადგილების საშუალება“ – „ფეხით, ნაბიჯით“. ინტეგრალური სემა „გადაადგილების ხასიათი“ აისახება დიფერენციალურ ნიშანში „მყარი ზედაპირიდან მოწყვეტის გარეშე“; „გადაადგილების ინტენსიობა“ – „ნეიტრალურია“, „გადაადგილების თავისებურება“ ასევე „ნეიტრალურია“ და ბოლოს „გადაადგილების სუბიექტი“ კონკრეტდება დიფერენციალურ ნიშანში „კონკრეტული, სულიერი“.

„They went on walking until they reached the station“. – „ისინი აგრძელებენ სიარულს, სანამ სადგურს არ მიაღწიეს“ (ან „მათ სადგურამდე შეუჩერებლად იარეს“). კონტექსტი ამ შემთხვევაში არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად დაიწყო გადაადგილების პროცესი, მაგრამ ვიცით თუ სად დამთავრდა ის (სადგურთან), ანუ სავარაუდოდ ვიცით, რომ გადაადგილება ხდება „მყარ ზედაპირზე“. ასევე ნათლადაა გამოხატული ყველა ის ინტეგრალური სემა და დიფერენციალური ნიშანი, რომლებიც გვექნება წინადადებაში იმ შემთხვევაში, თუ შემასმენელი იქნებოდა were walking, ანუ გამოყენებული არ იქნებოდა ფრაზა went on. ეს ფაქტი კი გვაძლევს საშუალებას stop - begin - continue ზმნების კომბინაციები walk ტიპის ზმნებთან ერთად წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი მთლიანობა და გამოვხატოთ ისეთივე ზოგადი ფორმულით, როგორც ეს გვქონდა ცალკე აღებული walk ტიპის ზმნებთან:

კატეგორიალური სემა-გადაადგილება მყარ ზედაპირზე	ინტეგრალური სემა					
	გარემო	საშუალება	ხასიათი	ინტენსიურობა	თავისებურებები	სუბიექტი
დიფერენციალური ნიშანი	მყარ ზედაპირ-ზე	ფეხით	მოძრაობა ფრენის ფაზის გარეშე	ნეიტრალური	ნეიტრალური	კონკრეტული, სულიერი

ახლა შეგვიძლია განვიხილოთ წინადადებები, სადაც მოძრაობის დაწყების, დამთავრების და განგრძობის გამომხატველი ზმნები run – ტიპის ზმნებთან ერთად გვხვდება:

– „I turned my head and saw that he had stopped running sfter us“ – თავი მოვაბრუნე და დავინახე, რომ ის აღარ მორბოდა ჩვენს უკან (სიტყვა-სიტყვით – შეწყვიტა ჩვენს უკან სირბილი);

– „She went on racing up and down the street looking for her purse“ – ის განუწყვეტლივ დარბოდა ქუჩის ერთი ბოლოდან მეორისაკენ საფულეს ძებნაში;

– „Mary began running as fast as she could to leave the dark deserted street behind“– მერი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, რათა ბნელი, უკაცრიელი ქუჩა უკან ჩამოეტოვებინა.

მოცემულ სიტყვათა კომბინაციები – „had stopped running“, „went of racing“, „began running“ – შეგვიძლია ერთად დავახასიათოთ, როგორც მოძრაობა „მყარ ზედაპირზე“, სადაც გადაადგილება ხდება „ფეხით“. „გადაადგილების ხასიათი“ რეალიზებულია დიფერენციალურ ნიშანში „ფრენის ფაზით“, „თავისებურება“ „ნეიტრალურია“, ხოლო „სუბიექტი“ – „კონკრეტული, სულიერი“. ეს მონაცემები გვაძლევს ზუსტად ისეთ მოდელს, რასაც – run ტიპის ცალკე აღებული ზმნები.

ლიტერატურა:

Cilitz K. H. Verbs of motion in their semantic divergence // Language monograph. Publ. By the Lingvistic society of America. No. VIII. March. 1931. Philadelphia.

ABSTRACT

The article studies such important process as motion and verbs expressing this process.

Two types of motion can be differentiated:

1) Directed movement of objects in space that can be called concrete motion; 2) Change of quality or movement from one particular state or condition to another that can be called abstract motion. Apart from the verbs expressing the main types of motion there are other ones, e.g. stop-begin-continue, that normally do not express motion but if they are used with motion verbs they acquire this meaning.

РЕЗЮМЕ

Статья изучает такой важний процесс как движение и глаголы, которые его выражают.

Можно различить два типа движения: 1) направленное передвижение объектов в пространстве, которое можно назвать конкретные движением; 2) Изменение качества или передвижение от одного качества или состояния к другому, которое можно назвать обстрактным движением.

Кроме глаголов, выражающих основные типы движения, есть глаголы (stop-begin-continue), которые нормально не выражают передвижение, но в случае их употребления с глаголами движение они преобретают это значение.

Intentionality in Fiction

Tamar Mebuke
Georgian Technical University

Key words: intentionality, historisizm, text interpretation, intentional fallacy.

The question of intentionality has been studied by many scholars since ancient times. Plato, Aristotle, Quintilian, Horace have been trying to answer the question: What doest (or should) lite- rature do to us? As a concept from scholastic philosophy, intentionality was reintroduced in contemporary philosophy by Franz Brentano who defined it as the main characteristic of "psychical phenomena" by which they could be distinguished from "physical phenomena". Through the works of Husserl, the concept of intentionality received more widespread attention. Searle defines "Intentionality" as the power of minds to be about, to represent, or to stand for things, properties and states of affairs in the world.

Intentionality", sometimes treated as "horizon", has become a key concept in phenomenological theories about the mode of existence of literary works, the experience of reading, and the process of interpretation. In literary studies, the question of the validity of the methods of determining authorial intent has been debated since the early twentieth century. New Criticism, represented by Cleanth Brooks, W. K. Wimsatt, T. S. Eliot, and others, argued that authorial intent is irrelevant to unders- tanding a work of literature. The author, they argue, cannot be reconstructed from a writing as the text is the only source of meaning. For deconstruction, the authorial intent is irrelevant and unkno- wable. The critic's will and intention are superior to the author's. In other post-structuralist approa- ches, authorial intent exists as a psychological phenomenon, and texts endlessly recreate different psycho-linguistic aspects.

In post-structuralism, there are a variety of approaches to authorial intent. For deconstruction, the authorial intent is again irrelevant and unknowable. The critic's will and intention are superior to the author's (cf. Roland Barthes's *"The Death of the Author"*). In other post-structuralist approaches, authorial intent exists as a psychological phenomenon, and texts endlessly recreate different psycho-linguistic aspects. For some of the theorists deriving from Jacques Lacan, and in particular theories variously called *ecrit feminine*, gender and sex predetermine the ways that texts will emerge, and the language of textuality itself will present an argument that is potentially counter to the author's conscious intent. Reader Response, primarily German and American literary theory, emphasized that the author's intent itself is immaterial and cannot be fully recovered. However, the author's intent will shape the text and limit the possible interpretations of a work. The reader's *impression* of the author's intent is a working force in interpretation, but the author's actual intent is not.

The modern discussion of the role of authorial intention in the activity of the critic is usually taken to start with the aestheticist reaction against romantic individualism, which was an essentially intentionalist current. This reaction is linked to literary modernism and can be seen taking shape in various forms during the nineteenth and the first half of the twentieth century. It is seen, for ins- tance, in the work of Roger Fry, who once said,"*I'm certain that the only meanings that are worth anything in a work of art, are those that the artist himself knows nothing about"* (1957, 86).

The best known and most influential theoretical statement of the anti-intentionalist school is W. K.Wimsatt and Monroe C.Beardsley's article "The Intentional Fallacy" (1967). The authors summarized their position in the statement that "the design or intention of the author is neither available nor desirable as a standard for judging the success of a work of literary art" (1967, Other critics have found that it is just as easy to hold that "the design of the author is both available *and* desirable." (Newton-De Molina 1976) From the extreme intentionalist position a text does not always convey the meaning the writer intended it to have; the writer is not always in control of everything which is at work in the text (Redpath 1976, 17), and he is definitely not in control of an anti-intentionalist interpreter.

Wimsatt and Beardsley take "intention" to mean first of all *prior intention,* the original intention of the author, previous to the actual composition of the work, or the personal intention of the author in those cases where it is different from any intention which may be inferred from the work itself. However, rejection of intention is meant as a rejection of psychologism, in favour of intrinsic criticism--of criticism based on the analysis of the text itself.

Alastair Fowler has noted that "intention means different things at different stages of compo- sition." (Fowler 1976, 242). It also means different things from the point of view of the author at work and from the point of view of the interpreter. "Intention" understood as a working project of the author's is not a concern of the interpreter, except insofar as it may have some kind of bearing on the intention assumed to be present in the work. The response of intentionalist critics to "The Inten- tional Fallacy" has been to show that intention is, to use Wimsatt's terms, intrinsic to the literary work, that the public sharability of language is not separable from a concept of intention. In short, writing literature involves an i*ntention in the action* which is part of the communicative structure of the work. Intention is not merely something which precedes the work or exists apart from it; neither is intentionalism a blind submission to any meaning an author may claim for his work. It is a re- quirement to see the work in the right context. For Gadamer, too, the opposition between intentional meaning and unintended meaning is too simplistic, unsatisfactory (1988, 58).

The critical act may evaluate the text according to an accidental meaning or significance which it has acquired by virtue of the evolution of language. This rests on a very specific conception of lan- guage, which has sometimes been called "semantic autonomism." According to this conception, once it is detached from its enunciator, language becomes autonomous;

the author has no further rights over his utterance. This conception is shared by some structuralists critics. Roland Barthes speaks in this respect of "the death of the author." Barthes sees the author's enunciation, writing, as an empty process which needs no interlocutors. Conversely, the reader is free to make of the text whatever he wants. In this view, literature is not communication, and interpretation is a senseless activity: "*Once the Author is removed, the claim to decipher a text becomes quite futile"* (Barthes 1977, 147). The critic's meaning is as good as the author's.

The critical act generally consists of: 1) interpreting the text to determine the range of possible interpretations and 2) an evaluation of these interpretations, without privileging the authorial mea- ning. But, given the intrinsically intentional nature of language, the creation of a kind of virtual author is presupposed in *2).* The result is that the best meaning is regarded *as if* it were the authorial meaning of the text. It is clear that with such assumptions about the aims of interpretation the difference between authorial meaning and other kinds of meaning need not be a basic critical con- cept. Perhaps the closest example was T.S. Eliot, who viewing interpretation critically, none the less saw fit to provide *The Waste Land* with notes.

It should be clear that the "intentional fallacy" is a particular choice of what is to count as validity in interpretation. The status of intention in interpretation has to be decided by the interpreter, in view of the aims he sets to his activity. The reader need not try to realize the author's intended meaning. The question of whether he should or not is an ethical question, which is answered affirmatively by Hirsch: *"Unless there is a powerful overriding value in disregarding an author's intention (i.e. original meaning), we who interpret as a vocation should not disregard it."* (Hirsch 1976, 90).

Even if there are several correct modes of constructing or using intention, experience tells us that they are not all equally correct in all interpretive contexts. The present-day significance of a work resulting from the conventions of academic interpretation sometimes has more aesthetic relevance than its historical meaning. An interpretation must strive towards coherence and completeness, but in doing so it must not build a perfect structure with the data internal to the work while it conflicts with historical, psychological or cultural assumptions that we might wish to hold. Its hypotheses must remain translatable into other areas of knowledge, with the aim of increasing communication in culture at large.

Hirsch's basic interpretive rule is the distinction between "meaning" and significance. "Mea- ning"(1967) is "meaning in the author's context"; significance is "meaning for us, today." "Meaning" is the result of interpretation, which is logically prior to the inquiry for significance: Meaning is that which is represented by a text; it is what the author meant by his use of a particular sign sequence. Significance, on the other hand, names a relationship between that meaning, and a person, or a con- ception, or a situation, or indeed anything imaginable. (1967, 8) Hirsch relates this distinction to similar differences established by other theorists: Boeckh's "interpretation" and "criticism," Frege's "sense" and "reference," and Husserl's "inner" and "outer horizons of meaning." It is one of Hirsch's main arguements that significance is variable while "meaning" is fixed. Significance changes as each critic relates the work to his own interests or to his own knowledge of the subject-matter the original writer was dealing with (Hirsch 1967, 58, 63); this accounts for concepts such as the life of a work of art, which is relative to the changing significance of the work. "Meaning", on the other hand, is a fixed historical fact: "an author's original meaning cannot change" (1967, 9).

Intentional meaning may not have been wholly conscious for the author himself at any given moment, but it must belong to his "horizon of expectations": "The interpreter's aim, then, is to posit the author's horizon and carefully exclude his own accidental associations" (1967, 222). The author's Intentionality does not necessarily warrant "consciousness of meaning": "there are usually compo- nents of an author's intended meaning that he is not conscious of" (1967, 21). Hirsch explains this apparent contradiction by means of the notion of *typifica-*

tion. The author's Intentional acts (in the Husserlian sense) by which he wills a particular meaning into being are not directed towards each aspect of his intended (Intentional) meaning, but to a typical whole: "the acceptability of a sub- meaning depends upon the *author's* notion of the subsuming type whenever this notion is sharable in the particular linguistic circumstances" (1967, 49). Verbal meaning as such is nothing other than "a *willed type* which an author expresses by linguistic symbols and which can be understood by another through these symbols." (Hirsch 1967, 49)

The ethics of interpretation starts with the respect towards the author's meaning and our efforts to grasp it objectively. The historical meaning is only "a part" of the meaning of the text even from the purely interpretive point of view. However, anti-intentionalism results in anti-historicism. The knowledge of the author's original culture is also an essential asset for the interpreter. We also should not overlook the fact that one of the functions of great literature is to generate diverse interp- retations, which can affect the basic evaluation of the work peripherally.

Focusing on the reader's activity without a reference to the author's meaning does not unify the text; rather, it disintegrates it completely. Reading is an immersion in a conscience different from our own, and it requires total submission to the author's consciousness as it emerges from the work. As Dennett states: *"Wanting to know more about your frame of mind, I put myself in it, or as close to being in it as I can, and see what I thereupon think (want, do...)"* (1987, 100).The hermeneutical tradition since Schleiermacher already stressed that even the simple retrieval of meaning is an active process resting on the play of hypotheses and data, not an act of "reception" (Schleierma cher 1986, 113-17).

Accordingly, interpretation is the breaking down of complex semiotic spaces into others; showing how a new or complex code can be translated into other codes which are more fixed, accessible, or better known. This is based on the very essence of a text as a coded message and at the same time poses difficulties for interpretation. The presumption of a code enters into the concept of text. The code must be reconstructed according to a text. According to U.Eco, a work of art is not a mono-semantic message, it is a multitude of signified that coexist in one signifier (Eco U. 2004:6). U.Eco understands a text as an object which possesses definite structural features, which allow, but at the same time coordinate different interpretations, a change of perspective. According to I.Lotman, in the general system of culture texts carry out, at least, two basic functions: the adequate transfer of meanings and creation of new ones. The first function is best carried out when the codes of the speaker and listener coincide as in case of mono-semantic texts.

The second function of text is creation of meanings. In this case a text is not a passive transmit- ter of a certain constant information between an “addresser” and a “recipient”. A text now represents a system of different semiotic spaces, a continuum within which a certain message circulates. It is not a manifestation of one language, but requires at least two languages for its formation. In this case a certain background code, which has unconscious nature and, therefore, is usually impercep- tible, is introduced into structural consciousness and acquires realized significance. A text -code represents a text. It is a syntagmatically constructed whole, an organized structure of signs. In the course of cultural evolution, in the process of text interpretation, each sign of the text- code can represent a paradigm which on its intrinsic level is allotted not only by the unity of expression, but also by the unity of content. (Lotman I.1981, 6-18) A text of this type is always richer than any separate language and cannot be automatically derived from it. It is a semiotic space, within which languages interact, interfere and are hierarchically self-organized.

Pragmatic relations between text and a reader are characterized by such degree of complexity, that it is always possible to activate one or another aspect of text structure and transform nuclear struc- tures into peripheral, and peripheral -- into nuclear. Transformation

of the bases of text structure signifies that it entered into interaction with heterogeneous to it consciousness and in the course of generation of new meanings reconstructed its immanent structure. The possibilities of such recons- tructions are final, and this fact assumes the limit of life of a text in time, and delimits reconstruction of text in the process of changing of cultural context from arbitrarily attached meanings for expre- ssion of which it does not have any means. Pragmatic relations can activate peripheral or automatic structures, but are not capable of introducing into a text non-existent codes. (Lotman I.1981:9)

Pragmatic function composes the active part of text functioning as such. Text, as a generator of meanings, needs a collocutor in order to be activated. This demonstrates the dialogical nature of consciousness as such.(Lotman I.1981:10) This is what U.Eco calls "an open text". He understands openness as essentially complex in its meaning message, which is characteristic for any work of art at any time. *"Any work of art, ... requires a free, creative answer to it, at least because it cannot be really understood unless an interpreter discovers it anw in the act of creative thinking with the author".* (Eco U. 2004 :10, 29)

Aristotle defined the process by which we acquire knowledge as the translation of the unknown into the known. In the Aristotelian view, interpretation consists of subsuming particulars under universals. Translatability does not exist in the void, but only in a particular cultural context. That is why coherence is so important for any intepretation. But we should be careful not to disrupt another kind of coherence which is just as essential: that which exists between the text and its author, or between the textual image of the author and our conception of the personality of the author, of his age and his culture.

References:

Adams, Hazard. 1971. *Critical Theory Since Plato.* New York: Harcourt Brace Jovanovich.

Austin, John. 1962. How to Do Things with Words, London: Oxford: Clarendon.

Barthes, Roland. 1977. "The Death of the Author." 1968. In Barthes, *Image - Music - Text.* New York: Hill and Wang. 142-48.

Betti, Emilio.1980. "Hermeneutics as the General Methodology of the Geisteswissenschaften." Contemporary Hermeneutics: Hermeneutics as Method, Philosophy and Critique. By Josef Bleicher. London: Routledge and Kegan Paul, 1980. 51-94.

Dennett, Daniel C. 1978. *Brainstorms: Philosophical Essays on Mind and Psychology.* Montgomery (VT): Bradford.

Dennett, Daniel C. 1987. *The Intentional Stance.* Cambridge (MA): M.I.T. Press.

Eco, Umberto. 1989 *Opera aperta* (*Loose work*). Translated by Anna Cancogni. Introduction by David Robey. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

Fowler, Alastair. 1976. Intention Floreat. In Newton-De Molina 1976: 242-255.

Frye, Northrop. 1957. *Anatomy of Criticism.* Princeton: Princeton UP.

Gadamer, Hans-Georg. 1988. The Hermeneutics of Suspicion." In Shapiro and Sica 1988, 54-65.

Harris, Wendell V. 1988. *Interpretive Acts: In Search of Meaning.* Oxford: larendon.

Hirsch, E.D., Jr. 1967. *Validity in Interpretation.* New Haven: Yale UP.

Hirsch, E.D., Jr. 1976. *The Aims of Interpretation.* Chicago: U of Chicago P.

Lotman, Iury. 1994 The Text within the Text. (Selection. With a presentation by Julia Kristeva). *PMLA* 109 (1994): 375-84.

Newton-De Molina, David, ed. 1976. *On Literary Intention.* Edinburgh: Edinburgh UP. (Introduction, vii-xvii).

Peckham, Morse. 1976. The Intentional? Fallacy? *New Orleans Review* 1 (1969): 116-164. Rpt. in Newton-De Molina 1976, 139-157.

Pratt, Mary Louise. 1977. *Toward a Speech Act Theory of Literary Discourse.* Bloomington: Indiana UP.

Scholes, Robert. 1990. Interpretation: The Question of Protocols. In Robert Scholes, *Protocols of Reading.* New Haven: Yale UP. 50-88.

Searle, John R. 1983. *Intentionality: An Essay in the Philosophy of Mind*. Cambridge University Press.

Selden, Raman & Widdowson, Peter. 1993. *A Reader's Guide to Contemporary Literary Theory*, 3rd ed. New York & London: Harvester Wheatsheaf.

Schleiermacher, Friedrich. 1986. *Hermeneutics: The Handwritten Manuscripts*. Ed. Heinz Kimmerle. Trans. James Duke and Jack Forstman. Atlanta: Scholars Press. Trans. of *Hermeneutik* and related writings. 1805-33.

Skinner, Quentin. 1976. Motives, Intentions and the Interpretation of Texts. *New Literary History* 3.2 (1972): 393-408. Rpt. in Newton-De Molina 1976, 210-221.

Wimsatt, W. K., and Monroe C. Beardsley. 1967. The Intentional Fallacy. *Sewanee Review* 54 (1946). Rpt. in Wimsatt, *The Verbal Icon: Studies in the Meaning of Poetry.* 1954. Lexington: U of Kentucky P. 2-18.

Интенциональность произведения художественной литературы

Тамар Мебуке

Вопрос интенции создания художественного произведения находится в центре внимания исследователей со времен античности. Платон, Аристотель, Квинтилиан и Гораций пытались ответить на вопрос: Какое влияние должна оказывать литература на читателя? Этот вопрос схоластической философии был вновь поднят Францем Брентано, определившим интенцию как основную характеристику «психических явлений», отличающую их от «явлений физи- ческих». Пройдя долгий путь развития, теория интенциональности заняла важное место в теории литературы при обсуждении вопроса об адекватном восприятии и интерпретации художественного произведения. Данный вопрос является также и темой настоящей статьи.

მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოების ინტენციონალურობა

თამარ მებუკე

მხატვრული ნაწარმოების შექმნის ინტენციის საკითხი მკვლევარების ყურადღების ცენტრში იმყოფება ანტიკური დროიდან. პლატონი, არისტოტელე, კვინტილიანი და ჰორაციუსი პასუხს ეძებდნენ კითხვაზე: რა გავლენა უნდა ჰქონდეს ლიტერატურას მკითხველზე? ეს სქოლასტიკური ფილოსოფიის საკითხი ხელახლა დაყენებული იყო ფრანც ბრენტანოს მიერ, რომელმაც ინტენცია განსაზღვრა როგორც „ფსიქიკური მოვლე– ნების“ ძირითადი თვისება, რომლითაც ისინი განსხვავდებიან „ფიზიკური მოვლენები– საგან“. ხანგრძლივი განვითარების შემდეგ ინტენციონალურობის თეორიამ დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი ლიტერატურის თეორიაში როგორც ლიტერატურული ნაწარ– მოების ადეკვატური აღქმის და ინტერპრეტაციის საკითხი. ეს საკითხი აგრეთვე წარმო– ადგენს ჩვენი სტატიის თემას.

მედიაციისა და ცოდნის როლი

თამარ ნატროშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინტერტექსუალურ კავშირთა აღქმაში

მედიაცია არის საკმაოდ მნიშვნელოვანი კონცეპტი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ინტერტექსტუალურობასთან.

მედიაცია მოიცავს ინტერტექსტუალურობის იმ სფეროს, სადაც ადამიანი თავის დაგროვილი ცოდნის რეალიზებას ახდენს კომუნიკაციურ სიტუაციაში. რაც უფრო ნაკლებია კავშირი მიმდინარე და წინარე ტექსტებს შორის, მით უფრო მეტად საჭიროებს ტექსტების აღქმა მედიაციას. ამ შემთხვევაში უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის ალუზიას, სადაც ამოსავალ წერტილად მიიჩნევა ნაცნობი ტექსტი. ასეთი ტექსტების გამოყენება აადვილებს მედიაციის პროცესს, დრო და წინარე ტექსტის ხასიათი მნიშვნელოვან როლს თამაშობს და განსაზღვრავს მედიაციის ხარისხს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ორიგინალი და მიმდინარე ტექსტი სხვადასხვა დროს შეიძლება იყოს შექმნილი.

წინარე ცოდნა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია მედიაციისა და მიმდინარე ტექსტის ადეკვატურად აღქმისათვის. რეალურად, რაც უფრო მცოდნეა ინფორმაციის მიმღები, მით უფრო მეტი ინტერტექსტუალური კავშირის აღმოჩენას შესძლებს იგი ტექსტის კითხვისას. ტექსტი არის სიტყვების კომპილაცია, რომელიც მკითხველმა უნდა გააცოცხლოს მასში არსებული მინიშნებებისა და მათი ინტენციის დადგენით. ადრესატმა უნდა გაითვალისწინოს ადრესანტის განათლება, რადგან რაც უფრო ფართო წარმოდგენა აქვს ადრესანტს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით, მით უფრო სპეციალიზებულია ტექსტი და ნაკლები მინიშნებების გაკეთება უწევს ავტორს; ხოლო თუ მკითხველი არ არის ინფორმირებული, ნათელი და გასაგები მინიშნებების გარეშე მას გაუჭირდება ტექსტის ადეკვატურად აღქმა.

ბახტინი მიიჩნევს რომ კომუნიკაციის დამყარებისას ადამაინები იყენებენ დისკურსთა განსხვავებულ ერთობლიობას, რათა ზუსტად გადმოსცენ თავიანთი ინტენცია. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ადრესატმა უნდა გაითვალისწინოს სიტყვის პირველადი მნიშვნელობა და ინტერლოკუტორის განსხვავებული მიზანი. (Bakhtin, M. 1986 Speech Genres and Other Late Essays. Austin. University of Texas Press)

ჩვენი წინარე ცოდნის აუცილებლობას განაპირობებს ორი მიზეზი: პირველი არის ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოება და ისტორია ქმნის იმ ტექსტებს, რომელთაც ჩვენ საკმაოდ ხშირად ვაწყდებით; მეორე კი არის ფაქტი, რომ სწორედ ამ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას ის გარემოება, თუ როგორ ხდება ამ ტექსტების გაანალიზება და ინტერპრეტირება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს ორი ასპექტი წარმოგვიდგენს ინტერტექსტუალურობის ორ განზომილებას: ტექსტის რეცეფციასა და პროდუცირებას.

ამ პროცესს ბიუგრანდი და დრესლერი უწოდებენ “განგრძობითობას”, რაც გულისხმობს ტექსტის შინაარსის ადეკვატურად აღსაქმელად საჭირო

აკუმულირებული ცოდნის სწორად გამოყენებას. მეცნიერების თვალსაზრისით, აკუმულირებული ცოდნისა და ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაციის გაანალიზების შედარებისას შეიმჩნევა შემდეგი ტენდენციები: (de Beaugrande R. and Dressler W. 1981 Introduction to Text Linguistic, Longman, London.)

ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაციის აღქმა გაცილებით მარტივია თუ იგი ემთხვევა აკუმულირებულ ცოდნას.

ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაცია იმ შემთხვევაშიც ადვილი აღსაქმელია, როდესაც იგი მოიცავს გლობალურ საკითხებს.

ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაცია განიცდის ცვლილებას აკუმულირებული ცოდნის მიხედვით.

ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაციის ზოგიერთი ელემენტი შეიძლება ბუნდოვანი და გაურკვეველი იყოს, თუ იგი მოითხოვს კონკრეტული სფეროს აკუმულირებულ ცოდნას.

ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაციის აღქმა საკმაოდ რთული და ხშირად შეუძლებელი ხდება, თუ დაგროვილი ცოდნა არასისტემურია და ერთჯერად ხასიათს ატარებს.

აკუმულირებული ცოდნის ინტერტექსტუალურობის ჭრილში აქტივაციისთვის კომუნიკანტმა უნდა გააცნობიეროს, რომ ტექსტის ადეკვატურად აღქმისათვის აუცილებელია კონკრეტული სფეროს ღრმა და ამომწურავი ცოდნა, რითაც მოწმდება მკითხველის უნარი თავი გაართვას ამა თუ იმ ტექსტს.

რიფატერის აზრით, როდესაც ინტერტექსტზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ერთის მხრივ, ინტერტექსტის ფორმისა და შინაარსის რეალური ცოდნა და მეორეს მხრივ, ვარაუდი, რომ მსგავსი ინტერტექსტი შეიძლება არსებობდეს. ეს ვარაუდი მკითხველს უჩნდება, იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩენს, რომ ტექსტს აკლია ინფორმაცია და იქმნება გარკვეული სიცარიელე, რაც მიგვანიშნებს ინტერტექსტის არსებობაზე. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აღნიშნული სიცარიელის ამოსავსებად და ტექსტის კავშირების დასადგენად აუცილებელია გარკვეული ტიპის „დიალოგი“ მანამდე არსებულ ცოდნასა და ტექსტში მოწოდებულ ინფორმაციას შორის. (Riffaterre M. 1990 Compulsory Reader Response: The Intertextual Drive, Manchester University Press, Manchester)

ნებისმიერი ადამიანი, ვინც გარკვეულია ინტერტექსტუალურობის არსში, ტექსტის გაცნობისას ადვილად განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელიც ინტერაქტიულობას წარმოაჩენს. თუ ადრესანტს განზრახული აქვს, რომ მაქსიმალურად ინფორმატიული გახადოს კითხვის პროცესი, დიდი ძალისხმევა დასჭირდება ტექსტის აქტივაციისთვის, რადგანაც სიტყვა მატერიალური ფენომენი კი არ არის, არამედ ის წარმოადგენს დიალოგური ინტერაქციის მუდმივად ტრანსფორმირებად საშუალებას. იგი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ადამიანის ცნობიერების ნაყოფი, არამედ ტრანსფორმირებს ერთი ინდივიდიდან მეორე ინდივიდისკენ, ერთი კონტექსტიდან მეორისკენ, გადადის ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეზე და გადაეცემა თაობიდან თაობას.

საგულისხმოა იმ ფაქტის დადგენა, თუ რომელი მაჩვენებლებით ხდება კავშირის დამყარება წინარე ტექსტებთან, მიუხედავად კულტურული ცვლილებებისა, რა მექანიზმებით შეიძლება არსებული „სიცარიელის ამოვსება“ და „დაფარული ინფორმაციის გამოაშკარავება“. მეცნიერები მკითხველის მიერ

შინაარსის სუბიექტურ აღქმას ინტერტექსტუალურობის გამჭვირვალობას უკავშირებენ, რადგან ინტერტექსტუალურობა მხოლოდ ტექსტების ურთიერთკავშირისას არსებობს. თუ ადრესანტს არ აქვს წარმოდგენა წინარე ტექსტზე, ბუნებრივია იგი ინტერტექსტუალურ კავშირსაც ვერც აღმოაჩენს. ხოლო ამ კავშირის დადგენა კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია წარმოდგენილი ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ბუნდოვანების ხარისხზე. შესაბამისად, კითხვის პროცესი ხდება სხვადასხვა ტექსტებს შორის კავშირების გამოვლენის მექანიზმი.

ამრიგად, იმისთვის, რომ ადეკვატურად მოხდეს მკითხველის მიერ ტექსტში მოცემული ინფორმაციის აღქმა, ის კარგად უნდა უწყოდეს რა რთულ და დინამიკურ პროცესშია ჩართული. ასეთ შემთხვევაში ადრესანტი გარკვეულ ეტაპზე მაინც ახდენს ტექსტში ჩადებული იდეოლოგიური ელემენტის სწორ რეცეფციას.

The Role of Mediation and Knowledge in Identifying Intertextual References

The article deals with the significance of previous knowledge in the concept of mediation and in making sense of current texts. In fact, the more knowledgeable the receiver, the more intertextual references are likely to be identified while reading a text. The previous knowledge is a necessity for two major reasons. First - society and history have initially built up the texts we encounter. Second - our society and narratives will be influenced by the way these texts are processed in our daily life. These two aspects represent the two dimensions of intertextuality - reception and production of text.

Роль Медиации и Знаний в Опрделении Интертекстуальных Связей

В статье рассматривается роль медиации и предыдущих знаний в определении интертекстуальных связей. В каждом тексте присутствуют элементы, ранее употребляв- шиеся в других текстах. Информированный и образованный читатель сможет определить большее количество интертекстуальных связей при чтении текста по двум причинам: во первых, тексты, с которыми мы сталкиваемся были созданы в определенном обществе и в определенный исторический период. Во-вторых, как на общество, так и на нарратив влияет способ восприятия текстов в нашей жизни. Данные два аспекта представляют собой два измерения интертекстуальности – создание и восприятие текста.

2013, იანვარი

პროფესორ იუზა ევგენიძის ხსოვნას

ლადო მინაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბატონმა იუზა ევგენიძემ განვლო მეცნიერისა და პედაგოგის რთული და სახელოვანი გზა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასპირანტობიდან პროფესორობამდე, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა და ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიების აკადემიკოსობამდე.

იუზა ევგენიძე XX საუკუნის 60-იან წლებში მოვიდა უნივერსიტეტში, როცა ჯერ კიდევ ძალუმად იგრძნობოდა მისი დამაარსებლების მიერ დანერგილი ტრადიციები, როდესაც უნივერსიტეტს ჯერ კიდევ ამშვენებდნენ ნათელი ჭაღარით მოსილი ბოლო დამაარსებლები; უნივერსიტეტის აღზრდილთა პირველი თაობების საუკეთესო წარმომადგენლები ჯერ კიდევ ენერგიით სავსენი იღწვოდნენ – კითხულობდნენ ლექციებს, ეძიებდნენ და იკვლევდნენ.

ბატონი იუზა ევგენიძე იმ თაობის წარმომადგენელი იყო, რომელსაც მათი სასახელო საქმეები უნდა გაეგრძელებინა, მერკანტილიზმის და უხეში პრაქტიციზმის აღზევების ხანაში მათ მიერ შემოთავაზებული ზნეობრივი სიმაღლე, მეცნიერული კეთილსინდისიერება და თავგანწირულება შეენარჩუნებინა. ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად იუზა ევგენიძემ ღირსეულად ზიდა ეს ტვირთი.

იუზა ევგენიძემ იმ თავითვე მიიქცია ყურადღება თავისი უშუალობით, უბრალოებით, უშურველობით, ირგვლივ სიწმინდეს და სიკეთეს თესავდა, ახალგაზრდობას უნერგავდა რწმენას წარუვალი ფასეულობებისადმი. უყვარდა საგანგებოდ მომარჯვება მისთვის სათაყვანო დიდი ვაჟას სიტყვებისა:

„ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს,
სხვა ყველაფერი მჩვარია".

ბატონი იუზა ევგენიძე იყო ჩინებული აღმზრდელი-პედაგოგი, მისი ლექციები ხასიათდებოდა მაღალმეცნიერულობით, დიდძალი საანალიზო მასალის მოხმობა-მომარჯვებით მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, ძვირფასი სახელების უსაზღვრო პატივისხემით, აზროვნების, ახალი აზრების დაბადების სასწაულს ხედავდნენ მისი სტუდენტები ყოველ ლექციაზე. ახალგაზრდობას დამსახურებულად უყვარდა თავისი ლექტორი, მასში მოიაზრებდნენ უფროს მეგობარს, მრჩეველს, ქომაგს, დამკვალიანებელს, მეცნიერულ მეტრს.

პროფ. იუზა ევგენიძე ადვილად არ მოსულა მეცნიერებაში. ჯერ კიდევ სტუდენტობის ჟამს შეაჭიდა მისმა საფიცარმა მასწავლებელმა პროფ. გრ. კიკნაძემ არაორდინალურ პრობლემებს: „გროტესკისებური ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში", „ვაჟა-ფშაველას იუმორი".

რაც შეეხება მისი სადისერტაციო თემის სათაურს – „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორია" – მან ხომ მთელი მაშინდელი საფაკულტეტო და სადისერტაციო საბჭოები დააბნია, მავანნი აიმრიზნენ – გაგვიგონია ამა თუ იმ ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორია, ვთქვათ, ა. გრიბოედოვის „ვაი, ჭკუისაგანის" შემოქმედებითი ისტორია, მაგრამ მწერლის შემოქმედებითი ისტორია რაღას ნიშნავს, ან მწერალს როგორ შეიძლება ჰქონდეს შემოქმედებითი ისტორიაო. ასეთი რამ არც გაგვიგონია და არცაა გასაგონიო. ბოლო-ბოლო ეს თემა იუზა ევგენიძის დიდი მასწავლებლის და ხელმძღვანელის

გრიგოლ კიკნაძის მორიგ „ახირებად" ჩათვალეს, „სხვა დროსაც ბევრჯერ აგვრიაო", – გაიფიქრეს.

ვერც თავად ვაჟას დამოწმებამ უშველა საქმეს – „ჩემი შემოქმედობის ისტორიის დაწერა ადვილია, მაგრამ ვაი თუ ამან საქმეს ავნოსო" წერს ერთგან ვაჟა.

თვით ბატონი იუზა კი ფარულად მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების, გენიალური პოეტის შემოქმედებითი ზრდისა და ავსების უფაქიზესი და ურთულესი საიდუმლოებების ამოხსნა-წარმოჩენის საქმეს შეება. დიდძალი ლიტერატურული, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური... მასალა შეისწავლა და დაამუშავა, ხოლო ყოველივე ერთ დიდ მიზანს – ვაჟას შემოქმედებითი სამყაროს კვლევის მიზანს დაუქვემდებარა... შედეგად დიდი წარმატებით დაცული საკანდიდატო (1971წ.) და სადოქტორო (1995წ.) დისერტაციები.

ოთხ ათეულ წელზე მეტი ეწეოდა პროფ. იუზა ევგენიძე ძალზე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის ხაზით.

ბატონი იუზა ევგენიძე არის აღიარებული მკვლევარი, ავტორი მრავალი საყურადღებო ნაშრომის, რომელთაგან დიდი უმრავლესობა წიგნების სახითაა გამოქვეყნებული.

ფართოა პროფ. იუზა ევგენიძის ლიტერატურული ინტერესების წრე: ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემები, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, ნიკო ლომოური, ბაჩანა, ეგნატე ნინოშვილი. ბატონი იუზა ევგენიძე არის რამდენიმე საყურადღებო ნარკვევის ავტორი XXს. ქართველი მწერლების მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ანა კალანდაძის, ტარიელ ჭანტურიას და სხვათა შესახებ.

პროფ. იუზა ევგენიძის კვლევა-ძიების გამორჩეული ობიექტი გენიალური ვაჟა-ფშაველას ცხოვრება, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მრავალმხრივი მხატვრული მემკვიდრეობაა, რომელსაც მან რამდენიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომი მიუძღვნა. ვაჟა-ფშაველას შესახებ მისმა ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგებმა თავი მოიყარა 1989 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ წიგნში „ვაჟა-ფშაველა (ცხოვრება და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები)".

მეორე მხრივ პროფ. ი. ევგენიძის ინტერესები წარიმართა ქართული რომანტიზმის ესთეტიკურ-ლიტერატურული პრობლემების კვლევის თვალსაზრისით. 1982 წელს დაისტამბა იუზა ევგენიძის წიგნი „ქართული რომანტიზმის საკითხები". ეს ნაშრომი მაშინ შეიქმნა, როცა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობით ასპირანტურის კურსდამთავრებულის და დისერტაციადაცულისათვის კათედრაზე ადგილი არ აღმოჩნდა და ბატონი იუზა ფილოსოფიის ფაკულტეტის ესთეტიკის კათედრამ შეიკედლა, მისი უახლოესი მეგობრის პროფ. ვახტანგ გოგუაძის რეკომენდაციით.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანმა წიგნმა პროფ. იუზა ევგენიძეს აღიარებაც მოუტანა და დაუმსახურებელი ტკივილიც ბევრი მიაყენა მოშურნეთაგან.

1995 წელს ცალკე წიგნად გამოიცა პროფ. ი. ევგენიძის მონოგრაფია „გრიგოლ ორბელიანი" რომელშიაც ეს დიდი, რთული პიროვნება და პოეტი წარმოდგა მთელი თავისი პიროვნული სიმაღლით და მრავალმხრივობით, განთავისუფლებული ყველა იმ ბრალდებისაგან, რომლებსაც ჯერ კიდევ მას სიცოცხლეში უყენებდნენ და სამწუხაროდ მისი ხელყოფა და ლაფის შესხმა არ წყდება ახლაც. ჩვენი კრიტიკოსები და პოლიტიკოსები ისეთი რიხით ესხ-

მიან თავს გრიგოლ ორბელიანის პიროვნებას, თითქოს მისი სახით საქართველოს დიდი მტერი უნდა ჩამოაშორონ.

1967 წელს ქართულ სინამდვილეში შეიქმნა ერთგვარი პრეცენდენტი, როცა პროფ. გრ. კიკნაძის ხელმძღვანელობით გამოიცა კრებული „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ". კრებულში თავი მოიყარა ვაჟას ყველა მხატვრულმა და ლიტერატურულ-კრიტიკულმა თხზულებამ, ნაწყვეტებმა ნაწარმოებებიდან, ცალკეულმა გამონათქვამებმა, რომლებიც ეხებოდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებას. კრებული შეჯავშნული იყო გრ. კიკნაძის შესავალი ნარკვევით და ყველანაირი სამეცნიერო აპარატურით. ეს იყო პირველი შემთხვევა ქართულ სინამდვილეში დიდ მწერალზე ამგვარი კრებულის შედგენისა, არა და სხვა მოწინავე ქვეყნებში ყოველ დიდ მწერალზე ასეთი არაერთი კრებული არსებობს. პროფ. გრ. კიკნაძის მიერ ჩვენში გაკვალულ გზაზე ამის შემდეგ მის მიმდევართა ძალზე საინტერესო მუშაობა გაიშალა. ამ მხრივაც გამორჩეულია პროფ. იუზა ევგენიძის როლი. ერთი იყო ცალკე მწერლის შესახებ კრებულის შედგენა, მაგრამ მთელი ლიტერატურული მიმართულების ესთეტიკური ლიტერატურული ნააზრევის თავმოყრისა და წიგნად გამოცემის პრეცენდენტი ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ არ არსებობდა, მით უმეტეს ლიტერატურული მიმართულებისა, რომელსაც არც თეორიული წანამძღვრები ჰქონია ჩვენში და არც მკაცრად ჩამოყალიბებული ლიტერატურული სკოლის სახე მიუღია; მხოლოდ ზოგადი განწყობილებებით და ლიტერატურული ატმოსფეროში ჰქმნიდა მიმართულების ფორმას. სწორედ პროფ. იუზა ევგენიძეს უდევს ლომის წილი კრებულის „ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ" მომზადება-გამოემის საქმეში (1980წ.). ამ კრებულის შესავალი ნარკვევიც პროფ. ი. ევგენიძეს ეკუთვნის.

დიდია პროფ. ი. ევგენიძის წვლილი 1997-1998 წლებში გამოცემული ორტომეულის „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ" მომზადებაში.

პროფ. იუზა ევგენიძის თაოსნობით და მონაწილეობით „აკაკის კაბინეტში", რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა წლების მანძილზე მომზადდა და გამოიცა ვრცელი კრებული „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ" (2004წ.)

2004 წელს ილიას, აკაკისა და ვაჟას კაბინეტების გრიფით გამოიცა 700 გვერდიანი წიგნი „ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ". წიგნში თავი მოიყარა ყველა ქართველი მწერლის ცალკე თხზულებამ, ნარკვევმა, ესემ, გამონათქვამმა მე-19 საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის 80-ან წლებამდე. წიგნი ითვალისწინებს ქართული სიტყვის ოსტატთა წვლილს ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობის გააზრება-გაშინაარსების საქმეში. წიგნი სათანადო მეცნიერულ აპარატურასთან ერთად აღჭურვილია პროფ. ი. ევგენიძის ვრცელი ნარკვევით. წიგნი უნკალურია. არა მარტო ჩვენში – კრებული, რომელიც გაითვალისწინებს მწერალთა წვლილს, ღვაწლს დიდი ხელოვანის შესწავლის საქმეში, პრაქტიკულად პირველად შეიქმნა. ამ წიგნის შედგენა-გამოცემაშიც პროფ. ი. ევგენიძის წვლილი გამორჩეულია.

2000 წელს მკითხველმა მიიღო პროფ. ი. ევგენიძის „ნარკვევების ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" I წიგნი. 2009 წელს მკითხველს უკვე ჰქონდა ხელთ ნარკვევების III ტომი. ავტორს გამოსაცემად თითქმის მომზადებული დარჩა „ნარკვევების"... IV tomi. narkvevebis mravaltomeulSi, romელიც ნავარაუდევია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის, ჩვენი მდიდარი მწერლობის კარდინალური საკითხებია განხილული და XIX-XX საუკუნეების

თვალსაჩინო მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების ანალიზია წარმოდგენილი.

პორფ. ი. ევგენიძე თანაავტორია „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის" სახელმძღვანელოს II ტომისა (2003წ.). მას ეკუთვნის აქ ერთობ საყურადღებო ნარკვევები ქართულ ხალხოსნობაზე, ნიკო ლომოურზე და საუკუნის დასასრულზე. ვრცელი ნარკვევი ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომლის მოკლე ვარიანტი სახელმძღვანელოშიც შევიდა, ქართულ სინამდვილეში არის ერთი საუკეთესო ნაშრომი ეგნატე ნინოშვილზე. პროფ. ი. ევენიძეს ეკუთვნის საინტერესო ნარკვევები ქართველ მწერლებზე სტუდენტთა და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ დამხმარე სახელმძღვანელოებში.

პროფ. ი. ევგენიძის ნარკვევები ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ვაჟა-ფშაველაზე გამოქვეყნდა ევროპის ქვეყნების (გერმანია, იტალია) პერიოდულ გამოცემებში.

რა გამოარჩევს პროფ. იუზა ევგენიძის მეცნიერულ მემკვიდრეობას. მის ნაწერებში ყველგან ჩანს დიდი ერუდიცია, ანალიტიკურ-სინთეზური ნიჭი, მეცნიერულ გამბედაობასთან შერწყმული სიფრთხილე და ტაქტი. აზროვნების და შრომის მოწესრიგებული, დისციპლინირებული ხასიათი, დიდი კეთილსინდისიერება, სხვათა ნაღვაწის დანახვა და აღიარება, სათანადოდ წარმოჩენა.

პროფ. ი. ევგენიძა კომპლექსურად იკვლევდა ლიტერატურულ პრობლემებს, საგანგებო აღნიშვნის ღირსია მის მიერ მოსაზღვრე დისციპლინათა – ფილოსოფიის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, საზოგადოების ისტორიის... მონაპოვართა საფუძვლიანი ცოდნა და სათანადო მომარჯვების უნარი. იგი სპეციალისტის სიმაღლეზე იაზრებდა ამ რიგის მასალას და ყოველთვის მარჯვედ უქვემდებარებდა ლიტერატურათმცოდნეობით მიზნებს.

მეტად რთულია მხატვრული ფაქტის ანალიზი, ანალიზი არა იმდაგვარი, როცა ისე ნაწევრდება მხატვრული ქმნილება, რომ შემდეგ მისი გამთლიანება პრაქტიკულად ვეღარ ხერხდება და ხელთ მხოლოდ სქემები გვრჩება, რომლებიც არა თუ გვაახლოვებს მხატვრულ ფენომენს, არამედ უსაშველოდ გვიშორებს მასთან მისასვლელ გზებს. პროფ. ი. ევგენიძის კვლევა არა თუ თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, რომ მხატვრული ქმნილება კი არ დაქუცმაცდეს, არამედ აზრის ენაზე ითარგმნოს, გაშინაარსდეს, გაცნო-ბიერდეს ის ხიბლი, ზემოქმედების ძალა, რასაც ადამიანებს ანიჭებდა და მომავალშიც მიანიჭებს ლიტერატურა, ხელოვნების ქმნილება საერთოდ.

პროფ. ი. ევგენიძის მუშაობის სტილი იყო აკადემიური; იგი სხვათა შეხედულებებში ცვლილებების შეტანის დროსაც უაღრესად კორექტული იყო. მის ნაშრომებში ბევრი ისეთი საკითხია წამოჭრილი და დამაჯერებლად პასუხგაცემული, რაც სადღეისოდ პრობლემურად ითვლება. პროფ. იუზა ევგენიძისათვის დამახასიათებელი იყო ლიტერატურული მოვლენების წარმოჩენა ფართო ჭრილში, საკითხის ისტორიის წარმოდგენის შუქზე, რითაც მის ადგილსაც ნათლად განსაზღვრავდა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

პროფ. ი. ევგენიძის კვლევის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო მწერლის ნაღვაწის გააზრება თანამედროვეობის კონტექსტში, როგორც ეროვნული, ასევე ზოგადსაკაცობრიო მასშტაბით. დიდ მწერალთა თვისება ხომ ისაა, რომ ისინი ყოველ დროში ინარჩუნებენ აქტუალობას, ყოველი ეპოქისთვის გააჩნიათ სათქმელი, სამოძღვრო. მკვლევარს სწორედ ამ მხარეების წამოწევა აინტერესებდა – რით არიან ჩვენი დიდი მოძღვარნი და წინასწარმეტყველნი ილია, აკაკი, ვაჟა... ახლაც ჩვენთვის აქტუალურნი, როგორ უნდა ვუსმინოთ და ვიაზროთ ისინი.

პროფ. ი. ევგენიძის ნაშრომები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტულად ქართველ მწერალთა, ქართული მწერლობის, არამედ ზოგადთეორიული თვალსაზრისითაც, რამდენადაც სწორედ კონკრეტულზე დაყრდნობით ხდება განზოგადების მოხდენა, ზოგადთეორიულიც იმდენადაა ცოცხალი, მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი ეფუძნება კონკრეტულის ანალიზს.

ბატონი ი. ევგენიძე ლიტერატურულ მოვლენებს, პროცესებს განიხილავდა მწერლისა და საზოგადოების ურთიერთობის ასპექტში. პრობლემებს წამოსწევდა არა მარტო ლიტერატურის, არამედ კულტურისა და ინტელიგენციის ისტორიის, სოციოლოგიის ასპექტში.

ბატონი იუზა ევგენიძისათვის უდიდესი ბედნიერების მომნიჭებელი იყო ახლო ყოფნა, ურთიერთობა ისეთ დიდ პიროვნებასთან, გამორჩეულ ლიტერატურათმცოდნესთან, როგორიც იყო პროფ. გრიგოლ კიკნაძე. იუზა ევგენიძეს წილად ხვდა ყოფილიყო მისი ერთადერთი ოფიციალური ასპირანტი, მისი ჭეშმარიტი მოწაფე.

გრიგოლ კიკნაძის, როგორც პიროვნების, მეცნიერის, დიდი მოძღვრის ზნეობრივ-ინტელექტუალური ცხოვრების სტილმა დიდად განსაზღვრა იუზა ევგენიძის, როგორც პიროვნების ფორმირება, ხელი შეუწყო მისი დიდი შესაძლებლობების გაშლას.

დიდი პიროვნების, მეცნიერის მოწაფედ ყოფნისას არსებობს ძალიან სერიოზული საფრთხე, რომ მოწაფე დარჩეს მასწავლებლის ჩრდილში, მის დიდ ნებას დაექვემდებაროს, იმ საკითხების წრეში იტრიალოს, რომლებიც მასწავლებელმა მოხაზა, მხოლოდ შემკეთებლის როლით შემოიფარგლოს, მით უმეტს, როცა საჯილდაო ქვად ის გენიალური ხელოვანი შეირჩა, რომელიც მასწავლებლის სრულიად გამორჩეული ინტერესის და კვლევის ობიექტი იყო. პროფ. ი. ევგენიძის შემთხვევაში იმ ბედნიერ გამონაკლისთან გვაქვს საქმე, როცა მოწაფე თავისი დიდი მასწავლებლის ჭეშმარიტ ღირსეულ მოწაფედ რჩება, რომელიც, მართალია, მიჰყვება მსაწავლებელს, მისი ხედვის. მეცნიერული მეთოდიკის ძირითად პრინციპებს ითვისებს, მაგრამ მას არ იმეორებს, არამედ ახალი მიდგომით, ახალი ასპექტების დანახვით ამდიდრებს.

ერთი სიტყვით, პროფ. იუზა ევგენიძემ სერიოზული სამეცნიერო სკოლა და წრთობა გაიარა, რომლის პრინციპებია მკაცრი თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა, სიფრთხილე, აკადემიურობა კვლევა-ძიების პროცესში.

უკვე ითქვა და დაიწერა დიდი ქართველი მეცნიერის გრიგოლ კიკნაძის სახელთან დაკავშირებულ მეცნიერულ სკოლაზე; სკოლაზე „იმ გაგებით, რომ გარკვეული თაობა მხატვრულ მოვლენათა ახსნისას იმარჯვებს გრ. კიკნაძის ხედვას, ავლენს მასწავლებლის თვალსაზრისზე დამყარებულ მიდგომას მხატვრული პროცესებისადმი, რაც ზოგჯერ მათი წერის მანერასა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ქსოვილშიაც პოულობს გამოხატულებას" (ი. ევგენიძე). უნდა გარკვევით ითქვას, რომ ამ სკოლის ყველაზე აღიარებული, ღირსეული წარმომადგენელი ბრძანდება პროფ. იუზა ევგენიძე. მან თავისი პროდუქტიულობით, თავისი მეცნიერული ნაღვაწით გაამდიდრა ამ სკოლის მონაპოვარი და ახალი პერსპექტივები დაუსახა მას. მისი მთელი მოღვაწეობა იყო შესანიშნავი მაგალითი მასწავლებლის მიმართ გამოხატული დიდი მადლიერებისა, მისი პარტივისცემისა და ერთგულებისა.

დიდია პროფ. ი. ევგენიძის დამსახურება და უშუალო მონაწილეობა თაობათა მასწავლებლის პროფ. გრიგოლ კიკნაძის თხზულებათა ხუთტომეულის მომზადება-გამოცემაში (1999-2009წწ.), რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრი და პირველი ტომის რედაქტორი ბრძანდებოდა. მანვე დაწერა ვრცელი ნარკვევი გრიგოლ კიკნაძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მეცნი-ერული მემკ-

ვიდრეობის შესახებ. ნარკვევმა დაამშვენა გრ. კიკნაძის თხზუ-ლებათა ხუთ-ტომეულის პირველი ტომი. ამასთანავე, ბატონი იუზა ევგენიძე ბრძანდებოდა ერთ-ერთი ავტორი (პროფ. ვახტანგ გოგუაძესთან, პროფ. ლადო მინაშვილთან და პროფ. ჯ. ჭუმბურიძესთან ერთად) საყურადღებო მონოგრაფიისა გრიგოლ კიკნაძის შესახებ, რომელიც 1976 წელს დაიბეჭდა.

პროფ. იუზა ევგენიძემ მეტად ნაყოფიერი მუშაობა გაშალა უნივერ-სიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტთან არსებულ აკაკის სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტში, რომელსაც იგი ედგა სათავეში როგორც მისი მეც-ნიერ-ელმძღვანელი 90-იანი წლების დასაწყისიდან 2006 წლამდე, როცა ახ-ლადმოსული ხელისუფლების დამანგრეველი „რეფორმების" წყალობით უნ-ივერსიტეტში არსებული მწერალთა სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტები გააუქმეს. სულ მცირე დროის მანძილზე ქვეყნისათვის დიდად შეჭირვების ჟამს პროფ. ი. ევგენიძემ თავი დაადგა კაბინეტთან არსებული მუდმივმოქმედი სემინარის სამეცნიერო შრომების ორი დიდი ტომის მომზადება-გამოცემას (I – 1999 და II – 2005წ.). პროფ. იუზა ევგენიძემ კაბინეტის მეცნიერ-თანამშრომელ ნანა ფრუიძესთან ერთად მომზადა და მისი რედაქტორობით და ვრცელი ნარკვევით დაისტამბა კრებული „უცნობი აკაკი". კრებულში წარმოდგენილია აკაკის მხატვრული და არამხატვრული ნაწერები, რომლებიც ან საერთოდ უცნობი ან მივიწყებული იყო და ამ კრებულის წყალობით ჩაერთო აქტიურ სამეცნიერო წრებრუნვაში. როგორც ითქვა, ბატონი იუზა ევგენიძის თავკაცო-ბით, მისი რედაქტორობით და შესავალი ნარკვევით 2005 წელს დაიბეჭდა სქელტანიანი კრებული „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ".

„აკაკის კაბინეტს" პროფ. იუზა ევგენიძის ხელმძღვანელობით კიდევ ბე-ვრი ჩანაფიქრი ჰქონდა ხორცშესასხმელი, მაგრამ, სამწუხაროდ, მავანთა უგუ-ნურმა ნგრევამ ეს გეგმები ჩაშალა. როგორც ითქვა, ასეთივე ბედი ეწია პროფ. გრ. კიკნაძის მიერ ჯერ კიდევ 1962 წელს დაარსებულ მწერლის პირველ სას-წავლო-სამეცნიერო კაბინეტს – „ვაჟას კაბინეტს" და 1990 წელს დაარსებულ „ილიას კაბინეტს", რომელთა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანო-ბაში ასევე დიდი იყო წვლილი ბატონი იუზა ევგენიძისა.

პროფ. იუზა ევგენიძეს ბევრი მადლიერი მოწაფე დარჩა. მისი ხელმძღვანელობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს და საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ნაყოფიერად მოღვაწეობენ მისი აღზრდილები. პროფ. იუზა ევ-გენიძე სრულიად გარკვეულ, კონკრეტულ ამოცანას უსახავდა ახალგაზრდა მეცნიერებს და მათგან მოითხოვდა კეთილსინდისიერ და მიზანმიმართულ შრომას.

პროფ. იუზა ევგენიძე ნაყოფიერად მოღვაწეობდა თბილისის ივანე ჯა-ვახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ტექნიკური უნ-ივერსიტეტის და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბ-ჭოებში. მისი ოპონენტობით არაერთმა ახალგაზრდამ დაიცვა დისერტაცია, მისი რეცენზიები საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე გამოირჩევა მომთხოვნელობით, უშეღავათობით.

პროფ. იუზა ევგენიძე ხასიათდებოდა მოკრძალებულობით, კეთილსინ-დისიერებით და პრინციპულობით. სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში იგი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა რეგალიებს, არც არასოდეს უძებნია ისინი.

ბატონი იუზა ევგენიძე ბრძანდებოდა უერთგულესი და უშურველი მე-გობარი. იგი არ მიისწრაფოდა ლიდერობისაკენ, მაგრამ თავისი ნიჭიერებით, ერუდირებით დიდ ზემოქმედებას ახდენდა სხვებზე და თავის გარშემო ბუნე-

ბრივად იკრებდა ნაცნობ-მეგობრებს-უფროსებს, თანატოლებს თუ უმცროს კოლეგებს, რომლებიც მას უსმენდნენ და მიჰყვებოდნენ. იგი არ იყო ბუნებით შემტევი, მებრძოლი, მაგრამ იყო უკომპრომისო, შეურიგებელი ყოველგვარი უზნეობის მიმართ, „ვერ მოაწონებდით... რაც არ უჯდებოდა ჭკვაში". თავის გარშემო თესავდა სიკეთისა და ზნეობრივი სიწმინდის ატმოსფეროს.

იუზა ევგენიძე ბრძანდებოდა თავდადრეკილი, გულისხმიერი შვილი, უერთგულესი მეუღლე, თავგანწირული მამა და მთრთოლვარე, მოსიყვარულე ბაბუა.

სამოცდაცხრა წელი მკვლევარი-შემოქმედისათვის სულაც არ არის ზამთრის დადგომის მაუწყებელი ჟამი. ეს ის დროა, როცა, მართალია, მზე აღარ აცხუნებს, მაგრამ თანაბრად ანაწილებს თბილ სხივებს. ამ დროს წინ კიდევ ბევრი მიზანია, ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი ჩქარობს აღსრულებას და... სწორედ ამ ასაკში, სამწუხაროდ, მას გულმა უმტყუნა... მისი წასვლით ბევრი დაკარგა ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ, მისმა თანამებრძოლებმა... ძალიან, ძალიან გაჭირდება უიმისოდ. მისი ადგილი შეუვსებელი დარჩება და ვინ იცის, კიდევ როდის მოევლინება ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას, ლიტერატურათმცოდნეობას მისი რანგის მოაზროვნე-მკვლევარი.

უზუალური ეპითეტი, როგორც მწერლის ენობრივი სამყაროს სურათ–ხატის დეკოდირების ერთ-ერთი მარკერი

ეკატერინე შაკიაშვილი
სტუ აკადემიური დოქტორი

მხატვრული ხატის ფუნქცია ისაა, რომ ნათქვამმა საგანი გააცოცხლოს, მხატვრულად აამაღლოს და ისეთი ემოციური სიმკვეთრით წარმოსახოს, რომ მკითხველი არა მარტო ხედავდეს საგანს, არამედ კიდეც გრძნობდეს და განიცდიდეს მას. კარგად დანახული საგანი, ნათელი აზრი და ცოცხალი წარმოსახვა, სათანადო სიტყვიერი გაფორმების გარეშე კარგავს თავის ზემოქმედებით ძალას. მაგალითად, გიორგი ლეონიძის ენობრივ სამყაროში სახეობრივი აზროვნების სისტემაში ინტენსიურობით ყურადღებას იქცევს ეპითეტი. ამ მხატვრული ხერხის ეფექტურობა, საერთოდ, ჩვეულებრივისაგან განსხვავებას ეფუძნება, ასასახავ საგანსა თუ მოვლენას რაიმე მოულოდნელი ნიშან–თვისებით განსაზღვრავს. აზროვნებისა თუ წარმოსახვის სიძლიერეს აქ სწორედ მოულოდნელობის ხარისხი წარმოაჩენს, რადგან მოულოდნელობა მხატვრული ხედვით აღქმითი, ცნებით კატეგორიათა სიმძლავრის მაჩვენებელია. აღწერა-დახასიათებისა თუ თხრობის ეპითეტური ეფექტისადმი მიდრეკილება ენობრივი ცნობიერებისათვის იმდენად ბუნებრივია, რომ ხშირად ჩვეულებრივად მოდელირებული ფრაზეოლოგიზმის ექსპრესიულობის მარკერებად აღიქმევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეპითეტის მხატვრული ფუნქცია იმდენად ბუნებრივია და იმდენად აუცილებელია, რომ ყოფითი მეტყველების დონეზეც ენობრივი კომუნიკაცია მოელის, მოითხოვს ეპითეტურ ეფექტს. ამიტომაც მხატვრული ენის, მეტყველების სფეროში ეპითეტების ფუნქციური ეფექტის როლი კიდევ უფრო გამოკვეთილია. გიორგი ლეონიძის ენობრივ სამყაროში ეპითეტი უმთავრესად

ორი სახესხვაობით ფუნქციონირებს. ერთ სახეობას ქმნის უზუალური ეპითეტები მეორეს - ინდივიდუალურ-საავტორო ეპითეტები.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ენობრივი სამყაროს სურათ-ხატთან განსაკუთრებული სიახლოვის მიუხედვად, გ. ლეონიძე უზუსის დონეზეც კი არ რჩება უბრალო მომხმარებლად. იგი ხალხური მეტყველებით შექმნილი ეპითეტური ლექსიკა-ფრაზეოლოგიით აღფრთოვანების მიუხედავად, რაღაცნაირ უკმარისობას განიცდის და ერთი, კონკრეტული გამონათქვამის ფარგლებში ერთდროულად რამდენიმე, ემოცია-ექსპრესიის გამოწვევით სინონიმური ეპითეტების თავმოყრით აღწევს მხატვრულ ეფექტს.

მაგალითად, გამონათქვამში **„დიაკვანთან დარცხვენილი და ცეცხლმოკიდებული მღვდელი“** (გვ. 148) ეპითეტების ფუნქცია, თანაც მკაფიოდ უზუალური, ეკისრება ხაზგასმულ სიტყვებს: „**დარცხვენილი**“ და „**ცეცხლმოკიდებული**“. თითოეული, ცალკე აღებული, ჩვეულებრივ, სასაუბრო მეტყველებაში იმდენად ხშირად გამოიყენება, რომ უაღრესად გაფერმკრთალებული და მინავლებულია მათი ეპითეტური ეფექტი.

„დარცხვენილი“ ადამიანის განსაკუთრებულ სულიერ მდგმოარეობას გამოხატავს, რაიმე შეცდომის, რისამე მცდელობის წარუმატებლობის მიზეზის სკუთარ თავში პოვნას და თავისი თავის მხილებას. სულიერი მდგომარეობის გამომხატველი ეს სიტყვა სინანულის კონოტაციასაც შეიცავს და ამ თვალსაზრისით იგი სემანტიკურად მართლაც ტევადია, თუმცა ადამიანის ცხოვრებისათვის ამგვარი სულიერი მდგომარეობის არც თუ დიდი იშვიათობის გამო, სიტყვის ეპითეტური ეფექტი საკმაოდ შესუსტებულია.

დაახლოებით იმავეს თქმა შეიძლება ეპითეტზე „**ცეცხლმოკიდებული**“. ეს სიტყვა გრამატიკული სტრუქტურით კომპოზიტია და მისი თითოეული ფუძე თავისთავად ემსახურება ადამიანის კონკრეტული სულიერი განცდის ეფექტურად გამოხატვას. აქ საქმეს ვერც მისი სემანტიკური ნონსენსურობა აბრკოლებს - ცეცხლისათვის მოკიდება. ცეცხლი ხომ თავისთავად არის მოკიდების, დანთების შედეგი, ასე რომ, ორი სიტყვის კომპოზიტურ სტრუქტურაში გაერთიანება ეპითეტური ეფექტის გაძლიერებაზეა გათვლილი ადამიანის გარკვეული სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად.

„ცეცხლმოკიდებულში“ ქართულ ენობრივ ცნობიერებაში ისეთი ადამიანი მოიაზრება, რომელიც რაიმეთი ძალიან შეწუხებულია. ამ შეწუხების მიზეზი კი მრავალნაირი შეიძლება იყოს. ამდენად, ეპითეტური ეფექტურობის გამოხატვის თვალსაზრისით, იგი პოლივალენტურად ნეიტრალურია და კონკრეტულ სემანტიკას კონტექსტში იძენს. მოცემულ შემხთვევაში კონტექსტის შინაარსობრივი სპეციფიკის განსაზღვრის სიმძიმე გადატანილია პირველ ეპითეტზე. მწერალი ამ ეპითეტით, ბუნებრივია, ცეცხლის წაკიდების მიზეზს აკონკრეტებს, იმაზე მიუთითებს, რატომ არის მღვდელი„**ცეცხლმოკიდებული**“. დაიკვანი მღვდელზე რანგით დაბლა მდგომი სასულიერო პირია. ამიტომ მის წინაშე რაიმე ისეთის ჩადენა, რაც თავისთავად სამარცხვინოა, ზემდგომის (მღვდლის) მიერ განსაკუთრებული სიმწვავით განიცდება. ამ განცდის ემოციურობის მაჩვენებელია **ცეცხლმოკიდებულობა**. გ. ლეონიძემ თავისი პერსონაჟის სულიერი მდგმოარეობის ნიუანსობრივი აღწერა-დახასიათება ორი ეპითეტის მიზნობრივი შეწყვილებით განახორციელა.

ანალოგიურად არის კონსტრუირებული გამონათქვამი **„მუდამ მოქუშული, სახეჩამოტირალი, გულდაბურული... არასოდეს არ გაეცინა“** (გვ. 107). მწერალი აქ ზედიზედ სამ ეპითეტს უყრის თავს და გრადუალურობის პრინციპით აღწერს პერსონაჟის (დურგლის) განწყობილების პოზიციურობას. ამ სამი ეპითეტიდან თითოეული, თავიანთი გრამატიკულად რთული (კომპოზიტური) სტრუქტურის მიუხედავად საკმაოდ გავრცელებულია სასაუბრო მეტყველებაში.

„მოქუშული“ ძველქართული „ქუში“-დან ნაწარმოები ზედსართავი სახელია და ფიქრითა და განცდით უაღრესად შეპყრობილი ადამიანის თავის თავში ჩაღრმავებულობა-ჩაკეტილობას ფერადოვნად გამოხატავს. აქ ეს ფერი შავია. ხალხური ენობრივი ცხოვრება შავ ფერს უკავშირებს ამგვარ განწყობილებას იმიტომ, რომ შავი ფერი მწუხარების გამომხატველია (სიმბოლოა).

„ქუში“ აღნიშნული სემატიკით „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება („გული ერთსა დაჯეროს კუშტი მიხვდეს, თუნდა ქუში“). ხალხურმა მეტყველებამ, ჩანს, მყარად შეინარჩუნა და საუკუნეებს გამოატარა ეს სიტყვა სემანტიკის შეუცვლელად. იგი გ. ლეონიძემაც ხალხურ ენობრივ ცნობიერებაში გამოკვეთილი შინაარსით გამოიყენა.

განსახილველი გამონათქვამის დანარჩენი ორი ეპითეტი - **„სახეჩამომტირალი“ და „გულდაბურული“** კომპოზიტებია. ისინი სემანტიკურად აზუსტებენ პერსონაჟის კონკრეტული განცდა-განწყობილებით აღბეჭდილ სიტყვიერ პორტრეტს. **„სახეჩამომტირალი**“ ტრადიციული ვიზიონური სახე-ხატია. მოტირალ სახეს კლასიკური ქართული მწერლობა სულ ცოტა „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქიდან იცნობს, წყლის პირას მჯდარი მოყმის სახით. ამ დროიდან მტირალი სახე ხალხურ ფრაზეოლოგიაში მყარად არის დამკვიდრებული. ტირილი მთლიანი სახის გარდა, ცალკეულ ნაწილებს და ნაკვთებსაც უკავშირდება (მაგალითად, თქმა „რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?!“). გ. ლეონიძე ამ ეპითეტს შინაარსობრივადაც და ფორმითაც ხალხურის ბაძვით გამოიყენებს (მიმღეობური გაფორმებით).

„სახეჩამომტირალის“ ანალოგიური გაფორმებისაა **„გულდაბურული“,** ოღონდ გავრცელების თვალსაზრისით აშკარად ჩამორჩება თავის სინონიმურ ეპითეტებს **„გულჩახვეული“, „გულღრძო“.** მათი სემანტიკა იმდენად გათავისებულია ხალხურ მეტყველებაში, ძალდატანებულად და ადეკვატურად, ეპითეტურად აღიქმება. ამას ადასტურებს „ქართულ კილო-თქმათა“ ლექსიკონი, რომელშიც **„გულღრძო“** ასე განიმარტება: გულჩახვეული, გაუტანელი ადამიანი [51, 164), გულჩახვეულს კი თ. სახოკია ასე განმარტავს: შემნახავი საიდუმლოსი, დარდ–ვარამის, ნაღველს სხვას რომ არ უმჟღავნებს, თავის მწუხარებას არავის ეუბნება[45, 81].

„გულდაბურული“ ანალოგიური, სინონიმური ეპითეტებისაგან მეორე ფუძით („დაბურული“) რამდენადმე განსხვავდება, თუმცა სხვაობა მაინც არ ქმნის ინდივიდუალურ-საავტორო ეპითეტის კატეგორიაში გადაზრდის საფუძველს.

აღნიშნულის გამო, გამონათქვამი **„მუდამ მოქუშული, სახეჩამოტირალი, გულდაბურული... არასოდეს არ გაეცინა“** მთლიანად ხალხური მეტყველების ენობრივ ველში თავსდება. ხალხურზე მძაფრი ექსპერსიულობა კი მიღწეულია ერთი სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სურათ-ხატის სამი უზუალური ეპითეტის გრადუალურობის პრინციპით გამოყენებით.

ეპითეტური გრადუალურობა კიდევ უფრო აშკარად არის გამოხატული გამონათქვამში **„ჭაბუკობას მიტანებული შალია: ონავარი, ფიცხელი, კისკისა,**

თავისწვერა; არ უყვარდა რბილობი. „ომის თამაშის“ მიზდულობა ჰქონდა, დაუზოგავი იყო, ქოჩრაობდა, სულ ბრეს გვადენდა“ (გვ. 79). როგორც ვხედავთ, ამ გამონათქვამში ხუთი ეპითეტია. ყველა პირწმინდად ხალხური მეტყველების სამყაროს კუთვნილებაა, თანაც იმდენად ბუნებრივი, რომ ეპითეტური ექსპრესიის გამოხატვის უნარი თითქმის განულებულია. ასე, მაგალითად, „ონავარი“ ქეგლში ნიშნავს: ცელქს, ანცს [49, 362].

აშკარაა, რომ ეს სიტყვა გ. ლეონიძესთანაც ანალოგიური სემანტიკითაა ავსებული. იგივე ითქმის ეპითეტებზე „ფიცხელი“, „კისკასი“, „დაუზოგავი“. ამას ცხადყოფს ქეგლის განსაზღვრებათა სიახლოვე ამ ეპითეტების ფუნქციურ სემანტიკასთან აღნიშნულ გამონათქვამებთან: „ფიცხელი“ ნიშნავს ცხარეს, სასტიკს, ულმობელს, ჩქარს (გვ. 446); „კისკასი“ განიმარტება, როგორც მარდი, სწრაფი, ცქვიტი (გვ. 265); „დაუზოგავი“ კი ნიშნავს შეუბრალებელს (გვ. 193).

აშკარად არაუზუალურის იერისაა **„თავისწვერა**“. ეს კომპოზიტი ტრადიციულ ენობრივ ქარგზეა აგებული. ხალხური ენობრივი სამყარო იცნობს ამგვარი ყალიბით გაფორმებულ არაერთ ლექსიკურ ერთეულს (მაგალითად, „თავის ძირა“, „თავის სარა“, „თავის კაცი“, თავის ნება→თავნება, თავის კერძა→თავკერძა და ა.შ.). უჩვეულოა „თავის“ შესიტყვება „წვერთან“, თანაც თავის კაცის, თავის თავის პატივისცემაზე გამეცადინებულის, მზრუნველის გაგებით, ხოლო ეს უჩვეულობა, ცხადია, იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ **ეპითეტური მეტყველების ექსპრესიულობის გასაძლიერებლად, გ. ლეონიძეს ეპითეტების გრადუალურ იერარქიაში უზუალური ეპითეტების გარემოცვაში შეაქვს იდენტური გრამატიკული სტრუქტურის ინდივიდუალურ-საავტორო ეპითეტი და სინონიმის ეფექტით ამძაფრებს ეპითეტების გრადუალური პრინციპით უზრუნველყოფილ შთაბეჭდილებას.**

მსგავსი მიზანდასახულობისაა და ასეთივე სტრუქტურით არის გამოყენებული ეპითეტები შემდეგ გამონათქვამებშიც:

- „დეიდა ჩახტაურა - **მომჩინარი მანდილოსანი, მძლავრი და მკაცრი დედაკაცი,** ყველასაგან **პატივდებული, სოფლის ქალთა თავი“** (გვ. 77);
- „კალატოზის გვერდით იჯდა **შავსევდიანი, მუშტრის ავთვალდაკრული, გაკოტრებული მეწვრილმანე** ჩანჩუხა, რომელიც ხშირად შეურვებით ამოიგმინებდა: ავიამე, გავკოტრდიო“ (გვ. 98);
- „სწორედ ვარდს ვგავდი! - **ალქალას, ოქროქალას, თვალჟუჟუნას** მეძახდნენ“ (გვ. 29).

უზუალური ეპითეტების გამოყენება მსგავსი ენობრივი სტრუქტურის მყარი ტენდენციის გამოხატულებაა.

ზემოაღნიშნული კი ცხადყოფს, რომ გ. ლეონიძე მხატვრულ თხრობაში ინტენსიურად გამოიყენებს ეპითეტს, როგორც სახეობრივ-ემოციური ეფექტის მიღწევის საშუალებას. ერთ შემხთვევაში ორიგინალურად მოიმარჯვებს ტრადიციულ ენობრივ, ანუ უზუალურ ეპითეტს, მეორე მხრივ, გრადუალურობის პრინციპით უყრის თავს ერთ გამონათქვამში რამდენიმე ეპითეტს და გაერთიანებული, საერთო ახალ ექსპრესიას და ემოციას ქმნის, სხვა შემხთვევაში სიტყვის სემანტიკური ველის შეცვლით -ანალოგიის პრინციპით „უცხო“ ენობრივ ველში გადატანით ქმნის მოულოდნელ და შთამბეჭდავ ეპითეტურ ეფექტს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლეონიძე გ., „ნატვრის ხე“, თბ., გამომც., „მერანი“ 1998 წ.;
2. სახოკია თ., „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, თბ., გამომც. „სახელგამი“, ტ. I - 1950 წ.; ტ. II - 1854 წ.; ტ. III-1955 წ.;
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; თბ., 1986 წ.;
4. ღლონტი ალ., „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ თბ., გამომც. „განათლება“, 1984 წ.

Eka Shakiashvili

Abstract

The article discusses uzual epithets, intertekst's links linguistic marker function. Linguistic thinking in the intensity of species in the world attracts the attention of epithets. Effective methods of this art, in general, the distinction is based on normal, subject of any unexpected event or mark - the features. If the strength of imagination to think there is a degree of unexpectedness, surprise as Perceptual artistic vision, the concept of power indicator categories. Description - a narrative description of the linguistic consciousness of epitet's epekts inclination so natural that we are usually modeled prazeologic's see so expression markers. Epithets are so natural and necessary feature of art that requires a level of everyday speech epitet effect. The Art of Language, Speech and epithets in the functional role of the effect is even identified.

Узуальный эпитет, как маркер декодирования картины языкового мира писателя

Ека Шакиашвили

Резюме

В статье рассматривается узуальный эпитет в функции языкового маркера интертекстуальных связей. Отмечается, что эффективность данного художественного приема обуславливается отличительностью от обыкновенного и определяет явление и предмет отражения неожиданными признаками.

Коммуникативная стратегия парадокса в эмоциональном тексте

Чупринина Светлана
Грузинский технический университет,
г.Тбилиси, Костава, 77

Парадокс — суждение, внешне противоречащее здравому смыслу - представляет интерес для прагмалингвистики с различных точек зрения.

Коммуникативная стратегия парадокса заключается в разрушении стереотипных взглядов, бытующих в обществе. Дискурсивная организация парадокса состоит в накладке двух противоречивых суждений, одно из которых может быть выражено неявно. Существует типологическая общность между парадоксом и оксюмороном: в первом случае совмещаются противоречивые суждения, во втором - антонимичные понятия.

Парадокс содержит в себе определенную норму, опирается на системуценностей, вступающую в конфликт с иной аксиологической системой, противкоторой он собственно и используется, и в этом смысле парадоксальноесуждение по определению является эмоционально насыщенным. Парадокс тяготеет к выражению в виде универсального высказывания - сентенции, афоризмы, загадки, поскольку по своему жанру они обладают концентрированной силой воздействия [1]. Парадокс смыкается с другими коммуникативными образованиями - шутливым изречением, остроумной репликой в диалоге, комментарием - с одной стороны, и с неясными,непонятными, двусмысленными высказываниями - с другой.

Разрушение стереотипов может быть деструктивным и конструктивным. В первом случае говорящий ставит под сомнение некоторое общеизвестное суждение, например, «В здоровом теле — здоровый дух. На самом деле — одно из двух» (И. Иртеньев). Уничтожая квантор всеобщности в исходной латинской сентенции, автор высмеивает общие посылки и формулирует заведомо уязвимую шутливую истину в комментарии. Комический эффект в приведенном тексте достигается благодаря гиперболизации квантора всеобщности, сведения его к абсурду: «Всегда верно А»; «Никогда не верно А»; «Ничто не может быть всегда верным и никогда не верным». Противопоставление оказывается фиктивным, под сомнение ставится квантор «всегда», и это подчеркнуто противительным модальным оборотом «на самом деле». Заметим при этом, что уничтожение квантора всеобщности не расшатывает системы ценностей в сознании языковой личности.

Конструктивное разрушение стереотипов редко вызывает юмористический эффект, поскольку связано с пересмотром фундаментальных ценностей. Эта мысль четко выражена у А. Бергсона: «У смеха нет более серьезного врага, чем переживание» [2, с. 12]. Примером конструктивного парадокса может быть следующее высказывание: «Любите мир как средство к новым войнам» (Ф. Ницше). Оно построено по правилам организации парадокса, столкновения контрадикторных суждений: «Мир не ведет к войне — мир ведет к войне», «Следует любить мир — следует любить войну». Понятия мира и войны сопряжены с переживаниями, в коллективной памяти человечества выкристаллизовалась истина «Война есть зло, и мир есть благо».

Мена оценочных знаков конструирует новую систему ценностей, которая является негативной по отношению к аксиологическим стандартам человечества, общечеловеческим нормам новейшего времени. Впрочем, приведенный парадокс вряд

ли можно назвать абсолютно новым, поскольку он опирается на латинскую сентенцию «Si vis pacem, para bellum» — «Если хочешь мира, готовься к войне». Но существенное различие между исходной сентенцией, приписываемой римскому военному писателю Вегецию, и парадоксальным призывом Ф. Ницше состоит в том, что римлянин сформулировал утилитарную политическую норму («Чтобы защищать мир, нужно быть готовым к войне»), а немецкий философ выдвинул этический принцип оправдания войны.

Эмоциональный заряд конструктивного парадокса увеличивается, если парадоксы выстроены в определенную логическую и эстетическую линию [8, с. 46]. Например, в известном романе Дж. Оруэлла «1984» главные лозунги тоталитарного государства сформулированы в виде парадоксальных девизов: «War is peace», «Freedom is slavery», «Ignorance is power» — «Война — это мир», «Свобода — это рабство», «Незнание — это сила». Если деструктивный парадокс приводит к выводу «Не всегда А есть Б», то конструктивный заставляет усомниться в том, что есть зло и благо. Именно такую цель и ставили перед собой софисты, придумывая упражнения для доказательства тождественности противоречивых суждений. Разрушенная аксиологическая база лишает адресата возможности критически оценивать смысл того или иного суждения.

Как деструктивные, так и конструктивные парадоксы могут быть преимущественно рационально ориентированными либо эмоционально ориентированными.

Рационально ориентированные парадоксы ведут к уточнению понятия, раскрытию новых качеств объекта. Например: «Человек — это толпа, состоящая из людей, не знающих друг друга» (П. Успенский). Такие парадоксы легко поддаются интерпретации: человек единичен, толпа — собрание людей, человек единичен и неединичен одновременно, человек неединичен как сложное психическое образование, неединичность человеческой психики может проявляться в сосуществовании нескольких «Я».

Эмоционально ориентированные парадоксы содержат оценочную характеристику некоторого суждения, которое ставится под сомнение. Например, «Именно идиотские идеи быстрее всего овладевают массами» (В. Войнович). В данном высказывании обыгрывается известный тезис: «Идея становится материальной силой, когда она овладевает массами». Противоречие, на котором построен приведенный парадокс, может быть выражено следующим образом: «люди в большинстве своем разумны» — «люди в большинстве своём неразумны». Оценочный эпитет создает эмоциональную окраску всему суждению.

С точки зрения мены оценочных знаков парадоксальные суждения можно разбить на два типа. К первому относятся случаи замены положительного знака на отрицательный, т. е. некоторое положительное качество ставится под сомнение. Например: «Человек, который никогда не ошибается, — это ошибка природы» (Л. Сухоруков). Отсутствие ошибок квалифицируется как отрицательное свойство человека. Ко второму типу можно отнести случаи замены отрицательного знака на положительный. Например, «Критик не враг, а тщательно замаскированный друг» (В. Лебедев). Исходной пресуппозицией является суждение «Критик есть враг», затем это суждение преобразуется в отрицательную формулу «не враг, а друг», и, наконец, определение «тщательно замаскированный» фактически нейтрализует определяемое слово «друг». Отметим асимметричность оценочных суждений положительного и

отрицательного типов: фразы, в которых оценочный минус меняется на плюс, содержат как бы вторичный отрицательный знак, т. е. плюс ставится под сомнение.

Парадоксальные высказывания не всегда бывают выражены в виде афоризмов и сентенций. Парадокс ситуативен, и в этом его главная прагмалингвистическая характеристика. Парадоксальны многие русские народные частушки. Например: «По деревне мы проходим в девяносто пятый раз. Неужели нам, ребята, по шеям никто не даст?». В данном примере юмористический эффект возникает из-за противоречия между пресуппозицией и импликацией частушки: «Опасно вести себя вызывающе» — «Вызывающее поведение остается безнаказанным». Англичане славятся своеобразным чувством юмора. Примером может послужить следующая эпитафия, датированная 1790 годом:

Here lies Mary the wife of John Ford
We hope her soul is gone to the Lord
But if for hell has she changed this life
She had better be there than be John Ford's wife.

Заключительная строка «Лучше быть ей в аду, чем женой Джона Форда» парадоксально контрастирует с расхожим представлением об ужасах ада и тем самым свидетельствует о трудной жизни этой женщины на земле. Парадоксальным является также сам факт подобной надгробной надписи.

Минимальным парадоксальным высказыванием является оксюморон в виде определения и сравнения, например, приписываемое И. Сталину выражение «Врет как очевидец». Максимальным по объему парадоксом может, по-видимому, быть целый текст художественного произведения, его сюжет, композиция, конфликт. Например, парадоксальным является блестящий роман В Набокова «Приглашение на казнь».

Афоризмы, сентенции и парадоксы в форме универсальных высказываний являются авторскими произведениями. При этом автор парадокса намеренно противопоставляет свою точку зрения мнению общества. Презрение к черни, толпе, не понимающей художника, мечтателя, выдающегося человека, прослеживается в блестящих парадоксах Оскарда Уайльда. Каждый парадокс этого писателя может быть развернут в аксиологическую систему. Например: «Society often forgives the criminal; it never forgives the dreamer» «Общество часто прощает преступника, но оно никогда не прощает мечтателя». Понятия преступник и мечтатель семантически и позиционно сопоставляются и, будучи оценочно несопоставимыми, образуют парадоксальное единство. Быть мечтателем — это хуже, чем быть преступником. Субъектом оценки выступает общество.

Смысл парадокса заключается в том, что субъект оценки порочен и оценочные знаки должны быть пересмотрены. В данном случае имеет место раздвоения оценочного субъекта: различаются субъект внутренней оценки (общество) и субъект внешней оценки (автор сентенции). О. Уайльд предписывает обществу моральное требование уважать тех, кто отличается от среднего представителя викторианской Англии. Существует список грехов, которые могут погубить душу человека. Писатель весело полемизирует с проповедниками, заявляя: «Тпеге is no sin except stupidity» — «Нет греха, кроме тупости». Тупость, по его определению, не зависит от человека, и поэтому грехом в общепринятом смысле слова быть не может. Он обвиняет в тупости тех, кто придерживается общепринятых этико-религиозных взглядов.

Парадокс строится на контрасте, который часто бывает выражен посредством аллюзий. Например: «Что такое собака Баскервилей? Это Муму, которой удалось выплыть» (В. Шендерович). Противопоставление маленькой безобидной собачки, утопленной по приказу жестокой барыни, и чудовища из известной повести А. Конан-Дойла лежит в основе парадоксального суждения о природе человеческой жестокости: самое безобидное существо становится яростным зверем, пройдя жизненную школу борьбы за существование.

Поскольку парадоксальные суждения большей частью выражаются в виде афоризмов, то типы парадоксов в значительной мере соответствуют типам афоризмов. Можно выделить парадоксы, построенные как классификации, дефиниции, иллюстрации, вопросы и комментарии.

Ярким представителем парадоксальной классификации является список животных, якобы взятый из некоторой китайской энциклопедии. В изложении Х. Л. Борхеса «животные подразделяются на: 1) принадлежащих императору, 2) бальзамированных, 3) прирученных, 4) молочных поросят, 5) сирен, 6) сказочных, 7) бродячих собак, 8) включенных в настоящую классификацию, 9) буйствующих, как в безумии, 10) неисчислимых, 11) нарисованных очень тонкой кисточкой из верблюжьей шерсти, 12) и прочих, 13) только что разбивших кувшин, 14) издалека кажущихся мухами».

Смысл такой классификации заключается в высмеивании классификаций как таковых. Парадокс состоит в противопоставлении таксономического принципа и выделяемых классов. Существуют также и классификации, построенные на непротиворечивой основе, но с парадоксальными характеристиками классов. Например: «Titles distinguish the mediocre, embarrass the superior, and are disgraced by the inferior)) (G. B. Shaw) — «Титулы выделяют посредственность, раздражают вышестоящих и вызывают презрение у представителей низов». Неуважение к титулам со стороны знати и низших слоев общества кажется странным явлением в иерархически организованном обществе, поэтому данная сентенция воспринимается как парадокс (предполагается, что титулы вызывают уважение у всех). Следует отметить, что данные социологических исследований подтверждают правоту наблюдения Бернарда Шоу [4, с. 31].

Парадоксы-дефиниции построены на базе стандартных определений понятия, но при этом содержат противоречивые признаки-характеристики. Например: «The demagogue is one who preaches doctrines he knows to be untrue to men he knows to be idiots (H. L. Mencken)» — «Демагог — это тот, кто проповедует доктрины, которые, как он знает, лживы, людям, которые, как он знает, идиоты». В приведенном определении имеет место рассогласование оценочных признаков между понятием «проповедовать», т. е. излагать основы вероучения, и уточняющими характеристиками — «лживые доктрины», «идиоты». Оксюморонная природа парадоксальной дефиниции прослеживается в афоризме Л. Брюса «Satire is tragedy plus time» — «Сатира — это трагедия плюс время». Понятие сатира имплицирует смех и веселье, понятие «трагедия» вызывает ассоциации с печалью и слезами. Время же, по мнению автора этого парадоксального высказывания, превращает трагическое в комическое. Автор, бесспорно, опирается на знание английской пословицы «Time is the great healer» — «Время — великий лекарь». Любое горе проходит со временем, однако требуется парадоксальное восприятие мира, чтобы прошедшее стало казаться смешным.

Парадокс-иллюстрация представляет собой расширенную дефиницию, включающую конкретные характеристики-примечания, уточняющие смысл высказывания. Например: «Hypocrisy is the most difficult and nerve-racking vice that any man can persue; it needs an unceasing vigilance and a rare detachment of spirit. It cannot, lie adultery or gluttony, be practised at spare moments; it is a wholetime job» (S. Maugham) — «Лицемерие — это самый трудный и нервирующий порок, которому может предаваться человек; это требует неустанной бдительности и редкой отрешенности духа. Этим нельзя заниматься, как прелюбодеянием или чревоугодием, в свободное время; это — постоянное занятие». Парадоксальность приведенного описания заключается в том, что лицемерие, притворная добродетель, трактуется как некоторое занятие, выполнение которого вызывает трудности. Добродетельность в самом деле сопряжена с преодолением трудностей, но имитация чистосердечного добродетельного поведения вызывает у носителей языка ассоциации иного плана: мы не сочувствуем лицемеру, а презираем его. В иллюстративной части высказывания содержатся те характеристики лицемерия, которые и составляют трудность при симулировании добродетели: неустанная бдительность, редкая отрешенность духа, постоянство. Эти характеристики являются положительными качествами личности, и то обстоятельство, что неискреннее, фальшивое поведение описывается при помощи положительно-оценочных слов, приводит к парадоксальному звучанию высказывания в целом. Данный пример показывает тесную связь между парадоксом и иронией.

Парадоксальные вопросы обычно бывают риторическими. Например: «С какой стороны от дамы должен идти джентльмен, если дама не хочет идти с джентльменом?» (К. Мелихан). В данном случае имитируется задание из руководства по обучению правилам хорошего тона. Вопрос является абсурдным, и поэтому приведенное высказывание воспринимается как шутка.

Парадоксальный комментарий меняет оценочный знак предшествующего высказывания. Например: «To be good is noble, but to teach others to be good is nobler — and less trouble (M. Twain)» — «Быть добродетельным благородно, но учить других быть добродетельными — благороднее и хлопот меньше». Все высказывание воспринимается в юмористическом ключе благодаря комментарию. Данный пример показывает, что парадокс лежит в основе стилистического эффекта снижения (bathos).

В основе парадокса лежит эффект обманутого ожидания. Следует подчеркнуть, что при таком расширенном понимании парадокса к предмету нашего изучения можно отнести большую группу речевых явлений, традиционно рассматриваемых отдельно, — от оксюморона до бурлеска. Вместе с тем важно отметить принципиальное различие между противоречивостью и несовместимостью суждений: несовместимые суждения могут быть противоречивыми и разноплановыми. В основе разноплановых суждений лежит катахрез — сочетание несочетаемых слов типа «Зеленые идеи яростно спят». Аналогичным образом могут быть построены двухчастные суждения, компоненты которых никак не связаны между собой. Парадокс же базируется на четко осознаваемой связи противоречивых суждений. Если катахреза и порождаемые ею метафоры относятся к изобразительным средствам языка, то противопоставление и парадокс как частный случай противопоставления относятся к выразительным языковым средствам.

Таким образом, природа парадокса заключается в коммуникативной потребности разрушить некоторые общепринятые истины и нормы. Выделяются две

стратегии парадокса — деструктивная и конструктивная. Парадокс может быть выражен в виде афоризма и неафористического текста с парадоксальной связью суждений — от сравнения до крупного текстового образования. Парадокс часто имеет форму классификации, дефиниции, иллюстрации, вопроса и комментария. Эмоциональный заряд парадокса состоит в конфликте системы ценностей, сталкивающихся в пресуппозиции, и выраженной части либо импликации парадокса.

К этому следует добавить, что одной из главных отличительных черт парадокса (исключая научные, такие, как апории Зенона, логические парадоксы самообращения Рассела, парадокс кучи, парадокс близнецов, парадокс петербургской игры, фотометрический парадокс и т. п.) является его экспрессивность и даже анекдотичность в узко бытовом плане.

Литература

1. Бергсон А. Смех. М.: Искусство, 1992.
2. Шаховский В. И. Семная синтагматика эмотивного текста // Синтагматика слова, словосочетания и предложения. Волгоград, 1988.

Communicative Strategy of Paradox in the Emotional Text

Chuprinina Svetlana

The article deals with the issues concerning the origin of paradox, that lies in the necessity of communication aiming at destroying some certain conventional truth and norms.

პარადოქსის კომუნიციური სტრატეგია ემოციურ ტექსტში

სვეტლანა ჩუპრინინა

ამ სტატიაში განიხილება პარადოქსის არსი, რომელიც არღვევს კომუნიკაციური მოთხოვნილებების ზოგიერთ საერთომიღებულ ნორმებსა და ჭეშმარიტებებს.

ზმნის უპირო ფორმების შემცველი კონსტრუქციების თარგმნის სპეციფიკა

მანანა ჩხარტიშვილი, *ასოცირებული პროფესორი*
თამარ ბაკურაძე, *ასოცირებული პროფესორი*
ნარგიზა გოგუაძე, *მასწავლებელი (სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრი `სპექტრი“)*
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., 77

განსხვავებულ ენათა შესაბამისი სტრუქტურების შეპირისპირებითი ანალიზი წარმოადგენს ტიპოლოგიური ლინგვისტიკის სპეციალური დარგის – კონტრასტული ლინგვისტიკის კვლევის საგანს. კონტრასტული ლინგვისტიკის ერთ-ერთი ამოცანა მდგომარეობს უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებული სტრატეგიის გამომუშავებაში, რომელიც მნიშვნელოვანია სწავლების ყველა ეტაპზე. სტრატეგია გულისხმობს იმ ამოცანების გადაჭრას, რომელიც დგება განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენათა შეპირისპირებითი შესწავლის წინაშე და ემყარება ამ ენების სტრუქტურულ თავისებურებათა ანალიზს.

თარგმნის პროცესი განიხილება, როგორც ორი ენის სამეტყველო და ენობრივი ერთეულების შეპირისპირება. თარგმნის პროცესში ეკვივალენტობა დგინდება არა მარტო ორ სხვადასხვაენოვან ტექსტს შორის, არამედ ამ ტექსტების ელემენტებს შორისაც. ორი ენის ეკვივალენტური ერთეულები ერთმანეთს შეეფარდებიან არა როგორც მათი სისტემების ერთეულები, არამედ ისინი არსებობენ ეკვივალენტური სამეტყველო გამონათქვამების შემადგენლობაში.

თარგმნის პროცესში ხშირად დგება ცალკეული სიტყვების, წინადადებების, თუ მოზრდილი მონაკვეთების ფორმალური ეკვივალენტობის მიღწევის პრობლემა, ტექსტის ცალკეულ მონაკვეთში სულაც არაა აუცილებელი დედანში გამოყენებულ სიტყვას ან წინადადებას მოეძებნოს ზუსტი სტრუქტურული თუ სტილისტური ეკვივალენტი. მთავარია ეკვივალენტური ელემენტები გაჩნდეს კონტექსტში და მონაკვეთს მიანიჭოს დედნის შესაბამისი სტილისტური შეფერილობა.

ხშირად საკმაოდ რთულია დედნის ძირითადი სინტაქსური სტრუქტურების შენარჩუნება განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენაზე თარგმნისას. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ზმნისა და მასთან დაკავშირებული სტრუქტურების აზრობრივ და გრამატიკულ შესაბამისობაში მოყვანა. განვიხილოთ ეს საკითხი ზმნის უპირო (არაუღლებადი) ფორმები-საგან (გერუნდივი და მიმდეობა) წარმოებული კონსტრუქციების თარგმნისას გამოყენებული ხერხების მაგალითზე მხატვრული პროზის მასალაზე დაყრდნობით.

ზოგადად ინგლისური ზმნების საერთო თვისებების გარდა, გერუნდივსა და მიმდეობას აქვთ ასევე გარკვეული საკუთარი თვისებები, რომლებიც მათ უღლებადი ზმნებისაგან განასხვავებს.

გერუნდივისა და მიმდეობის ლექსიკო-გრამატიკულ მნიშვნელობას, მიუხედავად მათი ზმნური მნიშვნელობისა, აქვს ასევე სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკო-გრამატიკული მნიშვნელობები. მაგ., გერუნდივი გამოხატავს ქმედებას, რომელიც ნაწილობრივ სუბსტანციის ფუნქციებს ატარებს. მიმდეობა ასახავს „დამახარისხებელ ქმედებას“, ანუ ქმედებას, რომელიც რომელიმე სუბსტანციის ამსახველ თვისებად (როგორც ზედსართავი) ან სხვა ქმედების გარემოებადაა (როგორც ზმნიზედა) მიჩნეული. ამ ფორმებს არ აქვთ უღლებადი ზმნების ბევრი კატეგორია, როგორიცაა რიცხვი, პირი, ან კილო.

გერუნდივი პროცესის სახელია, მისი თავსებადობა როგორც ზმნის, ასევე არსებითი სახელის თავსებადობის მსგავსია.

როგორც ზმნას, გერუნდივს აქვს გვარისა და პერფექტულობის (დროითი მიმართების) კატეგორიები: *writing (non-passive, non-perfect) – being written (passive, non-perfect), having written (non-passive, perfect) – having been written (passive, perfect)*. აწმყო დროის გერუნდივი (მოქმედებითი და ვნებითი) გვიჩვენებს, რომ გერუნდივითა და შემასმენლით გამოხატული მოქმედება ერთდროულია.

სრული დროის გერუნდივი და მიმდეობა (მოქმედებითი და ვნებითი) გვიჩვენებს, რომ გერუნდივით გამოხატული მოქმედება წინ უსწრებს შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას.

გერუნდივს აქვს ზმნის შემდეგი სინტაქსური თვისებები: ის იღებს პირდაპირ დამატებას, მას განსაზღვრავს ზმნიზედა, ის იხმარება, როგორც რთული შემასმენლის ნაწილი. გერუნდივი გამოიყენება როგორც გარემოება (წინდებულთან ერთად).

არსებითი სახელის მსგავსად, გერუნდივი იხმარება, როგორც ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, წინდებულიანი დამატება, როგორც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, როგორც პოსტპოზიციური განსაზღვრება

(თანდებულთან ერთად); გერუნდივი შეიძლება ვიხმაროთ წინდებულთან ერთად; იგი შეიძლება განსაზღვროს კუთვნილებითმა ნაცვალსახელმა და არსებითმა სახელმა კუთვნილებით ბრუნვაში.

მიმღეობის თავსებადობა ნაწილობრივ ზმნას, ნაწილობრივ არსებით სახელს წააგავს, ასევე არსებით სახელებთან და ზმნიზედებთან არის დაკავშირებული, ნაწილობრივ კი – ზედსართავ სახელებთან (თუ არსებით სახელებს განსაზღვრავს).

აწმყო დროის მიმღეობა გვიჩვენებს, რომ მიმღეობითა და შემასმენლით გამოხატული მოქმედება ერთდროულია – *He found her sitting at the table*. მოქმედებითი გვარის სრული დროის მიმღეობა გვიჩვენებს, რომ მიმღეობით გამოხატული მოქმედება წინ უსწრებს შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას – *Having written the letter, he went to post it.*

აწმყო დროის მიმღეობა წინადადებაში იხმარება დროების საწარმოებლად; იგი იხმარება, როგორც განსაზღვრება, როგორც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, როგორც გარემოება; მას შეუძლია შეცვა-ლოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება; იგი შეიძლება იყოს რთული დამატების ნაწილი see, feel, hear და ზოგი სხვა ზმნების შემდეგ.

ნამყო დროის მიმღეობა იხმარება სრული დროების საწარმოებლად, ვნებითი გვარის ყველა დროის საწარმოებლად; იგი იხმარება, როგორც განსაზღვრება, როგორც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. მას შეუძლია შეცვალოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება; იგი შეიძლება იყოს რთული დამატების ნაწილი. იგი იხმარება, როგორც არსებითი სახელი (გაარსებითებული მიმღეობა). მოქმედებითი გვარის სრული დროის მიმღეობა გამოიყენება, როგორც გარემოება: *Having finished my work, I went home.* ვნებითი გვარის სრული დროის მიმღეობა გამოიყენება როგორც გარემოება: *Having been defeated, the enemy hastily retreated.*

გერუნდივს შეუძლია შექმნას კონსტრუქცია, რომელიც შედგება არსებითი სახელისა და გერუნდივისაგან: *Do you mind John's smoking in the room*? არსებითი სახელი შეიძლება იყოს ან ნათესაობით ბრუნვაში ან საერთო ბრუნვაში: *I insist on Mary's going there, I insist on Mary going there.* თუ გამოიყენება ნაცვალსახელი, ეს ან კუთვნილებითი ნაცვალსახელია ან პირის ნაცვალ-სახელი ობიექტურ ბრუნვაში: *I don't like his coming here, I don't like him coming here.* ამ ორი კონსტრუქციის მნიშვნელობა განსხვავდება: პირველი ვერბალი უფრო სუბსტანციურია მნიშვნელობის მხრივ, ვიდრე მეორე. ლიტერატურაში მეორე ვერბალური წინადადება ნახევარ-გერუნდივად მოიხსენიება. გერუნდივის შემცველი კონსტრუქცია იხმარება როგორც რთული ქვემდებარე, რთული პირდაპირი ან თანდებულიანი დამატება, რთული განსაზღვრება და რთული გარემოება.

როგორც რთული დამატება, ეს კონსტრუქცია შეიძლება ითარგმნოს:

შერწყმული წინადადებით:

Burns, I insist *on your holding your head up*... berns, გასწორდი, გიბრძანებ, მაღლა ასწიე თავი;

მარტივი გავრცობილი წინადადებით:

... a sure instinct always prevented *me from going too far.* ჩემს უტყუარ წინათგრძნობას არასოდეს არ შევყავდი ძალიან შორს;

რთული ქვეწყობილი, დამატებით დამოკიდებული წინადადებით:

Bessie … insisted *on my taking off my bonnet and having some tea*. besim ... მოითხოვა ქუდი მომეხადა და ჩაი დამელია;

როგორც რთული განსაზღვრება, ეს კონსტრუქცია ითარგმნება რთული ქვეწყობილი, მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით:

… I shuddered at the thought *of Grace Poole bursting out upon me*... შიშით ვცახცახებდი, გრეის პული უცებ თავს არ დამსხმოდა.

არსებობს ოთხი მიმღეობის შემცველი კონსტრუქცია:

1. The objective – participle construction;

2. The subjective – participle construction;

3. The subjective – absolute participle construction;

4. The absolute participle construction.

პირველი კონსტრუქცია შესაბამისი ობიექტურ-ინფინიტივური კონსტრუქციის მსგავსია. *I saw John running away, I saw John run away*. პირველი კონსტრუქცია წარმოადგენს განვითარებად სიტუაციას, მეორე – დასრულე-ბულს.

ეს კონსტრუქცია ითარგმნება:

რთული ქვეწყობილი, დამატებით დამოკიდებული წინადადებით:

I heard *the rain still beating continuously on the staircase window, and the wind howling in the grove behind the hall* მესმოდა, როგორ განუწყვეტლივ შხაპუნობდა წვიმა შემოსასვლელი კიბის ფანჯრის მინებზე, ქარი კი სახლს უკან ხეივანში დაუსრულებლად ზუზუნებდა;

მარტივი გავრცობილი წინადადებით:

… I perceived *streaks of gray light edging the window curtains*. … ფარდის კიდეებზე ნაცრისფერი სინათლის ზოლები შევნიშნე;

რთული ქვეწყობილი, განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებით:

… I thought I could distinguish *the two volumes of Bewick's British Birds occupying their old place.* … შემეძლო თამამად გამომერჩია ბივიკის „ბრიტანეთის ფრინველების“ ორი ტომი, რომელთაც თავიანთი ძველი ადგილი ეკავათ...;

რთული ქვეწყობილი, დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით:

scarcely an hour ago I had heard *her condemned by Miss Scatcherd to a dinner of bread and water on the morrow*. ... ერთ საათსაც კი არ გაევლო, რაც მის სკეჩერდმა ის დასაჯა და დაჰპირდა, რომ სადილად მხოლოდ პურსა და წყალზე გადაატარებდა;

შერწყმული წინადადებით:

I saw a second person in the chamber – *a woman sitting on a chair by the bedside, and sewing rings to new curtains.* ცეცხლის პირას სავარძელში იჯდა ვიღაც ქალი და ახალ ფარდებს რგოლებს აკერებდა.

ზოგიერთ შემთხვევაში თარგმანში მოცემულია რთული კონსტრუქციის წინადადება, სადაც პირველი ნაწილი არის რთული ქვეწყობილი, მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადება, მეორე კი – მარტივი გავრცობილი წინადადება:

“Mrs. Fairfax!” I called out: for now I heard *her descending the great stairs.* მისის ფეირფექს, – დავუძახე მე, – რადგანაც ამ წუთს მომესმა მისი ფეხის ხმა; ის კიბეებზე ჩადიოდა.

მეორე კონსტრუქცია სუბიექტურ-ინფინიტივური კონსტრუქციის მსგავსია. *John was seen running away, John was seen to run away*. პირველი კონსტრუქციის შემთხვევაში, სუბიექტური მიმღეობა პროცესს განვითარებაში განიხილავს, მაშინ როდესაც სუბიექტურ-ინფინიტივური კონსტრუქცია პროცესს, როგორც დასრულებულს, ასახავს.

ეს კონსტრუქცია ითარგმნება:

მარტივი გავრცობილი წინადადებით:

Ere long, *Adèle's little foot was heard tripping across the hall*. მალე ადელის პაწაწინა ფეხის ჩქარი ნაბიჯების ხმაც გაისმა დერეფანში.

ორი მარტივი გავრცობილი წინადადებით:

... the bulky figure of Sir George Lynn, ... was seen enveloped in a white sheet. გამოჩნდა წარმოსადეგი სერ ჯორჯ ლინი... ის თეთრ ზეწარში გახვეულიყო.

სუბიექტურ-აბსოლუტური მიმდეობა, ტრადიციულად „ნომინაციურ აბსოლუტურ კონსტრუქციად" წოდებული, შედგება საერთო ბრუნვაში მყოფი არსებითი სახელისაგან ან ნომინაციური მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელისაგან. *The elevator being out of order, everyone had to walk*. პირის ნაცვალსახელი ასეთ კონსტრუქციებშო უფრო სასაუბრო ინგლისურში არსე-ბობს, ვიდრე ფორმალურ ინგლისურ ენაში. *He being sick, we'll have to do his work.* თუ პირის ნაცვალსახელის წინ თანდებული დგას, ნაცვალსახელი ობიექტურ ბრუნვაშია: *With him being sick, we'll have to do his work*. ნომინალური პოზიცია საკუთარი ნომინაციის სიტყვებით იცვლება. ასეთი კონსტრუქციები წინადა-დებაში ჩვეულებრივ გარემოების ფუნქციას ასრულებს და ითარგმნება:

რთული თანწყობილი წინადადებით:

A chapter having been read through twice, the books were closed and the girls examined. ერთი თავი ორჯერ წაიკითხეს, შემდეგ წიგნები დახურეს და მასწავლებელმა გამოკითხვა დაიწყო;

მარტივი გავრცობილი წინადადებით:

... this done, both followed me. ... ამის შემდეგ, ორივე გამომყვა.

შერწყმული წინადადებით:

Half reclined on a couch appeared Mr. Rochester, *his foot supported by the cushion*; he was looking at Adèle and the dog. მისტერ როჩესტერი... ნახევრად იყო მიწოლილი ტახტზე, ფეხი ბალიშზე დაეყრდნო და ძაღლსა და ადელს შეჰყურებდა.

რთული ქვეწყობილი, მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით:

... but the night being wet and inclement, Mr. Rochester did not accompany them. ... ხოლო რადგან საღამო ცივი და წვიმიანი იყო, მისტერ როჩესტერი არ გაჰყოლია მათ.

განკერძოებული განსაზღვრებით:

And extending his cane he pointed to the awful object, *his hand shaking* as he did so. მერე თავისი ლერწმის ჯოხი ასწია და გაიშვირა ყველაზე საშინელი არსებისაკენ; მაღლა აწეული ხელი მღელვარებისაგან უკანკალებდა.

არსებობს აგრეთვე მიმდეობის შემცველი კონსტრუქციები, რომლებიც წინადადებას *with* ან *without*-ის საშუალებით უკავშირდება. ისინი წინადა-დებაში განსაზღვრების ან გარემოების ფუნქციას ასრულებს და ითარგმნება

მარტივი წინადადებით განკერძოებული ვითარების გარემოებით:

... and the strange little figure there gazing at me *with a white face and arms specking the gloom.* სარკიდან უცნაური და პაწაწინა არსება მიმზერდა გაფითრებული სახით და აკანკალებული ხელებით...

რთული თანწყობილი წინადადებით:

… he fell asleep *with his candle lit. ...* ჩასძინებია და სანთელი ანთებული დარჩენია.

რთული ქვეწყობილი, განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებით:

Amidst this sordid scene, sat a man *with his clenched hands resting on his knees, and his eyes bent on the ground.* ამ ღარიბულად მოწყობილ სცენაზე იჯდა ვიღაც მა-

მაკაცი, რომელსაც ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები მუხლებზე ეწყო და თვალდახრილი მიწას ჩაჰყურებდა.

აბსოლუტური კონსტრუქციები შეიცავს მიმღეობას, რომელიც წინადადების რომელიმე ინდივიდუალურ ელემენტზე დამოკიდებული არ არის: *Walking back, it snowed*. ამ კონსტრუქციებს აქვს გარემოების ან ჩართულის მნიშვნელობა. ისინი შეიძლება ითარგმნოს:

რთული ქვეწყობილი, დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით:

While sobbing out this wish in broken accents, someone approached. ქვითინით ვლუღლუღებდი ამ სიტყვებს, რომ ვიღაც მომიახლოვდა.

ჩართულით:

I returned to my book – Bewick's History of British Birds: the letterpress thereof I cared little for, *generally speaking*... გულახდილად რომ ვთქვა, ნაკლებად მიზიდავდა ილუსტრაციებს ქვემოთ მინაწერი ტექსტის შინაარსი...

ამგვარად, ცხადია, რომ მხატვრული თარგმანი არ შეიძლება დავიყვანოთ ერთი ენობრივი ფორმის მეორეთი შეცვლის დონემდე, წმინდა ლინგვისტური მიდგომა უძლურია მხატვრული ნაწარმოების თარგმნის ანალიზისას. თარგმანის განვითარების დღევანდელ ეტაპზე გამართული ენა არის ის საფუძველი, რომელიც თარგმანს ლიტერატურულ ფაქტად აქცევს.

თარგმანის მხოლოდ ენის დონეზე უარყოფითად ან დადებითად შეფასება მცდარ კრიტერიუმებს ემყარება, მხატვრული თარგმანი შემოქმე-დების ფორმაა და მისი ღირსება არ შეიძლება წმინდა ენობრივ მხარეზე იმაზე მეტად იყოს დამოკიდებული, ვიდრე ეს ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებშია დასაშვები.

მხატვრული ნაწარმოების გრამატიკული სისტემის ზოგიერთი ელემენტი თარგმანში იკარგება ორ ენას შორის არსებული გრამატიკული სხვაობის გამო. გრამატიკული სტრუქტურა აზრის გამფორმებელია და მას ერთი შეხედვით, თითქოს არც გააჩნია დამოუკიდებელი სტილისტური ღირებულება, მაგრამ გრამატიკულ ფორმათა ერთობლიობა, მხატვრულ ტექსტში მათი ორგანიზება და ხმარების მეტ-ნაკლები სიხშირე ლექსიკურ ერთეულებთან ერთად აყალიბებს ნაწარმოების სტილისტურ მრავალფეროვნებას.

ლიტერატურა

1. კუბრიაკოვა ე.ს. – NON – FINITE FORMS OF THE VERB /VERBALS/, „ინგლისური ენის გრამატიკა", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989. გვ. 3–165.
2. მიქიაშვილი ო. – „ქართული ენა". თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006.
3. შარლოტა ბრონტე, ჯეინ ეარი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" თბ. 1976.
4. Goksadze L., Mamatsashvili M., Bolkvadze S. – "A Practical Course in Current English Grammar", vol. 2., Tb. Univ. Press, 1989.
5. Charlotte Brontë. Jane Eyre. Moscow 1954.

Специфика перевода неличных глагольных конструкций

М. Чхартишвили, Т. Бакурадзе, Н. Гогуадзе

Грузинский Технический Университет,

Грузия, Тбилиси, ул. Костава, 77

Проблема эквивалентности грамматических структур представляет определенную сложность и не может быть решена одозначно. На любом уровне эквивалентности необходимо

выявить различия и общие черты между основными грамматическими структурами обоих языков.

Невозможность формально точно передать значение той или иной грамматической формы, обусловленная несоответствиями между грамматическими системами двух языков, как правило, компенсируется с помощью других грамматических и лексических средств т.е. посредством различных лексико- грамматических трансформаций.

Peculiarities of Translating Non-Finite Verbal Constructions

M. Chkhartishvili, T. Bakuradze, N. Goguadze
Georgian Technical University,
Kostava Str., 77, Tbilisi, Georgia.

The problem of equivalence of grammatical structures is rather complicated and cannot be solved unambiguously. On any level of the equivalence it is necessary to reveal the differences and common features between basic grammatical structures of both languages.

The impossibility to convey the exact meaning of a certain grammatical form due to the lack of correspondence between grammatical systems of two languages is, as a rule, compensated through other grammatical and lexical means i.e. by means of different lexico-grammatical transformations.

ინფინიტივის შემცველი კონსტრუქციების ინგლისურიდან ქართულად თარგმნის ზოგიერთი თავისებურებანი

მანანა ჩხარტიშვილი, *ასოცირებული პროფესორი*
თამარ ბაკურაძე, *ასოცირებული პროფესორი*
მარიამ შონია, *ასოცირებული პროფესორი*
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., 77

ენის, როგორც სისტემის გასაგებად, აუცილებელია არა მარტო მისი შემადგენელი კომპონენტების უბრალოდ ჩამოთვლა, არამედ იმ ურთიერთობების დადგენა, რომლებიც არსებობს ამ კომპონენტებს შორის და ქმნის ენის სტრუქტურირების საფუძველს. ენებს შორის საერთო სწორედ იმ ზოგად პრინციპში მდგომარეობს, რომელიც არსებობს განსხვავებულ ენათა სტრუქტურულ ორგანიზაციაში. ეს არის შინაგანი სტრუქტურული პრინციპი, რომელიც დგას განსხვავებულ ენათა ფაქტების მრავალფეროვნების უკან.

აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია თარგმანის საკითხებთან დაკავშირებით. ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ ენებს შორის გარკვეული ეკვივალენტობის დადგენა როგორც გრამატიკულ სტრუქტურებში, ისე აზრობრივი შესაბამისობის მიღწევა ნაწარმოების მიზანდასახულობისა და მხატვრული თავისებურებების შენარჩუნებით.

გრამატიკულ სტრუქტურათა ეკვივალენტობის საკითხი, თუ გავითვალისწინებთ სათარგმნი მასალის ჟანრს, სტილისტურ თუ სხვა თავისებურებებს, საკმაოდ რთულია და ერთმნიშვნელოვნად ვერ გადაწყდება. ეკვივალენტობას ნებისმიერ დონეზე საფუძვლად უდევს სათარგმნ და თარგმნის ენებს შორის ძირითადი გრამატიკული მახასიათებლების მსგავსებისა და განსხვავებათა გამოვლენა.

ქართულის შედარება განსხვავებული სტრუქტურის ენებთან ენის სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა სირთულით წარმოგვიდგება. ინგლისურ-ქართულ თარგმანთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ ზმნისა და მასთან დაკავშირებული სტრუქტურების აზრობრივ და გრამატიკულ შესაბამისობაში მოყვანა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც მეტწილად გამოწვეულია ქართული ზმნის თავისებურებათა გაუთვალისწინებლობით და განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მხატვრული თარგმანის შემთხვევაში.

ნაშრომი ეხება ინგლისური ინფინიტივისაგან წარმოებული არაუღლებადი კონსტრუქციების ფუნქციურ-სემანტიკური შესატყვისების დადგენას განსხვავებული სტრუქტურის ენებში ინგლისური და ქართული ენების მასალაზე დამყარებით. მასში განხილულია ამ კონსტრუქციების ზოგადი მახასიათებლები, გამოხატვის ფორმები და მათი ქართულ ენაზე თარგმნის ხერხები. საანალიზო მასალად შერჩეულ იქნა შარლოტა ბრონტეს რომანი „ჯეინ ეარი“ და მისი თარგმანი ქართულ ენაზე.

არაუღლებადი ზმნები გამოხატავენ მეორად ქმედებებს. მათ არ გააჩნიათ პირის, რიცხვისა და კილოს კატეგორიები. მაგრამ ისინი გამოხატავენ დროს, რომელიც უღლებად ზმნებში აღწერილ დროს ემთხვევა ან წინ უსწრებს.

არაუღლებადი ფორმები (ინფინიტივი, გერუნდივი, მიმღეობა) გამოხატავენ „შეფარდებით“ პროცესებს, ანუ ზმნასთან დაკავშირებულ არაუღლებად ზმნებში პროცესის მნიშვნელობა წარმოიშვება ზმნის მნიშვნელობიდან. ინფინიტივი არის პროცესი, რომელიც მოიცავს სუბსტანციურობის კომპონენტს; გერუნდივი ასევე სუბსტანციური პროცესია; მიმღეობა კი მოქმედების პროცესია. მათი ძირითადი მნიშვნელობა პროცესს ასახავს. მათი ვერბალურობა ან პროცესუალობა მორფოლოგიური კატეგო-რიებით აიხსნება (ასპექტი, გვარი, პერფექტულობა-არაპერფექტულობა).

წინადადებაში ამ ფორმების ფუნქციები განსხვავდება უღლებადი ზმნების ფუნქციებისაგან. უღლებადი ზმნები წინადადების პრედიკატის როლს ასრულებენ. როგორც წესი, ზმნის უპირო ფორმები ამ ფუნქციაში არ არიან ჩართული. მაგრამ ისინი სხვა ბევრ ფუნქციას ასრულებენ.

ისტორიულად, ინფინიტივი არის ვერბალური არსებითი სახელი, რადგანაც ის ორმაგი ბუნებისაა: ის ითავსებს ზმნისა და არსებითი სახელის თვისებებს. ეს არის ზმნის ფორმა, რომელიც ასახავს პროცესს ზოგადად, ანუ პროცესს, რომელიც არ არის შეზღუდული (დაკონკრეტებული) პირის, რიცხვისა თუ კილოს მახასიათებლებით. მისი ზოგადი პროცესის მნიშვნელობის გამო ინფინიტივი ზმნის პარადიგმის მთავარ ფორმადაა მიჩნეული. ამ ჭრილში ის გვაგონებს ნომინაციურ შემთხვევებს, რომლებიც ფლექტიურ ენებში არსებობს; ინფინიტივისგან ზმნის ყველა ფორმა წარმოიშვება.

როგორც ზმნის უღლებად ფორმას, ინფინიტივი განსაზღვრავს ასპექტის, გვარისა და დროითი მიმართების კატეგორიებს.

ინფინიტივის პარადიგმა

ასპექტი	*გვარი*	
	მოქმედებითი	*ვნებითი*
non-perfect, non-continuous	*to write*	*to be written*
non-perfect, continuous	*to be writing*	
perfect, non-continuous	*to have written*	*to have been written*
perfect, continuous	*to have been writing*	

ინფინიტივის განუსაზღვრელი ფორმა (მოქმედებითი და ვნებითი) გვიჩვენებს, რომ ინფინიტივით და შემასმენლით გამოხატული მოქმედება ერთდროულია. ინფინიტივის განგრძობითი ფორმა გამოხატავს უწყვეტ მოქმედებას, რომელიც შემასმენლის მიერ გამოხატულ მოქმედებასთან ერთდროულად მიმდინარეობს. ინფინიტივის სრული ფორმა (მოქმედებითი და ვნებითი) გვიჩვენებს, რომ ინფინიტივით გამოხატული მოქმედება წინ უსწრებს შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას. ინფინიტივის სრული განგრძობითი ფორმა გამოხატავს უწყვეტ მოქმედებას, რომელიც წინ უსწრებს შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას:

ინფინიტივს გააჩნია ზმნის შემდეგი ფუნქციები: ინფინიტივი იღებს პირდაპირ დამატებას, მას განსაზღვრავს ზმნიზედა, ინფინიტივი იხმარება როგორც რთული შემასმენლის ნაწილი, მას აქვს დროის, გვარისა და ასპექტის ფორმები.

თუ ინფინიტივი არის *non-perfect,* მაშინ ის უღლებადი ზმნის მიერ აღწერილ პროცესს ემთხვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში – ის აღწერს უღლებადი ზმნის მიერ ასახული პროცესის წინა პროცესს.

სემანტიკურად და მორფოლოგიურად ინფინიტივი უფრო მეტად ზმნას და არა არსებით სახელს ჰგავს, მისი ვერბალური თვისებები არსებითი სახელის თვისებებს აღემატება. როგორც არსებითი სახელი, ინფინიტივი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც სუბიექტი ან სუბიექტის ნაწილი, დამატება, შემასმენლის სახელადი ნაწილი, განსაზღვრება, გარემოება ან რთული დამატების ნაწილი.

ტრადიციულად, ფილოლოგები გამოყოფენ ინფინიტივის შემდეგ კონსტრუქციებს:

1. The objective infinitive construction;

2. The subjective infinitive construction;

3. The for-to infinitive construction;

პირველი კონსტრუქცია შედგება საერთო ბრუნვაში მყოფი არსებითი სახელისა და ინფინიტივისაგან ან ობიექტურ ბრუნვაში მდგარი პირის ნაცვალსახელისა და ინფინიტივისაგან. წინადადებაში ამ კონსტრუქციას აქვს კომპლექსური ობიექტის ფუნქცია, I saw John cross the street. ეს კონსტრუქცია გამოიყენება მენტალური პროცესის ამსახველი ზმნის შემდეგ (*hear, watch, feel, observe, notice, know, think, consider, believe, suppose, expect, imagine, find, like, want, wish, desire, mean, intend, choose*), ვერბალური *(pronounce, report, declare*) და მიზეზობრივი პროცესების ამსახველი (*make, cause, get, have, order, allow*) ზმნების შემდეგ.

ეს კონსტრუქცია, უმეტეს შემთხვევაში, ითარგმნება რთული ქვეწყობილი წინადადებით, რომელიც შეიცავს დამატებით დამოკიდებულ წინადადებას:

I felt *a burning glow mount to my face.* ვიგრძენი, სახეზე ალმური მომედო.

I wished *the wind to howl more wildly, the gloom to deepen the darkness, and the confusion to rise to clamour.* ვნატრობდი, ქარს უფრო ძალუმად ეზუზუნა, სიბნელე უკუნეთით შეცვლილიყო, ხოლო ხმაური და უწესრიგობა – ხმამაღალი ყვირილით.

I allowed *Adèle to sit up much later than usual.* ადელს ნება დავრთე ჩვეულებრივზე გვიან დაეძინა.

ზოგიერთ შემთხვევაში ეს კონსტრუქცია ითარგმნება

ა) მარტივი გავრცობილი წინადადებით:

I felt *a drop or two of blood from my head trickle down my neck*... ჭრილობიდან სისხლი წვეთ-წვეთად კვლავ ჩამომდიოდა კისერზე.

I was carried into an inn, where the guard wanted *me to have some dinner*. გამყოლმა საუზმის საჭმელად სასტუმროში შემიყვანა.

ბ) რთული ქვეწყობილი, განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებით:

... I dimly perceived that she was already obliterating hope from the new phase of existence which she destined *me to enter*. ... მაინც ვხედავდი, მისის რიდს უნდოდა იმ უმცირესი იმედის გაქრობით მოეწამლა ის ახალი ცხოვრებაც, რომელსაც ახლა თვით მთავაზობდა.

გ) შერწყმული წინადადებით:

... but when I saw *him lift and poise the book* and stand in act to hurl it, I instinctively started aside with a cry of alarm. მან წიგნი აიღო, დამიმიზნა და ის იყო უნდა ესროლა, რომ შეშინებულმა შევკივლე და უნებურად განზე გადავხტი.

დ) რთული ქვეწყობილი, დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით:

On the evening of the day on which I had seen *Miss Scatchard flog her pupil Burns*, I wandered as usual among the forms and tables and laughing groups without a companion... იმ დღეს საღამოთი, როცა მის სკეჩერდმა გაწკეპლა მისი აღსაზრდელი ბერნსი, მე ჩვეულებრივ დავეხეტებოდი მაგიდებს, მერხებსა და მოკისკისე გოგონებს შორის მარტოდმარტო...

ე) თანწყობილი წინადადებით:

… they made *my heart tremble, my veins glow* when I viewed them მათ დანახვაზე გული სიამით ამითრთოლდა, სისხლი ამიჩქარდა...

ვ) რთული ქვეწყობილი, მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით:

… had not a scruple about the unhealthiness of the situation … made *my conscience recoil from the arrangement.* მაგრამ სინდისი მქენჯნიდა ... ამიტომაც ვთქვი უარი ჩემ ასეთ განზრახვაზე.

მეორე კონსტრუქცია შედგება საერთო ბრუნვაში მყოფი არსებითი სახელისაგან ან სახელობით ბრუნვაში მყოფი ნაცვალსახელისაგან, ასევე ინფინიტივისაგან. წინადადებაში კონსტრუქცია მუშაობს, როგორც კომპლექ-სური სუბიექტი *John was seen to cross the street.* კონსტრუქცია გამოიყენება პასიური ფორმის ზმნებთან ერთად მენტალური (*see, hear*), ვერბალური (*say, report*), მოდალური პროცესების (*appear, be likely*) ამსახველი ზმნების შემდეგ, ასევე მიზეზობრივი ზმნების (*make, order, allow*) შემდეგ.

ეს კონსტრუქცია შეიძლება ითარგმნებოდეს

ა) მარტივი გავრცობილი წინადადებით:

The party were expected to arrive on Thursday afternoon, in time for dinner at six. სტუმრებს ხუთშაბათს, ექვსი საათისთვის ელოდნენ.

She appeared to be on her high horse to-night. ამ საღამოს გადამეტებულ სიამაყეს იჩენდა.

ბ) წინადადებით, რომელშიც გამოყენებულია განკერძოებული სიტყვა:

… *he* had been summoned to Millcote on business and *was not likely to return* till late. ... ის რაღაცა საქმეებზე მილკოტში გამოიძახეს, როგორც ჩანდა, გვიან საღამომდე არც უნდა დაბრუნებულიყო.

მესამე კონსტრუქცია შედგება *for (of)* თანდებულისგან, საერთო ბრუნვაში მყოფი არსებითი სახელისგან ან ობიექტურ ბრუნვაში მდგარი ნაცვალსახელისა და ინფინიტივისგან. *He is a good man for you to know.* თანდე-ბულები

გამოიყენება, როდესაც მოლაპარაკე ადამიანს სურს ინფინიტივის ფორმაში მყოგი სუბიექტის ახსნა. თუ სუბიექტი ახსნილი არ არის, წინადადება გამოხატავს საერთო სიტუაციას.

He is a good man to know. vs. He is a good man for me/you to know.

სინტაქსურად, კონსტრუქცია მრავალფუნქციურია: ის შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც კომპლექსური სუბიექტი (*For you to do such a thing will only cause trouble*):

... and now it is time *for you to come in;* ახლა კი დროა შენ თვითონ შიგნით შემოხვიდე (რთული ქვეწყობილი წინადადება ირიბი დამატებით დამოკიდებული წინადადებით);

კომპლექსური obieqti (*The store arranged for us to pay the money in three instalments*):

Mr. Mason … asked *for more coal to be put on the fire…* mister mezoni ... მოითხოვდა ცეცხლისათვის ქვანახშირი დაემატებინათ (რთული ქვეწყობილი წინადადება დამატებით დამოკიდებული წინადადებით).

კომპლექსური პრედიკატივი (*The regulation is for boys and girls to live in separate dormitories*), კომპლექსური ზმნიზედა (*In order for me to buy a car. I'll have to take a loan from the bank*), კომპლექსური განსაზღვრება:

… he sends directions *for all the best bedrooms to be prepared* ბრძანებს, მზად დახვდეს ყველა საუკეთესო საწოლი ოთახი (რთული ქვეწყობილი წინადადება დამატებით დამოკიდებული წინადადებით).

ინფინიტივის შემცველი კონსტრუქციები აგრეთვე გამოიყენება ჩართულის ფუნქციით:

To speak truth, I had not the least wish to go into company… უნდა ვაღიარო, არც მე მინდოდა მათთან ყოფნა.

... *to speak truth,* I have an acquaintance with one of them – რს. ოოლე. მართალი რომ გითხრათ, მე მყავს მათ შორის ნაცნობი მისის პული.

To speak truth, St. John, my heart rather warms to the poor little soul. მართალი გითხრა, სენტ-ჯონ, ამ პატარა საცოდავი არსებისადმი რაღაც თბილი გრძნობაც გამიჩნდა.

ამგვარად, მასალის დეტალური შესწავლის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფინიტივის შემცველი არაუღლებადი კონსტრუქციების თარგმნას ქართულ ენაზე განაპირობებს, როგორც ამ ორ ენას შორის არსებული მნიშვნელოვანი სტრუქტურული სხვაობა, ასევე მრავალი სტილისტური თუ ლექსიკური ფაქტორი, რაც განაპირობებს ამ კონსტრუქციების სხვადასხვა შესატყვისის გამოყენებას ავტორის აზრის სრულყოფილად გადმოსაცემად.

ლიტერატურა

1. გორდონი ე.მ., კრილოვა ი.პ. - "A Grammar of Present Day English" (Practical Course) – 1986. გვ. 163–248.
2. ფანჯიკიძე დ. – თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბ. „განათლება", 1988.
3. შარლოტა ბრონტე, ჯეინ ეარი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" თბ. 1976.
4. Goksadze L., Mamatsashvili M., Gigineishvili M. – "A Practical Course in Current English Grammar", vol. 1., Tb. Univ. Press, 1984.
5. Charlotte Brontë. Jane Eyre. Moscow 1954.

Некоторые особенности перевода инфинитивных конструкций с апглийского языка на русский

М. Чхартишвили, Т. Бакурадзе, М. Шония
Грузинский технический университет,
Грузия, Тбилиси, ул. Костава, 77

При переводе с одного языка на другой возникает необходимость как установить наличие эквивалентности грамматических структур, так и достичь семантического соответствия, не нарушая смысла и художественных особенностей оригинала. Исходя из положений сопоставительной стилистики и с использованием комплексного и сопоставительного анализа рассмотрены и изучены инфинитивные конструкции и различные способы их перевода на грузинский язык.

Some Peculiarities of Translating Infinitive Constructions from English into Georgian

M.Chkhartishvili, T. Bakuradze, M. Shonia
Georgian Technical University,
Kostava Str., 77, Tbilisi, Georgia

The most important problem that arises in the process of translation is how to establish a certain kind of equivalence between grammatical structures as well as to reach semantic correspondence between them while retaining the purport and specific artistic features of the original. On the basis of contrastive stylistics and with the help of complex and contrastive analysis methods infinitive constructions of the English verb, their characteristic features and functional-semantic equivalents in Georgian have been studied.

ჟურნალისტიკა/ Журналистика/Journalizm

რადიომაუწყებლობა – კომუნიკაციის ახალი ერა

ქ. გიორგობიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე სწრაფი კომუნიკაციის არარსებობა და ზოგადად არასრულყოფილი ტექნოლოგია სათანადოდ აისახებოდა საზოგადოების წევრთა ურთიერთობებზე, მათ ცხოვრებასა და მომავალზე. მაშინ ადამიანების ერთმანეთთან შორ მანძილზე დამაკავშირებელი კომუნიკაციის საშუალება მხოლოდ ოცნება და ფანტაზია იყო. შემდეგ კი თანდათან წარმოუდგენელ რეალობად იქცა. თანამედროვე რადიომ განვითარების გრძელი და რთული გზა განვლო. მე-16 საუკუნის მეცნიერმა ჯოვანი დელა პორტამ თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღწერა ხელსაწყო, რომელსაც შეეძლო "მანძილზე წერა" და მას "სიმპათიკური ტელეგრაფი" უწოდა. თუმცა იმ პერიოდში სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ამ იდეას განხორციელება არ ეწერა. გავიდა რამდენიმე საუკუნე და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პროცესი. თავდაპირველად ტირე-წერტილის ტელეგრაფი გამოიგონეს, ამას მოჰყვა ტელეფონი, მერე უმავთულო ტელეგრაფი და ბოლოს, 1906 წელს რადიოტელეფონი, რაც უდიდესი პროგრესი და წარმატება იყო კომუნიკაციის სფეროში. დრომ მოიტანა და საგრძნობლად დაჩქარდა ადამიანთა ცხოვრების ტემპი, საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილებების კვალდაკვალ ძლიერდებოდა სურვილი, შეექმნათ ისეთი მოწყობილობა, რომლის დახმარებით ადამიანი შორ მანძილზე შეძლებდა კომუნიკაციის სწრაფად დამყარებას. ამისთვის, რა თქმა უნდა, მხოლოდ სურვილი საკმარისი ვერ იქნებოდა, საჭირო იყო უკვე აღმოჩენილ პრინციპებზე დაყრდნობით დაეწყოთ რადიოტექნოლოგიის შექმნა. ელექტრობის საიდუმლოს ამოხსნა უკვე აშკარად მოწმობდა კაცობრიობის მაუწყებლობისკენ სწორად გადადგმულ ნაბიჯს. შემდეგ ელექტროენერგიის პრაქტიკულად გამოყენებაც შესაძლებელი გახდა. ვოლტას, ამპერისა და მაქსველის ცდები და აღმოჩენები ტელეგრაფის, მოგვიანებით კი რადიო და ტელემაუწყებლობის საფუძველი გახდა. ტელეგრაფის მამად ამერიკელ სემუელ მორზეს მიიჩნევენ. 1918 წელმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენით დაამახსოვრა თავი კაცობრიობას. ჰანს ოერსთედმა დაადგინა, რომ სადენს, რომელშიც დენის ნაკადი გადის, მაგნიტური ისრის მიმართულების შეცვლის უნარი აქვს, დენის ნაკადის მიმართულების შეცვლას კი ისრის გადანაცვლება ძალუძს. ეს იყო პირველი მარტივი ტელეგრაფი, შემდეგ ცდები და დაკვირვება გაგრძელდა პროცესის სრულყოფის მიზნით. 1844 წელს მორზემ მოახერხა გაცილებით ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. მან გამოიყენა 1825 წელს უილიამ სტარჯონის მიერ აღმოჩენილი ელექტრომაგნიტი. მორზეს სახელს უკავშირდება ასევე ტელეგრაფის აპარატის და კოდის შექმნა. მისი შემდეგი ქმედება იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისგან მიღებული გრანტის დახმარებით ნატურალური ზომების ტელეგრაფის აგება და სპილენძის მავთულის გადა-

ჭიმვა ბალტიმორს, მერილენდსა და ვაშინგტონს შორის, დაახლოებით 40 მილის მანძილზე.

რადიომაუწყებლობის ადრეულ ეტაპზე საუბრისას არ შეიძლება არ ვახსენოთ გერმანელი მეცნიერი ჰაინრიხ ჰერცი, რომელმაც 1887 წელს ააგო მარტივი გადამცემი და დაამტკიცა სინათლის სიჩქარით მოძრავი რადიოტალღების არსებობა. გავიდა რამდენიმე ხანი და გილიერმო მარკონის ხელში ჩაუვარდა ინფორმაცია ჰერცის ტალღების შესახებ. ამ ოცი წლის ახალგაზრდამ, რომელიც საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან იყო და შეეძლო ნებისმიერი ჩანაფიქრის განხორციელება, მამის მამულში საკუთარი გეგმის მიხედვით შექმნილი მოწყობილობით მიიღო და გამოსცადა რადიოტალღები, რის შემდეგაც მან მიზნად დაისახა მოეხერხებინა შეტყობინების მორზეს ანბანით უმავთულოდ მიღება-გადაცემა. ამის მიღწევას ტალღების სისტემატურად გაშვება-შეწყვეტით ვარაუდობდა. მართლაც, 1895 წელს მან მოახერხა კოდური შეტყობინების გაგზავნა. შემდეგ ახალგაზრდა მარკონი, რომელიც ფიქრობდა, რომ ეს აღმოჩენა ქვეყნისთვის სასარგებლო იქნებოდა, შეეცადა მისი შემდგომი საქმიანობა იტალიის მთავრობას დაეფინანსებინა, მაგრამ ამას ვერ მიაღწია, მმართველი წრეების დაინტერესება ვერ შეძლო და ვერც საჭირო თანხა მოიპოვა. შემდეგ, ნახევრად ინგლისელმა, დედის სამშობლოში წასვლა გადაწყვიტა და ლონდონში გაემგზავრა. 1897 წელს შეიძინა პატენტი და მოიპოვა ფინანსური მხარდაჭერა "უსადენო ტელეგრაფის" შესაქმნელად. დაძაბული მუშაობის შემდეგ მარკონიმ ააგო მძლავრი გადამცემი და შეტყობინება ატლანტიკის მეორე მხარეს გაგზავნა. რადიო აშკარად ბევრად უფრო პრაქტიკული იყო ტელეგრაფთან შედარებით, რადგან ამ უკანასკნელს მავთული სჭირდებოდა. უსადენო ტელეგრაფი იყო უდიდესი მიღწევა, თუმცა პირველ აპარატებს, ბუნებრივია ნაკლიც ჰქონდა, იმდენად დიდ და მძიმე აღჭურვილობას საჭიროებდა, რომ ერთ ოთახში შეუძლებელი იყო მისი დატევა. შემდეგ გამომგონებელი მიხვდა, რომ ბევრად ეფექტური იქნებოდა მომცრო ზომის აპარატი, რომელიც ძალიან მოკლე ტალღაზე იმუშავებდა. მარკონიმ რამდენიმე კომერციული კორპორაციაც დააფუძნა, მათ შორის 1899 წელს " მერიცან არტონი ჩომპანყ".

შემდეგი დიდი მიღწევა იყო რადიოტელეფონი. რადიომაუწყებლობის სწრაფი განვითარების პერიოდი უკავშირდება მე-20 საუკუნის დასაწყისს. რეჯინალდ ფესენდერმა მოახერხა საკუთარი ხმა გაეჟღერებინა ეთერში, ბოსტონიდან მაუწყებლობის დროს. 1906 წელს ლი დე ფორესტმა საკუთარი გამოგონებით შესაძლებელი გახადა რადიოსიგნალის გაძლიერება. მაშინ რადიო კერძო მედიასაკუთრება იყო, მას საზოგადოებრივ საშუალებად ვერავინ მიიჩნევდა. თავდაპირველად რადიოაპარატი ძალიან ძვირი იყო, დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა, მისი შეძენა ბევრს არ შეეძლო. ზოგიერთმა რადიომოყვარულმა გამოსავალს მიაგნო, ყიდულობდა ნაწილებს და თავად, საკუთარი ხელით აწყობდა რადიომიმღებს. ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი იმისთვის, რომ დამკვიდრებულიყო რეგულარული მაუწყებლობა და ხალხს მისცემოდა საშუალება საკუთარ სახლში მოესმინათ გადაცემებისთვის. მას შემდეგ, რაც რადიო მასებისთვის ხელმისაწვდომი გახდა, დღის წესრიგში დადგა ისეთი პროგრამების მომზადება, მსმენელს რომ დააინტერესებდა. აუცილებელი იყო შესაფერისი ტექნიკური ბაზა, საკმაოდ დიდი თანხის მოძიება უამრავი ხარჯის დასაფარად. ამ პრობლემების მოგვარების შემდეგ რადიო უკვე მასობრივ რადიოსაშუალებად იქცა. 1916 წელს მარკონის კომპანიაში მუშაობას იწყებს დევიდ სერნოფი, ავტორი ცნობილი მემორანდუმისა, რომელშიც ზედმიწევნითაა გაანალიზებული და ჩამოყალიბებული,

თუ როგორ შეიძლება რადიო მასობრივი კომუნიკაციის საშუალება გახდეს. სერნოფს მიაჩნდა, რომ სრულიად შესაძლებელია რადიომ ნებისმიერ ოჯახში კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს, ადამიანების ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად იქცეს. ის მიმღებს სხვადასხვა სიგრძის რადიოტალღებზე მომუშავე "მუსიკალურ ყუთს" უწოდებდა, რომლის გამოყენება და რეგულირება უმარტივესად, ღილაკზე თითის დაჭერით ან გადამრთველის საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი. სერნოფის იდეამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, თუმცა მას ფარ-ხმალი არ დაუყრია. 1919 წელს ის გახდა მენეჯერი კომპანიისა (RCA) Radio Corporation America და განაგრძო რადიოს პოპულარიზაცია.

1920-იანი წლებიდან მწარმოებლები დაინტერესდნენ ახალი ბიზნესით და იწყეს მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახის რადიომიმღებების დამზადება, რომლებიც საკმაოდ კარგად იყიდებოდა. სულ მალე შეიქმნა უზარმაზარი რადიოცენტრი, რომელიც კომერციულ რეკლამასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა და აშკარად მომგებიანი ბიზნესი იყო. რადიოს - ამ მსოფლიო მნიშვნელობის მედიასაკუთრების "ოქროს ხანად" 1930-1950 წლების პერიოდს თვლიან. შემდეგ უკვე გაჩნდა ახალი სამაუწყებლო მედიასაშუალება, რომელმაც უამრავი ადამიანის გული მოიგო, ეს იყო ტელევიზია. რადიომაუწყებლობა თავისი არსებობის მანძილზე არაერთი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დადგა. ერთ-ერთი მათგანი იყო საკითხი იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა რადიოთი ახალი ამბების გადაცემა. ლოუელ თომასი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც ახალი ამბების ეთერში კითხვა დაიწყო. ბეჭდვითი პრესა ამას თავდაპირველად მძაფრად ეწინააღმდეგებოდა. პრესის წარმომადგენლებს კონკურენციის შიში ამოძრავებდათ, როცა ცდილობდნენ რადიომაუწყებლობისთვის მათ მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ახალი ამბების მომზადება აეკრძალათ, ამას საავტორო უფლებების დარღვევად თვლიდნენ და მმართველ წრეებს სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდებდნენ. მაგრამ მათი ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან მთავრობამ ჩათვალა, რომ ახალი ამბები რომელიმე კერძო პირის საკუთრება არ არის, ის საზოგადოა და რადიოსადგურებს აქვს სრული უფლება მათი ეთერში გადაცემისა. შემდეგ, დროთა განმავლობაში, გაზეთის მესვეურები მიხვდნენ, რომ მათი შიში უსაფუძვლო იყო. რადიოს გაზეთისთვის ხელი არ შეუშლია, რადგან რადიოთი ახალი ამბების მხოლოდ მოკლე მიმოხილვას გადასცემდნენ, დაინტერესებული მსმენელი კი დეტალებს უკვე გაზეთებიდან იგებდა, ასე რომ, რადიომ ერთგვარად ხელიც კი შეუწყო გაზეთების პოპულარიზაციას. შემდეგ რადიოს მსხვილმა ქსელებმა უკვე მოახერხეს ახალი ამბების ცალკე სისტემის ჩამოყალიბება. რადიოს ახალი ამბების სამსახურმა თანდათანობით მთელი მსოფლიო მოიცვა.

1948 წლიდან, როდესაც სატელევიზიო სადგურებმა რეგულარული მაუწყებლობა დაიწყეს, ტელემაყურებელთა რაოდენობა ძალიან სწრაფად გაიზარდა, რადიომაუწყებლობა ერთგვარად ჩრდილში მოექცა. ტელეაუდიტორიის გაზრდის პარალელურად იკლებდა რადიომოყვარულთა და მსმენელთა რიცხვი. რადიო იძულებული გახდა, გაეძლო ტელევიზიის გამოწვევისთვის საკუთარ თავში რესურსების მოძიების გზით, რაც გულისხმობდა საქმიანობის ძირეულად განახლებას, მაუწყებლობის ფორმატის შეცვლას. რადიომ მოახერხა შეენარჩუნებინა თავისი ადგილი კომუნიკაციის სფეროში, დაამტკიცა, რომ არის ეფექტური მედიასაშუალება, რომელიც მსმენელს აწვდის ინფორმაციას, მოვლენათა ანალიზს, საინტერესო კომენტარს, გასართობ პროგრამებს, რეკლამას. რადიოს და ტელევიზიას ბევრი საერთო თვისება აქვს, თუმცა მათ შორის განსხვავებაც შეინიშნება. ერთი რამ კი უდავოდ

აშკარაა, თანამედროვე კომუნიკაცია მათ გარეშე წარმოუდგენელია. ძირითადი, არსებითი განსხვავება კომუნიკაციის ამ ორ სახეობას შორის არის ის, რომ რადიო მოკლებულია ხედვითობას, თვალი კი, რომელსაც "სულის სარკმელს" უწოდებენ, მთავარი საშუალებაა, რომლითაც სამყაროს აღქმა ხდება, ყური მეორე ადგილზეა. ასევე დადგენილია, რომ ინფორმაციის მოცულობის ნახევარზე მეტი ადამიანს მხედველობის საშუალებით მიეწოდება. რადიო ზემოქმედებას ახდენს სმენაზე, ტელევიზია კი – მხედველობაზეც. ორივეს საფუძველი ბგერით-მხედველობითი სახეა, რომელიც ცნობიერებაზე მოქმედებს მხედველობისა და სმენის საშუალებით. ტელევიზია, მართალია, კომუნიკაციის პოპულარული და მთავარი საშუალებაა, მაგრამ რადიოსაც აქვს თავისი უპირატესობა, უპირველესა – ეს არის ყველგან შეღწევის უნარი, ასევე მარტოოდენ ბგერაზე დაყრდნობით რადიოს შეუძლია იმოქმედოს მსმენელის წარმოსახვასა და ფანტაზიაზე, თანაც რადიოგადაცემა ნაკლებად ღლის ადამიანს, ნაკლებად ძაბავს, განსაკუთრებით მუსიკალური გადაცემები. კომუნიკაციის ამ ორ სახეობას შორის მთავარი მსგავსება იმაში მდგომარეობა, რომ ტექნიკური ასპექტით, ფაქტობრივად, არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მათ ძირითად მახასიათებლებად შეიძლება მივიჩნიოთ: სიგნალის გავრცელების ელექტრონული საშუალებანი, აუდიტორიის ერთიანობა, აღქმის მსგავსი პირობები, საერთო მიზნები და ამოცანები, საზოგადოებრივი ფუნქციების იდენტურობა. რადიო ტელევიზიასთან ერთად არის ის მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე უშუალოდ თან სდევს, მას თავისი შესაძლებლობები არ ამოუწურავს. მისი შემდგომი განვითარებისა და დახვეწის, ახალ ეპოქასთან მაქსიმალურად მორგების და თანამედროვეობის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების პროცესი დღესაც გრძელდება.

New Era of Radio Broadcasting-Communication

K. Giorgobiani
Georgian Technical University
77 Kostava street, Tbilisi, Georgia

This work speaks about preconditions for creation of modern radio and difficult and long way of its development, significance of Morse, Herz, Marconi, Sernof and others, as well as attention is drawn to similarity and disparity of two broadcasting media means – radio and TV. It is mentioned that radio has not exhausted its possibilities, process of its further development and improvement, maximal adjustment with new epoch and complete satisfaction of contemporaneity is still continuing.

Радиовещание – новая эра коммуникации

К. Гиоргобиани
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, Костава 77

В труде речь идет о предпосылках созданиа современного радио, сложном и долгом пути его развития; о вожности открытий Морзе, Герца, Маркони, Сернофа и других. Внимание обострено также на ходствах и различиях между двумя весщательними средсевами: радио и телевидением. Отмечено, что радио не щерпала свои возможности и процесс его дальнейшего развития, максимального сближения с новой эпохой и польного удовлетварения современных требованний продолжается и по сей ден.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესა უცხოეთში

მანანა დათუკიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

1917 წლის ივნისში პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე ოფიციალურად გაფორმდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. იგი ილიას გზას აგრძელებდა და შესაბამისად მისი პროგრამაც სამ ძირითად დებულებას დაემყარა: ერის თვითგამორკვევას, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას, კერძო საკუთრების დაცვას და სახელმწიფოებრივი წყობილების დემოკრატიული მმართველობის საფუძველზე აგებას.

პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს სპირიდონ კედია, მოადგილედ – ალ. ასათიანი, ხოლო პარტიის საპატიო თავმჯდომარედ – ნიკო ნიკოლაძე.

ახალი პარტია აქტიურად ჩაერთო ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეების მართვაში. 1921 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ პარტიის წევრები იძულებულნი გახდნენ უცხოეთში გახიზნულიყვნენ და იქიდან ებრძოლათ ქვეყნის თავისუფლებისათვის. იმდროისათვის პარიზში თავი მოიყარეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილმა წარმომადგენლებმა: სპირიდონ კედიამ, რევაზ გაბაშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, ივანე ზურაბიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, დავით ვაჩნაძემ, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, რ.ინგილომ, მიხეილ ქავთარაძემ და სხვებმა. 1925 წელს დააარსეს საკუთარი პერიოდული ორგანო, ჟურნალი "სამშობლოსათვის". რედაქტორობა პარტიის ლიდერმა, სპ. კედიამ ითავა, თუმცა რ.გაბაშვილი გაზეთ "მამულიშვილის" მეოთხე ნომერში აღნიშნავდა, რომ 1925 წელს სპ. კედიამ პარტიის დაუკითხავად გამოსცა ჟურნალი "სამშობლოსათვის", რათა პარტიების დაშლა ექადაგაო. ასეა თუ ისე, ჟურნალი საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას ქადაგებს და მასში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მართალია, ჩვენამდე სრულად ვერ მოაღწიეს ჟურნალის ნომრებმა, მაგრამ რაც ხელთა გვაქვს, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ უცხოეთში დაარსებული პირველი პერიოდული ორგანოს მიზანდასახულობაზე.

მოწინავე სტატიებს თვით რედაქტორი, სპ.კედია წერდა. მისი publicisturi Tu polemikuri werilebi da saerTod JurnalSi dabeWdili masala, sabWoTa xelisuflebis winaaRmdegaa mimarTuli. Aaseve Jurnalidan aSkarad Cans, rom ucxoeTSi gaxiznuli partiebi erT poziciaze dgomas ver axerxeben da erTianobis nacvlad daqsaqsulni arian.

ამ მხრივ საინტერესოა მასალა, რომლიდანაც ვიგებთ, რომ სპ. კედია უკმაყოფილოა ნოე ჟორდანიასა და მისი პარტიის მოქმედებით. მას არ მოსწონს მათი ბრძოლის მეთოდები, რადგან თვლის, რომ ისინი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ხაზით აპირებენ მოქმედებას და არა ეროვნულით. ჟურნალში ვკითხულობთ: "მიზანი მიღწეულია: ქართული სოციალ-მენშევიზმი უკვე მთელი საქართველოსაგან გამიჯნულია იდეოლოგიურად ამ ეროვნული ბრძოლის პროცესში... დიდი ეროვნული აგზნება, სამშობლოს მაღალი კულტი და თავდადებული პატრიოტიზმი, რომელიც ამ ხუთი წლის განმავლობაში სტიქიურის ძლიერებით მთელ ხალხს მოედო, ამის თქმას ასე ახდილად შეუძლებელს ყოფდა და იყო ძალაუნებური მიყოლა და ჩუმი დასტური, თუმცა შინაგანი ერუ წინააღმდეგობა არასოდეს შეწყვეტილა. . . ახლა კი სულ

სხვაა. დღეს ამას უკვე გარკვეულად ლაპარაკობს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიურო, იგივე საქართველოს მთავრობა, თავისი ოფიციალური ორგანოს პირით"- ვკითხულობთ 1925 წლის ჟურნალის მეექვსე ნომერში

ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერს მიაჩნია, რომ სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვენ მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი ბოლშევიკური და არა მენშევიკური რეჟიმით შემოვიდა საქართველოში, პირიქით რომ მომხდარიყო, ნ.ჟორდანია და მისი პარტია შეურიგდებოდა საქართველოს დაპყრობასო.

სერიოზული ბრალდებაა, მაგრამ, ვფიქრობთ, სამართლიანი. სპ. კედიას არ მოსწონს, რომ ნ.ჟორდანიამ დატოვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფრონტი და სოციალისტური იდეოლოგიის პოლიტიკას დაადგა. სპ.კედიას პოლემიკურ წერილში "ფრონტის გარღვევა" ვკითხულობთ: "ეს იყო დაბრუნება კლასთა ბრძოლის ქადაგებისაკენ და მაშასადამე, შინაური ფრონტების გაჩაღებისაკენ, მტრის საქმის კეთებისაკენ." არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს, როცა შენიშნავს: ნ. ჟორდანია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე იყო, ეკუთვნოდა მთელ ერს და არა რომელიმე კლასს ან წოდებას. ამიტომაც მისი პოლიტიკა, სიტყვა და მოქმედება ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ყველა გაეერთიანებინა და გარს შემოეკრიბა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთმა ლიდერმა, გრ. ვეშაპელმა, ემიგრაციაში პოზიცია შეიცვალა და ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებასა და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ქაგაგებას შეუდგა. ამისათვის გაზეთიც, "ახალი საქართველოსათვის", დააარსა. გრ.ვეშაპელს არ აპატიეს ღალატი და 1926 წლის 10 ივნისს სიცოცხლეს გამოასალმეს.

ჟურნალი რუბრიკით "წერილები რედაქციის მიმართ" აქვეყნებს გრ. ვეშაპელისა და მისი გაზეთის პოლიტიკური პოზიციისადმი ქართველ ემიგრანტთა შეურიგებლობის ამსახველ მასალებს. ასევე აწვდის ინფორმაციას პარიზის ქართული ემიგრაციის ორ მოწინააღმდეგე ფრთას შორის მომხდარი შეტაკების შესახებ. ჟურნალში ვკითხულობთ: "9 აგვისტოს, ნაშუადღევის სამ საათზე, ქართველ ბოლშევიკებს კრება გაუმართავს კაფე "ვოლტერში", რომ დაეარსებინათ ქართველი ბოლშევიკების ქართული კოლონია. კრებას ხელმძღვანელობდა პრეზიდიუმი შემდგარი: ვეშაპელის, მიწიშვილისა და ალიხანაშვილისაგან. საათის ოთხზე ოცამდე ქართველი ახალგაზრდა პატრიოტი სხვადასხვა მიმართულებისა და ორგანიზაციისა მისულა და ერათბაშად შეჭრილა სხდომის დარბაზში და ყვირილით: "სამშობლოს გამყიდველებოო"- დარევია დამსწრეებს. გამართულა ცხარე ბრძოლა. ბევრი დასისხლიანებულა. . . ახალგაზრდა პატრიოტებს სამჯერ უმღერიათ "დიდება". ამასობაში პოლიციაც მოსულა. მას დაუპატიმრებია 19 კაცი. აქედან 16 ახალგაზრდა პატრიოტი, რომლებიც მეორე დღესვე გამოუშვეს და სამი კომუნისტი: მიწიშვილი, დემეტრაშვილი და ალიხანაშვილი, რომელთაც საფრანგეთიდან ასახლებენ. ამ ინციდენტმა პარიზის პრესა შემოირბინა".

ძალზე საინტერესოა მასალა, რომელიც 1924 წლის ამბოხების მეთაურთა სასამართლო პროცესებს შეეხება. ყურადღებას იმსახურებს სპ.კედიას მოწინავე სტატია - "აჯანყების გასამართლება". ვფიქრობთ, ამ პუბლიკაციით დღევანდელი მკითხველი ბევრ უცნობ ფაქტს შეიტყობს ამ აჯანყების შესახებ. ჟურნალის მესვეურები ასევე დიდ ყურადღებას უთმობენ ჩვენი ეროვნული ქონებისა და წიაღისეული სიმდიდრეების უცხოელებზე მიყიდვის ფაქტებს, გულისტკივილს გამოთქვამენ ჭიათურის შავი ქვის 20 წლის ვადით გაყიდვის

თაობაზე, რომელსაც 1925 წელს ხელი მოაწერეს ამერიკული კომპანიის მხრიდან ჯონ სნიტ ელიოტიმ, ხოლო საბჭოთა კავშირის მხრიდან ჩიჩერინმა და ძერჟინსკიმ. ჟურნალის პოზიცია ასეთია: "ჭიათურის შავი ქვა იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის უძლიერესი ეკონომიკური ძარღვი და ეს ძარღვი მოსკოვმა დღეს გამოაცალა საქართველოს სხეულს".

ჟურნალს ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: "ქართველ სტუდენტთა შორის", "წერილები რედაქციის მიმართ", "საქართველო შინ და გარეთ", "პრესა". ამ რუბრიკებით მკითხველი ეცნობა მრავალ საინტერესო ცნობასა თუ დოკუმენტს ჩვენი ქვეყნის ისტორიის უკეთ გასააზრებლად და შესასწავლად.

ჟურნალი "სამშობლოსათვის" ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო იყო და ძირითადად პოლიტიკური საკითხებით შემოიფარგლებოდა. ამიტომაც არის, რომ მასში ვერ ვხვდებით მხატვრულ მასალას. ჟურნალმა ერთ წელს იარსება. იგი 1925 წელსვე დაიხურა.

მეორე პერიოდული ორგანო, რომელიც უცხოეთში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ დააარსა, იყო გაზეთი "მამულიშვილი." მას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რევაზ გაბაშვილი ხელმძღვანელობდა.

პირველსავე ნომერში გაცხადებულია გაზეთის მიზანი: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ყველა ეროვნული ძალის გაერთიანება მიზნის მისაღწევად. მოწინავე წერილში – "ნაცადი გზით"- ვკითხულობთ: "დამოუკიდებლობა საქართველოსი და გაერთიანება ყველა ეროვნული ძალისა მის მოსაპოვებლად – აი, ეს ლოზუნგი. ამ ლოზუნგს იზიარებს პარტიაც და ამის გამომხატველი იქნება გაზეთიც. ბრძოლა ყველა ეროვნული ძალების მთლიანი ფრონტით, გაერთიანება ერთი ეროვნული იდეალის – დამოუკიდებლობის გარშემო".

რევაზ გაბაშვილის დაჯგუფება ნათლად ხედავს, რომ ეროვნული ძალები დაქსაქსულნი არიან, მოქმედებენ ერთმანეთთან შეუთანხმებლად, არღვევენ მთლიან პოლიტიკურ ფრონტს, თიშავენ ქართველი ხალხის გამთლიანებულ შეგნებას და ერს სამოქალაქო ომისაკენ უბიძგებენ. გაზეთს ამგვარი მოქნედება დამღუპველად მიაჩნია და ცდილობს თვალი აუხილოს მათ.

გ. გვაზავას წერილში, რომელიც გაზეთის პირველ ნომერში დაიბეჭდა, ნათლად ჩანს ავტორის გულისტკივილი იმის გამო, რომ ქართველმა ხალხმა უთანასწორო ბრძოლაში მოპოვებული თავისუფლება უთანასწორო ბრძოლაშივე დაკარგა. პუბლიკაციაში ნათლად იგრძნობა ერის გამთლიანების სურვილი დაკარგული საუნჯის აღსადგენად. ავტორისათვის მიზნის მისაღწევად მიუღებელია პარტიული დაქსაქსულობა და ერთიანი ფრონტით მოქმედებისაკენ მოუწოდებს თანამემამულეებს.

ერთიანი ფრონტის შექმნაზე საუბრობს დავით ვაჩნაძეც პუბლიკაციაში "ქართველთა ერთობისათვის", რომელიც "მამულიშვილის" მესამე ნომერში დაიბეჭდა. მასში ვკითხულობთ: "დღეს ნამეტნავად, როცა მტრის მძიმე ფეხი გულზედა აქვს დაჭერილი ჩვენს სამშობლოს, სირცხვილია დავა სამშობლოს მომავალი მოწყობის მეთოდებზე. დღეს ყველა ჯურის ქართველს საერთო მტერი გვყავს და არა ჯგუფური, არა პარტიული, არა პერსონალური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, არამედ დავივიწყოთ დროებით ყველაფერი გამყოფი, გამთიშავი და განვავითაროთ შემაერთებელი, საქართველოს ერთ ლითონად გადამქცევი, უდიდესი მოვალეობის წინაშე – სამშობლოს დახსნისა. უნდა გავაერთიანოთ ყველა ძალები საერთო და ხანგრძლივი იერიშისათვის და არა დაქსაქსულობით ვუწყობდეთ ხელს ვერაგ მოძალადეს".

როგორც ვხედავთ, რევაზ გაბაშილის დაჯგუფებისა და გაზეთის პოზიცია ცალსახაა: მიზნის მისაღწევად პარტიათა ერთიანობა, ერთ პოზიციაზე დგომა და არა ის დაპირისპირებები, განხეთქილებები, რამაც თავი იჩინა მათ შორის. გულდასაწყვეტია ასევე ის ფაქტი, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თვით ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის წევრებიც. რევაზ გაბაშვილმა ცალკე დაჯგუფება შეადგინა და გაზეთი "მამულიშვილიც" ახალი დაჯგუფების იდეების საპროპაგანდოდ დააარსა.

რევაზ გაბაშვილი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის კომიტეტის საზღვარგარეთის ცენტრალური ბიურო სპ.კედიას ბრალს დებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაშლაში. "მამულიშვილის" მეოთხე ნომერში ვკითხულობთ: "კედიამ აიცრუა გული პარტიულ პრინციპზე და პარტიების დაშლაზე ქადაგებდა. ამ მიზნით და პარტიის დაუკითხავად, ჯერ კიდევ 1925 წელს მან გამოსცა ჟურნალი "სამშობლოსათვის", სადაც მისმა ქადაგებამ აშკარა საჯარო ხასიათი მიიღო. ამ გაზეთის მესამე ნომერში კედია წერდა: "ცხოვრებამ მოსპო და წალეკა პარტიული ასპარეზი და მოქმედება. ეს უნდა დაადასტუროს ჩვენმა გონებამ. ბ. კედია ვერც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში ხედავდა "ეროვნულ დოქტრინას და ორგანიზაციას" და იმავე წერილში ამბობდა: "ამიტომ დღეს გაუქმებულია კიდევაც მათი /პარტიების/ ნიშნობლივი თვისებანიო". ასეთი ქადაგება თავისთავად ძირს უთხრიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასაც. მით უმეტეს, რომ სხვადასხვა ჯგუფების შექმნის ცდით, ბ.კედია უკვე პრაქტიკულად შეუდგა საკუთარი პარტიის დაშლას".

ყოველივე ამას მოჰყვა სპ.კედიას პარტიიდან გარიცხვა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან რეზო გაბაშვილისა და მისი დაჯგუფების გამოყოფა.

სპ.კედიას, როგორც პარტიის ლიდერს, უარყოფითად ახასიათებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და შემდგომში რევაზ გაბაშვილის დაჯგუფების წერი, შალვა ამირეჯიბი პუბლიკაციაში, რომელიც "მამულიშვილის" მეექვსე ნომერში დაიბეჭდა. მასში ვკითხულობთ: "სპ. კედიამ დაამტკიცა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა მისი საქმე არ არის. პარტია გაიზარდა და თავის ლიდერს გაუსწრო. კედია არასოდეს მისდევდა ფეხდაფეხ პარტიას, დღეს სამუდამოდ ჩამორჩა. მე არ ვიცი მაგალითი, როცა კედიას თავისი პარტიისათვის გამამხნევებელი სიტყვა ეთქვას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მას წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც დაბეჩავებული არსება, რომლის აზრსა და სურვილს არსად გასავალი არ ჰქონდა".

ძალზე სამწუხაროა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები შიდაპარტიულ კინკლაობას უნდებოდნენ მაშინ, როცა გაზ. "მამულიშვილი" ქვეყნის გამოხსნისათვის ერთობას, ყველა ეროვნული ძალის გაერთიანებას ქადაგებდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ილიას გზის გამგრძელებელია. ამიტომაც არის, რომ იგი არ ივიწყებს თავის დიდ წინაპარს და პატივს მიაგებს მის ნათელ ხსოვნას. ყურადღებას იმსახურებს 1927 წლის 18 დეკემბერს, პარიზში, ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილიდან 20 წლის მოსაგონებელ დღეს შალვა ამირეჯიბის მიერ წაკითხული მოხსენება, რომელიც გაზეთის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა. ავტორის მიერ საინტერესოდ არის დანახული დიდი მამულიშვილის პიროვნება და ღვაწლი ქვეყნის წინაშე. პუბლიკაციის ავტორი თანამემამულეებს კიდევ ერთხელ შეახსენებს მამულზე შეყვარებული ადამიანის თავგანწირვას სამშობლოს, ერის გადარჩენისათვის ბრძოლაში.

გაზეთი მკითხველს აწვდიდა ბევრ საინტერესო ცნობას როგორც ქართული პოლიტიკური ემიგრაციის, ისე იმდროინდელი გასაბჭოებული საქართველოს შინაური ცხოვრებიდან; აქვეყნებდა საქართველოსათვის თავდადებული მამულიშვილების ნეკროლოგებს; ესაუბრებოდა საფრანგეთში საქართველოს შესახებ გამოცემული უახლესი ლიტერატურის შესახებ; აცნობდა ქართველი პატრიოტების შეუპოვარ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ. თავისი პუბლიკაციებით ამხნევებდა და პატრიოტულ სულს უღვივებდა ემიგრაციაში მყოფ ქართველებს.

გაზეთი დაიხურა 1928 წელს. იგი ისევე, როგორც ჟურნ .”სამშობლოსათვის”, აგრძელებდა საქართველოში გამომავალი ეროვნულ-დემოკრატიული პრესის ტრადიციებს. “მამულიშვილი” იყო უცხოეთში სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შარაძე გ., “ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია”, ტ. 2, 2002.

The press of National – Demokratic Party of Georgia abroad

Manana Datukishvili
Georgian Technical University
Kostava str. 77, Tbilisi, Georgia

This work presents the press published abroad by the National – Demokratic party: “Samshoblosatvis” and “Mamulishvili”. Here are talking about their targets and problems of National Belief , role and meaning are cleared up in histori of Georgian journalism and in struggle for freedom of our country.

Пресса национал – демократической партии Грузии за границей

М. Датукишвили
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

В статье рассмотрена пресса , которую издавала за границей национал – демократическая партия Грузии: журн. «Самшоблосатвис» и газ. «Мамулишвили». Речь идет о целях и задачах названной прессы, определена ее роль и значение в истории грузинской журналистики и в борьбе за независимость нашей страны.

ქართული მედიის თვითრეგულაციის პროცესების ისტორიიდან

მარიამ ვარდიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

თვითრეგულირება დემოკრატიული ჟურნალისტიკის ფუნქციების უმთავრესი პრინციპია. საბჭოური, ჭარბად იდეოლოგიზებული, მონოლოგური ჟურნალისტიკისთვის ეს პრინციპი უცხო იყო და ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამის გამო, ქართულ ჟურნალისტიკაში თვითრეგულაციის აუცილებლობასა და შესაბამისი წესების საჭიროებაზე საუბარი მხოლოდ 1997 წლიდან დაიწყო. სწორედ ამ წელს გაჩნდა პრესის პირველი კანონპროექტი და დაიწყო მისი საჯარო განხილვა მასმედიასა და საქართველოს პარლამენტში.

ცნობილია, რომ კანონპროექტი მედიას დიდ უფლებებს ანიჭებდა. ამის გამო, პარლამენტართა შორის გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ მედიას შესაძლებლობა ეძლეოდა, ბოროტად გამოეყენებინა გაზრდილი უფლებები. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა შემაკავშირებელი ფაქტორების ამოქმედების აუცილებლობა. ასეთ შემაკავებელ ფაქტორად ჟურნალისტთა ქცევის წესები და ეთიკის კოდექსი დასახელდა. მთავარი კი ის იყო, რომ ქცევის წესებიც და ეთიკის კოდექსიც თავად ჟურნალისტებს უნდა შეექმნათ. იმ ეტაპზე ჟურნალისტებს, სამწუხაროდ, საკითხის აქტუალობა ბოლომდე და სიღრმისეულად გაცნობებული არ ჰქონდათ. ამას კი, როგორც მედიის მკვლევარნი აღნიშნავენ, მოჰყვა მასმედიისადმი, როგორც სანდო და მიუკერძოებელი წყაროსადმი, ნდობის შემცირება. ამასთან ერთად, დაირღვა ინფორმაციის მომხმარებელთა უმთავრესი უფლება – სრულფასოვანი, სამართლიანი, მიუკერძოებელი ინფორმაციის მიღების უფლება.

XXI საუკუნის დასაწყისში მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალა. უკვე 2002 წელს ჟურნალისტური ეთიკის ნორმების შემუშავების მიზნით რამდენიმე შეხვედრაც გაიმართა. გაჩნდა ახალი პრობლემებიც. ერთი, უმთავრესი, შეეხებოდა ეთიკის ნორმების შინაარსს, მეორე მათს პრაქტიკულ ამუშავებას. ჟურნალისტთა შორის გაჩნდა შიში, რომ ეთიკის ნორმები, შესაძლოა, მედიის დასჯის ინსტრუმენტად გადაქცეულიყო. ამის მიუხედავად, 2003 წლის 25 ივლისს სასტუმრო „შერატონში“ გაიმართა პრობლემით დაინტერესებულთა შეხვედრა, სადაც მიიღეს მედიის თვითრეგულირების პირველი დოკუმენტი – „მედიის პროფესიული სტანდარტი“. ამ დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტური პროფილის არასამთავრობო ორგანიზაცია IREX-ი და თავისუფლების ინსტიტუტი. მართალია, ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები დადგინდა, მაგრამ პრობლემა ამით არ მოგვარებულა. მთავარი იყო მისი ამოქმედება, პრაქტიკაში რეალიზება, რათა ეთიკური ნორმებიც და მათი დაცვის მექანიზმებიც ქაღალდზე არ დარჩენილიყო.

იმ დროისთვის ქართულ ჟურნალისტიკაში შექმნილი მდგომარეობა საზოგადოებაში უარყოფით რეაქციას იწვევდა. ჟურნალისტებს გამუდმებით ადანაშაულებდნენ არაეთიკურობაში. თუმცა ეს აზრი ზედაპირულ დაკვირვებებზე იყო დაფუძნებული. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, ამ მიმართულებით ქართულ ჟურნალისტიკაში არსებული სიტუაცია პროფესიულად არავის შეუსწავლიაო (1, გვ. 6). ამგვარი განცხადება სავსებით სწორად ასახავდა ვითარებას.

პოსტსაბჭოურ წლებში უამრავი უნივერსიტეტი გაიხსნა და, როგორც წესი, ყველგან დაარსდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტები. ჟურნალისტებს ბევრგან ამზადებენ. თუმცა მედიაეთიკის კვლევა არსად დაწყებულა. შესაძლოა, სადღაც რაღაც მუშავდებოდა, მაგრამ ისიც საბჭოური ინერციით მიმდინარეობდა. მიზეზი კი ასეთი ტრადიციის არარსებობა იყო, ეთიკას იდეოლოგია ცვლიდა.

ეთიკის ნორმების შემუშავება თავისი მნიშვნელობით დღეს უკვე სცდება პროფესიული ეთიკის ნორმების აკადემიურ მიზნებს და უფრო ფართო ამოცანების განხორციელებისთვის ბრძოლას ცხადყოფს: ეთიკა კვლავაც იდეოლოგიას უტოლდება.

ჟურნალისტურმა ეთიკამ უნდა აღმოფხვრას საბჭოთა ჟურნალისტიკა, საბჭოთა ჟურნალისტიკისმცოდნეობა და დაამკვიდროს დემოკრატიული ჟურნალისტიკა (ჯერ პრაქტიკული, შემდეგ თეორიული ჟურნალიზმი). დღეს ამ სიბრტყეზე განიხილება ჟურნალისტური ეთიკის შემუშავების საკითხი.

ჟურნალისტური, პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, ქართული მედია შეამოწმა მედიის ინოვაციურმა ცენტრმა და გამოავლინა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვის მექანიზმები. დაკვირვებებისთვის შეირჩა გაზეთები: „ალია“, „ახალი ვერსია“, „რეზონანსი“, „24 საათი“, „ჯორჯიან ტაიმსი“, „ახალი თაობა“.

კვლევების ძირითადი ამოცანები იყო:

1. ჟურნალისტების დამოკიდებულება ჟურნალისტური ეთიკის ძირითადი პრინციპებისადმი;

2. ეთიკური ნორმების დაცვის თვალსაზრისით არსებული სიტუაციის შეფასება;

3. ჟურნალისტების მიერ პროფესიული სტანდარტების დარღვევისადმი მკითხველის დამოკიდებულების კვლევა.

კვლევები, თავის მხრივ, დაემყარა კონკრეტულ გეგმასა და მეთოდოლოგიას, სადაც გამოიყო შემდეგი ეტაპები:

I ეტაპი: ჩაღრმავებული ინტერვიუები ჟურნალისტებთან და მედიამენეჯერებთან;

II ეტაპი: წინასწარ შერჩეულ თემებზე გამოქვეყნებული მასალის ანალიზი ეთიკური ნორმების დაცვის თვალსაზრისით;

III ეტაპი: მკითხველთა ფოკუსჯგუფების ორგანიზება;

IV ეტაპი: შემაჯამებელი დასკვნების დაწერა.

კვლევების ორიენტირებად შერჩეული იყო:

ღიაობა, საჯაროობა;

კვლევის კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა ყველა ჟურნალისტისთვის;

მოპოვებული მასალების კონფიდენციალურობა;

შედეგების გამოქვეყნება და ხელმისაწვდომობა;

ინფორმაციის მიწოდება ყველა გაზეთის ხელმძღვანელისთვის დაგეგმილი კვლევის შესახებ;

კვლევებში უპირატესად გამოყენებული იყო:

– ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი;
– „საზოგადოებრივი ინტერესის“ ცნების განმარტება;
– ინფორმაციისა და კომენტარის გამიჯვნის პრინციპი;
– პასუხისა და შეცდომის გამოსწორების უფლება;
– ინფორმაცია და რეკლამა; ურთიერთობა ინფორმაციის წყაროებთან;
– დამოკიდებულება პერსონალური ტიპის ინფორმაციასთან;
– კრიზისული სიტუაციების გაშუქების პრინციპი;

– ჟურნალისტების მიერ საჩუქრების მიღების, სხვათა ხარჯზე მოგზაურობის ფაქტები;

– ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან სხვა (საჯარო, პოლიტიკური, ბიზნესის) საქმიანობის შეთავსება;

– საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების გამოქვეყნება;

– მკითხველთა წერილების, ფოტო- და სიმბოლური ილუსტრაციების, სასამართლო რეპორტაჟების, სათაურების, ანონსების გამოყენება;

– საავტორო და მომიჯნავე უფლებების გამოყენება;

– ინფორმაციის მიღებისას ფარული საშუალებების გამოყენება;

– ძალადობის პროპაგანდა, რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაცია;

– პრესის საბჭოს ფუნქციონირება.

ანალიზი განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: რადგან ქართულ მედიასივრცეში არ არსებობდა ეთიკური ნორმებისადმი ერთიანი პოზიცია, შემუშავდა ალტერნატიული ვარიანტი. უარყოფილ იქნა ჟურნალისტთა საერთაშორისო კოდექსი, თანაც იმ მიზეზით, რომ იგი საკმაოდ ზოგადი ხასიათის იყო. ამასთან, მისი დეკლარაციული პუნქტების საფუძველზე ძნელი იქნებოდა მასალების ობიექტური ანალიზი; კვლევა არ მოიცავდა ჟურნალისტური ეთიკის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს. აი, ამის გამო უარყვეს ქართველმა ჟურნალისტებმა საკუთარ კოდექსზე მუშაობის პროცესში ჟურნალისტთა საერთაშორისო კოდექსის საბაზისოდ გამოყენება.

აღნიშნულის ნაცვლად, გამოყენებულ იქნა დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრის მიერ მომზადებული კრებული, რომელშიც თავმოყრილია ჟურნალისტური ეთიკის 30 სხვადასხვა კოდექსი.

კვლევების კრიტერიუმები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, ბალანსი;
2. ინფორმაციის გადამოწმება, წყაროები;
3. ინფორმაცია და რეკლამა;
4. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები;
5. სასამართლო პროცესი და კრიმინალური ამბები;
6. ანონსები, ე. წ. ლიდები, სათაურები, ფოტოები.

ეს კრიტერიუმები საკმაოდ ახლოსაა იმ ნორმებთან, რომლებიც ქართული მედიის წარმომადგენლებმა 2003 წლის 25 მაისს მიიღეს.

დემოკრატიული ინოვაციების კვლევის ცენტრმა აღნიშნული კვლევების განხორციელების საფუძველზე ქართული მედიასპექტრისათვის შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა. ამ რეკომენდაციების მიხედვით, ქართულ ჟურნალისტიკაში პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად, შემდეგი ვითარება დაფიქსირდა.

იმ ეტაპზე ჟურნალისტებს პროფესიული ეთიკისადმი საპირისპირო მიდგომები ჰქონდათ. კონკრეტულ გამომცემლობებსაც და საზოგადოებასაც ერთნაირი კრიტერიუმებისა და ნორმების დანერგვა სჭირდებოდა. აუცილებელი იყო პროცესების საჯაროობა, რადგან მხოლოდ კრიტიკას შედეგი ვერ მოჰქონდა. ასევე აუცილებლად ჩაითვალა გაზეთების რედაქციებში ომბუდსმენის პოსტის შემოღება.

დაფიქსირდა ის გარემოებაც, რომ მედიის წარმომადგენლები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი პრესის საბჭოსადმი. ისინი ნაკლებად იყვნენ გათვითცნობიერებულნი სოციოლოგიური კვლევების სპეციფიკაში. ასეთი კვლევების შემთხვევაში კვლევით ორგანიზაციებთან პირადი ურთიერთობის პრაქტიკით ხელმძღვანელობდნენ და არა მეთოდოლოგიური პრინციპებით.

საინტერესო იყო შემდეგი დაკვირვებაც: გაზეთების მიერ მომზადებულ სოციოლოგიურ კვლევებს აკლდა ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა სტატისტიკური შეცდომა. ცნობილია, რომ კვლევებში პასუხის რამდენიმე ვარიანტს შორის სხვაობა სტატისტიკური შეცდომის ფარგლებშია, რაზედაც უცხოური მედია (მაგალითად, ბი-ბი-სი) ყოველთვის მიუთითებდა.

ყურადღება გამახვილდა იმაზედაც, რომ მკითხველი კარგად გრძნობდა მედიაში არსებულ პრობლემებს. ამას ცხადყოფდა თუნდაც სათაურების მაგალითები: ძალზე ხშირად სათაურები არ შეესაბამებოდა შინაარსს.

ცნობილია, რომ სათაურები გაზეთის გაყიდვის ერთ-ერთი საშუალებაა. სათაურების ავტორები, ამის გამო, ძირითადად მედიამენეჯერები – გაზეთის კომერციულ წარმატებაზე პასუხისმგებელი პირები იყვნენ, მკითხველთა პოზიციას ისინი არ ითვალისწინებდნენ. ასეთივე დამოკიდებულება გაამჟღავნეს მათ ჟურნალისტური ეთიკის სხვა ნორმებისადმიც.

გამოვლინდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ეთიკისადმი მკითხველთა მხრიდან მოთხოვნების დაბალი სტანდარტიც აღმოჩნდა იმის მიზეზი, რომ გაზეთები ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს არღვევდნენ. აღინიშნა ის გარემოებაც, რომ იმ დროისთვის ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვა სერიოზული პრესისთვის ბიზნესში წარმატების აუცილებელ პირობად არ მოიაზრებოდა.

აღნიშნულთან ერთად, დაფიქსირდა ის გარემოებაც, რომ გაზეთები ნაკლებად ცდილობდნენ მკითხველის ქცევისა და განწყობის ანალიზს. გაზეთების ტირაჟების კლების მიზეზად მედიასა და მკითხველს შორის კავშირის დაბალი დონე გამოცხადდა. ცალკეული რესპონდენტები დაუშვებლად მიიჩნევდნენ ფარული საშუალებების გამოყენებას. ამას, სხვასთან ერთად, იმ გარემოებითაც ხსნიდნენ, რომ არ არსებობდა ერთიანი აზრი იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა ამგვარად მოპოვებული მასალის გამოყენება მტკიცებულებად სასამართლოში. შეთანხმება შეეხო საკითხის იმ მხარეს, რომ ინფორმაციის ფარული საშუალებებით მოპოვების ფაქტი აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო.

ჟურნალისტური ეთიკის ნორმად დაფიქსირდა ჟურნალისტის მიერ საჯარო ან სხვა სახის სამსახურის შეთავსება, რადგან იქმნებოდა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე, რაც, თავის მხრივ, შეზღუდავდა ჟურნალისტთა დამოუკიდებლობას. აღინიშნა ისიც, რომ ჟურნალისტის ობიექტურობაზე უარყოფითად აისახება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა დაფინანსებულ ღონისძიებებზე დასწრება.

ამგვარ ღონისძიებებზე დასწრების იძულებითობის გასანეიტრალებლად დაფიქსირდა შემდეგი „დაცვითი მექანიზმები“: თუ მასმედია „ფართოდ იყო მიპატიჟებული”, ჩვეულებრივ ამბად მოიაზრებოდა და ეთიკის ნორმების დარღვევა გამოირიცხებოდა. ხოლო თუ მხოლოდ ერთი ჟურნალისტი იქნებოდა მიწვეული, როგორც წესი, თავს არიდებდა. თუმცა იმაზე არავინ საუბრობდა, როგორ იგებდნენ, ვინ და რამდენი ჟურნალისტი იყო მიპატიჟებული ასეთ შეხვედრებზე.

რესპონდენტთა ერთი ნაწილი სუნამოს, კალმის, ყვავილების ჩუქებას პატივისცემის გამოხატულებად მიიჩნევდა და არა ქრთამისა, მეორე ნაწილი ამტკიცებდა, რომ ქრთამის სტატუსს განსაზღვრავდა საჩუქრის ღირებულება.

საკმაოდ დაბალი იყო ჟურნალისტთა ინფორმირებულობის დონე საავტორო უფლებათა შესახებ.

დაფიქსირდა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ სამაუწყებლო კომპანიები პრესის ინფორმაციას გაზეთების მიუთითებლად იყენებდნენ. მნიშვნელოვანი

იყო იმის დაფიქსირებაც, რომ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელნი იყვნენ სახელმწიფო მოხელეები, ხოლო ჟურნალისტები ასეთი მასალის პუბლიკაციაზე გადაწყვეტილებას რედაქტორებთან ერთად იღებდნენ.

ქართული ჟურნალისტიკის მედიაეთიკის ნორმათა დაცვის თვალსაზრისით აღნიშნული პირველი მონიტორინგის ჩატარებიდან უკვე დიდი დრო გავიდა. მისმა შედეგებმა არაერთგვაროვანი გავლენა იქონია ქართულ ჟურნალისტიკაზე და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ თავისებურებების გამოკვეთა-დამკვიდრებას, რითაც იგი დღეს გამოირჩევა.

ლიტერატურა:

ქართულ პრესაში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვის მონიტორინგი, 3, თბილისი, 2003.

ზ. ადეიშვილი. მედია და კანონი (რედაქტორები: თ. კინწურაშვილი, დ. ზურაბიშვილი), თბილისი, 2004.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი – მასმედიის სისტემატური ანალიზი, თბილისი, 2004.

პრინციპები თანამედროვე მედიაში, თბილისი, 2006.

Из истории процессов саморегуляции грузинской медии

Мариам Вардиашвили
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме

Рассматриваются вопросы саморегуляции грузинской медии в плане ее исторического становления. Излагаются факты ранней стадии мониторинга грузинской журналистики постсоветского периода. Указывается, что итоги мониторинга соблюдения грузинскими журналистами норм журналистской этики своеобразно повлияли на развитие журналистской профессиональной деятельности.

From the history of self-regulation of the Georgian media

Mariam Vardiashvili
Georgian Technical University
77 Kostava str., Tbilisi, Georgia

Summary

Issues of self-regulation of the Georgian media from the viewpoint of its historical formation are considered. The facts of earlier stage of monitoring of Post-Soviet Georgian journalism are stated. It is mentioned that results of monitoring concerning observation of ethic standards of journalism by Georgian journalists have had peculiar effect on the development of journalistic professional activities.

ჟურნალისტის პროფესიული და სამსახურეობრივი ეთიკის ზოგიერთი საკითხი

მარიამ ვარდიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობას ზოგადად, ადამიანის საზოგადოებასთან (სხვა ადამიანებთან) დამოკიდებულების, მოვალეობის განმსაზღვრელ წესებს, ნორმებს (მათს სისტემას) მორალი ეწოდება, მოძღვრებას მორალის შესახებ კი – ეთიკა. როგორც ცნობილია, ეთიკა (მორალის მსგავსად) ადამიანის ზნეობრივი ქცევების ნორმათა სისტემაა, მისი საზოგადოებრივი მოვალეობის, ხალხის, ოჯახის, ერთმანეთისადმი მოვალეობის ნორმათა ერთობლიობა.

პროფესიული მორალი საზოგადოებრივი ზნეობრიობის მოდიფიკაციაა. მეცნიერება, რომელიც მორალის პროფესიულ სპეციფიკას შეისწავლის, არის პროფესიული ეთიკა.

პროფესია ჟურნალისტს იმის უფლებასა და მოვალეობას ანიჭებს, რომ საზოგადოების სახელით საზოგადოებრივად საინტერესო მოვლენებს დასდოს მსჯავრი და გამოუტანოს განაჩენი.

ჟურნალისტის ნამუშევარში – მედიაპროდუქციაში, როგორც წესი, ჩაქსოვილია ზნეობრივი (მორალური) ურთიერთობანი, ხოლო ნამუშევარი თავიდან ბოლომდე (მთლიანად, ერთიანად) თავისი არსით ზნეობრივ მუშაობას წარმოადგენს. და ეს იმიტომ, რომ პუბლიკაციის თემისა და ადრესატის ძიება, მიზნის განსაზღვრა, ფაქტების შერჩევა, გმირის საქციელის შეფასება ან სიტუაციის დახასიათება, თვით მასალის დალაგება (ყოველი „ტექნოლოგიური ოპერაცია“) აუცილებლად ასახავს ჟურნალისტის დამოკიდებულებას მათ მიმართ, ვისზედაც წერს ან ვისთვისაც წერს (1; გვ. 129).

აქედან გამომდინარე, ჟურნალისტური მორალი შეიძლება განვიხილოთ საზოგადოებრივი შეგნების ფორმადაც და პიროვნების სუბიექტური მდგომარეობის ფორმადაც, შეიძლება განვიხილოთ, ასევე, როგორც რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ჟურნალისტის ქცევის ზნეობრივი რეგულირება პრინციპისა და ნორმის დონეზე ხორციელდება. ისინი ერთმანეთისაგან კონკრეტულობის ხარისხით განსხვავდებიან.

ზნეობრივი პრინციპი მსოფლმხედველობრივი ხასიათისაა. ესაა იდეალის კავშირი ქცევის რეგულატორთან. ზნეობრივი ნორმა პრაქტიკული ორიენტირია.

ზნეობრივი ნორმების გამოვლენის მექანიზმი ასე გამოიყურება: სიტუაცია – შეფასება – მოქმედება – შედეგი. ნორმები შეიძლება იყოს სავალდებულო (მაგალითად, პლაგიატის აკრძალვა), სადისკუსიო (არ არსებობს ერთიანი აზრი, ვთქვათ, ზოგიერთი პროფესიის შეთავსებაზე ან დიქტოფონით საუბრის ფარული ჩაწერის თაობაზე).

ასე მაგალითად, პუბლიკაციის პერსონაჟთან პირადი შეხვედრა მაშინაა აუცილებელი, როცა მისი საქციელის ნეგატიური შეფასებაა ნავარაუდევი, სხვა შემთხვევებში, ასეთი შეხვედრა მხოლოდ სასურველია.

ხდება ხოლმე, რომ მასალა არ თავსდება მისთვის გამოყოფილ ადგილში, აუცილებელია მისი შემცირება, ავტორი კი ამ დროს სხვა ქალაქშია. რედაქტორი იძულებულია, ასეთ შემთხვევაში, დაარღვიოს ავტორის უფლება.

პროფესიული მორალი ამართლებს ამგვარ ჩარევას. პროფესიული მორალის ნორმებს ზოგადობის სხვადასხვა ხარისხი აქვს. ისინი სპეციალისტს მინიმალურ ორიენტაციას მხოლოდ კერძო (კონკრეტული) სიტუაციის ფარგლებში აძლევენ, მაგალითად, „გასწორების დროს არ დაამახინჯო მკითხველის წერილის შინაარსი“, „ვიდრე დოკუმენტს გამოაქვეყნებდე, ავტორის თანხმობა მიიღე“.

სხვა მოთხოვნები უფრო საერთო ხასიათისაა. ასეთ მოთხოვნებს, რომლებიც სცილდება კერძო (კონკრეტულ) შემთხვევებს, პროფესიული მორალის პრინციპებს უწოდებენ.

ზოგიერთი მკვლევარი ჟურნალისტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს სამსართულიან პირამიდად წარმოადგენს:

ზედა სართულზე ისეთ კატეგორიებს განათავსებენ, როგორიცაა: პროფესიული ვალი, მოვალეობა, პასუხისმგებლობა, სინდისი, ღირსება, პატივი.

მეორე სართულზეა ის საწარმოო-ეთიკური პრინციპები, რომლებშიც ჟურნალისტისადმი წაყენებული უფრო კონკრეტული მოთხოვნებია.

პირველზე – საკუთრივ პროფესიული ეთიკის ნორმებია, ანუ ჟურნალისტის კონკრეტულ საწარმოო სიტუაციებში ქცევის ყველა ასპექტის აკრძალვები თუ წახალისებები.

ეთიკის მოთხოვნები ისეთ შემთხვევებში გადაიქცევა წესებად, რომლებიც რეგულარულად წარმოიშვება ურთიერთობებში ჟურნალისტსა და აუდიტორიას, ჟურნალისტსა და ინფორმაციის წყაროებს, ჟურნალისტსა და ნაწარმოების პერსონაჟს, ჟურნალისტსა და ავტორს, ჟურნალისტსა და რედაქტორს, ჟურნალისტსა და რედაქციის კოლექტივს, ჟურნალისტსა და მის კოლეგებს შორის.

ურთიერთობათა პირველი სამი სახეობა დაკავშირებულია ჟურნალისტის მოქმედებასთან სოციალურ გარემოში ანუ პროფესიულ ეთიკასთან, დანარჩენი – მის საქციელთან პროფესიულ (ჟურნალისტურ) გარემოში ანუ ჟურნალისტის სამსახურეობრივ ეთიკასთან.

ფაქტების ძიების დროს ჟურნალისტს სხვადასხვა წყაროსთან უწევს მუშაობა: ინდივიდუალურთან (ადამიანი), კოლექტიურთან და დოკუმენტურთან.

ადამიანები ვალდებულნი არ არიან, ჟურნალისტს შეატყობინონ ცნობები საკუთარი თავის ან ამხანაგების შესახებ. მათ „ენა რომ ამოადგმევინო“, რწმენით (დარწმუნებით) უნდა იმოქმედო, თხოვნის მოტივირებაა საჭირო.

არ შეიძლება თანამოსაუბრის დაშინება, პრესის მეშვეობით პირადი ანგარიშის გასწორების წახალისება.

თუ ადამიანები უარს ამბობენ ცნობათა მიწოდებაზე დადებითი მასალებისთვის (ან საამისო მიზეზს ვერ ხედავენ, ან სამუშაოს შედეგებზე ლაპარაკის დრო არ დამდგარა და ა.შ.), ყურად უნდა ვიღოთ. უარი ცნობების მიწოდებაზე იმის შედეგიც შეიძლება იყოს, რომ ადამიანი, რომელზედაც იწერება ნარკვევი, რაიმე მიზეზის გამო უარს ამბობს. ჟურნალისტმა ნდობა უნდა მოიპოვოს.

აქ ეფექტურია იმიტაციის ხერხი – ადამიანის ყურადღების გადატანა სხვა ობიექტებზე (საგნებზე, მოვლენებზე, ფაქტებზე): საუბარი იწყება უფრო საერთო, ზოგად ამბავზე. ამით თანამოსაუბრეს მოეხსნება დაძაბულობა და იგი „გაიხსნება“ საუბრისთვის. უკვე საუბრის მსვლელობაში კი ჟურნალისტი შეფარვით შეეხება საუბრის ჭეშმარიტ (ნამდვილ) თემას, თანაც ისე, რომ რესპონდენტი ამას ვერც მიხვდება.

მაგალითად, ჟურნალისტს სურს გაიგოს, რესპონდენტს მართლა მოუვიდა თუ არა მარცხი სამუშაოზე და რა იყო ამის მიზეზი. იგი ეკითხება

ისეთნაირად, რომ რესპონდენტი თავად უკეთებს კომენტარს იმას, რაც ჟურნალისტმა სხვებისგან იცის, მაგრამ რესპონდენტი ამას ვერც ამჩნევს:

ჟ.: ეკითხება (ვთქვათ), მართალია, რომ თქვენი მღელვარე ცხოვრების გზაზე არასოდეს მოგსვლიათ შეცდომა? ხალხი ამბობს, რომ თქვენ ერთადერთი ბრძანებით, ვინც ასეთ საპასუხისმგებლო საქმეში არ შემცდარა.

რესპონდენტი: „ვინა თქვა? – ძირითადად სწორია, მაგრამ უშეცდომო ვინაა ამ ქვეყანაზე? შეცდომა, რასაკვირველია, მეც მომსვლია“ და თავისით იწყებს საუბარს იმაზე, რის გასაგებადაც მივიდა მასთან ჟურნალისტი.

ინფორმაციის მოძიების წარმატებულობა იმაშია, რომ ჟურნალისტი უნდა გრძნობდეს რესპონდენტის განწყობას, უნდა შეეძლოს, დაჟინებით (მაგრამ უაღრესად დიდი ტაქტით) განავითაროს და გააღრმაოს საუბრის სულ ოდნავ გამოკვეთილი თემა, საჭირო მიმართულებით წარმართოს, მიაგნოს და ზუსტად დასვას ამ თემის გაღრმავება-განვითარების განმსაზღვრელი და ხელშემწყობი კითხვები.

ძალიან ხშირად სასურველ ეფექტს იძლევა საუბრის დაწყება ზოგადი ფრაზებით, ხუმრობით, მეგობრული რეპლიკით ან თავსგადამხდარი რაიმე ამბით, აზარტის, ემოციური განწყობის გამოწვევით, დაბოლოს, რესპონდენტისთვის გულში დაგროვილი სათქმელის გამოსამჟღავნებელი ატმოსფეროს შექმნით. ა. მორუას თქმით, ესაა ერთობლივი ძალისხმევით აგებული შენობა.

საუბრის პროცესში ჟურნალისტის აქტიურობა და მისი ქცევის ეთიკურობა ვლინდება საკითხის დასმაში, იმ შენიშვნებში, რასაც იგი საუბრის დროს მოხმობილ ცნობებსა თუ ფაქტებს დაურთავს, მათ სიტყვით შეფასებაში, ჟესტებსა და მიმიკებში.

შეკითხვის ეთიკურობა, მისი დროულობა და სიტუაციის შესაბამისობა ჟურნალისტის აღზრდილობის, მისი პროფესიული სიმწიფის მთავარი ნიშანია (მაჩვენებელია).

უადგილოა და უტაქტო ისეთი კითხვის დასმა, რაზედაც რესპონდენტს პასუხის გაცემა არ შეუძლია და იძულებულია, ბანალური პასუხი მოძებნოს.

ისტორიკოსი ვ.ო. კლუჩევსკი ამბობდა: „იყო ჭკვიანი – ნიშნავს: არ იკითხო ის, რასაც პასუხი არა აქვს“ (რაზედაც პასუხი არ მოიძებნება). ასეთი შეკითხვები ამცირებს ადამიანს, ხოლო გამოქვეყნებული პასუხი ამახინჯებს მის პორტრეტს (სიტყვიერს).

უადგილო, არაეთიკურ კითხვებს განეკუთვნება ისეთებიც, რომლებიც რესპონდენტს აიძულებს ურიგო პასუხის გაცემას ანდა თავისი წარმატებების არაკრისტალურ გააზრება-შეკავებას. იმდენად, რამდენადაც ჟურნალისტის მიზანი ობიექტური ინფორმაციის მოპოვებაა, დაუშვებელია ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებიც რესპონდენტს პირდაპირ ან ირიბად უკარნახებს პასუხის იმ ვარიანტს, რომლითაც ჟურნალისტია დაინტერესებული. ინფორმაციის ამგვარად მოპოვების დროს იზრდება ნამდვილ ცნობად იმის მიღება (მიჩნევა), რაც თავად ჟურნალისტის მიერაა ინსპირირებული.

დიდი მნიშვნელობა აქვს კითხვების თანამიმდევრობასა და ურთიერთშესაბამობას.

დაუშვებელია მფარველობითი ანდა, პირიქით, პირმოთნეობითი ტონი, ასევე, გამოთქმათა კატეგორიულობა.

ადამიანები ყველაზე მეტად დროს აფასებენ და უადგილო, უჭკუო, უსარგებლო შეკითხვები აღიზიანებთ, ამას აღიქვამენ, როგორც უპასუხისმგებლობის ნიშანს (გამოვლენას) ჟურნალისტისა, რომელსაც უცებ სურს გულითადი საუბრის წარმართვა.

ამას რომ თავი დავაღწიოთ, დიდი მომზადებაა საჭირო. შეკითხვები შეიძლება იყოს:

ძირითადი;
დამატებითი;
დამაკონკრეტებელი;
შემახსენებელი;
მაკონტროლებელი;
პირდაპირი (უშუალო);
ირიბი (არაპირდაპირი);
ალტერნატიული;
რეტროსპექტული;
მიმდინარე;
გარდამავალი და ა.შ.

მოსაუბრეს ჩაკეტილობა და დაბორკილობა რომ მოვუხსნათ, შეიძლება წინასწარ მომზადებული ფოტო, წერილი ან ისეთი ჩანაწერი მოვასმენინოთ, რაც მას აღელვებს.

ზოგჯერ მოსაუბრე იძლევა ამა თუ იმ ცნობას, მაგრამ გაფრთხილებასაც დაურთავს – არა პრესისთვის. მან იცის, რომ ფაქტები შეიძლება დაიბეჭდოს და ითხოვს, რომ ეს არ მოხდეს. თუმცა მან ისიც იცის, რომ ჟურნალისტს ამ ცნობების მოპოვება სხვა წყაროებითაც შეუძლია. რასაკვირველია, რედაქცია წყვეტს, დაიბეჭდოს თუ არა მასალა „არა პრესისთვის“. ეს ამბავი ჟურნალისტმა ინფორმაციის მიმწოდებელს უნდა აცნობოს, მას კი შეუძლია ოფიციალური განცხადებით მოსთხოვოს რედაქციას, რომ მისი ცნობები არ დაიბეჭდოს.

ინტიმურ მონაცემებს რედაქცია პერსონაჟის თანხმობით აქვეყნებს, ხშირად მისი სახელის შეცვლით.

დასაშვებ ნორმად (კრიტიკული მასალების მომზადებისას) მიიჩნევა იმ პირის შეცდომაში შეყვანა (დაბნევა), ცნობებთან დაკავშირებით, ვისაც ჟურნალისტი თავის განკარგულებაში არსებულ ცნობებს აწვდის.

საუბარს ემოციურსა და გულახდილს ხდის მისი პოლემიკური ფორმით წარმართვა.

ინფორმაციის მოძიების დონე, შემდეგ კი მისი პუბლიკაციის ხარისხი მნიშვნელოვნად მცირდება, თუ ჟურნალისტს არა აქვს ინტერესი ადამიანებისადმი, არაა დაკვირვებული, არ გააჩნია მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის სწრაფი და ზუსტი შეფასების უნარი.

ეთიკური შეცდომებია ჟურნალისტის მიერ საუბრის საგნის ცოდნის თაობაზე საკუთარი ცოდნის კრიტიკული შეუფასებლობა, მოსმენის უნარის არქონა, პრაქტიკული კითხვების დასმა და ა.შ. ამ ნაკლის დაძლევა თვითკონტროლით, არასტანდარტული აზროვნებით, გაზეთის ავტორიტეტზე ზრუნვითაა შესაძლებელი.

ინფორმაციის კოლექტიური წყაროები. ესაა უმთავრესად კრებები, თათბირები, კონფერენციები, „მრგვალი მაგიდების“, „საქმიანი შეხვედრების კლუბების“ სხდომები, პრესკონფერენციები, არაოფიციალურ გარემოში ადამიანთა ჯგუფებთან საუბრები. ასეთი წყაროების ფასეულობა ურთიერთობის ბუნებითაა განპირობებული (დემოკრატიზმი, კრიტიკა, თვითკრიტიკა). ეს ჟურნალისტს ეხმარება, უფრო ზუსტად გაერკვეს მოვლენის, სიტუაციის, პრობლემის არსში, გაიღრმაოს მათზე წარმოდგენა, შეამოწმოს პირველადი დაკვირვებები, ანდა, ვთქვათ, მოძებნოს საინტერესო ადამიანი, თემა.

საინტერესო და ძალიან ღირებულია ადამიანთან საუბარი მისი მეგობრების თანდასწრებით. თუმცა ინფორმაციის ძიებისას გახმაურებულ ვითარებაში, კორესპონდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ცნობები, შესაძლოა, სიმართლისაგან შორს იდგეს სხვა ადამიანების დასწრების გამო, პრესტიჟული ხასიათის მოსაზრებების, ფორმალური თუ არაფორმალური ლიდერის ზეწოლის, კოლექტივის ამა თუ იმ „დაავადების“ (როცა ინტერესთა სხვაობა იჩენს თავს) მიზეზით. ამიტომ კოლექტიური წყაროსგან მიღებული ინფორმაციის შემდგომ გამოყენების დროს, მნიშვნელოვანია მათი შედარება სხვა წყაროებიდან მოპოვებულ ცნობებთან.

ხშირად ერთი ადამიანის აზრს (როცა არ სურს მისი დასახელება) ჟურნალისტი შეგნებულად ასაღებს (მიაწერს) კოლექტივის მოსაზრებად. სხვანაირად: როცა მკითხველი გაზეთში ინდივიდუალურ წყაროზე მითითებას („როგორც შეგვატყობინა X-მა“) ხედავს, შეუძლია უფრო ზუსტი მისამართის ან ინფორმაციის წყაროს გაიდუმალების მიზეზის ახსნის მოთხოვნა.

ჟურნალისტი ძალიან ხშირად გამოიყენებს დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენს (შეიცავს) ისეთ ცნობებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს ცნობების შესწავლის (კვლევის), დასაბუთებისთვის. მათი გაცნობა უნდა დაიწყოს ავტორის ნებართვით. ნებართვის არსებობა უნდა აისახოს პუბლიკაციაში, ციტატა უნდა გამოყოს კურსივით, წარმოაჩინოს (მისცეს) განსხვავება დოკუმენტს, მის შეფასებასა და ჟურნალისტურ ტექსტს შორის. ასევე უნდა ამცნოს შესაძლო უზუსტობებისა და დამახინჯებათა შესახებ. და, რასაკვირველია, მადლობაც უნდა გადაუხადოს დოკუმენტის მიწოდების გამო.

დადებითი მასალებისთვის ცნობების შეგროვების დროს დასაშვებია, ჟურნალისტმა არ წარუდგინოს თავი მაინფორმირებელ (ინფორმაციის მიმცემ) ადამიანებს. ეს ჟურნალისტს შესაძლებლობას მისცემს, საქმის არსი შიგნიდან დაინახოს, ადამიანებს ბუნებრივ გარემოში დააკვირდეს. ჟურნალისტის გამოჩენა ხომ ხშირად დაძაბულობას იწვევს. აქ უკვე ლაპარაკია არა ინფორმაციის წყაროების კლასიფიკაციაზე, არამედ მათთან ურთიერთობის ხერხებზე, ცნობების შეგროვების მეთოდებზე: დაკვირვებაზე, პროფესიათა შეთავსებაზე, მოქმედ პირობაზე.

ზოგიერთი ჟურნალისტი ინფორმაციის მოძიების მიზნით თანამდებობის პირთა ჯგუფის წევრთან შედის კონტაქტში (მაგალითად, სარევიზიო ან საინსპექციო კომისიაში), თუმცა კორესპონდენტმა არ უნდა იტვირთოს (აიღოს თავის თავზე) ამ პირთა ფუნქციები – არ უნდა იძლეოდეს რეკომენდაციებს.

„პროფესიათა შეთავსების“ მეთოდი ეთიკური რიგის სირთულეებს იწვევს, კერძოდ, ადამიანებისა თუ ორგანიზაციებისთვის ზნეობრივი ან მატერიალური ზარალის მიყენების რისკს შეიცავს. ასე რომ, აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაცვა: ჟურნალისტის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს „დროებითი პროფესიის“ მოთხოვნებს. მოცემულ სამუშაოზე მისი დროებითი (მოკლე დროით) ყოფნით საქმე არ წახდება.

კრიტიკული კორესპონდენციისთვის მონაცემების შეკრების დროს, შესაძლებელია, ინფორმაციის წყაროები ვერ ხვდებოდნენ იმას, რომ ჟურნალისტის დაკვირვების ობიექტად იქცნენ, ან ვერ ხვდებოდნენ მასალის შეგროვების ნამდვილ მიზანს.

ასეთი პრინციპი ზოგჯერ ინფორმაციის ფარულ ფიქსირებას ერწყმის. თუმცა დიქტოფონის ჩართვა რესპონდენტის ნებართვის გარეშე კანონმდებლობითაა აკრძალული. დიქტოფონის გამოყენება არც იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც რესპონდენტს ენობრივი დეფექტი აქვს. შესაძლოა, უტაქტობად ექცეს ჟურნალისტს ფარული კამერის უადგილო გამოყენებაც.

ასეთ შემთხვევაში, უფრო სამართლიანია მასალის აშკარად (ღიად) შეგროვება. ჟურნალისტთა საერთაშორისო კოდექსი განსაზღვრავს: ჟურნალისტი უნდა ურთხილდებოდეს თავისი პროფესიის ღირსებას. მან არ უნდა გამოიყენოს ინფორმაციის მოპოვების უღირსი საშუალებები. ჟურნალისტმა მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება უარყოფითი ფაქტებისადმი.

ლიტერატურა:

Правовые и этические нормы в журналистике. Москва, 2004.
ქართულ პრესაში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვის მონიტორინგი. 3, თბილისი, 2003.
პრინციპები თანამედროვე მედიაში, თბილისი, 2006.
ნ. ლუმანი – საზოგადოებრივი კომუნიკაციური სისტემის ცვლილებები და მასობრივი მედია, თბილისი, 2007.

Некоторые вопросы профессиональной и служебной этики журналиста

Мариам Вардиашвили
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

Резюме

В статье рассматриваются некоторые вопросы профессиональной и служебной этики журналиста. Отмечается, что журналисту в процессе творческой деятельности приходится считаться с взаимоотношениями, регулируемыми, с одной стороны, служебной деятельностью, а с другой, выполнением журналистского профессионального долга.

Some issues of professional and work ethics of journalist

Mariam Vardiashvili
Georgian Technical University
77 Kostava str., Tbilisi, Georgia

Summary

In this paper are considered some issues of professional and work ethics of journalist. It is mentioned, that journalist in the process of his creative activity is forced to take into account mutual relations, which are regulated by employment activity, on the one hand, and by fulfilment of his journalistic professional duty, on the other.

თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ზოგიერთი ფილოსოფიური პრობლემა

ბორის იმნაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 75

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია და ფილოსოფიის კონტექსტში გააზრებულია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე დამოკიდებული ურთიერთგამომრიცხავი პრობლემები: დრო და სივრცე, მათი რეალიზება, ტრანსფორმაცია, არეკვლის ფორმები, საშუალებანი და საინფორმაციო სივრცეში მოძრაობის ფორმები და სახეობანი და დასკვნები, ხაზგასმულია, რომ ტექნიკა იქვემდებარებს და წარმართავს მის სვლას და საგრძნობლად ზრდის მასობრივ აუდიტორიასთან ყველანაირ ტექსტუალურ კონტაქტებს.

საკვანძო სიტყვები: ურთიერთგამომრიცხავი, დრო, სივრცე, ტრანსფორმაცია, მართვა, კონტაქტი

თანამედროვე ქართულმა ჟურნალისტიკამ განვითარების მეტად რთული გზა განვლო და მაინც, შეიძლება ითქვას, ჯერაც ვერ განსაზღვრა საზოგადოების წიაღში მიმდინარე პროცესები. ეს პროცესები ურთიერთისადმი წინააღმდეგობრივნი არიან და მათი გადაწყვეტა ფილოსოფიური გააზრების გარეშე შეუძლებელია.

ფილოსოფიურ პრობლემათა შორის უპირველესად უნდა გამოიყოს სივრცისა და დროის პრობლემები, მასმედიაში მათი ათვისება, ტრანსფორმირება, ასახვა და ფუნქციონიორება.

საუკუნეთა მიჯნაზე ფსიქოლოგიურად უკვე მომწიფდა მართებული აზრი მასმედიის, როგორც კულტურული გარემოს და ადამიანური ურთიერთკავშირების ფორმების ცვლილებათა განმაპირობებელი პლანეტარული მოვლენის ადგილის და მნიშვნელობის შესახებ.

XX ს. დამდეგისათვის პლანეტის სივრცეც ხარისხობრივად განახლდა არა მხოლოდ ტექნიკის, სოციალური ყოფის რიტმისა და სიჩქარის ცვლილებათა გამო, არამედ იმ პროცესების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია მასკომუნიკაციის საშუალებათა საქმიანობასთან.

გაზეთები წარმოადგენენ სივრცულ კომუნიკაციებს, რადიო-დროითს, ხოლო ტელევიზია-დროსივრცულს. ცივილიზაციის ერთიანი ისტორია ადამიანის შესაძლებლობათა გაძლიერების დიდი გზაა. „ტექნიკის პროგრესი სივრცის დაპყრობაში მდგომარეობდა“ (აკადემიკოსი ა. ბახი). რადიოს გამოგონებამდე ეს გზა უახლოესი სივრცის ათვისებისა და ძირითადად ადამიანის ფიზიკური თვალსაწიერის ზრდას გვიჩვენებდა. XIX-XX სს. გაზეთებმა ბეჭდვითი სიტყვის უზარმაზარი ენერგია დააგროვეს. დატყვევებული ბეჭდვითი სიტყვა ცოცხალი ყოფის სივრცეში გასასვლელს ეძებდა.

რადიომ და ტელევიზიამ კიდევ უფრო გააძლიერეს დროისა და სივრცის დაუფლების ადამიანური შესაძლებლობები. რადიოს გაჩენასთან ერთად ათვისებულ იქნა მანამდე ცარიელი პლანეტის ეთერი. რადიოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ავიაციის სრულყოფა, შემდგომ კი კოსმოსური აპარატებით პლანეტის მახლობელი სფეროს ათვისების ფორმები. ეთერი ცოცხალი პლანეტის გარემომცველ სფეროდ იქცა. იგი სავსე იყო ისეთი მონაცემებით, რომ-

ლებიც გამოტანილნი იყვნენ ცოცხალი ყოფითი ურთიერთობებიდან მასობრივი სოციოლოგიური რეალიზების დონეზე. დედამიწის ატმოსფეროს ელექტრონული გარსი ცივილიზაციის ელექტრონულ სუნთქვას წარმოადგენს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სივრცისა და დროის ათვისების ხერხები სიცოცხლის ფიზიკური და სულიერი არეალის ცვლილებების გამომწვევ ფაქტორად იქცა. ხმის ჩაწერამ შესაძლებელი გახადა დროის დაკონსერვება. დაკონსერვებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალ დროით კონტექსტებში და შესაძლებელი გახდება დროის არა მხოლოდ მონტირება ახალი საინფორმაციო რეალობის შექმნისას, არამედ სივრცესთან სრულიად სხვა დამოკიდებულებაში შესვლაც. ა. მოლის აზრით, ჩაწერილი ხმა არსებითად წარმოადგენს დროის ანარეკლს სივრცეში, როდესაც დროის დროითი სუბსტანცია ისეთ თვისებებს იძენს, რომელიც დამახასიათებელია სივრცითი სუბსტანციისათვის და დღემდე არ გააჩნიათ დროის სუბსტანციები, კერძოდ, დროის უცვლელობა.

კულტურის ფილოსოფიური პრობლემები, ცივილიზაციის განვითარება მასკომუნიკაციის საშუალებათა ინფორმაციებში ახალ დონეზე გამოიტანება. ელექტრონული კომუნიკაციების წინამორბედი ხელოვნების ყველა სახეობა, ურთიერთობათა ყველა ფორმა, არ კარგავს თავის ტრადიციულ სუვერენულ ფუნქციონირებასა და კვლავაც შეიყვანება მასობრვი კომუნიკაციების კონტექსტში და იმკვიდრებს ადგილს, შემდეგ კი მათში ისე ტრანსფორმირდება, რომ ამ კონტექსტის გავლენას განიცდის. მასმედია იყენებს მუსიკის, თეატრის, ლიტერატურის, ფერწერის, ესტრადის დროსა და სივრცესთან დამოკიდებულებას, რომლებიც განპირობებულია ამ ხელოვნებათა ბუნების თავისებურებებით, მრავლგზის შეიცვალა ყოფითი ურთიერთობების ყველა ფორმა, ინფორმაციების გაცვლა, სტერეოტიპები, მითები, ჭორები და ა.შ.

მასმედიამ სამყაროს ახალი სურათ-ხატი შექმნა: ესკიზური, სქემატური, დინამიური, კონვეირული. დრო და სივრცე შეივსო ჟურნალისტური შემოქმედების კანონებით ორგანიზებული სამეტყველო ტექსტებით. ცოცხალი სიტყვის, როგორც განსახიერებული აზრობრივ-დროითი სუბსტანციის შეფარდება და ურთიერთქმედება გამოსახვასთან ქმნის ამ ახალი საინფორმაციო რეალობის უსასრულო მრავალსახოვნებას. „მსოფლიო სოფელი“ (მ. მაკლიუენი) ერთიან საინფორმაციო „მსოფლიო ქალაქად“ გადაიქცა. აქტუალიზდება ისეთი პრობლემები, როგორებიცაა მასმედიის ადამიანის ფსიქოლოგია, რომელიც განრიდებულია საკუთარი რეალობიდან. მისი გარემომცველი სივრცის და სამყაროს კონტექსტში დროის აღქმა, რომელიც მას თავს მოახვიეს მასობრივმა კომუნიკაციებმა, გამოიწვიეს ინდივიდუმის შინაგანი, სულიერი სამყაროს ნგრევა. თანამედროვე მასმედიები ადამიანს აშორებენ რეალურ სამყაროსთან და გადაჰყავთ ოცნებებისა და ილუზიების ვირტუალურ სამყაროში.

ამრიგად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ისეთ ფორმას იძენენ, რომ საოცრად აძლიერებენ ადამიანის გონების, მხედველობის, სმენის შესაძლებლობებს. ასე რომ, იონოსფეროს გვირგვინი შეივსო არა მხოლოდ ადამიანის საქმიანობის პროდუქტებით (ვ. ვერნადსკი), არამედ უშაულოდ თავად ადამიანის აზრით, რომელიც გამატერიალიზდა ელექტრონული საშუალებებით.

ხელოვნების ყველა სახეობა ცხოვრების გააზრების საზოგადოებრივ-ესთეტიკურ ფუნქციებს ასრულებს. ისინი შეიცავენ ადამიანის გარემომცველი სინამდვილის მხატვრულად ორგანიზებულ სურათებს, ემყარებიან შეგნების თვისებებს – ასახავენ და აფიქსირებენ ყველაფერს, რაც ადამიანს ემართება თავისი შინაგანი მხატვრული კანონების მიხედვით.

ხელოვნება, ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით, პირველ რიგში, ბუნებისა და საზოგადოებრივი ყოფის გაადამიანურების ფორმაა. საერთოდ იგი ქმნის სამყაროს განზოგადებულ სურათ-ხატს. იგი კულტურისა და თავად ადამიანის ევოლუციის ანარეკლს წარმოადგენს.

ტექნიკის განვითარებასა და სრულყოფასთან ერთად იზრდება ადამიანის მიერ დროისა და სივრცის ათვისების, დამორჩილების შესაძლებლობები და ისინი ჩნდება მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებში, რომლებიც სრულიად სხვა დონეზე ასახავენ სინამდვილეს და გამოყოფენ მისი წვდომის ფორმას. მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებმა გააფართოვეს ხელოვნების ყველა სახეობის სამოქმედო არე, შეიტანეს ცოცხალ გარემოში, მოახდინეს მათი დემონსტრირების სინთეზი და აღქმა-გააზრების და აუდიტორიასთან ურთიერთობის სულ სხვა სცენაზე გამოიყვანეს.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით ხელოვნების სხვადასხვა სახეობათა რეტრანსლიაცია, ანუ გამრავლება და დიდ მანძილზე გადატანა ტექნიკური ცივილიზაციის უდიდესი გამარჯვებაა. ამას გარდა, მასმედიამ ხელოვნებასთან ერთად წარმოშვა ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების ახალი არე – მასობრივი კულტურა.

თუ ვირწმუნებთ, რომ ხელოვნება ტიპურ სახეებს, სურათ-ხატებს, გარემოს ქმნის და განზოგადებისაკენ მიილტვის, ჟურნალისტიკა კონკრეტული ფაქტებითა და იდეებით ოპერირებს. იგი ასახავს ფაქტებს, მოვლენებს, საზოგადოებრივი აზრის მოძრაობას, - ყველაფერს, რაც მმართველი სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ ინტერესებს წარმოადგენს და გამოხატავს, რაც საგრძნობ საზოგადოებრივ რეზონანსს იწვევს და აუდიტორიის გარკვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

მასობრივი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალება იმ მასალას იყენებს, რომლის ასახვაც შესაძლებელია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების ფიზიკური შესაძლებლობებით და რომლებიც განსაზღვრულია მისი ბუნებითა და აუდიტორიასთან კონტაქტის ფორმებით.

ნებისმიერი ინდივიდი იმას ხედავს, ესმის, გრძნობს და განიცდის, რაც მისი მხედველობის არეში ხვდება. მისი აღქმის სურათი, მასშტაბები, გააზრების სიღრმე მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებების ერთობლიობით განისაზღვრება: ნიჭით, განათლებით, სქესით, ასაკით, სოციალური გამოცდილებით, ტრადიციებით, ყოფიერებით და ა.შ.

მასობრივი კომუნიკაციების ფუნქციონირება ჩვენი აღქმის, გონების თვისებებს ემყარება, მათზეა დამოკიდებული. თავიდან ისინი პროგრამულნი (დროის მსვლელობაზე დამოკიდებული), ასოციაციურნი და მონტაჟურნი არიან. გონებას შესწევს მხედველობისა და სმენის მართვის, მათი შეხამება-შეთანადების ძალა. ჩვენ ხან საერთო გეგმას ვხედავთ, ხან უმცირეს დეტალებს ვიხილავთ, ხან სმენით აღქმას ვიშველიებთ, ვაძლიერებთ მათ და მივმართავთ კონკრეტული ობიექტისაკენ. მეხსიერება წარსულის თავისებური კონსერვაცია (დაკონსერვება „ჩაწერა“ ჩვენთვის უცნობ „ფიორზე“, მისი ფრაგმენტების აღდგენაც ასოციაციურია და აწყობას ექვემდებარება).

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები უბრალოდ აძლიერებენ, ზრდიან ჩვენი შეგრძნებების შესაძლებლობებს. ადამიანმა დაიწყო მთელი სამყაროს მოსმენა და ხედვა. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები მას მუდმივად ეხმარებიან ამ სამყაროს შექმნაში (დანახვაში) მისი ასახვის კანონების მიხედვით და ადამიანს თავს ახვევენ სამყაროს საკუთარ ხედვას.

ბეჭდური ტექსტები ინფორმაციას აკოდირებენ და ამის გამო მისი წაკითხვის დროს დეშიფრირება განწირულია ნაწილობრივი დანაკარგები-

სათვის. რადიომაუწყებლობა სინამდვილეს ასახავს ბგერებში (არჩევა, მონტაჟი, ინფორმაციის მიწოდება. ხორციელდება ბგერითი მასალის აღქმის კანონებით, აღქმის ფსიქოლოგიის შესაბამისად). ტელევიზია, როგორც ბგერითმხედველობითი კომუნიკაცია, ახდენს ბეჭდურ ტექსტის ნაწილობრივ სინთეზს გამოსახვასა და ჟღერადობასთან. იგი სინამდვილეს ასახავს და მის უშუალო არეკვლას უახლოვებს ადამიანური გრძნობებით. რეალური ყოფის აღქმა ხელოვნების სხვადასხვა სახეობების, ბეჭდური ჟურნალისტური ტექსტების, რადიო და ტელეპროგრამების მონაცვლეობით, მათი რთული კომბინაციებით ყალიბდება ასახული სამყაროს შინაგანი სახე.

ამრიგად, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ქმნიან უშველებელ საინფორმაციო სივრცეს, რომელიც პირველ რიგში დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებზე, რომლებიც დგას კომუნიკატორის წინაშე (პარტიის, დაწესებულების, გაზეთის ტელე და რადიოპროგრამების, ჟურნალისტის პიროვნების).

მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების ინფორმაცია ორსაფეხუროვანია – მასობრივი აუდიტორიის წარმომადგენელი, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ინფორმაციით, ფაქტობრივად, მეორეულ, გადამუშავებულ სინამდვილეს ეცნობა, რომელიც მანამდე კომუნიკატორის მიერ უკვე იყო ასახული ამ ინფორმაციას მეორეული აღქმა კიდევ უფრო ამახინჯებს. „სარკე“, რომელსაც სამყაროს საინფორმაციო სახეობა გვაწვიდის, სინამდვილეს უკვე პირველადი წარმოების ეტაპზე ფუთავს, მალავს, აფასოებს. მეორე ეტაპი კი ამ გამოსახულებას ინდივიდუალურ საკუთრებას მ.მაკლიუენმა „მოზაიკა“ დარქვა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამყაროს დაცალკევებულ ფრაგმენტებად დანაწევრებას, როდესაც ნაკუწები ერთიმეორეს გადაეკვრებიან და რაღაც მთლიანურს ქმნიან. მაგრამ ეს პირველად მოზაიკა ინდივიდის გონებაში განა მთლიან სურად გარდაიქმნება?

ელექტრონული კომუნიკაციების პროგრამა ადამიანს უკვე მზა ფორმით მიეწოდება, ხოლო მასთან ურთიერთობის ხასიათი უკვე იძულებითია.

მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების თავისებურებებს ისიც წარმოადგენს, რომ ისინი სამყაროს უწყვეტად (მთლიანურად) ასახავენ, უწყვეტ საინფორმაციო ნაკადს ქმნიან, მაგრამ ნებისმიერ ადამიანს საქმე მხოლოდ ამ ნაკადის მცირე ნაწილთან აქვს. იგი ინფორმაციას ყოველთვის როდის გამოიყენებს მიზნობრივად, გააზრებულად, არჩევითად. ქაოტურადაც, შემთხვევითაც სარგებლობს. ადამიანი ინფორმაციას სხვადასხვა ფრაგმენტების გაერთიანება-გამთლიანებითაც იძენს.

არჩევანის ფიზიკური, პოლიტიკური, სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური დასაბუთება (მოტივაცია) და მათი ასახვის პარამეტრები, უმთავრესად კი მათი შინაგანი ათვისება, არ ექვემდებარება ზუსტ, კონკრეტულ აღრიცხვას (გათვალისწინებას). ამავდროულად ისინი ადამიანის სოციალური ქცევის საფუძველს წარმოადგენენ, აქტიურ გავლენას ახდენენ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, წარმართავენ მის ქცევა-მოქმედებას. სამყაროს ანარეკლი ადამიანის ცნობიერებაში გადაიხარშება და მას ამავე სამყაროს იდეების, შეხედულებების, შეფასებების, ქცევების სახით უბრუნდება იმისათვის, რათა ხვალ ისეთ ახალ ინფორმაციად იქცეს, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით აისახება,

ამრიგად, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები გარდაიქმნებიან არა მხოლოდ სინამდვილის ამსახავ არხებად, არა ადამიანზე ზემოქმედ არხებად, არამედ იმ ინსტრუმენტებადაც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ რეალური სამყაროს შექმნაში.

ფილოსოფოსები ამტკიცებენ, რომ მოძრაობა მატერიის არსებობის ფორმაა. მოძრაობის ფორმები დაკავშირებულია მათით განპირობებული მატერიის ფორმებთან. ისინი ურთიერთმოქმედებენ აგრეთვე სივრცესა და დროსთან. ხელოვნების ყველა სახეობა, კომუნიკაციები განსაზღვრულ მასალას გამოიყენებენ, ასახავენ ყოფიერების განსხვავებულ მხარეებს, თუმცა სინამდვილეს განასახიერებენ სხვადასხვა ფორმებში, სისტემებში, რადგან თავად პირობითები არიან.

სივრცული (ლიტერატურა, ფერწერა, სკულპტურა, ფოტოგრაფია), დროითი (მუსიკა), სივრცულ-დროითი (თეატრი, კინო, ესტრადა და ქორეოგრაფია) ტიპის ხელოვნების სახეობები სიცოცხლის წვდომის მთლიან (ერთიან) სისტემას ქმნაინ, ადამიანისათვის ურთიერთობის საკუთარ თავისებურებებს აყალიბებენ და ასე აღიქვამენ ხელოვნების ნიმუშებს მათი გავრცობისა თუ დამაგრების ხერხებს.

წიგნის ბეჭდვა ხელოვნების არაერთი სახეობის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან ეტაპად იქცა (ილუსტრაციები, ფერწერული ნაწარმოებების, სახვითი ხელოვნებისათვის იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ მათი ასახვისა და აღქმის გაორმაგებასა და პირობითობას, რაშიც ხედავენ ისინი უფრო მასობრივ აუდიტორიაზე). ტექნიკისა და ხელოვნების ასეთმა სინთეზმა პირველად გაადიდა ხელოვნების ამ სახეობათა აუდიტორია, მაგრამ ამავე დროს ტექნიკამ ამის გაკეთება შეძლო დედანთან კონტაქტის დაკარგვის ხარჯზე. ტექნიკა აღმოჩნდა შემქმნელსა და აღმქმელს, მაყურებელს შორის, რითაც გააძლიერა ასახულის (ასახვის) პირობითობა.

გაზეთებისა და ჟურნალების გამოჩენამდე სამყაროს მხატვრულ სახეებში ასახავდა ხელოვნება. მას მიჰქონდა კონცენტრირებული, ტიპიზებული, არსობრივი ინფორმაცია სინამდვილის შესახებ.

მასობრივი კომუნიკაციის საშალებების ფუნქციონირების საფუძვლებში ჩადებულია დროის ფაქტორი, გაფართოებული და პირველ რიგში შემთხვევითობითი ინფორმაციების საზღვრები. მას შემდეგ მის სამყაროს საკუთარ საინფორმაციო სურათ-ხატს ჰქმნიან და თავისებურად ასახავენ მას. ამავე დროს მას ისეთი საშუალებებით განამტკიცებენ, როგორებიც მოეპოვება პრესას, რადიოსა და ტელევიზიას.

გაზეთი და ჟურნალი სამყაროს ძირითადად კოდირებული, ნიშნობრივი ინფორმაციით ასახავენ. დრო და სივრცე მათში ფიქსირებულია, გაჩერებული. ჩვენ მოძრაობის ფორმებს განვიხილავთ როგორც თავად ტექსტში (ტექსტის შიგნით), ისე მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა ფუნქციონირების პროცესში. ფოტოგრაფიებმა და კინომ, როგორც ტექნიკურმა საშალებებმა ხელოვნების პირობითობა კიდევ უფრო გააძლიერეს. მოძაობა ბეჭდურ ტექსტში აზრის მოძრაობაში გამოიხატება. ტექსტში შემოფარგლულია ფურცლის შეზღუდული ფორმატით. გაზეთებსა და ჟურნალებში დროის ჩანაწერი დასკრეტულია. მოძარობის ნაკადები აღდგებიან ყოველი ახალი ნომრის გამოცემისას. გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელება კი არის მოძრაობა ღია სივრცეში ამ აჩერებული დროის ტირაჟირებით.

რადიო და ტელევიზია ელექტრონული კომუნიკაციების სახეობებია. თავისი ფიზიკური ბუნებით დროებითია, აღქმისათვის სწორხაზოვანი და შეუქცევადნი. მათ ელექტრონული ტალღების გიგანტური სიჩქარეები აითვისეს საინფორმაციო სიგნალის გადასაცემად. ესაა სიმულგატური, რეტიალური კომუნიკაციები, აქ საჭიროა განვასხვავოთ მოძრაობის შემდეგი ფორმები:

სივრცეში ინფორმაციის გავრცელებისას სიჩქარე საინფორმაციო ველის დაპყრობა, სადაც ტირაჟირება ხორციელდება სიგნალის (ნიშნის) აღქმის

მომენტში და დამოკიდებულია მიმღები ხელსაწყოების რაოდენობაზე, ხმოვანი მეტყველების გამოსახულების ტრანსლაციის სიჩქარე, რომელიც შეესაბამება ამ ნიშნის აღქმის ადამიანურ ფიზიკურ შესაძლებლობებს.

ეკრანზე ასახულ მოძრაობათა სხვადასხვა ფორმების სარეპორტაჟო გადაღებები, მიმდინარე მოვლენების ტრანსლაცია და ა.შ. პირდაპირ ასახავენ რეალური ყოფის ბუნებრივ მოძრაობებს, მაგრამ პირობითად ობიექტის მატერიალიზაციის თვალსაზრისით ტელევიზორის ეკრანზე სიტყვა და გამოსახულება, მათი დაფიქსირება, სიგნალის აღქმის ვექტორში დემონსტრირების სიჩქარე უზარმაზარ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს ადამიანის ქვეცნობიერებაზე. მოძრაობა მეტყველების ნაკადებში (ტემპი, რიტმი, ინტენსიურობა, მელოდიურობა) ზემოქმედებას ძირითადად ახდენენ რადიომსმენელისა და ტელემაყურებლის გრძნობებზე.

მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების ყველა ფორმა გავლენას ახდენს რეციპიენტზე.

ინფორმაციის მომხმარებელი არის გაზეთის მკითხველი, რადიომსმენელი, ტელევიზიისა და ინტერნეტის მაყურებელი. იგი მზადაა მოძრაობის ნაირგვარი ხარისხისა და ცვალებადობის აღქმისათვის, მაგრამ სამყაროს რეალურად მოძრავი სურათის აღქმის განსაკუთრებულ განწყობას მათი ერთობლიობა ქმნის.

მასობრივი კომუნიკაციებისა და ხელოვნების ყველა სახეობა საკუთარ სივრცესა და დროს ითვისებს, მართავს საკუთარ შინაგან მოძრაობას და იპყრობს სამყაროებას. ხელოვნებისა და მკს მოძრაობის ყველა ფორმა რთული, მოზაიკური შეხამებაა. მათი აღქმის ფსიქოლოგიას არსებითი მნიშვნელობა აქვს მთლიანი ინდივიდუალური სამყაროს სახეობათა ჩამოყალიბებისათვის. იგი ამ მოძრაობას აფიქსირებს გარკვეულ შინაგან სურათებში, რომლებიც აქტიურად ფუნქციონირებენ შემეცნებაში.

რადიომ, განსაკუთრებით კი ტელევიზიამ, - მასობრივი კომუნიკაციის სინთეტიკურმა სახეობებმა, ყველა წინარე ხელოვნება არამხოლოდ ტირაჟირების ახალ დონეზე გაიყვანეს და ამით მასობრივი გახადეს, არამედ ხელი შეუწყვეს ელექტრული ტექნიკის შვილობილის – მასკულტურის წარმოქმნასა და გავრცელებას. ტექნიკა იმორჩილებს მოძრაობას, მართავს და მრავალჯერადად ზრდის სხვადასხვაგავრი ტექსტების კონტაქტს უზარმაზარ აუდიტორიასთან.

რეზიუმე

სტატიაში განიხილება თანამედროვე ჟურნალისტიკის რამოდენიმე ფილოსოფიური პრობლემა, მათ შორის: ა) სივრცე და დრო, მათი ათვისება, ტრანსფორმაცია, ასახვა და ფუნქციონირება მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებში; ბ) ასახვის სახეები, საშუალებები და საინფორმაციო სივრცეში მათი მოძრაობის ფორმები.

Summary

The article deals with the following problems; a) space and time; their markers, transformation, manifest action and functioning in massmedia; b) Types means and forms of eireulation in information space.

მედიის როლი კულტურული ფასეულობების ფორმირებაში

ლ. ქათამაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

კაცობრიობის სვლა განვითარებისკენ, ფაქტობრივად, კულტურაში აისახება. კულტურა განუყოფლად არის დაკავშირებული ადამიანთან,პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან.ამავე დროს ის საზოგადოებრივი პროგრესის ხარისხობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს. კულტურა მემკვიდრეა წინა ეპოქის უდიდესი მიღწევებისა და ამავე დროს არის საფუძველი ინოვაციებისა. ამიტომაც შეიცავს ერთდროულად უცვლელ ღირებულებებს, ტრადიციებსა და ექსპერიმენტატორულ დაპირისპირებას ყოველივე უკვე არსებულთან. კულტურა თავისი ფასეულობებითა და კრიტერიუმებით ისტორიულად ცვალებადია და კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სპეციფიკურ მახასიათებლებს წარმოშობს. ახალი დრო ახალი კულტურის სათავეა. თანამედროვე ეპოქამ სრულიად განსხვავებული კულტურა შექ-მნა, რომელსაც უკვე ნაკლებად განაპირობებს ტრადიციული მემკვიდრეობითობა, ხელოვნება და ფილოსოფია, არამედ მეცნიერება, ტექნიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები. დღეს კულტურა გამოხატავს ურთულეს პროცესებს, რომლებიც საზოგადოებაში სხვადასხვა სფეროს ინფორმატიზაციასთან დაკავ შირებით ხდება. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ თანამედროვე კულტურას ახასიათებს ინსტიტუციონალიზაცია და როდესაც ასე გაზრდილია სოციალური ინსტიტუტების როლი საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ბუნებრივია, ლომის წილი აქ მასობრივი კომუნიკაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მოდის.

კულტურის ტრანსფორმაციამ კარდინალური ცვლილებები გამოიწვია ღირებულებით სფეროში დასაკმაოდ სერიოზულად შეარყია პროფესიული ჟურნალისტური ორიენტირები. მაშინ, როდესაც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ფუნქციების განსაზღვრისას მედიის ერთ-ერთ დანიშნულებად მიჩნეულია ჭეშმარიტი კულტურული ღირებულებების დაცვა, ყველაზე დიდი დარტყმა სწორედ ამ ფუნდამენტურმა მსოფლმხედველობრივმა მოთხოვნამ მიიღო. ის, რასაც დღეს ჭეშმარიტ კულტურულ ღირებულებებს უწოდებენ, ფაქტობრივად, არის ორიენტირება მემკვიდრეობითობაზე და, უფრო ზუსტად, იმ აღიარებულ კულტურულ ფასეულობებზე, რომლებზედაც კაცობრიობა დღევანდელ დღემდე შეთანხმდა. ეს ზოგადსაკაცობრიო კულტურული ღირებულებები, ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ფეოდალური და ინდუსტრიული ეპოქების ჩათვლით, თანამედროვე ეპოქამ ჩაანაცვლა თვისებრივად განსხვავებული, მასობრივ კულტურაზე ორიენტირებული, ტენდენციებით.

მასობრივი კულტურა იმდენად დაიტვირთა ნეგატიური შინაარსით, რომ ხშირად უფრო შეფასებად აღიქმება, ვიდრე რეალობად. სინამდვილეში ეს არის მოვლენა, რომელიც მასების ცხოვრებისეულ ასპარეზზე გამოსვლის თანამდევია. ეს არის შედეგი იმ შეუქცევადი პროცესისა, რომელიც XX საუკუნის თვისებრივ ცვლილებათა გამოვლენას წარმოადგენს. ხოსე ორტეგა ი. გასეტმა გვიჩვენა, თუ რა მოჰყვა დემოკრატიზაციას: ცივილიზაციამ "ავტომატურად შექმნა მასობრივი ადამიანი", იატაკქვეშეთიდან გამოსული მრავალრიცხოვანი, ენერგიული და ნახევრადგანათლებული ახალგაზრდული მასა, რომელიც წარსულის ყველანაირი მემკვიდრეობისგან იყო თავისუფალი. (ხოსე ორტეგა ი. გასეტი "მასების ამბოხი").

ჭეშმარიტ კულტურულ ღირებულებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფოლკლორულსა და ელიტურ შემოქმედებებს. ელიტური კულტურა, რომელიც ისტორიულად, მართლაც, ელიტის – არისტოკრატიის სამსახურში მყოფ კულტურას წარმოადგენდა, თანამედროვე საზოგადოებაში სხვა შინაარსით შეივსო. დღესდღეობით ის განსაკუთრებული გემოვნების ადამიანების, განათლებული საზოგადოების, რომელიც უკვე აუცილებელი არ არის მაინცდამაინც არისტოკრატიული იყოს, მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. "ელიტური ხელოვნების ნაწარმოები "მაღალი კულტურის" ნიმუშია, რომელსაც ნიჭიერი და შემოქმედებითი ადამიანი ქმნის... ელიტური ხელოვნების ნიმუში ტექნიკურად და თემატურად უფრო რთული და ინდივიდუალურია, რადგან მისი ავტორი თავისი გამოცდილების ინტერპრეტირებისა და გამოხატვის ახალ გზებს ეძებს. ელიტურ ხელოვნებაში შედის მუსიკა, ქანდაკება, ცეკვები, ოპერა და მხატვრობა, რომელიც ევროპაში ჩაისახა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. არაჩვეულებრივი მსოფლიო კლასიკა, რომელიც ელიტური ხელოვნების ნიმუშებისგან შედგება, დღითიდღე ახალი ნაწარმოებებით ივსება. სხვადასხვა ქვეყნის პროზაიკოსები, კომპოზიტორები, მხატვრები და სხვა შემოქმედი ადამიანები მუდმივად ახალ ფორმებსა და კონცეფციებს ქმნიან." (დეფლორი/დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის, გვ. 229). ფოლკლორული ხელოვნება შესაძლებელია ნაკლებად დახვეწილია, ვიდრე ელიტური, მაგრამ ტრადიციულობის შენახვის, მემკვიდრეობით გადაცემის ისტორიულ მოთხოვნილებას ემყარება. ამავე დროს გამოხატავს იმ ინდივიდუალურობას, რომელიც თითოეული ხალხის,ერის სახეს ქმნის. მართალია, ეს არის მხოლოდ დაბალი სოციალური ფენის ხელოვნება, რომელიც მის ყოველდღიურობას, ყოფას ასახავს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სწორედ ეს ხელოვნება არის მთელი ხალხის, ერის მთავარი კულტურული მახასიათებელი. თანამედროვე საზოგადოებაში ელიტური და ტრადიციული ხელოვნებები გამიჯნულია მასობრივი კულტურისგან. ამავე დროს ისინი ერთმანეთს ხშირად კვეთენ. ურთიერთშეღწევის საფუძველზე წარმოიშობა საშუალო დონის, ე.წ. მიდკულტურა, რომელიც ასევე მისაღებია მასობრივი მომხმარებლისთვის.

მასმედიის ზემოქმედება კულტურულ პროცესებზე უდავოა.ისიც უნდა ითქვას, რომ კულტურის ტრანზიტი არ არის ერთადერთი, რაც მედიას შეუძლია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად თავად ქმნიან კულტურულ ფასეულობებს. თუმცა, მასობრივი მედია ძირითადად ჭეშმარიტი კულტურის ნაცვლად სუროგატს გვთავაზობს. პროპაგანდა – მსოფლმხედველობრივი იარაღი სწორედ მედიის ხელშია და მისი მიზანი არა მხოლოდ პოლიტიკური იდეოლოგიებია, არამედ კულტურულიც. ადამიანების მსოფლმჭვრეტელობა – მხატვრული მსოფლმხედველობა მედიის კომერციული სამიზნე ხდება. პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანდათან აფერმკრთალებს ნამდვილ ფასეულობათა კონტურებს, ემოციურად აღარიბებს კულტურულ რეალობას და იაფფასიანი ეფექტებით იპყრობს ფართო მასების კულტურულ თვალსაწიერს. ასე იჭრება ხელოვნების სფეროში მომხმარებლური ინსტინქტები და მოხვეჭისაკენ ლტოლვა. სამეცნიერო ცოდნის გავრცელებას უპირისპირდება ცრუმეცნიერული და მისტიკური შეხედულებები და სწავლებები: ასტროლოგია, პარაფსიქოლოგია და სხვ. მედიის ხელში სამეცნიერო თემები გართობას ემსახურება და ამის საფუძველზე მასების ხედვა მეცნიერულ გააზრებას უკვე ვეღარ ეყრდნობა.ეს სახიფათოა ადამიანებისთვის, რამდენადაც დაწყებულია საზოგადოების კულტურული დეგრადაცია და მსოფლმხედველობრივი უკუსვლა.

Role of Media in Formation of Cultural Values

Leah Katamadze

Historically culture with its values and criteria is usteady.Modern epoch has created quite different culture which is less conditioned by heredity,art and philosophi, but by science,technique,information trchnology.In present time,when role of social institutions have been such increased in cultural life of society,it is natural that the media has the greatest merit on it.Transformation of culture has caused changing in the field of value _ universal values have been replaced with mass culture _oriented tendencies.of the culture,postmodernism conquers cultural areal of broad masses with cheap effects.This is dangerous for people because degradation of public has been started.

Роль СМИ в формировании культурных ценностей

Лия Катамадзе

Культура со своими ценностями и критериями изменяемая.Современная эпоха создала совершенно различную культуру,обусловленную не наследственностью, искусством и философией,,а наукой, техникой, информационными технологиями. В наше время ,когда так увеличина роль социальных институтов в культурной жизни общества, естественно львиную долю играют СМИ. Трансформация культуры вызвало изменение в сфере ценностей - тенденции,ориентируемые на массовую культуру заменили общечеловеческие истинные культурные ценности. СМИ взамен подлинной культуры предлагают суррогат, постмодернизм с дешевыми эффектамы захватывает культурный ареал. Это опасно для людей,поскольку уже начата культурная деградация общества.

ჟურნალისტური აუდიტორიის სოციოლოგიური ფორმირება

სრული პროფ. ***თემურ ჯაგოდნიშვილი***

თანამედროვე ჟურნალიზმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად მოიაზრებს ჟურნალისტის სოციოლოგიური აზროვნების ჩართულობას პროფესიულ შემოქმედებით საქმიანობაში. სოციოლოგიური აზროვნების სპეციფიკას განსაზღვრავს ორი ასპექტი: ჟურნალისტურ შემოქმედებაში სოციოლოგიის ადგილისა და მნიშვნელობის გააზრება და სოციოლოგიისადმი ინტერესის ხასიათი, თუმცა ინსტიტუციონალურად მათი ინტერესები გაცილებით ღრმად და ინტენსიურად არის გადაბმული. აღნიშნული იმაში ვლინდება, რომ ჟურნალისტები მასობრივ აუდიტორიას მედიატექსტებით, ფაქტობრივ, სოციოლოგიურ ინფორმაციას აწვდიან. ამას გარდა, ისინი იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად სოციოლოგიური კვლევების შედეგებს იყენებენ არგუმენტებად და რაც მთავარია, სოციოლოგიური აზროვნებით ჟურნალისტები, როგორც ცნობილია, სოციოლოგიური პუბლიცისტიკის აღმოცენება-დამკვიდრებას უწყობენ ხელს. ხოლო სოციოლოგიური პუბლიცისტური ტექსტი განსაკუთრებული დონის ჟურნალისტური დისკურსია, სადაც არა მხოლოდ სინთეზირებულია ჟურნალისტიკა და სოციოლოგია, არამედ ამგვარი ინტერდისციპლინარიზმის ინფორმაციული სისრულის განმსაზღვრელი პროცესის ინტელექტუალური ასპექტებია ექსპლიციტირებული.

ჟურნალისტური აუდიტორიის სოციოლოგიური ფორმირების პროცესში არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობს ინფორმაციის გავრცელების არხიც, რადგან ხშირად სწორედ იგი უზრუნველყოფს თავად ინფორმაციის სანდოობის დონეს.

ინფორმაციისა და კომუნიკაციის ეპოქა, ცხადია, ინფორმაციის გავრცელების არხების ნაირგვარობით არის გამორჩეული. მათგან ბევრი ტრადიციულია, ე. ი. წინარე ეპოქაშია აპრობირებული, ზოგიც სრულიად ახალია და თანამედროვეობის სულისკვეთების უზუსტესად ამსახველი. მათგან მყარი ტენდენციურობით გამოირჩევა:

მედიასივრცეში თავად სოციოლოგების "შეჭრა" საკუთარი კვლევის შედეგებით განსაზღვრული ინტელექტუალური კაპიტალი;

სოციოლოგიური კვლევების შედეგების მიწოდება მედია საშუალებებისათვის;

სოციოლოგების მიერ კვლევის შედეგების მასობრივი აუდიტორიისათვის დამოუკიდებლად გავრცელება. სიახლე და თანამედროვე ტენდენციებიც სწორედ ამ შემთხვევაში ვლინდება ყველაზე მკაფიოდ. აქ ტრადიციულ ფორმებად კვლავაც რჩება პრესკონფერენციები და მოკლე ანგარიშების გავრცელება. თუმცა უფრო ეფექტურია სოციოლოგიური კვლევების შედეგების გავრცელება სოციალური ქსელებითა და არხებით. დღეს უამრავი ფირმა თუ ჯგუფია ორიენტირებული სოციოლოგიურ კვლევებზე, რომელთა მიერ წარმოებული კაპიტალი სწორედ ამ კვლევათა შედეგებია (ყველაზე მასშტაბურ და შთამბეჭდავ ფორმად აქ შეიძლება დასახელდეს ე. წ. ეგზიტ-პოლების პრაქტიკა).

გარკვეულად შენელებულია, მაგრამ ჯერჯერობით ფესვმაგრობს კვლევების დამკვეთებისაგან მასმედიის საშუალებებისათვის პრესრელიზების მიწოდების პრაქტიკა;

ეფექტურობას ინარჩუნებს აგრეთვე ძირძველი ფორმა ინფორმაციის ძიებისა – ჟურნალისტების მიერ ნაირგვარი (მათ შორის სამეცნიერო) წყაროების დამუშავების საფუძველზე;

სოციოლოგების თვალთახედვით, კვლევების შედეგების პუბლიცირება ეფექტური მაშინ არის, როდესაც ამას თავად სოციოლოგები ახორციელებენ, რადგან, მათი ფიქრით, დამკვეთების სოციოლოგიური კომპეტენტურობის უკმარისობამ შესაძლოა ინფორმაციის კვალიფიციურობა ვერ უზრუნველყოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების კომუნიკაციურ ცნობიერებაში ჟურნალისტური ინფორმაციის სანდოობის საკითხი სულ უფრო მეტად დგება ეჭვქვეშ. უნდობლობის არეში ექცევა, ცხადია, სოციოლოგიური კვლევების შედეგებიც და მონაცემებიც. უნდობლობის აღმოფხვრის მარტივი და შედეგისმომტანი საშუალებაა სოციოლოგიური კვლევების პრინციპების შეხსენება მომხმარებლისათვის, ასევე სოციოლოგიური ინფორმაციის გავრცელების ძირითადი წესების დაცვა, ანუ შემდეგის გათვალისწინება:

სოციოლოგიური კვლევების ჩატარების თარიღის დაფიქსირება. ეს განსაკუთრებით აუცილებელია პოლიტიკური გამიზნულობის მონაცემების პრეზენტირებისას, რადგან პოლიტიკური დროჟამული მდინარება სწრაფად ცვალებადია – გუშინდელობისათვის უაღრესად აქტუალური ფაქტი თუ მოვლენა დღეისათვის, შესაძლოა, სრულიად გაუფასურდეს. თუმცა ჟურნალისტიკისათვის ასე გაუფასურებული პოლიტიკური მოვლენა თუ ფაქტიც ინარჩუნებს გარკვეულ ღირებულებას თუნდაც საზოგადოებრივი აზრისა თუ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიისათვის.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციოლოგიური კვლევის მეთოდის ექსპლიციტირება, რადგან მასზე სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ინფორმაციის სანდოობა. მაგალითად, ნაკლებ ნდობას იმსახურებს ინფორმაციის ძიება "სატელეფონო გამოკითხვებით" და "ქუჩური გამოკითხვებით", რადგან ერთი მხრივ, გამოკითხვები მოიცავს მოსახლეობის მხოლოდ ერთ ნაწილს (ვინც სამსახურში არ იმყოფება, ან გამოკითხვის მომენტში ტელეფონით სარგებლობა შეუძლია), მეორე მხრივ, საზოგადოება თავისთავად ეჭვით ეკიდება ყველანაირ გამოკითხვებს და, რბილად რომ ვთქვათ, არ ჩქარობს პოზიციის ან თვალსაზრისის დაფიქსირებას. არაიშვიათად პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, საჯაროდ იმ პოზიციასა თუ თვალსაზრისს აფიქსირებს, რაც პროსახელმწიფოებრივ-პროსამთავრობოა, რეალურად კი სულ სხვას ფიქრობს და აკეთებს. ამის გამო, ბოლო დროს ასევე კარგავს აქტუალობას და ამით შედეგიანობასაც "პრესისმიერი გამოკითხვის" მეთოდიც. მიზეზი კვლავ საკუთარი თვალსაზრისის გაცხადების შიშია, რასაც პრესისადმი გაუცხოების ტენდენციაც ემატება. გასათვალისწინებელი აქ, ალბათ, ის გარემოებაცაა, რომ მოსახლეობის სოციალური აქტივობა თავის ბუნებრივ, აუმღვრეველ, გაწონასწორებულ მყოფობაში უკიდურესად დაბალია და მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების ჟამს ხდება საგრძნობი.

სოციოლოგიური კვლევების მეთოდოლოგია, როგორც წესი, ითვალისწინებს გამოკითხული ადამიანების რაოდენობრივი მაჩვენებლის ფიქსაციას (მაგალითად, მოსახლეობის რა ნაწილი იყო გამოკითხული. ქალაქისა თუ სოფლისა, პროფესიული ჯგუფი გამოიკითხა, თუ დემოგრაფიული, ექსპერტები გამოიკითხნენ თუ რიგითი მოქალაქეები და ა.შ.)

ამ მოთხოვნის მართებულობას და აქტუალობას განსაკუთრებით ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის წიაღში მიმდინარე ტენდენციები ცხადყოფს. მხედველობაშია, ერთი მხრივ, ჟურნალისტთა დაბალი პროფესიონალიზმით განპირობებული ცნობიერება, მეორე მხრივ, მასობრივი ინფორმაციით მანიპულირების შესაძლებლობები, რომლის ერთი გავრცელებული ფორმაა მცირე ოდენობის სოციალური ჯგუფის მოსაზრებათა მიწერა მთლიანად საზოგადოებისათვის. სოციოლოგების ვარაუდით, კვლევების შედეგების სანდოობის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია ისეთი დამატებითი ცნობების მიწოდება, როგორიცაა სტატისტიკური მონაცემები რესპონდენტების ასაკობრივი საზღვრები, საქმიანობის სფერო, განსახლების არეალი, რიცხოვნობა, მისი მინიმალური ზღვარი (არანაკლებ 700-800 კაცი). ამას გარდა, მიზანშეწონილად არის მიჩნეული ცნობების დართვა სოციოლოგიური კვლევების პროექტის შემსრულებელთა შესახებ (ცენტრი, ფირმა, ფრილანსერი სოციოლოგი). აქ, ბუნებრივია, დგება სოციოლოგიური კვლევების სამსახურის ავტორიტეტულობის საკითხი კვლევების სანდოობის თვალსაზრისით.

თანამედროვე ჟურნალისტიკა ხშირად იყენებს სოციოლოგიაში კარგად ცნობილ ე. წ. "საექსპერტო გამოკითხვის" შედეგებსაც, ანუ კომპეტენტური სპეციალისტების მოსაზრებების დაგროვებასაც. თუმცა დიდი გამოსავალი არც ეს არის, რადგან ექსპერტები ყოველ სფეროში ყოველთვის ძალიან ცოტაა და მით უფრო ცოტა, რაც უფრო რთულია საანალიზო სფერო. ამასთან ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ჩვენში არ არსებობს ისეთი საარბიტრაჟო ორგანიზაცია, რომელიც ექსპერტობის სტატუსის მაძიებელს ექსპერტობისათვის აუცილებელი ცოდნის დონეს ოფიციალურად დაუდასტურებდა, ექსპერტობის კვალიფიკაციას მიანიჭებდა. ამის გამო, ჩვენში ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პიროვნებები ხან პოლიტოლოგების რანგში ევლინებიან მასობრივ აუდიტორიას, ხან კრიტიკოსის, ხან ჟურნალისტის,

ხანაც ექსპერტისა, თანაც ისეთ სფეროებში, სადაც მათი კომპეტენტურობა სასურველისაგან საკმაოდ შორსაა. ასეთი ადამიანების ექსპერტობის სტატუსის დადგენა, ცხადია, დიდი სირთულე არაა, მაგრამ ამის მიუხედავად ბევრი, სენსაციებსგამოდევნებული, მედიასაშუალება სიამოვნებით უთმობს ტრიბუნას მასობრივ აუდიტორიასთან საკომუნიკაციოდ და არც თუ იშვიათად თავისი არსითა და დანიშნულებით სახელმწიფოებრივად "კონფიდენციალური" ინფორმაციებიც ქვეყნდება (ეს განსაკუთრებით ე. წ. სამხედრო ექსპერტებსა და პრობლემებზე ითქმის).

ჟურნალისტიკის თეორეტიკოსები და სოციოლოგები ჟურნალისტური აუდიტორიის სოციოლოგიურ ფორმირებაში გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციოლოგიური მონაცემების გადაცემის, ანუ თხრობის პროცესის რაგვარობას. აქ, ჟურნალისტის ენობრივ ცნობიერებასა და სამეტყველო კომპეტენტურობასთან ერთად, მოიაზრება ინფორმაციის პარალინგვისტური ასპექტებიც – მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დიზაინური შესაძლებლობები და ვიზუალიზმის დონეები, სადაც აუცილებლად ანგარიში ეწევა მასობრივი აუდიტორიის კულტურულ ცნობიერებას და ინფორმაციის აღქმის უნარს.

თანამედროვე დონეზე აშკარად მეტი სანდოობით ხასიათდება სოციოლოგიური კვლევების შედეგების ე. წ. "სუფთა სახით" გამოქვეყნება. ასეთ შემთხვევაში მასობრივ აუდიტორიას შეეთავაზება არა მხოლოდ კვლევების შედეგები, არამედ თავად კვლევის პროცესის ვიზუალიზაცია: შეკითხვები (იმავე სახით, როგორც შეეთავაზებოდა რესპონდენტს), პასუხები (თავისი ვარიანტებით და ამ ვარიანტების შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი), ანუ მონაცემების მთელი პაკეტი, რასაც სოციოლოგიის ენაზე "კრებსით ანკეტას" უწოდებენ. ამგვარ ანკეტას რედაქცია ზოგჯერ განზოგადებულ დასკვნასაც დაურთავს ხოლმე. პროფესიონალი და საქმეში ჩახედული მკითხველი სწორედ ასეთ ვარიანტს ანიჭებს უპირატესობას, რადგან მისთვის სტატისტიკა უფრო დამარწმუნებელია, ვიდრე განსჯა-ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები.

თანამედროვე დონეზე კვლავ შედეგისმომტანია და ეფექტურ ფორმად რჩება სოციოლოგიური კვლევების შედეგების "ხელშეუხებლად" – ტაბულების, დიაგრამების, ნახატების ფორმით გამოქვეყნება. ასეთ შემთხვევაში, სოციოლოგთა რეკომენდაციით, ამგვარი მოდელის გამოყენება: შეკითხვა – პასუხი – კომენტარები. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია თანამედროვე პოლიგრაფიის სტანდარტები და შესაძლებლობები, კერძოდ, შავ-თეთრ ფერებში ვიზუალიზაციის არაეფექტურობა. ამ გარემოებას თანამედროვე პრესტიჟული ჟურნალ-გაზეთები (სხვა მედიასაშუალებებიც) მთელი სერიოზულობით ეკიდებიან და გრაფიკულ გამოსახულებებს ნაირგარ ფერებში ბეჭდავენ. ინფორმაციაში სტატისტიკური მონაცემების დემონსტრირება მომხმარებელს სოციოლოგიური კვლევების შედეგების განსჯისა და ფიქრის აუცილებლობის წინაშე აყენებს, რაც თავისთავად ღრმა და სერიოზული ინტელექტუალური შრომის მიმანიშნებელია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი ამგვარი მოვლენა იმ შემთხვევაში იძენს, როდესაც მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სტატისტიკური მონაცემების დეკოდირების საჭიროება დგება.

სოციოლოგიური კველვების შედეგების ნახატებითა და დიაგრამებით ჩვენებას თავისი სირთულეები ახლავს. ეკრანზე მონაცემთა სწრაფი ცვლის, მონაცვლეობის აღქმა სათანადო სიღრმით, ამის გამო მონაცემების შესახებ ტელეპროგრამის მოდერატორის კომენტირებული ინფორმაციის მოსმენას

ანიჭებს უპირატესობას. როგორც ჩანს, დღეს სოციოლოგიური კვლევების შედეგების მასკომუნიკაციის სფეროში გამოყენების სწორედ ამ ფორმას – კომენტირებულ აღწერა-დახასიათებას ან თხრობას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

ზემოაღნიშნულის გამო, მასმედიაში კარგა ხანია დამკვიდრდა (თანაც ლამის საყოველთაოდ) ე. წ. აღწერითი ხერხები, რაც კვლევების შედეგების შედარებათა (პროცენტული ან სხვა სახის) ფორმით წარმოდგენას გულისხმობს. მაგალითად, მოსახლეობის გამოკითხვამ იმის შესახებ, თუ რომელ ტელეარხს ანიჭებს უპირატესობას, ცხადყო, რომ 47% უყურებს პირველ არხს, 20% - მეორე არხს, 22% - "მაესტროს", 11% - "ერთსულოვნებას"; ამგვარი სტატისტიკური მონაცემების კომენტირების დროს ჩვეულებრივ გამოიყენება იმგვარი ფრაზეოლოგია, როგორიცაა: "ყოველი მეათე", "ყოველი მესამე". მონაცემების ამგვარი "დაჯგუფებით", ცხადია, სიზუსტე კლებულობს, მაგრამ მასობრივი აუდიტორიისათვის არც ისე დიდი დანაკლისია, რადგან მასობრივ აუდიტორიას სოციოლოგიური კვლევების მონაცემებში უფრო კონკრეტული პროცესის დინამიკა აინტერესებს, ვიდრე, პროცენტული სიზუსტეები. აღნიშნული კი თავისთავად ცხადყოფს ჟურნალისტური აუდიტორიის სოციოლოგიური ფორმირების თავისებურებებსა და პრინციპებს.

განხილული ცხადყოფს, სოციოლოგიური კვლევების შედეგები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ჟურნალისტიკისათვის და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასობრივი აუდიტორიის რაობას, მის რაოდენობრივსა და თვისებრივ პარამეტრებს. ამის გამო, ჟურნალისტიკა სულ უფრო მეტად სოციოლოგიური ხდება, ხოლო სოციოლოგია თავის პრაგმატიკას სულ უფრო მეტად აფუძნებს ჟურნალისტიკაში. აქ, ინტერდისციპლინარიზმი უკვე სოციოლოგიის ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტიკის სოციოლოგიის, როგორც ცოდნის ახალი სფეროების დამკვიდრების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება, რადგან მასობრივი აუდიტორიის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს სოციოლოგიური კვლევების შედეგებიდან მათი დემონსტრირების ტრადიციული და ახალი სოციოლოგიური ხერხები, მეთოდები და მეთოდოლოგია ასრულებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. სურგულაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და მასმედია, თბ., 2003;
2. ქრეგ კალპუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი, სოციოლოგია, თბ., 2008;
3. Социология журналистики, Москва, 2004.

Sociological formation of journalistic audience

Prof. ***T. Jagodnishvili***

Summary

Specificity of journalistic audience is in its mass. The community of intellectual and target interest of members of mass audience is the base of sociological formation of this audience. Therefore, the process of formation of journalistic audience is based on the target integration of different levels of journalistic and sociological knowledge.

Социологическое формирование журналистской ауитории

Проф. ***Т. Джагоднишвили***

Резюме

Специфика журналистской ауитории заключается в ее массовости. Основой социологического формирования этой аудитории является общность интеллектуальной и целевой заинтересованности членов массовой аудитории. Поэтому процесс формирования журналистской аудитории опирается на целевую интеграцию различных уровней журналистского и социологического знаний.

სუნთქვის ფუნქცია ვერბალურ კომუნიკაციებში

სრული პროფ. ***ივ. ჯაგოდნიშვილი***
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

სუნთქვა კომუნიკოლოგიის ინტერესთა სფეროში მოექცევა იმდენად, რამდენადაც იგი განსაზღვრავს ენის რიტმიკულ-მელოდიკურ სტრუქტურას, ხოლო მეტყველებაში რიტმი და ინტონაცია ვერბალიზებისა და კომუნიკაციების არსებითი მახასიათებელია.

სუნთქვის არსი, მისი მექანიზმები ენათმეცნიერებაშიც საფუძვლიანად არის შესწავლილი. ქართულ სინამდვილეში ჩვენი ეროვნული ენის რიტმიკულ-მელოდიკური პარადიგმატიკის კვლევა ინტენსიურად გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. 1963 წელს გასრულდა ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურის კვლევა და გამოიცა იმ დროისათვის მეცნიერული სიახლით გამორჩეული ნაშრომი სერგი ჟღენტისა „ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა". თუმცა უნდა ითქვას, რომ კვლევები ამ ავტორთანაც, იმჟამინდელ მეცნიერულ ტრადიციათა დონეზე – ფონეტიკის ამოცანათა კონტექსტში – არის განხორციელებული. მიუხედავად ს. ჟღენტის კვლევების შედეგიანობისა, დასკვნები მეცნიერულ-პედაგოგიკურ პრაქტიკაში (თუ არ ჩავთვლით სასცენო მეტყველების აღწერა-დახასიათებების ცდებს), ასევე ტრადიციულად ნაკლებ გამოიყენებოდა. ერთი მიზეზი თავად ენათმეცნიერებითი ინტერესების ენის გრამატიკული სტრუქტურის შესწავლის პრიორიტეტულობაშია საძიებელი. გრამატიკალიზაციამ ხელმისაწვდომი გახადა ენის სტრუქტურა, მაგრამ მხედველობის მიღმა დატოვა მეტყველება (ვერბალიზება) და მეტყველი ადამიანი. თანამედროვე ლინგვისტიკაში მეტყველების ფენომენის წინა პლანზე წამოწევამ და მთავარ ფიგურანტად მეტყველი ადამიანის აღიარებამ არსებითად განსხვავებულ დონეზე დააყენა ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურისა დათავისებურებების კვლევა, რადგან ცხადი გახდა მეტყველების რიტმიკისა და მელოდიკის უაღრესი როლი ვერბალურ კომუნიკაციაში.

ძალზე დიდი ხნის წინ არის შენიშნული, რომ ადამიანის სულის არსებობის ფორმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის რიტმია. ადამიანი ჩასუნთქვის პროცესში უანგბადით ივსება, ამოსუნთქვისას კი მისი უსარგებლო ნარჩენებისაგან თავისუფლდება. ბიოლოგები მიგვითითებენ, რომ ჩვენ ფილტვებით კი არ ჩავისუნთქავთ და ამოვისუნთქავთ, არამედ მიმღებ-გამშვები კუნთებით; ყურად-

ღებას ამახვილებენ იმ წესებზე, რომლებიც ხელს უწყობენ „სუნთქვის დაყენებას" „ხმის დაყენების" მსგავსად.

აღიარებულია, რომ სუნთქვის დაყენების საფუძველი ღრმა სუნთქვაა – ჰაერით ფილტვების ბოლომდე ავსება და ამოსუნთქვით მათი ბოლომდე დაცლა.

მეტყველების შთამბეჭდაობის წინაპირობა სრულქმნილი სუნთქვაა. ზოგის ფიქრით, მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენა შესაძლებელია უნიჭო მსახიობობითა და უგერგილო „მხატვრული კითხვის" მანერულობით. რეალურად კი, ცხადია, ეს ასე არ არის. მეტყველების შთამბეჭდაობა მეტყველების შემდეგ მოცემულობებს უნდა ემყარებოდეს:

წარმოთქმას (იგი მიღებულ ნორმებს დიდად არ უნდა სცილდებოდეს);

ხმის ჟღერადობას (ხმა ჟღერადი უნდა იყოს);

ხმის სიძლიერეს (ხმის ტონალობა, სიმაღლე აუდიტორიის შესაბამისი უნდა იყოს);

აზრობრივი მომენტების გამოყოფას (გამონათქვამის დანაწილებას ლოგიკური მახვილით გაერთიანებულ სეგმენტად);

მეტყველების ელფერს (წარმოთქმის ინტონაციური მელოდიკურობას მეტყველების გამიზნულობის შესაბამისი უნდა იყოს).

ცნობილია, რომ მეტყველების პროცესში ძირითადი დატვირთვა ენასა და ბაგეებზე მოდის. სიტყვის წარმოთქმა კი არტიკულაციის სიმკვეთრის განმსაზღვრელი კუნთების ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. როდესაც ბაგეები ნაკლებ არიან მოკუმულები, გამოთქმა თავისუფალია და მკაფიო.

მეტყველებაში, როგორც მიუთითებენ, განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებენ კისრის კუნთები, რადგან ისინი განსაზღვრავენ ქვედა ყბის მოძრაობის ამპლიტუდას. თუ კისრის კუნთები დაძაბულია, მეტყველება არაეფექტურია.

არასასურველ ეფექტს იძლევა სიტყვათა კბილებში გამოცრით ლაპარაკი. ამ დროს მიმღებ-გამშვები კუნთებიც და კისრის კუნთებიც ძალიან სწრაფად გადაიტვირთებიან, გადაიღლებიან და მეტყველება კარგავს შთამბეჭდაობას. ფონეტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ მეტყველების შთამბეჭდაობისათვის აუცილებელია გამოთქმის სილბილისა და სიმწყობრის გამომუშავება, რისთვისაც აუცილებელია ხმოვანთა ფშვინვა – ასპირაცია. მეტყველების სილბილე და სიმწყობრე ვერბალურ კომუნიკაციებში მეტყველების ეფექტურობის და, აქედან გამომდინარე, მეტყველების გამიზნულობის რეალიზების უმთავრესი პირობაა. იოლი წარმოსადგენია კისრის კუნთებდაჭიმული, კბილებში ყოველი სიტყვის დიდი დაძაბვისთ (გაცრით) მოსაუბრე კომუნიკანტი, ნიკაპი რომ წინ წაუწევია, თვალებშიც დაძაბულობა ჩასდგომია (თუნდაც აზრსდაქვემდებარებული) და რაღაცის დამტკიცებას ცდილობს და ასევე იოლი გახდება მისი მეტყველებისადმი მსმენელის ნდობის ხარისხი: მსმენელისათვის ასეთი კომუნიკატორი პიროვნულად მიუღებელი იქნება და ეს მიუღებლობა პირდაპირპროპორციულად აისახება მისი ინფორმაციისადმი მსმენელის დამოკიდებულებაზედაც.

მეტყველების სილბილე, ზომიერად თვალშისაცემი (აქცენტირებული) ასპირაცია (ფშვინვადობა), პირიქით, ხსნის მოსაუბრის ფიზიკურ-სხეულებრივ დაძაბულობას, თავის თავში ჩაკეტილობას, თვალშისაცემი ხდება სახეზე გამოხატული ღიაობა, იზრდება ჯერ მოლაპარაკის პესონისადმი, ხოლო შემდეგ მისი ნალაპარაკევისადმი ნდობა.

მეტყველების შთამბეჭდაობის მიღწევაში დიდ როლს თამაშობს სიტყვებში თანხმოვანი ბგერების გამოკვეთა. აუცილებელია მსმენელმა თითოეული მარცვალი მკაფიოდ გაიგონოს, ერთმანეთისაგან განარჩიოს. არ ვარგა

სიტყვის დაბოლოების მიჩუმათება (ჩაყლაპვა), რადგან ამით მახინჯდება მთელი გამოთქმა.

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ მეტყველების შთამბეჭდაობას დიდად უწყობს ხელს სიტყვის საწყისი და ბოლო ბგერების გამოკვეთა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც ფრაზაში ერთმანეთს მსგავსი ჟღერადობის სიტყვები ემეზობლება. მაგალითად:

„აღმართ, აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა".

წარმოთქმის მკაფიობას დიდად უწყობს ხელს სპეციალური ხერხების გამოყენება. ერთი ასეთი ხერხია „მკაფიო ჩურჩული". ამ ჩურჩულს ერთი, კონკრეტული ადრესატი ჰყავს, თუმცა იგი ჩვეულებრივი ჩურჩულის სმენადობის ზღვარს იქით იმყოფება. ადრესანტი საკომუნიკაციო სივრცის გადაფარვას ჩურჩულის გამკვეთრებით ახერხებს. ამგვარი კომუნიკაციის ტიპური მოდელია სასკოლო ზეპირი „შპარგალკა".

ერთი ხერხია მიზნობრივად აჩქარებული მეტყველება, თანაც იმგვარი, როდესაც შენარჩუნებულია თითოეული ბგერა.

მეტყველების შთამბეჭდაობას, როგორც ითქვა, განსაზღვრავს ხმის ძალა, ჟღერადობა, ხოლო ჟღერადობა მიიღწევა იმგვარი სიტყვების მომარჯვება, რომლებშიც უხვადაა ე. წ. ნარნარა თანხმოვნებით (ვ, რ, ლ, მ, ნ).

უაღრესად არაეფექტურია, მეტიც, პირდაპირ დესტრუქციულია მეტყველების პროცესში – წარმოთქმაში თანხმოვნების დახშობა. ქართველი ტელეჟურნალისტების, განსაკუთრებით პროგრამების წამყვანების უმეტესობა უგულებელყოფს მშობლიური (ქართული) ენისათვის ბუნებრივ წარმოთქმას. აშკარაა უცხო ენის (ინგლისურის) გავლენა. მცირერიცხოვანი ერებისათვის და განსაკუთრებით ქართველებისათვის რასაც მოასწავებს ამგვარი ტენდენციები, ვფიქრობთ, სრულიად ცხადია.

მეტყველების შთამბეჭდაობას ხელს უეყოფს მეტყველების აქცენტირება. აქცენტირების პროცესი ერთ უნივერსალურობას ემყარება: მახვილიანი მარცვლები მიზანმიმართულად გამოითქმის, ხოლო უმახვილოები ნარჩუნდება (არ იყლაპება);

თხრობითი წინადადება ტონის დაწევით (დაღმავალი ტონალობით) მთავრდება. ყოველ წინადადებას ტონის აწევის (ხმის აწევის) ერთი პიკი აქვს. მთავარი კი ის არის, რომ მახვილით გამოიყოფა არა მხოლოდ ერთი სიტყვა, არამედ მთლიანი აზრობრივი მონაკვეთი.

მეტყველების აქცენტირება, ანუ აქცენტების გადანაწილება, ფრაზეოლოგიური აქცენტუაცია, მეტყველების გამომსახველობის უზრუნველყოფის საშუალებაა.

როგორც ცნობილია, ტონის აწევა, ხმის აწევა, – გაძლიერება გამონათქვამის კონტექსტურ სემანტიკას ერთიანად ცვლის.

მაგალითად:

მე ქალაქს მივდივარ. გამოთქმა მიგვანიშნებს, რომ ქალაქში სწორედ მე მივდივარ და არა ვინმე სხვა;

მე ქალაქს მივიდვარ. აქ შემდეგი აზრია აქცენტირებული: მე ქალაქში მივდივარ და არა სხვაგან;

მე ქალაქს მივდივარ. ამ შემთხვევაში აქცენტირებულია ის გარემოება, რომ მე ქალაქში მივდივარ და არ მივფრინავ.

ვერბალური კომუნიკაციების დონეზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, რომ მეტყველების პროცესში რაიმე მომენტის გამოყოფა, გახაზვა, აქცენტირება სამგვარად არის შესაძლებელი:

ხმის აწევით;

ტონის (ხმის) გაძლიერებით;

სიტყვების გაწელვით (გაწელილად წარმოთქმით).

გამონათქვამის კონტექსტუალობას მეტყველების აქცენტურობა-ინტენციურობაა. მეტყველების შთამბეჭდაობისა თუ ზემოქმედების დონე და ხარისხი აზრობრივი და ემოციური დატვირთვის რაგვარობაა. ამიტომ თუ რაიმეს გამოყოფის საჭიროება არ არსებობს, მიზანშეწონილია ბუნებრივი (სასაუბრო) მეტყველების რიტმის შენარჩუნება. მეტყველებაში სუნთქვასთან დაკავშირებული არაერთი ნაკლოვანებაა დაფიქსირებული. ერთია გადაჭარბებულად მაღალი ტონალობა, რაც გამაღიზიანებლად მოქმედებს მსმენელზე, აბრკოლებს ვერბალიზებას, კომუნიკაციას, ამასთან აზიანებს სახმო ხიმებს.

ხელშემშლელია „დაგუბული ხმა", ანუ არაბუნებრივი ჟღერადობის ხმა, სუნთქვის გახშირების და კისრის კუნთების შეკუმშვის საფუძველზე მიღებული ხმა. მეტყველების ბუნებრივი ეფექტიანობის კარგვა სიტყვების ბოლო მარცვლების „ჩაყლაპვით".

განსაკუთრებით საზიანოა ატავისტური ბგერების გამოყენება (ჷ–ჷ, იჟ–იჟ, იმ–იმ,...)ამგვარი ბგერების თავიდან მოშორება ძნელია, მაგრამ აუცილებელია, რათა აღმოვფხვრათ მეტყველებაში ჯლოყინი.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ერთ-ერთი გზაა მათი გამომწვევი მიზეზების ცოდნა. ამ მიზეზთაგან ზოგი ვერბალურია, ზოგიც ფსიქოლოგიური. ზოგიერთი თავისი გამოვლენით ასეთია:

კომუნიკანტი მეტყველების პროცესში ვერ პოულობს (იხსენებს) საჭირო სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ „ენის წვერზე" ადგას. სიტყვისა, გამოთქმის ძებნა მეტყველების შეწყვეტას იწვევს. ეს გარემოება, თავის მხრივ, კომუნიკატორში მსმენელისადმი „დანაშაულის" განცდას ბადებს და ამიტომ ფიქრობს, რომ გაჩუმებას (დადუმებას) ისევ რაიმეს თქმა ჯობს. გამოსავლის ძიებაში მოიმარჯვებს ატავისტურ ბგერებს მეტყველებაში „ჩავარდნების" შესავსებად და ვერბალური ტექსტის კოჰეზიურობის უზრუნველსაყოფად. ამ ნაკლის აღმოფხვრის ეფექტური საშუალებაა საკუტარი მეტყველების კონტროლი აუდიოჩანაწერების რეპრეზენტაციებით.

მეტყველების ნაკლოვანებებს შორის ყურადღებას იქცევს ცხვირისმიერობა, ბაგეებიდან ნერწყვის ფრქვევა, ხველება, ენაბლუობა – „გამოთქმის სპაზმატიკური ნევროზულობა", ენაბორძიკობა (ენის დაბმულობა). ამ ნაკლოვანებების უმეტესობა მეთოდური ვარჯიშებით დაიძვრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ჟღენტი ს., ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიური სტრუქტურა, თბ., 1963;
თევდორაძე ნ., ტექსტის ლინგვისტიკა, თბ., 2010;
ლებანიძე გ., სიღრმეთა დიალოგი და „ტრაგიკული ტრიადა", თბ., 2006.

Функция дыхания в вербальных коммуникациях

Ив. Джагоднишвили
профессор ГТУ

Резюме

В статье рассматриваются особенности говорения, роли дыхания в произношении и коммуникативной четкости и ясности отдельных слов и высказиваний; анализируются вербальные явления, связанные с дыханием и препятствующие межличностным коммуникациям

Breathing function in verbal communications

Iv. Jagodnishvili
Professor of GTU

Summary

The article discusses the features of speaking, the role of breathing in pronunciation and communicative clarity and vividness in individual words and set expressions; there are analyzed verbal phenomena associated with the breathing and preventing interpersonal communications in the article.

საბუნებისმეტყველი დისციპლინები- Естествоведческие дисциплины – Science


სამგანზომილებიანი ფსევდოევკლიდური სივრცის სიგრძის მეტრიკის გეომეტრიული მოდელირების შესახებ ევკლიდურ სიბრტყეზე

თ. ბართაია
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
მედია-ხელოვნების ფაკულტეტის
სრული პროფესორი

როგორც ცნობილია [1], აინშტაინმა 1905წ. შექმნა ე.წ. ფარდობითობის სპეციალური თეორია, რომელშიც განიხილება ათვლის მხოლოდ ინერციული სისტემები. ერთი ინერციული სისტემიდან მეორეზე გადასვლა ხდება ლორენცის გარდაქმნის ფორმულებით [2]. ლორენცის გარდაქმნიდან გამოდის, რომ მოძრავი ღეროს სიგრძე ნაკლებია უძრავი ღეროს სიგრძეზე $\sqrt{1-\frac{v^2}{c^2}}$ - ჯერ, სადაც V მოძრავი ღეროს სიჩქარეა, ხოლო C სინათლის სიჩქარე. რაც უფრო იზრდება ღეროს სიჩქარე, მით უფრო კლებულობს მისი სიგრძე მოძრაობის მიმართულებით. საერთოდ, როგორც ცნობილია, სხეულის სიგრძე ფარდობითი სიდიდეა და არა აბსოლუტური, როგორც ამას კლასიკური ფიზიკა გულისხმობს. რაც უფრო უახლოვდება სხეულის სიჩქარე სინათლის სიჩქარეს, მით უფრო კლებულობს მისი სიგრძე მოძრაობის მიმართულებით. სხეულის სიგრძე მაქსიმალურია ისეთი ათვლის სისტემის მიმართ, რომელშიც სხეული უძრავია. თუ სხეულის სიჩქარე სინათლის სიჩქარეს გაუტოლდება, მაშინ მისი სიგრძე ნული უნდა გახდეს. მოძრაობის მომართულებით სხეულის სიგრძის შემოკლება მისი სიჩქარის ზრდასთან ერთად წარმოადგენს ფარდობითობის სპეციალური თეორიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს შედეგს, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია სიგრძის შემოკლების მოვლენის სახელწოდებით [2].

1908 წ. მინკოვსკიმ ფარდობითობის სპეციალური თეორიის კანონზომიერებები წარმოადგინა ოთხგანზომილებიანი ფსევდოევკლიდური გეომეტრიის საშუალებით, რითაც მან სივრცის სამი და დროის ერთი განზომილება გააერთიანა [3]. მინკოვსკი ელემენტარული ნაწილაკის მდებარეობას სივრცეში განიხილავს როგორც მოვლენას და ღებულობს გეომეტრიულ წერტილად. ასეთ წერტილებს იგი სამყაროულ წერტილებს უწოდებს, ხოლო მოძრავი სამყაროული წერტილების მიერ აღწერილ წირებს – სამყაროულ წირებს. ოთხგანზომილებიანი სამყარო ოთხგანზომილებიანი ფსევდოევკლიდური სივრცის გეომეტრიით არის ახსნილი, სადაც ყოველი წერტილი x, y, z, t ოთხი კოორდინატით არის განსაზღვრული. ამათგან x, y და z სივრცული კოორდინატებია, ხოლო t დროის კოორდინატი.

ნაშრომში განიხილება სიგრძის მეტრიკის გეომეტრიული მოდელირების საკითხი ფსევდოევკლიდური გეომეტრიის თვალსაზრისით.




სურ.1

მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილავთ მინკოვსკის გეომეტრიის სამგანზომილებიან (x, y, t) ვარიანტს, ე.ი. სამგანზომილებიან ფსევდოევკლიდურ სივრცეს. ევკლიდეს სივრცეში წრფეზე სიგრძის მეტრიკა ყველა მიმართულებით ერთნაირია, რომელსაც განსაზღვრავს ე.წ. სამაშტაბო სფერო [4], ხოლო სიბრტყეზე – სამაშტაბო K წრეწირი. (სურ. 1)

ევკლიდურისაგან განსხვავებით, სამგანზომილებიან ფსევდოევკლიდურ სივრცეში, როგორც ცნობილია [5], არსებობს სამი სახის სამაშტაბო სფერო. ნამდვილრადიუსიანი, წარმოსახვითრადიუსიანი და ნულოვანრადიუსიანი. ევკლიდური გეომეტრიის თვალსაზრისით, პირველი წარმოადგენს ცალკალთა ჰიპერბოლოიდს, მეორე – ორკალთა ჰიპერბოლოიდს, ხოლო მესამე – წრიულ კონუსს. ეს უკანასკნელი პირველი ორის ასიმპტოტური კონუსია და ამიტომ კონსტრუქციულად არის მათთან დაკავშირებული.

ფსევდოევკლიდურ სივრცეში ასიმპტოტური კონუსი იზოტროპული კონუსია, მისი მსახველები იზოტროპული წრფეებია [6]. ფარდობითობის სპეციალურ თეორიაში იზოტროპულ კონუსს სინათლის კონუსს უწოდებენ იმის გამო, რომ მისი მსახველები სინათლის სამყაროულ წრფეებს წარმოადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ სინათლის კონუსი სწორედ მინკოვსკის სამყაროს სამგანზომილებიან ვარიანტს შეესაბამება, ვინაიდან მინკოვსკის ოთხგანზომილებიანი სამყაროს შესაბამისი სინათლის ჰიპერკონუსი უნდა იყოს. დაკვირვებადი სამყარო მოთავსებულია სინათლის კონუსის შიგა არეში. მხოლოდ აქ მიმდინარე მოვლენები უკავშირდება ერთმანეთს მიზეზ-შედეგობრივი პრინციპით [6]. ასეთი სინათლის კონუსი სივრცის ნებისმიერ წერტილს გააჩნია.

სინათლის კონუსი, ამ კონუსის წვეროში მყოფი დამკვირვებლისათვის განსაზღვრავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ცნობილია, რომ იგი წარმოადგენს განსაკუთრებით სასარგებლო საშუალებას ფიზიკური მოვლენების კვლევის საქმეში.



სურ. 2

სინათლის კონუსის წვეროზე მის შიგნით გამავალი ყველა წრფე ფსევდოევკლიდურია. მათთვის სამაშტაბო სფეროს ორკალთა ჰიპერბოლოიდი წარმოადგენს. ასევე სინათლის კონუსის წვეროზე გამავალი და მისი მკვეთი ყოველი სიბრტყე ფსევდოევკლიდურია. სინათლის კონუსის წვეროზე გამავალ ისეთ სიბრტყეებზე, რომლებიც სინათლის კონუსს არ ჰკვეთენ, გეომეტრია ევკლიდურია. ერთერთი ასეთი სიბრტყეა xoy. (სურ. 2).


როდესაც ფიზიკური სივრცის ორი წერტილი ერთმანეთისაგან ძალიან დიდი მანძილით არის დაშორებული, მაშინ მათ შორის მანძილის განსასაზღვრავად სინათლის სიგნალით სარგებლობენ.

განვიხილოთ ორი მოვლენა: პირველი მოვლენა მდგომარეობს იმაში, რომ რომელიღაც ინერციული სისტემის სათავიდან მოხდა სინათლის გამოსხივება; მეორე მოვლენა მდგომარეობს იმაში, რომ ამ სხივმა მიაღწია M (x, y, t) სამყაროულ წერტილს. თუ სივრცულ მანძილს l-ით აღვნიშნავთ, მაშინ ამ ორ მოვლენას შორის ინტერვალი იქნება: $d^2=c^2t^2-l^2$ როგორც ცნობილია [2], მოვლენათა შორის ინტერვალი ინვარიანტული სიდიდეა და არ არის დამოკიდებული კოორდინატთა ინერციული სისტემის არჩევაზე. იგი რელატიურ მექანიკაში იმავე როლს თამაშობს, რასაც კლასიკურ მექანიკაში ორ წერტილს შორის მანძილი; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ინტერვალი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი და ნულის ტოლიც [7]. პირველ შემთხვევაში ინტერვალს ეწოდება დროისმაგვარი, მეორე შემთხვევაში სივრცისმაგვარი, ხოლო მესამე შემთხვევაში – ნულოვანი. უფრო მარტივი გრაფიკული კონსტრუქციის მისაღებად მიზანშეწონილია საზომ ერთეულთა სისტემა ისე ავირჩიოთ, რომ სინათლის სიჩქარე იყოს ერთეულის ტოლი. ამისათვის დროის ერთეულად მივიღოთ ერთი სეკუნდი, ხოლო სიგრძის ერთეულად 300000კმ. დროის ღერძზე t-ს ნაცვლად ct ნამრავლი გადავზომოთ. ვინაიდან ამ ნამრავლს სიგრძის განზომილება აქვს, ამიტომ მისი გადაზომვა უფრო მოხერხებულია. ასეთ შემთხვევაში ინტერვალს ექნება შემდეგი სახე: $d^2=t^2 - l^2$. ეს ჰიპერბოლის განტოლებაა და ფსევდოევკლიდურ სიბრტყეზე სამაშტაბო წრეწირს განსაზღვრავს.

რადგანაც, ფარდობითობის სპეციალური თეორიის თანახმად, ნაწილაკის სიჩქარე არ შეიძლება სინათლის სიჩქარეზე მეტი იყოს, ამიტომ არცერთი სამყაროული წირის დახრა დროის ღერძთან არ შეიძლება იყოს 45°-ზე მეტი. დროის ღერძთან 45°-ით დახრილი წრფეები სინათლის სამყაროულ წრფეებს წარმოადგენენ.

ახლა შევადაროთ ერთმანეთს სიგრძის მეტრიკა ევკლიდური და ფსევდოევკლიდური გეომეტრიების თვალსაზრისით. ამისათვის ევკლიდური სამაშტაბო სფერო ფსევდოევკლიდურ სამაშტაბო სფეროში /ორკალთა ჰიპერბოლოიდში/ ჰომოლოგიურად გარდავქმნათ. ცნობილია [8], რომ ჰომოლოგიის ცენტრისა და სიბრტყის არჩევის მიხედვით, სფერო ნებისმიერ II რიგის არაწრფივან ზედაპირზე შეიძლება აისახოს. ორკალთა ჰიპერბოლოიდზე ასასახავად ჰომოლოგიის ცენტრად მივიღოთ სფეროს ნებისმიერი S წერტილი, ხოლო ჰომოლოგიის სიბრტყედ ამ წერტილის დიამეტრალურად მოპირდაპირე P წერტილზე სფეროსადმი მხებად გატარებული β სიბრტყე (სურ. 3). ვინაიდან ჰომოლოგიის ცენტრი და სიბრტყე ჰომოლოგიური გარდაქმნის ორმაგი ელემენტებია, ამიტომ ორკალთა ჰიპერბოლოიდი S და P წერტილებზე გაივლის.

განვიხილოთ დროის ღერძზე გამავალი ნებისმიერი α სიბრტყე (სურ. 3). ეს სიბრტყე ევკლიდურ სამაშტაბო სფეროს K' ევკლიდურ სამაშტაბო წრეწირზე გადაჰკვეთს, ხოლო ფსევდოევკლიდურ სამაშტაბო სფეროს – ფსევდოევკლიდურ K'' სამაშტაბო წრეწირზე (ჰიპერბოლაზე) (სურ. 2). ცხადია, K' და K'' სამაშტაბო წრეწირები სიბრტყითი ჰომოლოგიით იქნებიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.



სურ. 3

განვიხილოთ ევკლიდური გეომეტრიის თვალსაზრისით ტოლი სამი მონაკვეთი OL, ON და OM, რომელთაგან პირველი უძრავია, მეორე მოძრაობს გარკვეული V სიჩქარით, ხოლო მესამე – სინათლის სიჩქარით. OL მონაკვეთის სამყაროული წირი დროის ღერძს ემთხვევა. ON მონაკვეთის სამყაროული წირი ამ მონაკვეთით განსაზღვრული წრფეა. OM მონაკვეთის სამყაროული წირი კი სინათლის წრფეა. ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ უძრავი OL მონაკვეთის ევკლიდური და ფსევდოევკლიდური სიგრძეები ტოლია, ვინაიდან ტოლია სამაშტაბო ერთეულები. რაც შეეხება მოძრავი ON მონაკვეთის ფსევდოევკლიდურ სიგრძეს, იგი მონაკვეთის სიჩქარის ზრდასთან ერთად კლებულობს, ვინაიდან ევკლიდური გეომეტრიის თვალსაზრისით იზრდება სამაშტაბო ერთეულის სიგრძე. მაგალითად, სინათლის სიჩქარით მოძრავი OM მონაკვეთის ფსევდოევკლიდური სიგრძე ნულია, რადგან სამაშტაბო ერთეული ამ შემთხვევაში უსასრულოდ დიდია. ის სიჩქარეები, რომლებსაც კლასიკური მექანიკა განიხილავს, გაცილებით უფრო მცირეა სინათლის სიჩქარესთან შედარებით. მაგალითად, დედამიწის სიჩქარე მზის ირგვლივ მოძრაობის დროს, როგორც ცნობილია 30კმ/სეკ-ის ტოლია, რაც დედამიწის პირობებში ძალიან დიდ სიჩქარედ ითვლება. ასეთი სიჩქარით მოძრავი სხეულის სამყაროული წირი დროის ღერძთან 0°5'-იან კუთხეს ადგენს და ამიტომ განსხვავება ევკლიდურ და ფსევდოევკლიდურ მაშტაბებს შორის ძალიან მცირეა და მხედველობაში არ მიიღება.

ახლა სიგრძის შემოკლების მოვლენა განვიხილოთ ფსევდოევკლიდური სივრცის ევკლიდურ xoy სიბრტყეზე მოდელირების თვალსაზრისით. ნაშრომში [9], ავტორმა უჩვენა, რომ ფარდობითობის სპეციალური თეორიის მათემატიკური აპარატი უშუალოდ არის დაკავშირებული გეომეტრიული მოდელირების მეთოდებთან. კონსტრუქციული კავშირი სივრცესა და სიბრტყეს შორის გეომეტრიულ მოდელირებაში, როგორც ცნობილია, შეიძლება დამყარდეს დაგეგმილებისა და კვეთის ოპერაციების თვალსაზრისით. თანამედროვე გეომეტრიული მოდელირება დაგეგმილებას ფართო გაგებით გულისხმობს [10]. დაგეგმილების ცენტრალურ ელემენტად, საერთოდ, შეიძლება მივიღოთ დასაგეგმილებელი სივრცის ნებისმიერი ქვესივრცე. ჩვენ ასეთ ელემენტად ვღებულობთ სინათლის კონუსის არასაკუთრივ წრეწირს, ხოლო გეგმილთა სიბრტყედ სინათლის კონუსის წვეროზე დროის ღერძის მართობულად გამავალ xoy სიბრტყეს (სურ. 3).

ანასახი უნდა აკმაყოფილებდეს სამ მთავარ მოთხოვნას: 1) უძრავი მონაკვეთის ანასახის სიგრძე მაქსიმალური უნდა იყოს. 2) მოძ-

რავი მონაკვეთის ანასახის სიგრძე მონაკვეთის სიჩქარის ზრდასთან ერთად უნდა კლებულობდეს. 3) სინათლის სიჩქარით მოძრავი მონაკვეთის ანასახის სიგრძე ნულის ტოლი უნდა იყოს. III მოთხოვნიდან გამომდინარე, სინათლის კონუსის ზედაპირი მთლიანად წერტილად უნდა აისახოს, რასაც ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ზედაპირს სინათლის კონუსის არასაკუთრივი წრეწირის წერტილებიდან დავაგეგმილებთ.

სამგანზომილებიან ფსევდოევკლიდურ სივრცეში თანაბარი სიჩქარით მოძრავი N წერტილი დროის ღერძთან ერთად ფსევდოევკლიდურ α სიბრტყეს განსაზღვრავს, რომელიც სინათლის კონუსთან ყოველთვის ორ OE და OF სინათლის წრფეზე გადაიკვეთება (სურ. 2). N სამყაროული წერტილისათვის დაგეგმილების მიმართულებად ვღებულობთ სინათლის იმ წრფეს, რომელთანაც N წერტილის სამყაროული წრფე მცირე კუთხეს ადგენს, ვინაიდან ON მონაკვეთის სიჩქარის ზრდასთან ერთად ეს კუთხე მცირდება და ამის გამო ანასახი მოკლდება. ასევე, დაგეგმილების ცენტრს ყოველი სამყაროული წერტილისათვის ამ წერტილის შესაბამისი სინათლის წრფის არასაკუთრივი წერტილი წარმოადგენს. ასეთი არასაკუთრივი წერტილების მთელი სიმრავლე სინათლის კონუსის არასაკუთრივი წრეწირია, რომელიც ჩვენ დაგეგმილების ცენტრალურ ელემენტად მივიღეთ. დაგეგმილება კონსტრუქციულად შემდეგნაირად შეიძლება განვახორციელოთ (სურ. 2).


Π_1 გეგმილთა სიბრტყის პარალელური ნებისმიერი β სიბრტყე სინათლის კონუსს რომელიღაც K წრეწირზე გადაჰკვეთს. დროის ღერძისა და გასაზომი ON მონაკვეთის სამყაროული წრფის β სიბრტყესთან გადაკვეთის A და B წერტილებით განსაზღვრული წრფე K წრეწირს E და F წერტილებში გადაჰკვეთს. ჩვენს შემთხვევაში OF წრფე წარმოადგენს α სიბრტყისა და სინათლის კონუსის გადაკვეთის სინათლის იმ წრფეს, რომელიც განსაზღვრავს Π_1 სიბრტყეზე N სამყაროული წერტილის დაგეგმილების მიმართულებას. ამრიგად, სამგანზომილებიან ფსევდოევკლიდურ სიბრტყეში აღებული ყოველი სამყაროული წერტილის დაგეგმილების მიმართულებას შესაბამისი სინათლის წრფე განსაზღვრავს. ასეთი წესით დაგეგმილება, ცხადია, სინათლის კონუსის მთელ ზედაპირს Π_1 სიბრტყეზე წერტილად ასახავს, რაც იმას ამტკიცებს, რომ სინათლის სიჩქარით მოძრავი მონაკვეთების სიგრძეები ანასახის მიხედვით ნულის ტოლი იქნება. ამიტომ, მესამე მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ვინაიდან სინათლის წრფეები Π_1 გეგმილთა სიბრტყესთან 45°-იანი კუთხითაა დახრილი, ცხადია, რომ უძრავი OL მონაკვეთი ყველა შემთხვევაში ევკლიდურად თავის ტოლ OL'_1 მონაკვეთზე დაგეგმილდება, მიუხედავად იმისა, თუ დაგეგმილების მიმართულებად რომელ სინათლის წრფეს მივიღებთ. ამიტომ ანასახშიც მონაკვეთის სიგრძე მაქსიმალური იქნება. ე.ი. პირველი მოთხოვნაც დაკმაყოფილებულია. ფსევდოევკლიდურ სივრცეში მოძრავი ON მონაკვეთი აფინურად მის ტოლ ON'_1 მონაკვეთზე აისახება. ეს უკანასკნელი ON მონაკვეთის საზომი ერთეულის ანასახით უნდა გაიზომოს. ON მონაკვეთის სიჩქარის ზრდასთან ერთად, ევკლიდური გეომეტრიის თვალსაზრისით იზრდება ამ მონაკვეთის საზომი ერთეული. მოდელირების თვალსაზრისით კი საზომი ერთეულიც შემცირებას განიცდის. ანრი პუანკარეს

ცნობილი აზრითი ექსპერიმენტის მიხედვით [11], მთელ სამყაროში ყველაფერი ნებისმიერჯერ რომ გაიზარდოს ან შემცირდეს პროპორციულად, ჩვენთვის ეს შეუმჩნეველი დარჩება იმის გამო, რომ შესაბამისად გაიზრდება ან შემცირდება საზომი ერთეულებიც. ამიტომ ორი ასეთი სამყარო ექვივალენტურია. ON და ON'_1 მონაკვეთებიც ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით ექვივალენტურია, რასაც მონაკვეთების აფინურად ტოლობა უდევს საფუძვლად. (სურ. 2)

ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ რაც უფრო გაიზრდება ON მონაკვეთის სიჩქარე, მით უფრო შემცირდება მისი ON'_1 ანასახის სიგრძე. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე მოთხოვნაც დაკმაყოფილებულია.

ახლა სიგრძის შემოკლების მოვლენა განვიხილოთ მონჟის ეპიურის თვალსაზრისით. Π_1 სიბრტყე მივიღოთ ჰორიზონტალურ გეგმილთა სიბრტყედ, ხოლო დროის ღერძზე გამავალი α ფსევდოევკლიდური სიბრტყე Π_2 ფრონტალურ გეგმილთა სიბრტყედ (სურ. 4). OL, ON და OM მონაკვეთები ეპიურის მიხედვით Π_2 სიბრტყეზე მდებარეობენ და თავისი გეგმილებით (O_1L_1, O_2L_2), (O_1N_1, O_2N_2), (O_1M_1, O_2M_2) აისახებიან. ასაზომი მონაკვეთით და დროის ღერძით განსაზღვრული α სიბრტყე ყოველთვის ჰორიზონტალურად მაგეგმილებელი იქნება. ეს სიბრტყე სინათლის კონუსს სინათლის ორ წრფეზე გადაჰკვეთს, რომელთაგან (O_1F_1, O_2F_2) დაგეგმილების მიმართულებას განსაზღვრავს. ჩვენ შემთხვევაში OL, ON და OM მონაკვეთები x წრფეში (გეგმილთა ღერძი) აისახება. პირ-ველი - ევკლიდურად მის ტოლ OL'_1 მონაკვეთზე. მეორე აფინურად – მის ტოლ ON'_1 მონაკვეთზე. ხოლო მესამე - M'_1 წერტილზე. ეპიურიდან ნათლად ჩანს, რომ, რაც უფრო იზრდება OM მინაკვეთის სიჩქარე, მით უფრო N'_1 წერტილი O წერტილს უახლოვდება. ხოლო სინათლის სიჩქარით მოძრავი OM მონაკვეთის შემთხვევაში ანასახი მას ემთხვევა. ცხადია, ასევე იქნება ნებისმიერი სხვა ct ღერძზე გამავალი ფსევდოევკლიდურ სიბრტყეში მდებარე მონაკვეთებისათვის.



სურ.4

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, რომელსაც ადგილი აქვს სამგანზომილებიანი ფსევდოევკლიდური სივრცის მოდელირებისას, შეიძლება განვაზოგადოთ ოთხგანზომილებიანი ფსევდოევკლიდური სივრცის მოდელირებაზე.

ლიტერატურა

1. Эйнштейн А. - К электродинамике движущихся тел. Собрание научных трудов. Т. ლ, М. 1965, стр.7.
2. მირიანაშვილი მ. ავალიანი ს. - ალბერტ აინშტაინი, თბილისი, 1972, გვ. 161.
3. Мшиковский Г. – Пространство и время, УФН 1959, стр.69.
4. ვაჩნაძე გ. - მხაზველობითი გეომეტრიის კურსი, თბილისი 1979. გვ. 248.

5. Энциклопедия элементарной математики. Геометрия Т .V,М. 1966,стр.4.
6. Юкава Х. – Лекции по физике, М. 1981,стр. 50.
7. Эйнштейн А. – Пространство-время. Собрание научных трудов. Т. ლლ, М. 1966, стр. 240.
8. Джапаридзе И. – Об одном отображении элементов пространственного поля-ритета на плоскость. Труды московского научно-методического семинара по начертательной геометрии и инженерной графике. Выпуск второй, М. 1963, стр. 52.
9. Вальков К. – Некоторые задачи геометрического моделирования, ЛИСИ. Вопросы геометрического моделирования. Л, 1965,стр. 21.
10. Джапаридзе И. – Начертательная геометрия в свете геометрического моделирования. Издательство «Ганатлеба», Тбилиси – 1983,стр. 8.
11. Пуанкаре А. – Ценность науки. В книге о науке. М. 1983, стр. 182.

სამგანზომილებიანი ფსევდოევკლიდური სივრცის სიგრძის მეტრიკის გეომეტრიული მოდელირების შესახებ ევკლიდურ სიბრტყეზე

ნაშრომში განიხილება სიგრძის მეტრიკის გეომეტრიული მოდელირების საკითხი ევკლიდური და ფსევდოევკლიდური გეომეტრიების თვალსაზრისით. სივრცის ჰომოლოგიური გარდაქმნით დადგენილია კონსტრუქციული კავშირი ზემოთ აღნიშნულ მეტრიკებს შორის. ფარდობითობის სპეციალური თეორიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ე.წ. სიგრძის შემოკლების მოვლენა ახსნილია სამგანზომილებიანი ფსევდოევკლიდური სივრცის ევკლიდურ სიბრტყეზე მოდელირების თვალსაზრისით. მოდელირება განხილულია აგრეთვე მონჟის ეპიურის საშუალებით.

Моделирование метрики длины трехмерного псевдоевклидово пространства на эвклидовой плоскости

Тамаз Бартаия
профессор факультета медии-искусств
Тбилисской Государственной Академий Художеств

В работе рассматривается вопрос геометрического моделирования метрики длины в евклидовой и псевдоевклидовой геометриях. Гомологическим преобразованием пространства установлена конструктивная связь между этими метриками. Одно из важнейших следствии специальной теории относительности – т.н. явление сокращения длины объяснено с точки зрения моделирования на плоскость трехмерного псевдоевклидово пространства. Моделирование рассмотрено также на эпюре Монжа.

About geometric modeling of metric length of the tree-dimensional pseudo-Euclidean space on the Euclidean plane

Tamaz Bartaia,
PHD, Full professor at the Faculty of Media Arts,
Tbilisi State Academy of Art

In this work there's presented an issue of geometric modeling of the metric length from the view of the Euclidean and pseudo- Euclidean geometry. The constructional relation between the above noted metrics is figured out by the homological transformation of the space. One of the most significant outcomes of the special theory of Relativity, the so named phenomenon of the length shortening is explained from the view of modeling of the tree-dimensional pseudo-Euclidean space on the Euclidean plane. The modeling is also considered by applying the Monge Epure.

სისტემური პლატის ორჩიპიანი არქიტექტურა

ა.ბენაშვილი, გ.ბენაშვილი
სტუ, კოსტავას 77

სისტემური პლატა კომპიუტერის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მას უკავშირდება კომპიუტერის როგორც შიგა, ასევე გარე მოწყობილობები. სისტემური პლატის მახასიათებლები განსაზღვრავს კომპიუტერის შესაძლებლობებს და უპირველეს ყოვლისა, კომპიუტერის წარმადობას.

თანამედროვე სისტემური პლატების წარმოდგენა შეუძლებელია სისტემური ლოგიკის მიკროსქემების გარეშე. მიკროსქემების კრებული განსაზღვრავს სისტემური პლატის ფუნქციურობას და მის შესაძლებლობებს.

სისტემური ლოგიკის მიკროსქემათა კრებული მოიცავს პროცესორის ინტერფეისს (Front Side Bus – FSB), მეხსიერების კონტროლერს, სალტის კონტროლერს, შეტანა-გამოტანის კონტროლერებს, სისტემურ და პერიფერიულ ინტერფეისებს და ა.შ. სისტემური პლატის მიკროსქემათა კრებულში გაერთიანებულია სისტემური პლატის ყველა სქემა. სისტემური პლატის გარეშე პროცესორი ვერ დაუკავშირდება მეხსიერებას, პლატა-ადაპტერებს და სხვა მოწყობილობებს [1].

სისტემური ლოგიკის მიკროსქემათა კრებული მართავს ინტერფეისებს, ანუ პროცესორის სხვა მოწყობილობებთან კავშირებს. იგი განსაზღვრავს გამოყენებული პროცესორის ტიპს და სწრაფქმედებას, სალტეების სამუშაო სიხშირეს, მეხსიერების სწრაფქმედებას, ტიპს და მოცულობას [2].

თანამედროვე მიკროსქემათა კრებულები კონცენტრატორულ არქიტექტურას - Hub არქიტექტურას ეფუძნება. სტანდარული „ჩრდილოეთი/სამხრეთი ხიდი“ არქიტექტურის ნაცვლად, რომელშიც ჩიპსეტის კომპონენტებს შორის კავშირი PCI სალტის საშუალებით სრულდებოდა [3], Hub არქიტექტურაში მიკროსქემებს შორის კავშირი კონცენტრატორის გამოყოფილი ინტერფეისის საშუალებით სრულდება, რომლის სწრაფქმედება ორჯერ აღემატება PCI სალტის სწრაფქმედებას. Hub არქიტექტურას ტრადიციულ „ჩრდილოეთი/სამხრეთი ხიდი“ არქიტექტურასთან შედარებით შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

- **გაზრდილი გამტარუნარიანობა.** 8xx მიკროსქემათა კრებულში გამოყენებული AHA (Accelerated Hub Architecture) ინტერფეისის გამტარუნარიანობა ორჯერ აღემატება PCI სალტის გამტარუნარიანობას. 3xx და 9xx მიკროსქემათა კრებულში გამოიყენება კიდევ უფრო სწრაფი DMI (Direct Media Interface) არქიტექტურა, რომელიც PCI სალტესთან შედარებით 7,5-14-ჯერ უფრო სწრაფია.
- **შემცირებული დატვირთვა PCI სალტეზე.** Hub ინტერფეისი PCI სალტისგან დამოუკიდებელია. იგი არ მონაწილეობს PCI სალტის რესურსების გადანაწილებაში. ამრიგად მნიშვნელოვნად იზრდება PCI სალტესთან დაკავშირებული მოწყობილობების ეფექტურობა, განსაკუთრებით ჯგუფური ოპერაციების შესრულების დროს.

- **სამონტაჟო სქემის შემცირება.** PCI სალტესთან შედარებით მინიმუმ გაორმაგებული გამტარუნარიანობის მიუხედავად, სტანდარტული Hub ინტერფეისის სიგანე 8 თანრიგია და სისტემურ პლატასთან შეერთებისთვის იყენებს მხოლოდ 15 სიგნალს. PCI სალტეს იგივე ოპერაციის შესასრულებლად მინიმუმ 64 სიგნალს საჭიროებს, რაც ხელს უწყობს ელექტრომაგნიტური შეფერხებების გენერაციას, აუარესებს სიგნალს, წარმოქმნის "ხმაურს", რაც საბოლოო ჯამში ზრდის სისტემური პლატების ღირებულებას.

კონცენტრატორის ინტერფეისის ორი ძირითადი ვარიანტი არსებობს [4]:

- **AHA (Accelerated Hub Architecture).** 8-თანრიგა 4x არქიტექტურის ინტერფეისი, რომელიც 66 მჰც სიხშირეზე მუშაობს და 266 მბაიტი/წმ გამტარუნარიანობა გააჩნია, რაც PCI სალტის გამტარუნარიანობას ორჯერ აღემატება.
- **DMI (Direct Media Interface).** დამოუკიდებელი 4-თანრიგა ინტერფეისი, 4 გბაიტი/წმ სიჩქარით, რაც 7,5-14-ჯერ აღემატებს PCI სალტის გამტარუნარიანობას.

სისტემურ პლატას აგრეთვე გააჩნია სალტე Low Pin Count (LPC), რომელიც PCI სალტის ოთხთანრიგა ვერსიაა. LPC სალტის საშუალებით ჩიპსეტს უკავშირდება ROM BIOS მიკროსქემა. მონაცემების, მისამართების და ბრძანებების ოთხ სიგნალთან ერთად სალტე ცხრა დამატებით სიგნალს საჭიროებს, რაც მთლიანობაში 13 სიგნალს სეადგენს. LPC სალტემ ჩაანაცვლა ძველი მოდელის სისტემურ პლატებში გამოყენებული ISA სალტე, რომლის სიგნალების რაოდენობა 98-ს აღწევდა. LPC სალტის გამტარუნარიანობა 16,67 მბ/წმ-ს შეადგენს, რაც დაახლოებით უტოლდება ISA სალტის პარამეტრებს და სრულიად საკმარისია ROM BIOS მიკროსქემის მხარდაჭერისთვის.

კომპიუტერების განვითარების ადრეულ ეტაპებზე უპირატესობა პარალელურ სინქრონულ სალტეებს ენიჭებოდათ, რომელთა გამტარუნარიანობის ზრდა ძირითადად სალტის თანრიგიანობის და სამუშაო სიშირის მომატებით მიიღწეოდა. თუმცა რაღაც ეტაპზე პარალელური სინქრონული ინტერფეისების სწრაფქმედების შემდგომი ზრდა პრობლემატური აღმოჩნდა [5]. ეს რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული:


- პარალელურ ინტერფეისებს ახასიათებთ გადაცემული სიგნალების ფაზური ძვრა. ამიტომ პარალელური ინტერფეისის სიგრძე და სამუშაო სიხშირე ყოველთვის შეზღუდულია;
- მაღალ სიხშირეებზე მუშაობის დროს პარალელურ ინტერფეისებში მკვეთრად იზრდება შეფერხებების რაოდენობა,
- მაღალ სიხშირეებზე მუშაობის დროს პარალელურ ინტერფეისებს დიდი ელექტრომაგნიტური გამოსხივება ახასიათებთ.
- პარალელურ ინტერფეისებში გამოყენებული მაღალი ძაბვის სიგნალების მიღება თანამედროვე, მაღალ სიხშირეებზე მომუშავე მიკროსქემების გამოსასვლელებიდან გართულებულია.

სწორედ ამ ფაქტორებმა გახადა შეუძლებელი უნივერსალური პარალელური სინქრონული PCI სალტის შემდგომი განვითარება, რომელიც ითავსებდა სისტემური და პერიფერიული ინტერფეისების ფუნქციას. ამჟამად მას მხოლოდ

პერიფერიული ინტერფეისის ფუნქცია აკისრია, ხოლო სისტემური სალტის ფუნქციებს ინაწილებენ Hub და LPC ინტერფეისები. ბუნებრივია, სხვადასხვა ტიპის რამდენიმე სალტის არსებობამ გაართულა სისტემური პლატის მუშაობის ლოგიკა.

ინტერფეისების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სალტეების გამტარუნარიანობისადმი სულ უფრო მზარდმა მოთხოვნებმა პარალელური სალტეების მიმდევრობითი სალტეებით თანდათანობითი ჩანაცვლების ტენდენცია. პარალელური სალტეებისგან განსხვავებით, თანამედროვე მიმდევრობითი სალტეები მონაცემთა გადაცემისთვის გამტარების დიფერენციალურ წყვილებს იყენებენ. მათი სამუშაო სიხშირე განუწყვეტლივ იზრდება და მომავალში 10 გჰც-ს მიაღწევს.

სურ. 1-ზე წარმოდგენილია სისტემური პლატის ორჩიპიანი არქიტექტურა. სისტემური სალტის (Internal Bus) სახით მიმდევრობითი მრავალარხიანი სალტის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია მისთვის პერიფერიული ინტერფეისის ფუნქციის დაკისრებაც. მაგალითად 32-არხიანი PCI Express სალტის მაქსიმალური გამტარუნარიანობა 32 გბ/წმ-ია [6], რაც მნიშვნელოვნად აღემატება როგორც Hub, ასევე პარალელური PCI სალტის გამტარუნარიანობას.



სურ.1 სისტემური პლატის ორჩიპიანი არქიტექტურა

1-ელ ცხრილში წარმოდგენილია PCI Express, AHA, DMI, PCI სალტის მახასიათებლები.

ცხრილი 1

სალტეების მახასიათებლები

სალტე	ბიტი	გამტარუნარიანობა მბ/წმ
PCI	32-64	266-4266
AHA	8-16	266-1066
DMI	1 (4 Channels	1000-4000
PCI Express	1 (32 channels)	8000-32000

ამრიგად, უნივერსალური სისტემური სალტის სახით მიმდევრობითი 32-არხიანი PCI Express სალტის გამოყენება ამარტივებს ორჩიპიანი სისტემური პლატის არქიტექტურას და ზრდის მის სწრაფქმედებას.

ლიტერატურა

1. Peter Norton. Introduction To Computers 6th edition. 2008.
2. A. Tanenbaum. Structured Computer Otganization. Fifth Editiom. 2007
3. Tom Shanley, Don Anderson. PCI System Architecture. Fourth Edition. 1999
4. Scott Mueller. Upgrading and Repairing PCs 20th Edition 2012
5. ა. ბენაშვილი. პერსონალური კომპიუტერის არქიტექტურა. თბ. „საქართველოს უნივერსიტეტი“. მე-2 გამოცემა. I ნაწილი. 2011 – 313 გვ.
6. Ravy Budruk, Don Anderson, Tom Shanley. PCI Express System Architecture. Fourth Edition. 2008.

Двухчиповая архитектура системной платы

А.Бенашвили, Г.Бенашвили
ГТУ, Тбилиси, ул. Костава 77

В статье рассмотрена двухчиповая архитектура системной платы. Предложена модернизация системной шины в соответствии с современными тенденциями в области развития интерфеисов. В частности, реализовано асинхронное последовательное соединение между чипами, что резко увеличивант быстродействие системной платы.

Two-chip architecture of a system board

A.Benashvili, G. Benashvili
GTU, Tbilisi, Kostava St. 77

The article considers the two-chip design of system board. It offers modernization of system bus according to modern trends and fields of development of interfaces. Particularly, asynchronous serial connection is realized between chips, which significantly increases the speed of system board.

თხევადკრისტალური მონიტორის ინტერფეისი

გ. ბენაშვილი
სტუ, თბილისი, კოსტავას 77

მონიტორი ინფორმაციის ვიზუალური გამოსახვის საშუალებაა. სიგნალები, რომელსაც იღებს მონიტორი (რიცხვები, სიმბოლოები, გრაფიკული ინფორმაცია, სინქრონიზაციის სიგნალები), ვიდეოკონტროლერის მიერ ფორმირდება. ამრიგად, მონიტორი და ვიდეოკონტროლერი ერთგვარ ტანდემს წარმოადგენს, რომელიც ოპტიმალური მუშაობისთვის შესაბამისად უნდა დარეგულირდეს [1].

კომპიუტერების განვითარებასთან ერთად ვიდეოსტანდარტებიც ვითარდებოდა. წლების განმავლობაში შეიქმნა რამდენიმე ვიდეოინტერფეისი. მათ შორის ზოგიერთი ანალოგური იყო, ხოლო სხვები – ციფრული. ძველ პერსონალურ კომპიუტერებში (80-იან წლებში) გამოიყენებოდა Monochrome Display Adapter (MDA), Enhanced Graphics Adapter (EGA), Hercules Graphics Card (HCG) ვიდეოადაპტერები და შესაბამისი ვიდეოინტერფეისები. ყოველი მათგანი ციფრულ ინტერფეისს წარმოადგენდა [2].


მოძველებული ციფრული ვიდეოინტერფეისებისგან განსხვავებით, შედარებით თანამედროვე და პერსონალურ კომპიუტერებში ამჟამად ფართოდ გავრცელებული VGA სტანდარტი ანალოგურია. როგორც ვხედავთ, ინდუსტრიამ ციფრული ინტერფეისებიდან ანალოგურ ინტერფეისებზე გადაინაცვლა, რაც შემდეგი მიზეზითაა განპირობებული: ანალოგური ინტერფეისი მაქსიმალურად იაფია და ელექტრონულ სხივურ მილაკიან (Cathode Ray Tube, CRT) მონიტორებზე საკმაოდ მაღალ გარჩევისუნარიანობას (რეზოლუციას) უზრუნველყოფს ფერების საკმაოდ დიდი არჩევანით.

ამჟამად განუწყვეტლივ ვითარდება ციფრული ტექნოლოგიები, CRT მონიტორები თხევადკრისტალურმა (Liquid crystal display, LCD) მონიტორებმა ჩაანაცვლა.

ნებისმიერი LCD მონიტორის ტოპოლოგიას ქმნის სტრიქონების და სვეტების ელექტროდებისგან შედგენილი მატრიცა [3]. ამასთანავე, გამოსახულების თითოეული ელემენტი სტრიქონისა და სვეტის კვეთის ადგილზე მდებარეობს (სურ. 1). სტრიქონების რაოდენობა ყოველთვის ნაკლებია სვეტების რაოდენობაზე. გამოსახულების შესაბამისი წერტილის (პიქსელის) ჩართვის მიზნით აუცილებელია სვეტის შერჩევა და იმ სტრიქონის მითითება, რომელზეც მდებარეობს აღნიშნული წერტილი. ამის შემდეგ გამოსახულების შესაბამის ელემენტს მიეწოდება გარკვეული, მმართველი ძაბვა. სტრიქონების და სვეტების არჩევა ტრანზისტორების მეშვეობით ხდება. ტრანზისტორები ქმნიან ე.წ. სტრიქონების და სვეტების დრაივერებს. ცხადია, სვეტების დრაივერებში გამოყენებული ტრანზისტორების რაოდენობა აუცილებელია შეესაბამებოდეს სვეტების რაოდენობას და ასევე ხდება სტრიქონების შემთხვევაში.

მაგალითად, თუ ფერად LCD მონიტორს აქვს 1024X768 გარჩევადობა, მაშინ ის აერთიანებს 1024 სვეტს და 768 სტრიქონს. ამავდროულად, რადგან მონიტორი ფერადია, მისი თითოეული ელემენტი (პიქსელი) დამატებით სამი ელემენტისგან (სუბპიქსელისგან) შედგება. ესენია წითელი, მწვანე და ლურჯი ფერის სუბპიქსელები. მაშასადამე, ჩვენს მიერ აღწერილი მონიტორი სინამ-


დვილეში აერთიანებს 3072 სვეტს (1024x3) და 768 სტრიქონს და მისი მართვისთვის აუცილებელია 3072+768=3840 ტრანზისტორი. დღესდღეობით ტრანზისტორების მასივები, ცხადია, რეალიზებულია ინტეგრალური მიკროსქემის სახით, რომელიც უშუალოდ თხევადკრისტალური მონიტორის კორპუსში თავსდება და ქმნის მისგან განუყოფელ კონსტრუქციას.




სურ. 1. თხევადკრისტალური (LCD) მონიტორი

ტრანზისტორების გადართვისთვის აუცილებელ სიგნალებს გამოიმუშავებს მონიტორის მმართველ ძირითად პლატაზე განლაგებული მიკროპროცესორი. ანალოგური VGA სიგნალების მიკროპროცესორისთვის ციფრული ფორმის მიწოდებას უზრუნველყოფს ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელი (აცგ). მიკროპროცესორი კომპიუტერის მიერ მიწოდებულ სიგნალებს გარდაქმნის თხევადკრისტალური მონიტორის მმართველ ანუ სტრიქონებისა და სვეტების დრაივერების მმართველ სიგნალებად [4]. თხევადკრისტალური მონიტორის სხვადასხვა ელემენტების ურთიერთქმედების სქემა ნაჩვენებია მე-2 სურათზე.

CRT მონიტორს ანალოგური შესასვლელები აქვს, რომ გამოც პერსონალური კომპიუტერის ვიდეოადაპტერი იძულებულია ციფრული მონაცემები ანუ 0-ებისა და 1-ების ერთობლიობა ანალოგურ ძაბვებად გარდაქმნას და ისე მიაწოდოს CRT მონიტორს. აღნიშნულ გარდაქმნას ასრულებს DAC (Digital-to-Analog Converter) მიკროსქემა. რაც შეეხება LCD მონიტორს, იგი, ისევე როგორც ნებისმიერი ვიდეოადაპტერი, არსებითად ციფრული მოწყობილობაა. თუ LCD მონიტორს ანალოგური შესასვლელები გააჩნია, მაშინ გარდაქმნის პროცესი კიდევ უფრო რთულდება, კერძოდ პერსონალური კომპიუტერი იძულებული იქნება ციფრული მონაცემები ანალოგურ მონაცემებად გარდაქმნას, ხოლო ანალოგური მონაცემების მიმღები LCD მონიტორი იგივე მონაცემებს ADC (Analog-to-Digital Converter) მიკროსქემის მეშვეობით კვლავ 0-ებად და 1-ებად (ციფრულ მონაცემებად) გარდაქმნის [5] (სურ. 3).



სურ. 2. LCD მონიტორის ინტერფეისის ელემენტების ურთიერთქმედების სქემა




სურ. 3. ციფრულიდან ანალოგურზე და საპირისპირო მიმართულების გარდაქმნა

გარდაქმნების პროცესში გამოსახულების ხარისხი უარესდება. მაგალითად, ტექსტი ან რაიმე სხვა უძრავი გამოსახულება შეიძლება აციმციმდეს ან ამოძრავდეს. გარდა ამისა, ანალოგური ინტერფეისი ნაკლებად არის დაცული შეცდომებისა და ხმაურისგან. დაბოლოს, ანალოგურიდან ციფრულზე და საპირისპირო მიმართულების გარდაქმნები მონიტორს დამატებით და სრულიად არასაჭირო ღირებულებას მატებს.


ამრიგად, LCD მონიტორების გავრცელებასთან ერთად კვლავ აზრი მიეცა ციფრულ ინტერფეისებთან დაბრუნებას. თხევადკრისტალური (LCD) მონიტორის და მიკროპროცესორის დაკავშირების რამდენიმე საშუალება (ინტერფეისი) არსებობს. მონაცემები გადაიცემა პარალელურ კოდში და თითოეულ ფერს შეესაბამება 8 ბიტი ანუ მიკროპროცესორის გამოსასვლელზე თითოეული პიქსელი დაშიფრულია 24 ბიტის მეშვეობით.

გარდა ამისა, გადაცემული მონაცემების სინქრონიზაციის მიზნით მიკროპროცესორის გამოსასვლელზე ფორმირდება სტრიქონული და კადრული სინქრონიზაციის სიგნალები. აღნიშნული სიგნალები (VSYNC და HSYNC) განსაზღვრავს ახალი სტრიქონის და ახალი კადრის დაწყებას, რის შედეგადაც დგინდება თითოეული პიქსელის ზუსტი ადგილმდებარეობა ეკრანზე. სტრიქონებისა და სვეტების დრაივერები თითოეულ ამ სიგნალს, იქნება ის გრაფიკული მონაცემების თუ სინქრონიზაციის, გარდაქმნის მმართველ სიგნალებად (სურ. 4).



სურ. 4. გრაფიკული მონაცემების და სინქროსიგნალების გარდაქმნა მმართველ სიგნალებად

ციფრული DVI (Digital Visual Interface) ვიდეოინტერფეისი იყენებს Transition Minimized Differential Signaling (TMDS) პროტოკოლს. ვიდეოადაპტერი გრაფიკული მონაცემების 24 ბიტს (8 ბიტს თითოეული ძირითადი ფერისთვის) პარალელური ფორმით აწვდის TMDS გადამცემს. TMDS გადამცემი შემავალი მონაცემების ნაკადს შიფრავს და მიმდევრობითი ფორმით გადასცემს TMDS მიმღებს TMDS არხის მეშვეობით (სურ. 5).



სურ. 5. TMDS არხის არქიტექტურა

აღნიშნული მონაცემები დაბალანსებული (დიფერენციალური) სალტეების მეშვეობით მაღალი სიჩქარით მიეწოდება TMDS მიმღებს. ერთარხიანი TMDS კავშირი იყენებს მონაცემების ოთხ დიფერენციალურ გრეხილ წყვილს, მათ შორის სამი ფერისთვის არის განკუთვნილი, ხოლო მეოთხე გრეხილი წყვილით გადაიცემა საკონტროლო მონაცემები და სინქროსიგნალი. გარდა ამისა, გამოიყენება მეხუთე გრეხილი წყვილი (სურათზე ნაჩვენები არ არის), რომელსაც Display Data Channel (DDC) ეწოდება. აღნიშნული სალტით გადაიცემა ვიდეოადაპტერის და მონიტორის საიდენტიფიკაციო თუ საკონფიგურაციო ინფორმაცია, როგორიც არის მხარდაჭერილი რეზოლუციების და ფერთა გამების ჩამონათვალი.

ციფრული ვიდეოინტერფეისი უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემის მაღალ საიმედოობას ყოველგვარი გარდაქმნების გარეშე. ის გვთავაზობს საუკეთესო ხარისხის გამოსახულებას და უაღრესად დიდ გარჩევადობებს, მაქსიმუმ 3840X2400 (9,2 მეგაპიქსელი). ციფრული ვიდეოინტერფეისი აგრეთვე ამცირებს ანალოგური სიგნალის მხარდაჭერისთვის აუცილებელი კომპონენტების ხარჯებს.

ლიტერატურა

1. A. Tanenbaum. Structured Computer Otganization. Fifth Editiom. 2007
2. ა. ბენაშვილი. კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობები. II ნაწილი. სახელმძღვანელო. – თბილისი: „ტექნიკური უნივერსიტეტი“. – 2009წ. – 191 გვ.
3. Scott Mueller. Upgrading and Repairing PCs 20th Edition 2012.
4. Digital Display Working Group (DDWG) Digital Visual Interface DVI. Revision 1.0 1999.
5. Silicon Image. Digital Visual Interface & TMDS Extensions. White Paper. 2004

Interface of the liquid crystal monitor

G. Benashvili
GTU, 77 Kostava St., Tbilisi

The article considers the current trends of development of interfaces of liquid crystal monitors. The advantage of digital interfaces over analog interfaces are shown on the basis of image quality, resolution and cost.

Интерфейс жидкокристаллического монитора

Г. Бенашвили
ГТУ, Тбилиси, ул. Костава 77

В статье рассмотрены современные тенденции развития Интерфейсов жидкокристаллических мониторов. Обоснованны преймущества цифровых видеоинтерфейсов по сравнению с аналоговыми по качеству изображения, разрешению и стоймости.

დიოფანტე ალექსანდრიელი, დიოფანტეს განტოლებები

ლიდა ბერიძე, რუსუდან გოგიბერიძე

ცნობილი ბერძენი მათემატიკოსი დიოფანტე ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოცანას წარმოადგენს მეცნიერების ისტორიაში. ჩვენთვის უცნობია დრო, როდესაც ის ცხოვრობდა, ასევე მისი წინამორბედები, რომლებიც მუშაობდნენ იმავე სფეროში. მისი შრომები „სრულ უკუნეთში გაბრწყინებული ცეცხლის“ მსგავსია. რაც ცნობილია მის შესახებ, მათემატიკური ამოცანის სახით ამოტვიფრულია მისი საფლავის ქვაზე: „ამ ქვის ქვეშ განისვენებს დიოფანტეს ფერფლი, რომელიც ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა. მისი ცხოვრების მეექვსედი ნაწილის განმავლობაში ის იყო ბავშვი, მეთორმეტედი ნაწილი – ყმაწვილი, მეშვიდედი ნაწილი გაატარა უცოლოდ, ქორწინებიდან ხუთი წლის შემდეგ შეძინა ვაჟი, რომელმაც იცოცხლა ორჯერ ნაკლები წელი მამასთან შედარებით, შვილის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ განუტევა სული თვით დიოფანტემ, დატირებულმა ახლობლებისაგან. თუ შეგიძლია თვლა, გვითხარი, რამდენი წელი იცოცხლა დიოფანტემ?“

ცხადია, დიოფანტეს ცხოვრების წლების გამოთვლა შეიძლება განტოლებიდან:

$$\frac{x}{6}+\frac{x}{12}+\frac{x}{7}+5+\frac{x}{2}+4=x,$$

საიდანაც $x=84$, დიოფანტე გარდაიცვალა 84 წლის ასაკში.

დიოფანტეს ცხოვრების პერიოდის ქვედა საზღვარი ადვილად დგინდება, ის თავის წიგნში არაერთხელ ახსენებს მათემატიკოს ჰიპსიკლ ალექსანდრიელს, რომელიც ცხოვრობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში. მეორეს მხრივ თეონ ალექსანდიელის კომენტარებში ცნობილი ასტრონომის პტოლომეს ნაშრომების მიმართ მოყვანილია ნაწყვეტები დიოფანტეს ნაშრომებიდან. თეონი ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში, ამით განისაზღვრა დიოფანტეს ცხოვრების წლების ზედა საზღვარი, ამრიგად, შუალედია 500 წელი. ანატოლი ალექსანდრიელი, რომელიც ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში, უფრო ზუსტად, 270 წლამდე, შემდგომში ეპისკოპოსი, მეგობრობდა დიოფანტესთან, რომელსაც დიოფანტე ალექსანდრიელს უწოდებდა, ისე, რომ დიდი ალბათობით, დიოფანტე ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის შუა წლებში, უკეთესი ვერსიების უქონლობის გამო, მიღებულია ეს თარიღი.

დიოფანტეს საცხოვრებელი ადგილი კი უტყუარადაა ცნობილი – ელინისტური სამყაროს მეცნიერული აზროვნების ცენტრი ალექსანდრიაა.

ასევე გამოცანად რჩება დიოფანტეს მოღვაწეობა. ის, რომ ჩვენამდე მოღწეულია დიოფანტეს „არითმეტიკის“ 13 წიგნიდან მხოლოდ 6, ესეც საინტერესო საიდუმლოებაა.

დიოფანტეს „არითმეტიკა“ ამოცანების კრებულია (189 ამოცანა). ყოველ ამოცანას ახლავს ამოხსნები, ზოგჯერ ამოხსნის რამდენიმე ხერხი. ამოცანების ყურადღებით წაკითხვით ვრწმუნდებით, რომ ისინი შერჩეულია დიდი ცოდნით, ყურადღებით, ისინი განკუთვნილია მკაცრად მოფიქრებული მეთოდების ილუსტრაციებისათვის.

დიოფანტემდე შესწავლილი იყო ორი სახის განუსაზღვრელი განტოლებები: $x^2+y^2=z^2$ და $x^2-ay^2=1$.

პირველი მათგანი ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში წარმოიშვა, მათი ამოსახსნელი ფორმულებია

$$x=k^2-1,\ \ y=2k,\ \ z=k^2+1.$$

მეორე კი სრულად ამოიხსნება ევკლიდეს „საწყისებში“ $a=2$ მნიშვნელობისათვის, ამავე დროს მხოლოდ მთელ რიცხვთა სიმრავლეში.

II რიგის და III რიგის განუსაზღვრელი განტოლების ამოხსნა ნიშნავს რაციონალურ რიცხვთა სიმრავლეში ვიპოვოთ $f_2(x,y)=0$ და $f_3(x,y)=0$ განტოლების ამონახსნის ზოგადი სახე.

განუსაზღვრელი განტოლებების სისტემის ამოხსნა ფორმულირდება ასე: მოცემულია b უცნობიანი ∂ მრავალწევრი, რაციონალურ რიცხვთა სიმრავლეში ამოსახსნელია სისტემა

$$\begin{cases} f_1(x_1,x_2,\ldots,x_n)=0, \\ \ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots \\ f_m(x_1,x_2,\ldots,x_n)=0, \end{cases} \qquad m<n.$$

დიოფანტე თავის II წიგნში იხილავს სხვადასხვა სახის მეორე რიგის განუსაზღვრელ განტოლებებს და ადგენს, რომ ორცვლადიან მეორე რიგის განუსაზღვრელ განტოლებებს ან არ აქვთ რაციონალური ამონახსენი, ან აქვთ უამრავი ამონახსენი, რომლებიც გამოისახება როგორც λ პარამეტრზე დამოკიდებული რაციონალური ფუნქცია:

$$x=\varphi_1(k),\quad y=\varphi_2(k).$$

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ამოცანა № 8 II წიგნიდან: „მოცემული კვადრატი დავყოთ ორ კვადრატად“. მოცემული a^2 უნდა წარმოვადგინოთ ორი უცნობი b და y რიცხვების კვადრატების ჯამად

$$x^2+y^2=a^2.$$

ეს არის წრეწირი ცენტრით კოორდინატთა სათავეში, რადიუსით ა. დიოფანტე იღებს მის ერთერთ ამონახსნს $(0,-a)$. შემდეგ ახდენს ჩასმას: $x=x$, $y=kx-a$, ე.ი. $(0,-a)$ წერტილზე ავლებს წრფეს.

$$x^2+(kx-a)^2=a^2,\ \text{აქედან}\ \ x=\frac{2ka}{1+k^2},\ \ y=kx-a=\frac{a(k^2-1)}{k^2+1}.$$

ამრიგად, ყოველ რაციონალურ k-ს მრუდზე $x^2+y^2=a^2$ შეესაბამება ერთი და მხოლოდ ერთი წერტილი (x,y).

კიდევ უფრო ცხადად ჩანს დიოფანტეს მეთოდი მისი II წიგნის № 9 ამოცანაში: „მოცემული ორი კვადრატის ჯამი დავყოთ ორი სხვადასხვა კვადრატის ჯამად“.

მაგალითად, $2^2+3^2=13$.

13 უნდა დავშალოთ სხვა ორი რიცხვის კვადრატების ჯამად, ე.ი. $13=x^2+y^2$.

იგი უშვებს $k=2$, $x=t+2$, $y=2t-3$, ე.ი. $(2,-3)$ წერტილზე ატარებს წრფეს:

$$(t+2)^2+(2t-3)^2=13$$

საიდანაც $t_1 = 0$, $t_2 = \frac{8}{5}$, $x = \frac{8}{5} + 2 = \frac{18}{5}$, $y = \frac{16}{5} - 3 = \frac{1}{5}$, ე.ი. $\left(\frac{18}{5}\right)^2 + \left(\frac{1}{5}\right)^2 = 13$.

ასეთივე პროცედურებს იყენებს II წიგნის № 16, 17 და სხვა ამოცანებში. ვაჩვენოთ, რომ დიოფანტეს მეთოდო ზოგადია.

ვთქვათ, გვაქვს

$$f_2(x,y) = 0.$$

დავუშვათ, რომ მას აქვს ერთი რაციონალური ამონახსენი (a,b), მაშინ

$$y = a + t$$

$$y = b + kt$$

$$f_2(a+t, b+kt) = f_2(a,b) + tA(a,b) + ktB(a,b) + t^2C(a,b,k) = 0,$$

საიდანაც

$$t = -\frac{A(a,b) + k(a,b)}{C(a,b,k)},$$

ე.ი. b და y განსაზღვრულია.

ამრიგად, ყოველი რაციონალური x-სათვის მივიღებთ ერთს და მხოლოდ ერთ რაციონალურ ამონახსენს.

თუ მოცემულ განტოლებას აქვს სახე

$$t = a^2x^2 + bx + c,$$

მაშინ დიოფანტე იყენებს სახეშეცვლილ მეთოდს, უშვებს, რომ

$$y = ax + m, \text{ მაშინ } x = \frac{c - m^2}{2am - b}.$$

შემდეგ ამოცანებში დიოფანტე კიდევ ერთხელ ასკვნის, რომ მოცემული კვადრატი შეგვიძლია დავყოთ ორი კვადრატის ჯამად, ეს დაყოფა არაა ერთადერთი.

განვიხილოთ კიდევ ერთი ამოცანა: „ვიპოვოთ სამი ისეთი რიცხვის ზოგადი გამოსახულება, რომ ნებისმიერი ორი მათგანის ნამრავლს პლუს ერთი იქნება რაიმე რიცხვის კვადრატი“.

იგი იღებს რიცხვებს: $x+2$, b, $4x+4$.

1) $x(x+2)+1 = (x+1)^2$

2) $x(4x+4)+1 = (2x+1)^2$

3) $(x+2)(4x+4)+1 = (2x+3)^2$.

ამრიგად, როგორიც უნდა იყოს b-ის მნიშვნელობა, $x+2$, b, $4x+4$ სამეულისათვის მტკიცდება ზემოთჩამოყალიბებული დებულება, სწორედ ამას თვლის დიოფანტე ზოგადი ფორმულის მიღებად.

დიოფანტე IV წიგნში განიხილავს მესამე რიგის განუსაზღვრელ განტოლებებს $f_3(x,y) = 0$.

ამოცანა № 24 IV წიგნიდან:

„მოცემული რიცხვი წარმოვადგინოთ ორი რიცხვის საშუალებით ისე, რომ მათი ნამრავლი ტოლი იყოს რაიმე რიცხვის კუბს მინუს ეს რიცხვი“.

ავიღოთ რიცხვი a, საძიებელი პირველი რიცხვი იყო b, მაშინ მეორე იქნება $a-x$, ამიტომ პირობის თანახმად

$$x(a-x) = y^3 - y.$$

ერთი რაციონალური ამონახსნი იქნება $(0,-1)$.

დიოფანტეს მეთოდით, გავატაროთ ამ წერტილზე წრფე

$$y+1=k(x-0)$$
$$y=kx-1.$$

მაშინ

$$ax-x^2=(kx-1)^3-(kx-1).$$

დავუშვათ $k=\frac{a}{2}$,

$$ax-x^2=\left(\frac{a}{2}x-1\right)^3-\left(\frac{a}{2}x-1\right),$$

აქედან

$$x=\frac{6a^2-8}{a^3},\quad y=\frac{2a^2-4}{a^2}.$$

ან

$$x=\frac{3k^2-1}{k^3},\quad y=\frac{2k^2-1}{k^2}.$$

თუ ავიღებთ, მაგალითად, $k=2$ ანუ $a=4$, მაშინ

$$x=\frac{6\cdot16-8}{64}=\frac{11}{8},\quad y=\frac{7}{4},$$
$$x(a-x)=\frac{11}{8}\left(4-\frac{11}{9}\right)=\frac{11\cdot21}{8\cdot8}=\frac{231}{64};$$
$$y^3=\frac{343}{64},\quad y^3-y=\frac{343}{64}-\frac{7}{4}=\frac{231}{64};$$

კიდევ ერთი ამოცანა: „ვიპოვით ორი რიცხვი, რომელთა ნამრავლს დამატებული თითოეული მათგანი იქნება რაიმე რიცხვის კუბი“.

დიოფანტე ამ ამოცანას ხსნის ასე:

I რიცხვი იყოს a^3x

II რიცხვი კი x^2-1,

მაშინ $a^3x(x^2-1)+(x^2-1)=y^3$.

ამ განტოლების ერთი ამონახსენი იქნება $(0,-1)$. გავავლოთ ამ წერტილზე წრფე:

$$y+1=a(x-0)$$
$$y=ax-1.$$

ჩავსვათ წინა ტოლობაში, გარდაქმნებით მივიღებთ:

$$x=\frac{a^3+3a}{3a+1},\ \text{ხოლო}\quad y=\frac{a^4-1}{3a^2-1}.$$

ამრიგად, ამოცანა ამოხსნილია.

ამ ტიპის ამოცანები მრავლადაა დიოფანტეს ჩვენამდე მოღწეულ წიგნებში.

რეზიუმე

ნაშრომი „დიოფანტე ალექსანდრიელი, დიოფანტეს განტოლებები“ ეძღვნება ძველი ბერძენი მათემატიკოსის დიოფანტე ალექსანდრიელის საიდუმლოებით მოცული ცხოვრებას. ნაშრომში განხილულია დიოფანტეს II და III რიგის განუსაზღვრელი განტოლებები, გარჩეულია და ამოხსნილია საინტერესო ამოცანები „არითმეტიკის“ ჩვენამდე მოღწეული 6 წიგნიდან, მათი რაოდენობა კი, ცნობილია, რომ 13 იყო.

Резюме

Диофант Александрийский – выдающийся древнегреческий математик представляет одну из наиболее трудных загадок в истории науки. Нам не известны ни время, когда он жил, ни предшественники его, труды его подобны сверкающему огню среди полной непроницаемой тьмы.

В работе «Диофант Александрийский, уравнения Диофанта» рассмотрены диофантовые уравнения II и III порядков, разобраны наиболее интересные задачи из сохранившихся до нас 6 книг из 13-ти «Арифметики», даны их решения методами Диофанта.

Summary

Abstract "Diophantus of Alexandria, Diophantine Equations" dedicated to secret life of ancient Greek mathematician Diophantus of Alexandria. In the abstract indeterminate equations of II and III row is reviewed, interesting problems of "Arithmetic" is analyzed and solved from 6 books achieved to our era, it is known that their number was 13.

სიმეტრიულ E_{0n} ტიპის ელექტრულ ტალღათა დიფრაქცია წრიულ ტალღსატარის ცენტრში მოთავსებულ ნახევრად უსასრულო დიელექტრიკულ ღეროზე

ფაიქ ბოგდანოვი, ომარ კეთილაძე, მანანა ჩიხლაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკ-ტი,
0175, მ. კოსტავას ქ., 77, თბილისი, საქართველო,
სრული პროფესორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
იმს ფაკ-ტი, ფიზიკის დეპარტამენტი,
0175, მ. კოსტავას ქ., 77, თბილისი, საქართველო,
ასოცირებული პროფესორი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი,
ქ. წამებულის 17, ზოგადსაგანმანათლებლო და ზოგადტექნიკური
დისციპლინების დეპარტამენტი,
სრული პროფესორი.


XX საუკუნის 80–ანი წლებიდან, გადამცემი ხაზების და ზემაღალი სიხშირეების მოწყობილობათა მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით, ინტენსიურად მიმდინარეობს ღრუ და დიელექტრიკით ნაწილობრივ შევსებულ ტალღსატარებში ტალღათა დიფრაქციის გამოკვლევა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტით [1–4].

მიუხედავად იმისა, რომ ღრუ ტალღსატარებში ტალღათა დიფრაქციის კვლევაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები [5,6], ეს საკითხი ნაკლებად შესწავლილია დიელექტრიკით ნაწილობრივ შევსების შემთხვევაში [7]. ამ მიზნით წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია E_{0n} ტიპის ტალღის დიფრაქცია წრიულ არარეგულარულ ტალღსატარში (დიელექტრიკით სიმეტრიულად შევსებულ წრიულ ტალღსატარებში [8]–ის თანახმად დამოუკიდებლად შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სიმეტრიული (აზიმუტალური მდგენელის არ მქონე) E_{0n} ელექტრული და H_{0n} მაგნიტური ტიპის ტალღები).

მოცემულ ნაშრომში მკაცრადაა გადაწყვეტილი დიელექტრიკით ნაწილობრივ შევსებულ წრიულ ტალღსატარში ღრუ ტალღსატარის მხრიდან გავრცელებული სიმეტრიულ ტალღათა ძირითადი ტიპის E_{01} დიფრაქციის ამოცანა. ცხადია სიმეტრიულ არაერთგვაროვნებებზე ამ ტალღათა გაბნევისას აღიძვრება იგივე ტიპის ტალღები. ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროექციული მეთოდი არსებითად ანალოგიურია [9] –ში გამოყენებული მეთოდის, რადგან სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, ბაზისად გამოიყენება მოცემულ ინტერვალში ორთოგონალურ ფუნქციათა ორი სისტემა [10].

ამოცანა დაიყვანება მეორე რიგის წრფივ უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე, რომელიც შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს რედუქციის მეთოდით [11].

დავუშვათ მოცემულია წრიული ტალღსატარი, რომელიც წარმოადგენს ღრუ და ორფენიანი წრიული ტალღსატარის შერწყმას (ნახ.1), რომელშიც ღრუ ტალღსატარის მხრიდან z ღერძის გასწვრივ ვრცელდება ძირითადი E_{01} ელექტრული ტალღა, რომლის გრძივი მდგენელია



ნახ.1

$$E_z = I_0(p_{01}r)e^{-ih_{01}z}, \quad (\mathrm{Im}h_{01} < 0) \qquad (1)$$

(დროზე დამოკიდებულება $\sim e^{i\omega t}$). განვიხილოთ ამ ტალღის დიფრაქცია ტალღსატართა შერწყმის არეში.

შერწყმის არის ორივე მხარეს გაბნეული ტალღების განტოლებები ასე ჩაიწერება:

$$E_{z1} = \sum_{m=1}^{\infty} A_m I_0(p_{0m}r)e^{ih_{0m}z}, \quad (z < 0) \qquad (2)$$

$$E_{z2} = \sum_{m=1}^{\infty} B_m \psi_m(r)e^{-ih'_{0m}z}, \quad (z > 0) \qquad (3)$$

$$(\mathrm{Im}\, h_{0m} < 0, \quad \mathrm{Im}\, h'_{0m} < 0)$$

სადაც $\psi_m(r)$ - ელექტრული ველის გრძივი საკუთარი ფუნქციაა

$$\psi_m(r)=\begin{cases} I_0(q_{0m}r) & (0\le r\le b)\\ \xi_m\left[N_0(p'_{0m}a)I_0(p'_{0m}r)-I_0(p'_{0m}a)N_0(p'_{0m}r)\right] & (b\le r\le a),\\ \xi_m = I_0(q_{0m}b)\left[N_0(p'_{0m}a)I_0(p'_{0m}b)-I_0(p'_{0m}a)N_0(p'_{0m}b)\right]^{-1} & \end{cases} \quad (4)$$

$I_0(x)$ და $N_0(x)$ ბესელისა და ნეიმანის ფუნქციებია, ხოლო $h_{0m}=\sqrt{k^2-p_{0m}^2}$, $h'_{0m}=\sqrt{k_2^{\,2}-q_{0m}^2}$ $(k_0^2=\omega^2\varepsilon_0\mu_0,\quad k_2^2=\omega^2\varepsilon_2\mu_0)$ ტალღსატარის შესაბამის არეებში E_{0m} გრძივი ტალღური რიცხვებია, ხოლო p_{0m}, p'_{0m} და q_{0m} განივი ტალღური რიცხვებია. ისინი წარმოადგენენ შემდეგ ტრანსცენდენტულ განტოლებათა ამონახსნებს:

$$I_0(p_{0m}a)=0 \quad (5)$$

$$\frac{\varepsilon_1}{\varepsilon_2}q_{0m}\frac{I_0(q_{0m}b)}{I_1(q_{0m}b)}=p'_{0m}\frac{\left[N_0(p'_{0m}a)I_0(p'_{0m}b)-I_0(p'_{0m}a)N_0(p'_{0m}b)\right]}{\left[N_0(p'_{0m}a)I_1(p'_{0m}b)-I_0(p'_{0m}a)N_1(p'_{0m}b)\right]} \quad (6)$$

$$\left(p'_{0m}=\sqrt{q_{0m}^2-(k_2^{\,2}-k_1^{\,2})}\right)$$

(2) და (3) განტოლებებში A_m და B_m კოეფიციენტთა მიმდევრობა წარმოადგენს E_{0m} ტალღის კომპლექსურ ამპლიტუდებს შესაბამის არეებში, რომელთა განსაზღვრისათვის საჭიროა ვისარგებლოთ ელექტრომაგნიტური ველის მდგენელებს შორის არსებული კავშირებით:

$$E_r=\frac{1}{\chi^2}\frac{\partial^2 E_z}{\partial r\partial z},\qquad H_\varphi=-\frac{i\omega\varepsilon}{\chi^2}\frac{\partial E_z}{\partial r}$$

(χ –განივი ტალღური რიცხვია) და ვიპოვოთ სრული ველის განივი კომპონენტები (ელექტრულის რადიალური და მაგნიტურის აზიმუტალური) ტალღსატარის შერწყმის ორივე მხარეს:

$$\begin{cases} E_{r1}=ih_{01}F_1(r)e^{-ih_{01}z}+\sum_{m=1}^{\infty}ih_{0m}A_mF_m(r)e^{ih_{0m}z} & (z<0)\\ H_{\varphi1}=i\omega\varepsilon_0F_1(r)e^{-ih_{01}z}+\sum_{m=1}^{\infty}i\omega\varepsilon_0A_mF_m(r)e^{ih_{0m}z} & (z<0) \end{cases} \quad (7)$$

$$\begin{cases} E_{r2}=\sum_{m=1}^{\infty}ih'_{0m}B_m\Phi_m(r)e^{-ih'_{0m}z} & (z>0)\\ H_{\varphi2}=\sum_{m=1}^{\infty}i\omega\varepsilon_0B_m\hat{\Phi}_m(r)e^{-ih'_{0m}z} & (z>0) \end{cases} \quad (8)$$

სადაც

$$F_m(r)=I_1(p_{0m}r)/p_{0m}\quad(0\le r\le a) \quad (9)$$

$$\Phi_m(r)=\begin{cases} I_1(q_{0m}r)/q_{0m} & (0\le r\le b)\\ \frac{\xi_m}{p'_{0m}}\left[N_0(p'_{0m}a)I_1(p'_{0m}r)-I_0(p'_{0m}a)N_1(p'_{0m}r)\right] & (b\le r\le a) \end{cases} \quad (10)$$

$$\hat{\Phi}_m(r) = \begin{cases} \dfrac{\varepsilon_2}{\varepsilon_1} I_1(q_{0m} r)/q_{0m} & (0 \le r \le b) \\ \dfrac{\varepsilon_1}{\varepsilon_0}\dfrac{\xi_m}{p'_{0m}}\left[N_0(p'_{0m}a)I_1(p'_{0m}r) - I_0(p'_{0m}a)N_1(p'_{0m}r)\right] & (b \le r \le a) \end{cases} \qquad (11)$$

– შესაბამის არეებში ელექტრული და მაგნიტური ველების საკუთარ ფუნქციათა განივი მდგენელებია.

თუ ვისარგებლებთ ტალღსატართა შერწყმის სიბრტყეში (z=0) ველთა სასაზღვრო პირობებით $E_{r1}=E_{r2}$ და $H_{\varphi 1}= H_{\varphi 2}$ მივიღებთ A_m და B_m კოეფიციენტთა მიმართ ფუნქციონალურ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} \sum\limits_{m=1}^{\infty}\left[h_{0m}A_m F_m(r) - h'_{0m}B_m\Phi_m(r)\right] = -h_{01}F_1(r) \\ \sum\limits_{m=1}^{\infty}\left[A_m F_m(r) - B_m\hat{\Phi}_m(r)\right] = -F_1(r) \end{cases} \qquad (12)$$

ეს სისტემა ანალოგიურია მართკუთხა ტალღსატარისათვის [4]–ში მიღებული შესაბამისი განტოლებათა სისტემის.

შევნიშნოთ, რომ ამ სისტემაში შემავალი საკუთარი ფუნქციები $[0,a]$ სეგმენტზე აკმაყოფილებენ ორთოგონალურობის პირობას:

$$\int_0^a rF_m(r)F_n(r)dr = R_m\delta_{mn} \qquad (13)$$

$$\int_0^a r\Phi_m(r)\hat{\Phi}_n(r)dr = \hat{R}_m\,\delta_{mn}, \qquad (14)$$

სადაც $R_m = \dfrac{a^2}{2}\dfrac{I_1^2(p_{0m}a)}{p_{0m}^2}$,

$$\hat{R}_m = \frac{2\varepsilon_1\xi_m^2}{\pi^2 p_{0m}'^4} + \frac{\varepsilon_2}{q_{0m}^2}\frac{b^2}{2}\left[I_0^2(q_{0m}b) + I_1^2(q_{0m}b) - \frac{2}{q_{0m}b}I_0(q_{0m}b)I_1(q_{0m}b)\right] - \frac{\varepsilon_1}{p_{0m}'^2}\frac{b^2}{2}I_0(q_{0m}b) +$$
$$+\frac{\varepsilon_2^2}{\varepsilon_1}\frac{b^2}{2}\frac{I_1^2(q_{0m}b)}{q_{0m}^2} - \frac{\varepsilon_2 b}{p_{0m}'^2 q_{0m}}I_0(q_{0m}b)I_1(q_{0m}b) - \frac{2\varepsilon_1 b}{p_{0m}'^3}\xi_m^2 \qquad (14ა)$$

(13) და (14) საშუალებას იძლევა ფუნქციონალურ განტოლებათა (12) სისტემა გარდავქმნათ A_m ან B_m კოეფიციენტთა მიმართ წრფივ ალგებრულ განტოლებათა უსასრულო სისტემად. კერძოდ A_m კოეფიციენტების მიმართ გვექნება:

$$A_n = a_n + \sum_{m=1}^{\infty} A_m Z_{nm} \qquad (n = 1,2,.....) \qquad (15)$$

სადაც $a_n = \delta_{n1} + Z_{n1}$, $Z_{nm} = -\sum\limits_{s=1}^{\infty}\dfrac{h'_{0s}T_{sm}T_{sn}}{\hat{R}_s\,h_{0m}R_n}$,

$$T_{nm} = \int_0^a rF_n(r)\Phi_m(r)dr = \frac{b}{q_{0m}^2 - p_{0n}^2}\left[\frac{I_1(q_{0m}b)I_0(p_{0n}b)}{q_{0m}} - \frac{I_0(q_{0m}b)I_1(p_{0n}b)}{p_{0n}}\right] +$$

$$+\frac{b}{p_{0n}^2-p_{0m}^2}\left[\frac{\varepsilon_2}{\varepsilon_1}\frac{I_0(p_{0n}b)I_1(q_{0m}b)}{q_{0m}}-\frac{I_0(q_{0m}b)I_1(p_{0n}b)}{p_{0n}}\right] \qquad (15ა)$$

B_m კოეფიციენტები კი ასე გამოითვლება:

$$B_m=\frac{T_{m1}}{\hat{R}_m}+\frac{1}{\hat{R}_m}\sum_{s=1}^{\infty}A_sT_{mn} \qquad (16)$$

(15) ფრედჰოლმის სისტემაა, რის გამოც შესაძლებელია მისი გამოკვლევა რედუქციის მეთოდით ტალღსატარის ნებისმიერი პარამეტრებისთვის [6].

რიცხვითი მონაცემები


(15) სისტემა რიცხობრივად გამოკვლეულია რედუქციის მეთოდით ტალღსატარის სხვადასხვა $s=b/a$, $q=2a/\lambda$, $\varepsilon=\varepsilon_2/\varepsilon_0$ (ε_1 ითვლება ε_0 ტოლად) პარამეტრებისთვის. ცხრილში მოცემულია არეკვლის კოეფიციენტის მოდულის $|A_1|$

ტალღსატარის პარამეტრები			არეკვლის კოეფიციენტის მოდული			
ε	q	s	N=3	N=7	N=11	N=15
2,1	1,0	0,25	0,06290	0,06295	0,06297	0,06297
		0,5	0,10072	0,10063	0,10063	0,10064
		0,75	0,05710	0,05687	0,05686	0,05686
5,4	1,0	0,25	0,14883	0,15009	0,15034	0,15043
		0,75	0,04368	0,04444	0,04459	0,04466
	1,5	0,25	0,01045	0,01112	0,01133	0,01141
		0,75	0,12502	0,13459	0,13509	0,13522

დამოკიდებულება ტალღსატარის პარამეტრებზე. ცხრილიდან კარგად ჩანს ალგორითმის კრებადობა, რაც საშუალებას იძლევა შემოვიფარგლოთ რედუქციის N=7 რიგით. ალგორითმის კრებადობა უარესდება ε_r და q პარამეტრების ზრდით, რაც დაკავშირებულია გავრცელებულ ტალღათა რიცხვის ზრდით.

ნახაზ (2)–ზე მოცემულია არეკვლის კოეფიციენტის მოდულის $|A_1|$ და ფაზის $\varphi_A=\arg A_1$, ასევე E_{01} ტალღის სიმძლავრის გატარების კოეფიციენტის

P_1^B დამოკიდებულება ტალღსატარის შევსების კოეფიციენტსა $s = b/a$ და ფარდობით სიგანეზე $q = 2a/\lambda$ დიელექტრიკული შეღწევადობის ორი სხვადასხვა მნიშვნელობისთვის $\varepsilon = 5{,}4$ (უწყვეტი მრუდი) და $\varepsilon = 2{,}1$ (წყვეტილი მრუდი). ამ გრაფიკებზე წარმოდგენილი დიფრაქციული მრუდების დამახასიათებელი გარდატეხები დაკავშირებულია ახალი ტიპის ტალღათა წარმოშობასთან.



ნახ. 2.

ლიტერატურა

[1]. Кетиладзе О.Г. Дифракция волны E_{01} на сочленении полого и частично заполненного круглых волноводов. Радиотехника и электроника, т. 33, №4, Москва , 1988.

[2]. Богданов Ф.Г., Кеванишвили Г.Ш., Кетиладзе О.Г. Дифракция волны E_{01} на диэлектрических стержнях конечной длины. Радиотехника и электроника, т. 33, №5, Москва , 1988.

[3]. Илларионов Ю.А. Раевский С.Б., Сморгонский В.Я. Расчет гофрированных и частично заполненных волноводов.- М.Сов. радио, 1980.
[4]. De Flaviis F. "Guided-Waves," in The Electrical Engineering Handbook, W.-K. Chen, Ed.: Elsevier Academic press, 2005, pp. 539-551.
[5]. Феоктистов В.Г. В кн.:Прикладная электродинамика.-М., Высшая школа, 1978, вып.2, с. 120.
[6]. Colin, G.W. and J.A.R. Ball, "Mode-matching analysis of a shielded rectangular dielectric-rod waveguide," *IEEE Transactions on Microwave Theory and Techniques*, Vol. 53, No. 10, 3169{3177, Oct. 2005.
[7]. Balaji Uma "CAD of Resonant Circular Iris Waveguide Filter with Dielectric Filled Cavities," Progress In Electromagnetics Research Symposium Proceedings, Cambridge, USA, July 5-8, 2010, pp. 1139-1141.
[8]. Веселов Г.И., Любимов Л.А. Радиотех. и электр., 1963, 8, №9, с 1530.
[9]. Богданов Ф.Г., Кеванишвили Г.Ш., Известия вузов - Радиофизика,1980, 23, №2, с.213.
[10]. Никольский В.В. Известия вузов-Радиофизика,1977, 20б №2, с. 5.
[11]. Шестопалов В.П., Литвиненко Л.Н. Массалов С.М., Сологуб В.Г. Дифракция волн на решетках.- Харьков Изд. Харьк. ун-та, 1973.

ДИФРАКЦИЯ СИММЕТРИЧНЫХ ЭЛЕКТРИЧЕСКИХ ВОЛН E_{0n} ТИПА НА ПОЛУБЕСКОНЕЧНОМ ДИЭЛЕКТРИЧЕСКОМ СТЕРЖНЕ, РАСПОЛОЖЕННОМ В ЦЕНТРЕ КРУГОВОГО ВОЛНОВОДА

Файк Гасанович Богданов,
Омар Георгиевич Кетиладзе,
Манана Николаевна Чихладзе

РЕЗЮМЕ

В работе решена задача дифракции симметричных волн основного E_0 типа, распространяющихся со стороны полого волновода в частично заполненном круговом волноводе. Полученная система линейных алгебраических уравнений исследована методом редукции. Получены зависимости модуля коэффициента отраженгия $|A_1|$, фазы $\varphi_A = \arg A_1$, а также коэффициента пропускания мощности P_1^B волны E_{01} от параметров волновода.

DIFFRACTION OF SYMMETRIC ELECTRIC WAVES OF E0n TYPE AT A SEMI-INFINITE DIELECTRIC ROD LOCATED IN THE CENTER OF A CIRCULAR WAVEGUIDE

Faik G. Bogdanov,
Omar G. Ketiladze,
Manana N. Chikhladze

RESUME

In the paper the problem of diffraction of symmetric waves of E_{01} type, penetrating from the hollow waveguide into partially filled circular waveguide is solved. Received system of linear

algebraic equations is investigated by the reduction method. Dependence of the modulus of the reflection coefficient $|A_1|$, the phase $\varphi_A = \arg A_1$, as well, as of the coefficient of power passing P_1^B of the wave E_{01} on the parameters of the waveguide are received.

О ПРИРОДЕ ЯВЛЕНИЯ АНТИФЕРРОМАГНЕТИЗМА

Кетеван Гениозовна Капанадзе,
Джумбер Васильевич Церцвадзе

Грузинский технический университет,
фак-тет ИСУ, департамент физики,
0175, ул. М. Костава, 77, Тбилиси, Грузия,
Докторант,

Грузинский технический университет,
фак-тет ИСУ, департамент физики,
0175, ул. М. Костава, 77, Тбилиси, Грузия,
Ассоциированный профессор.

В 1927 г. Я. И. Френкелем [1] и В. Гейзенбергом [2] было показано, что электрическое обменное взаимодействие электронов приводит к упорядоченному расположению спинов. При положительном знаке обменного интеграла энергетически более выгодным является параллельное расположение спинов – ферромагнитное состояние. При отрицательном знаке обменной энергии соседние спины должны устанавливаться антипараллельно – такое состояние называется антиферромагнетизмом. Судя по кривой Дж. Слейтера [3] антиферромагнитное состояние должно встречаться даже чаще феррогмагнитного, хотя антиферромагнетизм обнаружен лишь у Cr и Mn.

Если явление ферромагнетизма приводит к повышению магнитной восприимчивости по сравнению с парамагнетиками, то, очевидно, в антиферромагнитном состоянии магнитная восприимчивость должна быть меньше, чем в парамагнитном.

Экспериментально антиферромагнетизм был обнаружен раньше создания теории обменного взаимодействия при изучении магнитных свойств соединений (например, MnO). На рис. 1 показана типичная для антиферромагнетиков зависимость магнитной восприимчивости от температуры. Точка излома кривой называется антиферромагнитной точкой Кюри, в последнее время часто называемой точкой Нееля. Выше точки Нееля вещество находится в парамагнитном состоянии. Ниже этой точки магнитная восприимчивость падает с понижением температуры.

В антиферромагнитной точке Кюри (в точке Нееля), так же, как у ферромагнетиков в точке Кюри, наблюдается максимум теплоемкости, скачком

уменьшающейся при дальнейшем повышении температуры. На рис. 2 показана зависимость теплоемкости соединения MnF_2 от температуры. Наблюдаются также аномалии коэффициента расширения и электропроводности, подобные аномалиям в ферромагнетиках.

С термодинамической точки зрения антиферромагнитная точка Кюри во всем подобна ферромагнитной, это также фазовый переход второго рода со скачком теплоемкости и других производных от термодинамических потенциалов, отсутствием скачка объема и скрытой теплоты перехода.

Теорию антиферромагнетизма впервые создал Л.Д. Ландау в 1933 г. на примере слоистых структур типа галоидных солей железа. Предполагая отрицательное обменное взаимодействие между электронами в соседних слоях, он на основании термодинамического рассмотрения показал, что в этих веществах спины электронов в соседних слоях устанавливаются антипараллельно.




Рис. 1. Температурная зависимость магнитной восприимчивости антиферромагнетиков.




Рис. 2. Теплоемкость MnF_2.

Примерно в то же время Неелем было высказано предположение об антипараллельном расположении соседних спинов в кубических антиферромагнитных окислах (например, в MnO). Он предложил рассматривать решетку антиферромагнетика, как две вставленные друг в друга подрешетки, внутри каждой из которых спины параллельны, но по отношению друг к другу направления спинов в подрешетках антипараллельны.

Высказанное Неелем предположение о наличии в агтиферромагнетиках упорядоченного состояния с антипараллельным расположением спинов было трудно подтвердить экспериментально до приложения к исследованию этого вопроса дифракции нейтронов.

Метод дифракции нейтронов в своей основе подобен рентгеновскому методу определения структуры кристаллов. Дифракция нейтронов обусловлена их когерентным рассеянием на ядрах и электронных оболочках атомов. При малых углах

рассеяния эффективное сечение рассеяния электронной оболочки атома оказывается величиной того же порядка, что и сечение рассеяняи на ядрах атомов и, кроме того, рассеяние на оболочке зависит от взаимной ориентации магнитного момента оболочки и плоскости рассеяния.

В тех случаях, когда размер магнитной ячейки не совпадает с размером химической, на нейтронограмме появляются дополнительные линии, отвечающие упорядоченному состоянию спинов. Если размеры ячеек совпадают, дополнительные линии не появляются, хотя интенсивность линий под малыми углами зависит от характера упорядочения спинов.

Таким образом было доказано наличие антипараллельного расположения спинов в антиферромагнетиках. Этот метод обнаружения антиферромагнитного состояния оказался в ряде случаев более чувствительным, чем непосредственный магнитный.

Антиферромагнетизм обнаружен у многих редкоземельных элементов, хотя у большей их части наблюдается также и ферромагнетизм. В чистом виде антиферромагнитные свойства обнаружены у Ce, Nd, Sm и Tu.

Из переходных элементов с недостроенной d-оболочкой к настоящему времени антиферромагнетизм установлен лишь у марганца и хрома, причем у хрома эффективный момент, участвующий в упорядочении, мал, и точка возникновения антиферромагнитного порядочивания отмечается только нейтронографически.

Значительно более отчетливыми антиферромагнитными свойствами обладает ряд простейших соединений переходных элементов типа окислов, хлоридов, сульфидов, карбонатов и т.д.

Температуры перехода в антиферромагнитное состояние – порядка $10^2 – 10^3$ К. Следовательно, так же, как и в случае ферромагнетиков, необходимая энергия взаимодействия не может являться следствием магнитных сил, а должна быть связана с электрическим взаимодействием. Естественно предположить, что антиферромагнитное состояние обязано обменному взаимодействию, но обменный интеграл в этом случае отрицателен. Кристаллическая структура большинства антиферромагнетиков такова, что ионы переходных металлов не находятся в непосредственном соседстве, поэтому обменное взаимодействие осуществляется косвенно посредством промежуточного иона.

ЛИТЕРАТУРА

1. Frenkel I.I. Zeitschrift fur Phisik, 49, 31, 1928.
2. Heizenberg W. Zeitschrift fur Phisik, 49, 619, 1928.
3. Slater J.C. Physical Review, 36, 57, 1930.

ანტიფერომაგნეტიზმის მოვლენის ბუნების შესახებ

ქეთევან კაპანაძე, ჯუმბერ ცერცვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
იმს ფაკ-ტი, ფიზიკის დეპარტამენტი,
0175, მ. კოსტავას ქ., 77, თბილისი, საქართველო
დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
იმს ფაკ-ტი, ფიზიკის დეპარტამენტი,
0175, მ. კოსტავას ქ., 77, თბილისი, საქართველო
ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომში განიხილება ანტიფერომაგნეტიზმის მოვლენის ახსნის საკითხი ი.ი. ფრენკელისა და ვ. ჰაიზენბერგის მიერ შემუშავებულ, ფერომაგნეტიკების ელექტრონების გაცვლითი ელექტროსტატიკური ურთიერთქმედების კვანტურ-მექანიკური თეორიის საფუძველზე გაცვლითი ინტეგრალის უარყოფითი მნიშვნელობის შემთხვევაში.

ON THE NATURE OF ANTIFERROMAGNETISM PHENOMENON

Ketevan G. Kapanadze, Jumber V. Tsertsvadze
Georgian Technical University,
ICS Faculty, Department of Physics,
0175, 77, M. Kostava str., Tbilisi, Georgia
Postgraduate,
Georgian Technical University,
ICS Faculty, Department of Physics,
0175, 77, M. Kostava str., Tbilisi, Georgia
Associated Professor.

In the paper the problem of explanation of antiferromagnetism phenomenon studied by I.I. Frenkel and W. Heizenberg is considered, based on the quantum-mechanical theory of exchange electrostatic interaction of ferromagnetic electrons in case of the negative value of the exchange integral.

AutoCAD File Formats AutoCAD-ის ფაილის ფორმატები

ნანა ნოზაძე, სტუ ასოც. პროფესორი
გოჩა ჩიტაიშვილი, სტუ დოქტორანტი
ლილი პეტრიაშვილი, სტუ ასოც. პროფესორი
სტუ საქართველო,თბილისი, კოსტავას 77

AutoCAD-ი მსოფლიოში გამოჩენისთანავე ყველაზე პოპულარული საინჟინრო პროგრამული პაკეტი გახდა. დღეს დღეობით კი იგი ლიდერია სხვა **CAD**-ის სისტემებთან შედარებით. სისტემის სახელწოდება არის შეკვეცილი სახელი **Automated Computer Aided Drafting and Design** ავტომატური კომპიუტერული ხაზვა და დაპროექტება.

ყოველი ფაილი კომპიუტერში იქმნება, როგორც სპეციფიური (განსაზღვრული) ტიპის ან ფორმატის. მაგალითად: **Microsoft Word**-ის ფაილ ტიპს წარმოადგენს **DOC**, **ArchiCAD**-ისას კი **PLA** და ა.შ. ხოლო **AutoCAD**-ის სტანდარტული ნახაზის ფაილის ფორმატს წარმოადგენს **DWG**. განსხვავება ფაილის ტიპებს შორის არის ის, რომ ამ ფაილის შემქმნელმა პროგრამამ მომავალში ამოიცნოს იგი. მათ ასევე გააჩნიათ სტრუქტურა რომლის დახმარებით შემქმნელ პროგრამას შეუძლია მისი სწორად წაკითხვა.

ადრე, როდესაც **DOS**-ი წარმოადგენდა საერთო ოპერაციულ სისტემას, ყველა ფაილს თავის დასახელებაში გააჩნდა მაქსიმუმ რვა სიმბოლო, ხოლო მის გაფართოებას წარმოადგენდა სამი სიმბოლო კოდი, რომელიც მიუთითებდა ფაილის ტიპს მაგალითად:

ფაილის სახელი **DRAWING1**
გაფართოება **DWG**

მას შემდეგ, რაც გამოჩნდა **Windows 95** შესაძლებელი გახდა ფაილის სახელში სიმბოლოების რაოდენობა გაზრდილიყო 8-დან 256-მდე, მაგრამ გაფართოება კვლავ დარჩა სამი სიმბოლო.

AutoCAD-ში სრულფასოვნად მუშაობისათვის სასურველია ვიცოდეთ, რომ პროგრამას გააჩნია გრაფიკული ფაილის რამდენიმე ტიპი, განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

DWG-BAK-DWT-DWF-SV$-DXF-WMF-3DS-JPG

აქვე აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფაილთა ტიპები წარმოადგენს იმ ფაილთა ტიპებს, რომელსაც **AutoCAD**-ი მოიხმარს. გარდა ამისა არსებობს ნახაზის შენახვის უამრავი სხვა მეთოდი. მოკლეთ მიმოვიხილოთ ზემოთ ჩამოთვლილი ფაილის ტიპები.


DWG – იგი წარმოადგენს **AutoCAD**-ის სტანდარტულ გრაფიკულ ფაილს. **AutoCAD**–ის ძველი ვერსია ვერ გახსნის ახალ ვერსიებში სტანდარტულად შენახულ ფაილს, ხოლო **AutoCAD**-ს უახლესი ვერსიას შეუძლია წაიკითხოს ნებისმიერ ძველ ვერსიაში შექმნილი ფაილი. ყველაფერ ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ ჩვენ ვაწარმოებთ ფაილების გაცვლას **AutoCAD**-ის სხვა მომხმარებელთან, რადგან ჩვენი ვერსიები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

BAK - იგი წარმოადგენს **AutoCAD**–ის სარეზერვო ფაილის ტიპს. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვინახავთ გრაფიკულ ფაილს **AutoCAD**–ი ყოველთვის ავტომატურად ქმნის დუბლიკატ **BACKUP** ფაილს. ამ ტიპის ფაილს გააჩნია ყველა ის ინფორმაცია, რაც გააჩნია ორიგინალს, მაგრამ გააჩნია სხვა გაფართოება. თუ შემთხვევით დაზიანდა ორიგინალი **DWG** ფაილი ან დავკარგეთ იგი შესაძლებელია **BAK** ფაილს შეუცვალოთ სახელი **DWG**-თი და გავხსნათ იგი ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა გრაფიკული ფაილი. აქვე აღვნიშნოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია სარეზერვო ფაილის შექმნის ინტერვალი შევცვალოთ ჩვენი შეხედულებით, რადგან სამუშაო პროცესის იძულებით შეწყვეტის შემთხვევაში არ დაიკარგოს შესრულებული გრაფიკული სამუშაო.


Menu Bar ⇒ Tools ⇒ Options ⇒ Open and Save ⇒ File Safety Precautions ⇒ Automatic save მივუთითოთ დროის ინტერვალი დამახსოვრებებს შორის

DWT – ეს ფაილის ტიპი შედარებით ახალია იგი გამოჩნდა **R**14 ვერსიის შემდეგ. იგი გამოიყენება შაბლონის შესაქმნელად. შაბლონი წარმოადგენს ნახაზის პროტოტიპს იგი შეიცავს ყველა იმ თვისებას, რომელიც გააჩნია განსაზღვრული ტიპის ნახაზს. არსებითად იგი წარმოადგენს **DWG**-ს ტიპის ფაილს.

DWF – ფაილის ეს ტიპიც ახალია. იგი გამოიყენება მაშინ, როცა ფაილი იქმნება ინტერნეტში გამოსაყენებლად ან სხვა მოსაზრებით როცა არ გვინდა სხვა მომხმარებელმა შეიტანოს მასში ცვლილებები, რადგან ამ ტიპის ფაილის კორექტირება შეუძლებელია. ეს არის გრაფიკული ნახაზის **WEB** ფორმატი. ფაილის ეს ტიპი შეიცავს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს დაათვალიეროს ნახაზები ინტერნეტში, კომპიუტერში პროგრამული პაკეტის **AutoCAD**-ის არსებობის გარეშე. აქვე აღვნიშნოთ, რომ შეგვიძლია ბრძანების **DWFOUT** (DWF გარეთ) გამოყენება რომელიც დიალოგურ ფანჯარის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომლის საშუალებით შეგვიძლია ამოსაბეჭდი პარამეტრების ცვლა (ნახ. 1).



ნახ. 1



ნახ. 2

SV$ - **AutoCAD**-ის ეს ფაილის ტიპი გამოიყენება ყოველთვის, როდესაც სრულდება ავტომატურად დამახსოვრება. ამ შემთხვევაში **AutoCAD**-ი შეინახავს ფაილს ავტომატურად გარკვეული ინტერვალის შემდეგ, კომპიუტერთა

უმრავლესობაში მათი შენახვა ხდება საქაღალდეში **Windows/Temp folder**. ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ **AutoCAD**-ს, თუ სად შეინახოს ფაილი.


Menu Bar ⇒ Tools ⇒ Options ⇒ Files ⇒ Automatic Save File Location

ამ დიალოგური ფანჯრის საშუალებით (ნახ. 2) შესაძლებელია მისამართის შეცვლა და სასურველი საქაღალდის მითითება. თუ კი საჭიროა ფაილის აღდგენა მაშინ ფაილს შეუცვალოთ სახელი **DWG**-თი და გავხსნათ იგი ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა გრაფიკული ფაილი (**BAK** ფაილის ანალოგიურად).
DXF – Drawing eXchange Format (ნახაზის გაცვლის ფორმატი) ეს არა არის **AutoCAD**-ის ორგანული ფაილის ტიპი, მაგრამ იგი მრეწველობაში მიღებულია სტანდარტულ ფაილად. იგი წარმოადგენს სტანდარტულ ფაილის ტიპს მრავალი **CAD** და გრაფიკული პროგრამებისათვის. ამ ტიპის ფაილის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია გაცვალონ ნახაზები მიუხედავად იმისა ინსტალირებული აქვთ თუ არა კომპიუტერში ერთი და იგივე პროგრამა. **DXF** ფორმატის გამოყენების შემთხვევაში ზოგიერთმა ობიექტმა შეიძლება შეიცვალოს ზოგიერთი თვისება მისი ხელახლა გახსნის შემდეგ, ისევე როგორც **DWG, DXF** ფორმატიც ვარირებს სხვა და სხვა ვერსიებს შორის. ამ ტიპის ფაილი შენახვა შესაძლებელია


Application Button  **⇒ Save As ⇒** ჩამოშლილ მენიუში შევარჩიოთ ნებისმიერი მათგანი

1. **AutoCAD Drawing**
2. **AutoCAD Drawing TemplaTe**
3. **AutoCAD Drawing Standards**
4. **Other Formats**

ფაილის სახელის მითითების შემდეგ (File name) გრაფაში **Files of type** (ფაილის ტიპები) მივუთითოთ **DXF** და ასევე მივუთითოთ ვერსია. იგივე შედეგის მიღება შესაძლებელია ბრძანების **DXFOUT** (DWF გარეთ) გამოყენებით (ნახ. 3). **DXF** ფაილის იმპორტირებისათვის გამოვიყენოთ ბრძანება **DXFIN** (ნახ. 4)**.**
WMF – ეს არის **Windows**-ის ფაილი. ამ ტიპის ფაილი შეგვიძლია გამოიყენოთ მაშინ, როცა გვინდა ნახაზის გამოყენება არა **CAD** პროგრამებში. მაგალითად: საჭიროა ნახაზის დამატება სურათად **Microsoft Word**-ს დოკუმენტში. ამისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ბრძანება **WMFOUT.**



ნახ. 3



ნახ. 4

WMF – ეს არის **Windows**-ის ფაილი. ამ ტიპის ფაილი შეგვიძლია გამოიყენოთ მაშინ, როცა გვინდა ნახაზის გამოყენება არა **CAD** პროგრამებში. მაგალითად: საჭიროა ნახაზის დამატება სურათად **Microsoft Word**-ს დოკუმენტში. ამისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ბრძანება **WMFOUT.**

3DS – ეს არის ფაილის გაფართოება **3Ds Studio Max**-სათვის, ეს პროგრამა განკუთვნილია მაღალი ხარისხის ანიმაციისა და ვიზუალიზაციისათვის, ხოლო იმპორტირება შესაძლებელია ბრძანების **3DSIN** საშუალებით.

JPG – ამ ფორმატის საშუალებით შესაძლებელია გრაფიკული გამოსახულების ექსპორტირება როგორც გამოსახულება, სურათი. იგი მოსახერხებელია **e-mail**-ისათვისა და **websites**-ათვის. ექსპორტირებისათვის გამოვიყენოთ ბრძანება **JPGOUT.** ამავე დროს უნდა შევუცვალოთ **AutoCAD** ფონი თეთრი ფერით.

BMP – ფაილის ეს ფორმატი გავს **JPG** ფაილის ტიპს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ ფაილის ზომა გაცილებით მეტია ვიდრე **JPG**-სი. ამ ფორმატში შენახვისათვის გამოვიყენოთ ბრძანება **BMPOUT.**

PDF – (**Portable Document Format,** პორტატული დოკუმენტის ფორმატი) ეს ფაილის ტიპიც არ წარმოადგენს **AutoCAD**-ის ორგანულ ფაილის ტიპს მაგრამ ამ ფორმატში შენახული ნახაზი შესაძლებელია გაიხსნას პროგრამის **Adobe Acrobat Reader**-ის საშუალებით.

Autodesk-ი არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი **CAD** (**computer-aided design** ავტომატიზებული დაპროექტება) პროგრამების მწარმოებელი კომპანია. **Autodesk**-ის ტექნოლოგია გამოიყენება შესაქმნელი კონსტრუქციის ციფრული მოდელების ვიზუალიზაციისათვის, მოდელირებისა და ანალიზისათვის დაპროექტების სტადიაში. იგი გვაძლევს არა მარტო მოდელის ეკრანზე დანახვის არამედ მისი გამოცდის საშუალებასაც.

საკვანძო სიტყვები: გრაფიკული ფაილები, გაფართოება.

ლიტერატურა

1. George Omura Mastering AutoCAD 2010 and AutoCAD LT 2010 (Auttodesk Official Training Gude) Wiley Publishing, Inc Indianapolis, Indiana Published simultaneously in Canada 2009
2. Donnie Gladfelter AutoCAD 2010 and AutoCAD LT 2010 NO EXPERIENCE REQUIRED (Autodesk Official Training Guide) Wiley Publishing, Inc Indianapolis, Indiana Published simultaneously in Canada 2009
3. www.autodesk.com.
www.we-r-here.com

AutoCAD File Formats AutoCAD-ის ფაილის ფორმატები

ნანა ნოზაძე, გოჩა ჩიტაიშვილი, ლილი პეტრიაშვილი

რეზიუმე

AutoCAD-ის საშუალებით შესაძლებელია სამგანზომილებიანი ობიექტების შექმნა, მოდიფიცირება და გამოყენება. სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა ორგანზომილებიანი ობიექტისაგან, ასევე იზომეტრიული გეგმილის

მიღება, მათ შორის **Wireframe** (კარკასული) მეთოდით. იგი გვაძლევს არა მარტო მოდელის ეკრანზე დანახვის არამედ მისი გამოცდის საშუალებასაც.

AutoCAD File Formats Форматы файлов **AutoCAD**

Нана Нозадзе, Гоча Читашвили, Лили Петриашвили

Резюме

Посредством **AutoCAD** возможно создание, модифицирование и применение трехмерных объектов. Создание трехмерной модели из двумерных объектов, а также получение изометрических проекций, в том числе **Wireframe** (каркасным) методом. Он дает возможность не только увидеть модель на экране, но и испытать ее.

AutoCAD File Formats

Nana Nozadze, Gocha Chitaishvili, Lili Petriashvili

Abstract


Creation, modification and usage of three-dimensional objects as well as creating a three-dimensional model of two-dimensional objects, and getting isometric projections, including **Wireframe** (wireframe) method can be made through **AutoCAD.** It provides an opportunity not only to see the pattern on the screen but also to test it.

Materials and Rendering მასალები და ტონირება

ნანა ნოზაძე, *სტუ ასოც. პროფესორი*
გოჩა ჩიტაიშვილი, *სტუ დოქტორანტი*
სტუ საქართველო,თბილისი, კოსტავას 77

AutoCAD-ის საშუალებით შესაძლებელია სამგანზომილებიანი ობიექტების შექმნა, მოდიფიცირება და გამოყენება. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მეთოდი **3D**-ში მუშაობის დროს არის ვიზიუალიზაცია, რომელიც გვაძლევს საშუალებას მივიღოთ ჩვენს მიერ შექმნილი ობიექტის ვირტუალური გამოსახულება. AutoCAD-ის საშუალებით ჩვენ ვიყენებდით დამალვის ფუნქციას (**hide**) და ასევე ფუნქციას ჩრდილი (**Shade**), რომელსაც **AutoCAD**-ი ავტომატურად ანიჭებდა ობიექტებს. მათი საშუალებით გვექმნებოდა წარმოდგენა, თუ როგორი იქნებოდა საბოლოო შედეგი. ახლა განვიხილოთ ვიზუალიზაციის სხვა მეთოდი **Render** რენდერირება (ტონირება). ეს არის ვიზუალიზაციის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება. მისი საშუალებით შესაძლებელია შექმნილ მოდელს მივანიჭოთ რეალური მასალები და განათება, რათა მივიღოთ რეალისტური წარმოდგენა ჩვენს მიერ შექმნილ მოდელზე.

ამ მეთოდის გამოყენებით რა თქმა უნდა შესაძლებელია იმ ობიექტების ვიზუალიზაციაც, რომელთაც არ აქვს მინიჭებული მასალები, მაგრამ საბოლოო შედეგი არ იქნება ისეთი რეალისტური, როგორც მასალა მინიჭებული ობიექტის ვიზუალიზაციის დროს.



ნახ. 1


ვიზუალიზაციის მეთოდის გამოყენების დროს, სასურველია სამუშაო არე **Workspace** გადავრთოთ **3D Modeling** (**3D** მოდელირება) სამუშაო არეზე (ნახ. 1).

მასალების მინიჭება თავისთავად არ წარმოადგენს რთულ ოპერაციას, გაცილებით რთულია, რომ საბოლოო შედეგი გამოიყურებოდეს ისე, როგორც რეალური. განათებისა და ჩრდილების რეალისტურად წარმოჩენა წარმოადგენს ცალკე ამოცანას, რომელსაც **AutoCAD**-ის ძველი ვერსიების მომხმარებლები წყვეტდენ სხვა პროგრამების საშუალებით (მაგალითად **Autodesk 3ds Max**), მაგრამ ახალი ვერსიები იძლევა ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საშუალებას.

მას შემდეგ რაც შეექმნით ობიექტს უნდა გადავწყვიტოთ თუ რა მასალა გვინდა მივანიჭოთ მას. **AutoCAD**-ს გააჩნია საკუთარი მასალების ბიბლიოთეკა, რომელიც რა თქმა უნდა საჭიროებისდა მიხედვით შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი ობიექტისათვის. **AutoCAD**-ი ასევე იძლევა ახალი მასალების შექმნის საშუალებას.

მოვძებნოთ **Tabs**-ზე ღილაკი **Render** (ტონირება), რომელიც 2-ე ნახაზზე არის მონიშნული. მასზე დაწკაპუნების შემდეგ **Ribbon**-ში (ლენტი) გამოჩნდება ხელსაწყოების ახალი კრებული, რომელთა საშუალებითაც მოვახდენთ ობიექტის ვიზუალიზაციას.

Tabs ⇒ Render ⇒ Ribbon




ნახ. 2

ბრძანებების სტრიქონში ავკრიფოთ **Materials** (მასალები) ან **Ribbon**-ში (ლენტი) მოვძებნოთ **Materials** (მასალები) და დავაწკაპუნოთ მის გვერდზე მდებარე ისარზე, რომელიც 2-ე ნახაზზე არის მონიშნული. **AutoCAD**-ის სამუშაო არის მარცხენა დაბალ კუთხეში გამოჩნდება წარწერა **Materials** (მასალები) 3-ე ნახაზზე იგი წითლადაა მონიშნული, რომელზეც დაწკაპუნების შემდეგ გაიშლება **Materials Palette** (მასალების პალიტრა) (ნახ. 3). **AutoCAD**-ის ძველი ვერსიების მომხმარებელთათვის ეს პალიტრა საკმაოდ განსხვავებული იქნება, მაგრამ მათთვის ვისაც უმუშავია **3D Studio MAX** ში მათთვის ეს პალიტრა

ნაცნობი იქნება. როგორც ამ პალიტრიდან ჩანს აქ არის უამრავი ხელსაწყო, რომელთა საშუალებით შეიძლება მივიღოთ **Render**-ების რენდერირების (ტონირება) შემდეგ ობიექტის უფრო რეალისტური გამოსახულება. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

3-ე ნახაზზე მარცხენა კუთხეში წითლად მონიშნულია სამი პიქტოგრამა:




1. **Swatch Geometry** – გეომეტრიული ნიმუში, რომელშიც მოთავსებულია სამი გეომეტრიული ფიგურა. თითოეულ მათგანზე დაწკაპუნების შემდეგ ფანჯარაში **Available Materials Drawing** (ხელმისაწვდომი მასალების ნახაზი) გამოჩნდება შესაბამისი გეომეტრიული ფიგურა, ფიგურების შეცვლა საჭიროა რათა თვალნათლივ დავაკვირდეთ მათზე ჩრდილების განლაგებას.
2. **Checkered Underlay On/Off** – ჭადრაკისებური ქვედა ფენა ჩართვა/გამორთვა, მისი საშუალებით ხდება უკანა ფონის ცვლილება, რაც ასევე მასალის სწორად აღქმისთვის არის საჭირო.
3. **Preview Swatch Lighting** – ნიმუშის განათების წინასწარ ნახვა, მასში განთავსებულია განათების ორი ნიმუში. ყურადღებით დავაკვირდეთ განათების მდებარეობას, რომელიც ყვითლადაა მონიშნული სფეროს ზედაპირზე.
4. დავაკვირდეთ მარჯვენა მხარეს წითლად მონიშნულ პიქტოგრამებს. განვიხილოთ თითოეული მათგანი:
5. **Create New Material** – შექმენი ახალი მასალა. მისი საშუალებით შესაძლებელია ახალი მასალის შექმნა.
6. **Purge from Drawing** – გაასუფთავე ნახაზი. მისი დახმარებით შეგვიძლია შექმნილი ნახაზის წაშლა.
7. **Indicate Materials in Use** – აჩვენე მასალები ხმარებაში.
8. **Apply Material to objects** – მიაკუთვნე მასალა ობიექტებს.  მასზე დაწკაპუნების შემდეგ კურსორი შეიცვლის ფორმას და იგი მიიღებს ფუნჯის ფორმას  მისი საშუალებით

მოვნიშნოთ ჩვენთვის სასურველი ყველა ობიექტი და დავაჭიროთ კლავიშს **Enter** რის შემდეგაც ყველა მონიშნულ ობიექტს მიენიჭება მასალები.

9. **Remove Materials from seleqted objects** – გადაადგილე (წაშალე) მასალა შერჩეული ობიექტებიდან. ეს ოპერაცია წარმოადგენს წინა ოპერაციის შებრუნებულ ოპერაციას. ობიექტების ფუნჯით მონიშვნის შემდეგ **Enter** კლავიშზე დაწკაპუნებით, ობიექტებს მოშორდება უკანასკნელად მინიჭებული მასალა. თუ როგორ უნდა მივანიჭოთ სხვადასხვა მასალა ობიექტს, განვიხილავთ ქვემოთ. ახლა მოვახდინოთ **Render** რენდერირება (ტონირება).


4-ე ნახაზზე ნაჩვენებია ორი კუბი, რომელთაგანაც პირველს მინიჭებული აქვს ხის მასალა, ხოლო მეორეს კი არა. როგორც ნახაზიდან ჩანს მათ შორის არ არის არავითარი განსხვავება. რომ დავრწმუნდეთ, რომ მასალა ნამდვილად აქვს მინიჭებული პირველ კუბს ბრძანებების სტრიქონში ავკრიფოთ **Render** რენდერირება (ტონირება).



ნახ. 4


ბრძანებების სტრიქონში ავკრიფოთ **Render** ან **Tabs ⇒ Render ⇒ Ribbon ⇒ Render** 

. გაიხსნება ახალი ფანჯარა, რომელშიც ასახულია ინფორმაცია ყველა შესრულებული ოპერაციის შესახებ (ნახ 5).




ნახ. 5

გარდა რენდერირებისა, შესაძლებელია ობიექტებზე მასალების ვიზუალიზაცია რეალურ დროში. ამისათვის რენდერირების ზოლში, **Visual Styles** (ვიზუალური სტილი) პანელზე მივუთითოთ ოპცია **Realistic** (ნახ. 6).




ნახ. 6



ნახ. 7

შემდეგ კი იგივე ზოლში მარჯვენა მხარეს არის ხელსაწყოთა პანელი **Materials** (მასალები), რომელშიც მივუთითოთ **Materials/Textures ON** (მასალა/ტექსტურა ჩართულია) (ნახ. 7). ეს ორი პარამეტრი (ნახ. 6, 7) გვაძლევს საკმაოდ რეალურ გამოსახულებას (ნახ. 8).



ნახ. 8

3-ე ნახაზზე **Material Editor-Global** (მასალების რედაქტორი-საერთო) წითლადაა მონიშნული და მასში განთავსებული ხელსაწყოების საშუალებით შესაძლებელია მასალების რედაქტირება. მასალების რედაქტირება ხდება სასრიალოს დახმარებით.

Shininess - სიკაშკაშე
Opacity – გაუმჭვირვალობა
Refraction index – გარდატეხის ინდექსი
Translucency – გამჭვირვალობა
Self-Illumination – თვით-განათება
Luminance – სიმკვეთრე

აქვე აღვნიშნოთ, რომ მასალების მინიჭება შეუძლებელია კარკასული მოდელებისა და იმ **3D** ობიექტებისათვის, რომლებიც ხაზის სისქის დახმარებითაა მიღებული.

ლიტერატურა

1. George Omura Mastering AutoCAD 2010 and AutoCAD LT 2010 (Auttodesk Official Training Gude) Wiley Publishing, Inc Indianapolis, Indiana Published simultaneously in Canada 2009
2. Donnie Gladfelter AutoCAD 2010 and AutoCAD LT 2010 NO EXPERIENCE REQUIRED (Autodesk Official Training Guide) Wiley Publishing, Inc Indianapolis, Indiana Published simultaneously in Canada 2009
3. www.autodesk.com.
www.we-r-here.com

Materials and Rendering მასალები და ტონირება

ნანა ნოზაძე, გოჩა ჩიტაიშვილი

ობიექტისათვის მასალის მინიჭების დროს, **AutoCAD**-ი იყენებს პროგრამის მიერ ავტომატურად მითითებულ პარამეტრებს. იმისათვის, რომ სწორად მოვახდინოთ ობიექტის ტონირება (**Render**), საჭიროა გამოვიყენოთ **Mapping** (გარდაქმნები), რის საშუალებითაც ხდება მასალების მაღალხარისხოვანი კორექტირება, რათა იგი გამოიყურებოდეს ისე, როგორც ჩვენ გვსურს. ამ ბრძანებების კარგად დაუფლება და მათი სწორად გამოყენება მოგვცემს საშუალებას, რომ ჩვენი ობიექტი ტონირების (**Render**) შემდეგ გამოიყურებოდეს რეალისტურად.

Materials and Rendering Материалы и тонирование

Нана Нозадзе, Гоча Читаишвили

Резюме

При присвоении объекту материала**, AutoCAD** использует автоматически указанные программой параметры. Для того, чтобы правильно осуществить тонирование (**Render**), необходимо использовать **Mapping** (отображение), посредством которого происходит высококачественная корректировка материалов, чтобы они выглядели так, как мы желаем. Хорошее овладение этими приказами и их правильное применение даст нам возможность, чтобы наш объект после тонирования (**Render**) выглядел реалистично.

Materials and Rendering

Nana Nozadze, Gocha Chitaishvili

Abstract


When you assign a material to any object, **AutoCAD** automatically uses these program options. In order to properly implement the rendering (**Render**), you must use **Mapping** (mapping), through which the materials are corrected in high quality to make it look like we want. Good mastery of these orders and the correct application will enable us to look our object as realistic after rendering (**Render**).

AutoCAD-ის გამოყენება საინჟინრო პრაქტიკაში

ნანა ნოზაძე, სტუ ასოც. პროფესორი
გოჩა ჩიტაიშვილი, სტუ დოქტორანტი
სტუ საქართველო,თბილისი, კოსტავას 77

AutoCAD-ი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საინჟინრო პროგრამული პაკეტია. სისტემის სახელწოდება არის შეკვეცილი სახელი **Automated Computer Aided Drafting and Design**-ავტომატური კომპიუტერული ხაზვა და დაპროექტება.

გამოვიყენოთ პროგრამული პაკეტი **AutoCAD**-ი საინჟინრო პრაქტიკის ერთ-ერთი მაგალითის შესასრულებლად. განვიხილოთ სააგარაკე სახლის გეგმა (ნახ. 1). ბრძანებების სტრიქონში ავკრიფოთ **DDUNITS** და გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში მივუთითოთ სასურველი ერთეულები (ნახ. 2).



ნახ. 1

გამოვრთოთ ზომების ფენა და შევქმნათ რეგიონი. ბრძანებების სტრიქონში ავკრიფოთ **Reg ⇒ Enter** ან **Tabs ⇒ Home ⇒ Ribbon ⇒ Draw ⇒ Region**




ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება: **Select objects:** (შეარჩიეობიექტი:) მარჯვნიდან მარცხნივ მოვნიშნოთ მთელი ობიექტი **⇒ Ente.** თუ ობიექტი დახაზულია გადაფარვისა და ნაპრალების გარეშე (წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვიყენოთ ბრძანება **Bpoly**), მაშინ მოხდება ობიექტის დარეგიონება, რის შესახებაც ბრძანებების სტრიქონი მოგვცემს ინფორმაციას **Regions created** (რეგიონი შექმნილია) (ნახ. 3 ბ).


რეგიონის შექმნის შემდეგ დავიწყოთ ამოწელვის (**Extrude**) ოპერაცია, რისთვისაც ბრძანებების სტრიქონში ავკრიფოთ **Ext** ან **Tabs ⇒ Ribbon ⇒Home**



⇒ Modeling ⇒ Extrude ⇒ Select objects to extrude: (შეარჩიე ობიექტი ამოწელვისათვის) მოვნიშნოთ მარჯვნიდან მარცხნივ ყველაფერი **⇒ Enter ⇒ Specify height of extrusion or**



ნახ. 2




ნახ. 3

[Direction/Path/Taper angle]: (მივუთითოთ ამოწელვის სიმაღლე ან [მიმართულება/ტრაექტორია/ დავიწროების კუთხე]: მივუთითოთ ამოწელვის სიმაღლე 3000 მმ (ნახ. 3 გ). ოპერაცია დასრულდება, მაგრამ თუ ჩვენ ვმუშაობდით ზედხედში (**Top view**), მაშინ ცვლილებების შემჩნევა შეუძლებელი იქნება. ამიტომ გადავიდეთ **SW** იზომეტრიაში (**SW isometric view**), ჩვენ დავინახავთ ამოწელილ ობიექტს. ასევე თუ გამოვიყენებთ ბრძანებას **Hide** ან **Conceptual** (დამალვა ან კონცეპტუალური) მივიღებთ 3 გ-ე ნახაზზე ნაჩვენებ გამოსახულებას (ამ შემთხვევაში გამოყენებულია ბრძანება **Conceoptual**). შემდეგ უკვე შეგვიძლია შევასრულოთ გამოკლების ოპერაცია (**Subtract**).

Tabs ⇒ Ribbon ⇒Home ⇒ Solid Editing ⇒ Subtract ⇒ ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება **Select objects:** (შეარჩიეობიექტი:) თავდაპირველად მოვნიშნოთ ყველაზე დიდი ობიექტი გარე კედელი და ⇒ **Enter,** ხოლო შემდეგ მოვნიშნოთ სათითაოდ ყველა ის ობიექტი, რომელიც გვინდა რომ გამოვაკლოთ ⇒ **Enter,** რის შემდეგაც ოპერაცია დასრულდება. ვიზუალიზაციისათვის გამოვიყენოთ **Visual Styles Manager** (ვიზუალური სტილის მენეჯერი) ან **Tabs ⇒ Home ⇒ Ribbon ⇒ View ⇒ Conceoptual,** რის შემდეგაც მივიღებთ 3-ე ნახაზზე ნაჩვენებ გამოსახულებას.


იგივე შედეგის მიღწევა შესაძლებელია ბრძანების **POLYSOLID** (პოლისხეული) **Tabs ⇒ Ribbon ⇒Home ⇒ Modeling ⇒ Polysolid**, ამ შემთხვევაში ბრძანებების სტრიქონში ყურადღება უნდა მივაქციოთ **Polysolid**-ის თვისებებს **Polysolid Height = 4.0000, Width = 0.2500, Justification = Center** (პოლისხეულის სიმაღლე = 4.000, სიგანე = 0.2500, გასწორება = ცენტრი) თავდაპირველად მივუთითოთ ჩვენთვის სასურველი თვისებები **Specify start point or [Object/Height/Width/Justify] <Object>: h** (შეარჩიე საწყისი წერტილი ან [ობიექტი/სიმაღლე/სიგანე/გასწორება]<ობიექტი>:**h**) მივუთითოთ **h** რათა შევარჩიოთ კედლის სიმაღლე ამ შემთხვევაში 3000 მმ ⇒ **Enter** ⇒ მივუთითოთ **w** რათა შევარჩიოთ კედლის სიგანე ამ შემთხვევაში 300 მმ ⇒ **Enter** ⇒ შემდეგ კი ავკრიფოთ **j** რათა შევარჩიოთ თუ, როგორ გავასწოროთ **Polysolid**-ი. მონი-



ტორზე გამოჩნდება პატარა დიალოგური ფანჯარა ჩვენ მივუთითოთ **Left** (მარცხნივ) და თაგუნას მარცხენა ღილაკით დავაწკაპუნოთ მასზე. ამის შემდეგ შევარჩიოთ საწყისი წერტილი, დავაწკაპუნოთ მასზე თაგუნას მარცხენა ღილაკით და თანმიმდევრობით მივყვეთ გარე კედელს. ყველა კუთხეში თაგუნას მარცხენა ღილაკზე დავაწკაპუნოთ, სამი კედლის შემოვლის შემდეგ დავაკვირდეთ ბრძანებების სტრიქონს **Specify next point or [Arc/Close/Undo]: c** (შეარჩიეშემდეგი წერტილი ან [რკალი/დახურვა/გაუქმება: **c**) ავკრიფოთ **c ⇒ Enter** და პოლისხეული შეიკვრება. ჩვენ მივიღებთ 4ე ნახაზზე ნაჩვენებ გამოსახულებას. ამავე მეთოდით შესაძლებელია დანრჩენი კედლების აგებაც.

ყველაზე მარტივ გზას იგივე შედეგის მისაღწევად წარმოადგენს ბრძანება **Press/Pull**.

Tabs ⇒ Ribbon ⇒Home ⇒ Modeling ⇒ Press/Pull  ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება **Click inside bounded areas to press or pull** (დააწკაპუნე შიგა არის საზღვარზე რომ დაწნეხო ან ამოწიო) მივიტანოთ კურსორი გარე კედლის




ნახ. 4

შიგა არესთან და დავინახავთ, წყვეტილად მონიშნულ ამოსაწევ არეს და დავაწკაპუნოთ თაგუნას მარცხენა ღილაკზე. დავინახავთ, რომ ობიექტი დაიწყებს ამოწვლას, ავკრიფოთ კედლის სიმაღლე 3000 მმ **⇒ Enter**. ოპერაცია დასრულდება და შედეგი იქნება იგივე რაც 4-ე სურათზეა ნაჩვენები.

შენობის კედლები შესაძლებელია ავაგოთ ზემოთ განხილული ერთ-ერთი მეთოდის დახმარებით, რომელიც ჩვენთვის უფრო მისაღებია და ხელსაყრელია გეგმის მიხედვით. კედლების აგების შემდეგ დავამატოთ მას კარები. დავხაზოთ მართკუთხედი იმ ადგილას სადაც უნდა იყოს კარები. ავაგოთ მართკუთხედი, რომლის საბაზისო წერტილის კოორდინატები არის 4350, 0.


Rec ⇒ Enter ან **Tabs ⇒ Home ⇒ Ribbon ⇒ Draw ⇒ Rectangle**  4350,0 **⇒ Enter ⇒ D ⇒ Enter ⇒ 1610 ⇒ Enter ⇒ 300 ⇒ Enter** და თაგუნას მარცხენა ღილაკით დავაწკაპუნოთ სახლის შიგა მხარეს.



ნახ. 5


შემდეგ შევასრულოთ მართკუთხედის ამოწელვის ოპერაცია (**EXTRUDE**) (ნახ. 5), ხოლო შემდეგ კი გამოკლების ოპერაცია (**SUBTRACT**).

ანალოგიურათ გამოვიღოთ ღიობები ყველა კარისათვის. ახლა კი ამოვიღოთ ღიობების ფანჯრისთვისაც, რომელიც შესრულდება ანალოგიური ოპერაციების საშუალებით. მართკუთხედის ამოწელვის შემდეგ გადავაადგილოთ იგი ვერტიკალურად ზევით **Z** ღერძის მიმართულებით 800 მმ-ზე და შევასრულოთ გამოკლების ოპერაცია (ნახ. 6).




ნახ. 6

კარებებისა და ფანჯრების ღიობების ამოღების შემდეგ საჭიროა დავხაზოთ სახლის სახურავი. თავდაპირველად აუცილებელია შევცვალოთ



ნახ. 7

UCS. User Co-ordinate System (მომხმარებლის კოორდინატთა სისტემა). ბრძანებების სტრიქონში ავკრიფოთ **UCS ⇒ Enter** პროგრამა მოგვცემს შემდეგ მითითებას **Specify origin of UCS or [Face/ NAmed/ OBject/ Previous/ View/World/X/Y/Z/ZAxis]** (შეარჩიეUCS-ს სათავე ან [სახე/ სახელობითი/ ობიექტი/წინა/ხედი/მსოფლიო/X/Y/Z/Zღერძი]) ჩვენთვის შემთხვევაში უკეთესი იქნება შევარჩიოთ **3 point** (3 წერტილი) ავკრიფოთ 3 **⇒ Enter ⇒ Specify new origin point <0,0,0>:** (შეარჩიეახალი სათავე <0,0,0>:) მივუთითოთ სათავე შემდეგ **X** და **Y** ღერძის მიმართულება (ნახ. 6). **Line**-ის დახმარებით კედლის შუა წერტილიდან აღვმართოთ მართობი და გადავზომოთ სხვენის სიმაღლე, შემდეგ კი **Polyline**-ის საშუალებით ავაგოთ სამკუთხედი (ნახ. 7), მოვახდინოთ მისი ამოწელვა (**Extrude**). დავაკოპიროთ (**Copy**) ეს ობიექტი და გადავიტანოთ სახლის უკანა კედელზეც და ბოლოს წავშალოთ ვერტიკალური ხაზი. გავაერთიანოთ (**Union**) აგებული ობიექტი სახლის კედელთან. მოდელის დასრულებისათვის კიდევ საჭიროა სახურავი, რისთვისაც კვლავ დაგვჭირდება **UCS** თავიდან გასწორება ისე, როგორც 8-ე ნახაზზეა ნაჩვენები.



ნახ. 8

ახლა ბრძანების **Rec** დახმარებით დავხაზოთ მართკუთხედი ისე როგორც 8-ე ნახაზზეა ნაჩვენები. **Rec** ან **Tabs ⇒ Ribbon ⇒ Home ⇒ Draw ⇒ Rectangle** . დავხაზოთ მართკუთხედი შემდეგ ამოვწელოთ (**Extrude**) იგი. ბოლოს დავუბრუნდეთ **WCS**-ს **World Co-ordinate System** (მსოფლიო კოორდინატთა სისტემა) რისთვისაც ავკრიფოთ **Ucs ⇒ Enter ⇒ Enter**. სარკის გამოყენებით **Mirror** ავაგოთ სახურავის მეორე მხარე.

Mi ⇒ Enter ან **Home ⇒ Ribbon ⇒ Modify ⇒ Mirror**

AutoCAD-ი ეს არის ავტომატიზებული დაპროექტირების სისტემა ორ და სამგანზომილებიანი პროექტებისა და ხაზვისათვის. . ამასთან მისი გამოყენების საშუალებით შესაძლებლია ნახაზისა და მოდელების შექმნა მაღალი ხარისხით.

ლიტერატურა

1. George Omura Mastering AutoCAD 2010 and AutoCAD LT 2010 (Auttodesk Official Training Gude) Wiley Publishing, Inc Indianapolis, Indiana Published simultaneously in Canada 2009
2. www.autodesk.com.
www.we-r-here.com

AutoCAD-ის გამოყენება საინჟინრო პრაქტიკაში

ნანა ნოზაძე, გოჩა ჩიტაიშვილი

რეზიუმე

AutoCAD-ი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საინჟინრო პროგრამული პაკეტია. თანამედროვე ეტაპზე პროგრამას შეუძლია კომპლექსური სამგანზომილებიანი მოდელირება, მათ შორის ზოგადი ფორმების, სამგანზომილებიანი ზედაპირების მოდელების შექმნა და რედაქტირება. მას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს საინჟინრო საქმით დაინტერესებულ პირებს.

Применение AutoCAD в инженерной практике

Нана Нозадзе, Гоча Читаишвили

AutoCAD – один из самых популярных инженерных программных пакетов. На современном этапе программа может осуществлять комплексное трехмерное моделирование, в том числе создание и редактирование общих форм, моделей трехмерных поверхностей. Она может оказать большую услугу лицам, интересующимся инженерным делом.

Using of AutoCad in engineering practice

Nana Nozadze, Gocha Chitaishvili

Abstract

AutoCAD is one of the most popular engineering software packages. At the current stage, the program can perform complex three-dimensional modeling, including the creation and editing of common shapes, models of three-dimensional surfaces. It can be of great service to individuals interested in engineering.

ტვირთის ვარდნის სიმაღლის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა დარტყმის დროს

ანზორ ხაბეიშვილი, მარიამ ხაბეიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,

დრეკადი სისტემის დინამიკური გაანგარიშების დროს არსებული მეთოდები და ხერხები ძირითადად დაფუძნებულია დინამიკურობის კოეფიციენტის განსაზღვრაზე, რაც ზოგიერთ შემთხვევაში გაძნელებულია, ამიტომ დარტყმის წერტილში წარმოშობილი დინამიკური ძალა გამარტივებული ინჟინრული ხერხით [1] დავადგინოთ.

გამარტივებული ინჟინრული ხერხის მიხედვით ვარდნილი ტვირთი აგროვებს კინეტიკურ ენერგიას, რომელიც მთლიანად გადადის დეფორმაციის პოტენციალურ ენერგიაში (ენერგიის კარგვა თელვაზე და ხახუნზე უგულვებელყოფილია) [2]:

$$T = U, \qquad (1)$$

სადაც პოტენციალური ენერგია განისაზღვრება დინამიკური მღუნავი მომენტის საშუალებით [3]:

$$U = \sum_{i=1}^{n} \int_{\ell} \frac{M_{\text{დ}}^2(x)}{2EI} dx . \qquad (2)$$

განვიხილოთ ორ საყრდენზე თავისუფლად მდებარე მუდმივკვეთიანი, ერთგვაროვანი დრეკადი კოჭი, რომლის შუაში H სიმაღლიდან Q ტვირთი ეცემა (ნახ. 1, ა). დრეკადი კოჭის შეხებამდე ვარდნილი ტვირთის მიერ დაგროვილი კინეტიკური ენერგია ტოლია:

$$T = Q \cdot H . \qquad (3)$$

მოვდოთ დინამიკური $P_{\text{დ}}$ ძალა დარტყმის წერტილში (ნახ. 1, ბ). ამ შემთხვევაში დინამიკური მღუნავი მომენტი სიმეტრიულობის გამო პირველ და მეორე უბანში განისაზღვრება გამოსახულებით:

$$M_{\text{დ}}(x) = \frac{P_{\text{დ}}}{2} x \quad \left(0 \le x \le \frac{\ell}{2}\right). \qquad (4)$$

(2)-ის მიხედვით ცხადია, რომ პოტენციალური ენერგია

$$U = 2 \int_{0}^{\ell/2} \frac{P_{\text{დ}}^2 x^2}{8EI} dx = \frac{P_{\text{დ}}^2 \ell^3}{96EI} . \qquad (5)$$

(1)-ში ჩავანაცვლოთ (3) და (5), მივიღებთ:

$$QH = \frac{P_{\text{დ}}^2 \ell^3}{96EI}, \text{ საიდანაც } P_{\text{დ}} = \sqrt{\frac{96QHEI}{\ell^3}} .$$

ვინაიდან მაქსიმალური დინამიკური ძაბვა $_{\max}\sigma_{\text{დ}} = \frac{M_{\text{დ}}^{\max}}{W}$, და

$M_{\text{დ}}^{\max} = \frac{P_{\text{დ}} l}{4} = \sqrt{\frac{6QHEI}{\ell}}$, გვექნება:

$$_{\max}\sigma_{\text{დ}} = \sqrt{\frac{6QHEI}{W^2 \ell}} . \qquad (7)$$

სიმტკიცის პირობას აქვს სახე:


$_{\max}\sigma_{\text{დ}} \le [\sigma]_{\text{დ}}$, ანუ $\frac{6QHEI}{W^2 \ell} \le [\sigma]_{\text{დ}}^2$, საიდანაც მივიღებთ:

$$H \le \frac{[\sigma]_{\text{დ}}^2 W^2 \ell}{6QEI} . \qquad (8)$$

(8) არის განივი დარტყმის დროს ვარდნის სიმაღლის ოპტიმალური სიდიდის საანგარიშო ფორმულა.

რიდესაც დრეკადი სისტემის დინამიკური ძაბვა აღემატება დასაშვებ ძაბვას და სისტემის და ვარდნილი ტვირთის შეცვლა არ შეიძლება, მაშინ (8)-ის გამოყენებით დინამიკური სიმტკიცის პირობა დაცულია.

მაგალითი. დავადგინოთ ტვირთის ვარდნის ოპტიმალური სიმაღლე თუ მოცემულია $Q = 50$ კგ; $l = 3$ მ; $E = 2 \cdot 10^6 \ \frac{\text{კგ}}{\text{სმ}^2}$; $[\sigma]_{\text{დ}} = 1200 \ \frac{\text{კგ}}{\text{სმ}^2}$; $H = 12$ სმ; $I = 350$ სმ^4; $W = 58.4$ სმ^3 (კოჭის განივი კვეთი არის № 12 ორტესებრი) (ნახ. 1, ა).



ნახ. 1

ამოხსნა. (7)-ში ცნობილი სიდიდეების ჩანაცვლებით მივიღებთ:

$$_{\max}\sigma_{ღ}=\sqrt{\frac{6\cdot 50\cdot 12\cdot 2\cdot 10^{6}\cdot 350}{58{,}4^{2}\cdot 300}}=1569\ \ \frac{კგ}{სმ^{2}}.$$

მიღებული სიდიდე მეტია დასაშვებ ძაბვაზე $\frac{1569-1200}{1569}\cdot 100\%\approx 23{,}5\%$-ით, რაც აღემატება 5% და მაშასადამე სისტემა მტკიცე არ არის.

ვარდნის სიმაღლე (8)-ით ვიანგარიშოთ, გვექნება:

$$H\le\frac{1200^{2}\cdot 58{,}4^{2}\cdot 300}{6\cdot 50\cdot 2\cdot 10^{6}\cdot 350}=7{,}02\ \ სმ,\ \ ე.ი.\ \ H=7\ \ სმ.$$

(7)-ში H-ის შეცვლით $_{\max}\sigma_{ღ}=1198\ \frac{კგ}{სმ^{2}}$.

ამ შემთხვევაში სიმტკიცის პირობა დაცულია:

$$\frac{1200-1198}{1200}\cdot 100\%\approx 0{,}17\%<5\%.$$

ანალოგიურად გრძივი დარტყმის შემთხვევაში გვექნება:

$$P_{ღ}=\sqrt{\frac{2QHEF}{\ell}};\ \ _{\max}\sigma_{ღ}=\sqrt{\frac{2QHE}{F\ell}};\qquad H=\frac{[\sigma]_{ღ}^{2}F\ell}{2QE}..$$

დასკვნა

1. მიღებული დინამიკური ძალის და ძაბვის საანგარიშო ფორმულები მარტივია და გამოიყენება, როცა დინამიკურობის კოეფიციენტის განსაზღვრა გაძნელებულია ან შეუძლებელი.

2. დადგენილი ტვირთის ვარდნის სიმაღლის ოპტიმალური სიდიდის საანგარიშო ფორმულა წარმოადგენს სიახლეს; მისი გამოყენებით დინამიკაზე სიმტკიცის პირობა მექანიკურად დაცულია.

3. საანგარიშო ფორმულების მიღების მეთოდიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ განივი, გრძივი და სხვა დარტყმების დროს.

4. მიღებული შედეგები არ განსხვავდება სხვა მეთოდებით განსაზღვრული სიდიდეებისაგან.

ლიტერატურა

1. ა. ხაბეიშვილი, ზ. ანთელიძე. დინამიკური გაანგარიშების ახალი ინჟინრული ხერხი. სტუ-ის სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ № 2(17), 2010, თბილისი, გვ. 189-192.
2. Писаренко Г.С., Агарев В.А., Квитка А.Л., Попков В.Г., Уманский Э.С. Сопротивление материалов. Киев. Головное изд-во объединения «Высшая школа». 1986, с. 700-712.
3. Долинский Ф.В., Михайлов М.Н. Краткий курс сопротивления материалов. Изд-во «Высшая школа», Москва, 1988. с. 213.

Определение оптимального значения высоты подающего груза при ударе

А.Д. Хабеишвили, М.А. Хабеишвили
Грузинский технический университет,
Тбилиси, ул. Костава 77

Резюме

Рассматривается упругая балка на двух апорах, на которую свободно падает груз с высоты.

Получена общая расчетная формула для определения оптимального значения высоты падающего груза во время поперечного и продольного удара.

Для динамического расчета применяется инженерный способ.

Ключевые слова: Оптимальная значения; инженерный способ.

Determination of Optimal Height of Cargo Download in case of Shock

A. Khabeishvili, M. Khabeishvili
Technical University of Georgia,
77, Kostava str. Tbilisi

Summary

This Article describes the elastic beam placed on two supports, on which a freely downloaded cargo falls.

The general calculation formulas for determining the oprimal height of fall is received.

The dynamical calculations are carried out through the engineering way.


ლილვის დიამეტრის და ბრუნთა რიცხვის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა გრეხით დარტყმის დროს

ანზორ ხაბეიშვილი, მარიამ ხაბეიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, მ. კოსტავას 77

მანქანათმშენებლობაში გრეხითი დარტყმა ხშირად გამოწვეულია არა რაიმე ტვირთის ვარდნით, არამედ დიდი აჩქარების (სწრაფად მრუნავი) მქონე მასების ინერციის ძალებით, რომლებიც ძირითადად წარმოიშობა მაშინ, როდესაც ლილვები მუხრუჭდება.

გრეხითი დარტყმის დროს ლილვში დინამიკური ძაბვები და დეფორმაციები განისაზღვრება მგრეხი ღეროების დეფორმაციის პოტენციალური ენერგიის საშუალებით.

განვიხილოთ ℓ სიგრძის და d დიამეტრის ლილვი, რომლის მარჯვენა ბოლოზე დამაგრებულია D დიამეტრის Q წონის მქნევარა (დისკო), რომელიც ბრუნავს მუდმივი ω კუთხური სიჩქარით (ნახ. 1).



ნახ. 1

როდესაც მარცხენა საკისარი მუხრუჭდება, მაშინ ენერგეტიკული ბალანსის საფუძველზე

$$U_д = T, \tag{1}$$

სადაც $U_д$ არის ლილვის დეფორმაციის პოტენციალური ენერგია; T – მქნევარას მასის შესაბამისი კინეტიკური ენერგია.

გრეხის დროს დეფორმაციის პოტენციური ენერგია განისაზღვრება ფორმულით [1]:

$$U_д = \frac{M_д \varphi_д}{2}, \tag{2}$$

სადაც $M_д$ არის დინამიკური მგრეხავი მომენტი; $\varphi_д$ – შესაბამისი ℓ სიგრძის ლილვის გრეხილობის კუთხე, რომელიც ტოლია [2]:

$$\varphi_д = \frac{M_д \ell}{GI_p}, \tag{3}$$

სადაც I_p არის განივი კვეთის პოლარული ინერციის მომენტი; G – იუნგის მოდული.

(2)-ში (3)-ის ჩანაცვლებით გვექნება:

$$U_д = \frac{M_д^2 \ell}{2GI_p}. \tag{3}$$

მქნევარას მასის კინეტიკური ენერგია

$$T = \frac{I_m \omega^2}{2}, \tag{5}$$

სადაც I_m არის მქნევარას მასის პოლარული ინერციის მომენტი ბრუნვის ღერძის მიმართ. ω –კუთხური სიჩქარე და ტოლია $\omega = \frac{n\pi}{30}$ (n არის ბრუნთა რიცხვი წუთში).

(1)-ის საფუძველზე (4) გაუტოლოთ (5)-ს და განვსაზღვროთ დინამიკური მგრეხავი მომენტი, გვექნება:

$$M_{\text{დ}} = \sqrt{\frac{GI_m I_p}{\ell}\omega^2}\ . \tag{6}$$

მაქსიმალური დინამიკური მხები ძაბვა განისაზღვრება ფორმულით:

$$_{\max}\tau_{\text{დ}} = \frac{M_{\text{დ}}}{W_p}, \tag{7}$$

სადაც W_p არის ლილვის განივი კვეთის პოლარული წინაღობის მომენტი.

(7)-ში ჩავანაცვლოთ (6)-ი, მივიღებთ:

$$_{\max}\tau_{\text{დ}} = \omega\sqrt{\frac{GI_m}{\ell}\frac{I_p}{W_p^2}}\ . \tag{8}$$

ვინაიდან წრიული კვეთისათვის

$I_p = \frac{\pi d^4}{32}$, $W_p = \frac{\pi d^3}{16}$, $\frac{I_p}{W_p^2} = \frac{8}{\pi d^2}$ და $I_m = \frac{QD^2}{8g}$, (8)-ში ამ სიდიდეების გათვალისწინებით გვექნება :

$$_{\max}\tau_{\text{დ}} = \omega\sqrt{\frac{GQD^2}{\pi d^2 g\ell}} = \frac{\omega D}{d}\sqrt{\frac{GD}{\pi g\ell}}\ . \tag{9}$$

(9) წარმოადგენს მაქსიმალური დინამიკური მხები ძაბვის საანგარიშო ფორმულას გრეხითი დარტყმის დროს.

როდესაც დინამიკაზე სიმტკიცის პირობა $_{\max}\tau_{\text{დ}} \le [\tau]_{\text{დ}}$ არ კმაყოფილდება, მაშინ მიზანშეწონილია შევცვალოთ ლილვის დიამეტრის სიდიდე ან ბრუნვა რიცხვი; მათი შეცვლა ხდება ალბათობითი შერჩევით, რაც იწვევს დამატებით მათემატიკურ გაანგარიშებას.

ალბათობა, რომ გამოვრიცხოთ, ამისათვის საჭიროა გამოვიყვანოთ ლილვის დიამეტრის სიდიდის ოპტიმალური მნიშვნელობის საანგარიშო ფორმულა, რომლის გამოყენებით მექანიკურად დაკმაყოფილდება სიმტკიცის პირობა.

დინამიკაზე სიმტკიცის პირობაში ჩავანაცვლოთ (9), მივიღებთ [3]:

$$\frac{\omega D}{d}\sqrt{\frac{GD}{\pi g\ell}} \le [\tau]_{\text{დ}}\ . \tag{10}$$

(10)-დან

$$d \ge \frac{\omega D}{[\tau]_{\text{დ}}}\sqrt{\frac{GD}{\pi g\ell}}\ . \tag{11}$$

ანალოგიურად შეგვიძლია განვსაზღვროთ კუთხური სიჩქარე (10)-დან:

$$\omega \le \frac{[\tau]_{\text{დ}} d}{D\sqrt{\frac{GD}{\pi g\ell}}}\ . \tag{12}$$

ვინაიდან $\omega = \frac{n\pi}{30}$, (12)-ით გვექნება:

$$n \le \frac{30[\tau]_{ღ} d}{D\sqrt{\frac{GD}{g\ell}\pi}}. \qquad (13)$$

(11) და (13) არის შესაბამისად ლილვის დიამეტრის სიდიდის და ბრუნთა რიცხვის ოპტიმალური მნიშვნელობების საანგარიშო ფორმულები, რომლებიც წარმოადგენს სიახლეს.

მაგალითი. ნახ.1-ზე მოცემული ლილვისათვის განვსაზღვროთ მაქსიმალური დინამიკური მხები ძაბვა, ლილვის დიამეტრის სიდიდის და ბრუნთა რიცხვის ოპტიმალური მნიშვნელობები, თუ მოცემულია: $\ell = 1$ მ, $d = 12$ სმ; $D = 60$ სმ, $Q = 30$ კგ, $G = 8 \cdot 10^5 \ \frac{კგ}{სმ^2}$, $n = 120 \ \frac{ბრ}{წთ}$, $g = 981 \ \frac{სმ}{წმ^2}$, $[\tau]_{ღ} = 400 \ \frac{კგ}{სმ^2}$.

(9)-ში ცნობილი სიდიდეების ჩანაცვლებით მივიღებთ:

$$_{\max}\tau_{ღ} = \frac{\omega D}{d}\sqrt{\frac{GD}{\pi g\ell}} = \frac{12{,}56 \cdot 60}{12}\sqrt{\frac{8 \cdot 15^5 \cdot 30}{3{,}14 \cdot 981 \cdot 100}} = 554 \ \frac{კგ}{სმ^2}.$$

მიღებული სიდიდე სიმტკიცის პირობას არ აკმაყოფილებს, ვინაიდან განსხვავება

$$\frac{_{\max}\tau_{ღ} - [\tau]_{ღ}}{_{\max}\tau_{ღ}} \cdot 100\% \approx 28\%\text{-ია, რაც აღემატება } 5\%\text{-ს.}$$

დავადგინოთ ლილვის დიამეტრის სიდიდის ოპტიმალური მნიშვნელობა (11)-ის გამოყენებით, გვექნება:

$$d \ge \frac{\omega D}{[\tau]_{ღ}}\sqrt{\frac{GD}{\pi g\ell}} = \frac{12{,}56 \cdot 60}{400}\sqrt{\frac{8 \cdot 10^5 \cdot 30}{3{,}14 \cdot 981 \cdot 100}} \approx 16{,}6 \ \text{სმ. ე.ი. } d = 17 \ \text{სმ.}$$

ამ სიდიდის გამოყენებით დინამიკური ძაბვა

$$_{\max}\tau_{ღ} = 554 \cdot \frac{12}{17} = 391 \ \frac{კგ}{სმ^2}.$$

სიმტკიცის პირობა კმაყოფილდება $391\frac{კგ}{სმ^2} < 400\frac{კგ}{სმ^2}$, განსხვავება 2,25%<5%-ზე.

ანალოგიურად (10)-დან კუთხური სიჩქარე ტოლია:

$$\omega \le \frac{[\tau]_{ღ} d}{D\sqrt{\frac{GD}{\pi g\ell}}} = \frac{400 \cdot 12}{60\sqrt{\frac{8 \cdot 10^5 \cdot 30}{3{,}14 \cdot 981 \cdot 100}}} \approx 9{,}06 \ \frac{1}{წმ} \ ; \ \text{ავიღოთ } \omega = 9 \ \frac{1}{წმ}$$

შესაბამისი მაქსიმალური დინამიკური ძაბვა

$$_{\max}\tau_{ღ} = 554\frac{9}{12{,}56} = 397 \ \frac{კგ}{სმ^2}.$$

სიმტკიცის პირობა დაცულია : $397\frac{კგ}{სმ^2} < 400\frac{კგ}{სმ^2}$, განსხვავება 0,75%-ია.

ვინაიდან $\omega = \frac{n\pi}{30}$, ბრუნთა რიცხვი $n = \frac{9 \cdot 30}{3{,}14} \approx 86 \frac{\text{ბრ}}{\text{წთ}}$.

დასკვნა

ლილვის დიამეტრის და ბრუნვის კუთხური სიჩქარის ოპტიმალური მნიშვნელობების საანგარიშო ფორმულები მიღებულია მარტივი მეთოდით და წარმოადგენს სიახლეს.

მათი გათვალისწინება (ლილვის დიამეტრის ან კუთხური სიჩქარის სიდიდეების) მექანიკურად აკმაყოფილებს სიმტკიცის პირობას.

ისინი გამოიყენება, მაშინ, როდესაც მოცემულ სისტემაში წარმოშობილი მაქსიმალური დინამიკური ძაბვა, დასაშვებ ძაბვისაგან 5%-ზე მეტად განსხვავდება.

მოცემული მეთოდიკა გამოიყენება, როგორც გრეხითი, ისე განივი და გრძივი დარტყმის დროს.

ლიტერატურა

1. ა. ხაბეიშვილი, თ. ბაციკაძე, ქ. ალავიძე. მასალათა გამძლეობა. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2010, გვ. 369-375.
2. Писаренко Г.С., Ашарев В.А. и др. Сопротивление материалов. Киев. Головное издательство объединения «Высшая школа», 1986, с. 705-708.
3. ანზორ ხაბეიშვილი, მარიამ ხაბეიშვილი. დარტყმითი და სტატიკური დატვირთვის მოქმედებისას დრეკადი სისტემის განივკვეთის ზომების განსაზღვრა. სტუ-ის სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“. № 3(6), 2012, თბილისი, გვ. 115-120.

Определение оптимального значения диаметра вала и числа оборотов во время крутильного удара

А.Д. Хабеишвили, М.А. Хабеишвили
Грузинский технический университет, Тбилиси, ул. Костава 77

Рассматривается расчет вала, находящихся под действием скручивающихся ударных нагрузок.

Даны расчетные формулы для определения оптимального значения диаметра вала и углевой скорости во время ударного кручения.

Применение этих величин условие прочности выполняется.

Ключевые слова: ударное кручение, угловая скорость

Determination of the Optimal Values of the Shaft Diameter and Ritations Number in Case of Torsion Shock

Anzor Khabeishvili, Mariam Khabeishvili
Georgian Technical University, 77, Kostava street, Tbilisi

The article describes a shaft's dynamical calculation in case of the torsion shock. The formulas for calculation of optimal calues of the shaft's diameter and the rotations number are received. With taking into account these values, the strength-related condition is met.

Key words: Tirsion shock; Angular velocity; Staft.

არქიტექტურა/Архитектура/ *A*rchitectura

არქიტექტურული კონტექსტი

ნინო იმნაძე, *ასოცირებული პროფესორი,სტუ.*
დიანა რეხვიაშვილი, *არქიტექტორი, დოქტორანტი,სტუ.*

მე-XX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო კულტურაში არქიტექტურამ განიცადა ფუნდამენტური ცვლილებები. ტექნიკური რევოლუციის ეპოქამ რადიკალურად შეცვალა ჩვენი წარმოდგენები არქიტექტურულ თეორიასა და პრაქტიკაზე. უდაოა, ამ ეპოქის მიღწევაა არქიტექტურული ფორმის ძიების სფეროს გაფართოება, მისი ისტორიული პროტოტიპების გარდაქმნა ყველა შესაძლო პლასტიურ და სივრცულ სტრუქტურებად, რომელიც მათ შორის გულისხმობს ისტორიული ფორმების უარყოფასაც. თუმცა ამ ფორმებმა დროთა განმავლობაში დაკარგეს აქტუალობა. გახდნენ თავისი თავის აღმნიშვნელები, რომლებიც ქმნიდნენ სულ უფრო და უფრო ჩაკეტილ სამყაროს გეომეტრიული და ტექნიკური სრულყოფილებით. ამდენად, საკითხი ახალი ფორმის რელევანტობისა კულტურასთან რჩება ღიად. შესაძლოა შემდგომი ძიებები მიმართული უნდა იყოს არქიტექტურული სამყაროს და არქიტექტურული ფორმის დაბრუნებაზე კულტურაში. ასეთ სიტუაციაში არქიტექტურას კვლავ უწევს დაფიქრება საკითხზე თუ როგორ დაუბრუნოს ძველ და ახალ ფორმებს სუბსტანციური აზრი და შინაარსი, რომ ფორმა განთავისუფლდეს კვდომისგან და მეორადობისგან. არქიტექტურა მიმართოს თანამედროვე ხუროთმოძღვრებასა და საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებას შორის კავშირის ძიებაზე. დღეს, ერთიანი არქიტექტურული სტილების ნაკადში, სცენაზე გამოდის მრავალმიმართულიანი და მრავალსახიანი შემოქმედებითი ჰიპოთეზები ორიენტირებული არქიტექტურული ნაწარმოების თვითიდენთიფიკაციაზე, კონტექსტის ძიებაზე ადგილთან, გარემოს ტიპთან, ისტორიულ ტრადიციასთან. ამდენად კონტექსტის, როგორც შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთი ფორმის შესწავლა და გაანალიზება ჩვენი თვალსაზრისით ძალზე აქტუალურია.

კონტექსტი ეს არის ახალი მხატვრული ფორმის კავშირი ერთის მხრივ, მრავალფენიან, არქიტექტურული ტექსტებით დატვირთულ ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოსთან, მეორეს მხრივ გარემოს სახით გამოვლენილ რეგიონალურ, ნაციონალურ არქიტექტურულ ენასთან, ტრადიციასთან, რომელიც ახალ არქიტექტურულ ფორმასთან სინთეზში ქმნის კონკრეტულ რეალობას “ ენიუს ოცი”. კონტექსტი შეიძლება გავიგოთ, როგორც შეხედულებათა და დამოკიდებულებათა სისტემა, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა სოციოკულტურული სისტემათა და სამყაროთა შეჯახებისას და რომელსაც მივყევართ თითოეული კულტურის ახლებურ გააზრებასთან. დიალოგის ეფექტი, რომელიც ახასიათებს კონტექსტუალიზმს გარემოსა და ტრადიციასთან ურთიერთობისას, გამოიხატება რამდენიმე პოზიტიურ შედეგში: ასეთი დიალოგი ხელს უწყობს არქიტექტურული მრავალენიანობის განვითარებას; იგი თვით ტრადიციის მხატვრული სისტემის ევოლუციის გაგრძელების, ახლიდან გააზრების, ინტერპრეტაციის, ხანდახან მისთვის სიცოცხლის დაბრუნების საშუალებას იძლევა; კონტექსტუალურ მიდგომას შეუძლია განავითაროს არქიტექტურული გარემო შეკრას მისი კომპონენტები ფორმისა და აზრის დონეზე ახალ, პოლიფონიურ სტრუქტურად, კომპოზიციად, ანსამბლად; ამ

სამივე ტიპის შედეგების სინთეზს გააჩნია უდაო სოციალური ეფექტი, იგი მიმართავს საზოგადოებას ტრადიციული, თითოეული ადგილისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალურ ფასეულობათა სისტემის აღორძინებისაკენ, რითაც საშუალებას აძლევს შეიგრძნოს და გამოიცნოს ტრადიციის, დროისა და კულტურის სამყაროს კავშირი, აღორძინოს არქიტექტურის, როგორც საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ტრადიციული რეგულატორის როლი.

ტერმინი "კონტექსტი" 1920-იანი წლებიდან გამოიყენება ენათმეცნიერებაში (ი.მ. ლოტმანი), სტრუქტურუალიზმში (კ. ლევი-სტროსს, რ. ბარტი, ჟ. დერიდა, უ. ეკო) XX ს-ის ზოგიერთი მიმდინარეობა გარკვეული კონტექსტუალური აზროვნებით აღმოცენდა: ფუნქციონალიზმი – საზოგადოების სოციალური გარდასახვის შედეგად; პოპ-არტი – მასიური მოხმარების კონტექსტით. ტერმინოლოგია და კონტექსტუალური აზროვნება გახდა ჩვეულებრივ მოვლენად არქიტექტურულ პრაქტიკასა და თეორიაში. საზოგადოება დღეს განწყობილია არქიტექტურა განიხილოს არა მარტო, როგორც პირადი შემოქმედების აქტი, არამედ გლობალურ და ლოკალურ კონტექსტში. დღეს უამრავ პუბლიკაციებში გვხვდება სიტყვა " კონტექსტი". თუმცა მთელი რიგი კონტექსტუალური ფაქტორების კომპლექსური გამოკვლევა, რომელიც გავლენას ახდენს არქიტექტურულ ფორმადწარმოქმნაზე არ არსებობს. არქიტექტორი ვ. გ. კაროლევიჩი გამოყოფს კონტექსტის ხუთ საბაზისო სახეობას: ბუნებრივს, საზოგადოებრივს, დროის, პირადს და შემოქმედებითს. ა. ვ. ვერშინინი კონტექსტის ფენომენს განიხილავს, როგორც ახალი რეალობის ინტერპრეტაციის ხერხს. ა. ფ. ლოსევი აღნიშავდა, რომ კონტექსტის პრობლემა ერთერთი რთული და აქტუალურია: " ყველა ნიშანი სრულყოფილ მნიშვნელობას იძენს, მხოლოდ სხვა ნიშნებთან კონტექსტში". (Г. Вершинин. Контекст в архитекуре, дизаине, искусстве XX века Диссертация 2006)

კონტექსტუალიზმი მრავასახიანია, როგორც მისი გარემომცველი კონტექსტი: ისტორიული, კულტურული, სოციალური, არქიტექტურული, რელიგიურ, სემიოლოგიურ, მხატვრული, ეკოლოგიური, რეგიონალური და ა.შ. კონტექსტის ამ უსაზღვრო არეალში წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ არქიტექტურულ კონტექსტს არქიტექტორთა თეორიულ გამონათქვამებზე და მსჯელობებზე დაყრდნობით. რაც მოგვცემს საშუალებას გავაკეთოდ ობიექტური დასკვნები კონტექსტის პოზიტიურ მხარეზე. პრობლემის დასმა ამ კონტექსტში აქტუალურია და მასში გარკვევა დაგვეხმარება დღევანდელი პრობლემების გადაწყვეტაში.

კონტექსტის ცნება არქიტექტურაში დამკვიდრდა, მას შემდეგ რაც არქიტექტურის განხილვა დაიწყეს, როგორც ტექსტი. ეს კი დაკავშირებულია (ყოველშემთხვევაში ქრონოლოგიურად) პოსტმოდერნიზმთან. თუმცა მოდერნისტების მოწინააღმდეგები ამტკიცებდნენ, რომ ახალი ტექსტი შეძლებისდაგვარად ისე უნდა ჩაეწეროს არსებულში, რომ არ დაანგრიოს იგი. უფრო ნათლად ეს იდეა ჩამოაყალიბა რუსმა არქიტექტორმა ალექსანდრე სკოკანმა (ნაწყვეტი ინტერვიუდან ვ. პაპერნისთან): "შენობა ისე უნდა შევიდეს გარემოში, როგორც ხალხით სავეს სასტუმრო ოთახში შედის ადამიანი: მაგალითად შევიდეს ჩექმების ბაკუნით და ყვირილით ან მორიდებულად და წამოიწყოს ინტელიგენტური საუბარი". სეზარ პელიმ დაახლოებით იგივე თქვა: "როდესაც შედიხარ შენთვის პატივცემულ ადამიანთან ქუდს იხსნი". "ჩემთვის თვითოეული შენობა უნიკალურია, რომელიც ითხოვს შემოქმედებითობას. შენობის ფორმა იქმნება პროექტის შესახებ ყველა ინფორმაციაზე აღმოცენებულ დადებით გრძნობაზე, რომელსაც კონკრეტულ მომენტში ვგრძნობ (4. 28გვ.) პელი, როგორც კი იღებს დაკვეთას პირველ რიგში იკ-

ვლევს და საწვლობს ადგილის ისტორიას, რადგან მეხსიერება და პატივისცემა არქიტექტურული გაემოს მიმართ მნიშვნელოვანია პროექტირებისთვის. ანტუან პრედოკი კატეგორიულად არ ეთანხმება პელის მოსაზრებას: "თუ კი საუბარი აუტანლად მოსაწყენია? სულაც არ არის აუცილებელი ხმამაღალი ყვირილი, შეიძლება უბრალოდ დაიწყო სულ სხვა დიალოგი." როდესაც ლაპარაკობენ კონტექსტზე ჩვეულებრივად მხედველობაში იღებენ პრიმიტიულ განმარტებას: შენობა უნდა გავდეს იმას რაც მის გვერძეა. ყველაფერი ზედაპირის მორთულობით მთავრდება." (4. გვ. 10) პრედოკს არ უყვარს სიტყვა "კონტექსტი", იგი ხმარობს გეოლოგიურ ქსელს. ასეთი ქსელი ჩნდება მაშინ, როდესაც მთაში გაყავთ ტრასა. შეხედეთ სანდიას მთებს, რომელიც როგორც რუქა ისე შეიძლება წაიკითხო. ამ რუქაზე ჩანს, რა ფაქიზია კულტურული ფენა." კონტექსტის გაგებას იწყებს არა ათწლეულების არამეთ მილიონი წლების მასშტაბით. "ეს არის ჩემი მეთოდი – ტერიტორიის ისტორიის ანალიზი არამარტო კულტურული არამედ გეოლოგიური გააზრებით." (4. გვ. 12) პრედოკი თავის ინტერნეტსაიტზე წერს: ნიუ-მექსიკის უდაბნომ ჩამოაყალიბა ჩემი წარმოდგენა დროზე და სივრცეზე. ეს უბრალოდ რეგიონი არ არის, ეს ძალაა, რომელიც იწყება გეოლოგიიდან." არქიტექტურულ ფორმაში ეს ძალა აისახა საცხოვრებელ კომპლექსში ლა ლუზში (1974 წ.). აქ ჰარმონიულად შერწყმულია ტრადიციული მექსიკური სახლის "ადობეს" ელემენტები გეომეტრიულ აბსტრქციასთან. არქიტექტორი ბერნარ ჩუმი აღნისნავს: "ჩემი შემოქმედების აზრი იმაშია, რომ "გავარკვიო დამოკიდებულება საავტორო კონცეპტს და კონტექსტს შორის. კონტექსტი, ანუ მიწის ისტორია, ის რომელიც ფესვებშია და მეხსიერებაში შეუძლია ერთმთლიანობაში გააერთიანოს არქიტექტორის ჩანაფიქრი და მაყურებლი;" (4. გვ.15) რემ კუალჰაასმა კონტექსტის გაგება გააფართოა. კონტექსტი მისთვის არ არის უბრალოდ შენობის ჩაწერა ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში, "ეს ბევრად მეტია – არქიტექტურული ჟესტი (რომელიც შეიძლება გახდეს ყველაფერი – პროექტი, ნაგებობა, წიგნი, ფილმი, სპექტაკლი, ლექცია და ა.შ.) როგორც კულტურული მოვლენა." (4. გვ. 21)

ჟურნალ "არქიტექტურა და საზოგადოება"-ში (1987 წ.) განხილულია ხუთი არქიტექტორის შემოქმედება: იუგოსლაველი ბოგდან ბოგდანოვიჩი, შვეიცარიელი იუსტუს დაჰინდენი, ქართველი ვახტანგ დავითაია, მალტელი რიჩარდ ინგლანდი, უნგრელი იმრე მაკოვეცი. თვითოეულის არქიტექტურა განსხვავებული, უნიკალური და ინდივიდუალურია. იუსტუს დაჰინდენისთვის კონტექსტი გამოხატავს თანაგანცდას, თანაგანცდა კი ნიშნავს გაერთიანებას, გაგრძელებას შესაფერისი ფორმით. სივრცის პირობები შთააგონებს ავტორს ისეთი ობიექტები შექმნას, რომლებშიც დასაშვები გადახრები თავს იყრიან ადამიანსა და სივრცეს, ფორმასა და მიზანს, ძველსა და ახალს, ბუნებასა და ტექნოლოგიას, შენობასა და ხელოვნებას შორის. საზოგადოების ინტერესები უპირველესია. საზოგადოება იცვლება, იცვლება არიტექტურაც, ამაში მდგომარეობს მისი პროგრესის იმპულსები. ტრადიცია – ეს არის ევოლუციის და ცვლილებების პროცესი, რომელიც მუდმივად გრძელდება. ახალი ქმნის თავის საკუთარ ტრადიციას. არქიტექტორმა უნდა მოგვცეს შესაძლებლობა, რომ შევიგრძნოთ ჩვენი წარმოშობა. კონტექსტუალიზმი ნიშნავს შესაბამისობას არქიტექტურასა და ადამიანის ოცნებას შორის, ეს შემოქმედების ფართო ასპარეზს იძლევა. არქიტექტორ ვახტანგ დავითაიასთვის კონტექსტი ამა თუ იმ სტილის ფორმალური ნიშნებისადმი ერთგულება კი არ არის, არამედ იმ თვისებათა შექმნა, რომლებმაც განსაზღვრეს ჩვენთვის ახლობელი და გასაგები ატმოსფერო, განწყობილება. რიჩარდ ინგლანდის კრედოა "კონტექ-

სტუალური არქიტექტურა", რომელიც წარმოადგენს სიმბიოზს წარსულსა და აწყმოს შორის და მიმართულია არა იმდენად ფუნქციაზე არამედ არქიტექტურული ენით გადმოცემული ფარული ნიშნების "მნიშვნელობებზე", კოდის ამოცნობაზე. "ტრადიცია ეს ალფავიტია; ფორმა – ეს ენაა; არქიტექტურა – ეს პოემაა; "კონტექსტი" – ეს ადგილია."(1.გვ. 56)

იმრე მაკოვეცის შემოქმედებაში მთავარი არის მჭიდრო კავშირი ეროვნულ უნგრულ ტრადიციებთან. იგი უბრალოდ კი არ იყენებს წარსულის ელემენტებს არამედ არგებს მათ თანამედროვე კონტექსტთან. მაკოვეცისთვის კონტექსტი არის გარემო, რადგან თვლის, რომ ადგილის სული " ენიუს ოცი" და ადგილის გეოლოგია გავლენას ახდენენ არქიტექტურულ ნაგებობაზე: "მე არა მაქვს არანაირი იდეა, შთაგონება მანმადე სანამ არ ვნახავ ადგილს რისთვისაც უნდა დავამუშაო პროექტი. ტრადიცია კი ყველაზე ცოცხალი და ცხოვრებისეულია. "ისტორია ეს არის დრამა, გარემოც ასევე დრამაა". (1. გვ. 102) მაკოვეცს არ აინტერესებს არქიტექტურის ისტორია: ტყე, მინდორი, მდინარე, ბორცვი მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შექმნას ირონიული მონტაჟი ძველი რომაული, ბაროკოს, კლასიციზმის ან სხვა რომელიმე თემაზე. ასეთი არქიტექტურა მისთვის გაუგებარია.

მექსიკელი არქიტექტორი ფერნანდო რომეროსთვის არქიტექტურული კონტექსტი არც ისე მნიშვნელოვანია: "ტექნოლოგიამ შეცვალა სამყარო. ჩემი თაობის არქიტექტორებს აღარ აინტერესებთ ადგილობრივი სიტუაციის გადმოტანა არქიტექტურაში. იმ არქიტექტორებისთვისაც, რომლებიც მთელი სერიოზულობით ეკიდებიან კონტექსტს, არქიტექტურული იდეა, ჩაკეტილი ნაციონალურ ჩარჩოებში, თანდათანობით აზრს კარგავს. მაგალითად არსებობს ფრანგული არქიტექტურა? არსებობს ჟან ნუველი, კრისტიან პორტზამპარკი და ა.შ. ჩემი აზრით ეროვნული არქიტექტურა უკვე აღარ არსებობს." ფერნანდო რომერო წიგნში "გადათარგმნა" წერს: "არქიტექტურა ეს არის ისტორიული მომენტის, დამკვეთის ამბიციების, ეკონომიური სიტუაციის, ბიუჯეტის და საკანონმდებლო შეზღუდვების გადათარგმნა კონკრეტული არქიტექტურული გადაწყვეტით. არქიტექტურა ეს არის ადგილობრივის და გლობალურის შეთავსება, მაგრამ ადგილობრივი არ არის აუცილებელი იყოს მექსიკური." (4. გვ. 111)

მექსიკელი არქიტექტორის რიკარდო ლეგორრეტას არქიტექტირა დაფუძნებულია ხალხური მექსიკურ არქიტექტურაზე რაც აისახა მკაფიო მოცულობებში და ნათელ ფერებში. ეროვნული მემკვიდრეობის ეს პრინციპი მან მემკვიდრეობით მიიღო ლუის ბარაგანისგან თუმცა მისი არქიტექტურა უფრო თავისუფალი და დამაინტრიგებელია, ლეგორეტა უარყოფს ერთმნიშვნელობას და კლასიკური მოდერნიზმის მკაფიობას. მექსიკური კულტურა, კულტურათა ნაზავის შედეგია: ინდიელების, ესპანელების და მუსულმანების. მექსიკელებმა ინდიელების კულტურიდან აიღეს მასშტაბი, რაც ჩანს ტეოტიუკანას პირამიდებში, ესპანეთიდან ინტელექტი, ისლამიდან მისტიკა და ფერადოვნება. მექსიკური არქიტექტურის მთავარი ელემენტია კედელი. მძიმე მზიდი კედელი ყველაზე კარგად ასახავს მექსიკელების სწრაფვას ფლობდნენ მიწას, ჩაკეტილობას და უსაფრთხოებას. ყველაფერი ეს რიკარდო ლეგორეტასთვის ქმნის "მექსიკის მაგიურ სამყაროს." კულტურათა სინთეზი ლეგორეტას შემოქმედებაში ნათლად აისახა სასტუმრო სახლში, იაპონიაში. ამ სახლში მკაფიოდ შეიგრძნობა სამი კულტურის გავლენა: მექსიკური კულტურისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სივრცე, რომელიც იშლება მასში მოძრაობისას, ევროპული რაციონალიზმი და აღმოსავლური ფერადოვნება.

ამდენად, თანამედროვე არქიტექტურის დიალოგი – კონტექსტი გარემოსთან, კულტურასტან, ტრადიციასთან და ა. შ. წარმოადგენს მნიშვნელოვან პერსპექტივას არქიტექტურული პროცესის განვითარებისთვის, გაამდიდრებს არქიტექტურას ახალი ფორმალური და რიტორიკული შესაძლებლობებით და ხელს შეუწყობს არქიტექტურული ენის ინდივიდუალიზაციას.

ლიტერატურა:
1. Журнал “Архитектура и общество (6) В посках контекста” София 1987
2. Ч Дженск “Язык постмодернизма” М. 1985
3. “Архитектура Запада, модернизм и постмодернизм, критика концепции 4”статья Ш. Д. Аскарова. Метаморфозы регионализма М 1987
4. В. Паперный “ ucak honteht?” maclin 2011
5. ვ. დავითაია “არქიტექტურა ოცნება და სინამდვილე” თბ, 2000 წ.

Архитектурный контекст

Нино Имнадзе, Диана Рехвиашвили

В статье рассмотрена позитивные стороны архитектурного контекста на основе анализа профессиональных представлений о взаимоотношении архитектурного объекта и среды.

Architectural context

Nino Imnadze, Diana Rechviashvili

The article considers the positive aspects of the architectural context in based on analysis of professional views of the relationship between of the architectural object and snvironment.

კონგრეს ცენტრების მნიშვნელობა და ისტორია, მათი ფუნქციური მახასიათებლები

მაგდა ლეკიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის
ფაკულტეტის დოქტორანტი

XXI საუკუნის მსოფლიო გვთავაზობს შესაძლებლობების სრულიად ახალ სივრცეს, რაც თავისთავად ახალ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს გვიყენებს. არსებულ დროსა და სივრცეში, ჩვენ მივიღეთ სამყარო სადაც მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ძნელია გაავლო ზღვარი რეალურსა და არარეალურს შორის. თუმცა ვირტუალურიც რეალურად იქცა. ჩვენი შეგრძნებებიც მთლიანად პასუხობს აზრს – “დრო სწარაფად გადის”. სწორედ ამიტომ, გაიზარდა ინტერესი ისეთი ნოვატორული იდეების მიმართ, რომელიც გულისხმობს მრავალი პროცესის, დროის მცირე მონაკვეთში წარმართვას და რაც მთავარია ხარისხი არასოდეს ყოფილა ყურადღების მიღმა.

ზემოდ თქმულის პრაქტიკული გააზრების საშუალებას წარმოადგენს სხვა და სხვა დონისძიებების ჩატარება, განსხვავებული ფუნქციის სივრცეების გამოყენება, ამისთვის საჭიროა გარკვეული დრო და შესაბამისი ინ-

ფრასტრუქტურა. ერთ ერთი ყველაზე დახვეწილი სისტემა, რომელიც, მუშაობს სამყაროს განვითარების პირდაპირპროპორციულად და არასოდეს ჩამორჩება დროს, არის კონგრეს ცენტრები. მათი არსებობა გავლენას ახდენს, სახელმწიფოს მნიშვნელობაზე მსოფლიო მასშტაბით, ეს თემა აქტუალურია არქიტექტურაშიც.

რასაკვირველია ყველა განვითარებულ და აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, უამრავი საშუალება არსებობს იმისათვის რომ ჩატარდეს ათი, ორმოცდაათი ან თუნდაც, ორასი კაცის შეკრება, არსებობს საკონფერენციო დარბაზები, უამრავია საგამოფენო სივრცეც, რესტორნები, კაფეები, მაგრამ, ეს ყველაფერი გაფანტულია ქალაქის სხვადასხვა დანიშნულების შენობაში. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად რთულია ერთმა დელეგაციამ, შეზღუდულ დროში, მოასწროს რამოდენიმე ღონისძების ჩატარება. მაშინ მივხვდებით, რომ აუცილებელია იყოს ერთი შენობა რომელიც, შეითავსებს ამ ფუნქციებს.

სწორედ ასეთი კატეგორიის ნაგებობა არის კონგრეს ცენტრი რომელიც, შეიძლება ითქვას მრავლის მომცველია, ფუნქციურად დატვირთულია და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ვითარდება ამ კუთხით და იძენს უამრავ დამატებით ფუნქციას. კონგრეს ცენტრი ეს არის სივრცე რომელიც იძლევა, არა მარტო სხვა და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარების საშუალებას, არამედ ამ განსხვავებული პროცესების ერთდროულად წარმართვის შესაძლებლობებს. მაშინ როდესაც ხუთას კაციანი კონგრესი მიმდინარეობს ერთ გარკვეულ დაბაზში, მიდის ხუთ ენაზე სინქრონული თარგმანი, პარალელურ რეჟიმში შესაძლოა ტარდებოდეს ორი-სამი კონფერენცია, მოეწყოს გამოფენა და კიდევ შენობის სხვა ნაწილში, რესტორანში სადილობდეს ხალხი.

კონგრეს ცენტრების ისტორია სათავეს იღებს მეთვრამეტე საუკუნიდან. განვითარების ამ ეტაპებმა დაგვიტოვა, ისტორია ამ კატეგორიის შენობების შესახებ და შედეგები, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია.

სიტყვა კონგრესის (congressus) მნიშვნელობაა "შეხვედრა", "კრება" და გულისხმობს ფართო შემადგენლობის შეკრებებს, თათბირებს, ყრილობებს (ძირითადად საერთაშორისო სახის). ამ სიტყვის წარმოშობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლათინურ ქვეყნებს უკავშირდება. მისი შინაარსი შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და ეხებოდეს როგორც პოლიტიკურ საკითხებს, აგრეთვე ეკონომიკურ, კულტურულ, სპორტულ, სამედიცინო, სამეცნირო თემებს. ამავდროულად, კონგრესი შესაძლოა შედგებოდეს, გასხვავებული შინაარსის და მასშტაბის ღონისძიებებისგან.

„1774 წლის 5 სექტემბერს, შედგა პირველი კონგრსი სადაც, 13 ბრიტანეთის კოლონიიდან, 12-მა ჩრდილო ამერიკულმა კოლონიების დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა, ჯორჯიის პროვინციის გარდა, ბრიტანეთის სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის გასაპროტესტებლად. შეხვედრა ჩატარებულ იქნა, ფილადელფიის ხუროთა დარბაზში (ილადელპჰია'ს ჩარპენტერს ალლ). ეს ფაქტი მეტყველებს იმ ტენდენციაზე, რომ კონგრესი – როგორც მოვლენა, თავიდანვე პოლიტიკური შინაასის მატარებელი იყო.

თავად საბჭოეთის პერიოდშიც თემა მნიშვნელოვან როლს იკავებდა სახელმწიფოს ცხოვრებაში, რადგან ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, თუ რა სახის და მაშტაბის შეხვედრები იმართებოდა. შენობები სადაც მიმდინარეობდა ეს იდეოლოგიური შეკრებები, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით, მომდევნო წლებში იქცნენ ძალიან კარგ გარემოდ ამ თანამედროვე, მოთხოვნადი ფუნქციის შესათავსებლად. ჩეხოსლოვაკიასა

და პოლონეთში, თითქმის ერთდროულად აგებული შენობები, გარკვეული დროის მანძილზე მასპინძლობდა ასეთ სხდომებს, დღეს პრაღასა და რიგაში ეს ნაგებობები წარმოადგენენ, საკმაოდ განვითარებულ, თანამედროვე კონგრეს ცენტრებს.

რიგაში 1982 წელს აიგო შენობა, რომელიც მასპინძლობდა კომუნისტურ, იდოლოგიურ შეკრებებს და იწოდებოდა "პოლიტიკური განათლების ცენტრად". შემდეგ მოხდა მისი რეკონსტრუქცია და ახლა ყოველ წელს, ცენტრში ტარდება 500-მდე შეკრება. კონგრეს ცენტრი მასპინძლობს სხვა და სხვა სახის ღონისძიებებს, კონცერტებს, საერთაშორისო და ლოკალურ კონფერენციებს, ექსპოზიციებს და ა.შ. საკმაოდ კარგად გამოიყენეს არქიტექტორებმა აქ არსებული მასალები გრანიტი, მუხა და მარმარილო ინტერიერების გასამდიდრებლად. კომპოზიციურად ცენტრალურ ნაწილში განთავსებული დიდი დარბაზი აერთიანებს მის ირგვლივ განლაგებულ ოთახებს. საონფერენციო დარბაზი 1200 აყურებელზეა გათვლილი. პირველ სართულზე ადმინისტრაცია და ბიბლიოთეკაა, მეორეზე კი დიდი დარბაზის აივანი, პატარა დარბაზი და აუდიტორია, ხოლო მესამე სართულზე მხოლოდ აუდიტორიებია. ფართე მინებიანი ფასადი გადაჰყურებს პარკს.

პრაღაში - კონგრეს ცენტრი მდებარეობს ქალაქის ისტორიულ ნაწილში, შემაღლებულ ადგილას, იქ საიდანაც იშლება საოცარი ხედები და მოჩანს განსაცვიფრებელი არქიტექტურა, ტაძრები, სასახლეები და ა.შ.

ცენტრი ემსახურება ქვეყნის მასშტაბით ყველაზე გრანდიოზული ღონისძიებების გამასპინძლებას. დიდი კონგრეს დარბაზი 2 764 კაცს იტევს, ფორუმის დარბაზი 1 034 ადამიანს, ხოლო 18-მდე სხვა და სხვა ოთახი გათვლილია 80-დან 700 კაცამდე ტევადობის ღონისძიებებზე, ცვლადი კონფიგურაციებით. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ევროპა უკვე ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ამ კუთხით. მაგალითად 1964 წელს ბერლინში აგებულმა შენობამ მიიღო თანამედროვე, განვითარებული და წარმატებული კონგრეს ცენტრის სახე.

1964 წელს ჰელმან ჰენსელმანის მიერ აშენდა როგორც "მასწავლებელთა სახლი" ბერლინში. იგი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, "ალექსანდრეპლაცზე". კონგრეს ცენტრი მოიცავს ოცამდე საკონფერენციო დარბაზსა და 300 კვადრატულ მეტრამდე ფართობს. 54 მეტრიანი ბეტონის გუმბათი, უზარმაზარი საექსპოზიციო სივრცე და ოთხ სართულიანი კონგრეს ცენტრი, მუდმივად მზადაა უზრუნველყოს ნებისმიერი სახის ღონისძიების (ეს იქნება კონფერენცია, პოლიტიკური თუ ეკონომიკური სახის შეხვედრა, გამოფენა, კონგრესი, ყრილობა და ა.შ.) მაღალ დონეზე ჩატარება. 2003 წელს დაიწყო გუმბათის განახლება. 2004 წელს დაემატა 6 700 კვადრატული საოფისე ფართი. შენობა ინარჩუნებს მონუმენტობას ისე, რომ მიუახლოვდეს მაქსიმალურად თანამედროვე სტანდარტებს. მოხდა ისტორიის შენარჩუნება და ამავდროულად მოდერნიზება, მივიღეთ 10 000 კვ. მეტრი მთლიანი სივრცე, რომელიც უფრო მოქნილი და მრავალფუნქციური გახდა.

შესაბამისად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, განსაკუთრებით გაიზარდა აქტუალობა ამ სახის სივრცის არსებობისა. სწორედ მაშინ, როდესაც გაიხსნა გზები, განახლდა ქვეყნებს შორის ურთიერთობები, დაიდო უამრავი ხელშეკრულება და ა.შ. ახალმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სივრცემ, შეცვალა "ერთფეროვნება" მსოფლიო მასშტაბით, შედეგად წამოიჭრა, ახალი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების დაკმაყოფილების პრობლემა. ნელ-ნელა დაიყო კონგრეს ცენტრების მშენებლობის ახალი ტალღა, მოედო თითქმის მთელს მსოფლიოს ეს ტენდენცია, შესაბამისად უკვე მრავალი

ქვეყნის, თითქმის ყველა ქალაქშია წარმოდგენილი კონგრეს ცენტრები განსხვავებული მასშტაბითა და არქიტექტურით.

კონგრეს ცენტრების მრავალფუნქციურობიდან გამომდინარე, სხვა და სხვა ქვეყანაში არსებულ შენობებს განსხვავებული მომსახურეობები აქვთ დამატებული. არსებობს ისეთი ცენტრები სადაც სტუმარს შეუძლია ისარგებლოს კაზინოთი (ასეთი მაგალითი გვხვდება შვეიცარიაში). ამას გარდა არის ისეთი ცენტრები რომლებიც გთავაზობენ მასაჟსა და სარელაქსაციო სპა მომსახურებას, ექსკურსიებს ქალაქის ან ქვეყნის მასშტაბით, საბილიარდოს, ბიბლიოთეკას და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად მრავალფეროვანი სერვისებისა, არსებობს ფუნქციები რომელთა გარეშე არსად, არცერთი ცენტრი არ ფუნქციონირებს. ძირითადი მომსახურების სფეროები, რომელსაც ნებისმიერი ამ ტიპის შენობა უნდა სთავაზობდეს ვიზიტორს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კონგრეს ცენტრები უნდა მოიცავდეს შემდეგ ფუნქციურ ზონებს:

- სამაყურებლო დარბაზი
- კონფერენც დარბაზი
- საგამოფენო სივრცე
- სერვის ცენტრი
- ბიბლიოთეკა
- მართვის ცენტრი
- სარეგისტრაციო-საორგანიზაციო ნაწილი
- კვების ობიექტები
- სასტუმრო
- პარკინგი

ფუნქციური გადანაწილების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა გამოიყოს ის ძირითადი სივრცეები რომელთა გარეშეც კონგრეს ცენტრის არსებობა წარმოუდგენელია. ამიტომ შევეცადე დამეყო შემდეგ ნაირად:

- ძირითადი ფუნქციები სადაც შედის:
  1. სამაყურებლო დარბაზი
  2. კონფერენც დარბაზი
  3. საგამოფენო/საექსპოზიციო სივრცე
  4. სარეგისტრაციო - საორგანიზაციო ნაწილი
- დამატებითი ფუნქციები
  1. ბიბლიოთეკა
  2. სპორტული, გასართობი და დასასვენებელი ზონა
- დამხმარე ზონა მოიცავს შემდეგ ფუნქციებს:
  1. მართვის ცენტრი
  2. სერვის ცენტრი
  3. კვების ობიექტები
  4. სასტუმრო
  5. პარკინგი

ასეთი გადანაწილების შემთხვევაში, აშკარაა, რომ კონგრეს ცენტრებიც შესაძლოა დაიყოს გარკვეული ტიპების მიხედვით.

I. პირველი შემთხვევა გულისხმობს ერთ შენობაში ინტეგრირებულ ყველა ფუნქციას.

ასეთი სახის კონგრეს ცენტრი არსებობს ფრანქფურტში, ნახევარწრიულ შუშის შენობაში, პირველ ოთხ სართულზე განთავსებულია კონგრეს

ცენტრი, ხოლო ზედა სართულებზე ინტეგრირებულია სასტუმრო. შენობის მიწისქვეშა სართულზე კი შესაძლებელია პარკინგით სარგებლობა.

II. კომპლექსი შემდგარი ცალკეული შენობებისგან, ერთიანი გენერალური გეგმის სახით.

ავსტრალიაში, მელბურნში არსებული კონგრეს ცენტრი არის საუკეთესო მაგალითი, როგორ შეიძლება კონგრეს ცენტრი გამოვიდეს ერთი შენობის ფარგლებიდან და ცალკეული, სხვადასხვა ფუნქციით დატვირთული შენობების სახით, შეიკრას კომპლექსი.

III. კონგრეს ცენტრები, რომლებიც არ ფლობენ გარკვეული ფუნქციის სივრცეებს. როდესაც ეს ფუნქციები მიეკუთვნება ქალაქის ინფრასტრუქტურას.

III.1. რიცაში არის კონგრეს ცენტრი, რომელიც შესამჩნევია კომპაქტური გეგმარებითი სტრუქტურით, მისი ფუნქციონალური დატვირთვა ძირითადად მოდის სხვადასხვა დარბაზებზე. აქ მოსულ ადამიანს ეძლევა საშუალება ისარგებლოს კონგრეს ცენტრის მიმდებარედ განთავსებული სერვისებით როგორიცაა მაღაზიები, სასტუმროები, პარკინგ მომსახურება, რესტორნები, კაფეები და ა.შ.

III.2. ბერლინის კონგრეს ცენტრი საკმაოდ მასშტაბური, ფუნქციურად დატვირთული და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კონგრეს ცენტრია, თუმცა მისი გეგმარებით-ფუნქციური გადაწყვეტა არ მოიცავს სასტუმროს.

III.3. პრაღაში არსებული კონგრეს ცენტრი არ მოიცავს სასტუმროსა და პარკინგ მომსახურებას.

კონგრეს ცენტრების ფუნქციონალური გადაწყვეტა და გეგმარებითი სტრუქტურის ჩამოყალიბება ხდება, არსებული ტერიტორიის ანალიზის საფუძველზე. ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნისა და ქალაქის მასშტაბი და შინაარსი, მენეჯმენტი, მოსახლეობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ა.შ. ძალიან ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას ცენტრის განვითარებასა და წარმატებულ ფუნქციონირებაზე. შესაბამისად საჭიროა კომპლექსური და კვალიფიციური მიდგომა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

- www.wikipedia.org
- http://www.kcp.cz/an/
- http://www.kongresunams.lv/
- http://www.bcc-berlin.de/en/home
- http://www.palariccione.com/
- http://www.messe-berlin.de/en/
- http://www.congressfrankfurt.de/frankfurt/en/veranstalter/willkommen.html
- http://www.mcec.com.au/

რ ე ზ ი უ მ ე

სტატიაში განხილულია კონგრეს ცენტრის, როგორც თანამედროვე სისტემის, მნიშვნელობა და აქტუალობა, რაც მისი მულტიფუნქციურობიდან არის განპირობებული. წარმოდგენილია მისი დანიშნულება, შინაარსობრივი დატვირთვა და ისტორია, რომელიც იწყება მე-18 საუკუნიდან, როდესაც 1774 წელს ჩატარდა პირველი, პოლიტიკური შინაარსის კონგრესი. საბჭოთა კავშირის დროს, თითქმის ერთდროულად აიგო პრაღასა და რიგაში, მსხვილი მასშტაბის ნაგებობები, რომლებიც მასპინძლობდნენ ცნობილ იდეოლოგიურ შეკრებებს. დღეს დღეობით კი ისინი საკმაოდ განვითარებულ კონგრეს ცენტრებს წარმოადგენენ. ამის პარალელურად კი ევროპაში, ბერლინშიც აიგო იგივე სახის ნაგებობა, ხოლო მას შემდეგ რაც დაიწყო გლობალიზაციის პროცესი, გაჩნდა მოთხოვნა კონგრეს ცენტრების მიმართ.

სტატიაში აგრეთვე, განხილულია კონგრეს ცენტრების სტრუქტურული ანალიზი. წარმოდგენილია ის ძირითადი ფუნქციები რომელსაც, უნდა მოიცავდეს ნებისმიერი ცენტრი. მოხდა ამ ზონების დაყოფა მთავარ, დამატებით და დამხმარე ფუნქციებად, გამომდინარე არსებული კონგრეს ცენტრების ანალიზიდან. გარდა ამისა სტატიაში წარმოდგენილია კონგრეს ცენტრების ტიპოლოგიური დაყოფა, რომელიც აგრეთვე ეყრდნობა მსოფლიო მასშტაბით არსებული ნაგებობების შესწავლას.

S U M M A R Y

The article discusses the congress center, a modern system, the importance and urgency. This is due to its multifunctioning. there is presented its purpose, meaning, and history, which begins from the 18th century. When in the 1774 conducted the first political congress. In The Soviet Union there was built two buildings together in Prague and Riga. today they are sufficiently developed congress centers. At the same time, in the Europe, in Berlin was built with the same kind of structure center. After the process of globalization there was demand for congress centers. Nowadays there are in many countries and cities congress centers with different scale and architecture.

The article discusses the structural analysis of the congress centers. Represented the main functions of which shall include any center. The main areas have been divided, and the addition of auxiliary functions, derived from the analysis of the congress center. besides there are presented the typological division at the Congress Center, which is also based on a worldwide survey of existing facilities.

Р Е З Ю М Е

В статье рассматриваются конгресс-центр, как современная система, его важности и срочности. Это связано с ее мултифункционлнастию. там представилено эе цель, смысл и история, которая начинается с 18-го века. Когда в 1774 году провел первый политический съезд. При Советском Союзе было построено два здания вместе в Праге и Риге. Сегодня они достаточно развитые. В том же время, в Европе, в Берлине была построена конгресс центр с такой же структурой. После процесс глобализации начелос большой спрос на конгресс-центров. В настоящее время существует во многих странах и городах центрый различного масштаба и архитектуры.

В статье также рассматривается структурный анализ конгресс-центров. Представлено основные функции которого включают любые центры. Основные направление были разделены. Центр включает в себя основные, дополнительные и вспомогательные функции. Кроме того, в статье представленны типологические подразделения которая также основана на обзор всемирный существующих объектов.

არქიტექტურული გარემო – იდეალი და რეალობა

არქიტექტურის დოქტორი,პროფესორი: ***მედეა მელქაძე***
მაგისტრი: ***მაია ჩხაიძე***
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინისა ფაკულტეტი
ქ.თბილისი კოსტავა 72.
tel:2344500, მობ: 599321170
E-mail:Medea_arch@yahoo.com

პრეამბულა

არქიტექტურული გარემო – ეს არის ადამიანისა და ბუნების თანაარსებობის შედეგი. თვით ხელთქმნილი – ადამიანის მიერ ქმნილი არქიტექტურა, თუ ის არ არის კონკრეტული გარემოსთვის შექმნილი – საგანია, თუნდაც ლამაზი, რომელიც საგნის საზღვრებს ვერ არღვევს და მას მხოლოდ საგნის ჩვევები გააჩნია: ესენია გარკვეული ესთეტიზმი და გადაადგილების უნარი. შედეგად თუ ეს საგანი უადგილო ადგილას „იდება" – უსარგებლო და მტვრევადია, უფუნქციოა და გადაადგილებას ექვემდებარება. ამიტომაა მსოფლიოში მომრავლებული ტყუპი შენობები–საგნები. მათ არ გააჩნიათ ფესვები, ადგილის იდენტიფიცირების კოდი, შესაბამისად ფუნქცია: აქ ბიზნესცენტრია, იქ საცხოვრებელი სახლია ან ბანკი და ხანაც თეატრი... და ა.შ.


–ამიტომ, ჩვენ საუბარს ვიწყებთ აზროვნების სპეციფიურ განზომილებაზე–არქიტექტურულ გარემოზე – დროსა და სივრცეში მყოფადზე – იდეალურზე – რეალურზე – ... და კიდევ როგორზე? იქნებ ამაზე მოვახერხოთ პასუხის გაცემა? –არსებობს თუ არა იდეალი? როგორი შეიძლება იყოს ის? – რა არის იდეალი? – არის თუ არა სტერილური იდეალი? – ის რაც ყოველი ჩვენთაგანისათვის მისაღებია, თუ ობიექტური რეალობაა?შეიძლება თუ არა, რომ უემოციო ტექნოლოგიებმა (მასალა,კონსტრუქციები,მანქანა, კომპიუტერი) შეძლონ იდეალის ჩამოყალიბება? – თუ,მისი ფორმირება მხოლოდ ადამიანს ხელთაა, მის სუბიექტურ წარმოდგენებზე დაყრდნობით. – **მაგრამ ყოველი ჩვენთაგანისთვის რომ არსებობს იდეალის განსხვავებული კრიტერიუმები?**

კაცობრიობის ისტორია გვიჩვენებს, რომ მისი–იდეალის ცნების განზოგადება მაინც შესაძლებელია, თუკი ჩვენ შევძლებთ და აღმოვაჩენთ იმას, რაც ყოველ ჩვენთაგანის ფშვინვიერს მალამოდ ედება.

1. ისტორიული ექსკურსი

„ათასი წლის წინ იბნ-სინა და ხუთი საუკუნის შემდეგ ევრო-პელ-იტალიელი თეორეტიკოსები "იდეალური ქალაქის" განსაზღვრისას, ქალაქის ადგილმდებარეობის მოძიების პარამეტრებად აყალიბებდნენ: ჯანმრთელ გარემოს, თავდაცვისუნარიანობას, სივრცულ-ბუნებრივ და გამომსახველობით სიმდიდრეს. სასურველად მიიჩნევდნენ ზღვის სანაპიროს, ან სანაოსნოდ ვარგის მდინარის ნაპირებს, სუფთა წყლით, მაღალი, მკვრივი ნაპირებით, რომლებიც მდინარესთან ერთად შექმნიდნენ სავაჭრო სატრანსპორტო სისტემას. ვკითხულობთ რა ამ რეკომენდაციებს, თვალწინ გვიდგება თბილისი. ის, რაც სხვა ქალაქებს არ ქონიათ და უნდა შეექმნათ, თბილისში ბუნებრივად არსებობდა ხეობა, ტყეები, ჯამრთელი ქარები, მზის ჯამრთელი გამოს-

ხივება,სამკურნალო გოგირდის ცხელი წყლები,ზღაპრული სამყარო უნიკალური ჰავით, “იდიალური ქალაქი.” [1] გვ29



სკამოცის იდეალური ქალაქი XVI ს-ის დასაწყისი



თბილისი 1701 წ. ჟ. ტურნეფორის ჩანახატი




თბილისი VII ს-ის 70-იან წლებში შარდენის

ამ იდეალური სივრცე-გარემოს რეტროსპექტივის შემდეგ, ისევ ბუნებასთან ჰარმონიაში მყოფი მსოფლიოში განბნეული მაგალითები წარმოგვიდგება, რადგან იდეალურ არქიტექტურულ გარემოზე საუბრისას ვხედავთ: კაბადოკიას, მეტეორას, ვარძიას, უფლისციხეს, დავით-გარეჯს და ა.შ. რა აღგვაფრთოვანებს როდესაც მათ შევცქერით? ეს შედევრები თითქოს ყოველი კონკრეტული რელიეფის ბუნებრივი გაგრძელებაა, ე.ი. აბსოლუტურ ჰარმონიაშია გარემოსთან. ამ შემთხვევაში ძნელია გაავლო ზღვარი ბუნებრივსა და ადამიანის ხელით შექმნილს შორის, ისე არის ეს ორი რამ შერწყმული ერთმანეთთან და ერთობლივად თანაარსებობს. სწორედ აქ ხდება თანხვედრა იდეალისა რეალობასთან.

- აქ არის იდეალი რეალობაში...









2. უახლესი ისტორია


მე-20 საუკუნის დასაწყისში, კი როდესაც დაიწყო ქალაქების ინტენსიური მშენებლობა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მაღლივი შენობების აგება უფრო მომგებიანი იყო, როგორც მიწის ეკონომიის, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის თავლსაზრისითაც. ამ შემთხვევაში თითქოს უნდა

დარჩენილიყო გაცილებით დიდი ადგილი გამწვანებისათვის, სპორტული და ბავშვთა გასართობი მოედნებისათვის. მაგრამ... –რატომ დაიკარგა თანამედროვეობაში იდეალი, როგორც ასეთი და დავჩით მხოლოდ ე.წ რეალობის განზომილებაში?

ბოლო ათწლეულებში ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარს მისულმა კაცობრიობამ აღმოაჩინა, რომ თურმე ყველაფერი სხვაგავრადაა. მას შემდეგ ქალაქებმა არა მარტო მრავალჯერ გაზარდეს თავისი ტერიტორია და მოსახლეობა, არამედ რადიკალურად შეიცვალეს თავისი სახე. ქალაქის გარემოში სულ უფრო და უფრო მცირე ფართი და ადგილია დარჩენილი ცოცხალი ბუნებისათვის და მათ შორის თვით ადამიანისათვის. სიმჭიდროვე, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური დისკომფორტი ქალაქური ცხოვრების რეალობაა. დაბინძურებული ჰაერი, წყალი, ნიადაგი, სატრანსპორტო საფრთხე, ხმაური, ვიბრაცია, ... და ბოლოს სულ მზარდი წყვეტა ბუნების მაცოცხლებელ წყაროსთან... აი ჩვენი დღევანდელი რეალობა.

ამ მსჯელობის ილუსტრირება, თითქოს თუნდაც ნიუ-იორკია და არის კი ნიუ-იორკი უარყოფითი მაგალითი? მანჰეტენი სიტია და გავიხსენოთ სიტის წარმომავლობის ისტორია: „XX საუკუნის დასაწყისში ლონდონმა, პარიზმა, ბერლინმა, ნიუ-იორკმა და ბევრმა ქალაქმა-გიგანტებმა სრულად ამოწურეს თავიანთი მიწის რესურსები და აღმოჩდნენ იმდენად მჭიდროდ დასახლებული რომ, ახალი მშენებლობის საკითხი, მათ შორის საცხოვრებლისაც, უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ შემოგარენის, ან საგარეუბნო მცირე ქალაქების განვითარების ხარჯზე. მთელი ასწლეულის განმავლობაში ლონდონის სტატისტიკა აფიქსირებდა სიტის მოსახლეობის შემცირებას. კიდევ უფრო სწრაფად ეცემოდა მოსახლეობის რაოდენობა ნოუ-იორკის ცენტრალურ რაიონებში. მანჰეტენის სამხრეთ დაბოლოებამ, თითქმის, სრულად დაკარგა თავისი მუდმივი მაცხოვრებელები. ყველაზე მსხვილი კაპიტალისტური მოსახლეობისაგან დაცლა განპირობებული იყო ორი მიზეზით: პირველი – არარენტაბელური საცხოვრებელი შენობების ნგრევა და მათი შეცვლა უფრო მომგებიანი საზოგადოებრივი შენობებით და მეორე – შეძლებული მოსახლეობის ნებაყოფლობითი გადასახლებით მჭიდროდ დასახლებული კვარტლებიდან გარეუბნებში, რომელიც შერწყმული იყო სოფლის ბუნებასთან.” [2] გვ. 15.

ამდენად ე.ი. სიტიში საცხოვრებელი სახლები ჩაანაცვლა საზოგადოებრივმა შენობებმა – ოფისებმა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სავაჭრო ობიექტებმა და შედეგად ჩამოყალიბდა საქმიანი რაიონი. შესაძლოა ეს არ არის იდეალი, მაგრამ აბსოლუტურად ორგანულია აშშ-ის რეალობისა. ცათამბრჯენები ჩრდილო ამერიკის პირმშოებია, ამრიგად ის რეალობა და ორგანულობაა ნიუ-იორკისა და აშშ-ს სხვა ქალაქებისთვის.



ამრიგად, იდეალურია არქიტექტურული სივრცე, რომელიც ადამიანისათვის იქმნება, არ თრგუნავს მას, არამედ უქმნის საარსებოდ კომფორტულ და სასიამოვნო გარემოს. არ ანადგურებს ბუნებას.

2. დღევანდელი რეალობა

ჩვენს რეალობაში, მიწის სიმცირისა და სიძვირის ფონზე, შენობების ვერტიკალურად განვითარება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყოველი მშენებლობა დაფუძნებულია ძირითადად ფინანსურ მოგებაზე და უკანა პლანზე იწევს ადამისათვის საარსებოდ ჰარმონიული გარემოს შექმნის იდეა. "ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებამ, ურბანიზაციის სწრაფმა განვითარებამ და ეკოლოგიურმა პირობებმა მძაფრად დააყენეს საკითხი იმისა, რომ თანამედროვე ქალაქების განვითარებასა და განაშენიანებას საფუძვლად უნდა დაედოს ადგილის მიკროკლიმატის შეფასება და კლიმატური მახასიათებლების თავისებურებათა გამოვლენა". რადგანაც ბოლო ათწლეულებში ურბანიზაციის განვითარებამ და ბუნებასა და ადამიანს შორის ურთიერთობის გამწვავებამ, თავი იჩინა ეკოლოგიური წონასწორობის რღვევის სხვადასხვა ფორმით." [1] გვ. 58-59. ამ წონასწორობის აღდგენისა და შენარჩუნების ერთერთ სახედ დღესდღეობით ე.წ ეკოლოგიური არქიტექტურა (ეკოლოგია [ბერძ. ოიკოს სახლი და ლოგოს მოძღვრება] – ბილოგიის ნაწილი, რომლიც შეისწავლის ორგანიზმებისა და მათი გარმოს ურთიერთდამოკიდებულებას.) ე.წ მწვანე არქიტექტურა გვევლინება. ბოლო ათწლეულში არქიტექტურულ სივრცეში შემოვიდა განსაზღვრება-**მდგრადი განვითარების არქიტექტურა,** –ანუ კარგად დავიწყებული **რეგიონალური არქიტექტურა**. – მაშინ არის კი გამართლებული მეთოდი, რომლითაც ხდება არსებული ბუნებრივი გარემოს განადგურბა და მის ნაცვლად, არასრულყოფილი ასლის შექმნა? – ჯერ ნგრევა და მერე ფსევდოსიკეთის შექმნა?





ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებდა თავის პრაქტიკაში მეთოდებს, რომელიც ნაკარნახევი იყო ჰავითა და მისი ფიზიოლოგიური ზემოქმედების შედეგებით. ამის კარგი მაგალითებია ჩვენი ტრადიციული საცხოვრებელი სახლები – ოდა, მაჩუბი, ხევსურული სახლი, მესხური სახლი და ა.შ.

მიუხედავად ტექნოლოგიების განვითერბისა, ადამიანს როგორც ბუნების ნაწილს, სადაც უნდა იყოს ის, ყოველთვის სჭირდება ბუნებასთან კონტაქტი – სწორი არქიტექტურული გადაწყვეტილების სახით. ამიტომაცაა რომ, მოსახლეობის შეძლებული ნაწილი უპირატესობას ქალაქგარეთ ცხოვრებას ანიჭებს.

და ბოლოს...

მაშინ რა არის იდეალური გარმო და სად ხდება მისი თანხვედრა ან გადაკვეთა რეალურთან? ის რომ იდეალური გარემო შეიძლება იყოს რეალური ჩვენს მიერ მოტანილმა ისტორიულმა მაგალითებმა გვიჩვენა.

– მაგრამ, რელური კი ხდება იდეალური? თუ – კი – სად და როდის? ერთი კი არის – სწორი, ჯანმრთელი არქიტექტურული გარემო – ადამიანის ჰარმონიული თანაარსებობის სისტემა ბუნებასთან - ესთეტური კატეგორიაა და შესაბამისად იდელურისკენ მსწრაფი.

ბიბლიოგრაფია

1. მელქაძე მ. „ახალი საცხოვრისი თანამედროვე ქალაქგეგმარებით კონტექსტში (თბილისის მაგალითზე)“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2009 წ.
2. Бунин А.В. Саваренская Т.Ф. „Градостройтельство рабовладельческого строя и Феодализма“ Москва. Стройиздат 1979 г. т. 1

Resume

Our article is about an ideal architecture of it is a real architeqture at same time. If it is in a reality– where and when. Analyze these both ideas in the time and space could show the vector of development of architecture thought.

Резюме

В нашей статье идет речь отом есть ли идеальное архитектурное пространство одновременно с реальным. Если да- то где и когда. Анализ етих двух показателей во времени и в пространстве может показать вектор развития современного архитектурного мышления.

არქიტექტურული პროპედევტიკის ფსიქო-პედაგოგიური საფუძვლები

ვანდა მუჯირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას 77

არქიტექტურულ-მხატვრული ფორმათწარმოქმნის სკოლამ ითამაშა გამორჩეული როლი თანამედროვე არქიტექტურაში ახალი სტილის ძიებისას.

ბაუჰაუზისა და BXУTEMAC-ის პედაგოგ-ავანგარდისტები, რომლებმაც პირველებმა შექმნეს კომპოზიციის პროპედევტიკული კურსები, ხედავდნენ ამ კურსების უპირატესობებს ახალ სასწავლო შინაარსში, მაგრამ როგორია სწავლების ამ მოდელის ფსიქო-პედაგოგიური საფუძველი? ირკვევა, რომ ძირითად საყრდენად გვევლინება ინტუიცია და ემპირიული გამოცდილება.

არქიტექტურული პროპედევტიკის სკოლის ფორმირების სტადიაზე ის არ განიხილებოდა, როგორც თეორიული პრობლემა. ეს თემა გამოვიდა პირველ პლანზე, მხოლოდ არქიტექტურული პროპედევტიკის განვითარების მესამე ეტაპზე. გაირკვა, რომ პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის დებულებების გათვალისწინება აუცილებელია, ვინაიდან ისინი ეხება კულტურის ტრანსლაციას, პიროვნების ფსიქიური თვისებების პროცესების დახვეწას, აღმზრდელებისა და აღსაზრდელების ურთიერთობების კანონზომიერებებს. თვით ეს დისციპლინები მუდმივ დინამიკაში არიან, მათში ხდება ახალი აღმოჩენები და ცვლილებები, რომლებიც აქტიურ გავლენას ახდენენ პედაგოგიურ პროცესებზე [1,2].

საპროექტო გამოცდილების მიღების პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს სხვადასხვანაირად. ერთ-ერთი შესაძლო გზა არის სტიქიური. ადამიანი სინამდვილესთან შეჯახებისას, არქიტექტურასთან, ხელოვნების ნიმუშებთან ეზიარება ვიზუალურ კულტურას ინტუიციურად, მისი შიდა კანონზომიერებების შეუცნობლად.

სხვა პრინციპულად განსხვავებული გზა არის კომპოზიციის პროფესიული სწავლება. შემეცნების სიტუაცია იქმნება ხელოვნურად, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ამ პროცესში მნიშვნელოვან ფიგურად გვევლინება პედაგოგი, რომელიც ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უკეთებს სასწავლო პროცესს და სტუდენტების მოღვაწეობის სტიმულირებას ახდენს.

არქიტექტურულ-კომპოზიციური შემოქმედების მხატვრული სპეციფიკის მიუხედავად, სადაც სუბიექტივიზმი არის განუყოფელი ატრიბუტი, მისი სწავლება არ შეიძლება ეყრდნობოდეს ემპირიზმზს და უარყოფდეს ობიექტურ საფუძველს.

არქიტექტურული პროპედევტიკის მეთოდიკა, როგორც სხვა ნებისმიერი საგნის, უნდა მუშავდებოდეს მეცნიერულად და ყალიბდებოდეს თეორიულ-მეთოდურ კონცეფციაში. მასში უნდა აისახებოდეს მომიჯნავე მეცნიერებების მონაცემები: პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ქმედების თეორიის, კულტუროლოგიის და სხვა. ამ შემთხვევაში არქიტექტურული პროფესიის დაუფლება განხორციელდება ეფექტიანად. არქიტექტურული მოღვაწეობის თეორიული მოდელი, რომელიც ეყრდნობა განზოგადოებასა და ფორმალიზებას, იძლევა საშუალებას რეალიზებული გამოცდილების ფარგლებს გარეთ გასვლისა, მისი მომავალში განვითარების დანახვისა. სხვა მეთოდებისგან განსხვავებით არქიტექტურული პროპედევტიკა იყენებს ამ მოდელს, როგორც საბაზისო პედაგოგიკურ პრინციპს. ფორმალური თემატიკის სავარჯიშოები, რომლებიც ხსნიან კომპოზიციის საფუძვლებს განყენებული ელემენტების საშუალებით, კონკრეტული სტილის ნიშნების გარეშე, წარმოადგენენ მის ძირითად დიდაქტიკურ მასალას.

ჩვენ განვიხილავთ პროპედევტიკას, როგორც პროფესიული სწავლების საბაზისო ელემენტს. აქედან გამომდინარე ყველა თეორიული დებულება და მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის კატეგორიები, რომლებიც მიმართულია საგანმანათლებლო მიზნებისკენ და ამ შენთხვევაში წარმოადგენენ სწავლების შინაარსს, გვევლინებიან როგორც არქიტექტურული პროპედევტიკა.

განვიხილოთ ფსიქო-პედაგოგიური კუთხით სწავლების მეთოდიკის თავისებურებანი.

გეგმაზომიერად ორგანიზებულ სასწავლო პროცესში მეთოდიკას აქვს უპირატესობები, თუ ის დასაწყისშივე ითვალისწინებს არქიტექტურული კომპოზიციის ფორმირების საერთო ცნებებს და კანონზომიერებებს, დამახასიათებელს ყველა საპროექტო ობიექტისათვის, ასევე მათ კონკრეტულ ფუნქციურ დანიშნულებას სხვა თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. სწავლების საგნად იქცევა არა ცალკეული ერთეულები, დაგროვილი არქიტექტურული გამოცდილებიდან, არამედ შეჯამებული გამოცდილება, რომელიც გამოხატავს მთავარს და მნიშვნელოვანს, საერთო პრინციპებითა და კატეგორიებით.

ასეთი მიდგომა ასახავს კონცეპტუალურ წარმოდგენებს სასწავლო მოღვაწეობის ეფექტიანი ორგანიზების შესახებ, დაფუძნებულს ნებისმიერი ადამიანის ცნობიერი კულტურის განვითარებასა და ფორმირებაზე და რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ, ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც დაგროვილია ყველა წინა თაობის მიერ. ასეთი მეთოდის გამოყენება არქიტექტურაში გახდა შესაძლებელი მხოლოდ იმის შემდეგ, რაც დაიწყო ფორმათწარმოქმნის მნიშვნელოვანი კანონზომიერებებისა და არქიტექტურული კომპოზიციის თეორიის კონტურების გამოკვეთა, როგორც სამეცნიერო – თეორიული დისციპლინის.

ფსიქოლოგიურ ასპექტში ამ მეთოდიკის განსაკუთრებულობა მდგომარეობს შემდეგში: კომპოზიციის პროცესის ორგანიზებაში, ის პირველ რიგში ეყრდნობა აზროვნების ინტელექტუალურ მოღვაწეობას, რომელიც იყენებს ანალიზის და სინთეზის ხერხებს კომპოზიციური ცნებების ფორმირების დროს. განსაკუთრებული ანალიტიკური სავარჯიშოების გამოყენება თეორიულ განმარტებით საუბრებთან და ინსტრუქტაჟთან ერთად ქმნის პირობებს აზრის აქტიური მუშაობისთვის, რომელსაც მივყავართ საერთო მეთოდის დაუფლებისკენ [3].

ვ. გროპიუსი წერდა: "სპეციალიზაციის საუკუნეში მეთოდი უნდა იყოს უფრო "კონცენტრიული", ვიდრე "სექციური". თავისი არსით ის უნდა მოიცავდეს ყველაფერს, მეთოდის გარკვევის მისაღწევად, ანუ ნათელი აზრის და მისი განხორციელების ხერხების მნიშვნელობისათვის" [4]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ მეთოდი განსაზღვრავს საერთო საფუძვლებს, რომლებზეც შესაძლებელია კონკრეტულ სიტუაციებში ყველა კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტა. როგორც ირკვევა მოცულობით – სივრცითი კომპოზიცია და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სისტემური კატეგორიები არის არქიტექტურის ცენტრალური ცნება. კომპოზიცია გამოხატავს სტრუქტურული ელემენტების მთლიანობისა და ერთიანობის იდეებს.

არქიტექტურის დაუფლებისას პირველობა უნდა ენიჭებოდეს სწავლების იმ მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებენ მის სისტემურ – კომპოზიციურ ერთიანობას, ირჩევენ იმ სასწავლო მასალას, რომელიც უბიძგებს არქიტექტურული მოღვაწეობის მთლიანობის გააზრებისაკენ. ასეთ მეთოდად უპირობოდ გვევლინება კონკრეტული ობიექტების არქიტექტურული დაპროექტება, ვინაიდან ის მოიცავს ყველა ელემენტის და მათი კავშირების მთელ ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია არქიტექტურისთვის, როგორც სისტემისათვის. მაგრამ ასეთი სისტემური დაპროექტება სწავლების პირველ ეტაპზე რთულია სტუდენტისათვის. არქიტექტურის სწავლების ლოგიკა უნდა ვითარდებოდეს არა დავალებების ფუნქციონალური გართულებების, არამედ არქიტექტურაზე სისტემური წარმოდგენის გაღრმავების გზით, მისი კომპოზიციური შინაარსის გახსნით, ჰარმონიისა და ერთიანობის ესთეტიური პრინციპების, ფორმების ვიზუალური ბალანსის, რითმული აგებების, სივრცულ – პლასტიური თვისებების გამოხატვით. კომპოზიცია არის ნებისმიერი არქიტექტურული ნიმუშის თვისება. კომპოზიციის სწავლებას შევყავართ არქიტექტურის იმ ფართო სფეროში, პრინციპებში, რომლებსაც ის ექვემდებარება. ამასთან ერთად მრავალფეროვანი ფუნქციური, კონსტრუქტიული და სხვა კონკრეტული მოთხოვნებისგან ყურადღების გადატანა სწავლების საწყისი ეტაპის გამარტივებისა და აზროვნების შემოქმედებითი პროცესის რეალური ლოგიკის გახსნის საშუალებას იძლევა, სადაც წამყვან როლს თამაშობს არა კონკრეტული დეტალები, არამედ ძირითადი პრობლემის დანახვა მის მთლიანობაში [5]. ამგვარად, ლოგიკურია, რომ კომპოზიციის საფუძვლების კურსს, რომელიც მოიცავს პლასტიური ფორმათწარმოქმნის პრინციპებს და საერთო კანონზომიერებებს, არქიტექტურული ფორმების ერთიანობას და მთლიანობას, სასწავლო პროგრამაში წამყვან ადგილს იკავებს და განიხილება, როგორც არქიტექტურული დაპროექტირების შესავალი.

კომპოზიციის პროპედევტიკული კურსი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფეხურს, რომელიც უზრუნველყოფს პლასტიურ, მოქნილ გადასვლას არქიტექტურის უფრო რთულ საკითხებზე.

პედაგოგიკაში ცნობილია სწავლების მეთოდების ზოგიერთი საერთო მიდგომა, რომელიც ეყრდნობა ფსიქოლოგიურ თეორიებს (მაგ. სწავლების

ასოციაციური თეორია, პირობითი – რეფლექტორული, ნიშნობრივი), რომლებიც განსხვავებულ ისტორიულ პირობებში იყო პროდუქტიული, მაგრამ დღეს მთლიანობაში არ აკმაყოფილებენ დროის მოთხოვნებს [6,7].

XX საუკუნის მე-2 ნახევარში უფრო დიდ ავტორიტეტს იძენს განვითარებადი სწავლების თეორია, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე რეალიების თავისებურებებს. ამ ფუნდამენტურ კონცეფციას აქვს სერიოზული ფილოსოფიურ – ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ბაზა. (ლ. ვიგოტსკი, ა. ლეონტიევი, მ. მამარდაშვილი, პ. გალპერინი, ე. ილიენკოვი და სხვა) [8,9,1]. მასში მთავარია – პასუხი დროის გამოწვევებზე, საზოგადოებრივი ცნობიერების ზრდის გათვალისწინება მის ყველა ფორმაში: სამეცნიერო, მხატვრულ – სახვითი, მორალურ – ზნეობრივი.

თეორეტიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ახალი პირობების ადექვატურია დიალექტიკურ ლოგიკაზე დაფუძნებული აზროვნების ფორმები და გონებრივ – თეორიული მიდგომა. აზროვნების ამ მაღალ ფორმაბს შეესაბამება აღმავლობის გზა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ.

დღეს სწავლების პროცესის მოდელს, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსწავლეებში გონებრივი მოღვაწეობის განზოგადოებული ხერხების და ცნებითი სისტემის ფორმირება, პედაგოგიკაში ექცევა დიდი ყურადღება. ჩვენს საუკუნეში, როდესაც იზრდება ინფორმაციისა და ცოდნის მოცულობა, პირველობას უნდა ვანიჭებდეთ სწავლების იმ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია არა მოსწავლეთა მეხსიერების დატვირთვაზე მზა ცოდნით, არამედ მეთოდის ფორმირებას, რომელიც კერძო მოვლენების მთელი სისტემის დამოუკიდებელი ასახვის საშუალებას იძლევა. ამ მიდგომის უპირატესობა დამტკიცებულია პედაგოგიური პრაქტიკით. აქედან გამომდინარე ინფორმაციის მოცულობის შეუმცირებლად შესაძლებელია მკვეთრად შემცირდეს სასწავლო მასალა და ამაღლდეს სწავლების ხარისხი. სწავლების ამ მოდელს უწოდებენ "აზროვნების სკოლა"-ს, განსხვავებით "მეხსიერების სკოლა"-სგან. ამ მეთოდური სისტემის იდეების თანახმად ხდება სხვადასხვა დისციპლინების შესწავლის ახლებური ორგანიზება: მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია და სხვა, რომლებიც სისტემური ობიექტების ცოდნის წრეს ქმნიან. თეორიული და ექსპერიმენტული კვლევებით დამტკიცებულია სწავლების ახალი ტექნოლოგიის უპირატესობები სხვა პროფესიული მოღვაწეობების და სამეცნიერო საგნების ათვისებისას (ზ. რეშეტოვა, ი. მიკულინსკაია, ი. კოლოშინი და სხვა) [10]. ცნობილმა თეორეტიკოსმა ნ. ბალინკინმა წამოაყენა წინადადება, რათა არქიტექტურული პროპედევტიკის შინაარსი აღნიშნული იყოს, როგორც "კომპოზიციის ალგებრა".

უნდა აღინიშნოს საპროექტო კომპოზიციური პროცესის განვითარების რეალური ფორმის და სტუდენტთა გონებრივი ზრდის თანხვედრა სწავლების განვითარების საფუძველზე. არქიტექტურული მოღვაწეობის სასწავლო პროცესის განვითარების პროპედევტიკული სქემა ბუნებრივად გამომდინარეობს განვითარებადი სწავლების პედაგოგიური თეორიის ლოგიკიდან და შინაარსიდან. მიტომ მოცულობით – სივრცითი კომპოზიცია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, პიროვნების აუცილებელი პროფესიული მონაცემების და კულტურის ფორმირებისათვის. აქედან გამომდინარეობს უპირობო უპირატესობები მეთოდის, რომელიც მიმართულია პროფესიული აზროვნების ერთიანობისკენ (ვ. გროპიუსი) ერთხაზოვანი სწავლების მეთოდთან, კერძოსგან საერთოსკენ (ასოციაციურ – ფსიქოლოგიური სწავლების თეორია).

დღეს ჩვენ შეგვიძლია მივცეთ უმაღლესი შეფასება ნ. ლადოვსკის, ვ. კრინსკის, ი. გოლოსოვის, ვ. გროპიუსის და სხვა აღმზრდელ არქიტექტორების წვლილს. საუკუნის დასაწყისში მათი ძალისხმევით ემპირიული გზით, დახვეწილი პედაგოგიური ინტუიციის საშუალებით მიგნებული იყო კომპოზიციის სწავლების ახალი პრინციპები. ისინი რა თქმა უნდა არიან განვითარებადი სწავლების კონცეფციის ფარგლებში, რომელიც ეყრდნობა განზოგადებული ცნებითი სისტემების და გონებრივი მოღვაწეობის ხერხების ფორმირებას, რაც დღესდღეობით მეცნიერულად დასაბუთებულია. ისინი ეხმიანებიან დროს, პასუხობენ მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის განვითარების შიდა პროცესებს, შეესაბამებიან დიალექტიკური აზროვნების ფორმებს, რომლებიც ჩადებულია ნებისმიერი შემოქმედების, მათ შორის მხატვრულის საფუძველში.

ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწავლების მეთოდოლოგიის კორექტირება სტუდენტთა შეფასებებიდან გამომდინარე, სწავლების კურსის საჭიროებების, ფორმის და თავისებურებების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

Гальперин П.Я. Введение в психологию. Москва.1976. 254 стр.

Давыдов В.В. Проблемы развивающего обучения. Москва. Изд. «Педагогика». 1986.

Нечаев Н.Н. Проектное моделирование как творческая деятельность. (Психоло-гические основы высшего архитектурного образования). Реферат док. диссертации. Москва. 1987. 32стр.

Гропиус В. Границы архитектуры. Москва. Изд. «Искусство».1971. 168 стр.

Никифорова О.И. Исследования психологии художественного творчества. Москва. МГУ. 1972. 140с.

Ительсен Л. Психологические теории научения и модели процесса обучения. Советская педагогика. №3.1973. стр.27-32.

Талызина Н.Ф. Управление процессом усвоения знаний. Москва. МГУ. 1975. 344 стр.

Выготский Л.С. Психология искусства. Москва.1965. 379 стр.

Леонтьев А.Н. Деятельность, сознание, личность. Москва.1975. 232 стр.

Решетова З.А. Психологические основы профессионального обучения. Москва. МГУ. 1985. 344 стр.

Психо-педагогические основы архитектурной пропедевтики

В данной статье рассмотрены психо-педагогические основы архитектурной пропедевтики. Выявлено, что учет положений педагогики и психологии необходим в процессе обучения, так как они касаются трансляции культур, становления психических особенностей личности, закономерностей взаимоотношений между педагогами и студентами. При этом показано, что объемно-пространственную композицию можно рассматривать важнейшим инструментом в формировании необходимых профессиональных данных в личности и ее культуры.

Psycho-pedagogical basis of Architectural Propaedeutics

The psycho-pedagogical basis of architectural propaedeutics is reviewed in the given article. It has been detected that during the process of teaching, it’s necessary to take into account the basics of pedagogy and psychology, as they are influencing the passing of cultures, formation of psychological features of person, patterns of relations between students and professors. At that also has been proved that volume-space composition can be reviewed as an main instrument in formation of professional characteristics of person and his culture.

მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის კავშირი არქიტექტურულ დაპროექტებასთან, როგორც მეთოდოლოგიური პრობლემა

ვანდა მუჯირი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას 77

ცენტრალური პრობლემა, რომლის გარშემო ფოკუსირდება ყურადღება და იშლება კამათი, ეს არის არქიტექტურული პროპედევტიკისა, არქიტექტურული კომპოზიციის და დაპროექტების მეთოდოლოგიური კავშირი. ეს პრობლემა გაჩნდა ფაქტობრივად პროპედევტიკური კურსების ფორმირების დასაწყისიდან. ეს, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია არქიტექტურული სკოლის განვითარების ობიექტურ პირობებთან, შემოქმედებითი და მხატვრული მიმდინარეობების მიმართულებებთან და ახალ პედაგოგიურ იდეებთან. პედაგოგები ერთხმად აღიარებენ პროპედევტიკული ცოდნის და კომპოზიციური ჩვევების ღირებულებას, მაგრამ ხშირად აღნიშნავენ, რომ კონკრეტული პროექტირების პროცესში ისინი არ მუშაობს [1].

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

МАРХИ – ს პროფესორი ი. ანისიმოვა თვლის რომ არქიტექტურული დაპროექტება უნდა იწყებოდეს პირველივე კურსიდან მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის და არქიტექტურული პრაქტიკის შესწავლის პარალელურად [2].

პენზის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის პროფესორი ი. ბოგომოლოვი ფიქრობს, რომ პრობლემა უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: უნდა ხდებოდეს გამჭოლი კომპოზიციურ-მხატვრული მომზადება, რომელიც განმარტავს კომპოზიციურ ფორმათწარმოქმნას, როგორც მთლიან-პროფესიულ მოქმედებას, რომელიც მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის მეთოდის გამოყენებით ორგანიზებას უკეთებს მთელ სასწავლო პროცესს.

ვლადივოსტოკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ვ. მოორი თვლის, რომ საწყისი მომზადების ჩამოყალიბებული პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ კომპოზიციურ პროპედევტიკას და სტუდენტი დაპროექტების დროს პრაქტიკულად ეჯახება ფუნქციურ და კონსტრუქციულ ამოცანებს. აქედან გამოსავალს წარმოადგენს წინა საპროექტო პროპედევტიკული სავარჯიშოების სისტემის შექმნა, კონსტრუქციულ-ტექტონიკური, ფუნქციონალური და სოციალ-კულტურული ასპექტების გათვალისწინებით [3].

ლ. მარცი ВНИИТЭ–ს (Всероссийский научно-исслдовательский институт технической эстетики) პროფესორი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა პროპედევტიკული კურსების ანალიზი ამტკიცებს, რომ მრავალ მათგანში ყურადღებას მთლიანად ამახვილებენ ვიზუალურ აღზრდაზე და არ წყვეტენ სხვა ამოცანებს, ან პირიქით, უშედეგოდ ცდილობენ მაშინვე შესძინონ პროფესიული ჩვევები პირველკურსელებს, რომლებსაც ჯერ არ გააჩნიათ ვიზუალური აზროვნების ჩვევები. ორივე შემთხვევაში რთულია სასურველი შედეგის მიღწევა. ლ. მარცი თვლის, რომ ვიზუალური აზროვნება არის პროფესიური აზროვნების ფორმირების საფუძველი, მაგრამ არ იძლევა საპროექტო ქმედებაზე პირდაპირი გადასვლის საშუალებას [4].

ი. ანისიმოვა ამტკიცებს მოცულობით სივრცითი კომპოზიციისა და შესავალი კურსის სხვა ნაწილების პარალელურ რეჟიმში გავლის აუცილებლობას. დღეისათვის არსებობს მრავალი წინადადება მოცულობით-სივრცითი კომპოზიციისა და საწყისი არქიტექტურული პროექტირების პარალელურად სწავლებისა. ი. ანისიმოვას ექსპერიმენტული პროგრამა წარმოადგენს ერთ-

ერთ ასეთ რეალიზაციას. მასში განსაკუთებული მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროგრამის დასაწყისში არქიტექტურული პროექტის ჩართვას, პრაქტიკულად პირველივე სემესტრში [2].

რაც შეეხება მოცულობით-სივრცით კომპოზიციას, მისი მეთოდური მნიშვნელობა ეჭვგარეშეა. პედაგოგიური ძიებები მიმართულია მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის და არქიტექტურული შენობების კონკრეტიკას შორის შინაარსობრივ კავშირებისაკენ.

ზოგჯერ მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის და არქიტექტურული პროექტის კავშირის პრობლემის გადაჭრის სირთულე და ამასთან ერთად არქიტექტურული პროპედევტიკის კრიტიკა დაჰყავთ მისი შინაარსის დამახინჯებამდე. მაგალითად აცხადებენ, რომ მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია წარმოადგენს არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურის გარეთ სივრცესთან გაუთავებელ ცვლილებებს, მის დანაწევრებას, პროპორციონირებას და სიბრტყესთან სხვა ქმედებებს. მაგრამ მსგავსი კომპოზიციური კურსების ავტორები არც ერთ შემთხვევაში არ განიხილავენ მოცულობით-სივრცით კომპოზიციას, როგორც ფორმასთან უაზრო ექსპერიმენტების იზოლირებულ სფეროს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კომპოზიციური კურსების შემქმნელების გამოცდილებაზე, მათ მეთოდურ კომენტარებზე, თანამედროვე ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის დებულებებზე დაყრდნობით არქიტექტურულმა პროპედევტიკამ დაამტკიცა თავისი არსებობის აუცილებლობა.

ისტორია გვიჩვენებს, რომ გამოთქმული შენიშვნები არ არის ახალი. ისინი თან სდევდნენ პროპედევტიკას მისი არსებობის ყველა ეტაპზე. მაგრამ პროპედევტიკული კონცეფციის ლიდერები სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტისას ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას კავშირს მოცულობით-სივრცითი კომპოზიციასა და პროექტს შორის. ამას ამტკიცებს მრავალი ფაქტი პროპედევტიკის განვითარების ისტორიიდან. მაგალითად, ვ. გროპიუსმა გაანთავისუფლა პროფესორი იტტენი ბაუჰაუზიდან, ვინაიდან ის იგნორირებას უკეთებდა კომპოზიციური კურსისა და მხატვრული პროექტირების კავშირს. ლადოვსკი ეძებდა ფორმალური და თავისუფალი სავარჯიშოების დროში შეთავსების ვარიანტებს. ვ. კრინსკი აღნიშნავდა, რომ დაუშვებელია კომპოზიციების განხილვა არქიტექტურულ პროექტისგან იზოლირებულად, იმიტომ რომ ეს ანგრევს არქიტექტურული და პროექტირების ჭეშმარიტ შინაარსს და ამას მივყავართ ფორმალიზმისკენ [5].

რასაკვირველია კავშირი არქიტექტურულ პროპედევტიკასა (მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის) და სასწავლო არქიტექტურულ პროექტირებასთან ნამდვილად წარმოადგენს სერიოზულ მეთოდურ პრობლემას და ითხოვს გადაწყვეტას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექტურული პროპედევტიკა – ეს არქიტექტურული პროფესიის დაუფლების მხოლოდ პირველი ეტაპი.

მეორე ეტაპზე კომპოზიციის ეს პირველადი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მიბმულია კონკრეტულ არქიტექტურულ დაპროექტირებასთან, უნდა იყოს განვითარებული და გამყარებული. როდესაც ამბობენ, რომ პირველი ორი წლის მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის ათვისების შემდეგ სტუდენტს არ შეუძლია დაპროექტირება, უნდა ვუპასუხოთ: მას არ შეიძლება წავუყენოთ მსგავსი მოთხოვნები. მაშინ რა საჭიროა სწავლების შემდეგი ეტაპი, რომელიც ყველაზე ხანგრძლივია და საპასუხისმგებლო სპეციალისტების პროფესიული მომზადების თვალსაზრისით?

პროპედევტიკული კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს არ აძლევენ არქიტექტორის დიპლომს და დამოუკიდებელი მუშაობის უფლებას. არ შეიძლება

ითხოვდე არქიტექტურული პროპედევტიკისგან დაუყოვნებლივ შედეგს, ის არის მხოლოდ საწყისი სტადია პროფესიის დაუფლებაში.

მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის კავშირი არქიტექტურულ პროპედევტიკასთან და მისი წარმოდგენა, როგორც ძირითადი შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტის ფორმის და მეთოდისა, არის უპირველესი მოტივაცია პედაგოგიკისთვის.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ეტაპობრივმა სქემამ არ გაამართლა – ჯერ ფორმალური სავარჯიშოების ციკლი, შემდეგ გადასვლა კონკრეტულ არქიტექტურულ პროექტებზე. სწორედ დისციპლინის სწავლების ეტაპობრივობაში ყველაზე მეტად ვლინდება სირთულეები. ამას ემატება საორგანიზაციო ფაქტორი, ვინაიდან ამ ეტაპზე ხდება პედაგოგების ცვლა, რაც ართულებს პროფესიული ჩვევების განვითარების ერთიანი მეთოდური ხაზის გატარებას.

მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის მოცულობით-სივრცითი და პროექტირების დეპარტამენტის გამოცდილება ეფუძნება მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის კურსის და კონკრეტული საპროექტო დავალებების გავლის პარალელურ პრინციპს. დღეს საბაზისო სქემაზე, რომელიც ითვალისწინებს მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის სავარჯიშოების დამუშავებას გრაფიკაში და დაპროექტებაში კონკრეტულ დავალებებთან პარალელურად, აგებულია პირველი ორი კურსის სწავლების მთელი პროგრამა. ფაქტობრივად ყოველი კონკრეტული დავალებებისათვის – გრაფიკულისთვის ან საპროექტოსთვის მოძებნილია მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის შესაბამისი თემა, რომელიც ახდენს შემოქმედებითი იდეის განვითარების მოდელირებას და ვიზუალურად აფიქსირებს მას.

პირველი დავალება სრულდებოდა არქიტექტურული ნაგებობის ნახაზში (პავილიონ, საჩრდილობელი). ფურცლის კომპოზიციური გადაწყვეტა ხდება ძირითად ორთოგონალურ პროექციებში (ფასადი, გეგმა, ჭრილი) და გულისხმობს საბაზისო პრინციპების ცოდნას: ვიზუალურ ერთიანობას, მთლიანობას, ჰარმონიას, ფორმის ელემენტების გაწონასწორებას. ეს ამოცანები შეიძლება იყოს დასმული მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის პირველ სავარჯიშოში "კომპოზიცია სიბრტყეზე", რომელიც წარმოდგენას ქმნის კომპოზიციის მიზნებზე და ავლენს ზედაპირის კომპოზიციური გადაწყვეტის შესაძლებლობებს ბრტყელი ელემენტების განსაზღვრული რაოდენობის საშუალებით.

მეორე გრაფიკულ სამუშაოს –"არქიტექტურული ორდერების შესწავლა და მათი შესრულება ნახაზში" ეხმიანება მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის თემას "რითმი და მეტრი". ორდერების ანალიზს მივყავართ მათი სტრუქტურის გამოვლენამდე მეტრო-რითმული და სხვა მასთან დაკავშირებული ცნებების საშუალებით (რიგის მიმართულება, სიგრძე, შეზღუდვის ხერხები, მონოტონურობის დაძლევა და სხვა). ორდერული სტრუქტურები ჰორიზონტალურად იგება მეტრის საფუძველზე, სიმაღლეში, როგორც წესი, ტექტონიკური დაძაბულობები ვლინდება რითმულ კავშირებში.

"არქიტექტურული დეტალების ამორეცხვა" უკავშირდება ფორმალურ კომპოზიციურ სავარჯიშოს რომელიც შეიძლება ავღნიშნოთ, როგორც "ფრონტალური ზედაპირის პლასტიური გადაწყვეტა".

პირველი კურსის მეორე სემესტრში არქიტექტურულ გრაფიკაში სრულდება სამი დავალება: "შრიფტის კომპოზიცია არქიტექტურაში", "არქიტექტურული ძეგლის ფასადი ან ჭრილი", "არქიტექტურული ნაგებობის პერსპექტივა". დავალების ასეთი თემატიკის შესაბამისად პარალელურად მოცულობით-სივრცით კომპოზიციაში სრულდება შემდეგი ფორმალური ეტიუდები:

“ფრონტალური ზედაპირის კომპოზიციური გადაწყვეტა და მისი პლასტიკის გამოვლენა”, “კომპოზიციის ძირითადი სახეები”, “კომპოზიციის ძირითადი სახეების დიალექტიკური ურთიერთკავშირი” და “კონტრასტები მოცულობით-სივრცით კომპოზიციაში”.

მეორე კურსზე არქიტექტურულ პროპედევტიკასთან მეთოდური კავშირების საკითხი ინაცვლებს პირველ ადგილზე. განყენებული ფორმად წარმოქმნის და კონკრეტული საპროექტო დავალების პირდაპირი ანალოგიები ხელს უწყობს საძიებო მიმართულებების გაფართოებას და კომპოზიციური შემოქმედების ტექნიკური მხარის ჩართვას.

მეორე კურსის ძირითადი საპროექტო დავალებები შემდეგნაირად არის მოწოდებული:

მცირე ნაგებობა შიდა სივრცის გარეშე. (მონუმენტი, შადრევანი, სამრეკლო და ა.შ);

მცირე ღია სივრცე და ნაგებობა მინიმალური ფუნქციით. (საბავშვო სათამაშო მოედანი საჩრდილობლით, სკვერი ღია პავილიონით);

საზოგადოებრივი შენობის პროექტი საერთო სივრცით. (საგამოფენო პავილიონ, დასასვენებელი ბაზა მთაში, კაფე, ნავსადგური მდინარესთან და ა.შ);

საცხოვრებელი სახლის პროექტი ერთი ოჯახისათვის.

ყველა მათგანს წინ უძღვის დავალება მოცულობით-სივრცით კომპოზიციაში, რომელიც მაქსიმალურად ახდენს რეალიზაციას შესაბამისი ფუნქციონალური პროექტის გეომეტრიული მოდელირების.

ღია სივრცისა და მოცულობის კომპოზიციური ორგანიზება;

საფუძვლის (მიწის) პლასტიკის კომპოზიციური გადაწყვეტა;

ინტერიერის კონტრასტული სივრცეების დაპირისპირება;

სივრცის მოცულობითი ფორმის და გარემოს ურთიერთ კავშირი.

მოცულობთ-კომპოზიციის ეტიუდები, რომლებიც წინ უძღვის და მიმართულია კონკრეტული არქიტექტურული პროექტისკენ, ნაგებობის შესაძლო სახის წარმოდგენის საშუალებას იძლევა

საპროექტო პროგრამის კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით კომპოზიციური ძიების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამუშაო მაკეტი. კომპოზიციური შემოქმედებითი ძიების ეს აქტიური ინსტრუმენტი მეტწილად აკავშირებს მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის ფორმალურ გამოცდილებას კონკრეტულ არქიტექტურულ დაპროექტირებასთან.

გეომეტრიულ ფორმასთან მანიპულირების მეთოდი პასუხობს მოცულობითი-სივრცითი კომპოზიციის ხაისიათს, მაგრამ შემადგენელი ელემენტების ყველა პარამეტრი, მათი ურთიერთმოქმედება და კავშირები განისაზღვრება უკვე ფუნქციით, კონსტრუქტიული რეალიზაციის შესაზლებლობებით და სხვა მნიშვნელოვანი ელემენტებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიციური პროცესის განვითარების ყველა, განსაკუთრებით საწყისი ფაზა ექვემდებარება კონტროლს, განსაზღვრულია დროის მონაკვეთებით, ფიქსირებულია შესაბამისი ვიზუალური ფორმებით. ეს აძლევს პედაგოგებს საშუალებას განიხილონ, მოახდინონ აქტიური ზემოქმედება კომპოზიციურ პროცესზე, გაანალიზონ შუალედური სტადიები და თუ საჭიროება მოითხოვს, თვითონ ჩაერთონ კომპოზიციის შექმნის პროცესში [6].

ამგვარად, არქიტექტურული პროპედევტიკის ჩართვა არქიტექტურულ პროექტირებაში ხორციელდება ორი მიმართულებით და მისი ძირითადი მიზანია დაპროექტირების შემოქმედებითი მეთოდის დაუფლება.

პირველი უზრუნველყოფს პროფესიული ფორმალიზებული საშუალებების პოტენციალის მუდმივ გამდიდრებას (კომპოზიციის კანონებისა და პრინციპების, კატეგორიების, განზოგადოებული ვიზუალური სახეების და ა.შ.). პრაქტიკული კომპოზიციური შემოქმედება დავალებების პირობებში, რომლებიც მიახლოებულია კონკრეტულ გრაფიკულ და საპროექტო თემებთან, ხელს უწყობს წარმოდგენების გაფართოებას გამომსახველობით საშუალებებზე.

მეორე მიმართულება უშუალოდ გარდაქმნის მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის საშუალებებს კონკრეტული საპროექტო სიტუაციის გადაწყვეტის მოქმედ მექანიზმად და იყენებს შემოქმედებით აზროვნებაში მის ვიზუალურ ფორმას. აბსტარქტული მოდელი გარდაიქმნება სამუშაო მოდელად, ძირითადი ფუნქციური კავშირების დაზუსტებით. ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის, რომ საპროექტო პროცესის დამამთავრებელ ფაზაში ვიზუალური ფორმით გამაგრდეს არქიტექტურული პროექტის ყველა საპროექტო მოთხოვნა.

გამოყენებული ლიტერატურა

Дембич А.Л. Проектный анализ в системе архитектурного проектирования. Канд. дисс. Москва. 1985. 169 стр.

Анисимова И.И., Кудрявцева Т.В., Куповский СМ. Архитектурное проектирование в начальном образовании. Москва. Изд. Ладья. 1997. 288 стр.

Начальный этап архитектурного образования. Сб. СА СССР. Москва., 1991.139 с.

Марц Л.В. О воспитании визуального мышления. Техническая эстетика. Москва. Труды ВНИИТЭ №4. 1973. стр. 32-37.

Кринский В.Ф., Келбин В.С., Ламцов И.В., Туркус М.А., Филасов Н.В. Введение в архитектурное проектирование. Москва. 1962. 327 стр.

Мелодинский Д.Л. Объёмно-пространственная композиция - современное состояниеи тенденции развития. Начальный этап архитектурного образования. Сб. материалы совещаний, теория и практика советской архитектуры. Москва.1991. стр. 66-79.

Связь объемно-пространственной композиции с архитектурным проектированием, как методологическая проблема

В данной статье рассмотрена связь объемно-пространственной композиции с архитектурным проектированием, как методологическая проблема. В ходе анализа выявилась эффективность метода параллельного обучения этим дисциплинам.

Interrelation of Volume-Space Composition with Architectural Projecting, as a Methodological Problem

The interrelation of volume-space composition with architectural projecting, as a main methodological problem is reviewed in the given article. During the analysis the effectiveness of parallel teaching of these two subject has been revealed.

მსოფლიოს პოსტინდუსტრიული ქალაქები

ვალერი მჭედლიშვილი
სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. დოქტორანტი.
მზია მილაშვილი
არქიტექტურის დოქტორი. სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. პროფესორი

ქალაქები იბადებიან, ცხოვრობენ და ზოგჯერ, კვდებიან კიდეც…

კაცობრიობის ისტორიას მრავალი შემთხვევა ახსოვს, როცა ერთდროს აყვავებული ქალაქები გაუკაცრიელებულან, ადამიანებისაგან მიტოვებულ ადგილებს კი ბუნება დაპატრონებულა... ამ მოვლენის შესახებ მეცნიერები სხვადასხვა ჰიპოტეზებს ავითარებენ.

„მკვდარი ქალაქი“- ეს ტერმინი ერთ დროს განვითარებული მრავალი ქალაქის დღევანდელობის ამსახველია. ამ ქალაქებში თითქოს ყველაფერია - სახლები, მაღაზიები, ხეები, ავტომობილებიც კი... მაგრამ, არაა მთავარი- ადამიანი.

თავისთავად ისმება კითხვა - რატომ კვდებიან ქალაქები და აქვთ თუ არა ასეთ ქალაქებს მომავალი?

ქალაქები, როგორც წესი, ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე წარმოიქმნება, ზოგჯერ მათ ცარიელ ადგილზეც აშენებენ. ქალაქების მომავალთან ყოველთვის დიდი იმედებია დაკავშირებული... თუმცა, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ყველა ქალაქს არ უწერია დიდი ხნის არსებობა.

ყოველ მიტოვებულ ქალაქს თავისი ისტორია აქვს. ბევრი ქალაქები ამ პრობლემის წინაშე ეკონომიკური თუ პოლიტიკური კატაკლიზმების გამო დამდგარან.

ისტორიკოსების თქმით, დასავლეთის ქვეყნებში ქალაქების სიკვდილის უმთავრესი მიზეზი მზარდი ინდუსტრიალიზაციაა. როგორც საკითხის ღრმად შეწავლამ გვიჩვენა, საქმე სულაც არაა მხოლოდ იმაში, რომ დასავლეთ ევროპიდან წარმოება კორეაში ან ჩინეთში გადადის. სამრეწველო დასახლებების გაუდაბურების ძირითადი მიზეზი ისიცაა, რომ საწარმოო პროცესების ტექნოლოგიების განვითარების შედეგად წარმოება თითქმის ადამიანის გარეშე რჩება. რადგან ტექნოლოგიური პროგრესის მეშვეობით, წარმოების განხორციელებას სულ უფრო და უფრო ნაკლები სამუშაო ძალა ესაჭიროება და ამ პროცესში ადამიანი პირველობას კარგავს.

მკვლევართა მიერ შესწავლილი და გაანალიზებული ქალაქების სიკვდილის ძირითადი მიზეზები შესაძლოა ჩვენ ასე ჩამოვაყალიბოთ:

- ინდუსტრიული წარმოების შეწყვეტა; ბუნებრივი წიაღისეული მარაგების ამოწურვა; ტექნოლოგიური კატასტროფები; საომარი მოქმედებები; სტრატეგიული ობიექტების დახურვა; სტიქიური უბედურებები; პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლილებები; ეპიდემიები; უბრალო ადამიანური დაუდევრობა; სხვა აუხსნელი მოვლენები;

განვიხილოთ რამოდენიმე პოსტინდუსტრიული ქალაქი, რომელთა სიკვდილის მიზეზიც ინდუსტრიული საწარმოების დახურვა, ბუნებრივი წიაღისეული მარაგის ამოწყვრვა თუ სხვადასხვა სახის სამრეწველო-ტექნოლოგიური კატაკლიზმები გახდა.

ასეთ ქალაქებს შორის უპირველესად ისეთი ქალაქები ხვდებიან, რომელთა დაარსებაც ინდუსტრიულ წარმოებასთან თუ ახლო-მახლო არსებული წიაღისეული მადნის მოპოვებსათან იყო დაავშირებული. ქალაქის სიკვდილის მიზეზად კი წარმოების შეწყვეტა ან ნიადაგის სასარგებლო წიაღისეული მადნისაგან გამოფიტვა ქცეულა.

ამის მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ რუსეთის ფედერაციაში, მდებარე დასახლება **„ხალმერ-იუ“ (Хальмер-Ю),** რომლის სახელწოდებაც ნენცურიდან თარგმანში ქართულად ”მკვდართა ველის მდინარეს” ნიშნავს.



ფოტო 1. ხალმერ-იუ

პირველი დასახლება აქ 1942 წელს გაჩნდა. გეოლოგიური პარტიის მიერ ნაპოვნი ნახშირის საბადო ძვირფას ნედლეულს წარმოადგენდა კოკსოქიმიურ წარმოებაში. მისი ინტენსიური მოპოვება 50-იან წლების ბოლოს დაიწყო. ნედლეულის საშუალო სადღეღამისო მოპოვება 250 ტონას აღწევდა.შახტების გარშემო

სწრაფად გაშენდა დასახლება, რომლის მოსახლეობა 1959 წელს 7,1 ათასს შეადგენდა. შემდგომში გაირკვა, რომ აქაური ნახშირის მოპოვება ქვეყნისათვის ”ძვირი სიამოვნება” იყო.

საბაზრ ეკონომიკაზე გადასვლისთანავე,

წარმოების და დასახლების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც დადგა.

1993 წელს მთავრობამ უპერსპექტიო მაღაროებისა და დასახლების ლიკვიდაციის დადგენილება მიიღო. 1995 წლსათვის დაიგეგმა მოსახლეობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ევაკუაცია. თუმცა, ყველაფერი სტიქიურად მოხდა. მოსახლეობის გასახლების პროცესში სპეცდანაყოფების ჩარევა გახდა საჭირო. ისინი ადამიანებს ვაგონებში ძალით ერეკებოდნენ და ვორკუტაში გადაჰყავდათ... მას შემდეგ ეს ქალაქი ყველამ დაივიწყა. (იხ.ფოტო 1)

როგორც საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, პოსტინდუსტრიულ„მკვდარ ქალაქებს“ სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებშიც მრავლად ვხვდებით. მათ შორისაა აზერბაიჯანში, კასპიის ზღვაში გაშენებული მენავთობეთა უნიკალური არქიტექტურის ქალაქი **„ნავთობიანი ქვები“ (Нефтяные камни)**

წინა საუკუნის 40-იან წლებში კასპიის ზღვაში, აფშერონის ნახევარკუნძულიდან 42 კილომეტრის მოშორებით, აღმოსავლეთით, ზღვის ფსკერიდან ნავთობის მოპოვება დაიწყო. მალე პლატფორმების გვერდით ლითონის ესტაკადებზე და მიწაყრილებზე განლაგებული ქალაქიც ამოიზარდა. მისი აყვა-

ვების პერიოდში, აქ ელექტროსადგური, საერთო საცხოვრებლები, საავადმყოფოები, კულტურის სახლი, პურის ქარხნები და ლიმონათის საამქროც კი აშენდა. მენავთობეებს ქალაქში პატარა პარკიც კი ქონდათ, ნამდვილი ხე-მცენარეებით... „ნავთობიანი ქვები“ ზღვაში აგებულ 200 სტაციონალურ პლატფორმაზე იყო გაშენებული, ქალაქის ქუჩებისა და შესახვევების სიგრძე ზღვაში 350 კმ-ს აღწევდა.

შემდგომ, ციმბირში,იაფი ნავთობის მოპოვებამ, ნავთობის ზღვაში მოპოვება არარენტაბელურად აქცია... ეს უნიკალური დასახლება ნელ-ნელა გაუკაცრიელდა. დღეს აქმხოლოდ რამოდენიმე ასეული ადამიანიღა ცხოვრობს. (იხ. ფოტო 2)



ფოტო 2 ”ნავთობიანი ქვები”

იმ ქვეყნებს შორის, სადაც პოსტინდუსტრიული ქალაქები გვხვდება ლიდერის პოზიციებს აშშ იკავებს. როგორც ამ საკითხის შესწავლმ გვიჩვენა, დღეისათვის ამერიკაში

250-ზე მეტი „მკვდარი“და „მომაკვდავი ქალაქია“.

საკმარისია გავიხსენოთ დეტროიტი, რომელიც ადრე საავტომობილო წარმოების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა...

სამდინარო გზაზე მომგებიანმა მდებარეობამ ქალაქი მსხვილ სატრანსპორტო კვანძად აქცია. 1940-ან წლებში დეტროიტში ერთ-ერთმა პირველმა ჩქაროსნულმა ტრასამ „M-8 “-მ გაიარა.

XX საუკუნის დასაწყისში, დეტროიტისათვის «ოქროს ხანა» იდგა. ძლიერ ეკონომიკურ ზრდას მოსახლეობის მოდინება ახლდა თან. 1950-ან წლებში დეტროიტი აშშ-ს საავტომობილო დედაქალაქად იქცა. აქ განთავსებული იყო აშშ-ს უდიდესი საავტომობილო ქარხნები: ჯენერალ მოტორსი, კრაისლერი... ქალაქი თავისი განვითარების ზენიტში იყო. ამ დროისათვის დეტროიტი ყვაოდა და იგი ჩრდილოეთი ამერიკის ერთ-ერთ უმდიდრეს ქალაქად გადაიქცა. ქალაქში მრავალი, შთამბეჭდავი არქიტექტურის შენობა აიგო. დეტროიტს მაშინ «დასავლეთის პარიზს» უწოდებდნენ.

ავტომობილთა რაოდენობა ქალაქში სწრაფად იზრდებოდა. ძველი ქალაქური სტრუქტურა ვეღარ აკმაყოფილებდა ქალაქის მოთხოვნებს, ქუჩებში მუდმივი საცობები გაჩნდა, არასაკმარისი იყო ავტოსადგომები... სულ უფრო და უფრო უარესდებოდა ცხოვრების პირობები.

დაიწყო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებული ისტორიული შენობების ნგრევა. მათ ადგილზე კი ავტოსადგომებს აკეთებდნენ. 21-ე საუკუნის დასაწყისში კი დეტროიტი ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მყოფ ქალაქად აღიარეს.

«ფორბსის» ცნობით 1950 წლიდან ქალაქის მოსახლეობა მესამედით შემცირდა. მართალია, ამჟამად დეტროიტი სულ უფრო და უფრო ზარალდება ამერიკული საავტომობილო წარმოების დაცემის გამო. მკვლევართა მოსაზრებით მოსახლეობის კლების ეს პროცესი მინიმუმ 2030 წლამდე გაგრძელდება. თუმცა,

რა იქნება შემდგომში მისი შეჩერების საშუალება, დღეს საკმაოდ ძნელი სათქმელია.

სამწუხაროდ, ქალაქი დეტროიტი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ავტომობილიზაციის ტალღათან ერთად განვითარდა, თანდათან იცლება. რადგან იგი მთლიანად იყო დამოკიდებული სამრეწველო წარმოებაზე.



ფოტო 3. დეტროიტი

(იხ. ფოტო 3)

„მკვდარი ქალაქების“ არ არსებობით ვერც მრეწველობისა და ცხოვრების დონით გამორჩეული ქვეყნები დაიკვეხიან, მათ შორისაა იაპონია. სადაც ერთ ერთ კუნძულზე მდებარეობს „ქალაქი-მოჩვენება“, რომელიც ასევე ეკონომიკური კატაკლიზმების მსხვერპლი გახდა. კუნძული ხაშიმა ციცაბო ნაპირების წყალობით კრეისერს წააგავს.

ამიტომ მისი სახელი **გულკანჯმა (Ggunkanjma),** „კუნძულ-კრეისერს“ ნიშნავს.

ქალაქის ისტორია 1890 წელს დაიწყო, როცა ის კომპანია მიცუბიშმა გამოისყიდა და აქ ზღვის ფსკერიდან ნახშირის მოპოვება დაიწყო. 1916 წელს კუნძულზე მუშათა საცხოვრებლი პირველი შენობა აიგო. 1959 წელს ქალაქის მოსახლეობის სიმჭიდროვემ რეკორდულ ციფრს - ერთ ჰექტარზე 835 ადამიანს მიღწია. კუნძული პატარა სამეფოს შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი მაცხოვრებლები ამაყობდნენ: „არ არსებობს ქვეყანიერებაზე რამე, რაც ჩვენთან არაა“... და ისინი მართალნიც იყვნენ, მათ თავიანთ პატარა „სამეფოში“ მართლაც ყველაფერი ქონდათ... მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, როცა ნახშირის საწვავი ბენზინმა შეცვალა, მაღაროების მასიურად დახურვა დაიწყო. მიცუბიშმა გუნკანჯმას მაღარო 1974 წელს დახურა. დღეს ქალაქი სრულიად უკაცრიელია (იხ.ფოტო 4)

უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ ქალაქები სიცოცხლისა და განვითარებისათვის იბადებიან. მაგრამ, არცთუ იშვიათად, მათგან სიცოცხლე უფრო ადრე მიდის ვიდრე მათი შენობების კედლებს დრო-ჟამი დაშლის... და ზემოთ დასმულ



ფოტო 4. ქ. გულკანჯმა

კითხვაზე: -„აქვთ თუ არა მომავალი ასეთ ქალაქებს? რამდენადაა შესაძლებელი მათთვის ხელახლი სიცოცხლის მინიჭება, თუ უმჯობესია მათი

უტილიზაცია?„ პასუხი მეტად აქტუალურია და ამ პრობლემის გადაწყვეტა მრავალმხრივ შესწავლასა და ანალიზს საჭიროებს, რადგან იმისათვის, რომ ასეთი ქალაქები საბოლოოდ „აღიგავოს პირისაგან მიწისა“ და ეს ტერიტორიები სამომავლოდ გამოსაყენებლად სასარგებლოდ იქცეს, არანაკლები ინვესტიციებია საჭირო, ვიდრე მათ განახლებას ესაჭიროება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.dezinfo.net
2. http://goroda-prizraki.ru
3. http://turist.rbc.ru
4. http://sob.ru

resume

This article discusses the issue of the main reasons and causes which forced the formerly important industrial cities all over the world to lose their significant role. The article analyses the situation of post industrial cities all over the world and discusses the main factors that caused some of the former industrial cities not only to lose the significance, but also to become unsettled.

Резюме

В статье, на примере рассмотрения сегодняшнего состояния существующих в мире постиндустриальных городов, проанализировано и сопоставлено основные причины и аспекты, которые определили омертвление некогда значительных индустриальных городов.

ინტერიერის ფორმირების ფსიქოლოგიური ასპექტები

ქეთევან სალუქვაძე
სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. დოქტორანტი

ინტერიერის ფორმირება სათავსოთა დაგეგმარებით და შიგა სივრცის განსაზღვრული სტრუქტურის ჩამოყალიბებით იწყება. ფსიქოლოგიის თვალ-საზრისით ასეთ სტრუქტურიზაციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ფაქტიურად ის იძლევა სახლში ცხოვრების რიტმს, და არაიშვიათად, მაცხოვრებელი ოჯახის წევრთა ერთმანეთთან და სტუმართან ურთიერთობის კონკრეტულ მოდელსაც კარნახობს. მართალია, ინტერიერის სივრცის დაგეგმარების ვარიანტები შესაძლოა ურიცხვი იყოს, ისინი მაინც ორ ძირთად ტიპამდე შესაძლოა იქნეს დაყვანილი, ესაა- **დახურული და გახსნილი ტიპის** ინტერიერები.

დახურული ტიპის ინტერიერები გულისხმობს ინტერიერის მთლიანი სივრცის რამოდენიმე იზოლირებულ ოთახებად მკაფიო და ფიქსირებულად დაყოფას. როცა თითოეული მათგანი რაიმე განსაზღვრული ფუნქციური დანიშნულებისაა. მაგალითად, სასტუმრო ოთახი არაა დაკავშირებული სასადილო ოთახთან, ხოლო საძინებელი-კაბინეტთან. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, აქ

პირველ რიგში დაყენებულია სათავსოთა მფლობელის ცხოვრების წესის ინტიმურობა და პრივატულობა.

გახსნილი ტიპის ინტერიერები კი პირიქით, ყველასათვის ხელმისაწვდომი სივრცის შექმნის კონცეფციის დიზაინერულ ხერხს წარმოადგენს, რომელიც აქტიური, საჩვენებელი, დინამიური და კომუნიკაბელური ცხოვრების სტილის დემონსტრირებას ახდენს.

ინტერიერის ფორმირება მეტად საპასუხისმგებლო ამოცანაა, რომლის გადასაწყვეტად არ არსებობს უნივერსალური რეცეპტი. რეკომენდაციები შესაძლებელია მოცემული იყოს მხოლოდ ადამიანის ტემპერამენტულ ტიპთა კლასიფიკაციის (მელანქოლიკი, სანგვინიკი, ფლეგმატიკი და ქოლერიკი) ფსიქოტიპოლოგიური დახასიათების გათვალისწინებით. ამასთან, თანამედროვე ფსიქოლოგია გვთავაზობს ადამიანთა ფსიქოტიპთა არსობრივად ანალოგიურ გრადაციას ორ ძირითად ჯგუფად- **ექსტრავერტებად** და **ინტროვერტებად**, ანუ **აქტიურ** და **პასიურ** ტიპებად. იგულისხმება, რომ თვითეოეულ ამ ტიპს სუფთა სახით იშვიათად ვხვდებით, ადამიანთა აბსოლიტური უმრავლესობა ე.წ. **„შერეული ტიპს“** შესაძლოა მიეკუთვნოს.

ამრიგად, ინტერიერის გეგმარებითი სტრუქტურისა და მხატვრულ-დეკორატიული ფორმირებისათვის სასურველია არქიტექტორს გარკვეული წარმოდგენა ქონდეს ადამიანთა ფსიქოტიპებსა და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებების შესახებ. კერძოდ, ცნობილია, რომ **სანგვინიკებისა** და **ქოლერიკების** ტიპთა ჯგუფს **(ექსტრავერტები)** მიღებულია მიეკუთვნონ ის ადამიანები, რომლებსაც თავი ვერ წარმოუდგენიათ მღელვარე, ბობოქარი ცხოვრების გარეშე. ამასთან, ქოლერიკი უფრო ემოციურია, მისი აქტიურობა და დინამიურობა უფრო იმპულსურია, ხოლო მიზნის მისაღწევად მოქმედებაში მოკლებულია სისტემატიურობასა და თანმიმდევრობას. სანგვინიკები და ქოლერიკები არასდროს არ არიან რეტროგრადები და კონსერვატიულები, ამიტომ ინტერიერის დიზაინში ისინი მიესალმებიან ყველაზე თამამ სტილისტურ გადაწყვეტებსაც კი ”ურბანიზმითა” და ”ჰაი-ტეკით” დაწყებული- ”ავანგარდული ეკლექტიკით” დამთავრებული. ასეთი ტემპერამენტის ადამიანებისათვის **ჰარმონიული ინტერიერის** შექმნისათვის საჭიროა მაქსიმალურად მოქნილი, გახსნილი გეგმარებითი სტრუქტურა და გაერთიანებული სივრცეები. რაც შეეხება გახსნილი გეგმარებითი სტრუქტურის გამოყენებას, როგორც **მასტიმულირებელ ინტერიერს,** მას ერთდროულად შეუძლია დაიტიოს სანგვინიკისა და ქოლერიკის არაერთგვაროვანი ტემპერამენტიც, ხოლო მშვიდი ფლეგმატური და შენელებული მელანქოლიკებისათვის ცხოვრების სტიმულისა და ხალისის მიმცემად იქცეს.

შენობის შიგა სივრცე, რომელიც ცხოვრებისა და დასვენების ადგილია,ამავე დროს ადამიანის გრძნობებზე ზეგავლენის მქნონე გარემოა და ამით მისი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. ამიტომ სასურველია, რომ არქიტექტორები ზედმიწევნით კარგად ერკვევოდნენ ადამიანის ფსიქიკასა და ფიზიოლოგიაზე გარემოს ზეგავლენის საკითხებში, იმ მიზნით, რომ არქიტექტურული ხერხებით დადებითად იმოქმედონ ადამიანის განწყობაზე, ემოციებზე, მის ფიზიკურ მდგომარეობაზე და შრომის უნარიანობის ზრდაზე.

დღეს სრულყოფილი ინტერიერის შექმნისათვის საკმარისი არაა ადამიანის ემოციურ სფეროზე არქიტექტორის მხოლოდ სუბიექტური შეხედულება. მნიშ-

ვნელოვანია სხვადასხვა სფეროს სამეცნიერო მიღწევების გამოყენების აუცილებლობა. ფსიქოლოგია მოიცავს გარემოს აღქმის პროცესს სუბიექტის პრაქტიკული მოღვაწეობისა და მის წინ მდგარი ამოცანების გათვალისწინებით. ეს კი ნიშნავს, რომ გარემოს გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე დამოკიდებულია განსაზღვრული პროცესის პირობებზე და გარემოს დანიშნულებების თავისებურებებზე.

არქიტექტორმა, რომელიც სივრცეს აყალიბებს, უნდა გამოყოს მისი უმთავრესი თვისებები,ელემენტები და იმგვარად დააკავშიროს ისინი ერთმანეთთან ისე, რომ მათგან შედგენილმა გარემომ დადებითი ზეგავლენა იქონიოს ადამიანის ფსიქიკაზე და ხელი შეუწყოს ფუნქციურ პროცესებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინტერიერის აღქმის პროცესი ორი მნიშვნელოვანი ელემენტისაგან – ანალიზისა და სინთეზისაგან შედგება. ე.ი. პირველ ყოვლისა გარჩევისაგან და შემდგომ ყველა ელემენტის ერთ სახეში გაერთიანებისაგან. სწორედ გონების ამგვარი მოქმედების შედეგია გარემოს აღქმა და შეფასება. მართალია, წამიერად ჩატარებული გონებრივი ანალიზური სამუშაო საკმაოდ რთულია, მაგრამ გარემოს აღქმისას ანალიზური პროცესისადმი ყურადღება, მაქსიმალურად ამსუბუქებს გონებრივ მუშაობას. აქედან მომდინარეობს გარემოსადმი ადამიანის მიერ წაყენებული საერთო სახის მოთხოვნები. რის მიხედვითაც საჭიროა ამა თუ იმ ფორმის მასის, სიდიდის, ფერის,ფაქტურის, გამწვანების პროპორციები მახასიათებლების მკაფიოობა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა მახასიათებლის (ფერის,მასალის,ნაირ-ნაირი ფორმის) გადაჭარბებული რაოდენობა გონების გადაღლას და ნერვული სისტემის დაძაბვას იწვევს.

გონებრივი მუშაობის მეორე მხარე სინთეზია, ე.ი. ხარისხობრივად განსხვავებული ელემენტების ერთ მთლიან სახედ გაერთიანება. იგი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ აღქმა წარმოიშობა,როგორც შეგრძნებათა რთული ასოციაციების კომპლექსი. ამასთან, მოვლენის მაქსიმალურად ნათლად წრმოსადგენად, საჭიროა საერთო სახის ცალკეული თვისებებისა და მახასიათებლების გარკვეული რაოდენობა. საქმე ეხება მოთხოვნილებისა და საკმარისობის ფაქტორებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სივრცის, ფორმის, ფაქტურის, ფერის მასალის მახასიათებლები იმდგენად მოფიქრებულად უნდა შეირჩეს, რომ შესაძლებელი იყოს მინიმალური საშუალებებით, რაც შეიძლება ნათლად და ამომწურავად დახასიათდეს ინტერიერის ფორმირებისათვის გააზრებული მხატვრული სახე.

ზემოთჩამოთვლილ ფსიქოლოგიურ ასპექტთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ინტერიერის გამწვანების ასპექტი, რაც თანამედროვე ურბანულ გარემოში ადამინაისთვის მეტად საჭირო და აუცლებელ გარემოებად ითვლება.

თანამედროვე ადამიანი ცხოვრების 80-დან 90%-მდე დახურულ შენობაში ატარებს, რჩება რა ამავედროს ბუნებასთან ევოლუციურად დაკავშირებული. ოთახის მცენარეებთან ფსიქობიოლოგიური კავშირი კი ხელს უწყობს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ცნობილი და კვლევებით დადასტურებული ფაქტია, რომ კომპანიიის თანამშრომელთა კარგი განწყობა დადებით ზეგავლენას ახდენს შრომის პროდუქტიულობაზე. რაშიც დიდ როლს თამაშობს სამუშაო ადგილზე ცოცხალ მცენარეთა არსებობა.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, აშშ-ში “Nasa”-ს ეგიდით პირველად განახორციელა ადამიანზე მცენარეთა გავლენის

შესახებ სამეცნიერო კვლევები. ამის შემდეგ ბევრმა ქვეყანამ ჩაატარა მსგავსი კვლევები, რომელიც ადასტურებს, რომ ოფისებში არსებული მცენარეები ამცირებენ თანამშრომელთა ჯანმრთელობის პრობლემებს და სტრესებისადმი მიდრეკილების დონეს.

ბევრი თვლის, რომ ოთახის მცებარეები ძირითადად დეკორის ელემენტს ან ბინაში მხოლოდ მიკროკლიმატის გაუმჯობესების საშულებას წარმოადგენენ. ბევრს ვერც კი წარმოუდგენია, რომ მცენარეებს შეუძლიათ ადამიანის წინაშე გადაშალონ ჰარმონიული სამყარო, გაასუფთავონ სახლის მიკროკლიმატი და დაიცვან ის სხვადასხვა უსიამოვნებებისაგან. ოთახის ყვავილები ამცირებენ ყოფითი ტექნიკისა და სინთეტიკური მასალების მავნე გავლენას, წმენდენ რა გარემოს და ქმნიან კომფორტის ატმოსფეროს. ამასთან, ოთახის ყვავილებს, ისე როგორც ყველა ცოცხალ არსებას, ესაჭიროებათ ჩვენი ზრუნვა, ყურადღება, სიყვარული. და მხოლოდ მაშინ დაგვიცავენ ისინი საიმედოდ ბევრი უსიამოვნებებისაგან.





შესაბამისად, ინტერიერის გამწვანებისათვის მცენარეები უნდა შერჩეს გააზრებულად რადგან ისინი მრავალფუნქციონალურია და მათი შერჩევა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მოსაზრებიდან გამომდინარე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასურველია გავითვალისწინოთ, თუ მოცემულ მომენტში რომელი მათი თვისებებთაგანი გვესაჭიროება.

სულ უფრო მეტი და მეტი თანამედროვე კომპანია ათვითცნობიერებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის პროფილაქტიკის, გამაჯანსაღებელი სპორტისა და სტრესების დაძლევის აუცილებლობას. განსაკუთრებით ეს აშკარაა იქ, სადაც დაავადებათა მაჩვენებლის შემცირება არ არის ერთადერთი მიზანი. კომპანიების მიზანი თანამშრომელთათვის ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნაში მდგომარეობს, საბოლოოდ კი ისეთი კომპანიის ჩამოყალიბებაში, სადაც მომხმარებელიცა და თანმშრომელიც თავს კარგად იგრძნობს.

ამ მიმართებით, ჯანსაღი ატმოსფეროს მიღწევის არსებით ნაწილს წარმოადგენს ოფისის ინტერიერების გამწვანება. მწვანე მცენარეები ასრულებენ ხმის საიზოლაციო დაცვისა და ჰაერის დამატენიანებლის ფუნქციას. ამასთან, მნიშვნელოვნად მცირდება გრიპოზულ, ბაქტერიულ, ინფექციურ თუ ვირუსულ დაავადებათა რისკი. მეტიც, მწვანე მცენარეები შთანთქავენ ნახშირორჟანგის გაზს და გამოიმუშავებენ დიდი რაოდენობით ჟანგბადს, ჰაერიდან ფილტრავენ მავნე ნივთიერებებს და ქმნიან სამუშაოზე სასიამოვნო ფსიქოლოგიურ კლიმატს. ოფისის ინტერიერების გამწვანება დადებითად მოქმედებს თანამშრომლებზე და

კლიენტურაზე, კომპანიაში არსებული ვითარება თავისთავად მეტყველებს საწარმოს კულტურის დონეზე.

ჭკვიანი მეწარმეები გონივრულად იყენებენ "მწვანე" აქტივებს, როგორც ერთგვარ სავიზიტო ბარათს, რომელიც პირველი შეხვედრისთანავე წარმოადგენს ფირმის, ბრენდის სახეს და კლიენტურასთან ურთიერთობების კარგ საფუძველს ქმნის რადგან ადამიანთა უმრავლესობისთვის მცენარეები სასიამოვნო გარემოსთან ასოცირდება. ალბათ იმიტომ, რომ მცენარეები ახდენენ დამამშვიდებელ გავლენას, ამცირებენ სტრესს, ქმნიან კონტრასტს ოფისის ინტერიერის შეზღუდულ ფერთა პალიტრასთან.

ამრიგად, ზემოთხსენებული ფსიქოლოგიური ასპექტების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს ის ძირითადი მიმართულებები, რაც აუცილებელად გასათვალისწინებელია ამა თუ იმ დანიშნულების ინტერიერის დაგეგმარებისა და მისი დიზაინერული გადაწყვეტისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. fsiqologia.wordpress.com/
2. mkurnali.ambebi.ge
3. კერესელიძე ა.ს. ადამიანი და მცენარეული ბუნების სილამაზე.თბილისი გამ. ცოდნა1975წ.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინტერიერის ფორმირების ფსქოლოგიური ასპექტები, რის საფუძველზეც შეგვიძლია განვსაზღვროთ ის ძირითადი მიმართულებები, რაც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა დანიშნულების ინტერიერების დაგეგმარებისა დამათი მხატვრულ-დეკორატული გადაწყვეტისათვის.

The article

The article considers the formation Psychologist interior aspects, based on which we can determine the major trends of which is necessary this or that type of interior planning and its art - Decorative Solutions.

Резюме

С целью художественно-декоративного решения интерьера в статье расматриваются психологические аспекты формирования интерьера на основе которых определяется и те самые необходимые направления в планировке разных интерьеров.

ორნამენტი - ჩუქურთმა, როგორც იდენტიფიცირების საშუალება

დოქტორანტი ***არჩილ ქურდიანი***
ხელმძღვანელი: არქიტექტურის დოქტორი ***მედეა მელქაძე***
სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
ქ.თბილისი, კოსტავას 72, +995 599 111 999
E-mail: akurdiani@dynasty.ge

პრეამბულა

ჩვენი მოხსენების სივრცე წარმოადგენს ორნამენტის - ჩუქურთმის მრავალსახოვან, მრავალპლასტიან, მრავალგანზომილებიან სამყაროს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობა განვრცობილი დროსა და სივრცეში, ეპოქებსა თუ ქვეყნებში.

როგორც ავღნიშნეთ, ორნამენტი, როგორც თემა არის რა მრავალმიმართულებიანი: არქიტექტურა, გამოყენებითი ხელოვნება, კერამიკა, იარაღი, ხელნაწერების კაზმვა, ქარგულობა, და ა.შ.

შესაბამისად, ჩვენ შევეცდებით ეს ურთულესი თემა შიგნით შევზღუდოთ და შემოვიფარგლოთ მათი სახეობების სისტემატიზაციით.

ორნამენტი და მისი სახეობები

როგორც ცნობილია, ორნამენტი არის ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის უძველესი სახე, რომელიც კაცობრიობის არსებობის გარიჟრაჟზე თავისთავში ატარებდა სიმბოლურ და მაგიურ შემეცნებით დატვირთვას - სემანტიკურ ფუნქციას - ე.წ. ასო-ნიშნის სახით.

ამგვარად, ადრეულ დეკორატიულ-ორნამენტულ ელემენტებს, შესაძლოა, არც ჰქონდა აზრობრივი დატვირთვა და წარმოადგენდა, მხოლოდ განყენებულ ნიშნების ერთობას, რომელშიც გამოიხატებოდა რითმის, ფორმის წესრიგის, სიმეტრიის გრძნობა.

ორნამენტის მკვლევარები თვლიან, რომ ის გაჩნდა უკვე წინაპალეოლიტის ეპოქაში (15-10 ათასი წ. ქრისტე შობამდე).

ორნამენტი, რომელიც ეფუძნებოდა არაწარმოსახვით სიმბოლიკას, იყო თითქმის ყოველთვის გეომეტრიული და შედგებოდა მკაცრად განსაზღვრული ფორმებისგან, როგორიცაა: წრე, ნახევარწრე, ოვალი, სპირალი, კვადრატი, რომბი, სამკუთხედი და მაგვართა მრავალფეროვანი კომბინაციები. დეკორში ასევე გამოიყენებოდა ზიგზაგი, შტრიხი, ზოლები, „ნაძვისებრი“ ორნამენტი, წნულისებრი (თოკისებრი) ნახატი/მოტივი.


თანდათანობით ამ ნიშნებმა (სიმბოლიკამ) შეიძინა სახე - ორნამენტული გამოხატულება, რომელიც განიხილებოდა, როგორც ესთეტიკური ღირებულება და სხვა არაფერი. განისაზღვრა ორნამენტის მნიშვნელობაც რაც იყო მორთულობა. თუმცა, სამართლიანი იქნება აღინიშნოს, რომ სწორედ ორნამენტის მოტივებიდან წარმოიშვა პიკტოგრაფია - დამწერლობის ადრეული ეტაპი.

ორნამენტი თავისი ფორმით არის გრაფიკული ან სკულპტურული - გეომეტრიული ან მცენარეული. ზოგჯერ იღებს ფანტასტიკურ ფორმებს.

ორნამენტის ძირითად კლასიფიკაციის ნიშნებად გამოდგება მისი წარმოშობა, დანიშნულება და შინაარსი. აქედან გამომდინარე ორნამენტული ფორმები, შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგ ჯგუფებსა და სახეობებში:

ტექნიკური: ამ ორნამენტის ფორმები განაპირობა ადამიანის შრომითმა საქმიანობამ. მაგალითად: დაზგაზე შექმნილი თიხის ნაკეთობების ზედაპირის ფაქტურა; ადრეულ საქსოვ დაფაზე შექმნილი ქსოვილის უმარტივესი უჯრედული ნახატი; თოკის ქსოვისას შექმნილი სპირალური ხვეულები, ა.შ.





სიმბოლური: სიმბოლური ორნამენტიკის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ორნამენტული ხელოვნების პირობით-სიმბოლური გამოსახულებების ერთობამ მთლიანობაში, ხოლო თვით ორნამენტული გამოსახულებები, როგორც წესი, წარმოადგენენ სიმბოლოს ან სიმბოლოთა სისტემას.

ასეთი სახის გამოსახულებას შეუძლია ლაკონური ფორმით გამოხატოს საკმაოდ ფართო, მრავალფერდოვანი წარმოდგენები. წარმოიშვა რა ადრეულ ეგვიპტეში და უძველესი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, სიმბოლური ორნამენტი დღესაც ასრულებს მნიშვნელოვან როლს.



გეომეტრული: თავდაპირველად ეს ორნამენტი გაჩნდა ტექნიკური და სიმბოლური ორნამენტის შერწყმის საფუძველზე, რითაც საფუძველი ჩაუყარა კონკრეტულ თხრობით მნიშვნელობას მოკლებულ, მაგრამ უფრო რთული კომბინაციების მქონე გამოსახულებებს. ორნამენტის ამ ფორმაში სიუჟეტის უგულებელყოფამ შესაძლებელი გახადა აქცენტების გადატანა ცალკეული ბუნებრივი მოტივების მკაცრ მონაცვლეობაზე. რადგან ნებისმიერი გეომეტრიული ფორმა წარმოადგენს საწყისში არსებულ ფორმას, რომელიც განზოგადოებული და გამარტივებულია.

პირველადი და ასევე ძირითადი გეომეტრიული ფორმების თანდათანობითმა განვითარებამ მიგვიყვანა იმგვარ მხატვრულ ფორმებამდე, რომელსაც დღესაც აქტიურად იყენებს თანამედროვე ხელოვნება და არაბულ-

მავრიტანულ, გოთიკურ გამომსახველობით ხელოვნებებში გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და სინატიფით.






მცენარეული: ორნამენტის ეს ფორმა არის ყველაზე გავრცელებული გეომეტრიულის შემდეგ. მას ახასიათებს საკუთარი მოტივები, თუმცა თითოეული განსხვავებულია ქვეყნების და ეპოქების მიხედვით. მცენარეული ორნამენტი, სხვა სტილებისგან განსხვავებით, იძლევა მრავალფეროვანი მოტივების, გამოხატვის საშუალებებისა და ფორმების ორგინალურობის ყველაზე დიდ შესაძლებლობას.

მცენარეული ორნამენტი მოიცავს მცენარეული მოტივის მრავალფეროვან სახეობებს: ფოთლებს, ყვავილებს, ნაყოფს თუ სხვა და შესაბამისად წარმოადგენს მცენარეული სამყაროს ფორმების მხატვრულ გადამუშვებას. მხატვარი-ორნამენტალისტის ხელში ხდება მცენარის პირველადი სახის, ფორმის, მასშტაბის, ფერთა სახეცვლილება და დაქვემდებარება სიმეტრიის კანონებისადმი.





კალიგრაფიული (ეპიგრაფიული): ეს ორნამენტი წარმოადგენს ცალკეულ ასოთა, თუ ტექსტის ელემენტთა ერთობლიობას, გამოხატულს პლასტიკური ნახატით და რითმით. კალიგრაფიის ხელოვნება განსაკუთრებით განვითარდა ჩინეთში, იაპონიაში, ირანში და არაბულ ქვეყნებში. იგი ასევე გამოიყენებოდა ძველ რუსეთში და საქართველოში, სადაც ორნამენტიკასთან ერთად გამოიყენებოდა დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში სხვადასხვა ნაკეთობათა დეკორირების მიზნით.






ფანტასტიკური: ამ ორნამენტს საფუძვლად უდევს წარმოსახვის, ხშირად სიმბოლური დატვირთვის მქონე ფორმების გამოსახულება. ფანტასტიკურმა ორნამენტმა, ზღაპრული გმირების და სცენების სიუჟეტებით შეიძინა განსაკუთრებული დატვირთვა და გავრცელება უძველესი აღმოსავლეთის ქვეყნებში (ეგვიპტე, ასირია, ჩინათი, ინდოეთი).





ასტრალური: (სიტყვა „ასტრა“-დან, ნიშნავს ვარსკვლავს). ზეციურობის კულტის განმამტკიცებელია. მისი ძირითად ელემენტებს წარმოადგენს ზეცის გამოსახულება, მზე, ღრუბლები, ვარსკვლავები. ყველაზე გავრცელებულია იაპონიაში და ჩინეთში.





პეიზაჟური: ამ ორნამენტის ძირითადი და უმთავრესი მოტივებია: მთები, ხეები, კლდეები, ჩანჩქერები, ხშირად არქიტექტურულ მოტივებისა თუ ცხოველური ორნამენტის ელემენტებთან ერთობლიობაში. განსაკუთრებით გავრცელებული იყო იაპონიისა და ჩინეთის დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში.





ზოომორფული: მთლიანადაა აგებული ფრინველებისა და ცხოველების გარკვეული ხარისხით სტილიზაციის ელემენტზე და ახლოა როგორც რეალისტურ, ისე პირობით გამოსახულებებთან. უკანასკნელის გათვალისწინებით ორანმენტი უახლოვდება კიდეც ფანტასტიკურ გამოსახულებას.





საგნობრივი ორნამენტი: წარმოიქმნა ანტიკურ რომში და ფართოდ გამოიყენებოდა მის ყველა მომდევნო ეპოქაში. საგნობრივი ორნამენტი გამოსახავს სამხედრო ჰერალდიკას, ყოფით საგნებს, მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების ატრიბუტებს.



დასკვნა

ჩვენს მიერ წარმოდგენილი საკითხის - ორნამენტის (ჩუქურთმა), როგორც გამოყენებითი ხელოვნების ერთერთი მიმართულების სისტემატიზაციამ და მსოფლიო მაგალითების მოკლე მიმოხილვამ უნდა შექმნას წინაპირობა ამ ურთულესი თემის ზოგადი პორტრეტის ჩამოყალიბებისათვის, რაც, მომავალში ამ თემის ირგვლივ მუშაობის გაგრძელების საფუძველს შეადგენს შემდეგი ქვეყნების: ეგვიპტე, ასირია-ბაბილონი, საბერძნეთი, რომი და ბიზანტიის - კონტექსტში.

ლიტერატურა

1. Энциклопедический словарь Ф.А.Брокгауза и И.А.Ефрона.
2. Блумер К. Происхождение орнамента // Проект International 1+2,2001. С. 179.
3. Racinet, "L'Ornement polychrome" (Париж, 1881-87);
4. Owen Jones, "The grammar of ornament" (Лондон, 1856; нем. ест. Лейпциг, 1865);
5. Jacobsthal, "Grammatik der Ornamente" (2 ест., Берлин, 1879);
6. Лоран С. Краткая хроника орнамента // Проект International 1+2, 2001. С. 179-181.
7. H. Mayeux, "La composition decorative" (Париж, 1884),
8. http://politeh.debesi.ru/files/IvshinCOMPOSITIONhtml/4.html
9. http://nova.rambler.ru/search?query=%D0%BE%D1%80%D0%BD%D0%B0%D0%BC%D0%B5%D0%BD%D1%82%20%D0%B2%20%D0%B0%D1%80%D1%85%D0%B8%D1%82%D0%B5%D0%BA%D1%82%D1%83%D1%80%D0%B5
10. http://slovari.yandex.ru/~книги/Словарь%20изобразительного%20искусства/Акант/
11. http://www.sno.pro1.ru/lib/istoriya_rima/6.htm
12. http://www.arx.by/rimskie-rospisi-0

Резюме

Арчил Курдиани

Систематизация орнамента, как одно из направлений прикладного искусства, а также краткий обзор всемирных примеров – вопроса, представленного нами на обсуждение - создаст предпосылку для установления обобщенного портрета данной сложной темы, что, в свою очередь, создаст основу для продолжения работы над данной тематикой в контексте других стран, как Египет, Ассирия-Ваваилон, Греция, Рим и Византия.

Executive Summary

Archil Kurdiani

Systemization of the issue of our discussion – ornament, as one of the aspects of applied arts, together with brief overview of the worldwide examples shall serve as a precondition to establish a generalized understanding of this most complex aspect. This, in itself, shall be used as a basis for further elaboration of the matter in the context of other countries, like: Egypt, Assyria-Babylon, Greece, Rome, Byzantine.

არქიტექტურისა და დიზაინის მიზნობრივი გამოყენებით ხევსურეთის რეგიონის რეაბილიტაციის კონცეპტუალური ხედვა

მაია ძიძიგური, გიორგი ოსეფაძე

საქართველოს მთიანი რეგიონების ერთი, ჩვენი აზრით, მთავარი მიმართულება აქ მოსახლეობის დასაქმებაა. მუზეუმად ქცეული დასახლებები მკვდარი ორგანიზმებია, რომლის გამოცოცხლების ერთ–ერთ ძირითად წყაროდ აქ ბიზნესის განვითარება მიგვაჩნია, რაც ადგილობრივ წარმოებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. საქართველოს მთიანი რეგიონები თავიანთი ტრადიციული საქმიანობით ამის სფუძველს იძლევა. ისეთი თვითმყოფადი და მგრძნობიარე რეგიონები, როგორც ხევსურეთი, სვანეთი, მთა–თუშეთი, მთიანი აჭარაა თავიანთი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ინარჩუნებდნენ ცხოვრების გარკვეულ წესებს და ტრადიციებს, რაც აუცილებლად დასაცავია და თანამედროვე ინფრასტრუქტურაში აქტიურად გამოსაყენებელი. ჩვენი აზრით ცივილიზაცია ასეთ რეგიონებში ზომიერად უნდა ჩაერიოს ადგილობრივი კერის გამოცოცხლებაში, რათა არ დაიკარგოს ის მნიშვნელოვანი თვისებები, რაც მათ ეგზოტიკურს და მომხიბლავს ხდის. ახლისა და ძველის სწორი, მიზანმიმართული ინტეგრაცია ის მთავარი და რთული ამოცანაა, რომელიც ვფიქრობთ ამ რეგიონების სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორად გადაიქცევა. ამჯერად ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ ხევსურეთზე,

რომლის დემოგრაფიული მდგომარეობა სავალალოა. დღესდღეობით ტურიზმის ბიზნესი მწირად არის გამოყენებული. მაგალითად ხევსურეთში მოქმედებს 2–3–4–დღიანი ტურები, რომლებიც არასაკმარისია დაცლილი სოფლების რეანიმაციისათვის. ტურები ცალკეული მიზნისთვისაა მიმართული. მოსახლეობის დასაქმება განისაზღვრება საოჯახო სასტუმროებში, მომსახურების სფეროში მათი დაკავებით, რაც არ არის მასშტაბური. არ ხდება პრობლემის ისეთი კომპლექსური გააზრება, რაც გულისხმობს მოსახლეობის აქტიურ ჩართვას არა მარტო მომსახურების სფეროში, არამედ ადგილობრივ წარმოებაში და მათ მიერ ამგვარი ბიზნესის მართვას. ჩვენი აზრით სწორედ ასეთი კომპლექსური მიდგომა იქნება სტიმული მოსახლეობის ადგილზე დასაქმებისა და დაცლილი სოფლების აღორძინებისა. ტურიზმის ბიზნესის მართვის ბერკეტებიც სწორედ მათ ხელში უნდა გადავიდეს.

ბუნება, ლანდშაფტი, არქიტექტურა, რომელიც აქ ტურისტებს იზიდავს, არ უნდა იქცეს დათვალიერების ან მხოლოდ დღესასწაულების აღნიშვნის უსიცოცხლო ობიექტად. აქ უნდა უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივი მცხოვრებლების მუდმივმოქმედი საქმიანობა. ამის ერთ–ერთი მთავარი წინაპირობა ინფრასტრუქტურის მოწყობაა, ისე, რომ რეგიონი არა მხოლოდ სეზონურად (თბილ თვეებში), არამედ წლის განმავლობაში იყოს დატვირთული. გამოყენებული უნდა იქნას ყველა შესაძლებლობა, რასაც იძლევა ადგილობრივი ტრადიციები და არქიტექტურა. ეს ეხება მცირე წარმოებებს, მაგ.: ლუდის. ხორცის წარმოებას, ხალხურ რეწვას, ფოლკლორის აქტიურად ჩართვას, ტრადიციული სატრანსპორტო საშუალების ცხენოსნობის გამოყენებას. ტურიზმში შეიძლება ჩაერთოს ისეთი თანანმედროვე სპორტის სახეობები, რომლის გამოყენების საშუალებასაც ადგილობრივი ლანდშაფტი იძლევა. მაგ.: რაფტინგი. ამგვარი მიდგომა ზრდის მომსახურების სფეროს მასშტაბებს. ერთეული საოჯახო სასტუმროები უფრო მსხვილ ერთეულებად შეიძლება გადაიქცნენ. ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ტურისტული პროგრამების განხორციელებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ფაქტორები, რაც განასხვავებს მათ სხვა რეგიონებიდან. ამას კი უპირველეს ყოვლისა რეგიონის უნიკალური ბუნება, ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურა და ადგილობრივი, ტრადიციულ საქმიანობაზე, კულინარიაზე, სასმელის წარმოებაზე ორიენტირებული ფაქტორები განაპირობებს.

ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა ჰობი ტურიზმი გურმანებს უკავშირდება. მსოფლიოში ცნობილია ლუდის ტურები, რაც ძლიერ პოპულარულია. ცნობილია, რომ ხევსურეთში ლუდის კულტურა ძალიან მნიშვნელოვანია და ღრმა ტრადიციებს უკავშირდება. მცირე ლუდის სახარშები შეიძლება ჩართული იქნას ერთიან ეთნო-კულტურულ კომპლექსში და მიზნობრივი ტურების წარმატების ერთ-ერთ საფუძვლად იქცეს. ეს ყველაფერი კი შესაძლებელი და აუცილებელიცაა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმყოფადი არქიტექტურის აქტიური გამოყენებით. აქ შეიძლება ვისაუბროთ არსებული შენობების ადაპტაციაზე ან ახალი ნაგებობების აგებაზე არქიტექტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით. დგება საკითხი ისეთი არქიტექტურული ცნებებისა, როგორიცაა ადგილის სული, რეგიონალიზმი, კრიტიკული რეგიონალიზმი, სტრუქტურალიზმი. ჩვენთვის საინტერესოა არსებულის, ტრადიციულის ადაპტაციის, ძველისა და ახლის ინტეგრაციის საკითხები, უნდა დარჩეს არქიტექტურული "გარსი" და ინტერიერი იქცეს მოქმედების ძირითად არეალად, თუ მოხდეს მთლიანად ახალ ნაგებობათა სტრუქტურირება და ა.შ.

ყოველი ცალკეული პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელია ტურისტულ მარშრუტზე შეიქმნას მომხმარებლისთვის რეგულარული კომფორტული პუნქტები მისი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისთვის, რისი ერთ–ერთი განმსაზღვრავი ფაქტორი მათი არქიტექტურული გადაწყვეტაა. აუცილებლად მიგვაჩნია ამგვარი პუნქტების კეთილმოწყობილი, ადგილობრივ ტრადიციულ არქიტექტურაზე, ყოფაზე დამკვიდრებული მრავალფუნქციური, კომლექსურად დატვირთული, მომხმარებელის მოთხოვნებზე ორიენტირებული ტურისტული "ბაზების" შექმნა, რომლებიც მომსახურების სფეროს (ღამის თევა, კვება) გარდა ეთნოკულტურული, მცირე საწარმოების შენობების დანიშნულებას შეითავსებენ ანუ გარკვეულწილად დააკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების ერთობლიობას და არა ცალკეულ მიზნობრივ ტურებს ანუ ეს იქნება ადგილობრივ ტრადიციებზე დაფუძნებული კომპლექსური "დაწესებულებები". ამდენად ისინი შეიძლება და კიდეც უნდა იქცნენ უნიკალურ, რეგიონის ეგზოტიკური ბუნებისა და არქიტექტურის ორგანულ ნაწილად თავისი ექსტერიერითა და ინტერიერის დიზაინით.

არქიტექტურისა და დიზაინის აქტიური და მიზნობრივი გამოყენებით ხევსურეთის რეგიონის რეაბილიტაციის მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ კონცეპტუალური პროექტი, რაც ემყარება შემდეგ წინაპირობებს: 1) ხევსურეთი უნიკალური რეგიონია, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცები გააჩნია ყოფაში, აქვს გამოკვეთილი ინდივიდუალური ფოლკლორი, არქიტექტურა და ზოგადად კულტურა; 2) ამჟამად ხევსურეთი საჭიროებს რეანიმაციას რეგიონის გამოცოცხლების მიზნით, რათა ის არ იქცეს დაკონსერვებულ მუზეუმად ღია ცის ქვეშ; 3) ამისთვის აუცილებლად მიგვაჩნია ხევსურთა ტრადიციული საქმიანობის გააქტიურება და ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციებზე დაყრდნობილი ბიზნესის დანერგვა; 4) მნიშვნელოვან საქმიანობად უნდა იქცეს მრავალფეროვანი ტურიზმი ხევსურეთის ბუნებრივი მონაცემების, არქიტექტურის, ყოფის, ძირითადი საქმიანობის საფუძველზე; 5) ერთ–ერთ წამყვან საქმიანობად უნდა ჩაითვალოს ლუდის მცირე წარმოება, რაც ასევე ტურიზმის ბიზნესს უკავშირდება და რისი წარმატებული მაგალითები მსოფლიოში უხვად მოიპოვება; 6) წარმატებული ბიზნესისთვის აუცილებელია შეიქმნას მისთვის შესაბამისი არქიტექტურა და დიზაინი, რაც უნდა ითვალისწინებდეს რეგიონის სპეციფიკას. ჩვენი საპროექტო წინადადება ეყრდნობა ჩამოთვლილ წინაპირობებს. ამის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ რეგიონში შესაძლებელია შეიქმნას ე.წ. მცირე ეთნოკულტურული ცენტრები, სადაც ინტეგრირებული იქნება ტურისტული მომსახურების, ლუდის წარმოების, ხალხური ინდივიდუალური მრეწველობის დაწესებულებები. ამგვარი ცენტრები შესაძლებელია გაჩნდეს პირაქეთა და პირიქითა ხევსურეთის ფოკუსირებულ ადგილებში. წარმოდგენილი კონკრეტული პროექტი გათვალისწინებულია შატილის მიდამოებში. ჩვენ შევეცადეთ ერთიან არქიტექტურაში მოგვეხდინა რეგიონალური არქიტექტურის და თანამედროვე ტენდენციების სინთეზი, ტოპოგრაფიის და არსებული ისტორიულ-არქიტექტურული კონტექსტის უპირატესობის გათვალისწინებით. პროექტში შემოთავაზებულია ადგილობრივი მასალისა (ქვა, ხე) და მინის აქტიურად გამოყენება.



Концептуальное видение реабилитации хевсуретского региона с целевым использованием архитектуры и дизайна

Майя Дзидзигури, Гиоргий Иосебидзе

В статье рассмотрен важный фактор реабилитации высокогорного региона Грузии - Хевсуретии – развитие туризма с активным использованием архитектуры. В качестве примера приведено проектное предложение малого этнокультурного центра в Шатили. В здании интегрированы туристические услуги, местное пивопроизводство, народный промысел.

A conceptual vision for the rehabilitation of Khevsureti region with the target application of architecture and design

Maia Dzidziguri, George Iosebidze

The article reviews one significant factor of rehabilitation of a high-mountaneous region og Georgia-Khevsureti - development of tourism with the active application of architecture. As an example a project proposal of a small ethno-cultural center in Shatili is offered, where different companies such as tourist service, brewery and the individual folk industry are integrated.

ეკო არქიტექტურა

თინათინ ხიმშიაშვილი
ასოცირებული პროფესორი. დირექტორი
თბილისის სამხატვრო აცადემია

ბუნების დაცვის აუცილებლობა და რაციონალური ბუნების სარგებლობა XXI საუკუნის დასაწყისში გადაიქცა ურთულეს, მრავალსპექტრულ სოციალ-ეკონომიკურ, ბიოლოგიურ და ტექნიკურ პრობლემად.

ამიტომაც არქიტექტურაში აუცილებელია ურბანიზაციის და ბუნების რეგულირება.

ურბანიზაციის პროცესების განვითარების საკითხს ბუნების ძალების მოქმედებასთან ურთიერთკავშირში, ეკოლოგიურ კანონზომიერებებს და თითოეული ბუნებრივი კომპლექსის ცვლილების დინამიკას სწავლობს ახალი მიმართულება.

არქიტექტურული ეკოლოგია

არქიტექტურული ეკოლოგია-დისციპლინათაშორისი მეცნიერებაა, რომელიც წარმოადგენს ურბანიზმის, სამედიცინო-ბიოლოგიურ, გეოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და ტექნიკურ მონაცემებთა კომპლექს. არქიტექტურულის ეკოლოგიური ასპექტები ასახულია სხვადასხვა მეცნიერების შრომებში.

არქიტექტურისა და ურბანიზაციის ბუნებრივი და გარემო არის დაცვის საკითხებზე შრომების დიდი რაოდენობის მიუხედავად არქიტექტურულის ეკოლოგიის პრობლემები თანამედროვე არქიტექტურულ პროექტირებაში არასაკმარისადაა გათავალისწინებული არასაკმარისად რეგულირდება ურთიერთობები ურბანიზაციასა და ბუნებას შორის სივრცესა და დროში ეკონომიკური და ეკოლოგიურ გეგმარების ქალაქთმშენებლობის პროექტირებასთან მის ყველა დონეზე ეფექტური შეხამების გზით.

დიდი ქალაქი ცვლის ბუნებრივი გარემოს თითქმის ყველა კომპონენტს, ატმოსფეროს, მცენარერეულობას, ნიადაგს, რელეფს, ჰიდროგრაფიულ ქსელს, მიწისქვეშა წყლებს, ქალაქებში შეცვლილია დედამიწის ელექტრული, მაგნიტური და სხვა ფიზიკური ველები. ამ შეუქცევი დარღვევების ასაცილებლად, საჭიროა, რომ ბიოსფერო მთლიანობაში და მისი ელემენტები იმყოფებოდნენ შეწონასწორებულ მდგომარეობაში, ანუ უნდა უზრუნველყოფილი იქნეს სუფტა წყლის, ჰაერის, ნიადაგ-მცენარეული საფარის, ცალკეული ეკოსისტემების და ბიოგეოცენოზების რეგენერაცია.

არქიტექტურულ ეკოლოგის მთავარი ამოცანა – დიდ ქალაქებში ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფა.

ეკოლოგიური წონასწორობის ქვეშ ურბოეკოლოგიის ფარგლებში საჭიროა გვესმოდეს ბუნებრივი გარემოს დინამიური მდგომარეობა - თვითრეგულაცია, მისი ბუნებრივი კომპონენტების: ატმოსფერული ჰაერის, წყლის რესურსების, ნიადაგ-მცენარეული საფარის, ცხოველთა სამყაროს კვლავწარმოება. მაგრამ ქალაქის ურბანიზებულ ტერიტორიაზე მეტად ძნელია ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფა. თუ ქალაქს განვიხილავთ, რო-

გორც განსახლების ლოკალურ სისტემას, მაშინ მას არ გააჩნია თვითრეგულაციის საკმარისი შესაძლებლობები.


არქიტექტორი კენ-იანგი 40 წელზე მეტია ქმნის პროექტებს, რომლებსაც "მწვანე პროექტების" სახელი დაერქვა. ის ეგრეთწოდებული ბიოკლიმატური მიდგომის გამომგონებელია,ასევე ეკოლოგიური და ენერგიეს დამზოგავი დიზაინის მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტ. იანგი სწავლობს და პრაქტიკაში იყენებს ისეთ მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც შენობა ბუნებაში არსებული ეკოსისტემების მსგავსი ხდება. ეს მეთოდები ეკოლოგიური პრინციპების და ენერგიის დამზოგავი მეთოდების გამოყენებზეა დაფუძნებული. იანგის მეთოდები შენობისა და გარემოს ურთიერთქმედებას უწყობენ ხელს, შენებისა და ექსპლუატაციისატვის შედარებითმცირე ხარჯებს მოითხოვენ, შენობის შიგნით კი მაღალი დონის კომფორტს გვთავაზობენ. კენ იანგმა ლონდონის არქიტექტურის ასოციაცია დაამთავრა და კემბრიჯში, 1971 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. 20 წლის შემდეგ მისი დისერტაცია გამოქვეყნდა სახელწოდებით "პროექტირება ბუნების მონაწილეობით". მასში იმ დროისათვის ყოვლისმომცველი ,შენობათა დაპროექტების პრინციპები იყო წარმოდგენილი.



"დიზაინის თეორია" (2002 წ.) "ეკო – დიზაინი:" ცნობარი (2006 წ.)და "ეკო-ცათამბჯენები" (2007წ). დღეს ის მუშაობს წიგნებზე: "ეკო -არქიტექტურა" და "ეკო – დიზაინის ლექსიკონი" კენ იანგის აზრით ეკო დიზაინი ნიშნავს ისეთ დაგეგმარებას, რომელიც დიზაინის და გარემოს ორგანულ და ბუნებრივ კავშირს განაპირობებს. მისთვის შენობა არ წარმოადგენს ცალკე მდგარ ობიექტს, იქნება ეს ქალაქში თუ სადმე სხვაგან. კენ იანგის აზრით შენობა გარემოს კონტექსტში უნდა დავინახოთ, სხვადასხვა ეკოლოგიური მონაცემები შევაგროვოთ და შემდეგ ფიზიკური სისტემური და დროის ასპექტების გათვალისწინებით მოვახდინოთ მისი ინტეგრაცია გარემოსთან. იგულისხმება

ინტეგრაცია ადგილის ფიზიკურ მახასიათებლებთან – ტოპოგრაფიასთან, მიწისქვეშა წყლებთან ჰიდროლოგიასთან და მცენარეულობასთან.





სისტემური ინტეგრაცია წყლის სისტემების ნარჩენების, კანალიზაციის და ა.შ. რაციონალურ გამოყენებას ნიშნავს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს მაშტაბრივ დაბინძურებას, დროებითი ინტეგრაცია არის რესურსებისა და სამშენებლო მასალების შეფარდება მათი თვით აღდგენის ან თვით შევსების უნართან. თავის პროექტებზე მუშაობისას კენ იანგი ეკოლოგიური არქიტექტორის სფეროში ახალ თეორიულ და პრაქტიკულ იდეებს ანვითარებს და მათი ინტერპრეტირების გზებს ეძებს. ის შენობებში მაქსიმალურად გამოიყენება ენერბიის დაზოგვის მეთოდები, ბუნებრივი განათება და ვენტილაცია, გამოიყენება მასალა, რომელიც შედარებით იაფია, მაგრამ ძალიან დიდხანს ძლებს. ენ იანგი ცდილობს შენობები არამხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვოს, არამედ ისე ააგოს, რომ შენობა თავისი ფორმის, სხვადასხვა კომპონენტისა და სამშენებლო მასალის წყალობით მაქსიმალურად გამოიყენოს ადგილობრივი კლიმატის თავისებურებები, როგორიცაა მაგალითად დღის განმავლობაში მზის მოძრაობა ან ჰაერის ტემპერატურის სეზონური ცვლი-ლება. კენ იანგისთვის ბუნება, კერძოდ კი ბიოლოგია და ეკოლოგია ისპირაციის მთავარი წაყ-როა. უნება მისთვის ყველაფრის დასაწ-ყისი და დასასრულია. მისი იდეების და გამოგონების მტავარი რესურსია. მისი აზრით ადამიანის მიერ წარმოქმნილი ნებისმიერი ნარჩენის გადამუშავება და თავიდან გამოყენება შეიძლება. ის ყოველთვის აღნიშნავს, რომ ცივილიზაციის გაჩენამდე დედამიწაზე ეკოლოგიური ბალანსი სუფევდა, რადგან ეკო სისტემას ნარჩენი არ გააჩნია. ერთი ორგანიზმის ნარჩენი, მეორე ორგანიზმის საკვებია. თანამედროვე საზოგადოება კი



საკუთარი კანონების მიხედვით ცხოვრობს, ნარჩენებს მიწაში მარხავს, ოკეანეში ძირავს ან უბრალოდ ყრის. ასეთი დამოკიდებულება ეკოლოგიისადმი კარგს არაფერს მოგვიტანს. კენ იანგის პროექტები ტრადიციული პროექტებისგან გამოირჩევა. მისი აზრით ბევრმა არ იცის თუ როგორ ააგოს ცათამბრჯენი. კენ იანგის თქმით ცათამბჯენის დაგეგმვა განტოლებას გავს. აუცილებელია რამდენიმე ამოცანის ერთად ამოხსნა, მაგ. ლიფტის ლოდინის სავარაუდო დროისა და მისი ტევადობის ერთად გამოთვლა. თუ ცათამბჯენი ოფისებისათვის შენდება მაშინ სხვადასხვა არენდატორების მოთხოვნების შესაბამისად უნდა დაიგეგმოს. პროექტი ელასტიური უნდა იყოს, რომ ერთდროულად სხვადასხვა მომხმარებლის დაკმაყოფილება შეძლოს აუცილებელია ქარის დატვირთვების გამოთვლა, მიწისძვრის შესაძლებლობისა და კლიმატის გათვალისწინება. ის ის ფაქტორებია, რომლებსაც კენ იანგი წლების განმავლობაში შეისწავლის, ის ორგანულისა და არაორგანულის გაწონასწორებას და თავისი შენობების ადგილობრივ ფლორასთან და ფაუნასთან ბიოლოგიურ ინტერგრირებას ცდილობს. მას უნდა ერთგვარი "ცოცხალი სისტემის შექმნა და გარემოს დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანა. კენ იანგი ცათამბრჯენებს ეკოლოგიურ შენობებს არ მიაკუთვნებს, რადგან ისინი როგორც წესი ანალოგიური ფართის მქონე, მცირე შენობებზე სამჯერ მეტ ენერგიას ხარჯავენ, მაგრამ კაცობრიობა ამ კოშკების შენობებაზე უარის თქმას არ აპირებს, ამიტომ ისინი ეკონომიისა და ეკოლოგიის პრინციპების მიხედვით უნდა დაიგეგმოს. ცათამბრჯენები მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციებს მოითხოვენ, ამის გამო მათი ღირებულება კრიტიკულ ფაქტორს წარმოადგენ. როდესაც ფულის დაზოგვის სურვილი ესთეთიკურ სურვილს და პროექტის ჰუმანიტარულ და შემოქმედებით ასპექტებს ძლებს, იქმნება უსახური ყუთები. ენ იანგის თქმით ბევრი ცათამბრჯენის ფასადი ყველა მხრიდან ერთნაირად გამოიყენება, მაშინ როდესაც კონტექსტუალური გარემო ყოველ მხარეს (მეტეოროლოგიურად, ფიზიკურად და გეოგრაფიულად).

Эко архитектура

Тинатин Химшиашвили

В статье изложены принципы "Эко архитектуры"

Ecology Architecture

Tinatin Khimshiashvili

Te article presents the principles of " Ecology Architectural ".


თბილისში ახალი საცხოვრებელი და სავაჭრო-მომსახურების ზონების განვითარების დინამიკა

გიორგი წანაწყენიშვილი - ასისტენტ პროფესორი,
გიორგი მუხიაშვილი - მოწვეული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისში ბინათმშენებლობის მასშტაბური პროცესი უკანასკნელ პერიოდში გასცდა ცენტრალურ უბნებს და სწრაფად ითვისებს ჯერ კიდევ წინა ათწლეულებში სამშენებლო ინდუსტრიისათვის არარენტაბელურად მიჩნეულ ზონებს. "თბილქალაქპროექტის" არქივში დაცული საპროექტო დოკუმენტაციების შესწავლამ ცხადყო, რომ 1992-2008 წლებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ძირითადი წილი მთაწმინდას, ვერას, ვაკესა და საბურთალოს მოიცავდა (ვაკე – 35 %; საბურთალო – 32%; ვერა – 20%; მთაწმინდა – 5 %; დანარჩენი – 8%), ხოლო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ზემოხსენებული ტენდენცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. აქტიურად იზრდება თბილისის გარეუბნებში არსებული საბინაო ზონებისა და ახალი საცხოვრებელი სექტორების ათვისების ტემპი.



სურ.1,2 საცხოვრებელი სახლები ვარკეთილში
სურ. 3 საცხოვრებელი სახლი ვაზისუბანში



სურ.2




სურ.3

სამშენებლო ბაზრის აღნიშნული სეგმენტის განვითარების ცენტრიდან ქალაქის განაპირა ზონებში გადანაცვლების ტენდენცია და ამ უბნებში ბინებზე მოთხოვნილების ზრდა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:
მიწის დაბალი ღირებულება და სამშენებლო მასალებით მომარაგების სიმარტივე ამცირებს მრავალბინიანი სახლის თვითღირებულებას;

დიდი შიდაკვარტლური სივრცეები ხელს უწყობს სახლის გარშემო ინფრასტრუქტურული ელემენტებისა და ღია ავტოსადგომების მოწყობას; მაღალ სიმძლავრეებზე გათვლილი მიწისქვეშა კომუნიკაციები აიოლებს ახალი მრავალბინიანი შენობის მიერთებას არსებულ სისტემებთან; ცალკეულ უბნებში არსებული მწვანე მასივები სახლს უქმნის ეკოლოგიურად მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ გარემოს.

სურ. 4 მიწის ნორმატიული ფასები



აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თბილისის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქცია-განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცალკე მდგომი სავაჭრო-მომსახურების ობიექტების წილი თანდათანობით მცირდება და ხშირად ამის კომპენსაცია ხდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების პირველ-მეორე სართულებზე კომერციული ფართობების დაპროექტებით. თუმცა საუკუნის წინანდელი ვიწრო ქუჩები და ხშირ შემთხვევაში თბილისის რელიეფის თავისებურება არ იძლევა ქალაქის ძველ უბნებში პარკირების ზონების მოწყობის შესაძლებლობას, რის გამოც ტროტუარებსა და გზის სავალ ნაწილზე გაჩერებული ავტომანქანები აფერხებენ ტრანსპორტის გადაადგილებას.

ზემოაღნიშნულმა ობიექტურმა ფაქტორებმა და ბინათმშენებლობის განვითარების დეცენტრალიზაციამ ხელი შეუწყო მსხვილი სავაჭრო-მომსახურების ობიექტების გაჩენას თბილისის განაპირა სექტორში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა გარეუბნების ინფრასტრუქტურული ხარისხის ამაღლება და ხელი შეუწყო ქალაქის ცენტრალური ზონების განტვირთვას.



სურ. 5 მსხვილი სავაჭრო მომსახურების ობიექტები (სმარტი ვაზისუბანში, ფრესკო ვარკეთილში)

სავაჭრო სამომხმარებლო სივრცეში მიმდინარე ცვლილებების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არის სოციალური მოთხოვნა, რაც თავისთავად დამოკიდებულია საზოგადოებრივი განვითარების სისწრაფეზე. ცხოვრების ტემპის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია როგორც საზოგადოებრივი

აზრის, ასევე სოციალური მდგომარეობის მკვეთრი ცვლილებები. შესაბამისად ჩამოყალიბდა უფრო მაღალი სოციალური მოთხოვნები სავაჭრო მომსახურების ობიექტების მიმართ. ამ ცვლილებების პარალელურად იზრდება მოთხოვნა აღნიშნული ქსელის მოქნილ, მოხერხებულ და ხარისხობრივ განვითარებაზე. ხდება პერიფერიულ ზონებში თანამედროვე სტანდარტების მქონე მსხვილი სავაჭრო ობიექტების ფორმირება ზოგ შემთხვევებში – არსებულ განაშენიანებაში ძველი სავაჭრო ობიექტების რეკონსტრუქცია (სმარტი ვაზისუბანში), ხოლო ძირითადად ახალი საცხოვრებელი განაშენიანების პარალელურად ხდება ახალი მსხვილი სავაჭრო ცენტრების წარმოქმნა.

თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვანია მაღაზიებისა და ბუტიკების სამომხმარებლო ქსელის როლი, რომლებმაც შეიძინეს კულტურული, ურბანული და ა.შ. ფუნქციები, რაც ადრე თითქმის წარმოუდგენელი იყო. მომხმარებელს დღეს შეუძლია ხარისხიანი პროდუქტის ყიდვა, იგი სტუმრობს იმ ბრენდის შესაბამის სავაჭრო დაწესებულებებს, რომლის პროდუქტის ხარისხი და მომსახურების დონე მას აკმაყოფილებს.



სურ. 6 მსხვილი სავაჭრო მომსახურების ობიექტები (სმარტი ვაზისუბანში, ფრესკო ვარკეთილში)

ვაჭრობისა და მომსახურების ქსელის ზრდასთან ერთად ხდება სავაჭრო ობიექტების ახალი ფორმატების განვითარება, რომლებიც საზოგადოების თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების ადეკვატურია. მაგ: პოსტსაბჭოთა პერიოდის ბაზრობების განვითარება-რეკონსტრუქცია (ისნის ბაზრობა). ბაზრის კვლევა მომხმარებლის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით საშუალებას იძლევა, რათა სპეციალიზირებული სავაჭრო ობიექტების გამსხვილების არსებული ტენდენციები უფრო მცირე ფორმატებად იქნეს დაშლილი (ვაგზლის მიმდებარე ტერიტორია – ყალიბდება თანამედროვე სტანდარტების რამოდენიმე შედარებით მცირე სავაჭრო ობიექტი).



სურ. 7 მსხვილი სავაჭრო მომსახურების ობიექტები (სმარტი ვაზისუბანში, ფრესკო ვარკეთილში)

ამრიგად, ბოლო წლებში გამოიკვეთა ცენტრიდან ქალაქის განაპირა ზონებში ბინათმშენებლობის განვითარების გადანაცვლების ტენდენცია და ამ უბნებში ბინებზე მოთხოვნილების ზრდა, რომლის თანმდევ პროცესს წარმოადგენს ახალი მსხვილი სავაჭრო მომსახურების ობიექტების წარმოშობა.

Dynamics of development of the new residential buildings and commercial-service zones in Tbilisi

Giorgi Tsanatskenishvili, George Mukhiashvili

Abstract

The last period of development of the new residential buildings and commercial-service zones in Tbilisi we can estimate as a process of decentralization. New houses, which are designed in suburbs have better infrastructure, parking areas and their price is low. That is the main explanation why owners of trading and service centers are oriented to develop their commercial business in the most demanded sectors of the city. Last few years are the best example of the above mentioned issues.

.

Динамика развития новых жилых и торгово-обслуживающих зон в Тбилиси

Гиорги Цанацкенишвили, Гиорги Мухиашвили

Резюме

В данной статье представлен краткий анализ динамики развития новых жилых и торгово-обслуживающих зон в Тбилиси за последний пять лет. В этот период вектор домостроительной индустрии значительно перенаправился из центра в окраинах города, причиной которого в основном являються: низкая цена земли, хорошая инфраструктура и пространство для устройства паркировочных зон. Параллельно к этому процессу появились новые крупные торгово-обслуживающие объекты.

სოციალური და ზოგადსამეცნიერო დისციპლინები - Социальные и общенаучные дисциплины – Social and scientific disciplines

ეკონომიკური რყევები: ეჭსპონენციალური გაბლუვება

ც. ბუჩუკური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკონომიკური აქტივობა წლიდან წლამდე მერყეობს. იზრდება საქონლისა და მომსახურების წარმოება. სამუშაო ძალის, კაპიტალის მარაგის ზრდისა და ტექნოლოგიის განვითარების გამო ეკონომიკას, დროთა განმავლობაში, უფრო და უფრო მეტი წარმოება შეუძლია, რაც თითოეული ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლების საშუალებას იძლევა. თუმცა, ზოგჯერ წარმოების ნორმალური ზრდა ფერხდება, რადგან ფირმებს არ შესწევთ უნარი მთლიანად გაასაღონ თავიანთი საქონელი და მომსახურება, რომლის შემოთავაზებაც შეუძლიათ. ასე, რომ ისინი წარმოებას ამცირებენ, ფირმები დაითხოვენ პერსონალს, იზრდება უმუშევრობა და ჩერდება ქარხნები. იმის გამო, რომ ეკონომიკა ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას აწარმოებს, მცირდება რეალური შიდა პროდუქტის მაჩვენებელი და შემოსავლის სხვა მაჩვენებლები. შემოსავლის შემცირებისა და უმუშევრობის ამგვარ პერიოდს რეცესია ეწოდება, თუკი ის ნაკლები ტემპით მიმდინარეობს, ხოლო თუ პერიოდი უფრო მკაცრია, მას დეპრესია ეწოდება.

ეკონომიკაში რყევებს ხშირად ბიზნესის ციკლს უწოდებენ, როგორც ტერმინიდან ჩანს, ეკონომიკური რყევები შეესაბამება ბიზნეს-პირობების ცვლილებებს. როდესაც რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა სწრაფია, იქმნება კარგი ბიზნეს-პირობები, ფირმებს ბევრი მომხმარებელი ჰყავს და შემოსავალიც იზრდება. მეორე მხრივ, როცა რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი მცირდება, ბიზნესში პრობლემები ჩნდება. რეცესიის დროს ფირმების მიერ გაყიდული საქონლის რაოდენობა და გაყიდვიდან მიღებული მოგება მცირდება. ტერმინს „ბიზნეს ციკლი“, გარკვეულწილად, შეცდომაში შევყავართ, რადგანაც, ერთი შეხედვით, ეკონომიკური რყევები თითქოს რეგულარულად, წინასწარგანზრახული სქემით ხდება. სინამდვილეში კი ეკონომიკური რყევები სულაც არ არის რეგულარული და თითქმის სრულიად შეუძლებელია მათი, თუნდაც მიახლოებითი სიზუსტის წინასწარმეტყველება. იმ რეგულარული ციკლის აღწერა, რომელსაც ეკონომიკა გაივლის პერიოდული რყევების დროს, უფრო ადვილია, უფრო ძნელია მიზეზების ახსნა, რაც რყევებს იწვევს.

განვიხილოთ ცხრილი, სადაც მოცემულია გაყიდული საქონლის წლიური მოცულობა მილიონ დოლარებში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, გვაქვს გაყიდული საქონელის მოცულობის არსებითი რყევების მაღალი მაჩვენებელი, თუმცა შეინიშნება აშკარა ტენდენცია გაუმჯობესებებისაკენ და ტრენდი შეიძლება გამოვყოთ რეგრესიის მეთოდების დახმარებით. ცხრილიდან ჩანს, დამოკიდებულება არც ისე გარკვეულია. კორელაციის კოეფიციენტი იქნება საკმაოდ მცირე. ხანგრძლივი

ტრენდი (ძრაობა) შეიძლება იყოს წრფივი ან არაწრფივი. ხშირად, როცა საქმე ამგვარ მონაცემებთან გვაქვს, აუცილებელია რყევების გაგლუვება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პროგნოზის გაკეთება.

ცხრილი 1

წელი	გაყიდული საქონლის წლიური მოცულობა	წელი	გაყიდული საქონლის წლიური მოცულობა
1990	180	1998	188
1991	130	1999	166
1992	115	2000	199
1993	166	2001	245
1994	199	2002	213
1995	117	2003	277
1996	177	2004	249
1997	215		

გამოვიყენოთ დროითი მწკრივის გაგლუვებისათვის მცოცავი საშუალოს მეთოდი, რიგი მნიშვნელობების გასწორებისათვის გამოვყოთ ტრენდი.

განვიხილოთ 7-პერიოდიანი მცოცავი საშუალოს გამოთვლა. აიღება 7 წევრის არითმეტიკული საშუალო

$$\frac{1}{7}\sum_{t=1}^{7} y_t = \frac{1}{7}(180+130+115+166+199+117+177) = 154{,}86$$

ეს მნიშვნელობა მიეწერება $t=4$ წერტილს.

$$\frac{1}{7}\sum_{t=2}^{8} y_t = \frac{1}{7}(130+115+166+199+117+177+215) = 159{,}86$$

ვერ მივაწერთ მნიშვნელობებს $t=1{,}2{,}3$ და $t=(n-2),(n-1),n$ დროის მომენტებს. დროითი მწკრივების გაგლუვების მცოცავი საშუალოების მეთოდს ორი ნაკლი გააჩნია. პირველი მათგანი ისაა, რომ დროის პერიოდებს თავსა და ბოლოში არ მიეწერება მნიშვნელობები. მეორე ნაკლი ისაა, რომ მცოცავი საშუალო ივიწყებს დროითი მწკრივის წინა წევრების უმრავლესობას. ეს უარყოფითი მხარეები არ გააჩნია დროითი მწკრივის ექსპონენციალურ მეთოდს. ამ მეთოდით გაგლუვებული დროითი მწკრივი განისაზღვრება რეკურენტული განტოლებით

$$S_t = \alpha y_t + (1-\alpha)S_{t-1},\ \ t=2,3,\cdots, \qquad (1)$$

სადაც S_t – მიმდინარე გაგლუვებული მნიშვნელობა;

y_t – დროითი მწკრივის მიმდინარე მნიშვნელობა;

S_{t-1} – წინა გაგლუვებული მნიშვნელობა;

α – გაგლუვების მუდმივი, $0 \le \alpha \le 1$.

α პარამეტრის სიდიდე განსაზღვრავს გაგლუვების ხარისხს და შესარჩევია იმის და მიხედვით, თუ რამდენად ძლიერი გაგლუვება გვსურს. რაც უფრო მცირეა α, მით მაღალია გაგლუვების ხარისხი.

გამოვიყენოთ ექსპონენციალური გაგლუვების მეთოდი $\alpha = 0$,1-ისათვის, (1) ფორმულა მიიღებს სახეს:

$$S_{1991} = (0{,}1)y_{1991} + (0{,}9)y_{1990} = (0{,}1)y_2 + (0{,}9)y_1 = (0{,}1)y_2 + (0{,}9)S_1;\ \ y_1 = S_1.$$

$S_2 = (0,1)130 + (0,9)180 = 175$; $S_3 = (0,1)y_3 + (0,9)S_2 = 169$.

გამოთვლა გრძელდება დროითი მწკრივის ამოწურვამდე.

ანალოგიურად გამოვთვალოთ გაგლუვებული მნიშვნელობები $\alpha = 0,3$ მნიშვნელობისათვის.

$S_2 = (0,3)y_2 + (0,7)S_1 = (0,3)130 + (0,7)180 = 165$

$S_3 = (0,3)y_3 + (0,7)S_2 = (0,3)115 + (0,7)165 = 150$ და ა.შ.

ყოველ წელს მივანიჭოთ თავისი კოდი $t = 1,2\cdots 15$.

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია გაგლუვებული მნიშვნელობები α-ს სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის.

ცხრილი 2

წელი	შემოსავლის მოცულობა	ექსპონენციალური გაგლუვება $\alpha = 0,1$	ექსპონენციალური გაგლუვება $\alpha = 0,3$
1	180	180	180
2	130	175	165
3	115	169	150
4	166	168,7	164,80
5	199	171,73	168,1
6	117	166,26	152,8
7	177	167.33	160,06
8	215	172.1	176,54
9	188	173.69	179,98
10	166	172.92	175,78
11	199	175.53	182,75
12	245	182,48	201,40
13	213	185.53	204,89
14	277	194.68	226,52
15	249	200.11	233,26


α-პარამეტრის ორი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყოფილი ტრენდის შედეგებს შორის განსხვავება საშუალებას გვაძლევს, ყურადღება მივაქციოთ ორ მომენტს. პირველ რიგში $\alpha = 0,1$, მაშინ S_t ტრენდი გაცილებით მდგრადია. თუ $\alpha = 0,3$, მაშინ S_t ტრენდი მგრძნობიარეა ახალი დაკვირვებების გამოჩენის მიმართ. მთლიანობაში S_t-ს, რაც უფრო ბევრი მნიშვნელობებია, მით უფრო მგრძნობიარეა დროითი მწკრივის მიმართ ბოლო მნიშვნელობები. ამ შემთხვევაში გაგლუვებული მნიშვნელობები არც თუ დიდად განსხვავდება, როგორც ეს ხდება α-პარამეტრის უფრო მცირე მნიშვნელობის დროს. პროგნოზის შესადგენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა აღინიშნება მნიშვნელოვანი აღმასვლა ან დაღმასვლა. დროითი მწკრივის გაგლუვებით მიღებული ტრენდი $\alpha = 0,3$-ს უკეთესად გამოსახავს საერთო ტრენდს, ვიდრე $\alpha = 0,1$-ით გამოთვლილი ტრენდი. და, მეორე მხრივ, აუცილებელია. გავითვალისწინოთ, ის, რომ დაბალი მნიშვნელობები მიიღწევა მონაცემების

დიდი გაგლუვებით. ეს იწვევს ტრენდის გამოყოფას დიდი სიზუსტით, რაც აშკარადაა გამოსახული (ნახ. 1). $\alpha = 0{,}3$ მუდმივით გაგლუვებული მწკრივის წევრები იწვევს საკმაოდ დიდ გადახრებს, განსხვავებით $\alpha = 0{,}1$-ით მიღებული მწკრივის წევრებისა.

განვიხილოთ ბრაუნის ორმაგი გაგლუვების მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს ორმაგი ექსპონენციალური გასაშუალოება.

პირველი გასაშუალოება

$$S_t = \alpha y_t + (1-\alpha) S_{t-1}, \quad t = 2,3,\cdots, \tag{1}$$



ნახ. 1. ექსპონენციალური ტრენდები და რეალური მონაცემების ამსახველი გრაფიკი

და მეორე გასაშუალოება

$$\overline{S}_t = \alpha S_t + (1-\alpha)\overline{S}_{t-1}, \quad t = 2,3,\cdots, \tag{2}$$

$$\overline{S}_1 = y_1 = 180,$$

$$\overline{S}_2 = (0{,}3)S_2 + (1-0{,}3)\overline{S}_1 = (0{,}3)165 + (0{,}7)180 = 175{,}5,$$

$$\overline{S}_3 = (0{,}3)S_3 + (0{,}7)\overline{S}_2 = (0{,}3)165 + (0{,}7)175{,}5 = 167{,}85.$$

და ა.შ.

პროგნოზი მოიცემა შემდეგი ფორმულით

წლე-ბი	შემოსავ-ლის მოცულობა y_t	I ექსპონენც. გაბნეულობა S_t	II ექსპონენც. გაბნეულობა $\bar{S}_t$	პროგნოზი $f_t(1)$	პროგნოზის შეცდომა $e_t = y_t - f_{t-1}(1)$	შეცდომის საშუალო $\bar{e} = \frac{1}{15}\sum_{t=1}^{15} e_t$	$e_t - \bar{e}$	ცვალებადობა გადახრა $(e_t - \bar{e})^2$
1	180	180	180	180	0	1,8	0	0
2	130	165	175,5	150	−20		−21,8	475,24
3	115	150	167,85	124,5	−9,5		−11,3	127,69
4	166	154,8	163,93	141,76	24,1		22,3	497,29
5	199	168,1	165,18	172,27	26,73		24,93	621,5
6	117	152,8	161,47	140,41	−23,41		−25,21	273,54
7	177	160,01	161,05	158,65	18,35		16,55	447,90
8	215	176,54	165,69	192,04	22,96		21,16	447,75
9	188	179,98	169,98	194,26	−6,27		−8,07	65,12
10	166	175,78	171,72	181,58	−15,58		−17,38	302,1
11	199	182,75	175,02	193,67	5,21		3,41	11,63
12	245	201,43	182,95	227,83	17,19		15,39	236,85
13	213	204,89	189,53	226,83	−13,83		15,63	244,3
14	277	226,52	200,63	263,51	23,49		11,69	136,66
15	249	233,26	210,42	265,9	−12,6		−14,4	207,36
	2836				26,84			4282,93

$$f_t(l) = 2S_t - \overline{S}_t + \frac{\alpha}{1-\alpha}(S_t - \overline{S}_t)l_t, \quad t = 1,2,\cdots, \tag{3}$$

როცა $l = 1$ პროგნოზს აქვს მარტივი სახე:

$$f_t(1) = \frac{(2-\alpha)S_t - \overline{S}_t}{1-\alpha}, \quad t = 2,3,\cdots, \tag{4}$$

მეთოდი ერთპარამეტრიანია. პარამეტრის მნიშვნელობის შერჩევა ხდება პროგნოზის სიზუსტის სხვადასხვა საზომის მინიმიზაციის პირობიდან

$$f_1(1) = \frac{(2-0,3)S_1 - \overline{S}_1}{1-0,3} = \frac{(1,7)180 - 180}{0,7} = 180,$$

$$f_2(1) = \frac{(1,7)S_2 - \overline{S}_2}{0,7} = \frac{(1,7)165 - 175,5}{0,7} = 150.$$

და ა.შ.

გამოვთვალოთ სიდიდე, რომელსაც *t*-ურ მომენტში ერთნაბიჯიანი პროგნოზის შეცდომა ჰქვია:

$$e_t = y_t - f_{t-1}(1), \quad t = 1,2,\cdots, \tag{5}$$

$$e_1 = y_1 - f_0(1) = 180 - 180 = 0$$

$$e_2 = y_2 - f_1(1) = 130 - 150 = -20.$$

გამოთვლა გრძელდება პროგნოზის შეცდომის დასრულებამდე. აღვნიშნოთ $\overline{e}$-ით და σ^2-ით შეცდომის საშუალო და საშუალო კვადრატული გადახრა:

$$\overline{e} = \frac{1}{n}\sum_{t=1}^{n} e_t, \quad \sigma^2 = \frac{1}{n}\sum_{t=1}^{n}(e_t - \overline{e})^2 = 285.53$$

მაშინ სიდიდეს $\sigma = \sqrt{\sigma^2} = \sqrt{285.53} = 16.9$ შეცდომის სტანდარტული გადახრა ჰქვია.

ლიტერატურა

1. ნ. ლაზრიევა, თ. შერვაშიძე, მ. მანია, გ. მარი და სხვ. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის. ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლებელი „ESM-თბილისი“, ფონდი „ევრაზია“. თბილისი, 2000. 661 გვ.
2. გ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. გამომცემლობა „დიოგენე“. 2000. 1063 გვ.
3. Р. Томас. Количественные методы анализа хозяйственной деятельности. Перевод с англ. – М.: Изд-во «Дело и Сервис». Москва, 1999. 432 с.

Экономические колебания: экспоненциальное сглаживание

Ц. Бучукури

Резюме

В статье рассмотрены задачи экономических колебаний 1990-2004 годов проданных товаров. Видна высокая степень колебаний поэтому поставлена задача сглаживания этих колебаний. Дано экспоненциальное сглаживание для разных значений параметра **«∝»**, также сглаживания двойным методом Брауна, полученные результаты компактно даны в таблице, также построены соответствующие графики.

სეზონური რყევები: ექსპონენციალური გაგლუვება

ც. ბუჩუკური

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეკონიმიკაში რყევების საკითხი, ე.ი. ბიზნესის ციკლი, ბიზნესის პირობების ცვლილებები. ნაშრომში განხილულია 1990-2004 წლებში გაყიდული საქონლის წლიური მოცულობები, რომლებშიც ჩანს საქონლის მოცულობის არსებითი რყევების მაღალი მაჩვენებელი, თუმცა, რადგან შეინიშნება ტენდენცია გაუმჯობესებისაკენ, ნაშრომში ჩატარებულია ეს გაუმჯობესება, ექსპონენციალური გაგლუვებით **“α”** პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის, ასევე ბრაუნის ორმაგი გაგლუვების მეთოდით, სათანადო გაუმჯობესებული შედეგები, რომლებიც კომპაქტურად მოცემულია ცხრილში. აგებულია შესაბამისი გრაფიკები.

Economic Fluctuation: Ex-potential Smoothing

Ts. Buchukuri

Summary

In the article are considered tasks of economic fluctuations of goods sold in 1990-2004. A high degree of fluctuations is seen and that's why the task of smoothing of these fluctuations is set. The ex-potential smoothing for various values of “∝” parameter and also smoothing by the dual method of Brown are given. The obtained results in compact way are shown in the Table and also corresponding diagrams are constructed.

სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით

არჩილ კალანდია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტის
მესამე კურსის დოქტორანტი

ისტორიის გზის გასაყარზე ოცდაცამეტი წლის წინ ჩინეთი იმყოფებოდა ძალზედ მძიმე სიტუაციაში, რაც ქვეყანაში განხორციელებული ე.წ. “კულტურული რევოლუციის” შედეგი გახლდათ. სოციალური კატასტროფა, ეკონომიკური ვარდნა, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სრული ქაოსი, მოსახლეობაში გამეფებული უიმედობა და უკიდურესი სიღარიბე. ასეთი გახლდათ ჩინეთი 1979 წელს.

ჩინეთის გარდაქმნა დაიწყო ქვეყნის კომუნისტური პარტიის პრაგმატიკოსთა ფრთის მიერ, რომელთაც ხელმძღვანელობდა დენ სიაოპინი.

ოცდაცამეტი წლის წინ ჩინეთის ხელისუფლებამ დაიწყო ქვეყნის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკა, რაც წარმოადგენს “სოციალიზმს ჩინური სპეციფიკით“.

დასავლეთში ჩინეთის მიერ დაწყებული გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკა აღქმული იყო, როგორც დაბრუნება კაპიტალიზმში, თუმცა ქვეყნის ხელისუფლება იდეოლოგიური წინააღმდეგობებისა და საკუთარი ლეგიტიმურობის შელახვის თავიდან აცილების მიზნით ამტკიცემდა და დღემდე ამტკიცებს, რომ ეს გახლავთ სოციალიზმის ერთ-ერთი ფორმა. ამავე დროს, ჩინეთი არ უარყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ეკონომიკური რეფორმები აპრობირებულია კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. აღნიშნულს თავისებური ახსნა უპოვა თანამედროვე ჩინეთის არქიტექტორმა დენ სიაოპინმა "რა მნიშვნელობა აქვს რა ფერისაა კატა, მთავარია ის იჭერდეს თაგვებს".

დენ სიაოპინმა ყველა რეფორმების საფუძვლად გამოაცხადა ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ოთხი პრინციპი "ოთხი მოდერნიზაცია". ამ პრინციპის მიხედვით ეკონომიკა დაიყო 4 სექტორად. თავდაცვითი წარმოება, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და სამეწარმეო საქმიანობა. პრიორიტეტად არჩეულ იქნა სტრატეგია "სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა". დღესაც დენ სიაოპინის თანამოაზრეები ამტკიცებენ, რომ ჩინეთი იმყოფება სოციალიზმის განვითარების მხოლოდ და მხოლოდ პირველ ეტაპზე. რეფორმების გატარებისას იდეოლოგიური პრინციპების უკანა პლანზე დაწევამ დაამტკიცა მათი ეფექტურობა.

ჩინეთის ხელისუფლების მიერ დაწყებული რეფორმები თანმიმდევრული ხასიათისაა. თუ, ამა თუ იმ სფეროში გატარებული რეფორმა მოიტანდა შედეგს, შემდეგ იგივე პრინციპი გამოიყენებოდა უკვე დიდი მასშტაბებით.

შესაძლებელია აღნიშნულის შედარება 80-იანი წლების მეორე ნახევარში გორბაჩოვის მიერ ინიცირებულ ე.წ. "პერესტროიკასთან", მაგრამ ერთი დიდი განსხვავებით. ჩინეთის თანმიმდევრული და წინდახედული პოლიტიკა პრინციპით "ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი" წარმოადგენს მათი რეფორმებისა და გახსნილობის პოლიტიკის წარმატებით რეალიზების უმთავრეს წინაპირობას.

ბოლო ოცდაცამეტი წლის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკამ განიცადა კარდინალური ცვლილებები "მართვის გეგმიური და ცენტრალიზებული სისტემიდან მოხდა, უმეტეს წილად საბაზრო პრინციპებზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლა, რამაც ძირითადში უზრუნველყო კერძო სექტორის სწრაფი განვითარება და ქვეყნის ინტენსიური ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში.

ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპი მოიცავდა მხოლოდ სოფელს, კერძოდ მთავარი ყურადღება გამახვილდა კოლექტივიზირებული აგროსექტორის ტრანსფორმირებასა და ფასების ეტაპობრივ ლიბერალიზაციაზე.

1984 წლიდან რეფორმების გავრცელება ქალაქებზეც დაიწყო. თანდათანობით იზრდებოდა მათი მასშტაბებიც და უკვე მოიცავდა ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ფისკალური დეცენტრალიზაცია, ავტონომიის (თვითმმართველობის) გაფართოება სახელმწიფო საწარმოებისთვის, დივერსიფიცირებული საბანკო სისტემის დაფუძნება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, დაჩქარებული ტემპებით არასახელმწიფო სექტორის ზრდა, საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების ლიბერალიზება.

ჩინეთის ეკონომიკის მშენებლობის გრძელვადიანი პროგრამა განსაზღვრულ იქნა ე.წ. განვითარების სამი ნაბიჯის სტრატეგიაში, რაც შემუშავდა 1987 წელს:

ნაბიჯი პირველი - 1980 წლის მთლიანი ეროვნული პროდუქტის (GNP) გაორმაგება და ხალხის უზრუნველყოფა კვებისა და ტანსაცმლის მინიმუმით - შესრულებულ იქნა 1990 წლისათვის.

ნაბიჯი მეორე - 1980 წლის GNP-ის ოთხჯერ გაზრდა მე-20 საუკუნის ბოლოსთვის - მიღწეულ იქნა 1995 წელს (დაგეგმილზე ადრე).

ნაბიჯი მესამე - 21- საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოსათვის ერთ სულ მოსახლეზე GNP-ის გაზრდა საშუალოდ განვითარებული ქვეყნის დონემდე.

1992 წელს რეფორმების დაწყებიდან 14 წლის შემდეგ, ჩინეთის მთავრობამ დააფიქსირა ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმირების მთავარი პრინციპები, კერძოდ:

საზოგადოებრივი სექტორის პრიორიტეტული როლის შენარჩუნებასთან ერთად, დივერსიფიცირებული ეკონომიკური ელემენტების მკვეთრი განვითარება;

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად, საწარმოებში თანამედროვე მართვის სისტემების ჩამოყალიბება;

უნიფიცირებული და ღია საბაზრო სისტემის ჩამოყალიბება ჩინეთის გარშემო, შიდა და საერთაშორისო ბაზრების ერთმანეთთან დაკავშირება, რესურსების ოპტიმალური გადანაწილება;

სახელმწიფო ეკონომიკური მენეჯმენტის ტრანსფორმირება მაკრო-მაკონტროლებადი სისტემის შექმნის მიზნით;

გარკვეული წამყვანი ჯგუფებისა და რეგიონების პრიორიტეტული წახალისება მათი კეთილდღეობის სწრაფი ამაღლების მიზნით, რათა შემდეგ წარმატებულმა სუბიექტებმა ხელი შეუწყონ ქვეყნის სხვა კუთხეების (ჩინეთის ცენტრალური და განსაკუთრებით დასავლეთის პროვინციების) განვითარებას.

შესაბამისი ჩინური სოციალური სადაზღვევო სისტემის შექმნა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისათვის.

1997 წელს ჩინეთის მთავრობამ სახალხოდ აღიარა არასამთავრობო სექტორის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანი წვლილი ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობაში შეიტანა სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნამ და ამოქმედებამ ჩინეთის სხვადასხვა პროვინციებსა და რეგიონებში. ამან ბუნებრივია ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის მოზიდვას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის დანერგვას. დღესდღეობით ქვეყანაში არსებობს შემდეგი სახის ეკონომიკური ზონები.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები (5)

ტექნიკურ-ეკონომიკური ათვისების ზონები(54)

თავისუფალი ვაჭრობის ზონები (15)

მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ზონები (53)

საზღვრისპირა ეკონომიკური თანამშრომლობის ზონები (14)

საექსპორტო დამუშავების ზონები.

ჩინეთში მუშათა და გლეხთა კლასისა და ინტელიგენციის ფენის გარდა, რეფორმების განვითარების შედეგად გაჩნდა საშუალო ფენა (კერძო მესაკუთრეთა ახალი სოციალური ფენა). საშუალო ფენის საერთო რაოდენობა 2011 წლის

მონაცემებით აღემატება 60 მილიონ ადამიანს. ისინი განკარგავენ და მართავენ კაპიტალს მოცულობით 10 ტრილიონი იუანი (1.4 ტრილიონი დოლარი), იყენებენ ქვეყნის ტექნიკური პატენტების ნახევარს, პირდაპირ და ირიბად იხდან გადასახადების მოცულობის ერთ მესამედს, ყოველწლიურად უზრუნველყოფენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სამუშაო ადგილებით.

საშუალო ფენის წარმომადგენლები შეადგენენ ჩინეთის მთელი მოსახლეობის (1.3 მილიარდი ადამიანი) 5 პროცენტს.

ისინი მონაწილეობენ ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და უმრავლესობა არ არის კომუნისტური პარტიის წევრი, მაგრამ ნებისმიერ დროს უფლება აქვთ კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანებისა.

ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში (შეიქმნა 1921 წელს) ამჟამად გაწევრიანებულია 82 მილიონი ადამიანი. მისი უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა პარტიის ყრილობა (რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება) და ყრილობის მიერ არჩეული პოლიტბიუროს წევრები და მუდმივმოქმედი კომიტეტის შემადგენლობა.

მიუხედავად იმისა, რომ, ჩინეთის მმართველი პარტია სრულად აკონტროლებს სიტუაციას ქვეყანაში და იღებს გადაწყვეტილებას ყველა სტრატეგიულ საკითხზე, მთავრობას ეძლევა მეტი თავისუფლება, როგორც ცენტრში, ასევე რეგიონებში.

ქვეყნის შთამბეჭდავ განვითარებასთან ერთად (2010 წლიდან მსოფლიოს სახელმწიფოების ეკონომიკებს შორის ჩინეთის ეკონომიკას შეერთებული შტატების შემდეგ მეორე ადგილი უკავია) დღის წესრიგში დგება რეფორმების გატარება კომუნისტურ პარტიაში.

მიუხედავად მმართველი პარტიის მონოპოლიური მდგომარეობისა, კომუნისტები ცდილობენ გაითვალისწინონ საზოგადოების აზრი და უკვე საჯარო ხდება ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა.

ჩინეთის სწრაფი განვითარების მიუხედავად ქვეყნის წინაშე დგას მთელი რიგი გამოწვევებისა როგორიცაა: მოსახლეობაში სიღარიბის შემცირება, მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის განსხვავებების დაძლევა, ჩინეთის აღმოსავლეთის განვითარებულ პროვინციებსა და დასავლეთის განუვითარებელ პროვინციებს შორის ეკონომიკური დისბალანსის შემცირება, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება, ეკოლოგია, განათლება, ბიუროკრატია, სეპარატისტული ტენდენციები ტიბეტისა და სინძიან უიგურეთის ავტონომიურ რეგიონებში, ტაივანის საკითხი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

2012 წლის ნოემბერში ჩინეთის კომუნისტური პარტიის რიგით მე-18 ყრილობაზე, (სადაც არჩეულ იქნა მმართველი პარტიის ახალი გენერალური მდივანი, ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი სი ძინპინი, პოლიტბიუროსა და მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრების ახალი შემადგენლობა) ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ სწორედ კორუფციასთან ბრძოლა, როგორც ჩინეთის ხელისუფლების ზედა და ქვედა ეშელონებში, ასევე მთელი ჩინეთის მასშტაბით.

მე-18 ყრილობაზე ქვეყნის პრეზიდენტის ჰუ ძინტაოს საანგარიშო მოხსენების დიდი ნაწილი დაეთმო, როგორც პარტიაში ასევე მთელი ჩინეთის მასშტაბით გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს. მან დაუფა-

რავად აღნიშნა, რომ "პარტია თუ ვერ დაამარცხებს კორუფციას, მაშინ კორუფცია დაანგრევს ჩინეთს". აქვეყანაში უკვე ღიად საუბრობენ, როგორც პარტიაში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციის გრანდიოზულ მასშტაბებზე.

ეს რა თქმა უნდა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს პარტიის ავტორიტეტს და ეწინააღმდეგება "სოციალიზმს ჩინური სპეციფიკით".

მიუხედავად, ძალიან ბევრი სირთულეებისა, გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის შედეგად, 2011 წელს ჩინეთის საგარეო ვაჭრობა 20%–ით გაიზარდა და 3,6 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობით, 2011 წელს ჩინეთი მეორე ადგილზეა მსოფლიოში (აშშ–ის შემდეგ), ხოლო ექსპორტის მოცულობით კი პირველ ადგილზე. უფრო მეტიც, ბოლო წლებში, ჩინეთი კაპიტალის, ნოუ–ჰაუსა და ტექნოლოგიების იმპორტიორი ქვეყნისგან გარდაიქმნა მათ ექსპორტიორად. 2011 წლის იანვრიდან ჩინეთის მთავრობამ ქვეყნის ისტორიაში პირველად დართო ნება ჩინელ მეწარმეებს განეხორციელე-ბინათ საზღვარგარეთული ინვესტირება ეროვნულ იუანებში. ტრანსნაციონალური ოპერაციებისას იუანებში ანგარიშსწორების მოცულობის ზრდამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ჩინეთში უცხოური ვალუტის რეზერვების მოცულობის ზრდას (ამ ეტაპზე ჩინეთი უკვე ფლობს უცხოური ვალუტის ყველაზე დიდ მარაგს მსოფლიოში). 2011 წელს ჩინეთის მიერ ევროპისა და აფრიკის ქვეყნებში განხორციელებულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა შეადგინა 4,61 მლრდ აშშ დოლარი (ევროპაში) და 1,7 მლრდ აშშ დოლარი (აფრიკაში), რაც წარმოადგენს 57,3%–იან (ევროპის შემთხვევაში) და 58,9%–იან (აფრიკის შემთხვევაში) ზრდას 2010 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

საგრძნობლად გაიზარდა საზღვარგარეთიდან ჩინეთში შემოსული ინვეს-ტიციების მოცულობაც. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზრდის მთავარი მიზეზი თავად ჩინეთის ეკონომიკის მიმზიდველობაში მდგომარეობს. მაშინ როცა გლობალური ეკონომიკა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გამოსულა დაცემის ფაზიდან, ჩინეთის ეკონომიკა აღდგენისა და მდგრადი განვითარების პროცესშია. უმჯო-ბესდება ქვეყნის საინვესტიციო კლიმატიც. გაეროს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ჩინეთმა უკვე დაიკავა პირველი პოზიცია მსოფლიოს ყველაზე მიმ-ზიდველ საინვესტიციო რეგიონთა რეიტინგში.

ჩინეთი აგრძელებს გარე სამყაროსთვის თავისი ეკონომიკის გახსნილობის კიდევ უფრო აქტიურ სტრატეგიას და მაქსიმალურად შეეცდება ქვეყნის შიდა მოთხოვნის სტიმულირებას, რაც ჩინეთის ეკონომიკას კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტორებისთვის.

ეკონომიკური მიღწევების გარდა ჩინეთის ავტორიტეტი და გავლენა საერთაშორისო არენაზე დღითიდღე მატულობს, იგი გახლავთ გაეროს უშიშრობის საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი, გაწევრიანებულია G-20-ში, შანხაის თანამშრომ-ლობის ორგანიზაციაში, BRICS-ში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ფაქტია, რომ ჩინეთის "ეკონომიკური სასწაული" დღემდე გრძელდება. ეკო-ნომიკურმა და სამეცნიერო-კვლევითმა რეფორმებმა, შემოქმედებითმა და პრაგ-მატულმა ხედვამ ჩინეთის ხელისუფლებისა ბოლო ათწლეულებში რადიკალურად შეცვალა ქვეყნის, როგორც სოციალური მდგომარეობა, ასევე მისი პოლიტიკური , ეკონომიკური ინტერესები და გეგმები საერთაშორისო არენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- China`s diplomacy: Ten Features, Wang Yizhou - China Institute of Contemporary international Relations, September 2010;
- China Institute of International Studies, Academic Magazine, November-December 2010;
- 2010 და 2011 წლების დასაწყისში (იანვარში) ჩინეთის კომერციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მასალები ჩინეთის საგარეო ვაჭრობის შესახებ ;
- China`s Peaseful Development, Information Office of the State Council of The People`s Republic of China, January 2012;

სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით

რეზიუმე

ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკამ ჩინეთი არა მარტო აქცია ეკონომიკურად მიმზიდველ სახელმწიფოდ, არამედ მსოფლიო პოლიტიკაში მისი როლი და გავლენა ელვისებური სისწრაფით იზრდება. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მოსწონს თუ არა ეს დანარჩენ მსოფლიოს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერჯერობით განვითარებული თუ განვითარებადი სახელმწიფოები ანგარიშს უწევენ და მიესალმებიან ამ უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის აღმასვლას.

Socialism with the Chinese Specific

Summary

The China’s policy of openness and reforms made it not only attractive country, but its role in the world policy and influence is growing like lightning speed. According to the present real situation, other world likes or not, is another issue, but it is the fact, that so far, developing and developed countries take into consideration and greet the revival of the country of the ancient civilization.

Социализм китайской специфики

Резюме

Политика открытости и реформ не только превратил Китай самым привлекательным государством, но вместе с тем, влияние и роль Китая в мировой политике растёт с молниеносной скоростью. Исходя из нынешней обстановки, нравится это или нет остальному миру - это другой вопрос, но факт остаётся фактом, что пока развивающиеся и развитые страны мира считаются и приветствуют подъём этой страны с древней цивилизацией.

ტურიზმის როლი საქართველოს მსუბუქი მრეწველობის აღორძინებაში

ლია კაპანაძე, ქეთევან აბაშიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი

საქართველოში ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მას ქვეყნისათვის სამეურნეო ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარებისათვის, რომელიც გამოირჩევა მსოფლიოში უნიკალური ტურისტული პოტენციალით და მრავალფეროვნებით.

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების მონაცემებით ტურისტთა რიცხვი 2010 წლისათვს იყო 1 მილიარდამდე, ხოლო 2020 წლისათვის მიაღწევს 1,6 მილიარდს და ამავე პერიოდში შემოსავლები ტურიზმში გაიზრდება 2 ტრილიონ დოლარამდე [1].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2008-2011 წლის მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად საერთაშორისო ტურიზმით გართობა-დასვენებისათვის სარგებლობდა 51%, სამკურნალოდ და რელიგიური რწმენის მიზნით 27%, სხვადასხვა ბიზნესში მონაწილეობის მისაღებად 15%, ხოლო არამიზნობრივი დანიშნულებით საშუალოდ 7%.

მომავალი 10 წლის განმავლობაში ტურიზმის განვითარება მოხდება სწრაფი ტემპით იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორი ფონი შეიქმნება მსოფლიოში. ტურიზმი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ბიზნესისა და ისეთი დარგების განვითარებას როგორიცაა: ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა, ხალხური რეწვა და ოქრომჭედლობა, ფართო მოხმარების საგნების წარმოება და სხვა [1]. ბოლო 4 წლის პერიოდში მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა 12%-ით გაიზარდა, ტურისტების შემოსვლის მაჩვენებელი კი 38%-ით, რაც მიგვითითებს იმაზე თუ რამდენად სერიოზულია მისი როლი ტურისტული რეგიონების შემოსავლების ფორმირებაში.

ნებისმიერ ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ადგილობრივი შესაძლებლობები და რესურსები, დაინტერესებულია ტურიზმის სხვადასხვა ფორმით დანერგვით და განვითარებით, რადგან ტურისტული ბიზნესის გავლენა დიდია თითოეული რეგიონის საერთო სოციალურ მდგომარეობაზე. საერთაშორისო ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის იმ დარგების განვითარებას, რომელიც ტრადიციულია ქვეყნისათვის და რომლებსაც გარკვეული წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგრადობაში.

ტურიზმის განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად უქმნის ქვეყანას შესაბამისი რესურსული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობებს, რასაც საბოლოოდ მივყევართ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობამდე. ტურიზმის ხელშეწყობა მომგებიანია ქვეყნისათვის რადგან

- შეიქმნება ახალი საწარმოები და ახალი სამუშაო ადგილები;
- ქვეყანაში გაჩნდება დამატებითი შემოსავლები;
- გაჩნდება ახალი მასალების ბაზრები ადგილობრივი პროდუქციისათვის;

- შეიქმნება ახალი ტექნოლოგიები და პროფესიული კვალიფიკაციის მქონე მუშახელი;
- საზოგადოება მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებს და მათი დაცვის აუცილებლობას.


2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 1,56 მილიარდს გადააჭარბებს, სადაც 1,18 მილიარდი შიდა რეგიონალური, ხოლო 380 მილიონი საერთაშორისო ტურისტი იქნება. ამ პერიოდისათვის ევროპა შეინარჩუნებს მსოფლიო ლიდერობას (ტურისტული ბაზრის 46%-ით), აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი გადავა მეორე პოზიციაში 25%-ით, ამერიკა აღმონდება მესამე პოზიციაზე 18%-ით. გაცილებით მზარდი ტემპით განვითარდება საერთაშორისო ტურიზმი 5,4%, ვიდრე შიდა რეგიონალური (3,8%) [1].

მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ჩამოყალიბდება ევრო-აზიური მონსტრი, რომელიც მკვეთრად გადაასწრებს დანარჩენ სამყაროს. ასეთი ტენდენციების პირობებში აქტიური გახდება „ევრო-აზიური კორიდორი“ და „დიდი აბრეშუმის გზა“.

საკამათო აღარ არის ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო ეკონომიკაზე ტურიზმს დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ქვეყანაში განვითარდება ყოველმხრივ კომპლექსურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურიზმი ქვეყანაში სხვა დარგებთან ერთად და მათ პარალელურად უნდა განვითარდეს.

საქართველოში მსუბუქი მრეწველობა ღრმა კრიზისში იმყოფება, მხოლოდ პრიორიტეტულ დარგებთან, კერძოდ ტურისტულ ბიზნესთან ურთიერთობით შესაძლებელი გახდება ისეთი დარგების აღორძინება, როგორიცაა ქართული ხალხური რეწვა, ოქრომჭედლობა, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის წარმოება და სხვა.

საქართველოში ჩამოსული უცხოელ ტურისტთა რიცხობრივობა ყოველწლიურად იზრდება, რაც ნათლად ჩანს 2000-2011 წლების მონაცემებით აგებულ სვეტოვან დიაგრამაზე (ნახ. 1).



ნახ.1

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასასვენებლად ჩამოსული ტურისტების რაოდენობა, რომლებიც სტუმრობდნენ საქართველოს დედაქალაქს და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

ტურიზმის პოპულარიზაციისათვის გაწეული სამუშაოების შედეგად საქართველოში ტურისტების შემოსვლის პროცენტულმა მაჩვენებელმა 40%-ს გადააჭარბა და 2012 წელს 3 მილიონს მიაღწია. ტურიზმის პერსპექტიული განვითარების გეგმა იძლევა იმის საშუალებას, რომ მომავალში საქართველოში ტურისტთა რიცხვი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. 2011 წელს მესტიასა და უშგულს სტუმრობდა 60 000 ტურისტი, ხოლო გუდაურში, ბაკურიანში და ვარძიაში თითოეულ რეგიონს სტუმრობდა 30 000 ტურისტამდე. ტურისტულ ბიზნესის სწრაფი ტემპით განვითარებამ დაგვანახა ის ნაკლოვანებები, რომელმაც თავი იჩინა ტურისტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ აუცილებელია იმ რეალური ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს ტურისტული ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად მსუბუქი მრეწველობის აღორძინებას [2].

2009 წელს საქართველოში სტუმრობდა 1,5 მილიონი ტურისტი, 2010 წელს 2.032 მილიონი, 2011 წელს კი 2,82 მილიონი ტურისტი. 2009–2011 წლის მონაცემებით შეიმჩნევა საქართველოში ვიზიტორთა ჩამოსვლების სტაბილური ზრდა. ვიზიტორთა ჩამოსვლების რაოდენობრივი მაჩვენებლის განსაზღვრისათვის გამოვიყენოთ წრფივი ინტერპოლაციის ფორმულა:

$$Y_i = Y_1 + \frac{Y_2 - Y_1}{X_2 - X_1}(X_i - X_1) \qquad (1)$$

და დავადგინოთ თუ რა რაოდენობის ტურისტი ეწვევა საქართველოს მომდევნო წლებში. პროგნოზირებისათვის ვიხელმძღვანელოთ 2009-2011 წლის მონაცემებით.

$X_1 = 2009 \quad Y_1 = 1{,}5$ მილ. $\quad X_i = 2010 \quad Y_i = 2032$ მილ. $\quad X_2 = 2011 \quad Y_2 = 2{,}82$ მილ.

ფორმულა (1) გამოყენებით მიიღება Y_i =2,16 მილიონი, ლაგრანჟის საინტერპოლაციო ფორმულით გამოთვლილი შედეგი გვაძლევს 6% ცდომილებას.

ანალოგიური კვლევა ჩატარდა ევროპიდან და დსთ-ს ქვეყნებდან ჩამოსული ვიზიტორებისათვის. ცდომილება რეალურ და ფორმულით მიღებულ სიდიდეებს შორის მერყეობდა 6% -ის საზღვრებში.

მიღებული შედეგები იძლევა იმის საშუალებას, რომ ლაგრანჟის ფორმულის გამოყენება შესაძლებელია არსებული მონაცემებისათვის 6% ცდომილების გათვალისწინებით.

თუ ლაგრანჟის წრფივი ინტერპოლაციის ფორმულას გამოვიყენებთ ექსტრაპოლაციის შემთხვევაში და საწყის სიდიდეებად მივიჩნევთ 2010 და 2011 წლის მონაცემებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ რა რაოდენობის სტუმარი ეწვევა საქართველოს მომდევნო წლებში. პროგნოზირებით საქართველოში უცხოელი ვიზიტორთა რაოდენობა 2012 წელს იქნება 3,39 მილიონი და ყველა ღონისძიებების ჩატარებით ვერ გადააჭარბებს 3,6 მილიონს.

ცხრილში 2 მოცემულია საქართველოში უცხოელ ტურისტთა და ვიზიტორთა ჩამოსვლების პროგნოზი ლაგრანჟის საინტერპოლაციო ფორმულის გამოყენებით.

ცხრილი №2

გათვალისწინებულია 6% ცდომილება

ჩამოსვლები მილიონი	2010	2011	2012	2013	2014	2015
ცენტრალური და აღმ. ევროპა "დსთ" ჩათვლით	1317000	1830000	2202000	2684000	3166000	3648000
ჩრდილოეთ ევროპა	18135	21130	22700	25500	28300	31100
სამხრეთ ევროპა	27319	32188	34800	39400	43900	48500
დასავლეთ ევროპა	37800	47800	54300	63700	73000	82400
აღმ.ხმელთაშუა ზღვისპირა ევროპა	555300	763930	914100	1110200	1306200	150230
დსთ	1286148	1787666	2151800	2623200	3094600	35660
სულ ევროპა	1956128	2695235	3228200	3923000	4617800	531250
ამერიკა	24416	29286	32100	36600	41200	4110
აფრიკა	2869	3798	4400	5300	6200	7001
აღმ. აზია და ოკეანეთი	14394	19613	23300	28200	33000	3800
ახლო აღმოსავ-ლეთი	3413	5663	7400	9500	11600	1380
ჩამოსვლები სულ	2031717	2822363	3395000	4138000	4880000	5572000

თეორიული კვლევის შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდება მსუბუქი მრეწველობის იმ დარგების გააქტიურება, რომელიც უშუალოდ მოემსახურება ტურისტებს და დააკმაყოფილებს მათ მრავალფეროვან მოთხოვნებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ქართული ხალხური რეწვის და სუვენირების კუთხით. ამისათვის აუცილებელია საქართველოს რეგიონში შემოსული ტურისტების პროცენტული რაოდენობის წინასწარი განსაზღვრა, რომლის მიხედვით მოხდება შესაბამისი მცირე სიმძლავრის საწარმოების ამოქმედება კლიმატური პირობებისა და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების გათვალისწინებით, რაც კომფორტს შეუქმნის საქართველოში სტუმრის სტატუსით შემოსულ უცხოელებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ტურიზმისა და კურორტების ეროვნული სააგენტოს მასალები. 2012 წელი.
2. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მასალები. 2012 წელი.

Роль туризма в возрождении легкой промышленности в Грузии

Лиа Капанадзе, Кетеван Абашидзе
Грузинский Технический Университет

В статье рассматривается ворпосы развитиии туризма совместно с легкой промышленности. Изучены вопросы прогнозирования туристического бизнеса в Грузии. В исследованиях

применены формулы интерполяции и экстраполяции и даны предварительные результаты численности туристов 2013-2015 в годах.

Tourism role in revival of light industry in Georgia

Lia Kapanadze, Ketevan Abashidze
Georgian technical university

In article questions are considered tourism development together with light industry. Questions of forecasting of travel business in Georgia are studied. In researches interpolation and extrapolation formulas are applied and preliminary results of number of tourists 2013-2015 advanced in years are yielded.

ხალხური რეწვა და მისი გავლენა მსუბუქ მრეწველობაზე

ლ. კაპანაძე, ქ. აბაშიძე, ნ. ფხაკაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი

რეზიუმე: *ნაშრომში შესწავლილია მსუბუქი მრეწველობის დარგების განვითარების შესაძლებლობები ქართულ ხალხურ რეწვასთან მიმართებაში. შემოთავაზებულია ქართული ხალხური რეწვის უბნების გახსნა შალის სართავ საწარმოებში.*

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ხალხური რეწვა, ნედლეული, საწარმო, ხელსაქმე.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებამ საქართველოში დღის წესრიგში დააყენა ქართული ხალხური რეწვის განვითარების აუცილებლობა. კვლევებით დადგინდა, რომ მომდევნო წლებში ტურიზმი უფრო მეტად პოპულარული გახდება საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს ხალხური რეწვის ნაწარმის ფართო ასორტიმენტის გამოშვებას. აღნიშვნის ღირსია ის, რომ ამ დარგის პროფესიონალები საქართველოში ძალზედ მცირეა, მათ მიერ შექმნილი პროდუქცია კი უნიკალურია. ბუნებრივია, გაზრდილია მოთხოვნები ქართული ტრადიციული წესებით შექმნილ ხალხური რეწვის ნაწარმზე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს რაოდენობრივი მაჩვენებლებით და ხარისხით. ბაზარზე პროდუქციის მიწოდება არ ხდება გეგმაზომიერად, ძველებური სახეები შეიცვალა ახლით, რომელიც უმეტესად უგემოვნოდ არის შესრულებული. არ არის დაცული ფერთა შეხამების თავისებური კოლორიტი, რაც თვითმყოფადობას ანიჭებდა ნაწარმს. თუ ძველ ტრადიციულ ნაწარმში ფერთა ოდენობა საკმაოდ შეზღუდული იყო, მაგრამ მათი სიმრავლის შთაბეჭდილება იქმნებოდა, ახლებურ ნაწარმში კი ფერთა მრავალფეროვნება გვაქვს. ჭარბობს მყვირალა ფერები. ქართული ხალხური რეწვის ნაწარმის უმეტესობა რომელიც გაყიდვაშია, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არ არის ქართული ხელოვნების ნიმუში. მქსოველი იშვიათად იყენებს ძველ ტრადიციულ ორნამენტებს და ცდილობს ნაწარმის გათანამედროვებას.

მაღალხარისხიანი პროდუქციის ბაზარზე მისაწოდებლად და მყიდველთა გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია შეიქმნას მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, რომლებიც დაკვეთებს ხალხური რეწვის სხვადასხვა სახის ნაწარმზე შეასრულებენ ტრადიციული ორნამენტების გამოყენებით და ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით. აუცილებელია შეიქმნას პროფესიული სწავლების კურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური ხელოსნების მომზადებას და ძველი ტრადიციული მეთოდების შესწავლა-შენარჩუნებას. უნდა გვახსოვდეს ის, რომ ხალხურ მხატვრულ სარეწაოთა საწარმოებები – ეს არის ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი გამოვლენა, თანამედროვე პირობებში განუყოფლად შედუღაბებული წარსულთან, ამიტომ ხალხური შემოქმედების საუკეთესო ტრადიციების შესანარჩუნებლად და ტურისტთა გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიზანშეწონილია ქართული ხალხური რეწვის საწარმოების მართვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მსუბუქმა მრეწველობამ, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საწარმოების მასალით მომარაგებაზე, კადრებით დაკომპლექტებაზე, გამოშვებული ნაწარმის ხარისხის მართვაზე. დასანანია ის გარემოება, რომ ხალხურ რეწვას მთავრობა არ აქცევდა სათანადო ყურადღებას. იგი მას თვლიდა როგორც მსუბუქი მრეწველობის დანამატს, რომელიც მას სჭირდებოდა მხოლოდ გამოფენებზე ქართული უნიკალური ხელოვნების წარმოსაჩენად. მხოლოდ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან სერიოზული ძვრები მოხდა ხალხური რეწვის განსავითარებლად.

1975 წელს მთავრობამ მიიღო დადგენილება მხატვრული სარეწაოების შემდგომი სრულყოფისა და განვითარების შესახებ. ამ დადგენილებით გათვალისწინებული იყო დიდი კომპლექსური ღონისძიებანი, რომელიც მიმართული იყო სახალხო მხატვრული სარეწაოების შემდგომი განვითარებისაკენ და სამხატვრო სარეწაოების მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. დასახული იყო მრავალსახოვანი პროდუქციის გამოშვების შემდგომი ზრდა, იდეურ-მხატვრული დონის აუცილებელი ამაღლება, ასორტიმენტის შემდგომი გაზრდა, ტრადიციული ნიმუშების დამუშავება და აღდგენა.

აღნიშნულმა დადგენილებებმა დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხალხური მხატვრული რეწვისა და სუვენირების საწარმოთა გაერტოანებას "სოლანს" მუშაობის შემდგომ ამაღლებაში ("სოლანი" სვანურად ნიშნავს შინამრეწველთა მფარველ ღვთაებას).

გაერთიანება "სოლანმა" დიდი სამუშაოების ჩაატარა ხალხური ხელოსნური წარმოების აღდგენისა და განვითარების მხრივ. თუშეთში ახმეტის სამრეწველო კომბინატში ჩამოყალიბდა თუშური თექების დამამზადებელი საწარმოო უბანი, რომელმაც მოკლე დროში თავი მოუყარა ხალხური ხელოვნების შესანიშნავ ოსტატებს. კომბინატმა დაიწყო ტრადიციულ მოტივებზე შექმნილი ნაწარმის გამოშვება.

საწარმოო გაერთიანების პროდუქცია რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე დიდი მოწონებით სარგებლობდა. გაიზარდა საწარმოო პროდუქციის ექსპორტი. მხატვრული ფარდაგებისა და ფიანდაზების ქსოვის ნამდვილი ოსტატები ქმნიდნენ მხატვრულ – დეკორატიულ თექებს.

კომპოზიციური და ფერადოვანი გამომსახველობით აღსავსე თუშურმა ხალიჩებმა მხატვრების, ეთნოგრაფების ყურადღება მიიპყრო და მრავალი შემფასებელი ჰპოვა. მხატვრულ – დეკორატიული თექისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა თბილისში, მოსკოვში, პოლონეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ავღანეთში, გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში. ამ ქვეყნებში გამარ-

თულ გამოფენებზე ჩვენმა სახალხო ოსტატებმა ერთსულოვანი აღიარება და ჯილდოები დაიმსახურეს.

ქართული ხალხური დეკორატიული ხელოვნებისადმი დიდმა საზოგადოებრივმა ინტერესმა, მისმა პროპაგანდამ უდაოდ დიდი გავლენა იქონია ბევრი მხატვრის შემოქმედებაზე. თუში ოსტატი ქალების ხელოვნებას გამოეხმაურნენ თბილისის სამხატვრო აკადემიის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა მხატვრული გაფორმებისა და მოდელირების კათედრის სპეციალისტები.

პროფესიონალი მხატვრები თუშეთის მთიან სოფლებში სახალხო ოსტატ ქალებისაგან სწავლობდნენ ფერადი თექების დამზადების პროცესებს, რის შედეგადაც საკუთარ კომპოზიციებს თხზავდნენ. მათ შექმნეს მხატვრულ-დეკორატიული თექების მრავალფეროვანი ესკიზი და კომპოზიცია, გაამდიდრეს და დახვეწეს ძველებური სახეები. თავდაპირველად ისინი ცდილობდნენ ზუსტად წარმოეჩინათ თექაზე თუშური ხალხური თექებისათვის დამახასიათებელი სახეები და ორნამანტები, შეენარჩუნებინათ მათი დამზადების ტექნიკა და შეფერილობა, მაგრამ დროთა განმავლობაში მხატვრებმა შექმნეს დამოუკიდებელი ნახატები მრავალფეროვანი მდიდარი სახეებითა და პროპორციებით. ასეთი თექები გამოყენებულ იქნა საზოგადოებრივ შენობათა ინტერიერების მოსართავად თბილისსა და მოსკოვში.

1976 წელს ქ. ბრნოში მოეწყო ქართველ პროფესიონალთა და სახალხო მხატვართა ნამუშევრების, მხატვრულ – დეკორატიული თექების გამოფენა, რომელმაც ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მოწონება დაიმსახურა.

90-იანი წლებიდან დაიწყო ქართული ხალხური რეწვის საწარმოების ერთმანეთზე მიყოლებით დახურვა, რამაც გამოიწვია ქაოსი ამ სფეროში და შედეგად მივიღეთ ქართული ხალხური ტრადიციების სრული უგულვებელყოფა. ქართული თექის ნიმუშები, რომელიც საწარმოო გაერთიანება "სოლანში" იყო თავმოყრილი ნაწილობრივ დაიკარგა, ნაწილი კი ინტერესთა სფეროს მიღმა აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ხალხური რეწვის ბევრი დარგი თანდათან დავიწყებას მიეცა.

ამჟამად, როცა საქართველოს სტუმრობს 3 მილიონამდე ტურისტი, მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ასევე ქართული სარეწაო საწარმოების ასაღორძინებლად საჭიროა მთიან რეგიონებში გაიხსნას მცირე სიმძლავრის საწარმოები, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. სასურველია მთიან რეგიონებში მსუბუქი მრეწველობის მატყლის სართავ საწარმოებში შეიქმნას სარეწაო უბნები, როგორც ეს იყო ახმეტის საწარმოო კომბინატში, სადაც წარმოება პასუხისმგებელი იქნება მასალებით მომარაგებაზე, კადრების შერჩევაზე, ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებაზე და გასაღებაზე.

საქართველოში შექმნილია ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ ხალხური რეწვის განვითარების პროგრამა. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი ქართველ ოსტატებს პრაქტიკულ დახმარებას უწევს მხატვრული ტრადიციების და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების, ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესების საქმეში. პროდუქციის შექმნის, წარმოების მარკეტინგის დარგში სწავლებისა და თანამშრომლობის გზით, ცენტრი ცდილობს გაზარდოს ხალხური რეწვის სექტორის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მონაცემთა ბაზაში 600-ზე მეტი ინდივიდუალური ოსტატი და საწარმოა. მათ რიცხვში არიან პრო-

ფესიული ოსტატები, მცირე სტუდიები და ხელოსნები, მცირე და საშუალო საწარმოები, პატიმრები, უნარშეზღუდული პირები და ა.შ.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი ხელს უწყობს ქართული ხალხური რეწვის გამოფენის მოწყობას, მუშაობს საქართველოში ადგილობრივი ბაზრის განვითარებაზე. ადგილობრივ მარკეტინგს ანხორციელებს ტრადიციული სამუშაო გამოფენებსა და ბაზრობებში, რათა გაიზარდოს რეწვის პროდუქციის გაყიდვა და მოქმედებს მსოფლიო ბაზარზე როგორც ქართული ხალხური რეწვის ექსპორტიორი [1].

სამწუხაროდ ცენტრის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზასი მწირი ადგილი ეთმობა ქსოვის ხელოვნების, ჯეჯიმების, აბგების, წინდების, ქალამნების და ტანისამოსის სხვადასხვა გასაწყობ-შესაკრავების დამზადებას. ჩვენებური წინდების უნიკალურია ფორმის მრავალფეროვნებით, ორნამენტთა სიუხვით და ფერთა შეხამებით. სხვადასხვა რაიონებში მოქსოვილი წინდები ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავდებიან ფერთა წყობით და ზედაპირზე მოხატული ორნამენტებით. რაც დრო გადის მით უფრო ნაკლები წინდების სახეობა რჩება და ბევრი უნიკალური სახე იკარგება, ამიტომ, აუცილებელია ახალგაზრდობის მოზიდვა ამ საქმიანობის შესასრულებლად, რომლებიც შეისწავლიან ქსოვისა და ბუნებრივი საღებავებით ღებვის ტრადიციებს [2]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში შემოსული ტურისტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ბუნებრივია, მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდება ხალხური რეწვის მრავალფეროვანი პროდუქციის გამოშვება, რომლის განხორციელება მხოლოდ მსუბუქი მრეწველობის სართავ საწარმოებთან შერწყმით არის შესაძლებელი, რადგან საწარმო პასუხისმგებელი იქნება გამოსაშვები პროდუქციის დაგეგმვაზე, მათ ხარისხზე და მარკეტინგული საკითხების მოგვარებაზე. ასეთი საწარმოები შეცდებიან შექმნან მოქნილი მენეჯმენტის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიონალი კადრების მოზიდვას და ახალგაზრდობის ჩართვას ამ საინტერესო და საპასუხისმგებლო საქმიანობაში. ასეთმა საწარმოებმა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაუთმოს ხელით ნაქსოვი საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა ნაწარმის გამოშვებას. ხალხური რეწვის საწარმოების მსუბუქი მრეწველობის საწარმოებთან გაერთიანება ხელს შეუწყობს არამარტო ამ ხელობის აღორძინებას და ტურისტთა გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, არამედ ასევე ქართული უნიკალური ნაქსოვების შენარჩუნებას და მომავალ თაობაზე გადაცემას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://hereti.Webnode.com /hroducts/ 21.10.2011
2. ნ. ახიკური – თუშური ფარდაგები. თბილისი 1999წ.

Народные промыслы и его влияния на развития легкой промышленности

Л. Капанадзе, К. Абашидзе, Н. Рхакадзе

В работе рассмотрены вопросы о развития грузинского народных промыслов. На основе анализа рекомендуется в горных районах Грузии в предприятиях прядения шерсти создать участки народного рукоделия.

National crafts and its influences on developments of light industry

L. Kapanadze, K. Abashidze, N. Phakadze

In work questions about developments Georgian national crafts are considered. On the basis of the analysis it is recommended in the mountain regions of Georgia in the enterprises of spinning of wool to create sites of national needlework.

XIX საუკუნის ქალაქური ჩაცმულობის სახეების კვლევა

ლ. ლურსმანაშვილი, დ. ქორჩილავა, ნ. ფხაკაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
მ. კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი

ტანსაცმელი არის ადამიანის სხეულის ხელოვნური საფარველი. მის ფორმებს განსაზღვრავს ეთნიკური ნორმები და ეკოლოგიური პირობები, სამეურნეო მდგომარეობა და ხალხთა შორის კულტურულ – ისტორიული კავშირი.

ტანსაცმელი, მისი ინდივიდუალური სტილი, ერთ-ერთი კრიტერიუმია ადმიანის ხასიათის, მისი აზროვნების თავისებურებების და კულტურის დონის შესაფასებლად. ინდივიდუალური სტილი ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული დროის, ეპოქის დამახასიათებელ სტილთან. ტანსაცმლის ისტორია, მისი ევოლუცია მჭიდრო კავშირშია ერის ისტორიასთან, კულტურასთან და არქიტექტურასთან.

ტანსაცმელმა გამოიარა განვითარების გრძელი და რთული გზა, ვიდრე მიიღებდა ამჟამინდელ მიზანშეწონილ ფორმას. ტანსაცმლის კონსტრუქციის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე გამოკვეთილი პერიოდი.

პირველი პერიოდი – ესაა ტანსაცმლის პროტოტიპების განვითარების პერიოდები და იგი გრძელდებოდა რამდენიმე ასეულ-ათასეული წელიწადი. ამ პერიოდის ტანსაცმლის გამოყენების ძირითადი მიზანი დამცავი ფუნქცია იყო.

ტანსაცმლის განვითარების მეორე პერიოდისათვის, რომელიც გაგრძელდა 5000 წელზე მეტი, ადამიანმა შეძლო სხეულის შემოსვა უკვე მის მიერ შექმნილი ქსოვილის მეშვეობით. საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე ერთმანეთს გაემიჯნა ქალისა და მამაკაცის, ყოველდღიური, სადღესასწაულო, რიტუალური, საქორწილო, სამგლოვიარო, საბრძოლო და სხვა ტანსაცმელი. იმისდამიხედვით თუ როგორაა ქსოვილი სხეულზე წამოსხმული, მასში დროის სახე იკითხება.

შემდეგი პერიოდის დასაწყისი ხასიათდება გამოჭრილი ტანსაცმლის გამოჩენით (ჩვ. წ. აღ. IXს.).

პირველი გამოჭრის სისტემა შემუშავდა 19-ე ს-ის დასაწყისში და მასში თვალსაჩინო ადგილი ეკავა პროპორციულ–გაანგარიშებით მიდგომას და მან მოაღწია დღევანდელ დღემდე. გამოჭრის სისტემის აღმოცენებამ აუცილებელი გახადა ზომების აღება ფიგურაზე, ან პროპორციული გაანგარიშება, რომლებიც განსაზღვრავენ ტანსაცმლის ცალკეულ უბანთან ზომებს ნახაზზე.

ტანსაცმელი უძველესი დროიდან ხასიათდება დიფერენცირებულობითა და შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებთან შეთანხმებულობით. სამოსი

ატარებს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ნიშნებს. სხვადასხვა სოციალური ფენისათვის გვხვდება ტანსაცმლის განსხვავებული სახეები (დიდგვაროვნის, ვაჭრის, ხელოსნის, სასულიერო პირთა და სხვ.) ამასთან განსხვავებულია ტანსაცმელი დანიშნულების მიხედვითაც: საშინაო, საზეიმო, სამგლოვიარო, სანადირო, საომარი და სხვ.

19 ს-ის ქართული კოსტუმის სახეების შესწავლისა და კვლევის შედეგად დასტურდება, რომ მიუხედავად განსხვავებულობისა დიდგვაროვნებისა და დაბალი ფენის წარმომადგენლებისათვის ერთი და იგივე ფორმისა და სახელწოდების ტანსაცმელიც გამოიყენებოდა თუმცა, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს უფლება არ ჰქონდათ ძვირფასი ქსოვილებისაგან დამზადებული, თვლებით მოოჭვილი და ოქრომკედით დამშვენებული სამოსი ეტარებინათ. იმდროინდელ საზოგადოებაში ჩაცმულობა ტიტულების მიხედვით განისაზღვრებოდა და წოდებრიობის გამომხატველი ნიშნების დაცვას კანონი აწესრიგებდა. აბატონებული ფენა უფრთხილდებოდა მოპოვებულ პრესტიჟულ მდგომარეობას და თავის უპირატესობას საუცხოო ქსოვილებით, ძვირფასი ქვებითა და კეთილშობილი ლითონებით უსვამდა ხაზს. საზოგადოებაში ამ წესის დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს 19ს-ის საქართველოში გავრცელებული ტანსაცმლის ძირითადი ტიპების დაწვრილებითი კვლევა. ცნობილია, რომ 19 ს-ის მეორე ნახევარი გარდატეხის ხანად ითვლება საქართველოში. ამ პერიოდში გატარებული ბურჟუაზიული რეფორმები ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას, რამაც ასახვა ჰპოვა თბილისში უცხო ნაწარმით მოვაჭრე მაღაზიათა მომრავლებაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა უცხოური ფორმის ტანსაცმლის ფართო ათვისებას. აღნიშნავდნენ კიდეც „19 ს-ის 40-იანი წლების თბილისში აღმოსავლური თავისებურებები თვალში საცემი იყო, 70-იან წლებში კი საძებარიო".

მნიშვნელოვან ინფორმაციას ქალაქური ჩაცმულობის თავისებურებების შესახებ იძლევა ვ. ბერიძე ნაშრომში „ძველი თბილისის სურათები". ნაშრომში მიმოხილულია თბილისის ისტორია 1800 წლიდან 1935 წლამდე.

„თბილისი ორსახოვან იანუსს ჰგავდა. ქალაქის ძველი ნაწილი თავისი ვიწრო ქუჩებით, შუკებით, ფოლორცებით და ბანიანი სახლებით ტიპიური შუასაუკუნოვანი, ფეოდალური ხანის აზიური ქალაქი იყო, ხოლო მისი ახალი ნაწილი – ფართო ქუჩებითა და არქიტექტურულად გაფორმებული ლამაზი სახლებით – ევროპული."

„შეხვიდოდით ძველ თბილისში და ერთბაშად ევროპიდან აზიაში ამოყოფდით თავს. ქაურ ვიწრო ქუჩებში ორი ურემი კი არა, ფეხით მოსიარულენიც გაჭირვებით თუ აუვლიდნენ ერთმანეთს გვერდს. მერე რანაირი ჩაცმულობის, სიტყვა–პასუხის, ენისა თუ სოციალური მდგომარეობის ადამიანს არ შეხვდებოდით აქაურ შუკებსა და ფოლორცებში: ჩიხტიკოპით თავდახურულ ქართველ მანდილოსანსა თუ ჩოხა–ახალუხში გამოწყობილ ქართველ ვაჟკაცს, კურტნიან რაჭველ მუშას, რომელსაც ღვინით სავეს ათვედროიანი რუმბა ზურგზე „წამოუგორებია" და ღვინის სარდაფისკენ ანდა ბაზრისკენ მიარბენინებს, ჩასუქებულ სომეხს, თავზე რომ „მოსკოვური კარტუზი" ხურავს, შუბლზე ბეწვის ქუდჩამოფხატულ ლეკს, ეჭვიანად რომ იმზირება, თეთრჩალმიან მოლას, თეთრწვერა სპარს ფრჩხილები რომ ინით შეუღებავს და ფეხთ ჭრელი წინდები და ქოშები აცვია, ეტლის კოფოზე წამომჯდარ დუხაბორსა თუ მალაკან მეეტლეს, სერთუკში გამოწყობილ რუს ჩინოვნიკს, პოლონელებს, გერმანელებს."

„წარმოუდგენელია ძველი თბილისი ყარაჩოხელთა ქეიფებისა და დროსტარების გარეშე. მათ ნახავდით თბილისის დუქნებსა და სამიკიტნოებში, ორთაჭალისა თუ კრწანისის ბაღებში, მტკვრის „ტალღებზე” მოქანავე ტივსა თუ ნავზე. ყარაჩოხელის კეთილი გამოხედვა გეუბნებოდა: სანამ ვარ, ასე ვიცხოვრებო. ყარაჩოხელი ქალაქის დაბალ ფენას ეკუთვნოდა. სახელწოდება ჩაცმულობიდან მიიღეს, რაც შავჩოხიანს ნიშნავდა. მათ ეცვათ ხონჯრითა და ჩარჩუბაღებით შემკული განიერი შარვალი, წელზე ერტყათ გობაკებიანი ქამარი, ტანთ ეცვათ ატლასის ახალუხი და ლეკის შავშალისაგან გამონაკვალი აყოშა ჩოხა, უღილკილებოდ, რომ ახალუხის ნაოჭქვეშ სარტყლის ფოჩი თვალნათლივ გამოჩენილიყო; ყელზე გადაგდებული ჰქონდათ აბრეშუმის სახიანი მერდინი. ფეხთ ემოსათ ერთადლიანი პუჭპუჭებიანი წაღები, ხოლო თავზე „წიწაკა” ქუდი ეხურათ. სიტყვა ყარაჩოხელი თბილისური, ქალაქური, ქართული წარმოშობისაა”.

„ძველი თბილისის ფოლორცებსა და შუკების ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო თავზე ხილით სავეს თაბახშემოდგმული, ანდა ვიწრო ქუჩაში ვირშებმული პატარა „ტაჩკით” მიმავალი კინტო. იგი ყარაჩოხელის ანტიპოდი იყო როგორც ჩაცმულობით და მიხვრა-მოხვრით, ისე სიტყვა-პასუხითა და შეხედულებებით. თუ თბილისელ ყარაჩოხელს თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა, კინტო XIX საუკუნის პირმშოა. ეს უდარდელი, ზანტი, „ბუნების ნებიერი შვილი” ნეაპოლიტანელ ლაცერონსა და პარიზელ გამენს – ბიჭს მოგაგონებდათ. იუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის მთელ სიცოცხლეს ლაზღანდარობაში, ოინბაზობასა და ყალთაბანდობაში ატარებდა, გულით მაინც სულ სევდა და ნაღველი დაჰქონდა. ჩხოვრების უკუღმართობამ აიძულა იგი ქუჩა-ქუჩა ეხეტიალა.

კინტოს ჩაცმულობას შეადგენდა გვერდზე ჩახსნილი და ღილკილოებით დამშვენებული ხალათი, ახალუხი, წინდებში ჩატანებული ფართო შარვალი, წუღები და თავზე „კარტუზი”. ცოცხალი, მკვირცხლი, მოძრავი, „ლოთიანი” ქეიფის მოყვარული კინტო, რომელსაც თავზე ღვინით სავსე კვარტიანი ბოთლი ედგა (ხშირად ბოთლზე ღვინით სავსე „ქამრიანი” – წელში გამოყვანილი ჭიქაც იყო დადგმული), არღნის ხმაზე ბაღდადით ხელში ცეკვავდა კინტოურს”.

ქალაქური ჩაცმულობის კოლორიტულობის შესახებ საინტერესოა ზ, კიკნაძის ჩანახატიც:

გაისეირნეთ იმჟამინდელი ტფილისის ქუჩებში, ვის შეხვდებით? ვისაც შეხვდებით, შეუცდომლად გამოიცნობთ – ვინ ვინ არის. ეს კინტოა, ის ყარაჩოხელი; ეს ხელოსანია, ის ამქრის შეგირდი, ეს უსტაბაში; ეს გიმნაზისტია, ის გიმნაზიის მასწავლებელი; ეს თავადია, ის გლეხი; ეს სტუდენტია, ის თათრის მოედნის მკვიდრი; ეს სახელმწიფო მოხელეა, ეს აზიიდან, ის ევროპელი ჩამოსულია, ეს ვაჭარია, ეს მღვდელია; ის მოლა და ასე შემდეგ. ეს მრავალფეროვნება და ფერადოვნება, ეს ხალიჩა დღეს წაშლილია. სამოსელი ამ კუთვნილებებს აღარ გამოხატავს. დღეს ვერ გამოიცნობ – ვინ ვინ არის. სხვადასხვა წრის და პროფესიის ადამიანებს ერთნაირი სამოსელი მოსავს.

19 ს-ის მეორე ნახევარში ეროვნული სამოსის გვერდით არსებობდა ევროპული ჩასაცმელიც. ახალმა ევროპულმა ტანსაცმელმა რომელიც საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა, უპირველეს ყოვლისა ფეხი ბურჟუაზიულ ფენებში მოიკიდა. ხოლო მოსახლეობის ღარიბ ფენაში ქართული-ხალხური ტანსაცმლის ელემენტები შედარებით დიდხანს შემოინახა. თუმცა კვლევის

შედეგად დადგინდა, რომ ნაწარმის ტრანსფორმაცია იქაც თვალში საცემია, რაც ვლინდება კიდეც გარკვეულ ფორმებსა და ეტიმოლოგიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯავახიშვილი ივ. – "მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის" – III-IV. თბილისი. 1962 წ. საქ. მეცნ. აკადემიის გამომც. – 390 გვ.
2. ბეზარაშვილი ც. ჯალაბაძე გ. – ქართული ხალხური ტანსაცმელი. თბილისი. გამომცემლობა "მეცნიერება". 1988 წ. 39 გვ.
3. ჩაჩაშვილი გ. – "ქართული კოსტუმის კატალოგი" - ტ.1. თბ. გამომც. "მეცნიერება". 1964 წ. 175 გვ.
4. ბერიძე თ. – „ძველი თბილისის სურათები". გამომც. „ნაკადული" თბილისი 1980წ. 144 გვ.
5. კიკნაძე ზ. – "სიტყვითა და საქმითა – სამოსელი", გაზეთი 24 საათის დამატება "Weekend" 23.05.2010

Исследование видов городских одеянии XIX века

Л. Лурсманашвили, Д. Корчилав, Н. Фхакадзе

Резюме

В статье рассмотрено исследование основных типов городских одеяний XIX векю Согласно литературным и научным источником выявилось, что в старом Тбилиси, наряду с традиционным одеянием – «чоха-ахалухи», доминировало колоритное «карачогули», так называемое «чёрное чоха». А со второй половины XIX в. вместе с национальной одеждой, начало сосуществование европейское одеяние, которое, в первую очередь нашло расспространение среди буржуазии.

Research of urban clothes types in XIX century

L.Lursmanashvili, D.Qorchilava, N. Phakadze

Summary

The article is about the detail research of urban clothes types in XIX century. According to the scientific and literatural sources, in old Tbilisi, colorate "karachoxuli" so called black "chokha" dominated with traditional costume (chokha) its antipode, Kinto's clothing. But in the second part of the XIX century European clothing started coexistence with national clothing, which came into use in burjuar society.

ხარისხის მართვის სისტემა

ელისაბედ ხახუტაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, 0176, კოსტავას 75

ანოტაცია

ხარისხის მართვის სისტემა არის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის, ეფექტურობის და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას. ეს არის მუდმივი პროცესი.

ხარისხის მართვის სისტემა ითვალისწინებს კომპანიის ბიზნეს-მოდელის შექმნას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, სადაც მომსახურება ან პროდუქციის მიღების პროცესი უწყვეტი ჯაჭვური რგოლია, რომლის უკან დგას მომხმარებელი.

საკვანძო სიტყვები: ხარისხის მართვა, ბიზნესი, მენეჯმენტი, პროცესების რუქა, სტანდარტები.

ბიზნესის სფეროში წარმატებები ბევრადაა დამოკიდებული მართვის თეორიასა და დაგროვებული პრაქტიკული გამოცდილების ცოდნასა და მათ სწორად გამოყენებაზე. მენეჯმენტის უნივერსალური პრინციპების შესწავლა დაიწყო XIX საუკუნის ბოლოს, ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში ევროპასა და ამერიკის კონტინენტებზე. მენეჯმენტი, როგორც მართვის სისტემა, ჩამოყალიბდა ცოდნის დამოუკიდებელ დარგად, მეცნიერებად XX საუკუნეში. მენეჯმენტს უწოდებენ „მმართველობით აზრს“, მასში ჰარმონიულად შერწყმულია მმართველობითი ხელოვნებით გამდიდრებული მეცნიერება, გამოცდილება, „ნოუ-ჰაუ“.

მენეჯმენტის მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათლად წარმოჩნდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც შეიქმნა გიგანტური კორპორაციები, რომლებიც ფლობდნენ უზარმაზარ ეკონომიკურ, საწარმოო, მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, რამაც დასაბამი მისცა „მენეჯერთა რევოლუციას“.

მენეჯმენტის საფუძველს შეადგენს მართვის შესახებ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი პრაქტიკული ცოდნა, მართვის კონცეფციები, წესები და ფორმები. მენეჯმენტის შინაარსი ის არის, რომ იგი ავლენს მართვის კანონებსა და კანონზომიერებებს, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება მართვის თეორია.

მენეჯმენტი წარმოადგენს მართვის ურთიერთობებს ანუ ურთიერთობებს ადამიანებს შორის მართვის პროცესში. ეს ურთიერთობები მრავალწახნაგიანია. ისინი გამოხატავენ არა მარტო ეკონომიკურ, არამედ, აგრეთვე, გარკვეული ზომით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ ურთიერთობებსაც. მაგრამ ძირითადი მაინც ეკონომიკური ურთიერთობებია და მენეჯმენტი განეკუთვნება მეცნიერებათა კატეგორიას. დღევანდელ სწრაფად ცვალებად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში კომპანიის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორს **ხარისხი** წარმოადგენს.

სიტყვა „ხარისხის“ გამოყენება ბიზნესთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ კომპანია მზადაა იზრუნოს პირველ რიგში, თავის მომხმარებელზე (გააუმ-

ჯობესოს მომხმარებლის კმაყოფილების დონე), ასევე მოახდინოს თანამშრომლების აქტიური ჩართვა პროცესებში და ამ გზით მიაღწიოს წარმატებას. ყოველივე ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხარისხის მართვის პრინციპები გათავისებული იქნება, როგორც კომპანიის მაღალი დონის მენეჯერს, ასევე თითოეულ თანამშრომელს, რომელსაც უნდა ესმოდეს, რომ მისი მუშაობა გავლენას ახდენს სხვა მომუშავეზე და თვითონაც განიცდის დანარჩენების ზეგავლენას.

უნდა აღინიშნოს, რომ **ხარისხის მართვის სისტემა** არის უნივერსალური, რაც ნიშნავს რომ იგი შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერ ორგანიზაციაში მიუხედავად მისი მოღვაწეობის სფეროსი. იგი ესადაგება, როგორც საწარმოებს, ასევე მომსახურეობის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს. **ხარისხის მართვის სისტემაარის** კომპანიის ძალისხმევა, რომლის მიხედვითაც მისი თითოეული წევრი მუდმივად მიისწრაფვის მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულების გაუმჯობესებისკენ. ორგანიზაციას აქვს ჩამოყალიბებული მიზანი და მისი ყველა განყოფილება ურთიერთდაკავშირებული მუშაობით მიისწრაფის ამ საერთო მიზნის მიღწევისაკენ. ამავე დროს, თითოეულ თანამშრომელს გათავისებული აქვს, რომ მისი მუშაობა გავლენას ახდენს ყველა სხვა მომუშავეზე და ამავე დროს თვითონაც განიცდის დანარჩენების ზეგავლენას.

ხარისხის მართვის სისტემა არის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის, ეფექტურობის და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი ხარისხის მართვის პრინციპები დანერგილი იქნება ორგანიზაციის ყველა განყოფილებაში და მენეჯმენტის ყველა დონეზე. მართალია კონცეფციის აზრი საკმაოდ მარტივად გამოითქმის, მაგრამ ამ სისტემის დანერგვა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრობლემების გადაწყვეტის „სასწრაფო და ერთჯერადი საშუალება“. ეს არის მუდმივი პროცესი, რომლის დანერგვას მოაქვს მრავალი უპირატესობანი.

ხარისხის მართვის სისტემა **(ხმს)** უზრუნველყოფს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ან მომსახურების ხარისხის ზრდას. მასში გათვალისწინებულია მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლებიც იძლევა წინასწარ ჩამოყალიბებული ხარისხის კრიტერიუმებისგან გადახრების გამოვლენისა და აღმოფხვრის საშუალებას. იქმნება საწარმოო პროცესების ისეთი სტრუქტურა, სადაც პროდუქციის ხარისხი მუდმივად უმჯობესდება. ანუ, საუბარია არა კონკრეტულ, განყენებულ შემთხვევაში ხარისხის ზრდაზე, არამედ მექანიზმის შექმნაზე, რომელიც მუდმივად დაკავებულია სისტემის სრულყოფით.

ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების პროცესის ეფექტურობის ზრდას. მთელი საწარმოო ციკლი განიხილება, როგორც ერთობლიობა. ეს არის ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება ISO-ს საერთაშორისო სტანდარტები სერიიდან 9000. ამასთან, თითოეული პროცესის ანალიზი ხდება ხარისხის კრიტერიუმების მიხედვით, მათი უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით.

ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს საწარმოო ხარჯების შემცირებას. წარმოების ხარისხისა და ეფექტურობის ზრდასთან ერთად მცირდება დანაკარგები, რომლებიც დაკავშირებულია დეფექტებთან, გაუთვალისწინებელ ხარჯებთან და რესურსების არამიზნობრივ გამოყენებასთან.

ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს საწარმოს მართვის სისტემის გაუმჯობესებას. სპეციალისტები, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების

საკითხებზე მუშაობისას, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეუსაბამობების ძირითადი მიზეზი არის მართვის სფეროში – 80% და მხოლოდ 20% არის წარმოების სფეროში.ხარისხის სისტემის სოლიდური ნაწილი ესაა – სხვადასხვა პროცესების მიხედვით შექმნილი პროცედურების კომპლექსი, სადაც განისაზღვრება პასუხისმგებლობის საზღვრები ხელმძღვანელობასა და მუშაკებს შორის. დღეს, როდესაც არსებობს ხარისხის სისტემის წარმატებული მაგალითები სპეციალისტებისთვის გასაგები ხდება, რომ ხარისხის მართვის სისტემა დიდი ხანია გარდაიქმნა ხარისხიანად მართვის სისტემად.

ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს საწარმოს კონკურენტუნარიანობის ზრდას. გარდა იმისა, რომ პროდუქციის ხარისხის ზრდა თავისთავად ზრდის კომპანიის კონკურენციის შესაძლებლობას, ხარისხის სისტემა მიზანმიმართულად არის ფოკუსირებული იმ პროცედურებზე, რომლებიც განსაზღვრავენ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის საბაზრო ეკონომიკის პირობებში.ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მთლიანი ორგანიზაციის და ასევე მისი თითოეული განყოფილების ორგანიზაციული სტრუქტურების შემუშავება და დახვეწა; ორგანიზაციაში არსებული თითოეული პოზიციისათვის სამუშაოს აღწერილობის შემუშავებას; ორგანიზაციაში არსებული ძირითადი პროცესების დადგენა და ე.წ. „პროცესების რუქის“ შემუშავება; კომპანიის შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება – განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაკრებ ჯგუფებს, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა განყოფილების წარმომადგენლები. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს კომპანიაში არსებული პრობლემის ეფექტურ და დროულ გადაწყვეტას; თანამშრომელთა შეფასების სისტემის შემუშავება – შეფასებისათვის საჭირო ძირითადი მაჩვენებლები წარმოადგენენ ამ ეტაპის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, მაგრამ ამავე დროს მოხდება შეფასების სისტემის სრულყოფა; წახალისების სისტემის შემუშავება.

ხმს-ის დანერგვის ერთ-ერთ ძირითადი მიზანია შესაბამისი პირობების ფორმირება მუდმივი გაუმჯობესებისთვის, რომელიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს ხარისხზე მუდმივ მუშაობას და მეორეს მხრივ წარმოაჩენს საწარმოს ინოვაციურ პოტენციალს. რაც იძლევა მომხმარებლის ცვლად მოთხოვნილებებზე სწრაფი რეაგირებისა და უფრო კონკურენტული პროდუქციის წარმოების საშუალებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივი გაუმჯობესება ციკლური პროცესია, რომლის დანერგვისათვის გამოიყენება **დემინგის,** ანუ ე.წ. **დაგეგმე – შეასრულე – შეამოწმე – დანერგე ციკლი**. თავდაპირველად ხდება სიტუაციის გაანალიზება და გაუმჯობესების დაგეგმვა (დაგეგმვის ეტაპი). შემდეგ ხორციელდება ამ გაუმჯობესების საცდელი ვარიანტის დანერგვა (შესრულების ეტაპი) და შესაბამისი მონაცემების შეგროვება იმის დასადგენად, თუ როგორ მუშაობს ახალი მიდგომა (შემოწმების ეტაპი). თუკი შემოწმების შედეგად მიიღება სასურველი შედეგი, ხდება ამ ინიციატივის დანერგვა (დანერგვის ეტაპი), წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება ახალი ინიციატივის შემუშავება და სრული ციკლის გამეორება. მუდმივი გაუმჯობესების ეს პროცესი საშუალებას იძლევა შემცირდეს გადახრა სტანდარტული პროცესისაგან და მიუღებელი პროდუქციის თუ მომსახურების დონე მიუახლოვდეს ნულს.

ხარისხის მართვის სისტემის დანერგვისას ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვანი პროცესების სტანდარტიზაცია და დოკუმენტირება, რაც მართვის ამ სისტემის ძირეულ საკითხს წარმოადგენს. სამუშაოები კი სრულდება ამ დოკუმენტირებული სტანდარტების შესაბამისად. თუკი მოხდება პროცესე-

ბის ცვლილება, ეს ავტომატურად იწვევს დაწერილი პროცედურების შეცვლას. ასეთი სტანდარტების არ არსებობა კომპანიაში იწვევს გაუმჯობესების ინიციატივის ჩახშობას.

სისტემის დანერგვის პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს თანამშრომლების ტრენინგი შესაბამის ორგანიზაციაში. შემდეგ, კომპანიის დირექტორის მონაწილეობითა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე უნდა შედგეს სია იმ პირებისა, რომლებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა დოკუმენტაციის შექმნაში.ხოლო ამის შემდეგ კი მნიშვნელოვანია დოკუმენტების შესაქმნელად გრაფიკის შემუშავება.

ხარისხის მართვის სისტემის მიზნები, ამოცანები და დანერგვის გზები ცნობილი უნდა იყოს მთელი პერსონალისთვის. ამის მიღწევა შეიძლება შემდეგნაირად: **ხმს-ს** ის თანამშრომლები, რომლებმაც მანამდე გაიარეს სასწავლო კურსები, გადანაწილდებიან იმ განყოფილებებში, რომლებიც მონაწილეობენ ხარისხის სისტემის დანერგვაში. თითოეულ ამ განყოფილებაში ისინი ატარებენ სწავლებას ხელმძღვანელობისა და სპეციალისტებისთვის, რომლებიც თავის მხრივ, ასწავლიან მათზე დაქვემდებარებულ თანამშრომლებს. ამრიგად, ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა რგოლს მიეწოდება ინფორმაცია ხელმძღვანელობის გეგმებსა და მიზნებზე, რაც იძლევა მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან აცილების საშუალებას. ასევე, მათი ინფორმირებულობისთვის რეკომენდირებულია სხვადასხვა დოკუმენტებისა და ბროშურების დამზადება, სადაც მისაღები და გასაგები ფორმით იქნება განმარტებული ხარისხის მართვის სიუსტემის შინაარსი და გაცემული იქნება პასუხი კითხვაზე – რატომ არის აუცილებელი ხარისხის სისტემის დანერგვა და რა უპირატესობას მოუტანს ის? როდესაც დამთავრდება ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესების განსაზღვრა, უნდა შემუშავდეს დოკუმენტი **„პროცესების რუქა“,** რომელშიც წარმოდგენილი იქნება ძირითადი პროცესების სქემა. ხოლო, ძირითადი დოკუმენტირებული პროცედურების სია გაწერილი იქნება ორგანიზაციის ხარისხის სახელმძღვანელოში. ასევე, უნდა განისაზღვროს ყველა პოზიციის პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების გადანაწილების საკითხი.

მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციის შემუშავებისა და დანერგვის შემდეგ, კომპანიის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას „ხარისხის სახელმძღვანელოს შემუშავების შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია სახელმძღვანელოს შემუშავების ვადები და მასზე პასუხისმგებელი დირექტორები.

დოკუმენტირებული პროცესების დანერგვის შემდეგ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს **შიდა აუდიტი. შიდა აუდიტორი** ერთ-ერთი საკვანძო რგოლია სისტემის დანერგვისა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.ამ პოზიციაზე ინიშნებიან კადრები, რომლებიც, დიდი ხანია მუშაობენ კომპანიაში და აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები. შიდა აუდიტორები, ისევე, როგორც **ხმს-ს** სხვა თანამშრომლები საჭიროებენ ხშირ ტრენინგებსა და სემინარებს. რეკომენდირებულია მათი მივლინება სხვა ორგანიზაციაში პრაქტიკაზე ან შესაბამის კურსებზე.აუდიტორი არ არის არც კონტროლიორი და არც ინსპექტორი ჩვეულებრივი გაგებით. ისაა თანამშრომელი, რომელიც ეხმარება ყველა ქვედანაყოფს საქმიანობის გაუმჯობესებაში, შემოწმებისა და შეუსაბამობების აღმოჩენის გზით. **ხმს-ის** დანერგვის დაწყებიდან 2-3 თვეში **ხმგ-ს** ის თანამშრომლები ქვედანაყოფებში სისტემატურად ატარებენ შიდა აუდიტს. შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადებულ და შეთანხმებულ „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარების გრაფიკს“ ამტკიცებს დირექტორი.

ხმს-ის დანერგვის პროექტი გრძელდება 6-24 თვემდე და თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ძალიან დიდ ძალისხმევას. მასერთიფიცირებელი აუდიტის კარგი შედეგი მიუთიებს, რომ საწარმოს ტოპ-მენეჯმენტი ერთგულია ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების პრინციპისა და თანამშრომლები კარგად არიან გათვითცნობიერებულნი ამ პრინციპებში და მათი რეალიზაციის მნიშვნელობაში.

ხმს-ის დანერგვა უნდა ხდებოდეს აუცილებლად მხოლოდ ხელმძღვანელობის ინიციატივით, რადგან ეს პროცესი მოითხოვს საქმის წარმოების არსებული წესისა და თანამშრომლების სტერეოტიპების ცვლილებას. თუ ხელმძღვანელობა არ არის დაინტერესებული **ხმს-ით**, მაშინ პროექტის წარმატების ალბათობა მიისწრაფის ნულისკენ.

ასევე აღსანიშნავია შრომის ორგანიზაციისადმი ერთ-ერთი პოპულარული მიდგომა, რომლის საფუძველში დევს ცენტრალიზებული კონტროლის ფილოსოფია და წარმოადგენს **ხარისხის კომპლექსურ მართვას(TQM)**, რომლის მიზანს წარმოადგენს ორგანიზაციაში შესრულებადი ყველა სამუშაოს ხარისხის სრულყოფა უწყვეტი გაუმჯობესების საშუალებით. **TQM**-ის ფილოსოფიის საფუძველში დევს გუნდური მუშაობის პრინციპები. **TQM**-ის დანერგვას თან სდევს მენეჯერების და ყველა სამსახურის რიგით თანამშრომლებს შორის თანამშრომლობის აქტივიზაცია.

TQM-ის კონცეფციის რეალიზაცია არაფრით არ განსხვავდება კონტროლის სხვა მეთოდებისაგან. თანამშრომლებს ენიჭებათ გამოასწორონ შეცდომები და გამოავლინონ წარმოქმნილი პრობლემები, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში.

TQM-ის დანერგვა ითვალისწინებს მენეჯმენტის მიერ სპეციფიკურ ხერხების და მეთოდების გამოყენებას, ხოლო მისი წარმატების შესაძლებლობა იზრდება მაშინ, როდესაც იგი ხელს უწყობს შრომითი პროცესის შინაარსის გამდიდრებას. ხარისხის ზრდის პროგრამის ეფექტურობაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს კორპორატიული კულტურა, რომელშიც ფასდება ხარისხი და უწყვეტი სრულყოფა.

ამრიგად, ხარისხის მართვის სისტემა ემსახურება ბიზნესის მართვის ხარისხის გაუმჯობესებას. იგი მოიცავს კომპანიის ბიზნეს-პროცესების მართვის სისტემას. იმისთვის, რომ სხვადასხვა კომპანიები ერთმანეთთან მუშაობისას იყვნენ დარწმუნებულნი, რომ არავითარი მოულოდნელობა არ იქნება პარტნიორისგან, არსებობს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები ISO 9001:2008-ის მიხედვით სერთიფიცირების პროცედურა, რომელიც მკაფიოდ საზღვრავს აუცილებელ ინსტრუქციებს, კომპანიის სახელმძღვანელო დოკუმენტებს, საწარმოო ჩანაწერებს, კომპანიის მუშაოების ეფექტურობის გაზომვას, მომწოდებლების შერჩევის საშუალებებს და ა.შ.

ხარისხის მართვის სისტემა ითვალისწინებს კომპანიის **ბიზნეს-მოდელის** შექმნას, სადაც თითოეული მომსახურება ან პროდუქციის მიღების პროცესი განიხილება, როგორც რგოლი უწყვეტი ჯაჭვისა, რომლის ბოლოსაც დგას მომხმარებელი. მოდელი ითვალისწინებს ახალ ჰორიზონტალურ კავშირებსა და ურთიერთობების გამოვლენას, რომელიც მიმართული ფუნქციათაშორისი ბარიერების დაძლევისკენ.

აქედან გამომდინარე, ხარისხის მართვის სისტემა არის სანდო ინსტრუმენტი საწარმოო საქმიანობის ორგანიზებისთვის და ორიენტირებულია, პირველ რიგში, კომპანიის მიერ დადგენილი შედეგების მიღწევის ალბათობის დონისა და კომპანიის საქმიანობის ხარისხის ზრდაზე. ასე რომ, ხარისხის

მართვის სისტემა – ესაა, საწარმოო პროცესების ორგანიზების საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილ შედეგებს.

თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობა კონკურენცია, ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენს ხარისხიანი პროდუქციის ან მომსახურების წარმოება და მისი მიწოდება მომხმარებლისათვის. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულების მმართველმა რგოლმა ეფექტურად უნდა დანერგოს ხარისხის მართვის სისტემები, შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებულთან და გამუდმებით იზრუნოს ორგანიზაციის უწყვეტ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ო. ზუმბურიძე. მენეჯმენტის საფუძვლები. სახელმძღვანელო. სტუ., თბილისი, 2008.
2. ი. ზედგინიძე, მ. ბალიაშვილი. ხარისხის მართვა. სახელმძღვანელო, სტუ., თბილისი, 2008.
3. Ричард Л. Дафт. Менеджмент. 6-ое издание, М., 2007.

Система управления качеством

Хахуташвили Е. Е.
Грузинский Технический университет

Резюме

В современной быстро меняющейся конкурентной бизнес-среде, определяющим факторам успеха является качество. Управление системой качества определяет концепция, подразумевающая конкурентоспособность, эффективность и улучшение продуктивности организации. Это вечный процесс.

Система управления качеством учитывает создание бизнес - модели международных стандартов, где обслуживание или процесс получения продукта есть непрерывная цепная связь, за которой стоит пользователь.

System of quality management

Elisabed Khakhutashvili
Prof. (GTU)

The creation of international standard model for business company system of quality management.



იუზა ევგენიძე – ქართული ლიტერატურის მეოცნებე რომანტიკოსი!

დამდეგი თებერვლის 24-ში 70 წლის იუბილეს მისალოცად ვემზადებოდით... გაგონებაც კი არაფრისა სურდა. ბუნებით რიდიანს უცნაურად ეუხერხულებოდა ყველაფერი, რაც მას შეეხებოდა. ყოველთვის ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა და უმცირეს ყურადღებასაც დიდად უმადლიდა ახლობელსაც და შორებელსაც. არავის ამძიმებდა თავისი პიროვნებით და ამიტომაც საკუთარ იუბილეზე ფიქრიც კი უსაშველოობად და ზედმეტობად ეჩვენებოდა... განა თვისი თავის ფასი არ იცოდა, განა არ ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ადგილი იმ სივრცეში, სადაც იწვოდა... მორიდებულება იყო მისი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატულება და იგი წარმოუდგენლად უცნაურად შერწყმოდა მის გურულ ტემპერამენტს და სიცოცხლით აღტაცების ემოცია-ექსპრესიულობას... აქაც თავისი გაიტანა, სამწუხაროდ, იუბილე აღარ შედგება. თავად შეაჯამა საკუთარი ცხოვრების გზის 70 წელი - იმქვეყნიურ საქართველოში გადასახლდა... ამქვეყნად კი დატოვა სახელი და შთამბეჭდავი მემკვიდრეობა XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნებისა და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში; დაგვიტოვა პირველხარისხოვანი გამოკვლევები ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემებზე, არაერთი მონოგრაფია, გამოკვლევა ვაჟასმცოდნეობასა და აკაკისმცოდნეობაში, XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ პუბლი-

ცისტიკაში. ამით დარჩება პროფესორ იუზა ევგენიძის სახელი ქართული ფილოლოგიის სამყაროში.

იუზა ევგენიძე დაიბადა 1943 წლის 24 თებერვალს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში. დაწყებითი განათლება ახალსოფლის რვაწლიან სკოლაში მიიღო, საშუალო სკოლა კი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში დაამთავრა, ოქროს მედალზე, 1960 წელს. იმავე წელს სწავლა განაგძო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1965 წელს წარჩინებით დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი და იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობით, გრიგოლ კიკნაძის ხელმძღვანელობით. ასპირანტი იუზა ევგენიძე ამგვარად აღმოჩნდა იმ დროის თბილისის უნივერსიტეტში შექმნილი უნიკალური ლიტერატურისმცოდნეობითი სკოლის შუაგულში.

სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის იდეოლოგიით გაჯერებულ საუნივერსიტეტო სივრცეში გრ. კიკნაძის სკოლა იმ დროს დიდად გამოირჩეოდა არა მხოლოდ ჭეშმარიტი აკადემიური ლიტერატურისმცოდნეობითი მეცნიერული ტრადიციებისადმიი ერთგულებით, არამედ სრულიად მოულოდნელი და თამამი ინოვაციური ლიტერატურული კონცეპტუალიზმით და კვლევებით. მართალია, ამ სკოლის მაღალ აკადემიზმს მთლიანად გრ. კიკნაძის ტალანტი და გამორჩეული მეცნიერული ხედვა განსაზღვრავდა, მაგრამ იგი დამშვენებული იყო XX საუკუნის 70–იანი წლების ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდების გუნდით, რომლის წევრები შემდეგში ქართული ლიტერატურისმცოდნეობის და საერთოდ ფილოლოგიის აღიარებულ მკვლევრებად ჩამოყალიბდნენ. მათ შორის იყვნენ და არიან: ჯუმბერ ჭუმბურიძე, ვახტანგ გოგუაძე, ლადო მინაშვილი, ალექსი ჭინჭარაული, დავით წოწკოლაური, თემურ ჯაგოდნიშვილი.

იუზა ევგენიძე პროფ. გრ. კიკნაძის პირველი მოსწავლე იყო, რომელმაც მთლიანად იმემკვიდრა მასწავლებლის კვლევაძიებითი პრინციპები, ტრადიციები და მისი ჭეშმარიტად სულიერი მიმდევარი შეიქმნა. ამას ცხადყოფს იუზა ევგენიძის მონოგრაფიების, გამოკვლევების კვლევაძიებითი პრინციპები, საკვლევი პრობლემების ხედვა–გააზრების მანერა. იუზა ევგენიძის, როგორც მეცნიერის და პედაგოგის, პიროვნება სწორედ გრ. კიკნაძის ლიტერატურისმცოდნეობის სულისკვეთების და ტრადიციების ზეგავლენით ჩამოყალიბდა. სწორედ ამ სკოლის ტრადიციების შემოქმედებითად განვითარებამ და გაღრმავებამ აქცია იუზა ევგენიძე ახალი ქართული ლიტერატურისა და XIX საუკუნის ქართულ საზო-

გადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების თვალსაჩინო მკვლევრად, მეცნიერად, პედაგოგად. უკვე ასპირანტურაში განსწავლის წლებში შეუდგა იგი პედაგოგიურ საქმიანობას. იყო მასწავლებელი ატარებდა ლექციებსა და სემინარებს, ხელმძღვანელობდა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების ჩატარებას საქართველოს ქალაქებში. 1969 წლიდან კი, როგორც უფროსი მასწავლებელი, ლექცია–სემინარების გაძღოლასთან ერთად, ხელმძღვანელობდა საკურსო და სადიპლომო შრომებს.

1969 წელს უიზა ევგენიძემ დაამთავრა ასპირანტურა, ხოლო 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ვაჟა–ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის“, ამასთან აგრძელებდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასევე ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ვაჟა–ფშაველას კაბინეტში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი გრიგოლ კიკნაძე. ამ კაბინეტის ეგიდით გამოქვეყნდა მისი ადრეული სამეცნიერო ნაშრომები, მაგალითად, ნარკვევი „ვაჟა–ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის“. (ვაჟას კრებული I, 1970). ი. ევგენიძე აქტიურად მონაწილეობდა ვაჟას კაბინეტის მნიშვნელოვანი პროექტის დამუშავებაში, რომლის მიზანიც იყო ვაჟა–ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ იმ დროისათვის სრულიად უჩვეულო და მოულოდნელი მონოგრაფიული რაკურსებით–ენათმეცნიერული, ტექსტოლოგიური, ლიტერატურისმცოდნეობითი ფოლკლორისტული, ისტორიული, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური ასპექტებით შესწავლა. ი. ევგენიძე „ბახტრიონის“ ტექსტის დადგენაში მონაწილეობდა, როგორც ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. 1972 წელს ცალკე კრებულის ფორმატით გამოიცა მრავალმხრივი კვლევების შედეგები, სახელოწოდებით ვაჟა–ფშაველას „ბახტრიონი“ და ამ წიგნით ერთბაშად სრულიად ახალ სიმაღლეზე დადგა ჩვენში არა მხოლოდ ვაჟალოგია, არამედ მთლიანად ქართული ლიტერატურის მცოდნეობა. ამას გარდა, ი. ევგენიძემ ამავე პერიოდში გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ვაჟა–ფშაველას პოეტური მრწამსისათვის“ (კრებულში „ესთეტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის საკითხები“ I, 1973).

1976 წელს ი. ევგენიძეს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება და ამ რანგში განაგრძობდა სისხლსავსე სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკისა და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრებზე.

1993 წელს ი. ევგენიძე სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებულ აკაკი წერეთლის სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტს,

როგორც მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი. ამ კაბინეტის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა მომავალში სათანადოდ დახასიათდება და კვალიფიციური პედაგოგიკური და ლიტერატურის მცოდნეობითი შეფასება მიეცემა, მაგრამ ამ ეტაპზე უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ამ სასწავლო–სამეცნიერო ცენტრმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიდი ქართველი პოეტისა და თავისი დროის უთვალსაჩინოესი მოღვაწის აკაკი წერეთლის ცხოვრება–მოღვაწეობისა და შემოქმედების შესწავლაში.

კაბინეტის მიერ განხორციელებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ აკაკის პიროვნებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი ქართული საზოგადოებისა და ლიტერატურისმცოდნეობის საგანგებო ინტერესის მიუხედავად, უამრავი ფაქტი და მოვლენა შეუსწავლელი იყო. ეს კი იმით გახდა შესაძლებელი, რომ მუშაობა იმ თავითვე მრავალი მიმართულებით წარიმართა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, თუ როგორ იცნობიერებდა აკაკის ფენომენს თანამედროვე საქართველო–მკითხველიც და მკვლევარ–მეცნიერიც. ხოლო მეორე მხრივ, მუშაობა გაიშალა არქივებსა, კერძო კოლექციებსა თუ XIX საუკუნის პრესასა და პერიოდიკაში აღბეჭდილი აკაკი წერეთელის ნაკლებ ცნობილი ან უცნობი ნაწერების გამოსავლენად და მეცნიერების სივრცეში შემოსატანად. მოკლე დროში საინტერესო მასალა გამოვლინდა. ასე, მაგალითად, იუზა ევგენიძის რედაქციით გამოიცა უაღრესად საინტერესო და მასალობრივად მნიშვნელოვანი სიახლეების შემცველი ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემური წიგნები „აკაკის კრებული“ (I კრებული 1999, მეორე - 2005), „უცნობი აკაკი“ (2001). ამ კრებულებში იუზა ევგენიძის წვლილი მხოლოდ რედაქტორული მუშაობით არ შემოფარგლულა. სხვა ავტორების გვერდით თავადაც დაბეჭდა ისეთი ნაშრომები, როგორებიცაა „აკაკი წერეთლის კრიტიკულ-ესთეტიკური აზროვნების ერთი ნიმუში“ („აკაკის კრებული“, I, 1999), “ბოლოთქმა გრიგოლ კიკნაძის ნაშრომზე: ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრულ ნაწარბოებთა პედაგოგიური თვალსაზრისით შესწავლისათვის „(„აკაკის კრებული“, I, 1999), „კვალი ნათელი: ბეჟან ბარდაველიძის გახსენება”, (თანაავტორი) („აკაკის კრებული“, I, 1999), (ზოგი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილ ნაწერთა გამო“ („უცნობი აკაკი“, 2001), „აკაკი წერეთლის ლირიკის ბუნებისათვის“ („აკაკის კრებული“, II, 2005), შესავალი ნარკვევი კრებულში „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (2004) და სხვა.

1995 წელს ი. ევგენიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობა განაგრძო თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორის რანგში: კითხულობდა სალექციო კურსებს „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, „ XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ლიტერატურული აზროვნება“, „ქართული რომანტიზმი და რეალიზმის ძირითადი პრობლემები“, „ვაჟას მცოდნეობა“ , „აკაკის მცოდნეობა“, „რომანტიზმი და რეალიზმი (ევროპული და ქართული მოცემულობა)”, ხელმძღვანელობდა მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, მისი ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა შვიდმა დოქტორანტმა. 1997 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

2006 წლიდან 2012 წლის პირველ სექტემბრამდე პროფესორი ი. ევგენიძე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2012 წლის პირველი სექტემბრიდან სიცოცხლის ბოლომდე – პროფესორი ემერიტუსი.

სხვადასხვა წლებში პროფესორი იუზა ევგენიძე პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. აქტიურად თანამშრომლობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან, რომლის ეგიდითაც არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა, მონაწილეობდა აკაკის თხზულებათა ოცტომეულის გამოსაცემად მომზადებაში და ა. შ. შეთავსებით მუშაობდა თბილისის სასულიერო აკადემიაში პროფესორის თანამდებობაზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის მიმართულების (კათედრის) მოწვეული პროფესორის თანამდებობაზე (2000 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე), კითხულობდა სამაგისტრო კურსს „ქართული პუბლიცისტიკის განვითარების ეტაპები და კლასიკოსი პუბლიცისტები“, ხელმძღვანელობდა დოქტორანტების მომზადებას, დოქტორანტებს უკითხავდა სპეციალურ სალექციო კურსებს ლიტერატურის თეორიასა და ქართულ ლიტერატურაში.

პროფ. ი. ევგენიძეს გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის“ (1977), „ვაჟა-ფშაველა“ (1982), „ვაჟა-ფშაველა (ცხოვრება და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები)“ (1989), „ქართული რომანტიმის საკითხები“ (1982), „გრიგოლ ორბელიანი“ (1995) და სხვა.

პროფ. ი. ევგენიძის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა წიგნები და კრებულები: „ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (ლ. მინაშვილთან ერთად, 1980), „გრ.

კიკნაძე (ვ. გოგუაძის, ლ. მინაშვილისა და ჯ. ჭუმბურიძის თანაავტორობით, 1976), „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ“ (თანაავტორი, ტ. I, – 1996; ტ. II –1998), „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (პროექტის ხელმძღვანელი, 2004), „აკაკის კრებული“ (I–1999; II–2005), „უცნობი აკაკი“ (ნ. ფრუიძესთან ერთად, 2001), „ქართველი მწერლები ვაჟა–ფშაველას შესახებ“ (2003).

პროფ. ი. ევგენიძის მეცნიერული ინტერესების და ქართული ლიტერატურის ისტორიის ლიტერატურისმცოდნეობის საკითხებისა თუ პრობლემების ხედვა-გააზრების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მისი სოლიდური ნაშრომი „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, რომელიც 4 ტომისაგან შედგება. პირველი სამი ტომი 2000, 2003 და 2009 წლებში გამოიცა, მეოთხე ტომის გამოცემა, სამწუხაროდ, ავტორმა ვეღარ მოასწრო. დამხმარე სახელმძღვანელოებად გამიზნული ეს წიგნები აქტიურად გამოიყენება თბილისის ჯავახიშვილის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

პროფესორი იუზა ევგენიძე აქტიური მონაწილე იყო თსუ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მიერ გამოცემული კოლექტიური სახელმძღვანელოების შექმნისა. იგი არის თანაავტორი სახელმძღვანელოსი „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია „(ტ. II-2011), ”აფხაზური ლიტერატურა. ქრესტომათია (1978), ”XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა” (ნაწილი I, რუსულ ენაზე, 1979). ი. ევგენიძის რედაქტორობით გამოცემულია 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა ავტორები არიან პროფესორები: თენგიზ კიკაჩეიშვილი, ლადო მინაშვილი, თამაზ გოგიჩაიშვილი, ომარ გოგიაშვილი, დავით წოწკოლაური, ნანა გაფრინდაშვილი, და მარიამ მირესაშვილი, გურამ ბახტაძე, ლეილა ჯაფარიძე, ნანა ფრუიძე და სხვა.

პროფ. ი. ევგენიძის არაერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ. მაგალითად, გერმანიაში ჟურნალ „გეორგიკაში“ დაიბეჭდა მისი ნარკვევი „ვაჟა ფშაველას მრწამსის საკითხი გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში“ (1996), ვატიკანში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების თემატიკა“ (2006) და „ვაჟა ფშაველას პოეზიის რაიდული სული“ (2008).

უკანასკნელ ხანს პროფ. ი. ევგენიძე ინტენსიურად მუშაობდა აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის საკითხებზე, როგორც ოცტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ცალკეული ტომების რედაქტორი.

პროფ ი. ევგენიძე აქტიური, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც მოქალაქე და როგორც პროფესიონალი ფილოლოგი მას არაერთხელ წარუდგენია

ქართული ლიტერატურისმცოდნეობა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. მაგალითად, კავკასიოლოგთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე წაიკითხა მოხსენება „კავკასიის ხალხთა იერ სახე XIX საუკუნის ქართველ მწერალთა თვალთა ხედვით „(2007), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“ წაიკითხა „ევროპეიზმის როგორც კულტურულ–ისტორიული გამოვლენის ილია ჭავჭავაძისეული ინტერპრეტაცია“ (2007), საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობითი აკადემიის სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას დაბადების 150 წლის თავს, წარსდგა მოხსენებით „ვაჟა–ფშაველა და თანამედროვეობა“ (2011) და ბევრი სხვა.

პროფ. ი. ევგენიძე არჩეული იყო საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობითი აკადემიის ნამდვილ წევრად (2011). იგი დაჯილდოებული იყო ივანე ჯავაკიშვილის მედლით (2003) და სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის ილია II–ს მადლობის სიგელით (2006).

პროფესორ იუზა ევგენიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისა და ქართველი ინტელიგენციისათვის.

ნოდარ ტაბიძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ლადო მინაშვილი,დავით წოწკოლაური, ბეგო ბეჟუაშვილი, ოთარ ონიანი, ბორის იმნაძე, იგორ კვესელავა, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, დავით გოცირიძე, რეზო ძნელაძე, თემურ ჯაგოდნიშვილი, ვანო ჯაგოდნიშვილი.

Международный научно-педагогический журнал издается по решению редакционно-издательского совета от 16 декабря 2010 года (протокол №7)

Редакционный совет:

Борис Имнадзе –ф. профессор, главный редактор
Теймураз Джагодниишвили –ф. профессор, заместитель редактора
Елизавета Козлова – ассоц. профессор, ответственный секретарь
Чингиз Бедалов, профессор
Видас Каваляускас – профессор, Вильнюс
Жанетта Вардзелашвили, ТГУ, преподаватель, доктор филологических наук
Константин Рамишвили, профессор, вице-президент АНО Грузии
Гоча Микиашвили, профессор, декан факультета архитектуры ГТУ
Зураб Чачхиани, ф.профессор
Елизавета Хахуташвили, ассоц. профессор

Адрес редакции: Тбилиси, 0175, ул. Костава , 77

e-mail: *boris151132@rambler.ru*
адрес веб-страницы http://newsletters.gtu.ge

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

Georgian Technical University

Board of Editors:
Boris Imnadze *– PhD. – Chef-editor*
Teimuraz Jagodnishvili *– PhD. – Depuli editor*
Elizabed Kozlova *– Executive Secretary*
Board Members, Professors:
Chingiz Bedalov
Vidas Kavaliauskas**,** *Professors, Vilnius*
Janetta Vardzelashvili
Konstantin Ramishvili
Gocha Mikiashvili
Zurab Chachkhiani
Elisabed Khakhutashvili

ISSN №1512-102X

Adress: 77, Kostava Str., 0175, Tbilisi, Georgia

e-mail: *boris151132@rambler.ru*
web-said's adress: http://newsletters.gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განათლება №1 (7) (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე)

თბილისი 2013

გამომცემლობის რედაქტორი:

კორექტორები: ე. კოზლოვა
თ. მებუკე
თ. ბონდარენკო

კომპიუტერული დაკაბადონება:

რედაქცია: ბ. იმნაძე
თ. ჯაგოდნიშვილი

გადაეცა წარმოებას

ქაღალდის ზომა 1/8

ტირაჟი 500